ანზორ თოთაძე

საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე



თბილისი
1999

ავტორისაგან

საქართველო მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე დიდი და ახალი ეპოქის კარიბჭესთან დგას. ამ დროიდან ხდება არა უბრალოდ გადასვლა საუკუნიდან საუკუნეში, არამედ საქმე გვაქვს უდიდეს სიღრმისეულ ცვლილებებთან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომელთა მსგავსი იშვიათად განუცდია ჩვენს ქვეყანას თავისი მდიდარი და ქარტეხილებით აღსავსე ისტორიის მთელ მანძილზე. მეოცე საუკუნის დასასრული ქართველი ხალხისათვის, მისი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ერთობ მძიმე და სისხლიანი გამოდგა. ჯერ გააქართლა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების აშენების _ სოციალისტური წყობის მოდელმა. ეპოქის დიდი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და მან თან გაიყოლა თაობათა დიდი ტკივილები და განცდები. ძველთან გამოთხოვება და გარკვეულწილად წარსულთან დაბრუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით თავიდან ჩანდა.

ერთ დროს პოლიტიკურად და ეკონომიკურად უძლიერესი საქართველო ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოთა რიგებს მიეკუთვნებოდა. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ენერგია თანდათანობით ილეოდა გარეშე მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში, რასაც საბოლოოდ მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ამდენად ეროვნული თვითმყოფობის დაცვის გრძნობის დაქვეითებაც მოჰყვა. ქართველ კაცს მოესპო საშუალება თავისი ქვეყნის განვითარების პრობლემებზე თავდადებულ ეზრუნა, თავისი ეროვნული პრობლემები გადაეწყვიტა. ეს უკვე სხვამ ითავა და, როგორც მოსალოდნელი იყო, იმ სხვამაც თავისი სამრეკლოდან დაიწყო ზარების რეკვა. თუ იაკობ გოგებაშვილს დაუკისრებიათ, ,,საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა მეოცამეტე საუკუნის დამლევს სასურველ ნაყოსადგურად მიიჩნია, დახასებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიაც ლამის ჩაიხრჩო". ეროვნულ დაქაბუნებასთან ერთად, ამას შეედგა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვაც მოჰყვა.

ქართულმა სულმა მაინც გაუძლო ყველა განსაცდელს. XX

საუკუნის მიწურულს ქართველმა ხალხმა ისევ შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა და ამით თავდყვე ითაყა თაყისი ეროყნული ორგანიზმის მოყლა-პატრონობა.

ჩუთი-ექყსი წლის წინათ შესაბამისი ცნობარების მიხედყით მსოფლიოში 209 სახელმწიფო არსებობდა. საქართველოს მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის ტერიტორიის სიდიდის მიხედყით 113-ე, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 86-ე ადგილი ეკავა. საქართველოს სახელმწიფოებრიყი ძლიერების ხანაში ჩყენი ქყეყნის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 1,5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის ყოყელ ათი ათას კაცში დაახლოებით 150 კაცი იყო ქართველი. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 0,1 პროცენტს შეადგენს და მსოფლიოს მოსახლეობის ყოყელ ათი ათას კაცში შყიდი კაცი ქართველია. აი, ასეთი დემოგრაფიული მაჩყენებლებით შეეხყდით ჩყენ მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნას.

საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ, სამეურნეო და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კონტაქტების გაწყვეტამ ერთ ფუნქციონირებად სივრცეში, სამაგიერო სხვა, უმთავრესად საექსპორტო სიყრცეების ძიებამ, საქართველოს მიმართ რუსეთის ინტერესებმა და ამ ინტერესების გამოყლენის მეტად დამახინჯებულმა ფორმებმა, რამაც სისხლისღვრა და დიდი უბედურება დაატეხა თავზე ქართველ ხალხს, ზოგჯერ მარადიულად მიჩნეული სულიერი ღირებულებების გადაფასებამ, რომელიც მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს უფროს თაობაში და არც ახალგაზრდა თაობას ტოყებს გულგრილად, ეკონომიკის უაღრესად დაქყეითებამ, გაზრდილმა უმუშეყრობამ დემოგრაფიულ პროცესებში მნიშვნელოვანი ცყლილებები გამოიწყია _ მკყეთრად გააუარესა დემოგრაფიული მაჩყენებლები. უპირველეს ყოყლისა, კრიზისულ ზღვრამდე დაეცა შობადობა. მასობრივი გახდა ბავშვთა დაბადების გადავადება უკეთესი პირობებისა და მერმისის მოლოდინში. საქართველოს, შეიძლება ითქვას, უკვე დაბალი შობადობის პირობებში უხდება ცხოვრება. თუ ასე გაგრძელდა მეორე და მესამე ათასწლეულების გასაყარზე დადგება „დემოგრაფიული ზამთარი“.

ჩვენს თაობას (უფრო სწორად _ თაობებს) უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით საყსე ეპოქაში მოუწია ცხოვრება, ეპოქაში, როდესაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო გაკულაკება, დაჭერები, დახვრეტები, ყველაფრისადმი მუდმივი შიში და ყოველივე ამის კანონზომიერი შედეგი _ იდეოლოგიურად დაშტამპული ადამიანები. ახლა წლები გვჭირდება, რომ ქართველი კაცი ნორმალურ ცხოვრებას ეღირსოს. არადა მუდმივად ცას არაყის გამოეკერება. მართლაც, გასაცოდავდა ადამიანი და ესეც რომ არ იყოს, განა ისიც არ კმარა, რაც ერთ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლშია აღნიშნული: „ყისაცა მტერი არ ესყას, რა გაიცადოს, მტერად თვით საწუთრო ეყოფის. საწუთრო რაზომცა კაცისათვის კერძოობდეს, ბოლოსა ეგრეცა მას იქმს, რომელსა მტერი ყერ უზამს–. ასე რომ, „დროის ცელი მოქნეული, ყველას გათიბავს“. ამიტომაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე თვითონვე იყოს თავისი თავის უფალი, ამიტომაც გვმართებს ერთმანეთს წუთისოფლის სტუმრობა შევუმსუბუქოთ.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღეს ქართველ ხალხს ბევრი სატკივარი აქვს. საუროხე დაეშუქრა მისი ეროვნული სხეულის ერთიანობას. უაღრესად მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ „ქუჩაში აკრეფილი სწავლა-განათლებით“ ქართველი ხალხის დამოძღვრას. ისევ მოგვნახა ჩვენმა უკურნებელმა სენმა _ „არც ერთმანეთს ყასყენებთ და არც ქვეყანას“. თითქოს დღეს იყოს ნათქვამი ქართველი მეცნიერების ჟამთააღმწერლის სიტყვები: „იწყეს ურთიერთას მილაყრებად და მიხვეჭად“. ყველას პირველობა სწადია და თვისი აზრი უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია. მოგვაკლდა განსჯისა და ანალიზის უნარი. ჩვიდრად პირადულზე უფრო მეტს ყფიქრობთ, ვიდრე საზოგადოებრივ საქმეზე.

ქართველი ხალხი ბევრჯერ ყოფილა ასეთ ვითარებაში, მაგრამ იგი ყოველთვის ღირსეულად გამოსულა შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. გვჯერა, რომ ამჯერადაც ასე მოხდება.

ყოველი ერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შობადობის პრობლემებს, ყოველმხრივ ჯანსაღი და სრულყოფილი თაობის განახლებას. ამაში ხედავს იგი თავისი სიცოცხლის გაგრძელებას, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ტრადიციე-

ბის, წეს-ჩვეულებებისა და ინდივიდუალობის უკვდავყოფას. ბუნებრივია, ქართველ ერსაც აწუხებს თავისი შობადობის, თავისი შთამოშობილობის გაძრაყლების მართალაც მწვავე პრობლემები. ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის მას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა არ დაკარგოს ის მშვენიერება, რაც მხოლოდ მას შეუქმნია, რაც მის მშობლიურ მიწას ალამაზებს, რადგან თუ შექსპირს დავუსესხებით, „მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა“.

შორეული წარსულიდან გვეხმიანება ადამიანთა მოდგმის გამრავლებაზე უაღრესად შთამბეჭდავი და მომხიბლავი ერთ-ერთი ლიტერატურული სერტენცია. შუამდინარეთის ხალხთა უბრწყინვალესი ეპოსი, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები „გილგამეში“, რომელიც თითქმის ორი საუკუნის წინათ შეიქმნა, ჩვენს ერამდე მეშვიდე საუკუნეში აშურბანიპალის ბიბლიოთეკის გადამწერის თუ მწერლის მიერ დამატებული საოცარი ამბის თხრობით მთავრდება. ნაწარმოების გმირს ბრძენ გილგამეშსა და მისი დაღუპული მეგობრის, ენქიდუს ქვესკნელით ამოსულ სულს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„ვინც ერთი ძე შობა, თუ ნახე,?“ „ვნახე.
ქვესკნელში მხოლოდ პურს შეექცევა.“
„ვინც სამი ძე შობა თუ ნახე?“ „ვნახე.
ქვესკნელში მხოლოდ წყალსა სვამს იგი.“
„ვინც ოთხი ძე შობა, თუ ნახე?“ „ვნახე.
სასმელ-საჭმელით გულს იხარებს.“
„ვინც ხუთი ძე შობა, თუ ნახე?“ „ვნახე...
დიდი პატივით შედის სასახლეში.“
„ვინც ექვსი ძე შობა, თუ ნახე?“ „ვნახე.
გუთნისდედასავით უხარის გული.“
„ვინც შვიდი ძე შობა, თუ ნახე?“ „ვნახე.
ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს.“

შორეულ წარსულშიც ხრუსავდნენ ხალხის გამრავლებაზე და მასთან დაკავშირებული პრობლემები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი _ მხოლოდ მრავალი შვილის დედა ნეტარებდა ღმერთებთან სიახლოვით.

დღეს, მართალია, შემოსაყალი მრავალთათვის ძლიერ უზრუნველყოფს საარსებო საშუალებათა იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ როგორც ერთ-ერთი ქართული დედა მოგვიწოდებს, „ყველამ უნდა იბოძოს თავის თავში ძალა, რათა სამშობლო, ერის პრობლემები უპირველესი გახდეს. ოდესმე ალბათ მიყაღწევთ ისეთ მატერიალურ დონეს, რომელიც უფრო შეუწყობს ხელს შობადობის გაზრდას. იქამდე კი როგორმე უნდა გავძლოთ". ძნელია ამ აზრს არ დაეთანხმო. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება და განვითარება უცილობლად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ბავშვთა აღზრდისათვის ყოველმხრივი პირობების შეყქმნათ. მაგრამ მანამდე კი, მართლაც, უნდა გავძლოთ და ჩვენი ეროვნული ცნობიერება ისე არ უნდა მოვადუნოთ, რომ მომავალი თაობის, ერის გამრავლების პრობლემები, ამ გაჭირვების ჟამსაც, ჩვენთვის უპირველესი საზრუნავი არ გახდეს.

მართალია, დღეს ქართველ ხალხს ბევრი სატკივარი აქვს, მაგრამ მისი გამრავლების პრობლემები, ქვეყნის, დემოგრაფიული ვითარება ერთ-ერთი ყველაზე მოსაყარი სატკივარია. ჩვენ შეცვადეთ ნაშრომში წარმოგვეჩინა ეს პრობლემები და ზოგიერთი მოსაზრებაც გამოგვეთქვა მათ გადასაჭრელად. ამავე დროს იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი გამოკვლევა არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. ამიტომ უფლებას ვიტოვებთ მივმართოთ მკითხველს დიდი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით: „ერთისა და ორის კლებისათვის რუ დაიწურებთ, სრული ძნელად საბოვნარია".

თავი I. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და თანამედროვე ტენდენციები

I.1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა

თანამედროვე საქართველოს ტერიტორია ადამიანის მიერ ათვისებულია მრავალი ათეული ათასი წლის წინ. უძველესი ადამიანის ნაკვალევი ქვის ხანის შელის ეპოქიდან (დაახლოებით 600-400 ათასი წლის წინ) არის ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ უფრო ფართოდ სახლდება ადამიანი აშელის ეპოქაში (400-100 ათასი წლის წინ). ამ პერიოდში განსაკუთრებით მჭიდროდ არის დასახლებული საქართველოს ზღვისპირეთი, აგრეთვე ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო და შიდა ქართლის მაღალმთიანი ზოლი. ინტენსიურად ჩანს ეს მხარე დასახლებული მომდევნო, მუსტიეს ეპოქაში (100-35 ათასი წლის წინ). განსაკუთრებით ფართოდ ჩანს ათვისებული საქართველოს დასავლეთი ნაწილი. ზედა პალეოლითის ბოლოს, მეზოლითის ხანაში ადამიანის მიერ ათვისებულია მთელი საქართველოს ტერიტორია.

თანამედროვე საქართველოსა და მისი სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული მონათესავე ქართველური ტომებით. ამ ტომების ხანგრძლივი ურთიერთკავშირის შედეგად წარმოიშვა ქართველი ხალხი.

ქართველთა წინაპრებმა მიაღწიეს მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, კერამიკის, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობათა იმდროისათვის მაღალ დონეს. უკვე ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის შუა ხანებიდან დაწინაურდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგები, რომელსაც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში ენაცვლება უფრო განვითარებული მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელმაც ძვ.წ. III ათასწლეულის დამდეგიდან დაიწყო აყვავება. ამ კულტურამ უდიდესი როლი ითამაშა არა მარტო კავკასიის, არამედ წინა აზიის ისტორიაშიც. აღმოსავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეებში ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში მტკვარ-არაქსის კულტურის ნაცვლად თრიალეთის კულტურა ვრცელდება. ამ ეპოქაში დაწინაურდა მეცხოველეობა. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მეტალურგიამ და ხელოსნობის სხვადასხვა დარგმა. ახლაც მნახველთა გაოცებას იწვევს ამ ეპოქაში შექმნილი კერამიკული და ძვირფას ლითონთა ნაკეთობანი თავისი მხატვრული გემოვნებით.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი გაღრმავდა ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების აღმავლობამ. ამავე დროს II ათასწლეულის დასაწყისში დასაბამი მიეცა ქართველური ენების ერთიანი ფუძე ენის მქონე ეთნიკური მასის ენობრივ დიფერენციაციას. უკვე ამ პერიოდისათვის ქართველური ტომები, კერძოდ, მეგრელ-ჭანები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, ქართები კი მათ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდნენ, ხოლო სვანები — ჩრდილო-დასავლეთით.

შემდგომში, კერძოდ, ძვ.წ. VII—VI საუკუნეებში ქართველურ ტომთაგან წარმოიქმნა ორი ძლიერი სახელმწიფო — კოლხეთი დასავლეთ საქართველოში და იბერია აღმოსავლეთ საქართველოში. ამ სახელმწიფოებზე გადიოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. კოლხეთში VI-II საუკუნეებში იჭრებოდა ვერცხლის მონეტები, რომლებიც „კოლხური თეთრის" სახელწოდებითაა ცნობილი. კოლხეთში იჭრებოდა აგრეთვე ოქროს მონეტებიც.

კოლხეთსა და იბერიაში იყენებდნენ იმ პერიოდში მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ბერძნულ და არამეულ დამწერლობას. საკუთრივ ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიდან უძველესად ითვლება პალესტინის ქართული მონასტრის 430-იანი წლებისა და 492-493 წლების ბოლნისის ქვაზე ამოჭრილი წარწერები, ხოლო უძველეს ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებად — 476-483 წლებში დაწერილი იაკობ ცურტაველის თხზულება — „წამებაი წმინდისა შუშანიკისა". ამასთან, როგორც ჩანს, ქართული დამწერლობა ქრისტიანობამდე გაჩნდა, მაგრამ ახალმა რელიგიამ გაანადგურა როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ასევე წარმართული მწერლობის ძეგლებიც. ქართული დამწერლობის გავრცელებასთან ერთად ქართველი ხალხის ერთიანი მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 337 წელს ქრისტიანულ სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება.

მეათე საუკუნეში ერთიანდება ყველა ქართული სამეფო-სამთავრო და იქმნება ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია.

ადრეულ საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროებით ცნობილია, რომ ქართველური ტომები მრავალრიცხოვანი იყო. მათ მრავალრიცხოვნობაზე მეტყველებს თუნდაც ის

ფაქტი, რომ მუსკების ანუ მესხთა ტომის სამფლობელო რამდენიმე სამეფოდ იყო გაყოფილი, ამასთან, ისინი მაშინდელი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს — ასურეთის დაპყრობასაც ბედავდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI და VIII საუკუნეების ასურული წარწერების მიხედვით ასურეთის მეფეები იკვეხნიდნენ მუსკების ქალაქები დავაქციეთ და გადავბუგეთო, რაც ჩვენამდე ვერცერთმა მეფემ ვერ შეძლო და ისინი ჩვენს წინაპრებს არ ემორჩილებოდნენო. ასევე მრავალრიცხოვანი იყო კოლხთა ტომიც. ელინისტური ეპოქის ცნობილი მეცნიერი და ეპიკოსი პოეტის აპოლონიოს როდოსელის მიხედვით კოლხეთი ძლიერი, მრავალრიცხოვანი ხალხით დასახლებული სამეფოა. მისი თქმით, ძლევამოსილი კოლხეთის მეფის გარშემო „ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“. სტრაბონის ცნობით კი მის ეპოქაში მთელს კავკასიაში არ ცხოვრობდა სვანებზე მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელსაც 200 ათასი მებრძოლის გამოყვანა შეეძლო. იგივე ავტორის თქმით ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველო ანუ იბერია წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ, მეტწილად ქალაქებითა და დაბებით დასერილ ქვეყანას, სადაც იყო კრამიტის სახურავიანი და ხუროთმოძღვრების წესით ნაგები სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები.

მტრის შემოსევები დიდად ამცირებდა მოსახლეობას და ზოგ შემთხვევაში უკაცრიელს ხდიდა დასახლებულ პუნქტებს. ლიტერატურული წყაროების მიხედვით სამცხეში ხშირი შემოსევების შედეგად მეცხრე საუკუნეში „ადგილნი მცირედ კაცრიელნი“ ყოფილან, შემდეგში კი მჭიდროდ დასახლებული იყო. XI საუკუნის დასასრულს „დიდი თურქობის“ დროს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა. „კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითაო“ წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. კალიასავით შეესივნენო თურქები საქართველოს — „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“. „მოჭამეს ქვეყანა“, „და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“. უფრო ადრე, არაბთა შემოსევებმა გაანადგურა კლარჯეთი და მისი მეზობელი მხარეები, დიდად შემცირდა იქ მოსახლეობა. გიორგი მერჩულეს გადმოცემით იშხანი და მისი მიდამოები სრულიად გაუერანებული იყო — „მის ჟამსა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი“ და „პირველი დიდებულებაი“ იშხანისა აღარავის ახსოვდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ V—VII საუკუნეებში კლარჯეთში სამი საეპისკოპოსო არსებულა, ხოლო 840-იან წლებში 12 სავანე, იმაზეც მიუთითებს, რომ ამ პერიოდ-

ში იგი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ყოფილა, ამასთან მესხეთში IX საუკუნიდან მოყოლებული ხუროთმოძღვრების უამრავი და უბრწყინვალესი ძეგლის მშენებლობა, მწიგნობრული საქმიანობის მაღალი დონე, მშვიდობიანი ცხოვრების პირობების არსებობა (განსაკუთრებით XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში), მედიცინის განვითარება, მხოლოდ და მხოლოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის არსებობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის გამრავლებასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს.

მოსახლეობის შემცირებას იწვევდა არა მარტო გამუდმებული ომები, არამედ კატასტროფული მიწისძვრები, მოუსავლიანი წლები, ეპიდემიის გავრცელება და ტყვის სყიდვა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს სამცხეში დამანგრეველ მიწისძვრებზე, რომლებმაც უამრავი ადამიანი შეიწირა. როგორც ქართველი მემატიანეები გადმოგვცემენ, კატასტროფულმა მიწისძვრებმა განსაკუთრებით დააზიანა სამცხე. მონღოლებისაგან ისედაც აოხრებულ სამცხეს ზედ დაერთო უძლიერესი მიწისძვრა, რომელმაც ურიცხვი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ქონებაც გაანადგურა. ამ მიწისძვრის შესახებ ჟამთააღმწერელი შემდეგ ცნობას გვაწვდის: აღდგომის წინა დღეებში, „ვითარ მოიწია შაბათი... საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოხრდეს, მთანი და ბორცუნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალნეს, და მიწა განიპო, და შავი წყალი მსგავსი კუპრისა აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან ძრავასა ქვეყანისასა“. ამის შედეგად „ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“. ბუნებრივია, მიწისძვრამ მრავალი ადამიანიც იმსხვერპლა: „სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა... იქმნა გლოვა და ტირილი უზომო“.

მოსახლეობას ამცირებდა აგრეთვე ეპიდემიები, ტყვის სყიდვა, რომელსაც საქართველოში მასობრივი ხასიათი მიეცა ოსმალების ბატონობის პერიოდში, კალიებისა და ფრინველების შემოსევა, რომლებიც სპობდნენ ნათესებს. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ბრძოლებზე მეტად ეს ფაქტორები იწვევდნენ ქვეყნის აოხრებასა და განადგურებას: „კუალად მოვიდა სირი ჭიეჭავი, რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმული არს საუკუნით. კუალად იყო სრვაცა მომსრველი, ჟამი ძლიერი“.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ადრეულ საუკუნეებში რამდენი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ეპიდემიებმა,

მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ ეპიდემიები მრავალ ადამიანს უსპობდა სიცოცხლეს. მაგალითად, ვიცით, რომ XIX საუკუნეში იმერეთში მარტო ერთი წლის განმავლობაში (1811 წელს) შავმა ჭირმა შეიწირა 32750 სული, ანუ იმერეთის მოსახლეობის თითქმის მესამედი. შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში. ამასთან, შავმა ჭირმა დააზიანა არა მარტო დასავლეთ საქართველო, არამედ ქართლი და ახალციხის მხარე.[1]

არანაკლებ ამცირებდა საქართველოს მოსახლეობას მოუსავლიანი წლები. პურის ნაკლებობა, მტრის მიერ ქვეყნის აოხრებასთან შედარებით, თითქმის უფრო მძიმე განსაცდელში აგდებდა ქვეყანას. მემატიანის ცნობით, „ვიქმენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ხოცასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად, არც დიდითა ფასითა, ესოდენ განძვინდა შიმშილი, რომელ მძორისა არაწმიდასა ურიდად ჭამდეს, სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი, და სოფელნი მკუდრებითა. ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წავიდა სამცხეს... სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეულ საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, მოსახლეობის პირველი აღწერა საქართველოში VII საუკუნის პირველ ნახევარში ჩაუტარებიათ. „სუმბატ დავითის ძის ქრონიკებში“ აღნიშნულია, რომ მეფე სტეფანოზის დროს „ქვეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“. როგორც ამ ისტორიული წყაროდან ირკვევა, აღწერის მასალები საბერძნეთში წაუღიათ.

მოსახლეობის მეორე აღწერა, რაც ასევე ისტორიული წყაროებით დასტურდება და ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში მომხდარა XI საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიის მეფის კონსტანტინე მონომახის ბრძანებით.

უფრო დაწვრილებითი ცნობები მოგვეპოვება 1254 წლის აღწერის შესახებ.

მეთორმეტე საუკუნის დამლევს და მეცამეტის დამდეგს, თამარის მეფობის პერიოდში, საქართველოში ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი მოსახლეობის გამრავლებისათვის, რასაც საფუძველი ჩაეყა-

[1] ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994, გვ. 13-15.

რა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში. კერძოდ, მეცხრე საუკუნიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. ამ დროიდან მოკიდებული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომელიც მეცამეტე საუკუნის ოციანი წლების დამდეგამდე გრძელდებოდა, ქვეყნის შინაგანი ცხოვრება შედარებით მშვიდობიანი იყო და, ბუნებრივია, მოსახლეობა სწრაფად მრავლდებოდა.

არსებული ისტორიული წყაროების ცნობით, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ქონების აღწერა 1254 წელს ჩაუტარებიათ მონღოლებს. როგორც ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, მონღოლთა ყაენმა ბათომ, „რომელიც უდიდესი იყო ყოველთა ყაენთა“, ინება, რომ მთელ თავის საბრძანებელში აღერიცხა და განეწესებინა „მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა“. ეს აღწერა მიზნად ისახავდა არა მარტო იმას, რომ დაედგინათ მონღოლების ჯარში გასაწვევ მეომართა რიცხვი, არამედ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსახლეობის დაბეგვრისათვის საჭირო მონაცემების მიღებასაც.

ცნობილია, რომ მოსახლეობის ადრინდელ აღწერებს ძირითადად მარტოოდენ ფისკალური (საგადასახადო) და სამხედრო მიზნები ჰქონდა დასახული. ამას ნათლად მოწმობს 1721 წლის მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი დავთრის ჩანაწერიც: „აღვწერეთ ამა დავთარსა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფო ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღვწერით წიგნსა ამასა შინა.“[1]

საქართველოს მკვიდრთა და მათი ქონების აღწერა, ისევე როგორც მონღოლთა ყოველი საბრძანებლისა, ბათო ყაენმა დაავალა მონღოლთა მოხელეს არღუნს, რომელიც წარმოშობით სპარსელი იყო. ქართველი მემატიანის გადმოცემით მონღოლებმა „იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან“.

ამრიგად, მონღოლებს აღუწერიათ ყველაფერი, რის აღწერაც კი შეიძლებოდა. სრული ფუძის მქონებელი ყოველი ცხრა კომლისათვის მათ თითო ჯარისკაცის გამოყვანა დაუკისრებიათ. აღწერის შედეგად გამორკვეულია, რომ საქართველოს უნდა გამოეყვანა „ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელი არს

[1] სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-XVIII საუკუნეში, თბ., 1907

ცხრა ბევრი“.[1] ცხრა დუმანი (ცხრა ბევრი) 90 ათას უდრის. მაშასადამე, საქართველოს 90 ათასი მხედარი გამოჰყავდა მონღოლთა სამსახურში. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიახლოებით მაინც დადგინდეს საქართველოში მცხოვრებ ოჯახთა რაოდენობა. აქ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ერთი გარემოებაც. მაშინდელ პირობებში მოსახლეობის აღწერისას არც თუ იშვიათად გამორჩებოდათ ხოლმე არა მარტო ოჯახები, არამედ მთელი სოფლებიც. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, საშუალოდ არა ცხრა ოჯახს, არამედ ყოველ ათ ოჯახს (თუ მეტს არა) გამოჰყავდა ერთი ჯარისკაცი. მაშასადამე, იმდროინდელ საქართველოში 900 ათასი ოჯახი ცხოვრობდა. თუ ოჯახში საშუალოდ ხუთ სულს ვივარაუდებთ, მაშინ საქართველოს მოსახლეობა 1254 წლისათვის 4,5 მილიონ კაცს შეადგენდა. ჟამთააღმწერელის ცნობები რომ სარწმუნოა და 1254 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზემოთ წარმოდგენილ გაანგარიშებაშიც გადაჭარბებული არაფერია, ამას მხარს უჭერს შემდეგი ფაქტიც: საქართველოს ამ პერიოდში საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა — 150 ათასი კვადრატული კილომეტრი.

ერთია კიდევ აღსანიშნავი. აღწერაში არ მოხვდნენ სრული ფუძის არმქონე ოჯახები, რომლებიც, ალბათ, იმ პერიოდში საკმაო რაოდენობით იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აღწერის პროგრამაში ამ მოვლენისათვის ხაზის გასმა აღარ იქნებოდა საჭირო.

არანაკლებ საგულისხმოა ის, რომ არსებობდა გადასახადების შედარებით მოწესრიგებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა ყოველი ათასი და ათი ათასი მხედრის მთავრისათვის გადასახადის გადახდას, ამასთან თვით ჯარის ასეთი სტრუქტურა (დანაწილება ათასებად და ა.შ.) კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ზემოთ წარმოდგენილ გაანგარიშებას, რომ 1254 წელს საქართველოში მონღოლების სამსახურში გამოყვანილი მხედრების საერთო რაოდენობა დაახლოებით 90 ათასს შეადგენდა.

ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ამ პერიოდში (მეცამეტე საუკუნის შუა წლები) 4,5-5 მილიონი კაცი ცხოვრობდა და რომ, ამრიგად, საქართველო მოსახლეობის რიცხვით ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო იყო მსოფლიოში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში საფრანგეთის მოსახლეობა 13 მილიონ კაცს შეადგენდა, იტალიისა — 8, გერმანიისა — 7,3, ესპანეთისა — 5,4, ხოლო ინგლისისა (უელსისა და შოტლანდიის მოსახლეობის ჩათვლით) — 2,6 მილიონს.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 235

იმავე არღუნს რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში განმეორებით ჩაუტარებია მოსახლეობის აღწერა. ცნობილია, რომ მონღოლთა ბატონობამ მძიმე კვალი დაამჩნია ჩვენი ქვეყნის განვითარებას. შეიძლება ამიტომაც არ ასახელებს ქართლის ცხოვრების მემატიანე ამ განმეორებითი აღწერის მონაცემებს და გულისტკივილით მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ უმრავლესი ქვეყანა „მოოხრებული იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი.“

მეცამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების საქართველოს მოსახლეობის რიცხვის შესახებ მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ამ დროს სრულიად საქართველოში შედიოდა საქართველოს სახელმწიფო (საკუთრივ საქართველო, ჩრდილოეთი სომხეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთი და სამხრეთი ალვანეთი, შირვანი. საქართველოს სახელმწიფოს ეჭირა კავკასიის მთავარი, ცენტრალური ნაწილი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) და საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატები, კერძოდ, ტრაპიზონის სამეფო, რომლის ძირითად ტერიტორიას ქართული ქვეყანა, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი (ლაზეთი, ჭანეთი) შეადგენდა. ზოგიერთი ცნობით, სრულიად საქართველოს — საქართველოს სახელმწიფოსა და ტრაპიზონის სამეფოს (ქართული რეგიონი) ტერიტორია 1220 წლისათვის 246 ათას კვადრატულ კილომეტრს სჭარბობდა, ხოლო მოსახლეობა 9550 ათასს აღწევდა.

XIII საუკუნის შუა წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით განსხვავებული მოსაზრებაცაა გამოთქმული. კერძოდ, ს. კაკაბაძის ამ სამოცდაათიოდე წლის წინათ შესრულებული გაანგარიშებით XII საუკუნის ბოლოს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1,8-2 მილიონს უდრიდა. ამ მოსაზრებას პროფ. ვ. ჯაოშვილიც იზიარებს. მისი აზრით გამორიცხული არაა, რომ „ცხრა გლეხი“ ნიშნავდეს მეომრად ვარგის ცხრა მამაკაცს. სათანადო გაანგარიშების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ 1254 წლისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობა 2,4-2,5 მილიონზე მეტი არ იქნებოდა. ამის დასასაბუთებლად პროფ. ვ. ჯაოშვილი შემდეგს აღნიშნავს: „ცხრა კომლიდან რომ ერთი მეომრის გაწვევა მეტად შემცირებული ნორმაა მონღოლთა სამხედრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, იქიდანაც ჩანს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მონღოლების მიერ დაპყრობილი ქვეყნების სრულასაკოვან მამაკაცთა ერთი მეხუთედის ლაშქარში გაწვევა“. რა თქმა უნდა, აღნიშნული მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგიერთი კითხვა უპასუხოდ რცება. უპირველეს ყოვლისა,

არსაიდან ჩანს, რომ „ცხრა გლეხი“ მეომრად ვარგის ცხრა მამაკაცს ნიშნავდეს, რომელთაც შეეძლებათ „აბჯართა და ცხენთა ხმარებანი“. ჟამთააღმწერელი გარკვევით მიუთითებს, რომ „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა“ ერთი ჯარისკაცი უნდა გამოეყვანა მონღოლთა სამსახურში. ე.ი. სამხედრო ბეგარა სრული ფუძის მქონე გლეხებს ითვალისწინებდა. მეორეც, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სრულასაკოვან მამაკაცთა ერთი მეხუთედის ლაშქარში გაწვევის შემთხვევაში 90 ათასზე ბევრად მეტი ქართველი მხედარი იქნებოდა მონღოლთა სამსახურში, რაც თვით მონღოლებისათვის საშიში ძალა გახდებოდა. ანგარიშგასაწევია სხვა გარემოებებიც. კერძოდ, ლაშქრად გასვლა მემკვიდრეობითი ვალდებულება იყო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის და ამდენად აზნაურები და დიდებულები, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდნენ ცხრა „ბევრ“ მეომარში. ამასთან, კომლის საშუალო სიდიდე ჩვენ 5 კაცით განვსაზღვრეთ. საფიქრელია, რომ იმდროინდელ საქართველოში საშუალოდ უფრო მრავალრიცხოვანი კომლები არსებობდა. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში — დიდგორის ბრძოლიდან ვიდრე 1225 წლამდე, ჯალალ-ედინის შემოსევამდე — საქართველოს მიწა-წყალზე უცხო დამპყრობთა შემოსევას ადგილი არ ჰქონია, ბრძოლები მტრის წინააღმდეგ მის ფარგლებს გარეთ ხდებოდა და ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას იწვევდა. ამ პერიოდში ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება საქართველოში ეპიდემიების გავრცელება, რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ამავე დროს საკმაოდ მაღალგანვითარებული იყო ქვეყანაში ხალხური მედიცინა. ერთ-ერთი შემორჩენილი ცნობის მიხედვით გლეხნი აზნაურთა მსგავსად იმოსებოდნენ, რაც ეკონომიკის და, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას და ამდენად 1254 წელს საქართველოში 5 მილიონი კაცის ცხოვრების შესახებ დაცული ცნობა ნაკლებად საეჭვო ხდება.

ამ ასპექტში შეიძლება მთლიანად გავიზიაროთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ა. აბდალაძის მოსაზრება: „თუ თამარის დროს საქართველოს სამეფოს მოსახლეობა 1,8 მილიონზე მეტს არ შეადგენდა..., რაც ქართველ ერს 1225 წლიდან მოყოლებული თავს უბედურება დაატყდა, იგი ფიზიკურ არსებობას ვერ შეინარჩუნებდა, XIX საუკუნემდეც ვერ მოაღწევდა, გადაშენდებოდა.“[1]

[1] გაზ. „მილიონთა ბიოგრაფია“, №2, 1998

მართლაც, ამ დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის სასიცოცხლო ენერგია სულ უფრო მეტად ილეოდა სხვადასხვა ჯურის მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა თანამედროვე საზღვრებში ყველაზე მცირე იყო 1770 წელს — 761 ათასი.

XIX საუკუნეში საქართველოში შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოსახლეობის გამრავლებისათვის. თუ 1800 წელს საქართველოს მოსახლეობა 785 ათას კაცს უდრიდა, 1897 წელს მისმა მოსახლეობამ 1919 ათასი კაცი შეადგინა. იმავე წლებში საქართველოში შესაბამისად 623 ათასი და 1335 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ანუ მთელი მოსახლეობის 79,5 და 69,6 პროცენტი.

მთლიანად XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 2,4-ჯერ გაიზარდა, ხოლო საკუთრივ ქართველები — 2,1-ჯერ. რაოდენობრივად განსაკუთრებით დიდად გაიზარდა სომხები — 4-ჯერ, რუსები — 4-ჯერ (1865 წელთან შედარებით) და ოსები — 8-ჯერ, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ისინი დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საცხოვრებლად საქართველოში.

საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა XX საუკუნეში (2,8-ჯერ). 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში 2,7 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ხოლო 60 წლის შემდეგ — 1989 წელს — 5,4 მილიონი. ქვეყნის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა, საქართველოს რომ დიდი მსხვერპლი არ გაეღო 1941-1945 წლების ომში. ფრონტზე დაიღუპა დაახლოებით 300 ათასი კაცი. ასეთმა დანაკარგებმა და ომის წლებში შობადობის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ზრდაზე.

უკანასკნელ წლებში, იმის გამო, რომ ქართველებში დაბალია შობადობა და ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველების წილი სამხრეთ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობაში. თუ 1926 წელს ქართველები სამხრეთ კავკასიაში მეტნი იყვნენ სომხებზე 465 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებზე — 145 ათასით, სამოციოდე წლის შემდეგ, 1989 წელს, სამხრეთ კავკასიაში ქართველებს სომხები აღემატებოდნენ 108 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები — 2394 ათასით.

1989 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ქალაქის მოსახლეობა 1979 წელთან შედარებით 435 ათასით გაიზარდა. 1989 წელს ქალაქად ცხოვრობდა 3035 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 55,8 პროცენტი. ქართველებისათვის ეს მაჩვენებელი 46,6 პროცენტს უდრიდა. ურბანიზაციის პროცესში მეტად არათანაბრად მონაწილეობენ სხვადასხვა ეროვნებები. თითქმის მთლიანად ქალაქად ცხოვრობენ

ებრაელები (99,6 პროცენტი), ქურთები (98,5 პროცენტი) და რუსები (86 პროცენტი). სოფლად შედარებით დიდი რაოდენობით სახლობენ აფხაზები (55 პროცენტი) და განსაკუთრებით აზერბაიჯანელები (75 პროცენტი). ამჟამად ქალაქად ცხოვრობს 3025 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 55,6 პროცენტი.

საქართველოს მოსეოსახლეობის რიცხოვნობა

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)	მათ შორის:		პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან	
		ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის
1254	5000	-	-	-	-
1770	761	37,4	723,6	4,9	95,1
1800	784,7	-	-	-	-
1897	1894,2	359,0	1535,2	19,0	81,0
1913	2601,0	666,0	1935,0	25,6	74,4
1921	2411,0	475,0	1936,0	19,7	80,3
1926	2677,2	594,2	2083,0	22,2	77,8
1939	3540,0	1066,2	2473,8	30,1	69,9
1950	3494,1	1240,8	2253,3	35,5	64,5
1955	3803,4	1509,8	2293,6	39,7	60,3
1959	4044,0	1712,9	2331,1	42,4	57,6
1960	4129,2	1744,4	2384,8	42,2	57,8
1965	4450,0	2026,3	2423,7	45,5	54,5
1970	4686,4	2239,8	2446,6	47,8	52,2
1975	4895,4	2434,0	2461,4	49,7	50,3
1979	5014,8	2600,5	2414,3	51,9	48,1
1980	5052,8	2634,8	2418,0	52,1	47,9
1985	5264,1	2833,7	2430,0	53,8	46,2
1989	5443,4	3035,8	2407,6	55,8	44,2
1990	5456,1	3058,2	2397,9	56,1	43,9
1991	5464,2	3073,0	2391,2	56,2	43,8
1992	5462,8	3068,1	2394,7	56,2	43,8
1993	5447,1	3048,8	2398,3	56,0	44,0
1994*	5433,5	3030,2	2403,3	55,8	44,2
1995*	5417,7	3015,0	2402,7	55,7	44,3
1996*	5416,0	3012,2	2403,8	55,6	44.4
1997*	5423,6	3014,7	2408,9	55,6	44,4
1998*	5437,5	3024,9	2412,6	55,6	44,4

შენიშვნა: შესაბამის წლებში ინფორმაციის უქონლობის გამო დამატებულია 1993 წლის მონაცემები შემდეგ ტერიტორიებზე: აფხაზეთი 516,6 ათასი კაცი, ქ. ცხინვალი 41,6 ათასი კაცი და ჯავის რაიონი 7,6 ათასი კაცი.

გარდა ამისა იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობამ 1998 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 281 ათასი კაცი. 1897 წლიდან მოცემულია სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა. 1770 და 1800 წლების მონაცემები გაანგარიშებულია პროფ. ვ. ჯაოშვილის მიერ. „საქართველოს მოსახლეობა", თბ., 1996, გვ.48, 71.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობას დიდად ამცირებდა გამუდმებული ომები, დამპყრობელთა მიერ ქართველი მოსახლეობის ტყვედ წაყვანა და ტყვის სყიდვა. ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ისტორიულად თითქმის მთლიანად თავის სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობდა. მხოლოდ ბედუკუღმართობა თუ მოწყვეტდა ქართველს თავის ქვეყანას. ამ მხრივ ყოველი ქართველის სულისკვეთების გამომხატველია დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც ცხოვრების მიწურულს, მარტოსულის მწარე ხვედრით დამძიმებული, შორს, მირგოროდის მახლობლად, სოფელ ზუბოვკაში, ხოროლისპირა ქოხში წერს სამშობლოს უდიდესი სიყვარულით გამთბარ საოცარ სტრიქონებს: „საბით სიტყვა შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო, ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო, გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო". ასევე შეევედრა დიდი აკაკი თავის სათაყვანებელ ქვეყანას: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო". უცხო მიწა-წყალზე ქართველი ვერასოდეს ხარობდა და მისი უკანასკნელი სურვილი იყო საუკუნო განსასვენებელი მშობლიურ მიწაში ეპოვნა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქართველი კაცი ვერ ცვლის თავის ქვეყანას „სხვა ქვეყნის სამოთხეზე" და, როგორც მოსახლეობის აღწერის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, იშვიათად რომელიმე სხვა ერი ცხოვრობდეს ისე მთლიანად და თავმოყრილად თავის სამშობლოში, როგორც ქართველობა.

ყოველივე ეს, უპირველესად, იმ უცილობელი ფაქტითაა განპირობებული, რომ უხსოვარი დროიდან ქართველ ხალხს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა ჰქონდა და „ადგილის დედის" სიყვარული ძვალ-რბილში გაუჯდა. ისიც უცილობლად მნიშვნელოვანია, რომ მთელი თაობები სისხლის ფასად იცავდა და ინარჩუნებდა თავის მიწა-წყალს. ქართველმა ხალხმა თავის მიწაზე უდიდესი შრომითა და გარჯით შექმნა დიდი მატერიალური და სულიერი ფასეულებები, რამაც კიდევ უფრო მიაჯაჭვა იგი მშობლიურ მიწა-წყალს. თუ ქართველებს მაინც უხდებოდათ ცხოვრება სამშობლოს გარეთ, ეს უკვე ჩვენი ერის მძიმე ხვედრით, დამპყრობლებთან გამუდმებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებით იყო გამოწვეული. მრავალრიცხოვან მტრებთან უთანასწორო ბრძოლები ზოგჯერი იმითაც თავდებოდა, რომ ქვეყნის აოხრებასთან ერთად მტერს დიდძალი ქართველი მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდა. მაგალითად, XVI საუკუნეში შაჰ-თამაზ პირველის საქართველოში ხუთგზის ლაშქრობის შედეგად ათასობით ქართველი ტყვედ წაასხეს ირანში. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე დიდი უბე-

დურება დაატეხა ქართველ ხალხს შაჰ-აბასმა. ირანის ამ ცბიერმა მმართველმა რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში და თითქმის მთლიანად მოაოხრა და უკაცრიელი გახადა ქართლი და განსაკუთრებით კახეთი. მარტო 1616 წლის ლაშქრობის დროს შაჰ-აბასმა მხოლოდ კახეთიდან აყარა და ირანში გადაასახლა 130 ათასზე მეტი ქართველი. დღესაც დიდი გულისტკივილით იკითხება სპარსელი ისტორიკოსის ცნობა ჩვენი შორეული წინაპრების უდიდეს ტრაგედიაზე: „რაც... ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გაერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ არ გაგონილა ისლამის გაჩენის დღიდან აქამდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყო“.[1] კიდევ უფრო ძნელია ერთერთი ევროპელი მოგზაურის მიერ ქართველთა ირანში გადასახლების ამბების აღწერის წაკითხვა: „რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელს გადასახლებას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ულეტა, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები დაახრჩვეს მამებმა თავისივე ხელით, ან ჩაყარეს წყლებში, რომ არ უყურონ მათ საცოდაობას და სატანჯველს, რაკი ყოველ ღონეს იყვნენ მოკლებულნი მათს საპატრონოდ! რამდენსა ულეტდა გზა-გზა დაცვივნულებს, ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული, სპარსთა მხედრობა. რამდენი ბავშვი მოჰგლიჯეს ამათ დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ცხენებისა, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ სასრესად. რამდენი დააშორეს მამა შვილს, ცოლი ქმარს, და ძმას და გაჰფანტეს ერთი ერთმანეთისაგან შორი-შორს ქვეყნებში.“[2]

კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და ჰერეთიდან, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ჭიპაშვილი აღნიშნავს (იგი ისტორიკოს ფ. გორგიჯანიძისა და ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის ცნობებს ეყრდნობა), ყიზილბაშებმა 400 ათასზე მეტი ქართველი წაასხეს ტყვედ და იარანში გადაასახლეს. როგორც სხვადასხვა ისტორიული წყაროები მოწმობენ ქართველები ჩაუსახლებიათ ირანის ზეგნის თითქმის ყველა კუთხეში. დროთა განმავლობაში უცხო, ეთნიკურად ჭრელ გარემოში მოხვედრილმა ქართველებმა დაკარგეს დედაენა. მათ ძალდატანებით შეუცვალეს სარწმუნოება და, როგორც ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შენიშნავს, „ზიზღით შედგეს ფეხი მუსლიმანობაში.“ ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მათი ზნე-

[1] ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979, გვ.44
[2] იქვე, გვ. 45

ჩვეულებებიც გარკვეულწილად შეიცვალა და საბოლოოდ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. ასე რომ, ირანის ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად ქართველებში ჩაკვდა ეროვნული თვითშეგნების გრნობა და ქართველები მუსულმანურ მოსახლეობას შეერიენენ.

საბედნიეროდ, მხოლოდ ირანის ერთ-ერთ პროვინციაში, კერძოდ, ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, შეძლებისდაგვარად მამა-პაპათა ზოგიერთი ტრადიცია და „დიდი სამშობლოს" სიყვარული.

ირანში მცხოვრები ქართველების რაოდენობაზე ზუსტი მონაცემები არ მოგვეპოვება. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ამჟამად ირანში 15 ათასი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ სინამდვილეში ქართველთა რაოდენობა ბევრად აღემატება ამ ოფიციალურ მონაცემს. საქმე ის არის, რომ ოფიციალური სტატისტიკა უარყოფს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობათა არსებობას და ირანელად მიიჩნევს ყველას, ვინც ისლამს აღიარებს. ეროვნულ უმცირესობად კი მიჩნეულია მხოლოდ სხვა რელიგიის მიმდევარი ხალხი. ამდენად ქვეყნის ხელისუფლება ქართველებს ირანელებად მიიჩნევს და მოსახლეობის აღწერის დროს ცალკე არ გამოყოფს. მაშასადამე, მეტად ძნელია ირანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 15 ათასამდე ქართველმა მოსახლეობის აღწერის დროს მშობლიურ ენად ქართული ენა დაასახელა. თუ ზემოთ აღნიშნულ მსჯელობას გავითვალისწინებთ და ზოგიერთ ცნობასაც მივიღებთ მხედველობაში, ამჟამად ირანში, სავარაუდო გაანგარიშებით, დაახლოებით 50 ათასი ქართველი უნდა ცხოვრობდეს. ამ ქართველებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ეროვნული თვითშეგნება. ისინი ძირითადად ფერეიდანსა და ირანის ორ დიდ ქალაქში — თეირანსა და ისფაჰანში ცხოვრობენ.

როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ქართველებზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით ქართლის მეფის ვახტანგ VI მიერ 1724 წელს 1200 კაციანი ამალით რუსეთში გამგზავრებას, რაც პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი — გარეშე ძალაზე იმედის დამყარება ქვეყანაში შექმნილი მეტად რთული პოლიტიკური ვითარების მოსაწესრიგებლად. მაგრამ ქართველებს ბედმა ამჯერადაც უმტყუნა — მათ რუსეთის სამეფო კარმა დახმარებაზე უარი უთხრა და მეფის ამალის დიდი ნაწილი რუსეთში ჩარჩა საცხოვრებლად. მართალია, ისინი რაოდენობრივად ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ქართველი ერის ყველაზე საუკეთესო და განათლებული ნაწილი საბოლოოდ მოწყდა თავის მიწა-წყალს, თანაც სწორედ მაშინ,

როცა მათი ძალა და ენერგია ყველაზე მეტად ჭირდებოდა მშობელ ქვეყანას. იქნებ ამიტომაც იყო, რომ თანამედროვეებმაც ვახტანგ VI იმთავითვე შეცდომად ჩაუთვალეს ქვეყნის მიტოვება და გარეშე ძალაზე იმედის დამყარება. რუსეთში ჩარჩენილი ინტელექტუალური ძალების დაკარგვა მეტად მძიმე იყო ქართველი ხალხისათვის და მის აღდგენას შემდგომში ათეული წლები დასჭირდა. მართალია, ერის ამ მოწინავე ნაწილმა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა რუსეთში, მაგრამ ამ მუშაობის შედეგები ერს შედარებით გვიან დაუბრუნდა და ვერ იქცა იმ ძალად, რომელიც თავის დროზე ბევრად წინ წასწევდა ქართველთა ცხოვრებას, თუმცა ერის კულტურის საგანძურში კი დაიმკვიდრეს სამუდამო ბინა. შემდგომში რუსეთში დარჩენილმა მეფის ამალის წევრებმა და მათმა შთამომავლობამ დიდი როლი შეასრულეს რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საბოლოოდ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ.

დიდძალი ქართველობა ხვდებოდა საცხოვრებლად სამშობლოს გარეთ ტყვეთა სყიდვის შედეგად. ამ მოვლენამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მთელი სამი საუკუნის განმავლობაში, XIX საუკუნის შუა ხანებამდე ტყვეებით ვაჭრობას საქართველოში ფართო ხასიათი ჰქონდა. დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად ათასობით ქართველი ტყვე იყიდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში. ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის ცნობით, სამეგრელოდან XVII საუკუნეში ყოველ წელს, მხოლოდ კონსტანტინეპოლში, 3 ათასი ტყვე გაჰყავდათ გასაყიდად. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1673 წელს იმოგზაურა საქართველოში და საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა აღწერა, თავის თხზულებაში აშუქებს საქართველოში გავრცელებულ ტყვეთა სყიდვის მოვლენას, რამაც ქართველ ხალხს უდიდესი უბედურება დაატეხა თავს და ქვეყანა გაჩანაგებამდე მიიყვანა: ,,სამეგრელო დღეს ნაკლებად არის დასახლებული: აქ ოცი ათასი მაცხოვრებელი თუ იქნება. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ მისი მოსახლეობა ორმოც ათასს შეადგენდა. მოსახლეობის ასეთი შემცირების მიზეზია მეზობლებთან წარმოებული ომები და აგრეთვე თავადაზნაურების მიერ უკანასკნელ წლებში ორივე სქესის მრავალი ადამიანის გაყიდვა. დიდი ხანია, რაც სამეგრელოდან ყოველწლიურად თორმეტი ათასი კაცი გაჰყავდათ გასაყიდად ან გასაცვლელად. ისინი ხელში უვარდებიან მაჰმადიანებს — სპარსელებსა და თურქებს, რადგან მათზე მოთხოვნილება მხოლოდ მათ აქვთ. ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინეპოლში, სადაც მათ ქსო-

ვილებზე, იარაღსა და სხვა საქონელზე ცვლიან".[1] აქ ზოგიერთი ფაქტის გაზვიადების მიუხედავად სრულად აისახა ტყვეთა სყიდვით გამოწვეული ეროვნული ტრაგედია. როგორც წესი, გაყიდულ ქართველ ტყვე ვაჟებს „იანიჩართა" ან „მამელუქთა" ჯარში ამწესებდნენ, ახალგაზრდა ქალები ჰარამხანებში მიჰყავდათ, ხოლო შედარებით ხანდაზმულებს ოჯახში მონებად იყენებდნენ. ასე რომ, ასიათასობით ქართველი გაიყიდა სხვადასხვა ქვეყანაში და სამუდამოდ დაეკარგა სამშობლოს.

თუ ტყვეთა სყიდვა განსაკუთრებით გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ტყვეებს ყიდდა ყველა წოდების წარმომადგენელი, აღმოსავლეთ საქართველოს ტყვეების მოტაცებით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა „ლეკიანობამ".

სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დაღესტნელთა წვრილ-წვრილი შემოსევების შედეგად კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი მხარე გაუკაცრიელდა. ეს შემოსევები მიზნად ისახავდა არა მარტო ქონების, საქონლისა და ჭირნახულის, არამედ ტყვეების გატაცებასაც, რაც ყველაზე უფრო მძიმე იყო ქართველებისათვის. ამასთან, თუ შემოსევები თავდაპირველად, კერძოდ, XVI საუკუნიდან, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, შაჰ-აბაზ I ლაშქრობის შემდეგ ლეკები უკვე დაცარიელებულ კახეთის მიწებზე ჩამოსახლდნენ. ასე ჩამოყალიბდა ჭარის, ბელაქნისა და თალის უბატონო თემები, რომლებიც ერთგვარი დასაყრდენი შეიქმნა შემდგომი თავდასხმებისათვის. ლეკები არა მარტო კახეთისა და ქართლის მოსახლეობას აწიოკებდნენ, არამედ ახალციხის მხარიდანაც ესხმოდნენ თავს საქართველოს (ოსმალეთი ხშირად აძლევდა მათ თავშესაფარს).

„ლეკიანობამ" უამრავი ქართველი სამუდამოდ მოსწყვიტა დედა-სამშობლოს. ლეკები მოტაცებულ ქართველ ტყვეებს უმთავრესად ოსმალეთის ტყვეთა ბაზარზე ყიდდნენ.

ლეკების გამუდმებულმა თავდასხმებმა უაღრესად მოშალა ქვეყნის კულტურული და სამეურნეო ცხოვრება. კაცი უიარაღოდ სამუშაოდ გასვლასაც ვერ ბედავდა. ახლა თითქოს ძნელი დასაჯერებელია ის უცილობელი ფაქტი, რომ ქართველ კაცს მოთარეშეთა შიშით ცალ ხელში მართლაც ხმალი ეჭირა და ცალ ხელში გუთანი.

დღესაც დიდი გულისტკივილით იკითხება ერეკლე მეფის მდივნის იესე ბარათაშვილის მიერ კახეთში მოგზაურობის შესახებ მოტანილი ფაქტი: „... დიდი ლეკიანობა იყო, რაც ხე გაიძროდა, ლეკი

[1] შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ.123

მეგონის და თოფი მზად მქონდა".[1] იესე ბარათაშვილი მაინც ლეკების მსხვერპლი გახდა — ახალციხეს მიმავალი ლეკებმა მოკლეს.

„ლეკიანობა" მთელი სიმძაფრით აისახა დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, რომელიც თავადაც ვერ გადაურჩა ლეკთაგან დატყვევებას. სამშობლოდან შორს მყოფი პოეტი დამწუხრებული წერდა: „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა, სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მიურჩა წამლადა".

ტყვეთა ვაჭრობა უდიდესი ტრაგედია იყო ქართველი ხალხისათვის. ტყვეთა სყიდვის შედეგად კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, დაქვეითდა მისი ეკონომიკა და ბრძოლისუნარიანობა და, რაც მთავარია, გადაგვარების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ქართველი ერის გენოფონდი. ცნობილია, რომ ტყვეებად იტაცებდნენ რჩეულ — ყველაზე ლამაზ და ფიზიკურად ჯანსაღ ახალგაზრდა თაობას, რაც საფუძველს აცლიდა ერის გამრავლებას. სამაგიეროდ ქართველი ტყვეები ჩვენი მტრების გამრავლების წყარო ხდებოდა.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები კარგად გრძნობდნენ ამ საშიშროებას და ყოველმხრივ ებრძოდნენ ტყვეებით ვაჭრობის მანკიერ ჩვეულებას. მაგალითად, ბაგრატ III მიერ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება ტყვეთა სყიდვის აკრძალვაზე. მაგრამ ბაგრატის სიკვდილის შემდეგ ეს დადგენილება დავიწყებას მიეცა. იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა და მან ამისათვის სიკვდილით დასჯაც კი შემოიღო. თანამედროვეებს ეპიტაფიაზე შემთხვევით არ წაუწერიათ მისთვის შემდეგი სიტყვები „... ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არავის ვასყიდვინე".

გასული საუკუნის დასაწყისში ტყვეებით ვაჭრობის მოსასპობად საგანგებო ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად ტყვეებით ვაჭრობის შემთხვევებს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ჰქონდა ადგილი. ცნობილი ქართველი კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი, რომელმაც 1862 წელს ევროპაში იმოგზაურა, შემდეგ იგონებდა ამ მოგზაურობის დროს გემზე ქართველ ტყვეებთან შეხვედრის ამბავს. ერთ-ერთ მეგრელ ტყვე ქალს მისთვის მწუხარებით უთქვამს: „მე ჩემებმა გამყიდესო და ვარ ამ ურწმუნოების ხელშიაო. ღვთის გულისათვის, აგება მიშველოთ რამეო. რა უნდა გვექნა!.. ცრემლები მოგვდიოდა თვალში, მაგრამ რას უშველიდით."[2]

[1] ქართული პროზა, ტ.V, თბ., 1983, გვ.603

[2] გ. ერისთავი, თხზ., თბ., 1966, გვ. 378

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ქართველთა რიცხვის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის დადგენას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქართველები დიდი რაოდენობით და კომპაქტურად მხოლოდ თურქეთში ცხოვრობენ. მაგრამ ამ საკითხის გარკვევამდე შემდეგიც უნდა ითქვას. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მოსახლეობის აღწერები თურქეთში არ იძლევა ეროვნული შემადგენლობის შესახებ მონაცემებს. აქ ეროვნული უმცირესობა ცალკე არ გამოიყოფა და ამდენად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თურქეთის მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი იყოს. სინამდვილეში ეროვნული უმცირესობანი თურქეთში 15 პროცენტს შეადგენენ. ასეთი გაანგარიშება მოსახლეობის აღწერის დროს მშობლიური ენის შესახებ მონაცემებს ეყრდნობა. სწორედ ამ გზით საზღვრავენ მიახლოებით თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების რაოდენობას. მაგალითად, რამდენმა კაცმაც დაასახელა მშობლიურ ენად ქართული, იგულისხმება, რომ იმავე რაოდენობის ქართველი ცხოვრობს თურქეთში. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ეროვნება და მშობლიური ენა ერთმანეთს ყოველთვის როდი ემთხვევა და მშობლიური ენა უფრო მეტად ექვემდებარება ცვლილებებს, ვიდრე ეროვნება. ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგალითზეც კარგად ჩანს. კერძოდ, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით 44 მილიონი უკრაინელიდან 8 მილიონზე მეტმა მშობლიურ ენად სხვა ენა (უპირატესად რუსული) დაასახელა.

თურქეთის მმართველი წრეები მრავალი საუკუნის განმავლობაში ახორციელებენ ასიმილაციის პოლიტიკას. ამის შედეგად ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა ქვეყანაში გაცილებით მეტია, ვიდრე ეროვნულ უმცირესობათა ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა. ასეთი პოლიტიკის შედეგად ასიმილაცია განიცადა ქართველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმაც. ყოფილი ქართველი პროვინციები — ტაო-კლარჯეთი, არტანუჯი და სხვა — უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველი მოსახლეობით. XVI საუკუნეში ეს პროვინციები თურქეთმა დაიპყრო და აქ მცხოვრებ ქართველებს ძალდატანებით მიაღებინა ისლამი. გათურქების პოლიტიკის შედეგად მოხდა მათი ასიმილირება და ქართველთა დიდმა ნაწილმა მშობლიური ენაც დაკარგა. ქართველები ადრე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის ზემო დინების აუზებში ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგში ისინი გადაასახლეს ქვეყნის შიდა რაიონებში. ლაზები ამჟამად ტრაპიზონის, რიზისა და ართვინის ვილაიეთებში შავი

ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ.

უახლესი თურქული სტატისტიკის მონაცემებით ამჟამად თურქეთში ცხოვრობს 130 ათასი ქართველი. ეს ის რაოდენობაა ქართველებისა, რომლებმაც მშობლიურ ენად ქართული (და ლაზური) დაასახელეს. ქართულ ენციკლოპედიაშიც თურქეთში ქართველთა რაოდენობის შესახებ დაახლოებით იგივე მონაცემებია მოტანილი: „თურქეთში ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობენ ქართველები, მ.შ. ლაზები (120 ათასი კაცი)“. მაგრამ ქართველური წარმომავლობის (ქართველების) მცხოვრებთა რიცხვი თურქეთში გაცილებით მეტია. აკად. პ. გუგუშვილს ამ საკითხზე თავის ერთ-ერთ შრომაში მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერთა გაანგარიშებანი თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობაზე. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დროინდელ მონაცემთა მიხედვით, დ. კოროვინ-ველედენიცკის გაანგარიშებით, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა საერთო რიცხვი 700 ათასს შეადგენდა, ხოლო ბ. დანცინგის მიერ შესწავლილი მასალებით 1945 წელს თურქეთში 200 ათასი მარტო ლაზი ცხოვრობდა.[1] პროფ. ჯაოშვილის აზრით კი ყველაზე ახლოს რეალობასთან მაინც ე. ლუდშუვეიტის ცნობა ჩანს, რომლის თანახმადაც ჩვენი საუკუნის შუა წლებში ქართველების რაოდენობა თურქეთში შეადგენდა 300 ათასს.[2]

ამდენად, როგორც ვხედავთ, საიმედო სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო მეტად ძნელია თურქეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: რამდენადაც მშობლიური ენა არ არის ერთადერთი კრიტერიუმი ეროვნების განსასაზღვრავად, თურქეთში 130 ათასზე გაცილებით მეტი ქართველი უნდა ცხოვრობდეს. ბევრმა ქართველმა ქართული ენა, მართლაც, დაკარგა, ზოგი კი სხვადასხვა მოსაზრებით მშობლიურ ენად სხვას ასახელებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ დაკარგული ჰქონდეთ ქართული ზნე-ჩვეულებები და, რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნება. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ და მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ყოფილ ქართულ პროვინციებში დიდი რაოდენობით სახლობდნენ ქართველები და თანაც კომპაქტურად, ჩვენი ვარაუდით, ამჟამად თურქეთში დაახლოებით მილიონი, მილიონ-ნახევარი ქართველი უნდა ცხოვრობდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ გვაქვს ქართველური წარმოშობის, მაგრამ თურქებთან უკვე ასიმილირებული ადამიანე-

[1] პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, ტ.II, თბ., 1971, გვ.361

[2] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 220

ბი, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს ეროვნული თვითშეგნება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის შესახებ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მეტისმეტად გაზვიადებული მონაცემები მოჰყავთ. მაგალითად, ასახელებენ, რომ თურქეთში ცხოვრობს ხუთი, შვიდი და ათი მილიონი ქართველიც კი. ეს უკანასკნელი ცნობა იყო მოტანილი გაზეთ „ქართულ ფილმში“ (16 აგვისტო, 1989 წ.) ადრე თურქეთში და ამჟამად სტოკჰოლმში მცხოვრები ქართველის მიერ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. კერძოდ, აღნიშნულ პუბლიკაციაში სრულიად დაუსაბუთებლად მითითებულია, თითქოს თურქეთში მარტო ლაზი ოთხი მილიონი ცხოვრობდეს, ხოლო სხვა პუბლიკაციებში, რომელიც გაზეთ „თბილისში“ (28 სექტემბერი, 1989 წ.) გამოქვეყნდა, აღნიშნულია: თურქეთში ლაზი შვიდ მილიონზე მეტიაო. ასეთი მსჯელობით შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს მხოლოდ ორი ეროვნება – ქართველები და ქურთები (ზოგიერთი წყაროს მიხედვით თურქეთში 20 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს) შეადგენენ.

ასევე სრულიად მიულებლად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ თითქოს მილიონობით ქართველთა შთამომავალი ცხოვრობდეს ინდოეთში. ასეთი მოსაზრება დაიბეჭდა წიგნში: „ეკონომიკა“, ტ. III (თბ., 1972, გვ. 295-322), სადაც აღნიშნულია, რომ მარტო ინდოეთის ერთ შტატში – გუჯარათში, ქართველთა შთამომავალთ (გურჯებს) 11 მილიონს ანგარიშობენო. წიგნში ეს მოსაზრება იმითაცაა „გამაგრებული“, რომ მეტისმეტად ზუსტია ჩვენებურ და იქაურ რიგ სიტყვათა შორის დამთხვევა და ამასთან ინდოეთში უმეტესად შემორჩენილია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარებიო. მაგალითად, ინდური გვარი „ჩირავა“ ქართულ გვარს „ჩიქავას“ შეესატყვისება, „ულანია“ – „ალანიას“, „ტუნია“ – „გუნიას“, „კაუნია“ – „გაბუნიასო“ და ა.შ., რაც მოკლებულია ყოველგვარ რეალობას.

თურქეთისა და ირანის გარდა, ქართველები მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში. შედარებით ბევრი – რამდენიმე ასეული ქართველი ცხოვრობს საფრანგეთში. ამ ასპექტში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარიზის მახლობლად, დაბა ლევილის ქართველთა სამძო სასაფლაოზე მხოლოდ 384 ქართველი განისვენებს, იმ მამულიშვილთა დიდი ნაწილი, რომლებიც 1921 წელს იძულებული შეიქნენ საფრანგეთში წასულიყვნენ და იქ ქართული კოლონია დაეარსებინათ.

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა

კავშირის სხვა ხალხებთან შედარებით ქართველები ყველაზე მეტად თავმოყრილი არიან თავის ქვეყანაში. რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი შეერთების შემდეგ, მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ ისე განვლო, რომ გასული საუკუნის მიწურულისათვის – 1897 წელს საქართველოს გარდა, მთელ რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 18 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მაშინ როდესაც ამავე წელს მხოლოდ რუსების რაოდენობამ საქართველოში 98 ათასს გადააჭარბა.

ქართველების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში

	1897წ.		1926წ.		1959წ.		1970წ.		1979წ.		1989წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
საქართველო	1335	98,6	1788	98,2	2601	96,6	3131	96,5	3433	91,6	3787	95,1
დანარჩენი რესპუბლიკები	18	1,4	33	1,8	91	3,4	114	3,5	138	3,9	194	4,9
ყოფილი საბჭოთა კავშირი	1353	100	1821	100	2692	100	3245	100	3571	100	3981	100

მართალია, 1926-1989 წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში ქართველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 33 ათასიდან 194 ათასამდე, მაგრამ ეს ზრდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ძირითადი ეროვნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით მაინც უმნიშვნელოა. 1989 წელს საქართველოში 3787 ათასი (95,1 პროცენტი) ქართველი ცხოვრობდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში – 194 ათასი კაცი. რესპუბლიკებს შორის ქართველები ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსეთის (131 ათასი), უკრაინის (24 ათასი), აზერბაიჯანისა (14 ათასი) და ყაზახეთის (9 ათასი) რესპუბლიკებში. ამასთან, თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართველები ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში ცხოვრობდნენ, კერძოდ, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, კიევში, ხარკოვსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. მაგალითად, მოსკოვში 1897 წელს 109 ქართველი ცხოვრობდა, 1926 წელს – 1988, 1970 წელს – 9563, ხოლო 1989 წელს – 19600 ქართველი. აღნიშნულ ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს შორის უმეტესად ინტელიგენციის წარმომადგენლები და სტუდენტობაა.

დასასრულ, თუ ყოველივე აღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოში ამჟამად 5,0-5,5 მილიონი ქართველია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო ამ რაოდენობაში შეგვეყვანა

ასიათასობით სამშობლოდან მოტაცებულ და უცხოეთში გაყიდულ ქართველ ტყვეთა შთამომავლები, რადგან ისინი მაშინვე ითქვიფებოდნენ უცხო ხალხსა და ქვეყნებში და ამდენად მათი ქართული წარმომავლობაც დიდი ხანია დაიკარგა. დარჩა მხოლოდ დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველის ჩარლზ დარვინის სიტყვები (და ისიც ძველი მოგზაურისაგან ნასესხები) იმის შესახებ, რომ სპარსელთა სისხლი გაკეთილშობილებულია ქართველების სისხლით.[1]

XX საუკუნის დასასრულს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის გარკვეულწილად შემცირება გარემიგრაციული პროცესების გაზრდილმა ინტენსივობამ განაპირობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკის მოშლამ და დაქვეითებამ გამოიწვია. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთი, ჟურნალისტი, ოპოზიციონერი პოპულისტური ან წინასწარგანზრახული მიზნებით, უაღრესად აზვიადებს ამ პროცესებს და საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს საქართველოდან მილიონ-ნახევარი ან ორი მილიონი კაცი წასულიყოს სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად, რაც ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს.

საქართველოდან მიგრაციის ძირითადი ნაკადი რუსეთის ფედერაციაში მიემართება. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, 1980-1996 წლებში საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში საცხოვრებლად გადავიდა 665 ათასი, ანუ საშუალოდ წელიწადში 39,1 ათასი კაცი. ამასთან, თუ 1980-1989 წლებში, ანუ 10 წლის მანძილზე რუსეთში საცხოვრებლად ჩავიდა 308,5 ათასი კაცი (საშუალოდ წელიწადში 30,8 ათასი), 1990-1996 წლებში ანუ შვიდი წლის მანძილზე უკვე ამ მაჩვენებელმა 357 ათასი კაცი შეადგინა (საშუალოდ წელიწადში 51 ათასი). მართალია, უკანასკნელ წლებში გაიზარდა რუსეთთან მიგრაცია, მაგრამ არც ისე ძალიან, როგორც ამას ზოგიერთი ჟურნალისტი წარმოაჩენს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მიგრაცია გულისხმობს არა მარტო სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად წასვლას, არამედ პირუკუ პროცესსაც. აღნიშნულ პერიოდში (1980-1996 წლებში) რუსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოვიდა 262,8 ათასი კაცი, თუმცა უკანასკნელ წლებში ჩამოსულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. სულ 17 წლის მანძილზე საქართველოდან რუსეთში 402,5 ათასი კაცით მეტი წავიდა, ვიდრე ჩამოვიდა. მიგრაციის უარყოფითი სალდო განსაკუთრებით გაიზარდა 1990-1995 წლებში.


---

[1] ჩარლზ დარვინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, წიგნი 1, 1927, გვ. 579 (რუსულ ენაზე).

მიგრაცია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის

წლები	რუსეთში ჩავიდა	რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში
1980	29216	19357
1981	26637	19418
1982	27687	18677
1983	29373	18832
1984	29956	19043
1985	32205	19228
1986	35371	22154
1987	33856	22985
1988	32709	23999
1989	31450	20648
1990	33061	18558
1991	42863	14115
1992	54247	8021
1993	69934	4922
1994	66847	4671
1995	51412	4109
	665375	262843

მიგრაცია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის



სწორედ ამ პერიოდში წასულთა რაოდენობამ ჩამოსულებს 264 ათასი კაცით გადააჭარბა. ახლაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან მიგრანტთა 75 პროცენტი რუსეთში მიდის. ამის შემდეგ ძნელი არ არის 1990-1996 წლებში საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში წასულთა რაოდენობის გაანგარიშება. ეს მაჩვენებელი 398 ათას კაცს უდრიდა. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის ბუნებრივ მატებას (რასაც საბედნიეროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი და მან 1990-1996 წლებში 181,5 ათასი კაცი შეადგინა), მაშინ ამ პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებებს, კერძოდ, შემცირებას, ადგილი არ უნდა ჰქონოდა, როგორც ამის შესახებ აღნიშნავს ზოგიერთი ჟურნალისტი და გაზეთი, რითაც დეზორიენტაცია შეაქვთ მოსახლეობაში. ამასთან, უკანასკნელ წლებში სულ უფრო მცირდება საქართველოდან რუსეთში ჩასულთა რაოდენობა. კერძოდ, 1993 წელს რუსეთში საცხოვრებლად ჩავიდა 70 ათასი, ხოლო 1996 წელს მხოლოდ 38,5 ათასი კაცი, ანუ თითქმის 2-ჯერ ნაკლები.

უკანასკნელ წლებში, როგორც აღვნიშნეთ, შობადობის მნიშვნელოვნად შემცირების გამო მოსახლეობის ბუნებრივი მატება ვერ ფარავს ქვეყნიდან მიგრაციის შედეგად წასული მოსახლეობის რაოდენობას და ადგილი აქვს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. მაგალითად, 1996 წელს რუსეთში საქართველოდან საცხოვრებლად ჩავიდა 38,5 ათასი და რუსეთიდან ჩამოვიდა 4,1 ათასი კაცი. ამრიგად მიგრაციის უარყოფითი სალდო 34,4 ათას კაცს უდრიდა. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის გარდა უცხოეთის სხვა ქვეყნებში წასულთა რაოდენობას, მაშინ მთლიანად მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1996 წელს 45,9 ათასი კაცი შეადგინა. ამავე წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მხოლოდ 19,3 ათასი კაცი იყო. ამრიგად, 1996 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 26,6 ათასი კაცით შემცირდა.

მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ხშირად იმის შესახებაც აღნიშნავენ, რომ თითქოს ქართველების წილი მნიშვნელოვნად მცირდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაში, რაც ასევე არ შეეფერება სინამდვილეს. მიგრანტთა ეროვნულ შემადგენლობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი ცხრილი. მაგალითად, 1994 წელს საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად ჩავიდა 66 ათასი კაცი, აქედან 13 ათასი ქართველი, 12 ათასი სომეხი, 26 ათასი რუსი და 15 ათასი დანარჩენი ეროვნე-

ბის წარმომადგენელი. დაახლოებით ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა წლებშიც. ცნობისათვის ისიც შეიძლება ითქვას, რომ იმავე 1994 წელს სომხეთიდან 37 ათასი სომეხი ჩავიდა რუსეთში საცხოვრებლად.

მიგრანტთა ეროვნული შემადგენლობა

	1994 წ.				1995 წ.			
	რუსეთში ჩავიდა საქართველოდან		რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში		რუსეთში ჩავიდა საქართველოდან		რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში	
	აბსოლუტურად	%	აბსოლუტურად	%	აბსოლუტურად	%	აბსოლუტურად	%
სულ	66847	100,0	4671	100,0	51412	100,0		100,0
ქართველი	13269	19,8	1477	31,6	10905	21,2	4109	35,8
რუსი	25508	38,2	1284	27,5	15339	29,8	1469	27,4
სომეხი	12110	18,1	510	10,5	11743	22,8	1127	11,5
ოსი	4011	6,0	285	6,1	4689	9,1	472	5,9
უკრაინელი	2708	4,1	93	2,0	1524	3,0	241	1,8
აზერბაიჯანელი	1888	2,8	261	5,6	1356	2,6	80	5,6
ბელორუსი	375	0,6	26	0,6	203	0,4	230	0,3
თათარი	374	0,6	53	1,1	239	0,5	12	1,2
ებრაელი	363	0,5	22	0,5	274	0,6	49	0,5
დანარჩენი	6241	9,3	660	14,1	5140	10,0	19 410	10,0

ამრიგად მიგრანტთა მთელ რაოდენობაში 1994 წელს ქართველების წილი მხოლოდ 19,8 პროცენტი იყო, რუსებისა — 38,2, სომხებისა — 18,1, აზერბაიჯანელებისა — 2,8 პროცენტი და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ სხვა პირობებსაც გავითვალისწინებთ, საქართველოს მთელ მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზარდა ქართველების, აგრეთვე აზერბაიჯანელების წილი, ხოლო დანარჩენებისა, ასევე საგრძნობლად შემცირდა. მიგრაციული პროცესების თვალსაზრისით, საქართველოში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში არ ხდებოდეს. იმასაც აღვნიშნავთ, რომ 1990-1996 წლებში რუსეთში საცხოვრებლად ჩავიდა 276,4 ათასი სომეხი, 127,7 ათასი აზერბაიჯანელი და მხოლოდ 57,5 ათასი ქართველი.

საქართველოში ამჟამად არსებული მიგრაციული პროცესები,

რა თქმა უნდა, უარყოფითად უნდა შევაფასოთ, მაგრამ მათი არც დადებითი მხარე უნდა დავივიწყოთ. უცხოეთში მყოფი ბევრი ჩვენი თანამემამულე ამ გაჭირვების ჟამს მატერიალურად დიდ დახმარებას უწევს თავის ოჯახსა და ნათესავებს. ასეა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, უკანასკნელ 10 წელიწადში სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე თურქი მუშების ფულადი გზავნილება თურქეთში ყოველწლიურად 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება. თავის დროზე ევროპის სხვა ქვეყნებში უამრავი იტალიელი და ესპანელი მუშაობდა. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის პროცესს სხვა პოზიტიური ასპექტებიც აქვს. ცხადია, დაბრუნდება ეთნიკურად ქართველი ემიგრანტების საგრძნობი ნაწილი, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისათვის უკეთ იქნება მომზადებული, რაც ქვეყნის შემდგომ განვითარებას წაადგება. ამასთან, დროებითმა ემიგრაციამ ერთგვარად შეარბილა უმუშევრობის წნეხი საქართველოში.[1] აღსანიშნავია ისიც, რომ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის პირობებში ლარის კურსის სიმტკიცე გარკვეულწილად განპირობებულია ემიგრანტთა ფულადი გზავნილებითაც.

დასასრულ, ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი გაზეთი, ჟურნალისტი და ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირი ხშირად მიუთითებს იმის შესახებ, რომ საქართველოდან უცხო ქვეყნებში თითქოს მილიონ-ნახევარი და ორი მილიონი მოქალაქეც კი წასულიყოს საცხოვრებლად, თუმცა არავითარი ოფიციალური წყარო ან მეცნიერული გაანგარიშება არ არსებობს ასეთი მოსაზრების გამოსათქმელად. ეს კი მეტად სახიფათოა, რადგან პოლიტიზებული ერის სინდრომის პირობებში ასეთი არასწორი განცხადებები დამანგრეველად მოქმედებს ლაბილური ფსიქიკის ადამიანებზე, იწვევს მათ დეზორიენტაციას, პასიურობას და დროებით მაინც უკარგავს შემოქმედებითი აქტივობის უნარს. მაგრამ ზოგიერთები, რომელთაც ოპოზიციონერობა ავადმყოფობაში გადაეზარდათ, ამას არაფრად დაგიდევენ. არც ისე იშვიათად იმასაც კი აღნიშნავენ, რომ საქართველო უქართველებოდ რჩება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოდან სხვა ქვეყნებში წასულთა რაოდენობამ, უფრო სწორად მიგრაციის უარყოფითმა სალდომ, გადააჭარბა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას და დაიწყო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება. ასეა ქვეყნის მთელი მოსახლეობის მასშტაბით. რაც შეეხება ქართველებს, ჯერჯერობით მათი რიცხოვნობა არ კლებულობს. ამ გარე-

[1] რ. გაჩეჩილაძე, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997, გვ. 57

მოებას ორი ფაქტორი განაპირობებს: მოსახლეობის საერთო ბუნებრივ მატებაში ქართველების მაღალი წილი და საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით მიგრაციულ პროცესებში ქართველების ნაკლებად მონაწილეობა. ამას ქვემოთ მოყვანილი შემდეგი მონაცემებიც ადასტურებენ.

საქართველოში ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და გარეემიგრაციის მაჩვენებლები 1994-1996 წლებში (ათასობით)

წლები	ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება	საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად წასულ ქართველთა რაოდენობა	რუსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსულ ქართველთა რაოდენობა	რუსეთთან მიგრაციის უარყოფითი სალდო (გრაფა3-გრაფა4)	საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში (რუსეთის გარდა) საცხოვრებლად წასული ქართველების რაოდენობა	საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში საცხოვრებლად წასული ქართველების რაოდენობა სულ (გრაფა5+გრაფა6)
1	2	3	4	5	6	7
1994	15.3	13.3	1.5	11.8	4.5	16.3
1995	18.1	10.9	1.5	9.4	3.6	13.0
1996	17.4	8.3	1.6	6.7	2.7	9.4

1990-იანი წლების დასაწყისში ქართველების ბუნებრივი მატების აბსოლუტური მაჩვენებელი მაღალი იყო და იგი უცხოეთის ქვეყნებში წასული ქართველების რიცხოვნობას საკმაოდ აღემატებოდა. უკანასკნელ წლებში შობადობის დონე, მართალია, შემცირდა, მაგრამ თუ მიმდინარე სტატისტიკურ მონაცემებს ვენდობით, ქართველების ბუნებრივი მატება 1995-1996 წლებში 13,1 ათასით აღემატებოდა უცხოეთის ქვეყნებში საცხოვრებლად წასული ქართველების რაოდენობას, მით უმეტეს, ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია უცხოეთის ქვეყნებიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული ქართველების რაოდენობა. ქართველების რუსეთში მიგრაციის მაჩვენებლები აღებულია მოსკოვში გამოცემულ „რუსეთის დემოგრაფიული წელიწდეულიდან". ამასთან, ცნობილია, რომ ქართველების მიგრაციული ნაკადების 75 პროცენტი მოდის რუსეთზე,[1] რაც განპირობებულია რუსეთთან ტერიტორიული სიახლოვით, თანამეგობრობის სივრცეში ადვილი გადაადგილებით, ენობრივი ბარიერის არ არსებობით, რუსეთ-

[1] მ. ტუხაშვილი, საქართველოს შრომითი პოტენციალის ფორმირება და განაწილება, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 141

ში ნათესავების, ახლობლების, მეგობრებისა და ნაცნობების ცხოვრებით, ძველი კავშირებით. თუ ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღემატება უცხოეთის ქვეყნებში საცხოვრებლად წასული ქართველების რაოდენობას და ამდენად, მოსახლეობის მომავალი საყოველთაო აღწერის დროს ქართველების რიცხოვნობა 1989 წელთან შედარებით შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალოს (მხედველობაში უნდა მივიღოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მცხოვრები ქართველი ლტოლვილები).

ყოველი ერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარი გამრავლების პრობლემას, ყოველმხრივ ჯანსაღი და სრულყოფილი თაობის განახლებას. ამაში ხედავს იგი თავისი სიცოცხლის გაგრძელებას. მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ინდივიდუალობის უკედავყოფას. ცხადია, ქართველ ერსაც აწუხებს თავისი შთამომავლობის გამრავლების პრობლემები. მათ გადასაწყვეტად მას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა არ დაკარგოს საკუთარი სახე, ის მშვენიერება, რაც მხოლოდ მას შეუქმნია და აქვს, რაც მის მშობლიურ მიწას ალამაზებს და რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე.

უძველესი დროიდან ქართველი ერი არ ზოგავდა სასიცოცხლო ენერგიას თვითმყოფობისათვის, ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და გაძლიერებისათვის. ძნელბედობის, ქვეყანაში უცხო ტომისა და უცხო ხალხის მოძალების ჟამს, ყოველთვის გამოინახებოდა ეროვნული ძალები, რომლებიც ქვეყნისა და ერის გადასარჩენად ზრუნავდა. მრავალთა შორის შეიძლება დავასახელოთ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე იოანე საბანისძე. ამ პერიოდში მოსახლეობა არაბების მძიმე უღელქვეშ გმინავდა. იოანე საბანისძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველები არაბთა „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ და საქვეყნოდ კიცხავდა ასეთ გადაგვარების გზაზე დამდგარ ელემენტებს. მაგრამ მას მაინც ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან ... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“,[1] იგი გვაფრთხილებდა, რომ დავივიწყეთო „ჩვეულებრისამებრ მამულისა სლვაი“, რადგან ეს საკუთარი სახის დაკარგვას მოასწავებდა. გიორგი მთაწმინდელი კი შესანიშნავად ბრძანებდა: „და რომელთა ქართველთა განმრავლებაი იღვაწონ ... საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მათი!“ სწორედ ასეთი სული-

[1] ქართული პროზა, წიგნი 1, თბ., 1981, გვ. 145.

ერი მოძღვრების ფესვებზე ამონაყარმა ნერგებმა გამოგვატარა საშინლად ბნელი შუა საუკუნეები, როდესაც არ წყდებოდა ნიაღვარივით წასალეკად მომსკდარ ათასგვარ ურჯულოთა ურდოები. ასეთი საშიშროების წინაშე შემდეგაც არაერთხელ ვმდგარვართ. მთელ თაობებს სისხლის ფასად უჯდებოდათ თავიანთი ეროვნების, თავიანთი მიწა-წყლის დაცვა და შენარჩუნება.

სწორედ არაბების ბატონობის პერიოდში, IX საუკუნეში, როდესაც ქართლმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ამ დროს გამოჩნდა კაცი — გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც იკისრა ტაო-კლარჯეთის აღორძინებისა და მისი კულტურულ ცენტრად და, მაშასადამე, მეორე ქართლად გადაქცევის მისია. სწორედ ამ დიდი მისიის შესრულების შედეგად აქ, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში იხილა ნეტარმან გრიგოლ „აღორძინებული ერი", აქედანვე დაიწყო საქართველოს გაერთიანება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთა შორის დაძაბულობის ერთერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ უგულებელყოფდნენ მკვიდრი ერების მოთხოვნას — ყოფილიყო უმრავლესობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე და ამ მხრივ რაიმე საფრთხე და გადაგვარება არც პერსპექტივაში დამუქრებოდა, რადგან ყველა ერი ამაში ხედავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს და ეს გასაგებიცაა. ერი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს, ბუნებრივია, თავის ქვეყანაში უნდა იყოს უმრავლესობა, მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მკვეთრად დაირღვა ერთა თანაცხოვრების ტრადიციულად ჩამოყალიბებული რაოდენობრივი ბალანსი. ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის რესპუბლიკების ინტერესი სავსებით უგულებელყოფილი იყო. მაგალითად, ლატვიაში სხვა ხალხების ინტენსიური გადასახლების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მკვიდრი ეროვნების წილი. კერძოდ, თუ 1959 წელს ლატვიელები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 62 პროცენტს, 1989 წელს მათი რაოდენობა მხოლოდ 52 პროცენტს უდრიდა. ამავე პერიოდში ლატვიელთა რიცხვი თავიანთ რესპუბლიკაში 90 ათასით გაიზარდა., ხოლო სხვა, ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობა — 573 ათასით. ბუნებრივია, როდესაც კატასტროფულად მცირდება მკვიდრი ერების წილი, უკვე საფრთხე ემუქრება მათ ეროვნულ სახეს და გადაგვარების რეალურობა აშკარა ხდება. ასეთ შემთხვევაში სხვა ერი თავს გაბვევს თავის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს,ეროვნულ ღირებულებებს. ამასთან ცხადია მკვიდრ და არამკვიდრ ერებს შორის რაოდენობრივი დისბალანსი აუცილებლად იწვევს დაძაბულობას ერებს შორის. ყველა ერი ზრუნავს იყოს

უმრავლესობა თავის ქვეყანაში და ეს თვითმყოფობის შენარჩუნების ეროვნული გრძნობა არავისთვის უცხო არ არის.

საქართველოში მართალია, ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ, ამ მხრივ, ვითარება მაინც მძიმეა. ეს იმით გამოიხატება, რომ, თუ ლატვიაში მხოლოდ სლავურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს დიდი რა-

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
მთელი მოსახლეობა	2666494	100.0	4044045	100.0	5400841	100.0
ქართველი	1788186	67.1	2600588	64.3	3787393	70.1
აფხაზი	56847	2.1	62878	1.6	95853	1.8
სომეხი	307018	11.5	442916	11.0	437211	8.1
რუსი	96085	3.6	407886	10.1	341172	6.3
აზერბაიჯანელი	137921	5.2	153600	3.8	307556	5.7
ოსი	113298	4.2	141178	3.5	164055	3.0
ბერძენი	54051	2.0	72938	1.8	100324	1.8
უკრაინელი	14356	0.6	52236	1.3	52443	1.0
ქურთი	10217	0.4	16212	0.4	33331	0.6
ებრაელი	30159	1.1	51582	1.3	24626	0.5
ბელორუსი	-	-	5152	0.1	8595	0.2
ასურელი	2904	0.1	5005	0.1	6206	0.1
დანარჩენი	55452	2.1	31874	0.7	42076	0.8

შენიშვნა: 1926 წელს ბელორუსები დანარჩენ ერებშია შეყვანილი.

საქართველოს მოსახლეობა რეგიონების მიხედვით

(ათასობით)

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
თბილისი	294.0	11.0	703.0	17.4	1246.9	23.1
აფხაზეთი	210.4	7.8	404.8	10.0	525.2	9.7
აჭარა	131.9	4.9	245.3	6.0	392.4	7.3
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	87.7	3.3	96.8	2.4	98.5	1.8
იმერეთი	492.6	18.4	652.0	16.1	766.9	14.2
ქვემო ქართლი	201.4	7.5	371.0	9.2	608.5	11.3
კახეთი	290.9	10.9	395.4	9.8	441.0	8.2
შიდა ქართლი	225.6	8.4	324.2	8.0	423.2	7.8
სამეგრელო	270.8	10.1	358.3	8.9	410.0	7.6
გურია	113.4	4.2	145.9	3.6	158.0	2.9
ჯავახეთი	71.8	2.7	95.0	2.3	107.0	2.0
სამცხე	102.3	3.8	81.3	2.0	89.5	1.6
აღმ. კავკასიონი	63.9	2.4	64.3	1.6	59.2.	1.1
რაჭა-ლეჩხუმი	101.3	3.8	75.7	1.9	48.3	0.9
სვანეთი	18.8	0.7	31.0	0.8	26.1	0.6
მთელი მოსახლეობა	2677.2	100.0	4044.0	100.0	5400.8	100.0

შენიშვნა: 1926 და 1959 წლების მონაცემები გაანგარიშებულია სახეზე მყოფი მოსახლეობის საფუძველზე, ხოლო 1989 წლის მონაცემები მუდმივი მოსახლეობის მიხედვით. რეგიონები დალაგებულია 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის დაღმავალი ნიშნის მიხედვით.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რეგიონების მიხედვით მოსახლეობის 1989 წლის აღწერით

	სულ მოსახლეობა		მათ შორის									
			ქართველი		აფხაზი		ოსი		რუსი		სომეხი		აზერბაიჯანელი	
	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%
აფხაზეთი	525061	100.0	239872	45.7	93267	17.8	1165	0.2	74914	14.3	76541	14.6	517	0.1
აჭარა	392432	100.0	324813	82.8	1636	0.4	815	0.2	30042	7.7	15849	4.0	1077	0.3
იმერეთი	766892	100.0	725767	94.6	26	0.0	1162	0.1	20822	2.7	3547	0.5	1283	0.2
სამეგრელო	410037	100.0	383147	99.4	-	-	346	0.1	17789	4.3	1221	0.3	783	0.2
გურია	15805	100.0	147496	93.3	-	-	225	0.1	4567	2.6	3457	2.2	239	0.2
რაჭა-ლეჩხუმი	48346	100.0	46725	96.6	-	-	317	0.6	127	0.3	86	0.2	58	0.1
სვანეთი	26120ბ	100.0	25947	99.3	-	-	15	0.0	57	0.2	22	0.1	31	0.1
სულ დასავლეთ საქართველო	2326941	100.0	1893638	81.4	94929	4.1	4045	0.2	148318	6.4	100723	4.3	3988	0.2
თბილისი	1246936	100.0	824412	66.1	406	0.0	33157	2.7	124867	10.0	150138	12.1	17986	1.4
შიდა ქართლი	521729	100.0	379909	72.8	9	0.0	103082	19.8	10114	1.9	11384	2.2	7487	1.4
ქვემო ქართლი	608491	100.0	214347	35.2	111	0.0	8587	1.4	34934	5.7	43993	7.2	243977	40.1
კახეთი	441045	100.0	360245	81.7	-	-	12441	2.8	13690	3.1	6473	1.5	33641	7.6
სამცხე	89536	100.0	55892	62.4	-	-	234	0.3	3765	4.2	27271	30.5	179	0.2
ჯავახეთი	107003	100.0	3459	3.2	-	-	45	0.0	4898	4.6	97056	90.7	214	0.2
ალ. კახეთი	59160	100.0	55491	93.8	-	-	2464	4.2	586	1.0	173	0.3	84	0.1
სულ აღმოსავლეთ საქართველო	3073900	100.0	1893755	61.6	526	0.0	160010	5.2	192854	6.3	336488	11.0	303568	9.9
სულ აღმოსავლეთ საქართველო თბილისის გარეშე	1826964	100.0	1069343	58.5	120	0.0	126853	6.9	67987	3.7	186350	10.2	285582	15.6
სულ საქართველო	5400841	100.0	3787393	70.1	95853	1.8	164055	3.0	341172	6.3	437211	8.1	7556	5.7

ოდენობით, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების რაოდენობა ცალ-ცალკე აღებული ასეულ ათასს უდრის. დღევანდელ მძიმე

ცხრილი 6. აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა შირაკის ბინადრობის მიხედვით ყოფილ საბჭოეთში 1989 წელს

	ქართველი		აზერბაიჯანელი		სომეხი	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
საბჭოთა კავშირი მათ შორის:	3981045	100.0	6770403	100.0	4623232	100.0
რუსეთი	130688	3.3	335889	5.0	532390	11.5
უკრაინა	23540	0.6	36961	0.5	54200	1.2
ბელორუსია	2840	0.1	5009	0.1	4933	0.1
უზბეკეთი	4704	0.1	44410	0.7	50537	1.1
ყაზახეთი	9496	0.2	90083	1.3	19119	0.4
საქართველო	3787393	95.1	307556	4.5	437211	9.5
აზერბაიჯანი	14197	0.4	5804980	85.7	390505	8.4
ყირგიზეთი	1143	0.0	15775	0.2	3975	0.1
სომხეთი	1364	0.0	84860	1.3	3083616	66.7
თურქმენეთი	960	0.0	33365	0.5	31829	0.7
სამხრეთოსეთსა	3802954	95.5	6197396	91.5	3911332	84.6

პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სიტუაციაში გარკვეული ძალები მათ უპირისპირებენ ქართველ ხალხს, ქმნიან დაძაბულო-

ბის რამდენიმე კერას.

საქართველოში, მართალია, ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ, ამ მხრივ, ვითარება მაინც მძიმეა. ჩვენთან მცხოვრები სხვადასხვა ერების რაოდენობა ცალ-ცალკე აღებული ასეულ ათასს უდრის. ისინი ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ. გარკვეულ მძიმე სიტუაციებში სეპარატისტული ძალები მათ უპირისპირებენ ქართველ ხალხს, ქმნიან დაძაბულობის კერებს.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შედარებით ერთფეროვანი იყო. ერთ-ერთი გაანგარიშებით, ქართველები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 89%-ს შეადგენდნენ. ამჟამად, კერძოდ, 1989 წელს ეს მაჩვენებელი 70,1%-ს უდრიდა. ცალკეულ რეგიონებში კი მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. მაგალითად, ჯავახეთში, ქვეყნის ამ ისტორიულ ძირძველ კუთხეში, ქართველები მხოლოდ 3,2%-ს შეადგენდნენ, ქვემო ქართლში კი 35,2%-ს (ქალაქ რუსთავის მოსახლეობის გამოკლებით – 25%-ს). აღსანიშნავია, რომ ქართველები დასავლეთ საქართველოს მთელ მოსახლეობაში 81,4%-ს შეადგენენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით ნაკლებს – 61,6%-ს. თუ თბილისის მოსახლეობას მხედველობაში არ მივიღებთ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მძიმეა – 58,5%.

ამასთან, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს 2327 ათასი, კაცი ანუ 747 ათასი კაცით ნაკლები ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა ქართველების რაოდენობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ზუსტად თანაბარია – 1894 ათასი კაცი.

აზერბაიჯანელები. ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპრები XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდიან თურქეთიდან და სპარსეთიდან. მათი საქართველოში ჩამოსახლება დაკავშირებულია მაჰმადიანური სახელმწიფოების აგრესიასთან, აგრეთვე მომთაბარე ხალხების გამუდმებულ შემოსევებთან, რაც თავიდანვე მიზნად ისახავდა თითქმის მთელი ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ, როდესაც ამ მიზანს ვერ მიაღწიეს, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიების კოლონიზაციას.

ირანელი და თურქი დამპყრობლები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ხშირად ასახლებდნენ თურქულ ტომებს. ეს ტომები თანდათანობით იკავებდნენ დაცარიელებულ ქართულ სოფლებს, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში დაიღუპა. მაგალითად, 1478 წელს ირანის შაჰმა ქართლის საზღვრებთან დატოვა თათრის ელები, ე.ი. მეჯოგე–მომთაბარე ტომები. ქართლის მეფის კონსტანტინეს დავალებით ბარათაშვილებმა ეს ტომები „სრუ-

ლიად მოსრნეს".

მაგრამ ელთა ჩამოსახლების პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა. ნადირ-შაჰი, იაყუბ ყაენი, შაჰ-აბასი და ირანის სხვა დამპყრობლები დიდი რაოდენობით ასახლებდნენ თურქულ მომთაბარე ტომებს საქართველოში. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლის დებედის ხეობა ირანის მბრძანებელმა შაჰ-აბასმა ქართლის სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ჩამოაჭრა, ქართული მოსახლეობა აყარა და ნაცვლად ბორჩალოს თურქმანული ტომები დაასახლა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ".[1] თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თურქულენოვანი სოფლებიც XVII საუკუნის დასაწყისიდან არსებობენ. როგორც წესი, მეჯოგე თურქმანული ტომები ყოველ თავდამსხმელს თან მოჰყვებოდნენ და მათთვის ხელსაყრელ ადგილებზე სახლდებოდნენ. ამიტომ მტრის წასვლისთანავე ქართველები „მოსვრიდნენ გარემოთა თათართა".[2] განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გადაიხადეს ქართველებმა 1659 წელს, როდესაც სელიმ-ხანის მიერ კახეთში ჩასახლებული „თათართა" დიდი ურდოებისაგან მთლიანად გაიწმინდა მთელი კახეთი. ცოტა უფრო ადრე, მარტყოფის ომანყებამ გიორგი სააკაძის მეთაურობით ასევე ჩაშალა ქართული სამეფოების ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევის შაჰ-აბას I-ის გეგმა.

მოგვიანებით თურქმანული და თურქული მომთაბარე ტომები — ყიზილბაშები თანდათანობით გადაადგილდნენ ქართლის შიგნით. მათ მიაღწიეს დმანისის, ქცისა და ალგეთის ხეობებს, გავიდნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც, სადაც უფრო კარგი საძოვრები იყო. ელების გამრავლება-გადაადგილების შედეგად XVIII საუკუნეში ქცის, ფოლადაურისა და შულავრის ხეობებში უამრავი მათი სოფელი შეიქმნა.

ქართველი მეფეები ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდნენ თურქმანულ-ყიზილბაშური ტომებით დასახლებულ თავიანთ ტერიტორიებზე. XVIII საუკუნის 50-იან წლებში მეფე თეიმურაზ მეორემ ბორჩალოს სახანო თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ სამოურავოდ აქცია. ასევე ყაზახის სახანოსაც მეფის მოურავები განაგებდნენ. „თათარი ელის" უდიდესი ნაწილი მეფის ყმა იყო, „მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა".

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო შეიერთა შეიქმნა თურქმანულ-ყიზილბაშური ტომებით დასახლებული ბორჩალოს დის-

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 307.
[2] იქვე, გვ. 387

ტანცია, რომელიც თბილისის მაზრაში შედიოდა. 1880 წელს კი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიქმნა ბორჩალოს მაზრა. მისი ადმინისტრაციული ცენტრი იყო დიდი შულავერი. თავდაპირველად იგი მოიცავდა ახლანდელი წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ტერიტორიას, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რაიონების ტერიტორიათა ნაწილს.

საქართველოში ირანიდან გადმოსახლებულ მომთაბარე ტომებს არ გააჩნდათ ეროვნული შეგნება. ისინი დროთა განმავლობაში აზერბაიჯანელებს შეერწყნენ, რომლებთანაც მათ აკავშირებდათ ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი და სოციალური წყობა. ამიტომ საქართველოში მცხოვრები მათი ახლანდელი შთამომავლები, როგორც აღნიშნავენ, თავს აზერბაიჯანელებად თვლიან.[1]

ამჟამად აზერბაიჯანელები საქართველოში კომპაქტურად ცხოვრობენ ქვემო ქართლსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის აზერბაიჯანელები თითქმის ერთადერთი ერია, რომელთა ბუნებრივი მატება უაღრესად მაღალია. უკანასკნელ 30 წელიწადში აზერბაიჯანელების რაოდენობა ზუსტად გაორკეცდა და 307 ათასს გადააჭარბა. მათი დიდი უმრავლესობა — 75 პროცენტი სოფლად ცხოვრობს. აზერბაიჯანელების სწრაფი გამრავლება განპირობებულია მათი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებითა და ხელსაყრელი საარსებო პირობებით — ისინი საქართველოში ყველაზე ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრობენ.

რუსები საქართველოში მკვიდრდებიან გასული საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი 1830-იანი წლებიდან. მანამდე საქართველოში მხოლოდ რუსების პატარა სამხედრო დასახლებები არსებობდა. როგორც წესი, სამხედრო პირებთან ერთად საქართველოში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ საცხოვრებლად საქართველოში რჩებოდა. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: თუ თავდაპირველად ადმინისტრაციულ დაწესებულებებს სამხედრო პირები განაგებდნენ, შემდგომში შეიქმნა სამოქალაქო მმართველობა რუსული პერსონალით. ამასთან, ბევრი რუსი ჯარისკაცი ხანგრძლივი საჭალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ საქართველოში სახლდებოდა.

რუსი მოსახლეობა საქართველოში მარტოოდენ სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის პერსონალით როდი იზრდებოდა. 1830 წელს კანონით ნებადართულ იქნა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან დას-

[1] ლ. ზურაბაშვილი. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989, გვ. 38

ჯის მიზნით მავნე ერეტიკოს-რასკოლნიკების ამიერკავკასიაში გადმოსახლება. მეფის ხელისუფლების ბრძანებით ამიერკავკასიაში და ძირითადად საქართველოში გადმოასახლეს ჯერ მალაკნები (1836 წ.), ხოლო შემდეგ დუხობორები (1841 წ.). ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

ასე წარმოიქმნა საქართველოში ახლანდელი ნინოწმინდის რაიონში სოფლები ეფრემოვკა, ორლოვკა, როდიონოვკა, სპასოვკა, ბოგდანოვკა და სხვ. დუხობორები დასახლდნენ აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში თავად ორბელიანების მიწებზე და სხვა ადგილებშიც. რუსების საქართველოში ჩამოსახლება მეტ-ნაკლები ზომით მთელი XIX და XX საუკუნეებში გრძელდებოდა, მაგრამ მაინც ყველაზე დიდი მასშტაბები მან 1930-იან წლებში მიიღო. ამ წლებში საქართველოში საცხოვრებლად თითქმის 200 ათასი რუსი გადმოსახლდა.

უკანასკნელ წლებში რუსების რაოდენობა საქართველოში შემცირდა. 1989 წელს აქ 341 ათასი რუსი ცხოვრობდა. 1979 წელთან შედარებით მათმა რაოდენობამ 31 ათასით დაიკლო. რუსები საქართველოში ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ და, შეიძლება ითქვას, რომ მათი კომპაქტური დასახლებები საქართველოში, ნინოწმინდის რაიონის გარდა, თითქმის არ გვხვდება.

ბერძნები საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ. ძვ. წ. VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიური კოლონიზაცია ბერძნული მოსახლეობის მიერ. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი ქართლში, ბერძნული მოსახლეობის გაჩენა ძვ. წ. III საუკუნეშია სავარაუდებელი, რის საფუძველსაც ზოგიერთი ცნობა და განსაკუთრებით მცხეთის არქეოლოგიური მასალაც იძლევა. მაგრამ ძველი ბერძნული მოსახლეობა უკვალოდ გაქრა. მისი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი მტრებთან ბრძოლას შეეწირა, ხოლო ნაწილი ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას შეერია.

ამჟამად საქართველოში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობის წინაპრების ნაწილი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ესახლება საქართველოში, როდესაც მეფე ერეკლე II სამთამადნო მრეწველობის განვითარების მიზნით თურქეთის გიუმიშხანეს პროვინციიდან ბერძენ ოსტატთა 800 ოჯახი ჩამოიყვანა. ამავე პერიოდში ბერძნები ირანის აზერბაიჯანიდანაც გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ამ ბერძნებს მეტად ტრაგიკული ბედი ერგოთ წილად. ჯერ 1785 წელს ომარხანმა გაძარცვა და აოხრა ახტალისა და ალავერდის ქარხნები, სადაც ბერძნები მუშაობდნენ და ათასამდე ბერძენი გაწყვიტა ან ტყვედ წაასხა, ხოლო შემდეგ 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა 700 ბერძენი სიცოცხლეს

გამოასალმა და 800-ზე მეტი ტყვედ წაიყვანა.

საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე ბერძნები კომპაქტურად ესახლებიან XIX საუკუნის 20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დამდეგიდან. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბერძნები თურქეთის პროვინციებიდან აიყარნენ და წალკის რაიონში დამკვიდრდნენ. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბერძნები მასობრივად ჩასახლდნენ აფხაზეთში, ხოლო შემდეგ აჭარაში, ძირითადად ზღვისპირა ადგილებში. გასული საუკუნის მიწურულში ბერძნების რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 40 ათას კაცს უდრიდა. ბერძნები საქართველოში ამ საუკუნეშიდაც ჩამოსახლდნენ, კერძოდ, ლოზანის კონფერენციის (1922-1923 წწ.) შემდეგ. 1989 წელს ბერძნების საერთო რაოდენობა საქართველოში 100 ათას შეადგენდა. ისინი უმთავრესად აჭარაში, აფხაზეთში, წალკისა და დმანისის რაიონებში ცხოვრობენ.

საქართველოში მცხოვრები ბერძნები ენობრივად ორ ჯგუფად იყოფიან: ბერძნულენოვანი ელინოფონები და თურქულენოვანი „ურუმები“. პირველნი უმთავრესად აჭარასა და აფხაზეთში ცხოვრობენ, ხოლო მეორენი — წალკისა და დმანისის რაიონებში. წალკელი ურუმები თურქეთის ძველი ქართული პროვინციებიდან არიან მოსულნი. მიაჩნიათ, რომ მათ ეთნოგენეზში გარკვეული როლი შეასრულეს ლაზებმა. მათ ყოფაში კარგად არის დაცული ძველი ქართული ტრადიციები.

ებრაელების მოსვლას საქართველოში ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. მკვლევარები უფრო სარწმუნოდ ქართლის მოქცევის ქრონიკის ცნობას მიიჩნევენ, რომლის მიხედვით ებრაელები მცხეთაში ძვ. წ. 169 წელს მოსულან. შემდგომში ებრაელები ქართლში სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულან. ელინისტურ ხანაში ქართლის ქალაქებში, კერძოდ, მცხეთასა და ურბნისში უკვე არსებობდა „უბანი ჰურიათა“, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელთა თემები, რომლებსაც ჰქონიათ საკულტო ცენტრები „ბაგინი ჰურიათა“ ანუ სინაგოგა.

დროთა განმავლობაში ებრაელები მცხეთიდან სხვადასხვა რაიონებში გადასახლდნენ. ისინი ფეოდალურ საქართველოში ცალკე სოფლებად და უბნებად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდგომში უცხოელ დამპყრობთა შემოსევების გამო ებრაელები ბევრგან აღარ ჩანან.

ებრაელები საქართველოში ტრადიციულად ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, ამიტომ ისინი ძირითადად სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებში ცხოვრობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში მათი მთავარი

ადგილსამყოფელი იყო ცხინვალი, სურამი, ახალდაბა, ატენი, ახალციხე, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ონი, საჩხერე, ქუთაისი, სენაკი და სხვა ქალაქები თუ დასახლებული პუნქტები.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში რუსი და ევროპელი ებრაელებიც სახლდებიან.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში 24 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. აქედან ქართველი ებრაელების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. ქართველებთან დიდი ხნის ურთიერთობის შედეგად ებრაელებმა დედაენად ქართული მიიღეს. უკანასკნელ წლებში ებრაელების დიდი ნაწილი თავის ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში გადასახლდა.

ქართველ-ებრაელთა ურთიერთობაში მთელი 26 საუკუნის მანძილზე არასოდეს ყოფილა შუღლი და მტრობა, საქართველოში ებრაელთა დარბევის ერთი შემთხვევაც არ მომხდარა, მათ არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა. საქართველოში შექმნილია მრავალი ებრაული საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცია.

ქურთების ცალკეული მომთაბარე ტომები საქართველოში, კერძოდ, მესხეთში XVI საუკუნეში გამოჩნდნენ. თანამედროვე ქურთების ძირითადი მასა 1918-1920 წლებში გადმოსახლდა ვანიდან და ყარსიდან მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი შევიწროება. გასული საუკუნის მიწურულს, 1897 წელს თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა 2538, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1824 ქურთი. ამავე წელს რუსეთის იმპერიაში 100 ათასი ქურთი ცხოვრობდა, აქედან ყველაზე დიდი რაოდენობით — ერევნის გუბერნიასა (49,4 ათასი) და ყარსის ოლქში (42,9 ათასი). 1897-1989 წლებში სომხეთში ქურთების რაოდენობა 49,4 ათასიდან 56,0 ათასამდე გაიზარდა, ხოლო საქართველოში 4,4 ათასიდან 33,0 ათასამდე, აქედან 30 ათასი ქურთი თბილისში ცხოვრობს.

I.2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა XIX საუკუნეში

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემები მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაგვაჩნია და ისიც, შეიძლება ითქვას, მეტად მწირი და არასრულყოფილი. თვით ტერმინიც „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა“ გასული საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს ხმარებაში გერმანულ სტატისტიკაში. ამ ტერმინის შინაარსში ჩვეულებრივ გულისხმობენ შობადობას და მოკვდაობას, აგრეთვე ქორწინებასა და განქორწინებას.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნემდე მონაცემები არ მოგვეპოვება. მეტრიკული წიგნები, რომელიც ჯერ კიდევ 1818 წელს შემოიღო მართლმადიდებელი სარწმუნოების მღვდელმა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოში შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლის შესახებ ვიმსჯელოთ. ამ პერიოდის მეტრიკულ წიგნებში ჩანაწერები მეტად ზოგადი ხასიათისაა, პერიოდული, არ ხერხდება შესაბამისი სამრევლოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის დადგენა და ამდენად დემოგრაფიული პროცესების ანალიზიც შეუძლებელი ხდება. ისიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მაშინდელი მეტრიკული ჩანაწერები მეტად მცირე რაოდენობით შემორჩა. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ვ. ჯაოშვილი, რომ გასულ საუკუნეში ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვა არ იყო დამკვიდრებული მყარ საფუძველზე, არც დაბადებულების და არც გარდაცვლილების სრული აღრიცხვა არ წარმოებდა. ასეთი ცნობები ამოკრეფილი იყო საეკლესიო წიგნებიდან, რომელთა შემდგენელნი უმეტეს შემთხვევაში არ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ამით აიხსნება ის შეუსაბამობანი, რომელიც ზოგჯერ გვხვდება დემოგრაფიულ მონაცემებში.[1]

მეტრიკული ჩანაწერებიდან მოსახლეობის შესახებ მონაცემების მოპოვებას შედარებით განსაკუთრებული ყურადღება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიაქციეს. საერთოდ კავკასიაში მოსახლეობის მოძრაობის შესწავლის პირველი გამოკვლევები მეტრიკული წიგნების საფუძველზე ყუბანის ოლქის თემრიუკსკის მაზრის პეტროვსკის სტანიცასა და თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში ჩატარდა. ამ გამოკვლევის მიხედვით 1877 წელს სოფელ გურჯაანში ყოველ ათას კაცზე 41 ახალშობილი მოდიოდა. შემდეგში მოპოვებულ იქნა 1875-1879 წლების მდიდარი და საკმაოდ

[1] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 99

დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შესახებ. თავდაპირველად მხოლოდ თბილისის გუბერნიის მონაცემები დაამუშავეს. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისათვის ნიმუშად აიღეს იმ დროისათვის ცნობილი იტალიელი სტატისტიკოსის ლუიჯი ბოდიოს ნაშრომი. როგორც მაშინვე მიუთითეს, ყველაზე სანდო მონაცემები მიღებულ იქნა ლოთრანგული და მართლმადიდებლური, შედარებით სანდო — სომხური, ხოლო უფრო ნაკლებ საიმედო მუსულმანური სამღვდელოებისაგან. რუსმა სექტანტებმა (მალაკანებმა და დუხობორებმა) შობადობის, მოკვდაობის და ქორწინების შესახებ ჩანაწერები არ წარმოადგინეს. ამის გამო სოფლად მცხოვრები რუსი მოსახლეობის შესახებ სანდო ცნობები ვერ იქნა მოპოვებული.

1875-1879 წლებში თბილისის გუბერნიის მოსახლეობის მოძრაობის შესახებ საკმაოდ დეტალურად დამუშავებული ვრცელი მასალა გამოქვეყნდა 1885 წელს.[1] ამასთან, ჩვენთვის ცნობილი პირველი მასალა შობადობისა და მოკვდაობის შესახებ 1847 წლით თარიღდება. იგი გამოქვეყნდა თბილისის გუბერნიის აღწერის მასალათა კრებულში, მაგრამ ამ მასალაში მოტანილი ციფრობრივი მონაცემები აშკარად არაზუსტია და რამე კანონზომიერების დადგენის საშუალებას არ იძლევა. ამავე კრებულში მოსახლეობის შესახებ 1858 და 1868 წლების ზოგადი მონაცემებიცაა დაბეჭდილი,[2] რომელიც შედარებით სანდოა. სათანადო გაანგარიშების საფუძველზე შობადობისა და მოკვდაობის დონე ამ პერიოდისათვის არც ისე მაღალია, კერძოდ, 1858 წელს თბილისის გუბერნიაში ყოველ ათას კაცზე 48 ბავშვი დაიბადა, ხოლო 28,4 კაცი გარდაიცვალა. წლის მანძილზე ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე 18,6 კაცს შეადგენდა. 1868 წელს აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ წელს უკვე შობადობის კოეფიციენტი 35,1 პრომილეს, მოკვდაობისა 22,5 პრომილეს, ხოლო ბუნებრივი მატებისა 12,6 პრომილეს უდრიდა.

ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომში ძირითადად 1875-1879 წლებში თბილისის გუბერნიის მოსახლეობის მოძრაობის მაჩვენებლებს განვიხილავთ. ამასთან განხილვის ობიექტი იქნება ქალაქ თბილისის, თბილისის გუბერნიის ქალაქებისა და თბილისის გუბერნიის სოფლების მოსახლეობა.

1880 წელს თბილისში სქესთა თანაფარდობა მეტად დარღვე-

[1] Сборник сведений о кавказе, т. IX, Тифлис, 1885

[2] Сборник материалов для описания тифлиской гувернии, т. I, вып. I, Тифлис, 1870, с. 8-10

ულია – ყოველ 100 მამაკაცზე 76 ქალი მოდიოდა. ამ მხრივ ეროვნებებს შორის განსხვავება მეტად საგრძნობია. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი რუსებს აქვთ. რუსებში ყოველ 100 მამაკაცზე 89 ქალი მოდიოდა, სომხებში – 79, ქართველებში – 69, ხოლო თათრებში – 31. ეს იმის შედეგი იყო, რომ თბილისში ბევრი რუსი ჩინოვნიკი მუშაობდა, რომლებიც თბილისში ოჯახებით ცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლებიდან მრავალი თბილისში ჩამოსული იყო საშოვარზე, ძირითადად მამაკაცები.

1875-1879 წლებში თბილისში 3915 ქორწინება მოხდა, ე.ი. 783 ქორწინება საშუალოდ წელიწადში. ქორწინების დონე საშუალოდ ხუთ წელიწადში ქართველებში უფრო მაღალი იყო (9,9 პრომილე), ვიდრე რუსებსა (9,3 პრომილე) და სომხებში (8,8 პრომილე).

ხუთ წელიწადში თბილისში 126 ქალი, ანუ ამ პერიოდში მთელი გათხოვილი ქალების 3,2 პროცენტი 15 წლის ასაკამდე გათხოვდა. ქალები ძირითადად 15-20 წლების ასაკში თხოვდებოდნენ – 62,6 პროცენტი. ახალგაზრდა ქალები ცოლად მიჰყვებოდნენ თავისზე ბევრად უფროს მამაკაცებს. მაგალითად 15-დან 20 წლამდე ასაკში 2449 ქალი გათხოვდა. აქედან მხოლოდ 39 ქალი გაჰყვა ცოლად თავისივე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელს, 1147 ქალი კი დაახლოებით 10 წლით უფროს მამაკაცს მითხოვდა, ხოლო დანარჩენმა ქალებმა თხუთმეტი-ოცი წლით და ბევრად უფროს მამაკაცებსაც დაუკავშირეს თავიანთი ბედი. ამასთან, მაღალ ასაკში გათხოვილი ქალები, არც ისე იშვიათად ცოლად მიყვებიან მათზე გაცილებით უმცროს მამაკაცებს. კერძოდ, 40-45 წლების ასაკში 50 ქალი გათხოვდა, აქედან ექვსი ქალი ცოლად გაყვა დაახლოებით ათი წლით უმცროს მამაკაცს.

ამ პერიოდში მამაკაცები ძირითადად 25-29 წლების ასაკში ქორწინდებოდნენ (40 პროცენტი). ამასთან, თუ გათხოვილი ქალების მთელი რაოდენობიდან 25 წლამდე გათხოვდა 84 პროცენტი, მამაკაცებისათვის შესაბამისი მაჩვენებელი 20 პროცენტს უდრიდა. ამჟამად, მამაკაცებს უფრო ადრეულ ასაკში მოყავთ ცოლი. მაგალითად, 1988 წელს რესპუბლიკაში დაქორწინებული მამაკაცებიდან 20-24 წლების ასაკში 35 პროცენტმა იქორწინა, ხოლო 25-29 წლების ასაკში 31 პროცენტმა.

ეროვნების მიხედვით ნაადრევი (15 წლამდე) ქორწინება შემდეგი მაჩვენებლით ხასიათდება. 1875-1879 წლებში გათხოვილი ქართველი ქალებიდან 15 წლამდე იქორწინა 3,5 პროცენტმა. რუსებში ეს მაჩვენებელი 2,8 პროცენტს, ხოლო სომხებში 2,7 პროცენტს უდრიდა.

მართალია, ქართველ ქალებში შედარებით მაღალია ნაადრევი ქორწინება, მაგრამ სამაგიეროდ 20 წლამდე ასაკში ქართველი ქალები ბევრად ნაკლები ქორწინდებოდა, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენელი ქალები. მაგალითად, 20 წლამდე იქორწინა მთელი გათხოვილი ქართველი ქალების 57 პროცენტმა. შესაბამისი მაჩვენებელი სომეხი ქალებისათვის 76 პროცენტს უდრიდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამჟამად ქართველი ქალები გაცილებით ნაკლებად ქორწინდებიან 20 წლამდე. კერძოდ, 1988 წელს გათხოვილი ქალებიდან 20 წლამდე ასაკში ქალების 28 პროცენტი გათხოვდა.

ერთი საუკუნის წინათ თბილისში ზამთრის პერიოდში გაცილებით მეტი ქორწინებები ხდებოდა, ვიდრე წლის რომელიმე სხვა დროს. წყვილები ყველაზე მეტად იანვარსა და თებერვალში ქორწინდებოდნენ. მარტო იანვარში 3-ჯერ მეტი ქორწინება მოხდა, ვიდრე მთლიანად გაზაფხულზე. ამჟამად ყველაზე მეტი ქორწინება რესპუბლიკაში დეკემბერსა და აპრილში ხდება, ხოლო წელიწადის დროის მიხედვით შემოდგომაზე.

თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში (ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი) ქორწინებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები თითქმის იგივეა, როგორც თბილისში. ახალგაზრდა ქალები აქაც თავის ასაკზე ბევრად უფროს მამაკაცებს მიჰყვებიან ცოლად, თუმცა არის საკმაო შემთხვევები, როცა მაღალი ასაკის ქალები ბევრად უმცროს მამაკაცებზე თხოვდებიან.

გუბერნიის სამაზრო ქალაქებში, თბილისთან შედარებით, შესამჩნევად მაღალი იყო ქორწინების დონე, განსაკუთრებით ქართველებში — 13,6 პრომილე, სომხებში ეს მაჩვენებელი 7,1 პრომილეს უდრიდა.

ქორწინების მაჩვენებელი თბილისის გუბერნიის სოფლებში (გორის, სიღნაღის, ბორჩალოს, თიანეთის, თბილისის, დუშეთის, ახალქალაქის, ახალციხისა და თელავის მაზრებში) განსხვავებულია თბილისისა და თბილისის გუბერნიის ქალაქების მაჩვენებლისაგან. კერძოდ, აქ ყოველ ათას მოსახლეზე ქორწინების რაოდენობა მაღალია (10,8 პრომილე). ასევე მაღალია ცალკეული ეროვნებების მიხედვით ქორწინების დონე სოფლად ქალაქებთან შედარებით. იგი ქართველებში 11,1 პრომილეს უდრიდა, სომხებში — 10,9, გერმანელებში — 10,7, თათრებში — 10,6, ბერძნებში — 9,7, ოსებში — 9,1, ხოლო რუსებში — 8,3 პრომილეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის გუბერნიაში ქორწინების დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროპის უმრავლეს ქვეყანაში. კერძოდ, დაახლოებით ამ პერიოდისათვის იტალიაში ყოველ ათას

მოსახლეზე 7,5 წყვილი ქორწინდებოდა, საფრანგეთში — 7,9, ინგლისში — 8,2, გერმანიაში — 8,7, ესპანეთში — 7,4,სერბიაში — 11,4 და ა.შ. რუსეთში ქორწინების დონე დაახლოებით იგივე იყო, როგორც თბილისის გუბერნიაში — 10,2 პრომილე.

თბილისის გუბერნიის სოფლებში ნაადრევი ქორწინება უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე ქალაქებში. კერძოდ, 15 წლამდე იქორწინა მთელი გათხოვილი ქალების 5,3 პროცენტმა. ეს მაჩვენებელი ქართველებში უდრიდა 5,5 პროცენტს, ოსებში — 5,1, სომხებში — 4,4, ბერძნებში — 2,4, ხოლო თათრებში — 8,5 პროცენტს. რაც შეეხება რუს და გერმანელ ქალებს, 15 წლამდე მათი დაქორწინების შემთხვევები სოფლად აღრიცხული არ არის. სამაგიეროდ, რუსები ძირითადად 15-20 წლის ასაკში თხოვდებოდნენ — 77,0 პროცენტი, ხოლო გერმანელები 15-20 წლის (46,6 პროცენტი) და 20-25 წლის (37,3 პროცენტი) ასაკში. დაქორწინების ასაკის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რამდენი ქორწინდება 20 წლამდე. თბილისის გუბერნიის სოფლებში ხუთი წლის მონაცემებით (1875-1879 წლები) მთელი გათხოვილი ქალების 70 პროცენტი 20 წლამდე ასაკში დაქორწინდა. ქართველი ქალებისათვის ეს მაჩვენებელი 68,7 პროცენტს, რუსებისათვის — 77,0. ოსებისათვის — 72,6, ხოლო სომეხი ქალებისათვის — 79,0 პროცენტს უდრიდა. ეს მაჩვენებელი იმითაა საგულისხმო, რომ მოსახლეობის გამრავლებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს სწორედ ქალის 20 წლამდე ასაკში გათხოვებას, რადგან 15 წლამდე ასაკში დაქორწინებული ქალები დაბალი შობადობით გამოირჩევიან. ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, ქართველ ქალებს არც ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვთ.

ქორწინებები წელიწადის დროის მიხედვით თბილისის გუბერნიის სოფლებში (თბილისისაგან განსხვავებით, სადაც უმრავლესობა ზამთარში ქორწინდებოდა) ყველაზე მეტი შემოდგომის პერიოდში ხდებოდა. ქორწინებათა ნახევარი დროის ამ პერიოდზე მოდიოდა. ქართველებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო — 63 პროცენტი, მხოლოდ სომხები ქორწინებოდნენ ძირითადად ზამთარში (61 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილშიც ქორწინებები ძირითადად შემოდგომაზე ხდებოდა.[1]

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც უკვე ითქვა, უპირველესად შობადობას გულისხმობს. გასული საუკუნის მონაცემები შობადობის შესახებ იმას მოწმობს, რომ ტრადიციული გაგებით

[1] Статистический временник Российской империи, серия II, Санкпетербург, 1882, с. 6.

მრავალშვილიანობა საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული, განსაკუთრებით კი, ქართველ ხალხში. იმდროინდელი შობადობის შესახებ არსებული მონაცემების გაანალიზება ცხადყოფს ქართველებში შობადობის დაბალ დონეს, როგორც საქართველოში მცხოვრებ სხვა ერების წარმომადგენლებთან, ისე რუსეთსა და ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ ამავე დროს საქართველოს ქალაქებში ქართველები შობადობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევიან. მაგალითად, თბილისში 1875-1879 წლებში ყოველ ათას კაცზე საშუალოდ შობადობის მაჩვენებელი 34 პრომილეს უდრიდა, ანუ ათას კაცზე ყოველწლიურად 34 ბავშვი იბადებოდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქართველებში 39 პრომილეს, რუსებში — 38-ს, ხოლო სომხებში 30 პრომილეს შეადგენდა; თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებშიც ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ქართველებში შობადობის დონე 46 პრომილეს უდრიდა, ხოლო სომხებში — 30 პრომილეს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ პერიოდში ქალაქებში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა და შობადობის საერთო დონეს ძირითადად სოფლის მოსახლეობა განსაზღვრავდა. თბილისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობაში კი შობადობის ყველაზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდნენ გერმანელები (71,4 პრომილე), რუსები (55,4 პრომილე), ბერძნები (47,4 პრომილე) და სომხები (42,9 პრომილე). ქართველებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 36,3 პრომილეს უდრიდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ შობადობის დონე ამ პერიოდში გაცილებით მაღალი იყო რუსეთსა და უკრაინაში. მაგალითად, კიევის გუბერნიაში 1885 წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 61 ბავშვი იბადებოდა. გუბერნიის ქალაქებში ეს მაჩვენებელი 37,2 პრომილეს უდრიდა, ხოლო მაზრებში — 65,1 პრომილეს.[1] 1867-1887 წლებში რუსეთის ევროპული ნაწილის 50 გუბერნიაში მართლმადიდებლებს ერთი ქორწინებიდან ხუთ-ექვს ბავშვზე ნაკლები არ ჰყავდათ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ზოგიერთ გუბერნიაში ეს მაჩვენებელი 9 ბავშვსაც უდრიდა. ამავე დროს მართლმადიდებლები მთელი მოსახლეობის 82,1 პროცენტს შეადგენდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასაკობრივი განსხვავება მექორწინე წყვილთა შორის არ არის დიდი. მაგალითად, მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციით დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 1882-1886 წლებში ქალებისათვის 21,2, ხოლო ვაჟებისათვის 25,2 წელს უდრიდა.[2] ამრიგად, ქალი საშუალოდ ოთხი წლით უფროს მამაკაცს

[1] Краткая статистическая сведения о Киевской губернии за 1885 год, Киев, 1886, с. 4.
[2] Движения населения в европейской России за 1877 г. С.петербург, 1891, с. 2 –30.

მიყვებოდა ცოლად. თბილისის გუბერნიაში მამაკაცები უფრო მაღალ ასაკში ქორწინდებოდნენ. კერძოდ, 25-35 წლების ასაკში ქორწინდებოდა ქართველი მამაკაცების 47,7 პროცენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის გუბერნიის სოფლის მოსახლეობაში შობადობის დონე 37,5 პრომილეს შეადგენდა. ამ პერიოდისათვის შობადობის ეს მაჩვენებელი უდაოდ დაბალია. ამჟამად შობადობის ასეთივე დონეა შუა აზიის რესპუბლიკებში. შობადობის საერთო დონეს, რა თქმა უნდა, ქართველი მოსახლეობა განსაზღვრავდა. ქართველებში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე საშუალოდ ხუთ წელიწადში (1875-1879 წლებში) 36,3 ახალშობილი მოდიოდა. ეს მაჩვენებელი ოსებსა და თათრებს გარდა ყველაზე დაბალი იყო თბილისის გუბერნიაში მცხოვრებ ეროვნებებს შორის. ოსებში შობადობის დონე 35,7, ხოლო თათრებში 31,8 პრომილეს უდრიდა. ამ ეროვნებებში დაბალი შობადობა შემდეგი მიზეზებით აიხსნებოდა. ოსები 1860-1880 წლებში მასობრივად გადმოდიან ოსეთიდან, მათი სამშობლოდან მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში. მიგრაციულ პროცესებში კი, როგორც წესი, საშუალო ასაკის ჯანმრთელი მოსახლეობა მონაწილეობს, რომელთა შორის მოკვდაობა მნიშვნელოვნად დაბალია. რაც შეეხება თათრებს, აქ ალრიცხვის უზუსტობასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. ასევე გერმანელებში უაღრესად მაღალი შობადობა (71,2 პრომილე) არ უნდა ასახავდეს სინამდვილეს, რასაც მაშინვე მიაქციეს ყურადღება. როგორც ჩანს, გერმანული კოლონიის სამრევლო წიგნში მოსახლეობა სახეზე არსებულზე ნაკლებია ნაჩვენები. მთლიანად თბილისის გუბერნიაში შობადობა ეროვნებების მიხედვით 1875-1879 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ. შემდეგ გვერდზე).

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში 98396 ბავშვი დაიბადა. აქედან 51912 ვაჟი და 46484 ქალი იყო. დაბადებულ ბავშვთა საერთო რაოდენობაში 55580-ს (29183 ვაჟი და 26397 ქალი) ქართველი ბავშვები შეადგენდნენ.

თბილისის გუბერნიის სოფლებში მცხოვრებ რუსებში მაღალია შობადობა — 55,4 პრომილე. მაგრამ შობადობა მაღალი იყო აგრეთვე რუსეთის ევროპული ნაწილის თითქმის ორმოცდაათივე გუბერნიაში. მაგალითად, 1868-1870 წლებში შობადობის დონე ორენბურგის გუბერნიაში 60,3 პრომილე იყო, სამარის გუბერნიაში 56,8 პრომილე, პერმის გუბერნიაში 57,1 პრომილე და ა.შ. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, თბილისის გუბერნიაში შობადობის ინტენსივობა დაახლოებით იგივე იყო, როგორიც ინგლისში (35,4 პრომილე), იტა-

ეროვნება	შობადობა		შობადობა მოსახლეობის ათას კაცზე
	ხუთ წელიწადში	საშუალოდ წელიწადში	
ქართველი	55580	11116	36,3
რუსი	2686	537	55,4
გერმანელი	918	184	71,2
ბერძენი	3435	687	47,4
ოსი	8824	1765	35,7
სომეხი	19814	3963	42,9
თათარი	7139	1427	31,8
სულ	98396	19679	37,5

ლიაში (36,7 პრომილე), გერმანიაში (35,8 პრომილე), ესპანეთში (36,0 პრომილე), და ა.შ.

მაზრების მიხედვით შობადობის ყველაზე დაბალი დონე იყო დუშეთის (27,8 პრომილე), ახალციხის (28,3 პრომილე), თიანეთის (29,5 პრომილე) და სიღნაღის (35,5 პრომილე) მაზრებში, სადაც ძირითადად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა. ყველაზე მაღალი შობადობით ახალქალაქის მაზრა გამოირჩეოდა (46,1 პრომილე), რომელიც ამ მაჩვენებლით ახლოს იდგა ევროპულ რუსეთთან. შობადობასთან დაკავშირებით ერთი საკითხიცაა საგულისხმო. ქართველებში ყველაზე მაღალია ქორწინების დონე, მაგრამ შობადობა დაბალია, რაც მათი ქორწინებების სუსტი ნაყოფიერებით აიხსნება.

თვეების მიხედვით შობადობის მაქსიმუმი იანვრის თვეზე მოდის, წელიწადის დროის მიხედვით კი — ზამთარსა და შემოდგომაზე.

გასულ საუკუნეში საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებით მკაცრი იყო უკანონოდ შობილთა მიმართ. თბილისში 1875-1879 წლებში „ცოდვის შვილების“ წილი მთელ დაბადებულებში 3,9 პროცენტს შეადგენდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ყოველთვის როდი ხდებოდა უკანონოდ შობილის რეგისტრაცია. თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში ხუთ წელიწადში უკანონოდ შობილის მხოლოდ ორი, ხოლო სოფლებში ასევე რამოდენიმე შემთხვევა აღირიცხა. ქალაქ თბილისში უკანონოდ შობილთა შორის ვაჟი გაცილებით ნაკლები იყო (231), ვიდრე გოგონა (300) — 100 გოგონაზე 77 ვაჟი მოდიოდა.

ამავე პერიოდში რუსეთში და განსაკუთრებით გუბერნიის ქალაქებში უკანონოდ შობილთა წილი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე თბილისის გუბერნიასა და მის ქალაქებში. მაგალითად, მოსკოსა და პეტერბურგის გუბერნიის ქალაქებში იგი შესაბამისად 37,5 და 20,5 პროცენტს, ხოლო თვით გუბერნიაში მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის 1877-1881 წლებში 15,3 და 17,2 პროცენტს უდრიდა.[1]

რუსეთში სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიხედვით უკანონოდ შობილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, მართლმადიდებელ მოსახლეობაში 1887 წელს იგი 2,8 პროცენტს, კათოლიკეებში – 3,5, პროტესტანტებში – 3,6, იუდეველებში –0,3, ხოლო მაჰმადიანებში – 0,1 პროცენტს შეადგენდა (დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაჰმადიან მოსახლეობაში უკანონოდ შობილთა რაოდენობა მაღალი იყო: საფრანგეთში – 8,0 პროცენტი, იტალიაში – 5,8 პროცენტი, გერმანიაში – 9,7 პროცენტი, შვეიცარიაში – 10,2 პროცენტი და ა.შ.). რუსეთში მცხოვრებ ებრაელებსა და მაჰმადიანებში უკანონოდ შობილთა დაბალ დონეს იმით ხსნიდნენ, რომ ისინი თავიანთი რელიგიის გავრცელების მიზნით, ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეცათ უკანონოდ შობილთათვის იგივე უფლებები, რაც ჰქონდათ კანონიერად შობილებს, ამიტომ ან შვილად იყვანდნენ მათ, ან პირდაპირ კანონიერად ცნობდნენ.[2]

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თბილისში 1875-1879 წლებში უკანონოდ შობილი 531 ბავშვი დაიბადა, ე.ი. 106 ბავშვი საშუალოდ წელიწადში. მაგრამ ეს მონაცემები არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს და იგი შემცირებულია. ამის მტკიცების საფუძველს ის ფაქტი იძლევა, რომ ამავე წლებში, მაგალითად, მარტო 1875 და 1877 წლებში პოლიციის ოფიციალური მონაცემებით თბილისში მიგდებული ბავშვების რაოდენობამ შესაბამისად 127 და 145 ბავშვი შეადგინა.[3] მიგდებული ბავშვები კი, როგორც წესი, უკანონოდ შობილები არიან. ამრიგად მიგდებული ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობდა უკანონოდ შობილთა რაოდენობას, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ უკანონოდ შობილთა ნაწილს მშობლები იტოვებდნენ, ხოლო ნაწილი თავიდანვე განწირული იყო ამა თუ იმ სახით სიკვდილისათვის. კერძოდ, როგორც აღნიშნავდნენ, თბილისში ადგილი ჰქონდა უკანონოდ შობილთა მკვლელობას. 1872-1877 წლებში ნაპოვნი ბავშვთა გვამების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით ირკვევა, რომ ბავშვთა ნაწილი აშკარად

[1] Движения населения в европейской России за 1887 г. С.петербург, 1891, с. 28– 29.
[2] Движения населения в европейской России за 1887 г. С.петербург, 1891, с. 5.
[3] Медицинский сборник, №27, Тифлис, 1878, с.13.

დახოცილიც იყო.[1] გასულ საუკუნეში უკანონოდ შობილთა დახოცვა არც ევროპის ქვეყნებისათვის იყო იშვიათი მოვლენა. მაგალითად, საფრანგეთში ბავშვთა მკვლელობა სიკვდილით ისჯებოდა და ამავე დროს არსებობდა დაწესებულებები უკანონოდ შობილთა აღსაზრდელად. მიუხედავად ამისა, პარიზში 1851-1866 წლებში მორგში მიტანილი 929 ჩვილი ბავშვის გვამიდან 791 გვამის გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ 566 შემთხვევაში ბავშვები დახოცილები იყვნენ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისში დაიწყეს ზრუნვა მიგდებული ბავშვების გადასარჩენად და აღსაზრდელად. ეს საქმე დაევალა სამეანო ინსტიტუტს. 1874 წლიდან მარტო სამ წელიწადში აქ პოლიციამ 200 მიგდებული ბავშვი მიიყვანა.

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ქორწინებასა და შობადობასთან შედარებით უფრო ვრცელი მონაცემები მოგვეპოვება მოკვდაობის შესახებ. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო სტატიები, რომლებშიდაც გაანალიზებული იყო მოკვდაობის მიზეზები. განსაკუთრებით მდიდარი მასალა არსებობს ამ მხრივ თბილისის მოსახლეობის მოკვდაობის შესახებ.

ხუთი წლის მანძილზე (1875-1879 წლებში) თბილისში 12,7 ათასი კაცი გარდაიცვალა. მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 30 კაცი კვდებოდა. ეროვნების მიხედვით მოკვდაობის მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავებული იყო. ქართველებში იგი 29 პრომილეს უდრიდა, რუსებში — 34, სომხებში — 22, ხოლო თათრებში — 57 პრომილეს. ევროპის ქალაქებს შორის თბილისს ამ მხრივ საშუალო ადგილი ეკავა. მაგალითად, დაახლოებით ამ პერიოდში სტოკჰოლმში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 41 პრომილეს უდრიდა, დრეზდენში — 36, რომში — 34, ვენაში — 30, ბერლინში — 29, პარიზში — 28, ჟენევაში — 23 პრომილეს და ა.შ.

მოკვდაობა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან თბილისის სხვადასხვა რაიონებში. უსუფთაო და ჭუჭყიან უბნებში მოკვდაობის დონეც მაღალი იყო. სწორედ ამ მიზეზების გამო მტკვრის მარცხენა ნაწილში მოკვდაობის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე მარჯვენა ნაწილში. ქალაქ გორშიც ქალაქის დანაგვიანება და უსუფთაობა მიაჩნდათ ავადმყოფობის მიზეზად, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრებოდა. მაგალითად, გორში ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობა იყო ციება, რასაც იწვევდა უაღრესად დანაგვიანებული ქუჩები.[2] სანიტარი-

---

[1] Медицинский сборник, №27, Тифлис, 1878, с.27.

[2] Сборник материалов для описания местностей и племени Кавказа. Выпуск второй.Тифлис, 1827, с.81.

ის, ჰიგიენისა და სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე, რა თქმა უნდა, მრავალი დაავადების გავრცელების მიზეზი ხდებოდა, რაც ზრდიდა მოკვდაობის მაჩვენებელს. თბილისში 1876 წელს გარდაცვლილთა მხოლოდ 15,5 პროცენტი აკითხავდა ექიმს და ყურად იღებდა მის რჩევა-დარიგებას ავადმყოფობის დროს.[1] ფრიად საინტერესოა ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ შემდეგი ფაქტიც, რომელიც 1873 წელს მოიყვანეს კავკასიის სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე. 1854 წლის ოქტომბრიდან 1855 წლის მაისამდე ყირიმში ინგლისის ჯარებში 28939 ჯარისკაცი მსახურობდა. აქედან გარდაიცვალა 10053 კაცი ტიფის, სისხლიანი ფაღარათისა და ცინგის შედეგად. ინგლისის მთავრობამ სპეციალური კომისია გაგზავნა ყირიმში ასეთი მაღალი მოკვდაობის მიზეზების გამოსაკვლევად. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაღალი მოკვდაობის მიზეზი ცუდი ჰიგიენური პირობები იყო: ჯარისკაცები ვიწრო, ნესტიან და ცივ მიწურებში ცხოვრობდნენ, არ ეცვათ თბილად და სხვ. როგორც კი აღნიშნული პირობები ჯარისკაცებს საგრძნობლად გაუუმჯობესეს, იმავე 1855 წელს ნოემბერსა და დეკემბერში მოკვდაობამ ათას ჯარისკაცზე შესაბამისად 44 და 33 კაცი შეადგინა, 1856 წლის იანვარში — 12, ხოლო მაისში — 8 ჯარისკაცი პირადი შემადგენლობის ყოველ ათას კაცზე.[2] როგორც სამართლიანად მიუთითებენ, სწორედ ჰიგიენის დაბალი დონე იყო იმის მიზეზი, რომ 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს 118 ათასი დაღუპული რუსი ჯარისკაციდან მხოლოდ 20 ათასი დაეცა მტრის ტყვიით, დანარჩენი კი ციების, ტიფისა და სისხლიანი ფაღარათის დაავადებების შედეგად დაიღუპა.[3]

მე-19 საუკუნის საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო მოსახლეობის გაფართოებული კვლაეწარმოების ექსტენსიური ტიპი — შობადობისა და მოკვდაობის მაღალი, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაბალი დონე. განსაკუთრებით მაღალი იყო მოკვდაობა ბავშვებში. 1875-1879 წლებში თბილისში 10 წლამდე ასაკში გარდაიცვალა დაღუპულთა მთელი რაოდენობის 54,7 პროცენტი. ეს მაჩვენებელი რუსებში — 63,3 პროცენტს, ქართველებში — 56,2 პროცენტს, ხოლო სომხებში — 53,2 პროცენტს უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუთ წლამდე ასაკში იღუპებოდა დაბადებულ ბავშვთა 43,5 პროცენტი, ხოლო ერთ წლამდე ასაკში — 18 პროცენტი.[4] სრულასაკოვნებას ბევრად ნაკლები აღწევდა. შობადობისა და მოკვდაობის ამგვარი თანაფარდობის პირობებში თაობათა ცვლა შედა-

---

[1] Медицинский сборник, №25, Тифлис, 1877, с.5.

[2] Протоколы заседаний Императорского Кавказского медицинского общества, Тифлис, 1872б с. 15-16.

[3] Протоколы заседаний Императорского Кавказского медицинского общества, Тифлис, 1872б с. 13.

[4] Сборник сведений о кавказе, т. IX, Тифлис, 1885, с.53.

რებით უფრო სწრაფად ხდებოდა.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მე-18 საუკუნეში ინგლისში ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკში ასი ბავშვიდან – 74, ხოლო მე-19 საუკუნეში – 27 კვდებოდა. რუსეთში 10 წლის მანძილზე (1849-1858 წლებში) გარდაცვლილთა 54 პროცენტი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების წილად მოდიოდა.

ყოველი 100 დაბადებული ბავშვიდან ცოცხალი რჩებოდა

	თავად-აზნაურობასა და შეძლებულებში	ვაჭრებში	ხელოსნებში
სიცოცხლის ერთი წლის შემდეგ	90	79	68
სიცოცხლის 5 წლის შემდეგ	82	61	44
სიცოცხლის 20 წლის შემდეგ	76	51	31
სიცოცხლის 60 წლის შემდეგ	45	20	11

ბავშვთა მაღალი მოკვდაობის ძირითადი მიზეზი იყო სამედიცინო მომსახურებისა და ჰიგიენის უაღრესად დაბალი დონე. სწორედ ამიტომ მდიდრებში მოკვდაობა ბავშვთა შორის ჩვეულებრივად 25-30 პროცენტს შეადგენდა, წვრილ მრეწველებს შორის – 40 პროცენტს, ხოლო ფაბრიკის მუშების ბავშვებს შორის – 60-90 პროცენტს. ამ მხრივ საინტერესოა გასულ საუკუნეში ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც გვიჩვენებს მოკვდაობას მოსახლეობის სხვადასხვა კლასს შორის ასაკის მიხედვით.[1]

თბილისში ბავშვთა მაღალი მოკვდაობის შედეგად უაღრესად დაბალი იყო გარდაცვლილთა საშუალო ასაკი – 21 წელი. ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი ხუთი წლის მანძილზე (1875-1879 წლებში) 188,2 პრომილეს უდრიდა, ე.ი. ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე 188 ბავშვი კვდებოდა. რუსეთის ევროპული ნაწილის 50 გუბერნიაში ეს მაჩვენებელი 1871 წელს 271,3, ხოლო 1872 წელს 294,8 პრომილეს უდრიდა.[2]

თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში მოკვდაობის მაჩვენებლები განსხვავებულია თბილისის მაჩვენებლებისაგან. უპირველეს

[1] Протоколы заседаний Императорского Кавказского медицинского общества, Тифлис, 1872. с. 6.

[2] Статистический временник Российской империи, серия II, Санк-петербург, 1882, с. 6.

ყოველისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოკვდაობის დონე სამაზრო ქალაქებში დაბალია (25 პრომილე), ვიდრე თბილისში (30 პრომილე). ეს გამოწვეული იყო ძირითადად სომხებში მოკვდაობის ოდნავი შემცირებით, თუმცა ქართველებში იგი მნიშვნელოვნად მაღალია (36 პრომილე) თბილისთან შედარებით.

თბილისის გუბერნიის სოფლებში მოკვდაობის დონე დაბალია როგორც თბილისის, ისე სამაზრო ქალაქების მაჩვენებლებთან შედარებით. იგი 1875-1879 წლებში 22,9 პრომილეს უდრიდა და მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში. რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი ამ პერიოდში 37,3 პრომილეს უდრიდა. მოკვდაობის დონე ხუთ წელიწადში მაზრების მიხედვით ყველაზე დაბალი იყო ახალციხის (16 პრომილე), თიანეთისა (18 პრომილე) და დუშეთის (18,7 პრომილე), ხოლო ყველაზე მაღალი ახალქალაქის (32,3 პრომილე) მაზრებში.

ეროვნებების მიხედვით თბილისის გუბერნიის სოფლებში აღნიშნულ პერიოდში მოკვდაობა ყველაზე მაღალია გერმანელებში (45 პრომილე, მაგრამ ეს გერმანელი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არასწორი მონაცემების შედეგია, რაზეც იმ პერიოდშივე მიუთითეს), რუსებში (30,4 პრომილე), სომხებსა (27,2 პრომილე) და თათრებში (26,2 პრომილე). ქართველებში ეს მაჩვენებელი 21,9 პრომილეს უდრიდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოკვდაობის დონე ოსებში. იგი უაღრესად დაბალი იყო — 14,3 პრომილე.[1] ასეთი დაბალი მოკვდაობის დონე რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არც ერთ ხალხში არ ყოფილა გასულ საუკუნეში. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ ოსები ამ პერიოდში ჩრდილოეთიდან, თავიანთი სამშობლოდან მასობრივად გადმოდიან მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში. როგორც წესი მიგრაციულ პროცესში მონაწილეობს ახალგაზრდობა და საშუალო ასაკის ადამიანები. ასეთ ასაკობრივ ჯგუფებში კი, როგორც ცნობილია, მოკვდაობა უარესად დაბალია დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. სწორედ ეს არის ოსებში დაბალი მოკვდაობის ერთადერთი ახსნა.

სოფლად მოკვდაობა ასაკობრივი ნიშნის მიხედვითაც განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდება თბილისთან შედარებით. კერძოდ, თბილისის გუბერნიის სოფლებში 10 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა გარდაცვლილთა მთელი რაოდენობის 41,6 პროცენტს შეადგენდა, ანუ 13,1 პროცენტული პუნქტით ნაკლებს თბილისთან შედარებით. ქართველებში ეს მაჩვენებელი დაბალია — 31,0 პროცენტი,

[1] Сборник сведений о кавказе, т. IX, Тифлис, 1885, с. 367.

ხოლო სომხებში თითქმის ორჯერ მეტი — 62,1 პროცენტი.

საბოლოოდ, თუ ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს გავაანალიზებთ ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა ქართველ მოსახლეობაში აღმოჩნდება. ამას ნათლად ადასტურებს თბილისის გუბერნიის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1875-1879 წლებში.

მოსახლეობის ბუნებრივი მატება თბილისის გუბერნიაში 1875-1879 წლებში

ეროვნება	აბსოლუტურად	მოცემული ეროვნების 1000 კაცზე
ქართველი	21605	12
რუსი	1211	28
გერმანელი	337	27
ბერძენი	1563	23
ოსი	5286	23
სომეხი	6923	15
სულ	38354	15

მოსახლეობის ბუნებრივი მატების მხრივ ყველაზე კარგ პირობებში აღმოჩნდნენ რუსები, გერმანელები, ბერძნები და ოსები. როგორც იმთავითვე მიუთითებდნენ რუსები და გერმანელები კარგად ცხოვრობდნენ და ისინი დასახლებული იყვნენ გუბერნიის ასე თუ ისე საუკეთესო კუთხეებში. ბუნებრივი მატების მხრივ ქართველები საკუთარ მიწაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი ბუნებრივი მატება ორჯერ ნაკლებია რუსებთან, გერმანელებთან, ბერძნებთან და ოსებთან შედარებით და უფრო დაბალია, ვიდრე სომხებისა.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების შესახებ გასულ საუკუნეში სხვა ცნობებიც არსებობს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ახლოს დგას სინამდვილესთან. ასეთი ცნობები დრო და დრო ქვეყნდებოდა „კავკასიის კალენდარში". მაგალითად, 1864 წელს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი თბილისის გუბერნიაში — 13 პრომილეს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 11,9 პრომილეს უდრიდა. პროფ. ვ. ჯაოშვილს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს „კავკასიის კალენდრიდან" მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები 1883 წლისა და 1894-1898 წლებისათვის.[1]

[1] ვ. ჯაოშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 99-100

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები

გუბერნიები	მოსახლეობის ათას კაცზე					
	1883 წელი			საშუალოდ 1894-1898 წლებში		
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
თბილისის	35,1	22,1	13,1	34,5	21,8	12,7
ქუთაისის	24,6	11,8	12,8	27,8	16,5	11,3

ახლა თუ თვალს გადავავლებთ ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, დავინახავთ, რომ ცალკეული წლების (პერიოდების) მიხედვით ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაღალია შობადობის და მოკვდაობის აბსოლუტური მაჩვენებლები, განსხვავება მათ შორის მცირეა. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ნელა, მაგრამ თანდათანობით იზრდება. დასავლეთ საქართველოში უფრო დაბალია შობადობისა და განსაკუთრებით მოკვდაობის დონე, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

მოსახლეობის მთლიან მატებაში ბუნებრივ გამრავლებასთან ერთად საგრძნობი ადგილი ეკავა მექანიკურ ზრდას — მთელი მატების მეოთხედზე მეტი. სწორედ ამის გამო მეცხრამეტე საუკუნეში შესამჩნევი და ერისათვის ერთობ საზიანო ცვლილებები განიცადა მოსახლეობის ეთნიკურმა შემადგენლობამ. თუ მე-19 საუკუნის მანძილზე ქართველთა რაოდენობა დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა, სომხებისა და რუსების (1897 წელს 1865 წელთან შედარებით) რაოდენობა — ოთხ-ოთხჯერ, ხოლო ოსებისა 8-ჯერ გადიდდა. ყოველივე ამან გაართულა ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ არ შევხებივართ განქორწინებას, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. საქმე ის არის, რომ გასულ საუკუნეში განქორწინებები თბილისის გუბერნიაში პრაქტიკულად არ ხდებოდა, ან ყოველ შემთხვევაში, ისეთი მცირე რაოდენობით ხდებოდა, რომ განქორწინებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ვერც სტატისტიკურ კრებულებსა და ვერც ცალკეულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ სტატიებში ასახვა ვერ პოვა.

1.3. დემოგრაფიული გადასვლის თავისებურებები საქართველოში

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება მეტად დიდი თავისებურებებით ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს პარადოქსულ მოვლენასთან — საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო დემოგრაფიულად იგი განვითარებულ ქვეყანას მიეკუთვნება. ისე როგორც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოშიც მცირდება შობადობა, გარკვეულწილად იზრდება მოკვდავობა და, შესაბამისად, კლებულობს მოსახლეობის ბუნებრივი მატება. სულ უფრო რეგულირებადი ხდება შობადობა, ოჯახის ფორმირება მთავრდება ახალგაზრდა ასაკის ქალებში, მატულობს ორშვილიანი ოჯახების რიცხვი. ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი, ე.ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და წინანდებურად ყველაზე მეტად თავი იჩინა მკვიდრ ქართველ მოსახლეობაში. ამიტომ კიდევ უფრო დამძიმდა ისედაც არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარება.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკასიაში, სადაც სამი მკვიდრი ერი — ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება არსებითად განსხვავდება სომხებისა და აზერბაიჯანელების დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლებისაგან. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები, რომ სამხრეთ კავკასია მაინც ერთი მთლიანი რეგიონია, სადაც ბუნებრივი და კლიმატური პირობები, ზოგადად ცხოვრების წესი რამდენადმე უახლოვდება ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1989 წელს საქართველოში 16,7 პრომილეს, აზერბაიჯანში — 26,4, ხოლო სომხეთში — 21,6 პრომილეს უდრიდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ამ ქვეყნების მკვიდრი ერების მიხედვით. ამასთან 1979—1989 წლებში თუ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში შემცირდა, აზერბაიჯანელებსა და სომხებში იგი გაიზარდა. ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება მოსახლეობის ბუნებრივი მატება. დამატებით შეიძლება მხოლოდ ის აღინიშნოს, რომ ქართველებში მოკვდავობის მაღალი დონის გამო, აზერბაიჯანელებსა და სომხებში შესამჩნევად მაღალია ბუნებრივი მატება როგორც ქართველებთან, ისე თავიანთ ქვეყნებში მცხოვრებ სხვა ეროვნებებთან შედარებით. საქართველოში კი

საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველებში ბუნებრივი მატება უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ლ. ჩიქავა, „ეს აიხსნება იმით, რომ ძირითადი (მკვიდრი) მოსახლეობა აზერბაიჯანსა და სომხეთში უფრო სწრაფად მრავლდება, ვინემ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არამკვიდრი ერები, საქართველოში კი საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა, აქ ქართველებზე უფრო სწრაფად მრავლდებიან აზერბაიჯანელები, სომხები, ქურთები და სხვ“.[1]

საქართველოში ასევე დაბალია მოსახლეობის აღწარმოების ჯამობრივი და ნეტო კოეფიციენტები. ამ კოეფიციენტებს ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით, აქ კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ 1989 წელს ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში უდრიდა 2,136, ხოლო ნეტო კოეფიციენტი – 1,003. აზერბაიჯანსა და სომხეთში ეს მაჩვენებლები საგრძნობლად მაღალი იყო და შესაბამისად 2,761; 1, 267 და 2,611; 1,231 უდრიდა. დემოგრაფიული მაჩვენებლების ასეთი განსხვავების მიუხედავად, ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი მ. რუტკევიჩი, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს განიხილავდა, როგორც მსგავსი დემოგრაფიული განვითარების ქვეყნებს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. იგი სრულიად უპასუხისმგებლოდ იმასაც კი აცხადებდა, რომ სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თავიანთი რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ სხვა რესპუბლიკებშიო.[2] მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით კი რეალური ვითარება ასეთი იყო: ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველების 95,1 პროცენტი ცხოვრობდა საქართველოში, აზერბაიჯანელების 85,7 პროცენტი – აზერბაიჯანში და სომხების მხოლოდ 66,7 პროცენტი – სომხეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთი რესპუბლიკების გარეთ ცხოვრობდა მილიონამდე აზერბაიჯანელი, მილიონ ნახევარზე მეტი სომეხი და მხოლოდ 193 ათასი ქართველი.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები მეზობელი ქვეყნების დემოგრაფიული მაჩვენებლებისაგან განსხვავებული იყო აგრეთვე წინა წლებშიც. მაგალითად, 1940 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში შეადგენდა 27,4 პრო-

---

[1] ლ. ჩიქავა. დემოგრაფიული მდგომარეობა კავკასიაში, ჟურ. „ეკონომისტი“, №8-9, 1993, გვ.62.

[2] М. Руткевич. Обострение национальных отношений в СССР. Жур.; «Социологические иследования» , №1, 1991, с. 37.

შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (მოსახლეობის ათას კაცზე)

წლები	შობადობა			მოკვდაობა			ბუნებრივი მატება		
	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
1990	17.0	22.5	26.3	8.4	6.2	6.1	8.6	16.3	20.2
1991	16.3	21.6	27.0	8.5	6.5	6.3	7.8	15.1	20.7
1992	14.9	19.2	25.2	9.6	7.0	7.1	5.3	12.2	18.1
1993	12.6	15.8	24.2	10.1	7.4	7.3	2.5	8.4	16.9
1994	10.7	13.6	21.4	8.6	6.6	7.4	2.1	7.0	14.0

მილეს, აზერბაიჯანში 29,4; სომხეთში — 41,2; ხოლო რუსეთში — 33,0 პრომილეს. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოკვდაობის დონე ამავე წელს მნიშვნელოვნად დაბალი იყო ჩვენთან, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკაში. მაგალითად, საქართველოში მოკვდავობის ზოგადი კოეფიციენტი 8,8 პრომილეს უდრიდა, ხოლო რუსეთში — 20,6 პრომილეს. მიუხედავად ამისა, მაღალი შობადობის გამო 1940 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ყველაზე მაღალი იყო სომხეთში — 27,4 პრომილე. საქართველოში ეს მაჩვენებელი 18,6 პრომილეს უდრიდა. ომის შემდგომ პერიოდშიც ამ მაჩვენებლების მიხედვით საგრძნობი განსხვავებაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მაგალითად, 1960 წელს საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 24,7 პრომილეს უდრიდა, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში შესაბამისად — 42,6 და 40,1 პრომილეს. მოსახლეობის ბუნებრივი მატება კი მოსახლეობის ათას კაცზე საქართველოში 18,2 კაცს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში გაცილებით მეტი იყო და 35,9 და 33,3 კაცს უდრიდა.

ახლა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები საქართველოს არა მარტო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებით აქვს უარესი, არამედ მის მოსაზღვრე ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებთან შედარებითაც. მაგალითად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში თითქმის ორ-სამჯერ მაღალია, ვიდრე ჩვენთან. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში მცხოვრებ მკვიდრ ერებთან შედარებით, ქართველებს ამ მხრივ საგრძნობლად უარესი დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები გააჩნია.

ამავე დროს საქართველოში შობადობისა და ბუნებრივი მატების დონე, აგრეთვე დემოგრაფიული განვითარების სხვა მაჩვენებლები გაცილებით სწრაფად მცირდება, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში. ეს კი, ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, იმაზე მიუთითებს, რომ დემოგრაფიული გადასვლა საქართველოში მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

სხვადასხვა პერიოდში მოსახლეობის კვლავწარმოება სხვადასხვაგვარად ხდება. იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ცალკეულ ქვეყნებში, რამდენიმე ქვეყანაში ერთად, ან კონტინენტების მიხედვით არსებობს კონცეფცია, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია დემოგრაფიული გადასვლის სახელწოდებით.

ენციკლოპედიური ცოდნის დონეზე დემოგრაფიული გადას-

ვლა მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპის ცვლილებას გვიჩვენებს. ისტორიული განვითარების პროცესში მოსახლეობის კვლავწარმოების ტიპების ძირეული ხარისხობრივი ცვლილებები ხდება. აქედან გამომდინარე დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის ძირითადი ელემენტია დემოგრაფიული გადასვლის პერიოდიზაცია. დემოგრაფიული გადასვლის პირველ ეტაპზე ხდება მოკვდავობის ტიპის გარდაქმნა, მისი ცვლილება. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ეკზოგენური მოკვდავობის შემცირებით (მცირდება ინფექციური და პარაზიტული სნეულებები, სასუნთქი ორგანოების და საჭმლის მონელების ორგანოების დაავადებები და სხვ.), მოკვდავობის სულ უფრო დიდი რაოდენობის შემთხვევების ბავშვთა ასაკიდან მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში გადანაცვლებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებით და სხვ. მეორე ეტაპზე იცვლება შობადობის ტიპი — შობადობაც იწყებს შემცირებას. მოკვდავობის და შობადობის შემცირების ტემპების შეფარდება დამოკიდებულია კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე და განსაზღვრავენ მოსახლეობის ზრდის მასშტაბებს.

დემოგრაფიული გადასვლის განვითარებისა და დამთავრებისათვის იყენებენ სქემას, რომელიც შეიცავს ოთხ ფაზას. პირველი ფაზის დროს მოკვდავობის კოეფიციენტი გაცილებით სწრაფად მცირდება, ვიდრე შობადობის კოეფიციენტი. ეს უკანასკნელი გარკვეული დროის მანძილზე შეიძლება კიდევაც გაიზარდოს. ამის შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს. მეორე ფაზაში გრძელდება მოკვდავობის კოეფიციენტის შემცირება და იგი აღწევს მინიმუმის ზღვარს, ან უფრო სწორად თავის ყველაზე მცირე მნიშვნელობას. ამ ფაზაში შობადობის კოეფიციენტი კიდევ უფრო სწრაფად მცირდება. ამის შედეგად ხდება მოსახლეობის მატების თანდათანობით შენელება. მესამე ფაზაში იზრდება მოკვდავობის კოეფიციენტი, რაც განპირობებულია მოსახლეობის დაბერებით. ამავე დროს სულ უფრო ნელა მცირდება შობადობის კოეფიციენტი, რომელიც მესამე ფაზის დასასრულს უახლოვდება მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების დონეს, ხოლო მოკვდავობის კოეფიციენტი რჩება ამ დონის ქვემოთ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ასაკობრივი სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის სტაბილური და ჩვეულებრივ მომატებულია იმ ასაკობრივი ჯგუფების წილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკვდავობის დაბალი დონე. მეოთხე ფაზაში მოკვდავობის კოეფიციენტი იზრდება და უახლოვდება შობადობის კოეფიციენტს. ამით მთავრდება დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესი.[1]

[1] Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 115-116.

ასეთია საერთოდ მიღებული დემოგრაფიული გადასვლის ოთხი ფაზა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უდაოდ ყურადღების გარეშე რჩება ზოგიერთი მომენტი. კერძოდ, დემოგრაფიული აფეთქების დროს, რომელიც ბევრ ქვეყანაში ახლაც გრძელდება, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობა. მომავალში ბუნებასთან ნორმალური ურთიერთობა, ასეთი დიდი რაოდენობის მოსახლეობის პირობებში, კიდევ უფრო გაძნელდება. ადამიანთა მიერ მოხმარებული უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების აღდგენა თანდათანობით სულ უფრო გაჭირდება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება. როგორც ცალკეული ქვეყნების სამთავრობო დონეზე, ისე მსოფლიო მასშტაბით სერიოზული მცდელობის მიუხედავად მაინც გარდაუვალი იქნება ეკოლოგიური კატასტროფები. ასე რომ, საერთო მიზნად რჩება არა მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია, არამედ სტაბილიზაციის შემდეგ გარკვეულ დონემდე მისი შემცირება. გარკვეულწილად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ თანამედროვე განათლებულ საზოგადოებაში მთავარი ყურადღება ექცევა შვილების აღზრდის ხარისხს და არა შვილების ყოლის რაოდენობრივ მხარეს. თავისთავად ეს იმასაც გულისხმობს, რომ ძირითადი ხდება ცხოვრების დონე, ცხოვრების ხარისხი. მომავალში ცხოვრების ხარისხის პრიორიტეტი გლობალური მასშტაბით საგრძნობლად გამოიკვეთება და გარდუვალი გახდება.

ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დაიწყო მოსახლეობის დეპოპულაცია — მოკვდავობამ გადააჭარბა შობადობას. მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ ცალმხრივად მიმდინარეობს, რაც ამჟამად ცივილიზებულ ერებს საკმაო საშიშროებას უქადის და მას შეიძლება სერიოზული კონფლიქტებიც მოჰყვეს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევა დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მაღალი შობადობის ქვეყნებში შობადობის შესამცირებლად. რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებების განხორციელება არ შეიძლება ცალსახად გავიგოთ. აქ ძირითადად ისიც იგულისხმება, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზიც აღმოიფხვრას. ბევრი ქვეყანა (მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი) უკვე კარგა ხანია შეუდგა ასეთი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას. ცნობილია, რომ მოსახლეობის 3 პროცენტის წლიური ზრდის ტემპის პირობებში 23 წელიწადში ორკეცდება მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო 4 პროცენტის დროს — სულ რაღაც 17,5 წელიწადში, შესაბამისად, იმ ქვეყნებმა, რომლებისთვისაც დამა-

ხასიათებელია მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპი, სულ რაღაც ოც წელიწადში უნდა გააორკეცონ მეურნეობის კომპლექსი, რათა შეინარჩუნონ არსებული ცხოვრებისა და დასაქმების დონე. ეს კი, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, თითქმის შეუძლებელია.[1]

ამრიგად, მომავალში მოსახლეობის რაოდენობის მაქსიმალური ზღვარის მიღწევის შემდეგ აუცილებლად დაიწყება მისი შემცირება. ეს უკვე იმას გულისხმობს, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე მოკვდავობის კოეფიციენტი გადააჭარბებს შობადობის კოეფიციენტს და მომავალი საზოგადოებისათვის საბოლოოდ სასურველი მოსახლეობის რაოდენობის მიღწევის შემდეგ მოხდება მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანთა მოდგმა გადაშენდება. ასე რომ, ეს საზოგადოება უკვე სულ სხვაგვარად შეხედავს შობადობისა და მოსახლეობის რაოდენობის პრობლემებს, და, ალბათ, უმტკივნეულოდაც წარმართავს ამ პროცესს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ განხილული დემოგრაფიული გადასვლის ფაზები ვერ ასახავენ დემოგრაფიული სტაბილიზაციის მთლიან პროცესს. მაშასადამე, ვერც დემოგრაფიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში გამოთქმულ მოსაზრებას გავიზიარებთ იმის შესახებ, რომ თითქოს მოკვდავობის კოეფიციენტის მიახლოება შობადობის კოეფიციენტთან ნიშნავდეს დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესის დამთავრებას. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა, მართალია, ნელა, მაგრამ დაუსრულებლად იზრდება. იმას რომ, მსოფლიოს მოსახლეობა, გარკვეული რაოდენობის მიღწევის შემდეგ, დაიწყებს კლებას არავინ არ უარყოფს და ეს არც არავითარ ეჭვს იწვევს. მაშასადამე, არც ის იწვევს ეჭვს, რომ ეს პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მოკვდავობა აჭარბებს შობადობას. ამრიგად, აუცილებელი ხდება მეხუთე ფაზის დამატება, რომლის დროსაც მოკვდავობის კოეფიციენტი გარკვეული დროის მანძილზე გადააჭარბებს შობადობის კოეფიციენტს და მხოლოდ ამის შემდეგ აღნიშნული კოეფიციენტები მეტ-ნაკლები ვარიაციით საერთო ჯამში ერთმანეთს დაემთხვევა, ერთმანეთის ტოლი გახდება, ესე იგი, ადგილი ექნება მოსახლეობის ნულოვან მატებას და თაობათა განახლება ძირითადად მოხდება ერთი და იგივე რაოდენობით. ამით დამთავრდება ეს ხანგრძლივი პროცესი და საბოლოოდ დამყარდება ისეთი დემოგრაფიული სტაბილიზაცია, რომელიც სავსებით მისაღები იქნება ცალკეული ქვეყნებისათვის, საერთოდ მთლიანი

[1] Я. Н. Гузеватый. Проблемы народонаселения стран Азии, Африки и Латинской Америки. М., 1970. с. 143-144.

ცივილიზებული სამყაროსათვის და რომლის შენარჩუნებაც მომავალი სამედიცინო მიღწევების ფონზე სრულებითაც არ იქნება ძნელი.


საქართველოში დემოგრაფიული გადასვლის მაჩვენებლები ჩვენ უკვე ზემოთ მოვიტანეთ. ამ მაჩვენებლებით ნათლად ჩანს ის თავისებურება და განსხვავება, რომლითაც ხასიათდება დემოგრაფიული გადასვლა ჩვენს ქვეყანაში. ეს განსხვავება განსაკუთრებით გამოკვეთილია მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, რასაც ცხადად გვიჩვენებს დემოგრაფიული გადასვლისა და დემოგრაფიული აფეთქების სქემები (იხ. სქემები №1, 2, 3). პირველი სქემის მიხედვით 1940-1996 წლებში საქართველოში მცირდება შობადობა და თითქმის პარალელურად იზრდება მოკვდაობა. ამის გამო ჩვენთან დემოგრაფიულ აფეთქებას ადგილი არ ჰქონია. სამაგიეროდ სომხეთსა და განსაკუთრებით აზერბაიჯანში 60-იანი წლების მიჯნაზე საგრძნობლად გაიზარდა შობადობა, შემცირდა მოკვდავობა და ამ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა დემოგრაფიულ აფეთქებებს, რაც მეორე და მესამე სქემებზეც ნათლად ჩანს. ამის შედეგად სომხეთსა და აზერბაიჯანში მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის რაოდენობა. მაგალითად, აზერბაიჯანში 1960-1970 წლებში მოსახლეობა გაიზარდა 1420 ათასი კაცით, ანუ 1,4-ჯერ.

საქართველოში შობადობა და მოკვდავობის ტენდენცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც დაამთავრეს დემოგრაფიული გადასვლა და იმყოფებიან ბოლო, სტაბილიზაციის სტადიაში. ამ სტადიაში ადგილი აქვს მოსახლეობის ნულოვან მატებას.


საერთოდ დემოგრაფიული გადასვლის დამთავრების შესახებ მსჯელობენ ამერიკელი დემოგრაფის დ. ბოგუს მიერ შემოთავაზებული კოეფიციენტის მიხედვით. რაც უფრო უახლოვდება ამ კოეფიციენტის სიდიდე 100-ს, მით უფრო მალე მოხდება დემოგრაფიული გადასვლის დამთავრება.

დ. ბოგუს კოეფიციენტის მიხედვით 1976-1977 წლებისთვის დემოგრაფიული გადასვლა დამთავრებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, სადაც ცხოვრობდა მოსახლეობის უმრავლესობა, კერძოდ, ესტონეთში, რუსეთში, ლატვიაში, უკრაინასა და ბელორუსიაში.[1] საქართველოს ამ პერიოდში დამთავრებული ჰქონდა დემოგრაფიული გადასვლის მეორე სტადია და იგი იყო მესამე სტადიის დასაწყისში. დემოგრაფიული გადასვლის პირველ სტადიაზე იმყოფებოდნენ შუა აზიის ქვეყნები, ხოლო მეორე სტადიაში — სომ-


[1] Особенности демографического развития в СССР. М., 1982, с. 100. 104.



სქემა 1



სქემა 2



სქემა 3

ხეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

აღსანიშნავია, რომ დ. ბოგუს კოეფიციენტის მიხედვით საქართველო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს იმყოფებოდა დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში. 1988-1989 წლებისათვის კი უკვე საქართველოში დამთავრებულია დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზა. დ. ბოგუს კოეფიციენტმა ჩვენთან 98,3 პროცენტს მიაღწია და ამ მაჩვენებლით საქართველო კიდევ უფრო მიუახლოვდა ყოფილ საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებს, სადაც დემოგრაფიული გადასვლა დასრულებულია, ვიდრე მეზობელ აზერბაიჯანსა (82,4 პროცენტი) და სომხეთს (87,6 პროცენტი).[1] უკანასკნელი წლების მონაცემებით საქართველოში მეტ-ნაკლები ზომით შეინიშნება მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება – ნეტო-კოეფიციენტი უკვე ერთზე ნაკლები გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თაობათა განახლება სულ უფრო მცირე რიცხვით ხდება, რაოდენობრივი თვალსაზრისით მომდევნო თაობა ველარ აჭარბებს წინა თაობას და შობადობის შემდგომი შემცირების პირობებში გარდაუვალია მოსახლეობის დეპოპულაცია.

[1] გ. ფირცხალავა. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურებების შესახებ. ჟურ. „ეკონომისტი“, №8-9, 1993, გვ. 23-24.

I.4. თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება

თანამედროვე მსოფლიოს საერთო დემოგრაფიულ ფონზე სულ უფრო ნათლად იკვეთება ახალი დემოგრაფიული სიტუაცია: მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მცირდება შობადობის დონე და, მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპიც. მაგრამ დედამიწის მოსახლეობა მაინც სწრაფად იზრდება და ძირითადად განვითარებადი ქვეყნები განსაზღვრავენ მსოფლიოს „დემოგრაფიულ ამინდს“.

დღეს ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ პირობად შობადობის შემცირებას მიიჩნევენ, მაგრამ ამ მიმართულებით ადმინისტაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური ღონისძიებების ფართოდ გამოყენების მიუხედავად, სასურველ ეფექტს მაინც ვერ აღწევენ და მხოლოდ ამ გაგებით ძალაში რჩება მეფისტოფელის შემდეგი სიტყვები: „მაგრამ რას უზამ ცხოველთა და კაცთა ბუნების ამ გამრავლების წყეულ უნარს“. თუ ეს სიტყვები საერთოდ ადამიანთა მოდგმის განახლებისათვის სრულიად მიუღებელია, ჭეშმარიტება მაინც ისაა, რომ ამ ქვეყნად მოვლენილი ყოველი ადამიანისათვის საჭიროა მისი წილი მიწა, რომელიც მას გამოკვებავს, ბინა, ტანსაცმელი და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ასევე თავისი წილი. მაგრამ ესეც არაა მთავარი. მოსახლეობის რაოდენობის პრობლემა განისაზღვრება არა მარტო იმით, თუ რამდენი ადამიანის გამოკვება შეუძლია დედამიწას, არამედ იმითაც, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, როგორია მათი ცხოვრების ხარისხი. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არა იმდენად შობადობის გაზრდაზე ზრუნავენ, რამდენადაც ბავშვიანი ოჯახებისათვის ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნაზე, ბავშვთა აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ბუნებრივი სიმდიდრის (რესურსების) შთამომავლობისათვის დატოვებაზე, რადგან ადამიანთა სულ უფრო დიდი რაოდენობის მიერ ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემთხვევაში, ბუნება ვეღარ ასწრებს მათ აღდგენას.

დღეს ჩვენს საზოგადოებას დიდად აღელვებს და აფიქრებს ქართველი ერის გამრავლების არასახარბიელო მდგომარეობა. მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ საგრძნობლად შეამცირა შობადობის დონე. უკანასკნელი წლების მაჩვენებლები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (შობადობა, მოკვდაობა) შესახებ ცნობილი მიზეზების გამო შეუძლებელია ზუსტად გამოვთვალოთ, მგრამ ერთი რამ ცხადია: უკვე გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე საჭიროა მშობელთა თაობის რაოდე-

ნობრივი შეცვლისათვის.

საქართველოში 1940 წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 27,4 ბავშვი დაიბადა, 1989 წელს – 16,7, ხოლო 1997 წელს – 10,7 ბავში. თუ XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად 90 ათასამდე ბავშვი იბადებოდა, 1997 წელს ახალშობილთა რიცხვმა 53 ათასი ბავშვი შეადგინა. საგულისხმოა, რომ ამაზე გაცილებით მეტი ბავშვი დაიბადა საქართველოში 1935 წელს, მაშინ, როდესაც ახლანდელთან შედარებით ქვეყანაში ორი მილიონი კაცით ნაკლები ცხორობდა.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ქართველ მოსახლეობაში, სხვა ეროვნებებთან შედარებით, დაბალია შობადობის დონე. 1989 წელს საქართველოში ყოველ ათას ქართველზე 16,1 ბავშვი დაიბადა, ყოველ ათას აზერბაიჯანელზე – 28,6, ხოლო ყოველ ათას ქურთზე – 31,0 ბავშვი.

თუ ცხრილის მონაცემებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ შობადობის აბსოლუტური მონაცემები უკანასკნელი 65 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 1940 წლს (ამ წლისათვის უკვე მოწესრიგებული იყო მიმდინარე სტატისტიკურ-დემოგრაფიული აღრიცხვა) საქართველოში 100 ათასი ბავშვი დაიბადა.

ომისა და შემდგომ წლებში შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ დაუშვებთ, რომ ომის წლებში ყოველწლიურად იმდენი ბავშვი მაინც დაიბადებოდა, რამდენიც 1940 წელს, მაშინ მარტო 1941-1945 წლებში საქართველოში 233 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დაიბადა ბავშვები 60-იანი წლების პირველ ნახევარში, 70-იან წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა, ხოლო 80-იან წლებში ისევ გაიზარდა. რაც შეეხება შობადობის დონეს, იგი 1940 წლიდან მოყოლებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ წლებში უმნიშვნელო ზრდას, სისტემატურად მცირდებოდა.

მოსახლეობის კვლავწარმოების საფუძველი ოჯახია. აქ ხდება თაობათა შეცვლა – შვილები მშობლები ხდებიან, ხოლო მშობლები ბებიები და ბაბუები. დემოგრაფიული თვალსაზრისით აქ მთავარი და საყურადღებო შემდეგია. ჩვენს პირობებში ოჯახმა იმდენი ბავშვი უნდა იყოლიოს, რომ არა მარტო თაობათა რაოდენობრივი განახლება მოხდეს, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო მოსახლეობის ოპტიმალური გამრავლებაც უზრუნველვყოთ. ამ მხრივ თითქოს საგანგაშო არაფერი იყო. თუ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგად კოეფიციენტებს მოვიშველიებთ, 1989 წელს საქართველოში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 16,7 ბავშვი დაიბადა, 8,6 კაცი გარდაიც-

საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების დინამიკა 1933 – 1997 წლებში

წლები	დაბადებულთა რიცხვი			გარდაცვლილთა რიცხვი			ბუნებრივი მატება		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1933	37007	13399	23608	18459	11554	6905	18548	1845	16703
1935	65972	16405	49567	25841	10090	15751	40131	6315	33816
1936	79396	20071	59325	28277	10296	17981	51119	9775	41344
1938	97778	26218	71560	29016	11795	17221	68762	14423	54339
1939	95125	27106	68019	27947	12123	15824	67178	14983	52195
1940	100060	28193	71867	32164	14679	17485	67896	13514	54382
1941	83385	25229	58156	31543	14750	16793	51842	10479	41363
1942	59655	19062	40593	30554	17075	13479	29101	1987	27114
1943	34057	13128	20929	27135	15524	11611	6922	-2396	9318
1944	40597	13803	26794	23681	11823	11858	16916	1980	14936
1945	49849	17011	32838	19808	9100	10708	30041	7911	22130
1946	65054	22499	42555	18908	9282	9626	46146	13217	32929
1947	77410	27334	50076	22234	11429	10805	55176	15905	39271
1948	71029	21716	49313	28997	11154	16853	43022	10562	32460
1949	77929	24388	53541	26976	10792	16184	50953	13596	37357
1950	82860	25319	57541	26792	10662	16130	56068	14657	41411
1951	85647	26966	58681	27909	10349	17560	57738	16617	41121

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1952	89670	28297	61373	28491	10662	17829	61179	17635	43544
1953	83624	28152	55472	28680	10718	17962	54944	17434	37510
1954	93001	32310	60691	27157	10585	16572	65844	21725	44119
1955	92409	32543	59866	25827	10444	15383	66582	22099	44483
1956	92372	32816	59556	24477	10120	14357	67895	22696	45199
1957	90964	33387	57577	27522	11226	16296	63442	22161	41281
1958	93825	34419	59406	26592	10679	15913	67233	23740	43493
1959	98896	36793	62103	28426	11750	16676	70470	25043	45427
1960	102866	39656	63210	27015	11606	15409	75851	28050	47801
1961	104429	42124	62305	27621	11673	15948	76808	30451	46357
1962	101717	41451	60266	30394	12932	17462	71323	28519	42804
1963	100326	41111	59215	29620	12768	16852	70706	28343	42363
1964	97433	41326	56107	29708	13172	16536	67725	28154	39571
1965	94987	39816	55171	31291	13950	17341	63696	25866	37830
1966	92026	38766	53260	30389	13732	16657	61637	25034	36603
1967	89302	39031	50271	32904	14643	18261	56398	24388	32010
1968	89660	40279	49387	32416	14992	17424	57244	25281	31963
1969	87069	40644	46425	35169	16144	19025	51900	24500	27400
1970	90207	42781	47426	34283	16093	18190	55924	26688	29236
1971	90396	41997	48399	35325	16103	19222	55071	25894	29177
1972	86402	40438	45964	36409	16426	19983	49993	24012	25981
1973	88577	42171	46406	35911	16673	19238	52666	25498	27168
1974	89761	43672	46089	37145	17334	19811	52616	26338	26278

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1975	89712	44919	44793	39292	18301	20991	50420	26618	23802
1976	90605	45425	45180	38875	18335	20540	51730	27090	24640
1977	89028	45119	43909	40139	19091	21048	48889	26028	22861
1978	88766	45106	43660	40239	19182	21057	48527	25924	22603
1979	89803	46147	43636	41907	20117	21790	47896	26080	21866
1980	89458	45502	43956	43346	20642	22704	46112	24860	21252
1981	92501	46741	45760	43961	20496	23465	48540	26245	22295
1982	91784	46074	45710	42734	20619	22115	49050	25455	23595
1983	92660	46829	45831	43301	20964	22337	49359	25865	23494
1984	95841	49075	46766	45787	22326	23461	50054	26749	23305
1985	97739	50195	47544	46153	22723	23430	51586	27472	24114
1986	98155	51471	46684	46354	23011	23343	51801	28460	23341
1987	94595	49966	44629	46332	22999	23333	48263	26967	21296
1988	91905	49096	42809	47544	23774	23770	44361	25322	19039
1989	91138	49244	41894	47077	23864	23213	44061	25380	18681
1990	92815	52082	40733	45946	23627	22319	46869	28455	18414
1991	89091	49273	39818	46473	24406	22067	42618	24867	17751
1992	72631	39992	32639	46762	24904	21858	25869	15088	10781
1993	61594	-	-	48938	-	-	12656	-	-
1994	57311	32426	24885	41596	22612	18984	15715	9814	5901
1995	56341	33008	23333	37874	20545	17329	18467	12463	6004
1996	53669	31354	22315	34414	19021	15393	19255	12333	6922
1997	52020	30839	21181	37679	20394	17285	14341	10445	3896


საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების დინამიკა 1940 – 1997 წლებში
(მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე)

წლები	დაბადებულთა რიცხვი			გარდაცვლილთა რიცხვი			ბუნებრივი მატება		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1940	27.4	25.2	28.4	8.8	13.1	6.9	18.6	12.1	21.5
1950	23.5	20.0	25.4	7.6	8.4	7.1	15.9	11.6	18.3
1951	23,9	20.5	25.8	7.8	7.9	7.7	16.1	12.6	18.1
1952	24.6	20.6	27.0	7.8	7.8	7.8	16.8	12.8	19.2
1953	22.6	19.8	24.3	7.8	7.5	7.9	14.8	12.3	16.4
1954	24.7	21.9	26.4	7.2	7.2	7.2	17.5	14.7	19.2
1955	24.1	21.3	25.9	6.7	6.8	6.7	17.4	14.5	19.2
1956	23.7	20.9	-	6.3	6.4	-	17.4	14.5	-
1957	23.0	20.5	24.8	7.0	6.9	7.0	16.0	13.6	17.8
1958	23.4	20.4	25.6	6.6	6.3	6.9	16.8	14.1	18.7
1959	24.2	21.3	26.4	7.0	6.8	7.1	17.2	14.5	19.3
1960	24.7	22.2	26.6	6.5	6.5	6.5	18.2	15.7	20.1
1961	24.7	22.5	26.5	6.5	6.2	6.8	18.2	16.3	19.7
1962	23.7	21.3	25.7	7.1	6.6	7.4	16.6	14.7	18.3
1963	23.0	20.6	25.0	6.8	6.4	7.1	16.2	14.2	17.9

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1964	22.0	20.1	23.7	6.7	6.4	7.0	15.3	13.7	16.7
1965	21.2	18.3	23.3	7.0	6.6	7.3	14.2	12.2	16.0
1966	20.3	17.8	22.6	6.7	6.3	7.1	13.6	11.5	15.5
1967	19.5	17.5	21.4	7.2	6.6	7.8	12.3	10.9	13.6
1968	19.4	17.7	21.0	7.0	6.6	7.4	12.4	11.1	13.6
1969	18.7	17.5	19.8	7.5	7.0	8.1	11.2	10.5	11.7
1970	19.2	19.0	19.4	7.6	7.1	7.4	11.9	11.9	12.0
1971	19.0	18.3	19.7	7.4	7.0	7.8	11.6	11.3	11.9
1972	18.0	17.3	18.6	7.6	7.0	8.1	10.4	10.3	10.5
1973	18.3	17.8	18.8	7.4	7.0	7.8	10.9	10.8	11.0
1974	18.4	18.1	18.7	7.6	7.2	8.0	10.8	10.9	10.7
1975	18.3	18.2	18.3	8.0	7.4	8.6	10.3	10.8	9.7
1976	18.3	18.1	18.6	7.9	7.3	8.4	10.5	10.8	10.2
1977	17.9	17.8	18.0	8.1	7.5	8.6	9.8	10.3	9.4
1978	17.8	17.5	18.0	8.0	7.4	8.7	9.7	10.1	9.3
1979	17.8	17.6	18.1	8.3	7.7	9.0	9.5	9.9	9.1
1980	17.6	17.2	18.2	8.5	7.8	9.4	9.1	9.4	8.8
1981	18.1	17.4	18.9	8.6	7.6	9.7	9.5	9.8	9.2
1982	17.8	16.9	18.9	8.3	7.5	9.1	9.5	9.3	9.3
1983	17.8	16.9	18.9	8.3	7.6	9.2	9.5	9.3	9.7
1984	18.3	17.4	19.2	8.7	7.9	9.7	9.5	9.5	9.6
1985	18.5	17.6	19.6	8.7	8.0	9.6	9.8	9.6	9.9

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1986	18.4	17.7	19.2	8.7	7.9	9.6	9.7	9.8	9.6
1987	17.6	16.9	18.4	8.6	7.8	9.6	9.0	9.1	8.8
1988	17.0	16.3	17.7	8.8	7.9	9.8	8.2	8.4	7.9
1989	16.7	16.2	17.4	8.6	7.8	9.7	8.1	8.4	7.7
1990	17.0	17.0	17.0	8.4	7.7	9.3	8.6	9.3	7.7
1991	16.6	16.0	17.4	8.7	7.9	9.6	7.9	8.1	7.7
1992	14.9	14.5	15.5	9.6	9.0	10.4	5.3	5.5	5.1
1993	12.6	-	-	10.1	-	-	2.5	-	-
1994	11.8	11.9	11.7	8.6	8.3	8.9	3.2	3.6	2.8
1995	11.6	12.1	11.0	7.8	7.5	7.9	3.8	4.6	3.1
1996	11.1	11.5	10.5	7.1	7.0	7.2	4.0	4.5	3.3
1997	10.7	11.3	9.9	7.7	7.5	8.1	2.9	3.8	1.8

საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების დინამიკა 1940-1997 წლებში



ვალა, ხოლო ბუნებრივი მატება 8,1 კაცს უდრიდა. მთლიანად ქვეყნის მოსახლეობა კი ამ წელს 44 ათასი კაცით გაიზარდა. მაგრამ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები მოვლენის არსს ყოველთვის სწორად და მთელი სისრულით როდი ახასიათებენ. ბავშვებს უპირატესად ახალგაზრდა ქალები ბადებენ, ხოლო იღუპებიან უმეტესად მოხუცები. ასე რომ, მოსახლეობაში რაც უფრო მეტია ახალგაზრდობის წილი, სხვა თანაბარ პირობებში, მით მაღალია შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და რაც უფრო მცირეა მოხუცთა წილი, მით დაბალია მოკვდაობის კოეფიციენტი. ამიტომ, თუ სხვა, უფრო ზუსტი, განმაზოგადებელი დემოგრაფიული კოეფიციენტებით ვისარგებლებთ, დავინახავთ, რომ საქართველოში შობადობა განუწყვეტლივ მცირდება. მაგალითად, შობადობის საშუალო დონეს მოცემულ კალენდარულ პერიოდში უფრო ნათლად ახასიათებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენ ბავშვს ბადებს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში. ასეთ ასაკად მიჩნეულია 15-49 წლები. 1989 წელს საქართველოში ორმოცდაათ წლამდე ასაკის ყოველ ათას ქალზე 2136 ბავშვი მოდიოდა, ანუ 2,1 ბავშვი ერთ ქალზე, ხოლო 1969-1970 წლებში გაცილებით მეტი — 2,6 ბავშვი. შედარებისათვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ტაჯიკეთში ეს მაჩვენებელი 5,1 ბავშვს უდრიდა.

1989 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ჩვენს ქვეყანაში უკვე კრიზისულ სიდიდეს იყო მიახლოებული. 1996 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და მან 1,7 ბავშვი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მარტივი კელავწარმოების დონეს

შეესაბამება ისეთი სიდიდის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც უდრის 2,1 ბავშვს (როდესაც მოკვდაობა ძალიან დაბალია). თუ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი აღნიშნულ კრიტიკულ ზღვარზე დაბალია, მაშინ არ არის უზრუნველყოფილი მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება. ჩვენის ქვეყნისათვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2,11-ს უდრის.

ანალოგიურ სურათს იძლევა მოსახლეობის კვლავწარმოების კიდევ უფრო ზუსტი მაჩვენებელი — ნეტო კოეფიციენტი. საქმე ისაა, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს დაბადებული გოგონებისა და ვაჟების საშუალო რიცხვს ერთ ქალზე გაანგარიშებით ნაყოფიერების ასაკში. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი, რადგან სწორედ გოგონები უზრუნველყოფენ დედათა თაობის შეცვლას. მგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ყველა დაბადებული გოგონა როდი აღწევს დედის ასაკს. გოგონათა ნაწილი ერთ წლამდე ასაკში იღუპება, ხოლო ნაწილი ვერ აღწევს ნაყოფიერების ასაკს. ესე იგი მხედველობაში უნდა მივიღოთ გოგონათა სიკვდილიანობის შემთხვევები. ამრიგად, უნდა გავიანგარიშოთ არა მარტო ის, თუ რამდენ გოგონას ბადებს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში, არამედ ისიც, თუ რამდენი გოგონა მიაღწევს დედის იმ ასაკს, როდესაც თვითონ დაიბადა. ეს კოეფიციენტი ახასიათებს ქალთა თაობის შეცვლის ხარისხს მათი ქალიშვილებით.

ჩვეულებრივ ნეტო კოეფიციენტი საშუალოდ ერთ ქალზე გაიანგარიშება. მიღებულია, რომ თუ ნეტო კოეფიციენტი ერთზე მეტია, ესე იგი, თუ ქალს საშუალოდ ერთ გოგონაზე მეტი ყავს, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას, თუ კოეფიციენტი ერთის ტოლია მოსახლეობის მარტივი, ხოლო თუ ერთზე ნაკლებია მოსახლეობის შეზღუდული კვლავწარმოება ხდება. როდესაც წლების განმავლობაში ნეტო კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. 1980-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში გაცილებით ნაკლები გოგონა იბადებოდა, ვიდრე საჭირო იყო დედათა თაობის შეცვლისათვის. საქართველოში 1989 წელს ნეტო კოეფიციენტი 1,003 უდრიდა. ამრიგად ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში დაახლოებით ერთ გოგონას ბადებდა. სტატისტიკა უფრო ნათელი გახდება თუ აღვნიშნავთ, რომ ყოველი ათასი დედის შესაცვლელად მხოლოდ 1003 გოგონა მოდიოდა. ეს მაჩვენებლები აზერბაიჯანში 1267, ხოლო ტაჯიკეთში 2290 უდრიდა. აღსანიშნავია, რომ 1983-1989 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის

რესპუბლიკების სოფლის მოსახლეობაში საქართველოში ყველზე დაბალი იყო კვლავწარმოების ნეტო კოეფიციენტი – იგი 1,1 უდრიდა. გამოთვლილია, რომ მოსახლეობის ოპტიმალური კვლავწარმოებისათვის საჭიროა ნეტო კოეფიციენტი 1,2 მაინც აღწევდეს. უკანასკნელ წლებში ნეტო კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა და მან 1996 წელს 0,777 შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასე გაგრძელდა მალე საქართველოში მოსახლეობის დეპოპულაცია დაიწყება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში და, კერძოდ, ქართველებში შობადობის დონე სისტემატურად მცირდებოდა. ამავე დროს, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მკვიდრ მოსახლეობაში 1979-1989 წლებში შობადობის დონე თითქმის ან უცვლელი დარჩა, ან მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, შობადობა გაიზარდა ყაზახებში, აზერბაიჯანელებში, ლიტველებში, ლატვიელებში, ტაჯიკებში, სომხებში, თურქმენებსა და ესტონელებში. მაგალითად, ესტონეთში 14,2 ნაცვლად 1989 წელს ყოველ ათას ესტონელზე 16,3 ბავშვი დაიბადა. ამავე პერიოდში კი შობადობის დონე განსაკუთრებით შემცირდა მხოლოდ ქართველებსა და რუსებში. შედარებისათვის ისიც საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველ ათას კაცზე ტაჯიკებში 42,9 ბავშვი იბადებოდა, თურქმენებში – 38,6, ყირგიზებში – 38,3, უზბეკებში – 37,4, ყაზახებში – 31,1, აზერბაიჯანელებში 28,6, ხოლო ქართველებში – მხოლოდ 16,1 ბავშვი.

შობადობის მაღალი ინტენსიურობა მოსახლეობის ბუნებრივი მატების ასევე მაღალ დონეს განაპირობებდა. 1989 წელს უკრაინაში 508 ათასი უკრაინელი დაიბადა, ხოლო უზბეკეთში 529 ათასი უზბეკი, მაშინ როდესაც ამ რესპუბლიკებში შესაბამისად 37 მილიონი უკრაინელი და 14 მილიონი უზბეკი ცხოვრობდა. ეს სწორედ იმის შედეგია, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზეირბაჯანში მეტად მაღალია. მაგალითად, ყოველ ათას უკრაინელზე ბუნებრივი მატება 1989 წელს 1,7 კაცს შეადგენდა, ხოლო ყოველ ათას ტაჯიკზე – 22,8 კაცს.

წლების განმავლობაში შობადობის მაღალი დონე მნიშვნელოვნად ცვლის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, რაც გავლენას ახდენს როგორც მოკვდაობის, ისე ბუნებრივი მატების მაჩვენებლებზე. მაგალითად, 1989 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მკვიდრი ეროვნებების მოკვდაობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ წელს ყოველი ათასი ქართველიდან 8,5 ქართველი გარდაიცვალა, ესტონეთში ყოველი ათასი ესტონელიდან – 13,6 ესტონელი. ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანელებში

5,8, ხოლო ტაჯიკებში 6,1 კაცს უდრიდა. აქედან არ შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ მოკვდაობის დონე ესტონელებში ან ქართველებში 1,5-2,3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე აზერბაიჯანელებსა ან ტაჯიკებში. თუ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასაც მივიღებთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ მოკვდაობის მაღალი რისკის მქონე ხანდაზმული ადამიანების წილი აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის მოსახლეობაში თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე საქართველოსა და ესტონეთში. მართლაც, 1989 წელს საქართველოს მთელი მოსახლეობის 17,4 პროცენტი იყო შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული, ხოლო ესტონეთში — 20 პროცენტი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში შესაბამისად მხოლოდ 10 და 7,5 პროცენტს უდრიდა. ამ შემთხვევაში მოკვდაობის კოეფიციენტის სიდიდეზე არსებითი გავლენა იქონია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკამ. ამდენად, რაც უფრო მეტია ქვეყანაში ახალგაზრდები, მით მეტია დაბადებათა რიცხვიც. აქედან ის დასკვნაც შეიძლება გავაკეთოთ, რომ საქართველოში მცხოვრებ არამკვიდრ მოსახლეობაში კიდევაც რომ შემცირდეს ორიენტაცია მრავალშვილიანობაზე, დიდი ხნის მანძილზე შობადობის დონე მათში მაინც მაღალი იქნება, რადგან არამკვიდრ მოსახლეობაში დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა წილი მეტად მაღალია.

სწორედ ამ და სხვა მიზეზების გამოც საქართველოში დაბადებულ ბავშვთა მთელ რაოდენობაში 1989 წელს მხოლოდ 66,9 პროცენტი იყო ქართველი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ქვეყნის მთელ მოსახლეობაში ქართველების წილი 70,1 პროცენტია. სულ ამ წელს საქართველოში 91 ათასი ბავშვი დაიბადა და მხოლოდ 61 ათასი იყო ქართველი. ქვეყანაში მცხოვრები ეროვნებების მოკვდაობის დონეში განსხვავების ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატების წილი კიდევ უფრო დაბალია — 65,3 პროცენტი. ესე იგი, თუ 1989 წელს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 44 ათას კაცს შეადგენდა, აქედან ქართველების ბუნებრივი მატება მხოლოდ 28,8 ათას კაცს უდრიდა. შედარებისათვის საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ლატვიაში მოსახლეობის მთელი ბუნებრივი მატების მხოლოდ 34 პროცენტი მოდიოდა ლატვიელებზე, სამაგიეროდ ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის თავიანთ რესპუბლიკებში შესაბამისად 97 და 95 პროცენტს უდრიდა. ამავე დროს 1991 წელს საქართველოში დაბადებულ ბავშვთა მთელ რაოდენობაში 8,4 პროცენტი იყო აზერბაიჯანელი, მაშინ, როდესაც მათი წილი მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 5,7 პროცენტს შეადგენდა.

ჩვენი ქვეყნისათვის სტატისტიკური მონაცემების ამ მეტად სავალალო ფონზე კიდევ უფრო დამაფიქრებელია სოფლად ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატების პრობლემა. ძნელია გულგრილი დარჩე იმ ფაქტის მიმართ, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1989 წელს 18681 კაცს შეადგენდა და აქედან მხოლოდ ნახევარი – 9300 კაცი იყო ქართველი.

უკანასკნელ წლებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. საქართველოში დაბადებულთა მთელ რაოდენობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ქართველების წილი. ეს მდგომარეობა ძირითადად გამოიწვია საერთაშორისო ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა – გარე მიგრაციაში უმთავრესად საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მონაწილეობენ. მაგალითად, 1995 წელს საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად 66 ათასი კაცი წავიდა. აქედან მხოლოდ 13 ათასი იყო ქართველი (19,7 პროცენტი), 26 ათასი – რუსი (39,4 პროცენტი), 12 ათასი – სომეხი (18,2 პროცენტი), 15 ათასი – დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი (22,7 პროცენტი). ამის შედეგად შეიცვალა დაბადებულთა სტრუქტურა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით. კერძოდ, 1985 წელს საქართველოში 97 ათასი ბავშვი დაიბადა და დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 63 ათასი ანუ 65 პროცენტი ქართველი იყო. ათი წლის შემდეგ – 1995 წელს ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობა, მართალია, შემცირდა და მან 56 ათასი შეადგინა, მაგრამ დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 48 ათას ბავშვს, ანუ 85 პროცენტს ქართველი ბავშვები შეადგენდნენ.

შობადობის მკვეთრი შემცირება ქვეყანაში დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში (1992 წლიდან). ამ საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში შობადობის არსებულ ტენდენციას უშუალოდ უკავშირებენ ეკონომიკის მკვეთრად დაქვეითებას, უმუშევრობას, სოციალური სფეროს მოშლას, პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. რა თქმა უნდა, ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენა უდაოა შობადობის მაჩვენებლებზე. პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ, მეურნეობრივი სისტემის შეცვლამ, ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა გარდაქმნებმა, რამაც ადამიანთა დიდ ნაწილს ერთობ გაუძნელა თავისი ადგილის პოვნა ამ სისტემაში და, მაშასადამე, თავისი შესაძლებლობების გამოვლენა, საზოგადოებაში წარმოშვა უიმედობა, სასოწარკვეთა, ხვალინდელი დღის შიში. მრავალი ადამიანისათვის მიღებული ცოდნა, რაც დიდი შრომისა და მატერიალური დანახარჯების ფასად იქნა მიღწეული და რითაც გარანტირებული


დაბადებულთა დინამიკა ეროვნებების მიხედვით 1965, 1970, 1985 და 1994-1996 წლებში საქართველოში

წლები / ეროვნებები	1965		1970		1985		1994		1995		1996	
	აბსო-ლუტურად	%	აბსო-ლუტურად	%	აბსო-ლუტურად	%	აბსო-ლუტურად	%	აბსო-ლუტურად	%	აბსო-ლუტურად	%
ქართველი	58378	61.5	59918	66.4	63597	65.1	47936	83.6	47850	84.9	45031	83.9
რუსი	5936	6.2	5737	6.4	4758	4.9	805	1.4	753	1.3	716	1.3
უკრაინელი	939	1.0	767	0.9	777	0.8	95	0.2	107	0.2	103	0.2
სომეხი	10577	11.1	8085	9.0	9420	9.6	2514	4.4	2370	4.2	2961	5.6
აზერბაიჯანელი	8201	8.6	6358	7.0	9358	9.6	4383	7.6	3643	6.5	3436	6.4
აფხაზი	1674	1.8	1793	2.0	1622	1.7	-	-	-	-	-	-
ოსი	4360	4.6	3287	3.6	3329	3.4	-	-	-	-	-	-
სხვა დანარჩენი	4922	5.2	4262	4.7	4878	5.0	1578	2.8	1618	2.8	1422	2.6
სულ დაბადებულები	94987	100.0	90207	100.0	97739	100.0	57311	100.0	56341	100.0	53669	1000

შენიშვნა: 1994-1996 წლებში მონაცემები აფხაზებისა და ოსების შესახებ არ გაგვაჩნია.

ჰქონდათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში, ერთბაშად გამოუსადეგარი, საზოგადოებისთვის უსარგებლო აღმოჩნდა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იძულებული შეიქმნა ისეთი საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი, რომელიც არ მოითხოვდა რაიმე განსაკუთრებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ყოველივე ამან დემოგრაფიული განვითარების პროცესებზე იმ მხრივ მოახდინა გავლენა, რომ შედარებით მაღალი ასაკის ადამიანებმა საერთოდ უარი თქვეს შემდგომი სასურველი ბავშვის გაჩენაზე, ხოლო ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკეთესი მერმისის მოლოდინში როგორც დაქორწინებისაგან, ისე ძირითადად მეორე ბავშვის გაჩენისაგან შეიკავა თავი. როდესაც სოციალურ-ეკონომიკური დაქვეითების პროცესი დიდხანს გრძელდება გადავადებული ბავშვის გაჩენის ალბათობაც სულ უფრო მცირდება.

საქართველოსში დაბადებულ ბავშვთა წილი ეროვნების მიხედვით 1965, 1985 და 1996 წლებში



მაგრამ 90-იან წლებში მხოლოდ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა როდი გამოიწვიეს შობადობის შემცირება. სხვა ობიექტურმა ფაქტორებმაც განაპირობა ეს პროცესი.

ცნობილია, რომ 90-იან წლებში დაბადებულ ბავშვთა მთელ რაოდენობაში 60,0, ხოლო 80-იან წლებში 70,0 პროცენტი მოდიოდა 20-29 წლის ასაკის ქალებზე. 1986 წელს ამ ასაკის ქალები 455 ათასს, ხოლო 1997 წელს 384 ათასს უდრიდა. ამრიგად 1997 წელს 20-29 წლის ასაკში მყოფი ქალები 71 ათასით ნაკლები იყო 1986 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რამაც გავლენა მოახდინა შობადობის მაჩვენებელზე. 90-იან წლებში შობადობის შემცირება ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ასაკობრივმა სტრუქტურულმა, ე.ი წმინდა დემოგრაფიულმა ფაქტორმაც განაპირობა. ყველაზე ნაყოფიერ ასაკში ქალების აბსოლუტური რიცხვის შემცირებამ ასევე შეამცირა დაბადებულთა საერთო რაოდენობა. თუ 1986 წელს 20-29 წლის ასაკის ქალებმა იყოლიეს 70 ათასი ბავშვი, ანუ ამ ასაკის ყოველ ათას ქალზე 150 ბავშვი მოდიოდა, 1997 წელს შესაბამისი მაჩვენებელი თითქმის 2,5-ჯერ შემცირდა და 31 ათასი ბავშვი შეადგინა, ანუ ყოველ ათას ქალზე 80 ბავშვი. 1997 წელს შობადობაზე არავითარი გავლენა რომ არ მოეხდინა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შობადობის ინტენსივობის 1986 წლის შენარჩუნების შემთხვევაში დაბადებულთა რაოდენობა 10500 კაცით მაინც შემცირდებოდა, რადგან 1997 წელს 20-29 წლის ასაკში 71 ათასით ნაკლები ქალი იმყოფებოდა 1986 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით (71X150=10500). 1997 წელს არსებული შობადობის ინტენსივობის პირობებში კი ამ წელს 5680 ბავშვით ნაკლები დაიბადებოდა (71X80=5680).

ამრიგად 90-იან წლებში შობადობის შემცირების მიმართულებით ერთდროულად ორი ფაქტორი ამოქმედდა – ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური და აგრეთვე სტრუქტურულ-დემოგრაფიული. ასე რომ სოციალურ-ეკონომიკურ კატაკლიზმებს ადგილიც რომ არ ჰქონოდა და შობადობის ინტენსივობა იგივე დონეზე ყოფილიყო შენარჩუნებული შობადობის შემცირებას მაინც ექნებოდა ადგილი სტრუქტურულ-დემოგრაფიული ფაქტორების გავლენით.

საქართველოს თანამედროვე დემოგრაფიული სურათი გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია წარსულში ქვეყნის განვითარების გავლენით. XX საუკუნეში საქართველოში, ისე როგორც სხვა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში ხდებოდა შობადობის მაღალი დონიდან დაბალ დონეზე გადასვლა. მოსახლეობის მატებას ძირითადად უზრუნველყოფდა ფერტილური ასაკის ქალების შედარებით მრავალრიცხოვნობა. მომავალში შობადობის თანამედროვე ასაკობრივი დონის შენარჩუნების პირობებში საშუალოდ ყოველ 100 ქალზე 210-215

ბავშვის ნაცვლად, რაც საჭიროა მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად, მოვა დაახლოებით 150 ბავშვი.

უკანასკნელ წლებში სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე არსებითი გავლენა მოახდინა ოჯახის ტიპებისა და სოციალური ფუნქციების ტრანსფორმაციამ, რასაც თან ახლდა ბავშვების დაბადებაზე კონტროლის საყოველთაო გავრცელება. თითქმის ყოველი ოჯახი გეგმავს არა მარტო ბავშვთა რაოდენობას ოჯახში, არამედ მათი დაბადების ვადებსაც, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. ეს პროცესი დასრულდა იმით, რომ ქვეყანაში დომინირებული ადგილი დაიკავა ორბავშვიანმა ოჯახმა. ამასთან, სულ უფრო იზრდება იმ ოჯახთა რიცხვი, რომლებიც უპირატესობას ოჯახში ერთი ბავშვის ყოლას ანიჭებენ.

მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებს ის, რომ ვერ ხერხდება ორსული ქალებისა და ჩვილი ბავშვების რაციონალური კვება, მათი საჭირო მიკროელემენტებითა და ვიტამინებით უზრუნველყოფა. ყოველივე ეს მეტად უარყოფითად მოქმედებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე. მაგრამ ეს ერთადერთი უარყოფითი ფაქტორი როდი არის. ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სტრესები, პიროვნების სოციალური გაურკვევლობა, ქალებისა და ახალშობილთა ავადობის თანამედროვე ტენდენციებთან ერთად, როგორც აღნიშნავენ, განაპირობებს ჩაკეტილ ციკლს — ავადმყოფი ნაყოფი — ავადმყოფი ბავშვი — ავადმყოფი მოზარდი — ავადმყოფი მშობლები. ციკლის ხანგრძლივობა 20-25 წელს უდრის. ყოველი ახალი ციკლის დაწყებასთან ერთად იზრდება ახალშობილთა პათოლოგიური დაავადებები. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1997 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთაგან 5 ათასი ბავშვი ანუ ყოველი მეათე ავადმყოფი დაიბადა ან გახდა ავად. მართალია, ეს მაჩვენებელი უკეთესია რუსეთის ფედერაციის შესაბამის მონაცემზე, სადაც უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა ასეთი ბავშვების რიცხვი და 1996 წელს მან ყოველი მესამე ბავშვი შეადგინა, მაგრამ განვითარებული ქვეყნების მონაცემებს იგი დიდად აღემატება. საქართველოში დაბადებული ავადმყოფი ან ავად გამხდარი ბავშვიდან 0-6 დღემდე ასაკში გარდაიცვალა თითქმის ყოველი მეცხრე ბავშვი. ასევე დიდია ქვეყანაში დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი.

დედების მოკვდაობას გარკვეულწილად ზრდის ოჯახის დაგეგმვაში არაცივილიზებული მეთოდების გამოყენება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ორსულობის თავიდან აცილების ისეთ თანამედროვე საშუა-

ლებებს, როგორიცაა ჰორმონალური კონტრაცეფცია და საშვილოსნოს შიდა სპირალის ჩადგმა იყენებს ქალების დაახლოებით 20-25 პროცენტი, მაშინ როდესაც აბორტს ქალების 75-80 პროცენტი მიმართავს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ აბორტების საერთო რიცხვიდან 283 გაკეთებულია პირველი ორსულობის დროს, ხოლო 1036 აბორტი 15-19 წლების ასაკის ქალებში. სამედიცინო გამოკვლევებით კი დადასტურებულია, რომ პირველი ორსულობის დროს აბორტი, როგორც წესი, გარკვეულ გართულებებს იწვევს და იმ ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მას მიმართავს შემდგომში შვილს ვერ აჩენს.

მცირეშვილიანობა მასობრივად ვრცელდება ქართულ მოსახლეობაში. სულ უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სამი და მეტი ბავშვი ყავთ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი მთელ დაბადებულთა 36,5 პროცენტს შეადგენდა, 1996 წელს ეს მაჩვენებელი 14,6 პროცენტამდე შემცირდა. მთელ დაბადებულებში განსაკუთრებით მაღალია პირმშოს დაბადების წილი. მაგალითად, 1989 წელს ქვეყანაში 91 ათასი ბავშვი დაიბადა და აქედან 42 ათასი ბავშვი (46 პროცენტი) დედებისათვის პირველი შვილი იყო. 31 ათას დედას (34 პროცენტი) კი მეორე შვილი შეეძინა, 13 ათასს (14 პროცენტი) — მესამე, ხოლო 3,2 ათასს (3,5 პროცენტი) — მეოთხე. მეხუთე ბავშვი მხოლოდ 972 ქალს შეეძინა. შემდეგი ბავშვები გაცილებით ნაკლები რაოდენობით დაიბადა. კერძოდ, თუ 1980 წელს საქართველოში მეათე და მეტი შვილი 64 ქალს ეყოლა, 1988 წელს მეათე და მეტი შვილი 37 ქალს შეეძინა, 1989 წელს — 17 ქალს, ხოლო 1996 წელს — მხოლოდ 7 ქალს. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული გაგებით მრავალშვილიანობა უკვე არსებით გავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის გამრავლებაზე. მართლაც, ქალებმა, რომელთაც 1989 წელს მეათე და მეტი შვილი ეყოლათ კიდევ თითო შვილი რომ გააჩინონ დამატებით 17 ბავშვი დაიბადება. მაგრამ ქალები, რომელთაც ამავე წელს მეორე შვილი ეყოლათ თუ მესამე შვილს გააჩენენ, მაშინ საქართველოს 31 ათასი ბავშვი შეემატება. რა თქმა უნდა, ქალების ნაწილი აჩენს მესამე შვილს, მაგრამ ქალთა დიდი ნაწილი ორი შვილის ამარა რჩება.


ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია, ასეთი კითხვაც დაისვას: რამდენი შვილია საჭირო ოჯახში მოსახლეობის ოპტიმალური კვლავწარმოებისათვის. მაგრამ დემოგრაფიული ოპტიმუმის კრიტერიუმის განსაზღვრა ძალიან ძნელია. იგი იცვლება საზოგადოების ისტორიული განვითარების შესაბამისად და სხვადასხვა პირობებში. მაინც შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის კვლავწარმო-

დაბადებულთა განაწილების დინამიკა დაბადების რიგითობის მიხედვით საქართველოში

წლები	სულ დაბადებულები	მათ შორის დაბადების რიგითობის მიხედვით									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1950 აბსოლუტურად	83166	29691	2234	12321	7650	45886	2963	1767	941	444	239
პროცენტობით	100,0	35,7	26,9	14,8	8,6	5,5	3,6	2,1	1,1	0,5	0,3
1960 აბსოლუტურად	102866	35672	29632	17693	9327	5239	2877	1349	647	265	159
პროცენტობით	100,0	34,7	28,8	17,2	9.1	5,1	2,8	1.3	0,6	0,3	0,1
1986 აბსოლუტურად	98155	42026	34922	15207	3998	1220	460	166	74	39	43
პროცენტობით	100,0	42,8	35,6	15,5	4,1	1,2	0,5	0.2	0,1	0,0	0,0
1994 აბსოლუტურად	57311	31020	18510	5605	1505	429	152	50	25	8	7
პროცენტობით	100,0	54,1	32,3	9,8	2,6	0,7	0,3	0.1	0,0	0.0	0,0
1995 აბსოლუტურად	56341	30012	18352	5642	1621	444	168	63	19	8	12
პროცენტობით	100,0	53,4	32,5	10,0	2,9	0,8	0,3	0,1	0,0	0.0	0,0
1996 აბსოლუტურად	53669	27686	18122	5663	1553	420	129	53	21	15	7
პროცენტობით	100.0	51,6	33,8	10,5	2.9	0,8	0.2	0,1	0,0	0.0	0,0

შენიშვნა: 1950 წელს დაბადების რიგითობა არ აჩვენა 732-მა, ხოლო 1960 წელს 6-მა დედამ. მონაცემები 1950 წელს დაბადებულთა საერთო რაოდენობის შესახებ, რომელიც აღებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, ოდნავ განსხვავდება სტატისტიკურ კრებულებში მოცემული მონაცემებისაგან.

საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რიგითობის მიხედვით განაწილების დინამიკა



ების ოპტიმალური ტიპი შესაძლებელია მაშინ, როდესაც საშუალოდ ერთმანეთს დაემთხვევა ოჯახისა და საზოგადოების დემოგრაფიული იდეალი. ოჯახის რეპროდუქციული შესწავლის დროს ანგარიშობენ ერთი დაქორწინებული წყვილის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბადებულ ბავშვთა რიცხვს. ამ შემთხვევაში მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება შეესატყვისება ბავშვთა რიცხვს, რომელიც საშუალოდ 2,6 ბავშვს უდრის. თუ საშუალოდ ყველა ოჯახი ორ-ორ ბავშვს იყოლიებს, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება — ორი ბავშვი ოჯახში თაობათა შეცვლას ვერ უზრუნველყოფს. ამის მიზეზი ისაა, რომ ოჯახთა გარკვეული ნაწილი უნაყოფოა, ხოლო ოჯახთა ნაწილს არ შეუძლია ერთ ბავშვზე მეტი იყოლიოს. ამიტომ მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად საჭიროა ოჯახთა რაღაც ნაწილს ჰყავდეს ოთხი და მეტი ბავშვი, რათა მოვახდინოთ უშვილო და ერთბავშვიანი ოჯახების კომპენსაცია. საბოლოო ჯამში სამი და მეტბავშვიანი ოჯახები უნდა შეადგენდნენ მთელი ოჯახების ნახევარზე მეტს თაობათა მარტივი ცვლის უზრუნველყოფის პირობებში. თუ გვინდა მოსახლეობის მცირე მატება მაინც,

მაშინ ასეთი ოჯახების კიდევ უფრო მეტი პროცენტია საჭირო.[1] ამიტომ ჩვენმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც მთავარი ყურადღება სწორედ სამ და ოთხშვილიან ოჯახებს უნდა დაუთმონ. ყოველივე ამის საჭიროებასა და მიზანშეწონილობას ჩვენი ქვეყნისათვის შემდეგი გარემოებებიც განაპირობებენ.

ამჟამად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთშობის შიდაოჯახური რეგულირება, რასაც ისიც ადასტურებს, რომ 1989 წელს დაბადებულ 91 ათასი ბავშვიდან თითქმის 74 ათასი, ანუ 81 პროცენტი 30 წლამდე ასაკის ქალებზე მოდიოდა. საერთოდ დემოგრაფიული პროცესების რეგულირება და კერძოდ შობადობისაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით. შობადობის ოპტიმიზაციისათვის მთავარი ისაა, რომ მოვახდინოთ ოჯახისათვის სასურველი ბავშვების რაოდენობის განწყობის რეალიზაცია. რა თქმა უნდა, ოჯახი ისწრაფვის იყოლიოს ბავშვთა სასურველი რიცხვი, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე თვით მოცემული ოჯახის ინდივიდუალური თავისებურებანი გავლენას ახდენს ამ სურვილის შესრულებაზე. დემოგრაფიული ქცევა განისაზღვრება არა მარტო შეხედულებებით, არამედ ცხოვრების კონკრეტული პირობებითაც.

უკანასკნელ ხანს სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიური მეთოდები დემოგრაფიული პროცესების შესწავლის დროს. ყოველ ოჯახს, ყოველ ადამიანს თავისი აზრი და დამოკიდებულება აქვს შობადობის, ქორწინების, განქორწინების, მიგრაციისა და სხვა დემოგრაფიული პროცესების მიმართ. ეს აზრი და დამოკიდებულება ძირითადად გამომუშავდება ეროვნული და ოჯახური ტრადიციების, რელიგიური მრწამსის, ცხოვრების კონკრეტული პირობების, განათლების დონისა და იმ სოციალური გარემოს მეშვეობით, რომელშიაც ადამიანებს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. ასე რომ, ადამიანთა დემოგრაფიული ქცევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ამდენად, გასაგებია ამ ფაქტორებთან ურთიერთკავშირში დემოგრაფიული პრობლემების შესწავლას რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ადამიანთა შეხედულებები უაღრესად თანხვდება მათ რეალურ დემოგრაფიულ ქცევას და, მაშასადამე, შობადობის, ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციული პროცესების განვითარების საერთო ტენდენციის გარკვევისა და პროგნოზირების საშუალებაც იქმნება.

---

[1] В. Борисов. Рождаемость или смертность – что лечить сначала? «Российский демографический журнал, 1996, №1, с. 14.

ცალკეული ინდივიდის, ოჯახის, მცირე ჯგუფის დემოგრაფიულ ქცევას ყველაზე ხშირად შეისწავლიან მოსახლეობის კვლავწარმოების ასპექტში და, უპირველეს ყოვლისა, შობადობის პრობლემებთან დაკავშირებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებს ოჯახი, არამედ ისიც, თუ რატომ უნდათ მათ მაინც და მაინც ორი ან სამი ბავშვი და რა ფაქტორები მოქმედებენ მათი დემოგრაფიული განწყობის ფორმირებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მეცნიერულ დონეზე შევიმუშავოთ და განვსაზღვროთ დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

შობადობის პრობლემების შესწავლის მიზნით ჩვენ 1989 წელს ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა თბილისსა და რესპუბლიკის ათ რაიონულ ცენტრში, როდესაც ქვეყანაში შედარებით სტაბილური მდგომარეობა იყო და ამდენად ამ გამოკვლევის მონაცემები საინტერესოა განსჯისათვის. გამოვიკითხეთ ძირითადად 40 წლამდე ასაკის 877 გათხოვილი ქალი. 1998 წელს კი თბილისში ჩავატარეთ გამოკვლევა. რესპონდენტთა რაოდენობა ასევე 40 წლამდე ასაკის 588 გათხოვილ ქალს უდრიდა.

ანკეტა შეიცავდა კითხვებს ოჯახში ბავშვთა სასურველი, მოსალოდნელი და ფაქტობრივი რიცხვის შესახებ. შეგნებული ბავშვთშობისა და განსაკუთრებით შობადობის დაბალი დონის პირობებში ამ მაჩვენებლის ცოდნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ის გარემოება იმსახურებს, რომ სასურველ ბავშვთა რიცხვი, როგორც წესი, ყოველთვის მეტია მოსალოდნელ და ფაქტიურ ბავშვთა რიცხვზე. ეს ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ სასურველი ბავშვთა რიცხვის დასახელებისას ქალი ბავშვთა იმ რაოდენობით ისაზღვრება, რომელიც უმჯობესად მიაჩნია იყოლიოს თავის ოჯახში. მაგრამ დემოგრაფიული ქცევა მარტოოდენ შეხედულებით როდი ყალიბდება. მოსალოდნელი და ფაქტიური ბავშვთა რიცხვი, უწინარესად, ცხოვრების კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული. და რადგან ეს ასეა, ის მიზეზებიც უნდა გავარკვიოთ, რომელიც ხელს უშლის ქალს იყოლიოს იმდენი ბავშვი, რამდენიც მას სურს. სწორედ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ მიუვახლოვოთ მოსალოდნელი და ფაქტიური ბავშვთა რიცხვი სასურველ რიცხვს და, მაშასადამე, შობადობაც ავამაღლოთ.

1989 წლამდე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ოჯახებში ბავშვთა სასურველ რაოდენობად საში ბავშვი მიაჩნდათ. 1989 წელს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ გავლენა მოახდინა ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობაზე. რო-

გორც ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, ოჯახში საშუალოდ 3,7 ბავშვი მიაჩნდათ სასურველად. ეს მაჩვენებელი თბილისისა და რაიონების მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა.

გამოკითხულ ქალებს საშუალოდ ფაქტობრივად ჰყავდათ 2 ბავშვი. რაიონებში ეს მაჩვენებელი ოდნავ მაღალია (2,1 ბავშვი), ვიდრე თბილისში (1,9 ბავშვი). რა თქმა უნდა, გამოკითხულ ქალთა ნაწილი კიდევ აპირებდა ბავშვის ყოლას. გამოკითხულ ქალებს სურვილი ჰქონდათ კიდევ გაეჩინათ საშუალოდ 0,7 ბავშვი (თბილისში — 0,8 ბავშვი, რაიონებში — 0,6 ბავშვი). ასე რომ, ამ სურვილის რეალიზაციის შემთხვევაში მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობა როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე თბილისსა და რაიონებში, 2,7 ბავშვი იქნებოდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ შობადობის დონე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის თანაბრდება, რასაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებენ.

1998 წელს ჩატარებულ გამოკვლევის შედეგად მნიშვნელოვნად განსხვავებული მონაცემები მივიღეთ. გამოკითხულ რესპონდენტებს უკვე ოჯახში ბავშვთა სასურველ რაოდენობად გაცილებით ნაკლები — 2,9 ბავშვი მიაჩნიათ. ფაქტობრივად მათ ყავთ მხოლოდ 1,4 ბავშვი, ხოლო სურვილი აქვთ კიდევ 0,5 ბავშვი იყოლიონ. ამ სურვილის რეალიზაციის შემთხვევაში მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობა თბილისში 1,9 ბავშვი იქნება. ამდენად, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თბილისში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც სასურველი, ისე ფაქტობრივი და მოსალოდნელი ბავშვთა საშუალო რიცხვი. თბილისში ჩატარებული გამოკვლევის მონაცემები იმაზე მიუთუთებენ, რომ ბავშვთა მოსალოდნელი და, მით უმეტეს, ფაქტობრივი რიცხვის მიხედვით დედაქალაქში შეუძლებელია მოსახლეობის მარტივი კლავწარმოება, ე.ი. თაობათა განახლება ერთი და იგივე რაოდენობით, ხოლო მონაცემები ბავშვთა სასურველი რიცხვის შესახებ იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეულ პირობებში შეიძლება შობადობის გაზრდა, ე.ი. არსებობს ზრდის გარკვეული რეზერვები.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტრადიციული გაგებით მრავალშვილიანი ოჯახები მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო საზოგადოებრივი აზრით ოჯახში სამი და ზოგ შემთხვევაში ოთხი ბავშვია სასურველი, ღონისძიებათა მთელი კომპლექსიც ამ მიმართულებით უნდა განვახორციელოთ. კერძოდ, უნდა მოვახდინოთ ამ განწყობის რეალიზაცია, ე.ი. ყოველ ოჯახში საშუალოდ ბავშვთა ფაქტობრივი რაოდენობა მივუახლოვოთ ბავშვთა სასურველ რაოდენობას. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლე-

ვამ გვიჩვენა, თუ ის მიზეზები და სირთულეები, რომელთა გამო ბავშვის ყოლას არ აპირებენ, მოწესრიგდება და გადაწყდება თბილისში გამოკითხულ ქალთა 29 პროცენტი კიდევ აპირებს ბავშვის ყოლას.

ოჯახში სასურველ და ფაქტობრივ ბავშვთა რიცხვზე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს განათლების დონე და მატერიალური პირობები. კერძოდ, 1989 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით განათლების დონის ზრდასთან ერთად მცირდება ბავშვთა სასურველი და ფაქტობრივი რიცხვი (გაანგარიშებულია იმ ოჯახების მიმართ, რომლებიც აღარ აპირებენ მეტი ბავშვის ყოლას, ე.ი. დამთავრებულია ოჯახის ფორმირება). მაგალითად, საშუალო განათლების მქონე დედებს ოჯახში სასურველად მიაჩნდათ საშუალოდ 3,8 ბავშვი, სპეციალური საშუალო განათლების მქონე დედებს კი შესაბამისად — 3,7 და 3,6 ბავშვი. განათლების დონის გავლენა შობადობაზე უფრო ნათლად გამოიკვეთა ოჯახში ბავშვთა ფაქტობრივ რიცხვზე დამოკიდებულებით. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებს ფაქტობრივად ყავთ 2,6 ბავშვი, ხოლო საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება მიღებულ რესპონდენტებს შესაბამისად 2,2 და 2,0 ბავშვი. ამავე დროს, ჩვენი გამოკვლევის მიხედვით ბინის ფართობი ბავშვთა სასურველ და ფაქტობრივ რიცხვზე არსებით გავლენას ვერ ახდენს. მხოლოდ თბილისში შეიმჩნევა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ სულზე მოსული ბინის ფართობის ზრდასთან ერთად ოჯახში მცირდება ფაქტობრივ ბავშვთა რიცხვი. განსაკუთრებით მცირდება ბავშვთა ფაქტობრივი რიცხვი ოჯახის ერთ სულზე ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად.

ამრიგად, ჩვენმა გამოკვლევამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ მაღალი განათლებისა და მაღალი ფულადი შემოსავლების მქონე ოჯახებში შობადობის დონე დაბალია. აქედან ის დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, რომ თითქოს საჭირო არ არის მატერიალური პირობების გაუმჯობესება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში უმჯობესდება ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის ხარისხი. ამის შესახებ სავსებით სამართლიანად მიუთითებს პროფ. ლ. ჩიქავა: „მატერიალურად შეძლებულ ოჯახებში ბავშვების რიცხოვნობა შედარებით მცირეა არა იმიტომ, რომ მას ხელს უშლის სიმდიდრე, არამედ იმიტომ, რომ ასეთ პირობებში წარმოიქმნება დემოგრაფიულ პროცესებზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა მთელი კომპლექსი.

სხვა თანაბარ პირობებში, მატერიალური კეთილდღეობის ზრდა არა მარტო არ უშლის ხელს მოსახლეობის აღწარმოებას, არამედ

პირიქით, არაპირდაპირი გზით ხელს უწყობს მას — დაწყებული რეპროდუქციული ორიენტაციის ფორმირებით და დამთავრებული ბავშვთა სასურველი რაოდენობის გაჩენით, მისი მოვლა-პატრონობით, ფიზიკურად ჯანსაღი და გონებრივად მაღალინტელექტუალური პიროვნებების ჩამოყალიბებით. თუმცა არ შეიძლება ამ პრობლემაზე ერთნაირად ვიმსჯელოთ ყველა ვითარებაში, ვთქვათ, საქართველოსა და შვედეთის მიმართ, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იქ მართლაც ძნელი შესამჩნევია ამ ფაქტორთა ზემოქმედება შობადობის გადიდებაზე (და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში არც ახდენს მასზე გავლენას), ჩვენთან კი, პირიქით, ძალიან ადვილი დასანახია, რამდენადაც ბავშვების სასურველ რაოდენობას მოსალოდნელი რიცხვონობა ძირითადად სწორედ ამ ფაქტორთა გამო ჩამორჩება (განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში — 90-იანი წლებში), ე.ი. ეშინია თითოეულ ოჯახს შესძლებს თუ არა სასურველი რაოდენობის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას".[1] ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს შობადობა გავზარდოთ, მაგრამ არა იმაზე მეტად, ვიდრე ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მთავარი მიზანია ამჟამად მოსახლეობის მარტივი, ხოლო შემდეგ ოდნავ გაფართოებული კვლავწარმოება. როგორც ჩვენი და აგრეთვე მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, შობადობა დაბალია უფრო მდიდარ ქვეყნებში. ამასთან, შობადობის დაბალი დონით გამოირჩევიან ის ქვეყნები, რომლებშიდაც სახელმწიფო და ეკლესია ერევა ოჯახის საქმეებში, მაგალითად, გერმანია, იტალია, ესპანეთი, სადაც შობადობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოში.

ბავშვიან და განსაკუთრებით მრავალშვილიან ოჯახებში შესამჩნევად დაბალია ცხოვრების დონე. იზრდება დანახარჯები ბავშვთა მოვლასა და აღზრდაზე. ოჯახი კი შესაბამის კომპენსაციას მოზრდილი შვილებიდანაც ვერ ღებულობს და ვერც საზოგადოება უზრუნველყოფს მათ ამ მხრივ. უფრო მეტიც, დღეს მრავალი ახალგაზრდა ოჯახი მხოლოდ მშობლების უშუალო მატერიალური ხელშეწყობის იმედით აჩენს ბავშვებს.

წლების მანძილზე ხელფასი მრავალთათვის ძლივს უზრუნველყოფდა საარსებო საშუალებათა იმ მინიმუმს, რომელიც აუცილე-

---

[1] ლ. ჩიქავა. დემოგრაფიული პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხისათვის. სამეცნიერო სესია თემაზე: „ეკონომიკური და სო-ციალური განვითარების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებანი, მე-ქანიზმი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში". მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 16-17.

ბელია ოჯახის წევრების ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის. ამიტომ მშობლები, ძირითადად ახალგაზრდა ბებიები და ბაბუები, იძულებული არიან ბევრ ცხოვრებისეულ სიკეთეზე უარი თქვან, თავად ბევრი რამ მოიკლონ და შვილებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბავშვების მოვლასა და აღზრდაში, მათი ახალგაზრდა ოჯახების ფეხზე დაყენებაში. დღეს, მართალია, ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი გაჭირვება გვაქვს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება და განვითარება უცილობლად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ბავშვთა აღზრდისათვის ყოველმხრივი პირობები შეექმნათ და ახალგაზრდამაც საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს.

შობადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავისუფალი დროის ფაქტორი. ამჟამად თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად ხმარდება ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას. ბუნებრივია, ეს მდგომარეობა გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. უპირველეს ყოვლისა, შობადობაზე. ქალის ფართოდ დასაქმება ამცირებს მრავალშვილიანობას და საერთოდ ზღუდავს ბავშვთა რაოდენობას ოჯახში. ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ თავისუფალი დროის ფაქტორმა სათანადო გავლენა იქონია მოსახლეობის კლავწარმოების თანამედროვე მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, ათეული წლების მანძილზე ჩვენში გაბატონებული ცხოვრების წესმა ქალი ჩამოაშორა ოჯახს და ბევრ შემთხვევაში მისთვის შეუფერებელი, მძიმე საზოგადოებრივი შრომით დატვირთა. ამავე დროს მომსახურების სფეროს უაღრესად დაბალი დონის პირობებში ქალს ოჯახური შრომის მთელი სიმძიმეც დააწვა.

თანამედროვე დემოგრაფიული განვითარების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოჯახის დაგეგმვის საკითხები. ოჯახის დაგეგმვას უხსოვარი დროიდან მიმართავდნენ. გარკვეული ზომით და ზოგჯერ ქვეცნობიერად ყველა ეპოქაში ხდებოდა ოჯახში ბავშვთა რიცხვის რეგულირება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველყოფილ საზოგადოებას, სადაც სქესთა შორის მოუწესრიგებელი ურთიერთობები არსებობდა და ფაქტობრივად ფიზიოლოგიურ შობადობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ვერც პირველყოფილ საზოგადოებაზე ვიტყვით გადაჭრით, რომ იქ საკმაო ზომით არ ხდებოდა ბავშვთა რიცხვის შეზღუდვა. ადამიანთა განვითარების ადრინდელ საფეხურზე სქესობრივი ლტოლვა უმნიშვნელო როლს თამაშობდა ადამიანის ცხოვრებაში და სქესობრივი სიცივე მაშინდელი ხანმოკლე სი-

ცოცხლის პირობებში ქალის ასევე ხანმოკლე ფერტილური ასაკის მთელი შესაძლებლობებით გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ ველურ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული დაბადებული ბავშვების მკვლელობა.

ძველ საბერძნეთში ცნობილი იყო ორსულობის თავიდან აცილების სხვადასხვა საშუალება. ჩვენამდე დაცული ცნობის თანახმად, სპარტანული კანონმდებელი ლიკურგე ურჩევდა თავის რძალს მუცლის მოსაშლელი წამალი არ მიეღო.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის უაღრესად სწრაფი ზრდის პირობებში, როდესაც ასეთი ზრდა ეკონომიკის შემაფერხებელი და ცხოვრების დონის დაქვეითების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ხდება, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ბავშვთშობის შიდაოჯახურ რეგულირებას — ოჯახის დაგეგმვას. ამ შემთხვევაში მეუღლეები ნებაყოფლობით იღებენ ოჯახის სიდიდის, კერძოდ, ოჯახში ბავშვთა რიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას. თუმცა, რა თქმა უნდა, ოჯახის დაგეგმვის მნიშვნელობა მარტოოდენ ბავშვების გეგმაზომიერ დაბადებაში როდი გამოიხატება.

ოჯახის დაგეგმვას გააჩნია მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი საფუძველი. ეს არის შეგნებული დედობა და მამობა. ოჯახს უფლება ეძლევა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვროს ბავშვების სასურველი რიცხვი, ბევშვების დაბადებას შორის ინტერვალები, ბავშვთა დაბადების დრო მშობლების ასაკისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, თავიდან აიცილოს არასასურველი ორსულობა.

ამჟამად განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ოპტიმალური სიდიდის ოჯახების გავრცელებას, განსაკუთრებით მაღალი შობადობის დონის მქონე ქვეყნებში. ამ ასპექტში დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნისთვის სასურველი დემოგრაფიული განვითარების საჭირო განწყობის ჩამოყალიბება და მისი გამოვლენა დემოგრაფიულ ქცევაში. მაგრამ ოჯახის დაგეგმვა მსოფლიო მოსახლეობის უაღრესად სწრაფი ზრდის პირობებში, როგორც ითქვა, მარტოოდენ ამ ზრდის შემცირების მნიშვნელობით როდი ამოიწურება. სამედიცინო-დემოგრაფიული თვალსაზრისით მას დიდი სარგებლობა მოაქვს ბავშვების, დედებისა და საერთოდ ოჯახისათვის. უპირველეს ყოვლისა, ოჯახის დაგეგმვის პირობებში იზრდება ორსულობათა შორის ინტერვალი, მცირდება ბავშვთა დაბადებათა რიცხვი ნაადრევ ასაკში და სხვ.

ამჟამად, წინა პერიოდთან შედარებით, შობადობაზე მომქმედი ფაქტორების იერარქია დიდად არ შეცვლილა. მთავარ ფაქტორებად

კლავ რჩება ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობა, თუმცა მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1998 წელს თბილისში გამოკითხულ ქალთა 42 პროცენტმა შემდეგი, ძირითადად მეორე და მესამე ბავშვი არ გააჩინა მძიმე ეკონომიკური პირობების, ხოლო 21,5 პროცენტმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ღირებულებათა სისტემაში ერ-ერთი მთავარი ადგილი საზოგადოებრივ მდგომარეობას უჭირავს. სწორედ ამ ფაქტორის გამო გამოკითხულ ქალთა 16,9 პროცენტმა თავი შეიკავა მომდევნო ბავშვის გაჩენისაგან. რესპონდენტთა 5,5 პროცენტმა კი უარი თქვა მომდევნო ბავშვის ყოლაზე იმ მიზეზით, რომ ოჯახში დამხმარე არავინ ჰყავს, ხოლო 3,9 პროცენტს მიაჩნია, რომ მეტი ბავშვის ყოლა საჭირო არ არის. მეტად ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ გამოკითხულ ქალთა უმრავლესობამ ბავშვების დაბადება გადაავადა ძირითადად ისევ ეკონომიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გამო. ამასთან, თუ პირველი შვილის გადავადება უპირატესად ჯანმრთელობის მიზეზით მოხდა, მეორე და მესამე შვილის გადავადება უმთავრესად ეკონომიკურმა ხელმოკლეობამ განაპირობა.

საერთოდ, ოჯახთა უმრავლესობას პირველი შვილი ერთ წელიწადში უჩნდებათ. ჩვენი გამოკვლევის მიხედვით ქალთა 65 პროცენტს პირველი შვილი დაქორწინებიდან ერთ წელიწადში შეეძინა, 12 პროცენტს – ორ, 3 პროცენტს – სამ, ხოლო 2 პროცენტს – ოთხ და მეტ წელიწადში. გამოკითხულ ქალთა 18 პროცენტს, ანუ თითქმის ყოველ მეხუთე ქალს პირველი შვილი ქორწინებიდან 9 თვემდე (არ იგულისხმება 7-თვიანი ბავშვები) გაუჩნდათ – ისინი ოფიციალურ ქორწინებამდე დაორსულდნენ.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბევრი დაქორწინებული წყვილი უბავშვოდ რჩება, ან მათ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ უჩნდებათ შვილები. კერძოდ, იმ ქალების 71 პროცენტმა, რომლებსაც ბავშვი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ შეეძინათ, ამის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა. ყოველივე აღნიშნული მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ ამჟამად ქვეყანაში 30 ათასი ოჯახური წყვილია უშვილო. მაშასადამე, ქალისა და მამკაცის უნაყოფობის მკურნალობა და პროფილაქტიკა მეტად აქტუალურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს უნაყოფობის პროფილაქტიკას მოზარდებს, სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეებს შორის, რადგან ოჯახის შექმნის დროს ძნელი, ან შეუძლებელი ხდება უნაყოფობის მკურნალობა დაგვიანებული დიაგნოსტიკის გამო. ამასთან,

უკანასკნელ წლებში მოზარდთა შორის გახშირდა ფსიქოსექსუალური პათოლოგია (ჰომოსექსუალიზმი, სხვა გაუკუღმართებული სქესობრივი პათოლოგიები). აუცილებელია მათი ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და გამიჯვნა ენდოკრინული პათოლოგიებისაგან. როგორც პირველი, ისე მეორე პრობლემა მოზარდთა ასაკში შედარებით იოლად კორეგირებადი არის და მოითხოვს ამ ეტაპზე გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს როგორც სახელმწიფოს, ისე ოჯახის მხრიდან.

სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობა ნაკლებად ზრუნავს საკუთარი ჯანმრთელობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 37 პროცენტი თავს ჯანმრთელად თვლის, პროფილაქტიკის მიზნით ექიმს საერთოდ არ მიმართავს ქალთა 68 პროცენტი, ხოლო 21 პროცენტი წელიწადში ამ მიზნით მხოლოდ ერთხელ აკითხავს ექიმს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში მხოლოდ 39 პროცენტი მიმართავს ექიმს ჯანმრთელობის გაუარესების შემჩნევისთანავე, 29 პროცენტი — ჯანმრთელობის საგრძნობლად გაუარესების შემთხვევაში, 13 პროცენტი — ჯანმრთელობის იმდენად გაუარესების დროს, რომ საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლეს, ხოლო 19 პროცენტი ავადმყოფობის შემთხვევაში თვითმკურნალობას ეწევა. მართალია, ასეთ სიტუაციას მძიმე ეკონომიკური პირობებიც განაპირობებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დაბალია ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განათლების დონე, თვითშენახვითი ქცევა.

არსებული ვითარება სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას საჭიროებს. ამ ასპექტში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ორგანიზაციის, დაფინანსებისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფში სჭირდება ადამიანს ყველაზე მეტად სამედიცინო მომსახურება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის გარკვევა არა მარტო მთლიანად მოსახლეობის, არამედ სქესის მიხედვითაც, რადგან სხვადასხვა ასაკის მამაკაცები და ქალები განსხვავებული ინტენსივობით მიმართავენ ექიმს, განსაკუთრებით მაღალ ასაკში. ამასთან, ესა თუ ის დაავადება მეტ-ნაკლები ზომით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში იჩენს თავს და ამდენად ცხადი ხდება სქესისა და ასაკის მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის დადგენის საჭიროება. ყველა ეს საკითხი უშუალო კავშირშია დემოგრაფიულ ცვლილებებთან და შეუძლებელია ამ ცვლილებების გათვალისწინების გარეშე

წამოჭრილი დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა.

ჩვენ ყველანი მთელი სიცოცხლის მანძილზე და, ალბათ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, დაბადებამდეც კი ვსარგებლობთ ჯანმრთელობის სისტემით. მაგრამ ცალკეული ინდივიდი და მთლიანად მოსახლეობა სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში სამედიცინო მომსახურებისათვის მეტად განსხვავებული რაოდენობის ხარჯებს საჭიროებს. თუ სიცოცხლის პირველ წელს სამედიცინო ხარჯები შედარებით დიდია, შემდეგ, თითქმის 30 წლის მანძილზე ეს ხარჯები უმნიშვნელოა და იგი მატულობს 30-40 წლის ასაკის მოსახლეობისათვის. ამ ასაკში უკვე ქალები მამაკაცებთან შედარებით სამედიცინო მომსახურებისათვის მეტ დანახარჯებს საჭიროებენ მათი რეპროდუქციული პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. 50-60 წლის ასაკში უკვე მამაკაცები უფრო ხშირად სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემით, ხოლო 60 წელსა და უხნეს ასაკში ორივე სქესისათვის კიდევ უფრო მეტად იზრდება სამედიცინო ხარჯები. აქ უკვე იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ, როგორც აღნიშნავენ, ექიმებისადმი ნდობა პიროვნების მხრიდან იზრდება 40 წლის ასაკიდან, ხოლო საავადმყოფოებით სარგებლობა საშუალოზე მეტი დონით თავს იჩენს 50 წლის ასაკიდან. 70 წლის ასაკიდან პიროვნება 5-ჯერ უფრო ხშირად სარგებლობს საავადმყოფოთი, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე, ხოლო 80 წლის ასაკიდან 12-ჯერ მეტად. რაც შეეხება ექიმებს, მათ ადამიანი 70 წლის ასაკიდან ორჯერ უფრო ხშირად იძახებს, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე, ხოლო 80 წლის ასაკიდან — 2,5-ჯერ უფრო ხშირად. ამრიგად ასაკის ზრდასთან ერთად ადამიანები უფრო ხშირად სარგებლობენ საავადმყოფოს მომსახურებით, ვიდრე ექიმებით.

ჯანმრთელობის სისტემის რეორგანიზაციის დროს აუცილებელია ამ ფაქტის გათვალისწინება. კერძოდ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ათწლეულებში დაბადებულთა რიცხვი მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან და მასზე დამოკიდებულებით შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების მთელი სისტემის ცვლილება ყოველ ათწლეულში. XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობას ყველაზე ნაკლები რაოდენობით დაჭირდება საავადმყოფო საწოლები, რადგან ამ პერიოდში ქვეყანას ყველაზე მცირე რაოდენობით ეყოლება ხანშიშესულები — ისინი ხომ ომის დროს დაიბადნენ, როდესაც შობადობის დონე

დაბალი იყო. შემდეგ ათწლეულებში მოთხოვნილება საავადმყოფო საწოლებზე მკვეთრად გაიზრდება, რადგან დიდად მოიმატებს ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა. ქვემოთ მოტანილი მონაცემები აღნიშნული მსჯელობის კონკრეტული გამოხატულებაა.

საქართველოს მოსახლეობის შობადობის დინამიკა 1940-1997 წლებში ათწლეულების მიხედვით

წლები	დაბადებულთა რიცხვი
1940-1949	659 021
1950-1959	903 268
1960-1969	959 815
1970-1979	893 257
1980-1989	935 776
1990-1997	535 472

ამრიგად, თუ ჩვენ საავადმყოფოებს დიდი რაოდენობით დავხურავთ, მაშინ XXI საუკუნის მეორე ათწლეულში ჩვენი ქვეყნის ასიათასობით მეტ მოქალაქეს დაჭირდება საავადმყოფოებით სარგებლობა, ვიდრე პირველ ათწლეულში. ე.ი. ათი წლის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ საჭიროა მათი ხელახალი გახსნა. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია იმის აღნიშვნაც, რომ ხანშიშესულებსა და ხანდაზმულებს შედარებით დიდი ხნით ესაჭიროებათ საავადმყოფოებში მკურნალობა, რადგან მათი გამოჯანმრთელება ნელა მიმდინარეობს. ამავე დროს, მეტად ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სქესის მიხედვით სხვადასხვა ხასიათის სამედიცინო მომსახურებაა საჭირო და ხანშიშესულ, კერძოდ, 65 და უხნეს ასაკში კი ქალები ასიათასობით მეტია მამაკაცებთან შედარებით. მაგალითად, 1996 წელს აღნიშნულ ასაკში 367 ათასი ქალით მეტი იყო, ვიდრე მამკაცი.

აღნიშნული პრობლემა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, მაინც არ შეიძლება ცალსახად განვიხილოთ, იგი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. საავადმყოფოების დახურვისა და გახსნის საკითხი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებასაც გულისხმობს და ამრიგად ოპტიმალურ გადაწყვეტას საჭიროებს. ალბათ, ერთ რაიონში ორი საავადმყოფოს ფუნქციონირებას შემცირებული საწოლებით, როდესაც იგივე რაოდენობით პაციენტების მომსახურება ერთ საავადმყოფოს შეუძლია, არავითარი გამართლება არ აქვს.

ქვეყანაში ამჟამად არსებული სამედიცინო მომსახურების ქსე-

ლი ისეთია, რომ იგი აძვირებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საავადმყოფო საწოლებისა და ექიმების დიდი რაოდენობა. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით ექიმების ოპტიმალური შეფარდება მოსახლეობასთან არის 1:650. საქართველოში ეს შეფარდებაა 1 : 248. ასეთი გაანგარიშება, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყველა ქვეყნისათვის მისაღები იყოს. ამა თუ იმ ქვეყანაში ექიმების შეფარდებას მოსახლეობასთან მრავალი ფაქტორი განაპირობებს და მასზე დამოკიდებულებით იცვლება აღნიშნული შეფარდება. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის თავისებურებები, მისი ჯანმრთელობის დაცვის განათლების დონე, მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, ამა თუ იმ ქვეყანაში გავრცელებული დაავადებების სახეობები, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ცხოვრების დონე და სხვ. მაგრამ მაინც თუ ჩვენ მსოფლიო ბანკის გაანგარიშებას მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სჭირდება 8290 ექიმი, მაშინ როდესაც ამჟამად ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში 21706 ექიმი მუშაობს. საგულისხმოა, რომ ექიმების რაოდენობა უკანასკნელ წლებში იზრდება. მაგალითად, 1997 წელს წინა წელთან შედარებით ექიმების რაოდენობა 2644-ით, ან 13,8 პროცენტით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. როგორც კანადელი დემოგრაფები აღნიშნავენ, „ექიმების ჭარბი რაოდენობა ზრდის სამედიცინო მომსახურების ღირებულებას, რაც გამოწვეულია არასაჭირო კონსულტაციებით, პროცედურებითა და დანიშნულებით. უფრო მეტიც, ზოგიერთი ექიმი ძალიან მოწადინებულია პაციენტის საავადმყოფოში მოთავსებით. რაც უფრო მეტია საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, მით უფრო მეტი პაციენტის მიღება ხდება მათ შესაესებად. გამოკვლევამ არ აჩვენა არაეითარი კორელაცია ჰოსპიტალიზაციასა და კარგ ჯანმრთელობას შორის. ფაქტიურად პაციენტი ინფექციის შეძენის რისკის წინაშე საავადმყოფოში უფრო დგას, ვიდრე სახლში“.

ამრიგად, კანადელი დემოგრაფების მოტანილ მსჯელობაში ექიმთა ანაზღაურების საკითხიც არის დასმული. საერთოდ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ექიმებს არ შეეძლოთ არასაჭირო პროცედურებისა და კონსულტაციების ჩატარება. ამჟამად სამედიცინო მომსახურებაზე გადახდის სისტემა, რომლითაც ხდება ექიმების ანაზღაურება, ზარალიანია, რადგან ექიმების დიდი რაოდენობით არსებობის პირობებში სამედიცინო მომსახურებაც მეტია, რაც თავის მხრივ იწვევს მეტი ფულის გაღებას ჯანმრთელობის დაცვისათვის სახელმწიფო სახსრებიდან. თუ კანადის მაგალითს

მოვიშველიებთ, აღნიშნული მიზეზების გამო ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯები უკანასკნელ 10 წელიწადში გაორმაგდა, მაგრამ კანადელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას არაფერი დატყობია. როგორც აცხადებენ, სამედიცინო პროცედურების 30,0 პროცენტის ჩატარება კანადაში საჭირო არ იყო.[1]

თუ ზემოთ აღნიშნულს დასკვნის სახით წარმოვადგენთ, იგი ასეთი იქნება: საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების დახურვისა და გახსნის შემთხვევაში დემოგრაფიული ფაქტორი, კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ, ისე როგორც საწოლების შემცირება და სხვა ამგვარი ღონისძიებების გატარება დაწვრილერთეულებული სამედიცინო ობიექტების ხელოვნურად შენარჩუნების მიზნით, ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის საჭიროება ასევე არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ და სათანადო ღონისძიებები არ განვახორციელოთ.

ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტემა მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ სწორი დაგეგმვის შემთხვევაში, რაც უნდა ეფუძნებოდეს დემოგრაფიული რეალობის ასევე სწორ გააზრებას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მუნიციპალური და სხვა ამგვარი არარაციონალური, ზედმეტი ხარჯების შემცირება და ეკონომიის შედეგად მიღებული სახსრების მოხმარება დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის უკეთესი სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. ამით გარკვეულწილად მაინც მოისპობა ის დიდი უსამართლობა, როდესაც მხოლოდ მაღალი შემოსავლების მქონე პირებს შეუძლიათ ჰქონდეთ უკეთესი სამედიცინო მომსახურება, რადგან მათ აქვთ ასეთი სამედიცინო მომსახურების ყიდვის საშუალება.

ქვეყანაში სამედიცინო ქსელის ორგანიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნულ საკითხებთან ერთად აუცილებლად უნდა გავითავალისწინოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არ არის დამოკიდებული არც მოსახლეობის რაოდენობასა და არც მის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობაზე. მომავალში მშვიდობიანი კავკასიის იდეის განხორციელებასთან ერთად სულ უფრო გახშირდება ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის კავშირები ხალხებს შორის. თავისი გეოგრაფიული და სხვა მნიშვნელოვანი პირობების გამო თბილისი დიდ როლს შეასრულებს კავკასიის ცხოვრებაში. ამიტომ საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ თბილისში მოწინავე ტექნოლოგიებსა და მკურნალობის ასევე მოწინავე მეთოდებზე დამყარებული

[1] David K. Foot, vith Daniel Stoffman. Boom, Bust and Echo, 1996, Toronto, p. 163-182.

კლინიკური ცენტრების შექმნაზე, ევრაზიის დერეფანთან დაკავშირებით შესაბამისი პროგრამების შედგენაზე სამედიცინო-რეაბილიტაციური ცენტრების ჩამოსაყალიბებლად. რაც მთავარია, ამისთვის ქვეყანაში არსებობს ერთ-ერთი მთავარი პირობა — გვყავს მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები. ამასთან, მაღალი დონის კლინიკური ცენტრების შექმნის შემთხვევაში შეგვიძლია მოვიწვიოთ უცხოეთში არც თუ ისე მცირე რაოდენობით მომუშავე ცნობილი ქართველი მედიკოსები. ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

განვითარების თანამედროვე პირობებში სულ უფრო აუცილებელი ხდება თითოეულმა დამოუკიდებელმა, სუვერენულმა ქვეყანამ განსაზღვროს ქვეყნის მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა. მისი გაანგარიშებისას ყოველმხრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა: ტერიტორიის მოცულობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები, არსებული რესურსები, ინტელექტუალური შესაძლებლობები, განვითარების დონე, ცხოვრების წესი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და სხვ. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროება, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა. მხოლოდ ასეთ პირობებში ხდება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პოტენციალის სრულად ამოქმედება, არსებული მოსახლეობისა და მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველყოფა. თუ არ ვიზრუნებთ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობის ოპტიმიზაციაზე და თვითმიზნად დავისახავთ, უწინარესად, მხოლოდ მისი რიცხოვნობის ზრდას, ეს კი მეტად საეჭვოა რომ შევძლოთ, მაშინ უთუოდ წარმოიშობა წინააღმდეგობა საზოგადოებასა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესაძლებლობებს შორის. ბუნებას გააჩნია თავისი შესაძლებლობების ზღვარი. მოსახლეობის ზომაზე მეტად მატებისა და, მაშასადამე, მოთხოვნილებების შესაბამისი ზრდის პირობებში, ბუნება ვეღარ ასწრებს დახარჯული რესურსების განახლებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თვით შორეულ პერსპექტივაშიც კი საერთოდ შეუძლებელია მათი აღდგენა.

ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად იზრდება და ამას მეტად საშიშ მოვლენად მიიჩნევენ, რადგან ირღვევა ბუნებასა და საზოგადოებას შორის ნორმალური ურთიერთობის შესაძლებლობა. ადამიანი გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე ბუნებას ძალუძს მოხმარებული საშუალებების აღდგენა. სასარგებლო წიაღისეულის მრავალი საბადო უკვე ამოწურულია. მინერალური ნედლეულისა და სათ-

ბობის მსოფლიო მოხმარება 1950-იანი წლებიდან დაწყებული ყოველ 15 წელიწადში ორმაგდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიოში მარტო 1960-1985 წლებში უფრო მეტი ნედლეული იქნა მოპოვებული, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე. საზოგადოებას სულ უფრო ძვირი უჯდება მატერიალური რესურსების მოპოვება, გადამუშავება და გადაზიდვა. მცირდება საზოგადოებაში სასარგებლო წიაღისეულის შემცველობა. საგრძნობლად გაიზარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საშუალო სიღრმე. მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირში მისი არსებობის უკანასკნელ ოცდაათ წელიწადში ქვანახშირის შახტების საშუალო სიღრმე 138 მეტრიდან 446 მეტრამდე გაიზარდა.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა, ცხოვრების სულ უფრო კომფერტაბელურად მოწყობის სურვილი და მისი პრაქტიკული განხორციელება არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. თანამედროვე, მობილური საზოგადოების არსებობა შეუძლებელი ხდება უდიდესი მატერიალური რესურსების მოხმარების გარეშე. კაცობრიობა უჩვეულო დილემის წინაშე დგას: ან მკვეთრად უნდა შეამციროს რესურსების მოხმარება, უარი თქვას ცხოვრების უკვე მიღწეულ დონეზე და შესაბამისად ჩვეულებად ქცეულ მოთხოვნილებებზე, ან უზრუნველყოს რესურსების მოხმარებისა და მოთხოვნილებების ოპტიმიზაცია. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ასევე ოპტიმალურ გამრავლებას. კაცობრიობა ასეთი არჩევანის წინაშე არასდროს მდგარა, რადგან ადრე მსოფლიოს მოსახლეობა უმნიშვნელოდ იზრდებოდა.

დღეს მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს იმ ჰიპოთეზას, რომ აფრიკა იყო კაცობრიობის წინარე სამშობლო. ქვემო პალეოლითის ხანაში, ანუ 1 მილიონი წლის წინათ აქ დასახლებული პირველყოფილი ადამიანების რიცხვი 125 ათას კაცს შეადგენდა. ამ პერიოდში მოსახლეობა უკიდურესად ნელა იზრდებოდა და მხოლოდ 700 ათასი წლის შემდეგ, ანუ 300 ათასი წლის წინათ მან მიაღწია ერთ მილიონ კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ათას წელიწადში მსოფლიოში მოსახლეობა საშუალოდ 1250 კაცით იზრდებოდა, ხოლო ყოველ ერთ წელიწადში საშუალოდ 1,25 კაცით. უკვე 25-10 ათასი წლის წინათ, მოსახლეობის რიცხვი შესაბამისად 3,3 და 5,3 მილიონ კაცს უდრიდა. როგორც ჩანს, ადამიანთა ასეთი რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდა ცივილიზაციის ფორმირების უზრუნველყოფისათვის ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით.[1]

[1] Древние цивилизации. М., 1989, с. 20-21.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში – პირველ საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 200-250 მილიონ კაცს შეადგენდა. ერთ მილიარდს მან 18 საუკუნის შემდეგ 1820 წლისათვის მიაღწია, მეორე მილიარდს – 107 წლის შემდეგ (1927 წელს), მესამე მილიარდს – 32 წლის შემდეგ (1959 წელს), მეოთხე მილიარდს – უკვე სულ რაღაც 15 წლის შემდეგ (1974 წელს). 1999 წელს კი მსოფლიოს მოსახლეობა 6 მილიარდს გადააჭარბებს, ე.ი. უკანასკნელ 25 წელიწადში მისი მოსახლეობა 2 მილიარდით გაიზარდა. ცხადია, კაცობრიობის მიერ მოხმარებული რესურსების განახლების პრობლემაც ბოლო ათწლეულებში დადგა და მომავალში იგი კიდევ უფრო მწვავედ იჩენს თავს.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, დემოგრაფიულ პროცესებზე საზოგადოების ზემოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია. მეტად ძნელია, ერთი მხრივ, საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის სასურველი რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება და მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება არა მარტო პიროვნებათა შეხედულებების მრავალგვარობა, არამედ მათი განწყობის განმსაზღვრელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, ეროვნული, ოჯახური, რელიგიური ტრადიციების მრავალფეროვნება. იდეალურ შემთხვევაში განწყობა მთლიანად რეალიზდება ქცევაში, მაგრამ დემოგრაფიული ქცევა მარტოოდენ შეხედულებების გავლენით როდი ყალიბდება – ცხოვრების კონკრეტულ პირობებს გარკვეული კორექტივები შეაქვს უკვე ფორმირებული განწყობით განპირობებული დემოგრაფიული ქცევის მთელი სისრულით გამოვლენაში, ზოგჯერ კი საერთოდ სათუოდ ხდის მის რეალიზაციას. „ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც, მაგალითად, ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ პასუხობს რეპროდუქციულ განწყობას, ან ქვეყნის ცხოვრებაში მოულოდნელად ხდება ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები და სხვ. ბუნებრივია, განწყობის ფორმირების დროს ეს ფაქტორები, ასე ვთქვათ, არ მუშაობს, ე.ი. სახეზე გვაქვს გარკვეული განწყობა, მაგრამ ვერ ხერხდება მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის რეალიზაცია“.[1]

---

[1] ვ. ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია, გვ.133.

თავი II. სიცოცხლის ხანგძლივობა და მოსახლეობის დაბერება

კაცობრიობას უძველესი დროიდან აღელვებდა სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემა. თითქმის ხუთი ათას წელს ითვლის ადამიანის შემოქმედებითი გენიის, უძველესი ცივილიზაციის უბრწყინვალესი ძეგლი „გილგამეში“, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხი იშვიათი სიძლიერითაა დასმული. სწორედ ამ პირველ ლიტერატურულ ძეგლშივე ადამიანი ცდილობს ცხოვრების აზრის გაგებას, მისი საიდუმლოების ახსნას. ამ ეპოსის გმირი გილგამეში „მარადიულ სიცოცხლეს ეძებს“. იგი შეშფოთებულია მისი მეგობრის ენქიდუს სიკვდილით, კაცთა მოდგმის სიცოცხლის საოცარი დასასრულით და შეძრწუნებული კითხულობს: „ნუთუ მის მსგავსად მეც დავიძინებ და ვერასოდეს ვეღარ აღვდგები?“ გილგამეში ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ მანაც უნდა „იძინოს უთვალავი წლები“ და გაეშურება უკვდავების საძებნელად. იგი ბევრ ტანჯვას გამოიელის, მაგრამ ამაოდ დაშვრება, რადგან, ერთი ბრძნული ანდაზისა არ იყოს, „სიკვდილიც ისე მოდის, როგორც სიცოცხლე“. გილგამეში საბოლოოდ რწმუნდება, რომ „საშველი სიკვდილისაგან არ არსებობს“.

მსოფლიოს ხალხთა მითების, ზღაპრების, ეპოსის გმირები თავდავიწყებით ეძებენ უკვდავების ხეს, წყალს, ბალახს, მაგრამ ეს ძიება უშედეგოდ მთავრდება — მიწიერისათვის უკვდავება ყოველთვის მიუწვდომელი რჩება.

ადამიანი გულს არასოდეს იტეხდა და სანუგეშოდ უკვე მითოლოგიურ გმირებს მოუხმობდა, რომლებმაც ვითომდა რამდენიმე საუკუნე იცოცხლეს. ის ამით ცდილობდა ხანგრძლივად სიცოცხლის შესაძლებლობა რეალურ სამოსელში გაეხვია, მოკვდავის ხვედრი შეემსუბუქებინა.

ისტორიამ მართლაც იცის იმის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ადამიანმა საკმაოდ დიდხანს იცოცხლა — საუკუნენახევარი და ორი საუკუნეც, მაგრამ ასეთი შემთხვევები მხოლოდ გამონაკლისი იყო. კაცობრიობის არსებობის მანძილზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს ითვლიდა. ამჟამად ეკონომიკური და სოციალური სფეროების, სამედიცინო მომსახურების შესამჩნევი დაწინაურების პირობებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მსოფლიოში ექვს ათეულ წელსაც ძლივს აღწევს, ხოლო ასი წელი, შორეულ მომავალშიც კი, ჯერჯერობით სანუკვარ ოცნებად რჩება.

თუ ისევ წარსულს დავუბრუნდებით, მეტად ხანმოკლე იყო ჩვენი წინაპრების სიცოცხლე. პირველყოფილი ადამიანების შესახებ, ცხადია, არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ პალეო-

დემოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე ამ საკითხის თაობაზე გარკვეული წარმოდგენა მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ — მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ადამიანთა ჩონჩხის ანალიზი ამის საშუალებას იძლევა.

ამ პერიოდში მოსახლეობის კლავწარმოება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ტომთა შიგნით ბატონობდა სრულიად შეუზღუდავი სქესობრივი ურთიერთობა — თითოეული ქალი თანაბრად ეკუთვნოდა თითოეულ მამაკაცს და თითოეული მამაკაცი, თითოეულ ქალს — და ამავე დროს არ არსებობდა შობადობის ხელოვნურად შეწყვეტის საშუალებანი, მოსახლეობა მაინც მეტად ნელა მრავლდებოდა. ამის მიზეზი იყო არსებობისათვის ბუნებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მამაკაცებისა და, აგრეთვე, ქალების სქესობრივი სიცივე, სქესობრივად მოუმწიფებელი ქალიშვილების სქესობრივი კავშირი, რაც აბერებდა მათ დროზე ადრე და უკარგავდა ბავშვის დაბადების შესაძლებლობას, რაოდენობრივი დისპროპორცია სქესთა შორის, ბავშვთა უაღრესად მაღალი მოკვდაობა, ნორმაზე მეტი დაბადებული ბავშვებისა და რიტუალური მკვლელობა, თემთა შორის შეიარაღებული შეტაკებანი, კაციჭამიობა და სხვ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბალი იყო და ხანდაზმულობა — იშვიათი. მოდალური სიცოცხლის ხანგრძლივობა უძველეს და საშუალო ქვის ხანაში 26 წელს უდრიდა. როგორც ცნობილი დემოგრაფი ბ. ურლანისი აღნიშნავს, კიდევ უფრო დაბალი იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რამდენადაც მაღალი იყო ბავშვთა მოკვდაობა. ამასთან პირველყოფილ ხალხში ნაყოფიერება მეტად მაღალია. მაგალითად, ავსტრალიის აბორიგენები, როდესაც ევროპელებმა პირველად ნახეს, ქვის ხანის პირობებში ცხოვრობდნენ და მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ. დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას 14 წელს უდრიდა. ამ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული შვილის მკვლელობა. მაგალითად, მე-19 საუკუნის გერმანელ მოგზაურს ობერლენდერს უჩვენეს ქალი, რომელმაც მოკლა თავისი 10 შვილი. ცენტრალურ ავსტრალიაში ქალთა დაახლოებით 60 პროცენტი შვილებს ხოცავდა. ზოგჯერ შვილებს გარკვეულ ასაკამდე აცოცხლებდნენ და შემდეგ ხოცავდნენ.

ანტიკურ ეპოქაში სიცოცხლის საშუალო ხანგრლივობის დასადგენად უკვე შედარებით საიმედო მონაცემები მოგვეპოვება. ესაა ეპიტაფიები სასაფლაოებზე, რომლებიც გამოხატავენ რომაელთა პატივისცემას გარდაცვლილთა ხსოვნისადმი. საერთოდ, რომაელის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახი დაუყონებლივ აცნობებდა ამის შესახებ შესაბამის თანამდებობის პირს, რომელსაც გარდაცვლილის სახელი შეჰქონდა გარ-

დაცვლილ მოქალაქეთა სიაში და იღებდა შეკვეთებს დასაფლავების ორგანიზაციაზე, კერძოდ, შეიძლებოდა მოტირალი ქალებისა და ფლეიტაზე დამკვრელების დაქირავება და სხვ.

მიცვალებულთან გამოთხოვება სამიდან შვიდ დღემდე გრძელდებოდა. წინასწარ აცხადებდნენ დასაფლავების დღეს. ოჯახი საკმაოდ დიდ სახსრებს იღებდა დაკრძალვისათვის, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც ასაფლავებდნენ ცნობილ პირს ან ვინმეს მდიდარი ოჯახიდან. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ სპეციალური კანონები შემოიღეს დასაფლავების ხარჯების შესამცირებლად. კერძოდ, კანონით იკრძალებოდა ათზე მეტი ფლეიტაზე დამკვრელის დაქირავება, აგრეთვე შეამცირეს მოზარე ქალებისა და გვირგვინების რაოდენობა და სხვ.

აკლდამასა და საფლავის ქვაზე გარდაცვლილის სიცოცხლის ხანგრძლივობასაც აღნიშნავდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი ახალგაზრდა მამაკაცის აკლდამაზე გაკეთებულ წარწერაში საკმაოდ გავრცელებულ შემდეგ ცნობასაც ვხვდებით: „გამვლელო, აქ განისვენებს 18 წლის ჰელიოდორი“. ანტიკური ეპოქის 48 სასაფლაოზე გაკეთებული 24848 ეპიტაფიის საფუძველზე უნგრელმა მეცნიერმა ი. შილადიმ გამოთვალა გარდაცვლილთა საშუალო ასაკი – სიცოცხლის ხანგრძლივობა 32,2 წელს უდრიდა. ეს მონაცემი მოსახლეობის მდიდარ, შეძლებულ ნაწილზე ვრცელდებოდა. ღარიბ მოსახლეობაში, სათანადო მონაცემების უქონლობის გამო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით დაბალი იყო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ღარიბებს გარდაცვალებისთანავე ყოველგვარ ცერემონიის გარეშე საერთო ორმოში ღამით ასაფლავებდნენ.

მონათმფლობელური წარმოების წესის წარმოშობის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ მონების რაოდენობა მცირე იყო და ისინი გამოიყენებოდნენ როგორც დამხმარე ძალა, როდესაც მონამფლობელი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა წარმოების პროცესში, საზოგადოებრივი ურთიერთობანი ხელს უწყობდნენ შობადობის ამაღლებას მონებს შორის. მონათა შრომა, მართალია, იყო მძიმე, მაგრამ არა ქანცგამცლელი, კვება იყო საკმარისი, მამაკაცი და ქალი მონები იზოლირებული არ იყვნენ. მონების შვილები რჩებოდნენ მონებად. ხარჯი ბავშვების გამოსაკვებად იყო უმნიშვნელო. მონათმფლობელისათვის ხელსაყრელი იყო მის მონებს ყოლოდათ ბევრი ბავშვი.

მონათმფლობელური წარმოების წესის აყვავების პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა: მონები გადაიქცნენ ძირითად სამუშაო ძალად, რომლებიც იძლეოდნენ ზედმეტ პროდუქტს. მათი შრომა შეიქმნა ქანცგამცლელი. მონათმფლობელი ყოველმხრივ ცდილობდა მალე დაებრუნებინა ყიდვის ხარჯები. ამ მიზნით იგი აძლიერებს ექსპლუატაციას, მისთვის

უკვე უაზრო ხდება ფეხმძიმე მონა ქალების განთავისუფლება სამუშაოდან, ბავშვების შესანახი ხარჯების გაწევა. მონათმფლობელისათვის მიზანშეწონილია სწრაფად გამოიყენოს მონის ძალა — მისი სიკვდილის შემდეგ იყიდის მეორეს. ხდება მონების — მამკაცებისა და ქალების განცალკევება, მკაცრად ისჯება ამ კანონის დამრღვევი. ყოველივე ეს ხელს უწყობდა შობადობის განუწყვეტელ შემცირებას მონათა შორის. მონათა რიცხვის გაზრდის ძირითადი წყარო ხდება ომები.

მონათმფლობელური წარმოების წესის ადრინდელ პერიოდში წვრილ მწარმოებლებში, უმთავრესად გლეხებში, შობადობას შედარებით ხელშემწყობი პირობები ჰქონდა. შემდეგში წვრილი მწარმოებლების რიცხვის შემცირებისა და მათი პირობების გაუარესების შედეგად ხდება მათ შორის შობადობის შემცირება. ასეულ ათასობით გლეხი მონაწილეობდა განუწყვეტელ ომებში და მოწყვეტილი იყო თავის ოჯახს ზოგჯერ 20-25 წლით. კანონით ჯარისკაცს აკრძალული ჰქონდა შესულიყო ლეგალურ ქორწინებაში.

ზედმეტი პროდუქტის სულ უფრო დიდი რაოდენობით წარმოება, მწარმოებლური შრომიდან მონათმფლობელთა დაშორება ქმნის მონათმფლობელთათვის განცხრომით, ფუფუნებაში ცხოვრების პირობებს, რის შედეგადაც მცირდება ქორწინება და იზრდება განქორწინებათა რიცხვი, ეცემა შობადობა. თვით მაღალ საზოგადოებაში. ჩვენამდე მოღწეული მონაცემების საფუძველზე ამ პერიოდში ახალგაზრდა ქალებს არ სურთ ყავდეთ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახები გადაიქცნენ დიდ იშვიათობად, მამაკაცთა დიდი ნაწილი საერთოდ რჩებოდა მარტოხელა. რომის იმპერიაში ოჯახის გამტკიცებისა და შობადობის ასამაღლებლად გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგალითად, მამაკაცები 25-დან 60 წლამდე, ხოლო ქალები 20-დან 50 წლამდე უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში. გაუთხოვარი ქალები იხდიდნენ გადასახადს მთელი ქონების ერთი პროცენტის ოდენობით, ყოველი ახალი ბავშვის დაბადება მშობლებს აძლევდა ახალ შეღავათებს და სხვ.

მოსახლეობის გამრავლებასა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე დიდ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, გლადიატორთა ბრძოლები, მონათა აჯანყებები, რომლებსაც უდიდესი სისასტიკით ახშობდნენ, ეპიდემიები, რომლებიც უცხო იყო პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში და სხვ. მაგალითად, პლუტარქეს გადმოცემით ველიტრელებს თავს დაატყდათ შავი ჭირი და ისე გააუბედურა და შემუსრა მოსახლეობა, რომ მისი მეათედი ნაწილი ძლივსღა დარჩა.

მონური შრომის მძიმე პირობები განსაზღვრავდნენ მონათა შორის მაღალ მოკვდაობას, მათი შრომისუნარიანი პერიოდის შემცირებას,

რაც საბოლოო ჯამში იწვევდა თაობათა სწრაფ ცვლას. მოსახლეობა შედარებით ნელა იზრდებოდა — შობადობა უმნიშვნელოდ ჭარბობდა მოკვდავობას.

სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ძველ დროში ადამიანის არაერთი ასაკობრივი კლასიფიკაცია მოახდინეს. მაგალითად, ჩინური კლასიფიკაციის თანახმად სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომელიც 60 წელს აღემატებოდა იშვიათობას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს ის, რომ ჩინელი მეცნიერები 60-70 წლებს სასურველ ასაკად მიიჩნევდნენ. ბერძენი მოაზროვნე პითაგორა ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობასა და წლის დროების ცვლილებას შორის ანალოგს ატარებდა. მან ადამიანის ცხოვრება ოთხ პერიოდად დაყო. კერძოდ, 0-20 წლები ადამიანის ჩამოყალიბების პერიოდს მიაკუთვნა, 20-40 წლები ახალგაზრდულ ასაკად, 40-60 წლები ადამიანის ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების, ხოლო 60-80 წლები მოხუცებულობისა და სიცოცხლის თანდათანობით ჩაქრობის პერიოდად მიიჩნია.

უძველესი დროიდან უახლოეს პერიოდამდე მრავალი ასაკობრივი კლასიფიკაციაა ცნობილი, მაგრამ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სიბერის დასაწყისად სულ სხვადასხვა ასაკს ასახელებენ და განსხვავება მინიმალურ და მაქსიმალურ წლებს შორის 30 წელსაც კი აღწევს. საუკუნეების გავლასთან ერთად სიბერის დაწყების საზღვრის გადაწევა სულ უფრო მაღალ ასაკში ხდება. კერძოდ, თუ პითაგორას კლასიფიკაციის მიხედვით სიბერე 60 წლიდან იწყება, 1963 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩატარებულმა გერონტოლოგთა საკავშირო კონფერენციამ ასეთ პერიოდად 75 წელი მიიჩნია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არც ფეოდალიზმის ეპოქაში იყო მაღალი. ამ პერიოდში მოსახლეობის მატების დაბალი დონე, მაღალი შობადობის პირობებში, მოკვდაობის ასევე მაღალი დონით აიხსნება. განსაკუთრებით დიდი იყო მოკვდაობა ბავშვებში. მოუსავლიან წლებში მასობრივად იღუპებოდა მოსახლეობა. ამის შესახებ არა ერთი და ორი ცნობაა დაცული საისტორიო, მათ შორის, ქართულ წყაროებში.

ქართველი მემატიანე, ჟამთააღმწერელი, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას მონღოლთა ბატონობის დროს, გულისტკივილით აღნიშნავს ქართველის ქვეყნის სავალალო მდგომარეობას პურის ნაკლებობის გამო, რაც მტრის მიერ ქვეყნის აოხრებასთან შედარებით, თითქმის უფრო მძიმე განსაცდელშიც აგდებდა ქვეყანას.

მოსახლეობის დიდ ნაწილს ანადგურებდა, აგრეთვე, გამუდმებული ომები, ეპიდემიები, რომელიც პანდემიის ხასიათს იღებდა და სხვ.

მაგალითად, პრუსიაში 1709-1710 წლების ეპიდემიების დროს 214 ათასი ადამიანი დაიღუპა – ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10-12 პროცენტი. დაახლოებით ამავე მიზეზების გამო არც შემდგომ პერიოდში იყო დიდი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

შიმშილისა და სიღატაკის ძირითად მიზეზად მოსახლეობის სწრაფი ზრდა მიაჩნიათ. კერძოდ, ასეთ აზრს ანვითარებდა მალთუსი, რომელიც აცხადებდა: „მოსახლეობის რიცხვი, უკუთუ მისი ზრდა არ ფერხდება რაიმე დაბრკოლებით, ორმაგი ხდება ყოველ ოცდახუთ წელიწადში და იზრდება გეომეტრიული პროგრესიით". საარსებო საშუალებანი კი არასოდეს არ შეიძლება არითმეტიკულ პროგრესიაზე მეტი სისწრაფით გაიზარდოს, თუნდაც ადამიანთა შრომა ყველაზე ხელსაყრელ პირობებში იქნეს გამოყენებული. ამიტომ, მისი აზრით, მოსახლეობის გამრავლებას საზღვარი უნდა დაედოს რაიმე „უმაღლესი კანონით". მალთუსის შეხედულებას ბევრი თანამედროვე მეცნიერიც იზიარებს. მაგალითად, ვ. ფოგტი შეძრწუნებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის ზრდით. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ მოსახლეობის რაოდენობის გადიდებისათვის, აღნიშნავს იგი, კეთდება ევროპისა და ჩვენ საზიანოდ. სტაბილიზაცია, ხოლო შემდეგ ევროპის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება იქნებოდა ყველაზე დიდი განძი საერთო მშვიდობისა და აყვავების საქმეშიო. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ბევრ ქვეყანაში თვლიან, რომ მათი ეკონომიკის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის სწრაფი ზრდა. აღნიშნავენ იმასაც, რომ ბუნებასა და საზოგადოებას შორის ნორმალური ურთიერთობისათვის საჭიროა მსოფლიოში ცხოვრობდეს არა უმეტეს მილიარდ ნახევარი ადამიანი.

თანამედროვე მსოფლიოში იზრდება მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ხდება მოსახლეობის დაბერება. ადამიანთა სულ უფრო მეტი რაოდენობა აღწევს ხანში შესულ და მოხუცებულობის ასაკს. 1950-1996 წლებში მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 21 წლით გაიზარდა განვითარებად და 8 წლით განვითარებულ ქვეყნებში. ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლები ზომით ვლინდება. თუ საუკუნის დასაწყისში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ევროპაში 35 წელს უდრიდა, ამჟამად ევროპის ქვეყნების ნაწილში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, იაპონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში იგი მამაკაცებისა და ქალებისათვის შესაბამისად 74-83 წელს შეადგენს, ლათინურ ამერიკაში 66-73 წელს, აზიის ქვეყნებში – 65-68 წელს, ხოლო აფრიკაში – 52-55 წელს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიული განყოფილების პროგნოზით 2025 წლისათვის 60 წლისა და უფროსი ასაკის

ადამიანები 1950 წელთან შედარებით 5-ჯერ, ხოლო 80 წელზე უხნესთა რაოდენობა 7-ჯერ გაიზრდება. ამავე პერიოდში მსოფლიო მოსახლეობა მხოლოდ 3-ჯერ გადიდდება. ამასთან, თუ 1950 წელს მსოფლიოში ცხოვრობდა 60 წელს გადაცილებული 214 მილიონი კაცი, 2 ათასი წლისათვის მათი რაოდენობა 590 მილიონი იქნება, ხოლო 2025 წელს 1121 მილიონს მიაღწევს. 1995 წელს მსოფლიოში უკვე ცხოვრობდა 60 და მეტი წლის 540 მილიონი ადამიანი, რაც 2,5-ჯერ მეტი იყო 1950 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ასე რომ, მოსახლეობის დაბერების პროცესი თითქმის ყველა ქვეყანას შეეხება, ხოლო XXI საუკუნეში იგი უკვე ტიპური მოვლენა გახდება.

საერთოდ, მოსახლეობის დაბერების პროცესს ორი ფაქტორი განაპირობებს – შობადობის შემცირება და ხანში შესულ ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივება. ამჟამად განვითარებად ქვეყნებში უაღრესად მაღალია მთელ მოსახლეობაში ბავშვთა (0-14 წელი) წილი, რომელიც 40 და ზოგჯერ 50 პროცენტსაც კი აღწევს. როგორც წესი, ამ ქვეყნებში დაბალია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ადგილი აქვს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი – შობადობის დაბალი დონე, ასევე შედარებით დაბალი მოკვდაობა და სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობა განაპირობებს მოსახლეობის დაბერებას. განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად ხანში შესულ (60 წელზე უფროსი) ადამიანთა წილი 15 პროცენტია (შვეციაში – 22, ნორვეგიაში, ინგლისში, დანიაში, ავსტრიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში 20 პროცენტსაც კი აჭარბებს), ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 6 პროცენტი. ჩვენს ქვეყანაში 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობამ 1989 წელს 14,4 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 1979 წლის 12,9 პროცენტისა. აქ შეიძლება ისიც ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის ამაღლების შედეგად მსოფლიოში გაიზარდა ბავშვების წილი. ამის გამო მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი შემცირდა და 1950 წლის 23,3 წლის ნაცვლად 21,9 წელი შეადგინა 1975 წელს. ეს მონაცემი ამჟამად ისევ იზრდება და ვარაუდობენ, რომ 2 ათას წელს 26,1, ხოლო 2025 წლისათვის 30,8 წელს მიაღწევს.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოკვდაობის, განსაკუთრებით კი ახალშობილების მოკვდაობის დონე. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი შობადობაა, ბავშვთა მოკვდაობაც მაღალია. ამჟამად აფრიკის ბევრ ქვეყანაში შობადობის დონე 50 პრომილეს აღწევს, ე.ი. ყოველ ათას კაცზე 50 ბავშვი იბადება. მაგრამ ამ ქვეყნებში ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა მოკვდაობაც მაღალია. მაგალი-

თად, თუ მთლიანად მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 85 პრომილეს უდრის, განვითარებად ქვეყნებში 93, ხოლო განვითარებულში – 20 პრომილეს შეადგენს. აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში კი ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე ერთ წლამდე ასაკში 200-ზე მეტი ბავშვიც კი იღუპება. ყოფილ საბჭოთა კავშირში ბავშვთა მოკვდაობა 1988 წელს 24,7, ხოლო ჩვენს ქვეყანაში – 21,0 პრომილეს უდრიდა. თუ წინა წლებში ბავშვთა მოკვდაობის დონე საქართველოში სოფლად გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ქალაქად, ამ წელს უკვე ყოველ ათას დაბადებულზე ქალაქად 6 ახალშობილით მეტი გარდაიცვალა სოფელთან შედარებით.

ამჟამად მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებისათვის 63,4, ხოლო ქალებისათვის 67,7 წელს უდრის. ეს მაჩვენებლი მსოფლიოში ყველაზე მაღალია იაპონიაში (76,9 და 82,9 წელი). შვეიცარიაში, შვეციაში (77-77 წელი), საფრანგეთში, ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში (76-76 წელი), ხოლო ყველაზე დაბალი ავღანეთსა (40 წელი) და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ჩადში, ეთიოპიაში, გამბიაში, ნიგერიაში, სომალში – 41-43 წელი).

ყოფილ საბჭოთა კავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამ საუკუნის 20-იან წლებში შედარებით დაბალი იყო. კერძოდ, 1926-1927 წლებში ეს მაჩვენებლი 44 წელს უდრიდა (მეფის რუსეთში იგი 1886-1887 წწ. მხოლოდ 32 წელს შეადგენდა და დაბადებულ თაობათა ნახევარი 18 წლის ასაკსაც ვერ აღწევდა), 1960-1961 წლებში კი – 69,5 წელს. ამის შემდეგ, თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყოფილ საბჭოთა კავშირში არ გაზრდილა. დროის ასეთ დიდ მონაკვეთში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებას ან ერთ დონეზე შეჩერებას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია.

ჩვენს ქვეყანაში 1959-1989 წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71-72 წელს შეადგენდა. 1989 წელს სოფლად იგი ოდნავ მაღალი იყო (72,5 წელი), ვიდრე ქალაქად (71,7 წელი). ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკაში იყო უკეთესი (72,4 წელი) და ისიც უმნიშვნელოდ. უკანასკნელ წლებში საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, მაგრამ ეს მოვლენა არასწორი აღრიცხვის შედეგი უნდა იყოს. პოსტსაბჭოთა სივრცეში იგი თითქმის ყველგან შემცირდა და ზოგიერთ ქვეყანაში – მნიშვნელოვნად.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში დიდი განსხვავებაა სქესის მიხედვით. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები. ეს განსხვავება როგორც განვითარებად,

ისე განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. ნიშანდობლივია, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში განსხვავება სულ უფრო იზრდება – 1980-იანი წლების დასაწყისში 1950-იან წლებთან შედარებით განვითარებად ქვეყნებში მან 1,6 წლიდან 2 წელს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 4,3-დან 7,4 წელს მიაღწია.

ეს მოვლენა ქვეყნების ინდუსტრიალური განვითარების შედეგია. მაგრამ მაშინ შემდეგი კითხვის დასმაც სამართლიანია: ნუთუ ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, რასაც განვითარებულმა ქვეყნებმა მიაღწია, მამაკაცების საზიანოდ მოქმედებს? როგორც ჩანს, ეს გარკვეულწილად ასეც არის, მაგრამ ამ პროგრესის შედეგად მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც მნიშვნელოვნად იზრდება, თუმცა საბოლოოდ მოგებული უფრო ქალები რჩებიან.

ახალა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში განსხვავება ყველაზე მეტი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. კერძოდ, 1988 წელს ქალები 9 წლით მეტს ცოცხლობდნენ მამაკაცებზე, ხოლო წინა წლებში ათ წელზე მეტსაც. ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოში იმავე 1988 წელს 8 წელს უდრიდა, ხოლო 1987 წელს – 10 წელს.

მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში საგრძნობი განსხვავების მიზეზები ბოლომდე გარკვეული არ არის. მხოლოდ ცნობილია, რომ ქალების უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ბუნებამაც დააპროგრამა. ამასთან, მართალია, საერთოდ ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე გოგონა, მაგრამ ერთ წლამდე ასაკში, გოგონებთან შედარებით, გაცილებით მეტი ვაჟი იღუპება. თვით მკვდარდაბადებულებს შორისაც ვაჟების წილი საგრძნობლად მაღალია გოგონებთან შედარებით. რისკის ფაქტორებიც მამაკაცებში უფრო მკვეთრადაა გამოხატული, რაც მათ ნაადრევ სიკვდილს იწვევს. პათოლოგიურად ნაადრევად ბერდება, აგრეთვე, მამაკაცის ორგანიზმი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ძლიერ დატვირთვას განიცდის. საერთოდ კი მამკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ხდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, რაც განსაკუთრებით XX საუკუნეში გამოიკვეთა. საერთოდ, ერთი ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლა მეორეთი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის პროცესს წარმოადგენს. მთელ რიგ ქვეყნებში, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ამჟამად იზრდება მოხუცთა და მხცოვანთა წილი მთელ მოსახლეობაში, ხდება მოსახლეობის დაბერება. თავისთავად ხანდაზმულ ადამიანთა აბსოლუტუ-

რი რიცხვის ზრდა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოსახლეობის დაბერებას, რადგან ერთდროულად შეიძლება გაიზარდოს მთელი მოსახლეობა და ხანდაზმულ ადამიანთა წილი უცვლელი დარჩეს.

განასხვავებენ დაბერების ორ სახეს – „ქვემოდან დაბერებას“ და „ზემოდან დაბერებას“. დაბერების პირველი სახის დროს შობადობის შემცირების შედეგად იკლებს ბავშვების რიცხვი, ხოლო ზემოდან დაბერების დროს იზრდება ხანდაზმულთა რიცხვი, ამ ასაკში მოკვდაობის შემცირების გამო. მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერება ჩქარდება მოკვდავობის შემცირების გამო და დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი ზემოქმედება ძლიერდება შობადობის შემცირებისა და ახალგაზრდობის არასაკმარისი იმიგრაციის პირობებში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაბალი შობადობა პოსტინდუსტრიალურ ეპოქაში ვერ უზრუნველყოფს მშობელთა თაობის კვლავწარმოებას და იძენს საერთოევროპულ ხასიათს. ამავე დროს ევროპაში უკვე იმიგრაციისადმი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება გამოიკვეთა, რამდენადაც ამჟამად ძირითად როლს ასრულებენ არა მიგრაციული ნაკადები თვით ევროპის ქვეყნებს შორის, არამედ სხვა, არაევროპული კულტურის მატარებელი იმიგრანტების მუდმივი მოზღვავება.[1]

დემოგრაფიული დაბერების პროცესის დასახასიათებლად მრავალი სკალაა შემუშავებული, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ქვემოთ მოყვანილი სკალა (იხ. შემდეგ გვერდზე).

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა უკანასკნელი ასი წლის მანძილზე. ეს ცვლილებები შეეხო როგორც მთელ, ისე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას. ქვემოთ მოყვანილი მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდები 1897 და 1989 წლებისათვის ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ ცვლილებებზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1897 წელს მთელი მოსახლეობის 40,5 პროცენტს 15 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ, ხოლო 60 წლისა და უხნეს ადამიანთა წილი 7,1 პროცენტს უდრიდა და ქვეყნის მოსახლეობა დემოგრაფიულად ახალგაზრდა იყო. (აღსანიშნავია, რომ 1897 წელს ქალაქის მოსახლეობაში დიდი წილითაა წარმოდგენილი განსაკუთრებით 20-24 წლის ასაკის ვაჟები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ქალაქებში განლაგებული იყო რუსეთის ჯარის ნაწილები. ამასთან, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ რუსი ჯარისკაცების ნაწილი საცხოვრებლად საქართველოში რჩებოდა). ამჟამად მსოფლიოს 71 ქვეყა-

[1] И. Шмид. Старение населения: Динамика , социальные и экономи-ческие последствия для семьи, общин и общества в целом. მოხსენება ხალხთმოსახლეობის რეგიონალურ თათბირზე ბუდაპეშტში (უნგრეთი), 7-9 დეკემბერი, 1998წ. (ხელნაწერი), გვ.7.

დემოგრაფიული დაბერების პროცესის დამახასიათებელი სქალა

ეტაპები	60 წლის ასაკში ადამიანების რიცხვის შეფარდება მთელ მოსახლეობასთან, პროცენტობით	დაბერების ეტაპები და მოსახლეობის დაბერების დონე
პირველი ეტაპი	8-ის ქვემოთ	დემოგრაფიულად ახალგაზრდა
მეორე ეტაპი	8 – 10	დაბერების პირველი კარიბჭე
მესამე ეტაპი	10 – 12	უშუალოდ დაბერების კარიბჭე
მეოთხე ეტაპი	12 და ზემოთ	დემოგრაფიული დაბერება
	12 – 14	დემოგრაფიული დაბერების საწყისი დონე
	14 – 16	საშუალო დონე
	16 – 18	მაღალი დონე
	18 და ზემოთ	ძალიან მაღალი დონე

ნაში მოსახლეობის 40 პროცენტია 15 წლამდე ასაკში. ამ ქვეყნებიდან 44 აფრიკაში, 12 აზიაში, 8 არაბულ სამყაროში და 7 ლათინურ ამერიკაში მდებარეობს. 1998 წელს ამ ასაკის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 30,6 პროცენტს შეადგენდა.

1939 წელს საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შეიცვალა, მაგრამ ცვლილება 1897 წელთან შედარებით უმნიშვნელო იყო. 60 წლისა და უხნესი მოსახლეობის წილი მხოლოდ 1,7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მან 8,8 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ამ მაჩვენებლით უკვე საქართველოს მოსახლეობა დაბერების პირველი კარიბჭის ეტაპზე იმყოფებოდა. ამასთან, მთელ მოსახლეობაში ქალების დაბერების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების ანალოგიური მაჩვენებელი.

0 - 14 წლის ასაკისა და 60 წლისა და უხნესი მოსახლეობის წილი საქართველოს ეთნოს მოსახლეობაში (პროცენტობით)


წლები	0 – 14			60 +		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
1897	40,5	39,0	42,2	7,1	7,0	7,3
1939	36,9	37,8	36,1	8,8	8,4	9,1
1989	24,8	26,6	23,1	14,4	11,3	17,2

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი 1989 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში (1939-1989 წლები) მეორე მსოფლიო ომში მამაკაცების დიდი რაოდენობით დაღუპვის, შობადობის თანდათანობით შემცირებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდების შედეგად ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 24,8 პროცენტამდე შემცირდა 15 წლამდე ასაკის პირთა რაოდენობა და სამაგიეროდ 14,4 პროცენტამდე გაიზარდა 60 წლისა და უხნესი მოსახლეობის რიცხვი. საქართველოს მოსახლეობა დაბერების საშუალო დონით ხასიათდება. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების შედარება ნათლად გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რაც თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე მოხდა არა მარტო მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის მასშტაბით, არამედ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვითაც. განსაკუთრებით დაბერებულია მოსახლეობის ქალთა ნაწილი, რაც მათი მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობითაა განპირობებული. ამასთან, დემოგრაფიული დაბერების პროცესი ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით მკვეთრად გამოხატულია სოფლის მოსახლეობაში. თუ მთლიანად საქართველოს მოსახლეობა დაბერების საშუალო დონით ხასიათდება, ქალაქის

საქართველოს სახელზე მყოფი მოსახლეობის განაწილება
სქესისა და ასაკის მიხედვით 1897 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	1968808	1050460	918348	874
მათ შორის				
0-4	285624	145486	140138	963
5-9	277968	143131	134837	942
10-14	233565	121283	112282	926
15-19	181005	94846	86159	908
20-24	180031	108472	71559	660
25-29	150972	82356	68616	833
30-34	136593	71401	65192	913
35-39	110384	62532	47852	765
40-44	98194	50502	47992	950
45-49	58905	33750	25155	745
50-54	68789	35520	33269	937
55-59	45261	27266	17995	660
60-64	61359	30952	30367	980
65-69	20253	12271	7982	650
70-74	24633	12712	11921	938
75-79	9854	5918	3936	665
80+	24092	11543	12549	1087
ასაკი არაა ნაჩვენები	1026	479	547	1142
მოსახლეობის საშუალო ასაკი	24.67	25.00	24.33	-


საქართველოს სახელზე მყოფი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
1897 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს ქალაქის სახეზე მყოფი მოსახლეობის განაწილება
სქესისა და ასაკის მიხედვით 1897 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	312212	189434	122778	648
მათ შორის				
0-4	31017	15779	15238	966
5-9	29224	15258	13966	915
10-14	33973	19406	14567	751
15-19	33558	20566	12992	632
20-24	50674	39259	11415	291
25-29	30749	19991	10758	538
30-34	24496	15008	9488	632
35-39	19051	11626	7425	639
40-44	16174	9373	6801	726
45-49	10460	6148	4312	701
50-54	10009	5353	4656	870
55-59	6227	3503	2724	778
60-64	7409	3614	3795	1050
65-69	3095	1593	1502	943
70-74	2656	1349	1307	969
75-79	1160	612	548	895
80+	2054	856	1198	1400
ასაკი არაა ნაჩვენები	226	140	86	614
მოსახლეობის საშუალო ასაკი	25.72	25.21	26.23	-


საქართველოს ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
1897 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს ხოფლის სახეზე მყოფი მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით 1897 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	1656596	861026	795570	924
მათ შორის				
0-4	254607	129707	124900	963
5-9	248744	127873	120871	945
10-14	199592	101877	97715	959
15-19	147447	74280	73167	985
20-24	129357	69213	60144	869
25-29	120223	62365	57858	928
30-34	112097	56393	55704	988
35-39	91333	50906	40427	794
40-44	82320	41129	41191	1002
45-49	48445	27602	20843	755
50-54	58780	30167	28613	948
55-59	39034	23763	15271	643
60-64	53950	27378	26572	971
65-69	17158	10678	6480	607
70-74	21977	11363	10614	934
75-79	8694	5306	3388	639
80+	22038	10687	11351	1062
ასაკი არაა ნაჩვენები	800	339	461	1360
მოსახლეობის საშუალო ასაკი	24.50	24.96	24.03	-


საქართველოს ხოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 1897 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს მუდმივი მოსახლეობის განაწილება
სქესისა და ასაკის მიხედვით 1989 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	5400841	2562040	2838801	1108
მათ შორის				
0-4	465662	238003	227659	957
5-9	440725	224349	216376	964
10-14	432087	219975	212112	964
15-19	419267	217727	201540	926
20-24	413724	203373	210351	1034
25-29	467645	226171	241474	1068
30-34	416847	201288	215559	1071
35-39	362386	174508	187878	1077
40-44	261028	124662	136366	1094
45-49	296574	138999	157575	1134
50-54	345628	163876	181752	1109
55-59	303864	140794	163070	1158
60-64	297455	130218	167237	1284
65-69	160594	57628	102966	1787
70-74	123376	39464	83912	2126
75-79	100777	32950	67827	2058
80+	93202	28055	65147	2322
მოსახლეობის საშუალო ასაკი	33.45	31.6	35.3	-


საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
1989 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს ქალაქის მოსახლეობის განაწილება
სქესისა და ასაკის მიხედვით 1989 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	2991352	1401043	1590309	1135
მათ შორის				
0-4	249139	127058	122081	961
5-9	242203	123497	118706	961
10-14	235857	119915	115942	967
15-19	235934	124716	110878	889
20-24	226786	107116	119670	1117
25-29	267548	123504	144044	1166
30-34	246913	114623	132290	1154
35-39	224009	105166	118843	1130
40-44	162309	76591	85718	1119
45-49	170417	78557	91860	1169
50-54	189777	88310	101467	1149
55-59	155434	70979	84455	1190
60-64	153026	64672	88354	1366
65-69	82416	28718	53698	1870
70-74	63476	20378	43098	2115
75-79	48143	15791	32352	2049
80+	38305	11452	26853	2345
მოსახლეობის საშუალო ასაკი	33.15	31.60	34.70	-


საქართველოს ქალაქის სახეზე მყოფი მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
1989 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს სოფლის მოსახლეობის განაწილება
სქესისა და ასაკის მიხედვით 1989 წელს

	მოსახლეობა სულ	მათ შორის		ქალების რიცხოვნობა 1000 მამაკაცზე
		მამაკაცი	ქალი	
საქართველო	2409489	1160997	1248492	1075
მათ შორის				
0-4	216523	110945	105578	952
5-9	198522	100852	97670	968
10-14	196230	100060	96170	961
15-19	183673	93011	90662	975
20-24	186938	96257	90681	942
25-29	200097	102667	97430	949
30-34	169934	86665	83269	961
35-39	138377	69342	69035	996
40-44	98719	48071	50648	1054
45-49	126157	60442	65715	1087
50-54	155851	75566	80285	1062
55-59	148430	69815	78615	1126
60-64	144429	65546	78883	1203
65-69	78178	28910	49268	1704
70-74	59900	19086	40814	2138
75-79	52634	17159	35475	2067
80+	54897	16603	38294	2306
მოსახლეობის საშუალო ასაკი	34.15	32.2	36.1	-

საქართველოს სოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
1989 წელს აღწერის მიხედვით



საქართველოს მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით 1989 წელს
(პროცენტობით)

	15 წლამდე ასაკის მოსახლეობა			60 წლისა და უხნესი მოსახლეობა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
მთელი მოსახლეობა	24,8	26,6	23,1	14,4	11,3	17,2
ქალაქის მოსახლეობა	24,3	26,4	22,4	12,9	10,1	15,4
სოფლის მოსახლეობა	25,4	26,9	24,0	16,2	12,7	19,4

მოსახლეობა დემოგრაფიული დაბერების საწყის კარიბჭესთან იმყოფება, ხოლო სოფლის მოსახლეობის დაბერების დონე მაღალია. ქალები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად უფრო დაბერებულია, განსაკუთრებით კი — სოფლად. კერძოდ, ქალთა დაბერების დონე სოფლად ძალიან მაღალია. სოფლად მოსახლეობის დაბერების მაღალი დონე გამოიწვია ინტენსიურმა შიგა მიგრაციულმა პროცესებმა (სოფლიდან ახალგაზრდა მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებლად ქალაქად გადასახლებამ) და ქალების მაღალმა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ. ამის შედეგად ქვეყნის ზოგიერთ ისტორიულ კუთხეში მოსახლეობის დაბერების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. მაგალითად, რაჭაში 1989 წელს 30 799 კაცი ცხოვრობდა და 10 058 კაცი ანუ ყოველი მესამე (32,7 პროცენტი) 60 წლისა და უხნესი იყო.

მოსახლეობის დაბერების პროცესზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის საშუალო ასაკი, რომელიც უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა.

კერძოდ, 1989 წელს 1897 წელთან შედარებით მოსახლეობის საშუალო ასაკი 9,1 წლით გადიდდა, მათ შორის მამაკაცებისა — 6,6, ხოლო ქალებისა კიდევ უფრო მეტად — 11 წლით, რაც მოსახლეობის და განსაკუთრებით ქალების დაბერებაზე მეტყველებს.

მოსახლეობის დაბერება, როდესაც ადამიანები დიდხანს ცოც-

საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი
1897, 1939, და 1989 წლებში[1]

წლები	სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
1897	24,7	25,0	24,3
1939	26,7	26,3	27,1
1989	33,8	31,6	35,3

ხლობენ, დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამავე დროს მას თან ახლავს მეტად მწვავე სოციალური, სამედიცინო და ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო მოხუცთათვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა. მით უფრო ძნელია ამ ადამიანებისათვის იმ ტვირთის შემსუბუქება, რასაც ისინი ორგანიზმის დაძაბუნების, საზოგადოებაში თავისი როლისა და სტატუსის დაკარგვის გამო განიცდიან, რომ არაფერი ვთქვათ მოახლოებული სიკვდილის შეგრძნების დამთრგუნველ გავლენაზე. ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალს ჩამოშორებული ხანდაზმული ადამიანები ცხოვრების მიწურულს თანდათანობით ეგუებიან სიკვდილის გარდაუვალ აუცილებლობას, თუმცა სიცოცხლის ბოლო პერიოდში რელიგიური რწმენის გაღრმავების, იმქვეყნიური ცხოვრების არსებობის დაჯერების სულ უფრო მეტად მცდელობის მიუხედავად ძნელია საბოლოოდ დაძლიო ეს ყველაზე დიდი მოსახდენი ადამიანური ტრაგედია.

სხვადასხვა ასაკის მოსახლეობა სხვადასხვა როლს ასრულებს საზოგადოებაში. ასაკობრივი როლი, ან როგორც ხშირად აღნიშნავენ, მოლოდინთა ერთობლიობა, დაკავშირებულია ასაკობრივ სტატუსთან. ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობაც იცვლება. გარკვეულ ასაკში იგი აგროვებს ცოდნას — სწავლობს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ეუფლება სხვადასხვა ხელობას, შემდეგ უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების შექმნაში — იკავებს დამოუკიდებელი, მისი ასაკობრივი სტატუსისა და

1. 1897 წლის მონაცემები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდისა და საშუალო ასაკის შესახებ მოგვაწოდა დემოგრაფმა ა.სახვაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

შეძენილი ცოდნის შესაბამის ადგილს. იზრდება მისი სოციალური როლი. ამავე დროს არსებობს ადამიანის ასაკის შესატყვისი სხვადასხვა როლის მიკუთვნების ბიოლოგიური საფუძველი. ასაკთან ერთად ადამიანის ორგანიზმი ბერდება, უძლურდება. ეს პროცესი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იწყება და დამოკიდებულია ადამიანის თავისებურებებზე, თვით ორგანიზმის მდგომარეობაზე, ცხოვრების წესზე. როგორც წესი, მოხუცებულობის ასაკში შესვლასთან ერთად ხდება არსებითი ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში, თუმცა მოხუცებულობის და საშუალო ასაკის დადგომამდეც არ არის გამორიცხული ასეთი პროცესების დაწყება.

სიბერის მოახლოებასთან ერთად ადამიანები უჩივიან მხედველობისა და სმენის დაქვეითებას, მაღალ წნევას, გულის დაავადებებს. წინანდებურად ვეღარ იტანენ ფიზიკურ დატვირთვას, დაძაბულობას. ამრიგად ისინი თანდათანობით კარგავენ აქტივობას, იზღუდება მათი შრომითი მოღვაწეობა. ბიოლოგიური სიბერის გამომწვევ შინაგან მექანიზმებთან ერთად სახეზე გვაქვს სიბერის გარეგანი ნიშნები. ჯანმრთელობის გაუარესების გამო მათ აღარ შეუძლიათ შეასრულონ ჩვეული როლი საზოგადოებაში და მიუხედავად მოწადინებისა არც საზოგადოებას შეუძლია წინანდელი სოციალური როლის ფუნქციები დაუტოვოს პიროვნებას და ამ დათმობაზე წავიდეს. მაგრამ საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად ეს ყველას როდი შეეხება. ამასთან, არც ყველა ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც მძიმე ფიზიკურ დატვირთვასა და დაძაბულობას მოითხოვს.

ამრიგად, სიბერის მოახლოებასთან ერთად, გარკვეულ ასაკში, გვინდა ეს თუ არა, ადამიანი უნდა განთავისუფლდეს იმ სოციალური როლისაგან, რომელსაც იგი მთელი აქტიური შრომითი მოღვაწეობის განმავლობაში ასრულებდა. ასაკობრივი კიბის ბოლო საფეხურზე ეცემა მისი სტატუსი, რადგან უფრო მეტად ფასობს ძალა, ენერგია და ახალგაზრდობა. ამიტომ მეტად ძნელია პიროვნებისათვის იმ აზრთან შეგუება, რომ უნდა გამოეთხოვოს საზოგადოებაში თავის სამუშაო ადგილსა და როლს, უარი თქვას შრომით მოღვაწეობაზე, მით უმეტეს, თუ ეს მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ხელმძღვანელ და მაღალ თანამდებობრივ საქმიანობასთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მარტოოდენ ხანშიშესულ ადამიანებს როდი შეეხება. არც ცხოვრებაა ისე მოწყობილი, რომ საზოგადოებას შეეძლოს უზრუნველყოს ყველა პიროვნების მიერ რეალური შესაძლებლობების მიხედვით სოციალური როლის შესრულება. მით უმეტეს ეს შეუძლებელია მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ხდება სიღრმისეული ძვრები, მარადიულად მიჩნეული იდეოლოგიური ღირებულებების გადაფასება, ეკონომიკის უაღრესად დაქვეითება, რასაც ადგილი აქვს პოსტსაბჭოთა სივ-

რცეში. იმის გამო, რომ ადამიანები მაქსიმალურად ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს, ასე ვთქვათ, მთლიანად ვერ „იხარჯებიან“, ვერც მათთვის შესაფერ, კუთვნილ სოციალურ როლს ასრულებენ მთელი სისრულით, რაც უარყოფითად მოქმედებს პიროვნებაზე და, მაშასადამე, საზოგადოების განვითარების პროგრესზე.

ამრიგად, დაბერების პროცესთან ერთად ხდება ხანშიშესული ადამიანების გაუცხოება ახალგაზრდებისაგან და ადრინდელი სოციალური როლისაგან განთავისუფლება (ყმაწვილკაცებიც ვერ ეთვისებიან ხოლმე ხანდაზმულ ადამიანებს — ი. ლაიზეიცი). მათ აწუხებთ უკვე იმის შეგრძნება, რომ ისინი საზოგადოებისათვის ზედმეტნი ხდებიან, წარსული დამსახურება წარსულს ჩაბარდა და უკვე მოკლებულნი არიან რაიმე ღირებულის შექმნის შესაძლებლობებს. თუ ადრე ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორე ასაკობრივ ჯგუფში გადასვლის დროს მოლოდინი მრავალმხრივი და პერსპექტიული იყო, ახლა უკვე არჩევის საშუალება მოსპობილია. მიუხედავად ამისა, საჭიროა არ ვთქვათ უარი აქტიურ ცხოვრებაზე და ერთხელ კიდევ „მოვიტყუოთ თავი“ ფსიქოლოგიური სტაბილური გრძნობის შესანარჩუნებლად. ამასთან, ადამიანებმა მოხუცობა ადვილად რომ გადაიტანონ, როგორც დასავლეთში აღნიშნავენ, საჭიროა ხანდაზმულები ეზიარონ „მოხუცთა სუბკულტურას“ — თავისებურ ნორმებსა და ფასეულობებს, რომელიც განსხვავდება საზოგადოებაში გაბატონებული ნორმებისა და ფასეულობებისაგან. თუ ხანდაზმული ადამიანები შეძლებენ ახალი მეგობრების შეძენას და შეინარჩუნებენ უკვე არსებულ მეგობრულ კავშირებს, მათ შეუძლიათ შექმნან ასეთი სუბკულტურა.

მოხუცებულობის ასაკის დადგომასთან დაკავშირებით თავს იჩენს ერთი მეტად დიდი და მტკივნეული პრობლემა — სად უნდა იცხოვრონ ხანდაზმულმა ადამიანებმა — ძირითადად მოხუცებულთა სახლებში თუ თავის „სიბერის მისაყრდომად“ დარჩენილ შვილებთან და მონაგართან ერთად. დასავლეთის ქვეყნებში, სადაც საკმაოდ მომრავლდა მოხუცებულთა სახლები, სულ უფრო მცირდება დიდი, ერთად მცხოვრები მრავალთაობიანი ტრადიციული ოჯახების რიცხვი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხუცი ადამიანები სულ უფრო ნაკლები რაოდენობით ცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 65 წლისა და უხნეს ადამიანთა მხოლოდ 25 პროცენტი ცხოვრობს თავის შვილებთან ერთად. ზოგიერთ მათგანს, ვისაც არ შეუძლია თავისი თავის მოვლა, ათავსებენ მოხუცთა სახლებში ან მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებაში.[1] დიდ ბრიტანეთში 65 წლისა და უხნეს ადამიანთა ცალკე მცხოვრებ პირთა რიცხვი 1962-1992 წლებში პრაქტიკულად გაორმაგდა. დასავლეთის უმრავლეს ქვეყანაში

[1] Нейл Смелзер. Социология, перевод с английского, М., 1998, გვ. 383.

ხანდაზმულთა დაახლოებით 15-20 პროცენტს არ ჰყავს ბავშვები. ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ ოჯახი დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ვაღარ ასრულებს ტრადიციულ ფუნქციებს, ოჯახის ინსტიტუტი საკმაოდ შეირყა და ზოგიერთი მიმომხილველის აზრით მას გაქრობა ემუქრება. თანამედროვე ამერიკული სოციოლოგიის პატრიარქს ნეილ სმელზერს კი მიაჩნია, რომ ოჯახის მთლიანად მოსპობის ნიშნები არ იგრძნობა. რამდენადაც ოჯახის ფუნქციების ნგრევა გაგრძელდება, იგი დაკარგავს ოდესღაც მისთვის დამახასიათებელ სიწმინდეს, მაგრამ უეჭველია არ გაქრება ამერიკული საზოგადოებიდან.[1] აღსანიშნავია, რომ ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საშუალო და უფრო ახალგაზრდა ასაკის ადამიანები უკვე აღარ ელოდებიან იმას, რომ მოხუცებულობაში თავიანთ შვილებთან იცხოვრებენ. ასეთი ცვლილება სულ რაღაც ორ ათწლეულში მოხდა, რასაც იაპონიაში, ტაივანში (ჩინეთის პროვინცია), მალაიზიასა და სინგაპურში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ. ჯერ კიდევ 20 წლის წინ მოზრდილთა 90 პროცენტს მიაჩნდა, რომ იცხოვრებდნენ შვილებთან ერთად, რომლებიც მოუვლიდნენ და უპატრონებდნენ მათ ხანდაზმულ ასაკში. ამჟამად ამ მაჩვენებელმა 50 პროცენტი შეადგინა,[2] რაც ცხოვრების წესში მომხდარი ცვლილებების გამოხატულებაა.

ბევრ ქვეყანაში აღნიშნულ პრობლემას სხვაგვარად უყურებენ და წყვეტენ. იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად დიდია ოჯახის უფროსებისადმი, საერთოდ მოხუცებისადმი პატივისცემა და რიდი, ხანდაზმული ადამიანები გარემოსილნი არიან ყურადღებით და ისინი უკანასკნელ დღეებს, რაოდენ დაჩაჩანაკებულებიც არ უნდა იყვნენ, თავიანთ ოჯახებში ითვლიან. მოხუცები ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ წარმატებითაც ეგუებიან ცხოვრების ციკლის ბოლო, გარდაუვალ ეტაპს და ეს გადამწყვეტ ფაქტორადაც მიგვაჩნია მათი ცხოვრების ბედნიერად დასრულებისათვის. მაგრამ ამ პრობლემას გააჩნია არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე მხარე. ოჯახში უფროსი, ხანდაზმული თაობა უდიდეს როლს ასრულებს ბავშვების, მომავალი თაობის აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ცხოვრებისეული გამოცდილების, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების გადაცემასა და გამდიდრებაში. ხანდაზმული ადამიანები ხელს უწყობენ ოჯახში წესრიგის დამყარებას, ოჯახის წევრებს შორის პატივისცემის გრძნობის ამაღლებას და, რაც მთავარია, ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების თაობიდან თაობაზე გადაცემას, ეროვნული თვითმყოფადობის უწყვეტობის შენარჩუნებას. ყოველივე ეს განსაკუთრებით ეხება მცირერიცხოვან ერებს, რომლებიც სწორედ მდიდარი ოჯახური

[1] Нейл Смелзер. დასახ. ნაშრომი, გვ. 423-424.
[2] Народонаселение мира. 1998 год. გვ.48.

ეროვნული ტრადიციების დაცვითა და შენახვით გადაურჩნენ ისტორიის ქარტეხილებს. ჩვენი ქვეყნის მომავალიც ამგვარად გაგებული ტრადიციული ოჯახის შენარჩუნებაში გვესახება. ამიტომ ოჯახის ფორმირების პროცესში ყოველ უცხო მინარევს, თუკი იგი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან არ იღებს სათავეს, უნდა ვერიდოთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც. როდესაც ქალები ცდილობენ იყოლიონ ბავშვები ნაკლები რაოდენობით, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ძმებისა და დების სულ უფრო მცირე რიცხვი მხარს დაუჭერს, მხარში ამოუდგება ერთმანეთს და თავის მშობლებს. ამის გამო, შემდგომ თაობებში, ბუნებრივია, ოჯახის წევრებს შორის კავშირურთიერთობები ნაკლები ზომით ხდება და ამ მხრივაც გამართლებულია ხანდაზმული ადამიანების შვილებთან ერთად ცხოვრება. ამასთან, შვილების სულ უფრო მცირე რაოდენობას აწევება მხრებზე მშობლების მოვლისა და შენახვის ტვირთი. მაღალ ასაკში შვილების გაჩენის შემთხვევაში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ოჯახი ერთდროულად უელიდეს და ინახავდეს ხანშიშესულ მშობლებსა და მცირეწლოვან ბავშვებსაც. საერთოდ მცირე სიდიდის ოჯახისა და ქალის მუშაობის პირობებში უაღრესად ძნელდება ხანდაზმული მშობლების ყოველდღიური მოვლა, მით უფრო, თუ ოჯახში პატარა ბაშვიც საპატრონოა. ამიტომ სხვა მრავალი უარყოფითი მომენტის თავიდან აცილებასთან ერთად, ამ მხრივაც საჭიროა დროზე ოჯახის შექმნა და ბავშვების გაჩენა, რათა მშობლებმა შეძლონ ბავშვების აღზრდასა და საოჯახო შრომაში შვილების დახმარება. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები გვიჩვენებენ, მართალია, ახალგაზრდა ოჯახის სურვილია იცხოვროს ცალკე, მშობლებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ მათ უნდათ მშობლებმა მათთან ახლოს იცხოვრონ, რათა შეუმსუბუქონ საოჯახო შრომა.

ამჟამად მსოფლიოში ასეული მილიონობით ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს. მძიმეა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. განსაკუთრებით ეს ეხება ქალებს, რომლებიც ხანდაზმულ ასაკში ბევრად სჭარბობენ მამაკაცებს. მართალია, ბევრმა შეძლო მუშაობის პერიოდში სოლიდური დანაზოგების დაგროვება, მაგრამ დიდი უმრავლესობისათვის პენსიაზე გასვლის შემდეგ მდგომარეობა თუ კატასტროფული არა, მეტად არასახარბიელოა. ისინი ცდილობენ ახალ, შედარებით იოლ სამუშაოზე მოწყობას, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელია. უმუშევრობა 65 წელს გადაცილებულ ადამიანთა შორის სულ უფრო იზრდება. მაგალითად, 1870 წელს 65 წელს გადაცილებულ ამერიკელთა მხოლოდ 24 პროცენტს არ ჰქონდა სამუშაო, 1980 წელს უმუშევარი იყო უკვე ამ ასაკის 81,4 პროცენტი.[1] ეკონომიკური სიდუხჭირე

[1] Нейл Смелзер. დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

განსაკუთრებით შეეხო პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხანდაზმულებსაც. „შავი დღისათვის“ შენახული მათი დანაზოგები მთლიანად გაუფასურდა და ახლა ყოველგვარ სახსარს მოკლებულები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. განსაკუთრებით გაუჭირდათ მარტოხელებს. მათი რიცხვი კი საკმაოდ დიდია – 1989 წელს საქართველოში 166 ათასი მარტოხელა ცხოვრობდა და აქედან უმრავლესობა – 116 ათასი – ქალი იყო. ამავე წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 31 მარტოხელა მოდიოდა. მარტოხელათა რაოდენობა იზრდება ხანდაზმულ ასაკში და ძირითადად ქალებში.

ხანდაზმულთა შორის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ამიტომ საჭიროა გადაწყდეს ქალების სამედიცინო მოთხოვნილებების პრობლემა მათი ცხოვრების მთელ მანძილზე. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ხანდაზმულ ასაკში ქალები მნიშვნელოვნად სჭარბობენ მამაკაცებს, თავისებურებებით ხასიათდება მათი დაავადებებიც და სამედიცინო მომსახურებაც ამ მოთხოვნების მიხედვით უნდა განვითარდეს. ამრიგად, მოსახლეობის დაბერების პირობებში ხანდაზმულთათვის ცხოვრების კომფერტაბელური პირობების შექმნის მიზნით პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება და ფინანსური გარანტიის ამაღლება. ყოველივე ეს მით უფრო არსებითია, რომ ამჟამად 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოში 578 მილიონ კაცს შეადგენს და მათი მატების ტემპი უპრეცენდენტოა. უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი ამჟამად 13,5 პროცენტს შეადგენს ნაცვლად 7,9 პროცენტისა 1950 წელს. ვარაუდობენ რომ იგი 2050 წელს 24,7 პროცენტს მიაღწევს. უფრო მეტად დაბერებულ ქვეყნებში (იაპონია, გერმანია, იტალია) ეს მაჩვენებელი 40 პროცენტსაც გადააჭარბებს. ამასთან, თუ ადრე 85 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მცირე იყო, ამჟამად იგი სწრაფად იზრდება. უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში ეს წილი 1950-1995 წლებში 1,1 პროცენტიდან 3 პროცენტამდე გაიზარდა. 2050 წლისათვის იგი 8 პროცენტზე მეტი იქნება. ნიშანდობლივია, რომ 2025 წლისათვის იაპონიის მოსახლეობის მესამედი 80 წლის ასაკს გადააჭარბებს. კიდევ უფრო გაიზრდება ღრმად მოხუცებული (80 წელზე უხნესი) ქალების წილი მთელ მოსახლეობაში მათი მამაკაცებთან შედარებით უფრო მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გამო. ამ პერიოდისათვის განვითარებულ ქვეყნებში მათი წილი ქალების მთელი რაოდენობის 10 პროცენტი იქნება.

მოსახლეობის დაბერების ასპექტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთის მოსახლეობა, რომელიც მეტად სწრაფად ბერდება. პროგნოზული

გაანგარიშებებით სულ რაღაც 27 წლის განმავლობაში – 2000-2027 წლებში – ხანდაზმულთა წილი მის მოსახლეობაში 10-დან 20 პროცენტამდე გაიზრდება. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანას შესაბამისი ცვლილებისათვის 60-დან 100 წლამდე დასჭირდა. ასეთი სწრაფი ცვლილებები შედეგია იმ მკაცრი ხალხთმოსახლეობის პოლიტიკისა, რომელიც ჩინეთში ტარდება, რის შედეგადაც ფერტილობის დონე ერთ ქალზე 1970-1996 წლებში 4,8 ბავშვიდან 1,8 ბავშვამდე შემცირდა. ეს, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის 28-წლიან ზრდასთან ერთად, იმას ნიშნავს, რომ 1995-2025 წლებში ჩინეთში 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის რიცხოვნობა შვიდჯერ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მთელი მისი მოსახლეობა.[1]

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დატვირთავა არაშრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობით. დემოგრაფები განასხვავებენ დატვირთვის მაჩვენებლის ორ სახეობას – ეკონომიკურს და დემოგრაფიულს. დატვირთვის ეკონომიკური მაჩვენებელი გვიჩვენებს დანახარჯების ჯამს, რომელსაც საზოგადოება იღებს არამწარმოებელი მოსახლეობის – ბავშვებისა და მოხუცების შესანახად. ეს ხარჯები როგორც ბავშვების, ისე მოხუცებულებისათვის განსხვავებულია ასაკის მიხედვით. ყველაზე მაღალი ასაკის ბავშვებზე (18 წლისა და მეტი ასაკის) დანახარჯები ოთხჯერ აღემატება ყველაზე მცირე ასაკის (0-3 წ.)ბავშვების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაწეულ დანახარჯებს. ამავე დროს, მოხუცთა მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად ჭარბობს ბავშვთა მოთხოვნილებებს. ერთ-ერთი გაანგარიშებით მოხუცი ადამიანის მოთხოვნილებები 71 პროცენტით მაღალია ბავშვის მოთხოვნილებებზე. ეს მეტად ანგარიშგასაწევი ფაქტორია, რადგან თანამედროვე მსოფლიოში იზრდება არამწარმოებლური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შენახვა განსაკუთრებით ძვირია. ამავე დროს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება ისეთი ქრონიკული დაავადებების ალბათობა, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნეები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ან ართრიტი, რაც საგრძნობლად ადიდებს დანახარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 75 წლის მოხუცის სამედიცინო მომსახურება 10-ჯერ მეტი ჯდება, ვიდრე 40 წლის ასაკის ადამიანისა. ამავე დროს თანამედროვე მედიცინა და გერონტოლოგია ასეთ დაავადებების შემცირების შესაძლებლობას იძლევა. მედიცინის სფეროში პროგრესი და მისი შედეგების გამოყენება სულ უფრო დიდი რაო-

[1] ჯ. მიტჩელი. დედამიწის მოსახლეობა ბერდება. იხ. კრებული: სასიცოცხლო ნაშრომი, 1997, გვ. 101.

დენობით პაციენტების მკურნალობისათვის იწვევს დანახარჯების ზრდას და, მაშასადამე, იმ ფინანსური სახსრების მუდმივ ნაკლებობას, რომელთა შევსება ხდება ბიუჯეტიდან.

დატვირვთის დემოგრაფიული მაჩვენებლის სამი კოეფიციენტი გამოიყენება: 1) ბავშვებით დატვირთის კოეფიციენტი; 2) მოხუცებით დატვირთვის კოეფიციენტი; 3) ბავშვებითა და მოხუცებით დატვირთვის ჯამობრივი კოეფიციენტი. აღნიშნული კოეფიციენტების გაანგარიშების პრინციპი ადვილია, მაგრამ წინააღმდეგობას ვაწყდებით ადამიანის მწარმოებლური ასაკობრივი საზღვრების დადგენის დროს. ერთნი ასეთ ასაკობრივ საზღვრად 20-59 წლებს მიიჩნევენ, მეორენი კი — 15-64 წლებს. საქართველოში 1996 წლამდე შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას მიეკუთვნებოდა 16-54 წლის ქალები და 16-59 წლის მამაკაცები. 1996 წლიდან საპენსიო ასაკი 5 წლით გაიზარდა. ზოგჯერ ანალიზის დროს შრომისუნარიან ასაკად ორივე სქესისათვის 15-59 წლებსაც იღებენ. ეს დაშვებები რაელურ შრომით ასაკთან ახლოსაა და არ ამახინჯებს თაობათა რეალური თანაფარდობის სოციალურ სურათს.[1] ჩვენც ანალიზის დროს შრომისუნარიან ასაკად 15-59 წელი ავიღეთ: ასეთი დაშვებები იმ მხრივაც არის გამართლებული, რომ სხვა ქვეყნების შესადარი მონაცემებით ვისარგებლოთ. მართალია, გაეროს მიერ მიღებული დაბერების ასაკი 65 წლიდან იწყება, მაგრამ იგი ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური განვითარების დონეზეცაა დამოკიდებული და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ბიოლოგიურ დაბერებას გულისხმობს. ის, რომ ნორვეგიაში პენსიაზე გასვლის ასაკი 70 წელია, გამოხატავს ამ ქვეყანაში ადამიანის შრომისუნარიანობის ხანგრძლივობას და ორგანიზმის ბიოლოგიურ ცვლილებებს. განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, ფინეთში, ნიდერლანდებში პანსიაზე გასვლის ასაკი ფაქტობრივად 6 წლით ნაკლებია კანონით გათვალისწინებულზე.[2]

1989-1998 წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო დატვირთვა უმნიშვნელოდ გაიზარდა. მიუხედავად ამისა დატვირთვის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შობადობის შემცირების შედეგად ასევე შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის დატვირთვა ბავშვებითა და მოზარდებით. სამაგიეროდ იგი გაიზარდა შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული პირებით. ამასთან, სოფლად მოსახლეობის დაბერების მაღალმა დონემ განაპირობა შრომისუნარიანთა მაღალი დატვირთვა

[1] მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალის ფორმირება და განაწილება, დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, გვ. 78.
[2] მ. ტუხაშვილი. იქვე.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დატვირთვა არაშრომისუნარიანი მოსახლეობით საქართველოში 1989 და 1998 წლების დასაწყისისათვის (პრომილე)

	მთელი მოსახლეობა						მათ შორის											
							ქალაქის მოსახლეობა						სოფლის მოსახლეობა					
	1989			1998			1989			1998			1989			1998		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
საერთო დატვირთვა	610	674	643	620	676	649	575	608	592	577	606	592	654	768	711	675	774	725
მათ შორის ბავშვებითა და მოზარდებით (0-14 წლის ასაკი)	429	387	407	370	330	350	416	361	387	364	311	336	444	424	434	379	357	368
შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული პირებით	181	287	236	250	346	299	159	247	205	213	295	256	210	344	277	296	417	357
მათ შორის 60-74 წლის ასაკის პირებით	143	209	177	205	249	227	128	188	159	177	219	199	162	239	201	240	290	265
75 წლისა და უხნესი პირებით	38	78	59	45	97	72	31	59	46	36	76	57	48	105	76	56	127	92

არაშრომისუნარიანებით, ვიდრე ქალაქად. შრომისუნარიანი მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 1998 წლის დასაწყისისათვის არაშრომისუნარიანი ასაკის 649 კაცი მოდიოდა, მათ შორის: ქალაქად 592, ხოლო სოფლად 725 კაცი. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში დატვირთვა გაიზარდა მოსახლეობის ხანშიშესული პირებით, როგორც ქალაქად, ისე განსაკუთრებით სოფლად, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვნად ზრდის ხანდაზმულთა მოვლისათვის გაწეულ საერთო ხარჯებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნორმალურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში საპენსიო ასაკის პირები არავის არ „ტვირთავენ". ყოველ შემთხვევაში ის პენსიონერები, რომელთა პენსიის ოდენობა განსაზღვრულია საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვებაში მათ მიერ შეტანილი პირადი წვლილით, ჩვეულებრივ, უნდა განვიხილოთ არა კმაყოფაზე მყოფ პირებად, არამედ იმ კაპიტალის მომხმარებელ — „რანტიებად", რომელიც დააგროვეს პენსიონერებმა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გადამეტებით ეკონომიკური აქტიურობის პერიოდში. ამჟამად, ისე როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოში შეიქმნა მეტად მძიმე ეკონომიკური სიტუაცია — სახელმწიფო საპენსიო ფონდი და პენსიონერთა პირადი დანაზოგები გარდამავალ პერიოდში თითქმის მთლიანად გაუფასურდა. ამის შედეგად საშუალო ასაკის თაობა ინახავს არა მარტო ბავშვებს, არამედ ხანდაზმულ ადამიანებსაც, რაც შობადობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მოსახლეობის დაბერებამ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში არსებული დემოკვლავწარმოების პოტენციალი მნიშვნელოვნად შეამცირა. ქვეყანაში ადგილი აქვს წინა თაობებში მაღალი შობადობის დროს დაგროვებული დემოგრაფიული „კაპიტალის" დახარჯვას. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მოსახლეობის დაბერების პროცესის დროს ერთ-ერთ მთავარ საკითხად გვესახება ხანდაზმული ადამიანების დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების სრული და ეფექტიანი გამოყენება, ამ მიზნით სათანადო გზების ძიება და მექანიზმების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული ადამიანები გარკვეულწილად კონსერვატული შეხედულებების მატარებლები არიან და არანაკლები ინერტულობაც ახასიათებთ, საჭირო ხდება ხანდაზმულ ასაკში პროფესიის გამოცვლა. ეს მით უფრო საგულისხმოა ამჟამად, როდესაც პენსიონერებისთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა გადაუჭრელ პრობლემად იქცა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებას თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება. ერთი მხრივ, უნდა გავაუმჯობესოთ ხანდაზმულთა ჯანმრთელობა და, მეორე მხრივ, ხელი უნდა შევუწყოთ თაობათა ისეთ განვითარებას, რომ ადამიანის მორალური გაცვეთა წინ არ

უსწრებდეს მის ფიზიკურ გაცვეთას. ამ კონტექსტში უაღრესად აქტუალურია ადამიანთა საკუთარი ჯანმრთელობისადმი ზრუნვის პრობლემა, ისეთი ქცევის ჩამოყალიბება, რომელიც შეესაბამება ხანგრძლივი ინდივიდუალური ცხოვრების რაციონალურად აგებულ იდეალებს.[1] განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს მარტოხელები, რადგან, როგორც წესი, ფიზიკურ მარტოობას თან ახლავს ფსიქოლოგიური მარტოობა.[2]

საპენსიო ასაკის დადგომასთან ერთად მნიშვნელოვნად, შეიძლება ითქვას, კარდინალურად იცვლება ადამიანის ცხოვრების წესი. პენსიაზე გასვლისთანავე მომენტალურად, ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე იმსხვრევა ცხოვრების წესში ღრმად გამჯდარი ჩვეული სტერეოტიპები. არც ისე იშვიათად აქტიური ცხოვრების წესიდან გამოთიშვა, ჩამოცილება მეტად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის ფსიქიკაზე. უარყოფითი გავლენა მით უფრო ძლერია, რაც უფრო „მაღალი რანგის“ იყო ადამიანის უკვე წარსული შრომითი საქმიანობა. აგრარულ საქმიანობაში სოფლის მეურნეობის გაძღოლა ყოველთვის საჭიროებდა მოხუცთა გამოცდილებასა და სიბრძნეს. საერთოდ, დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილება, მნიშვნელოვანი მოვლენების ცოდნა, არსებული ტრადიციები ანიჭებდა მოხუცებს ოჯახის უმცროსი წევრების მიერ მაშინდელი ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი წესისა და მორალის დაცვის კონტროლის ფუნქციებს. მოხუცებს ოჯახში პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ და ისინი საერთო პატივისცემით სარგებლობდნენ. ამავე დროს, უკანასკნელ ათწლეულებში მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარების პირობებში ხანდაზმული ადამიანების გამოცდილება უფასურდება და ადრინდელ პრაქტიკულ გამოყენებას ვერ პოულობს. ახალგაზრდების ცოდნის დონე ამჟამად გაცილებით მაღალია წინა თაობასთან შედარებით. ყოველივე ამან, ერთგვარი დისონანსი შეიტანა თაობათა ურთიერთობაში, რომელიც გართულდა იმის გამოც, რომ ახალგაზრდა და ხანდაზმულ თაობას სხვადასხვა, ახლა უკვე უფრო განსხვავებული ფასეულობითი ორიენტაციები გააჩნიათ. ეს ელინდება ქცევის წესებში, თავისუფალი დროის გამოყენების, სქესობრივი ურთიერთობის, საერთოდ მთლიანად ცხოვრების წესის სფეროში.

ჩვენს ქვეყანაში გარდამავალი პერიოდის სიძნელეები კიდევ უფრო ამძაფრებს თაობათა შორის ურთიერთობებს. იდეოლოგიურად დასშტამპული და კონსერვატულად მოაზროვნე ხანდაზმულთა თაობისათვის,

---

[1] В. С. Стешенко. Постарение населения Украины: современное состо-яние и персрективы. გვ.7 (ხელნაწერი).

[2] Н. Лаказа-Сачук. Одиночество пожилых _ социально-демографичес-кий аспект. В кн: Пожилые люди в нашей стране, М., 1977, с. 58.

ყოველ შემთხვევაში მათი საკმაო ნაწილისათვის, არ არის ადვილი ყოველგვარი სიახლის ერთბაშად მიღება და გათავისება. და ეს, ალბათ, მათ ხელალებით არც უნდა მოვთხოვოთ. ახალგაზრდა თაობა ამას გაგებით უნდა შეხვდეს, მით უმეტეს სოციალური და ეკონომიკური სიკეთე, რითაც ხანდაზმულ წლებს შედარებით უზრუნველყოფილს ხდიდა, მეურნეობრივი სისტემის შეცვლამ და საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმაციამ გარკვეული დროით შეაჩერა უკეთესი მერმისის სასარგებლოდ. ასე რომ, საპენსიო ასაკში ახალი პროფესიის დაუფლება, პროფესიის შეცვლა, მით უმეტეს ქალაქური ცხოვრების პირობებში, რაზედაც ახლა ბევრს მსჯელობენ, საკმაოდ რთული და გარკვეულწილად წარუმატებელი ცდაა. და მიუხედავად ამისა, როდესაც სხვა გამოსავალი არ მოიძებნება, ხანდაზმულ ასაკში ახალი, შედარებით იოლი პროფესიის არჩევა და დაუფლება და, მაშასადამე, აქტიური ცხოვრების გაგრძელება ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად გზად გვესახება. ბუნებრივია, უკვე ახალ ამპლუაში წარმოდგენილი ხანდაზმულის სოციალური როლი გაცილებით დაბალია, მაგრამ გარკვეულწილად საზოგადოებიდან იზოლირებისა და გაუცხოების დამთრგუნველი გრძნობის გადალახვა, ხანდაზმულ ასაკში თავისი არსებობის გამართლება ცოტას როდი ნიშნავს. საერთოდ, პენსიაზე გასვლის შემდეგ ყველას როდი ძალუძს შედარებით აქტიური ცხოვრების გაგრძელება. ამას ძირითადად წარმატებით გონებრივი, შემოქმედებითი შრომის ადამიანები ახერხებენ. ეს ყველაფერი იმიტომაც არის აუცილებელი, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების დასასრულის ფსიქოლოგიური სტრესი განსაკუთრებით იჩენს თავს, სულ უფრო განათლებულ და ინტელექტუალურ უფროს თაობას მეტი ფიქრიც უჩნდება ადამიანის არსის, რაობისა და დანიშნულების შესახებ და მისთვის ისიც ნათელი ხდება, რომ საუკეთესო სამედიცინო მოსახურებისა და თუნდაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, უკეთეს შემთხვევაში, დაჩაჩანაკება და დაუძლურება არ აცდება. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პენსიაზე გასვლის შემდეგ მათი შესაფერისი, ხელახალი დასაქმება, პენსიონერებისათვის ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, ოჯახში პატივისცემისა და მზრუნველობის, მეტი ყურადღების გამოჩენა, თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისათვის ხელშეწყობა (სხვადასხვა შეხვედრების მოწყობა, საზოგადოებების დაარსება, ხანდაზმულთათვის სპეციალური გადაცემების ჩვენება ტელევიზიით და სხვ).

ამრიგად, სიბერეში ცხოვრების კომფორტული პირობების შექმნა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული ამოცანაა მოსახლეობის დაბერების პირობებში.

ჩვენს საუკუნეში მნიშვნელოვნად შემცირდა მოკვდაობა, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, არსებითი ძვრები მოხდა მოკვდაობის გამომწვევი მიზეზების განაწილებაში, საგრძნობლად შემცირდა მოკვდაობა ინფექციური და პარაზიტული დაავადებების შედეგად. სამაგიეროდ მოსახლეობის მოკვდაობის მიზეზთა შორის გაიზარდა ქრონიკულ დაავადებათა წილი. ამჟამად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოკვდაობის შემთხვევათა დიდი უმრავლესობა (80-90 პროცენტი) გულისსისხლძარღვთა დაავადებაზე, ავთვისებიან სიმსივნეებზე, სასუნთქი ორგანოების სნეულებებზე, უბედურ შემთხვევებზე, მოწამვლასა და ტრამვებზე მოდის. ამასთან, კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო დაბალია მოკვდაობის დონე, მით უფრო დიდია გულსისხლძარღვთა და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა. ეს იმით აიხსნება, რომ განსაკუთრებით ბავშვებში ინფექციური პარაზიტული დაავადებებით მოკვდაობის შემცირების შედეგად, ადამიანთა სულ უფრო მეტი რაოდენობა აღწევს მოხუცებულობისა და ხანდაზმულობის ასაკს, ამ ასაკში კი გულ-სისხლძარღვთა და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების ალბათობა მაღალია.

როგორც უკანასკნელ წლებში ჩატარებული გამოკვლევებით აღმოჩნდა, უმრავლესი არაინფექციური ქრონიკული დაავადებების ფესვები, რომლებიც განაპირობებენ უდროოდ სიკვდილისა და ინვალიდობის მაღალ დონეს, უნდა ვეძებოთ ბავშვობისა და ახალგაზრდობის ასაკში. სწორედ ამ წლებში საფუძველი ეყრება ჯანსაღი ცხოვრების წესს. მაგრამ ამ ასაკშივე გვხვდება არტერიული წნევის მომატება, თამბაქოს წევის ჩვევის შეძენა და სხვ. როგორც ჩანს, 40-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებით ჩვენ მხოლოდ ვაჩერებთ ავადმყოფობის განვითარებას, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ თავიდან ვერ ვიცილებთ მის წარმოშობას.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სისხლის მიმოქცევის ორგანოების დაავადება მოკვდავობის მიზეზთა შორის პირველ ადგილზეა. თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში 1939 წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული მოკვდაობა გარდაცვლილთა მთელი რაოდენობის 11 პროცენტს უდრიდა, 1959 წელს ამ მაჩვენებელმა 36 პროცენტი, ხოლო 1988 წელს 56 პროცენტი შეადგინა. ჩვენს ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 65 პროცენტს უდრიდა. ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება ამ მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობაც. სულ რაღაც 25 წლის განმავლობაში 2-ჯერ და მეტი ადამიანი გარდაიცვალა სისხლის მიმოქცევის ორგანოების დაავადების შედეგად. ამავე დროს, რაც არსებითია, დაავადების ამ მიზეზით მოკვდაობა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა.

1997 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით საქართველოში 25 767 კაცი გარდაიცვალა, ანუ გარდაცვლილთა მთელი რაოდენობის 68,4 პროცენტი. მოკვდაობა ამ დაავადებათა კლასის მიხედვით სოფლად გაცილებით მაღალია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ვიდრე ქალაქად, ხოლო ქალებში ასევე უფრო მაღალი მამაკაცებთან შედარებით. განსაკუთრებით იზრდება მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის დაავადებებით ასაკთან ერთად. მაგალითად, 1990 წელს შესაბამისი სქესისა და ასაკის ყოველ 100 000 კაცზე 30-34 წლის ასაკში 66 მამაკაცი და 33 ქალი გარდაიცვალა, ხოლო 80-84 წლის ასაკში – 19342 მამაკაცი და 17922 ქალი. ყველა დასავლეთის ქვეყანაში მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებით მცირდება, რუსეთში კი ეს მაჩვენებელი უკანასკნელ

მოკვდაობის დინამიკა დავადებათა ძირითადი კლასების მიხედვით საქართველოში 1960-1997 წლებში

დაავადებათა ძირითადი კლასები1960 წ. IX დს-ს მიხედვით	1960 წ.		1970 წ.		1980 წ.		1990 წ.		1997 წ.	
	ათ.	%	ათ.	%	ათ.	%	ათ.	%	ათ.	%
სულ გარდაიცვალა	27015	100,0	34283	100,0	43346	100,0	45946	100,0	37679	100,0
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	1876	6,9	865	2,5	599	1,4	686	1,5	509	1,4
ახალი წარმონაქმნები	3148	11,7	3848	11,2	4627	10,7	5526	12,0	3677	9,8
ენდოკრინული სისტემის, კვების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნიტეტის დარღვევები	363	1,3	226	0,7	209	0,5	726	1,6	454	1,2
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოთა დაავადებები	79	0,3	95	0,3	32	0,1	74	0,2	67	0,2
ფსიქიური მოშლილობები	131	0,5	127	0,4	83	0,2	56	0,1	45	0,1
ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები	509	1,9	170	0,5	192	0,4	234	0,5	309	0,8
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	12153	45,0	19780	57,7	27320	63,0	29715	64,7	25767	68,4
სასუნთქ ორგანოთა დაავად.	2923	10,8	3467	10,1	3779	8,7	2348	5,1	845	2,2
საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებები	1271	4,7	1323	3,9	1875	4,3	1694	3,7	1344	3,6
შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	454	1,7	561	1,6	487	1,1	437	1,0	331	0,9
ფეხმძიმობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის დაავადებები	100	0,4	59	0,2	23	0,1	19	0,0	17	0,0
კანისა და კანქსელა უჯრედისის დაავადებები	34	0,1	9	0,0	5	0,0	3	0,0	7	0,0
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელ ქსოვილთა დაავადებები	29	0,1	22	0,1	5	0,0	3	0,0	2	0,0
თანდაყოლილი ანომალიები	324	1,2	230	0,7	165	0,4	87	0,2	84	0,2
პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი მდგომარეობანი	-	-	-	-	-	-	609	1,3	543	1,4
სიმპტომები და არაზუსტი აღნიშნული მდგომარეობანი	643	2,4	180	0,5	605	1,4	691	1,5	1150	3,1
ტრამვები და მოწამვლები	2470	9,1	2818	8,2	2930	6,8	3037	6,6	1419	3,8

სისტემის დაავადებით მცირდება, რუსეთში კი ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა და 1996 წელს ყოველ 100 100 კაცზე ამ დაავადებით 758 ადამიანი გარდაიცვალა. საქართველოში ეს მაჩვენებელი 1997 წელს გაცილებით დაბალი იყო და 477 კაცს უდრიდა.

ამრიგად, იზრდება სისხლძარღვთა დაავადებებით დაღუპულთა რაოდენობა. ეს იმის შედეგიც არის, რომ სულ უფრო მეტად ეტანებიან თამბაქოს. თამბაქოს წევა კი ხელს უწყობს გულის იშემიურ დაავადებათა განვითარებას, იწვევს სისხლძარღვების სპაზმს. ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაც ასევე უმთავრესად მამაკაცებს ახასიათებს. სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს მიღება ერთად კიდევ უფრო გამანადგურებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე — ავადდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ღვიძლი, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოები. ეს მავნე ჩვევები კი მკვეთრად გამოხატულია „ძლიერ სქესში“, რაც ამოკლებს მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ფაქტორია აგრეთვე ნერვული დაძაბულობა, ნაკლები ფიზიკური დატვირთვა და არარაციონალური კვება. ამასთან, საკვების ხარისხობრივი შედგენილობის გაუმჯობესებასა და კალორიულობის ამაღლებასთან ერთად ჰიპოდინამია (ფიზიკური აქტივობის შემცირება) სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. როგორც ჩანს, ამ ფაქტორთა გავლენასაც მამაკაცები უფრო განიცდიან.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ფსიქიკური და ემოციური ფაქტორის გავლენა შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს და ეს მარტო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს როდი ეხებათ. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ვერიდოთ დაძაბული ნერვულ-ფსიქიკური სიტუაციების შექმნას. უნდა შეგვეძლოს ყოველგვარ მდგომარეობაში შევინარჩუნოთ ემოციური წონასწორობა, რათა სხვისი ფსიქოლოგიური ტრამვის წყაროც არ გავხდეთ. დადასტურებულია: რაც უფრო მკვეთრია ნერვული დაძაბულობა, დაღლა, მით მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების პროცენტი. ამასთან ადამიანთა ცხოვრების წესზე დიდ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი: იზრდება წარმოების ტექნიკური შეიარაღების დონე და ინფორმაციის მოცულობა, მაღლდება ცხოვრების რიტმი, დიდდება ფსიქიკური დატვირთვა და ა. შ.

ამრიგად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა დიდი სახელმწიფოებრივი, სოციალური და, ბუნებრივია, უაღრესად ჰუმანური პრობლემაა. ამ ბრძოლაში არსებითი მნიშვნელობა აქვს

მოსახლეობის ჰიგიენურ აღზრდას, ფართო პროფილაქტუკური ღონისძიებების განხორციელებას. აკადემიკოს ე. ჩაზოვს საზოგადოებისათვის ამ პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელობის შესახებ შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ისეთ პიროვნებებში, რომელთაც აქვთ რისკის სამი ფაქტორი — ქოლესტერინის ცვლის დარღვევა, მომატებული არტერიული წნევა და თამბაქოს წევის ჩვევა, სიკვდილიანობა გულის იშემიური დაავადებისაგან თითქმის ათჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმ პიროვნებებში, რომელთაც არა აქვთ ეს ფაქტორები. ადვილია დავინახოთ, როგორი იქნება წარმატებები მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვაში, თუ მივაღწევთ რისკის მხოლოდ ამ ფაქტორების აღმოფხვრას.

საქართველოში გარდაცვლილთა მთელ რაოდენობაში მაღალია ავთვისებიანი სიმსივნეებით დაღუპულთა რაოდენობა. ეს მაჩვენებელი 1980 წელს 10,7, ხოლო 1997 წელს 9,8 პროცენტს უდრიდა. მოკვდაობის კოეფიციენტი ამ მიზეზის მიხედვით ქალაქად გაცილებით მაღალია, ვიდრე სოფლად, ასევე მაღალია იგი მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ამასთან, ასაკთან ერთად სულ უფრო იზრდება ავთვისებიანი სიმსივნეებით გარდაცვლილთა რაოდენობა. კერძოდ, თუ 1990 წელს მოკვდაობის კოეფიციენტი ქალაქად 30-34 წლის მამაკაცებში 12-ს უდრიდა, 75-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგი 965-ს შეადგენდა, ე.ი. 80-ჯერ უფრო მეტს. მოკვდაობის კოეფიციენტის დინამიკაში განხილვა გვიჩვენებს, რომ ეს კოეფიციენტი განსაკუთრებით იზრდება (თითქმის ორმაგდება) 30-34 წლისა და შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში. ამრიგად, 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით უნდა გაძლერდეს ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკა. აღსანიშნავია, რომ თუ საქართველოში 1997 წელს მოსახლეობის ყოველ 100 000 კაცზე ავთვისებიანი სიმსივნეებით 68 კაცი გარდაიცვალა, რუსეთში ეს მაჩვენებელი 1996 წელს 200 კაცს უდრიდა.

ამჟამად საქართველოში მოკვდაობის მიზეზთა შორის მესამე ადგილზე გადმოინაცვლა ტრამვებმა და მოწამვლებმა. ადრე ეს ადგილი სასუნთქი ორგანოების დაავადებებს ეკავათ.

მოკვდაობის მიზეზებზე მსჯელობისას ცალკე უნდა შევჩერდეთ მორალური სტატისტიკის მონაცემებზე. როგორც ცნობილია, ამ მონაცემების გამოქვეყნება დიდი ხანია აკრძალული იყო. ამჯერად უკვე დაიწყეს მკვლელობებისა და თვითმკვლელობების შესახებ სტატისტიკური მასალების პუბლიკაცია. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ 1988 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში მკვლელობების შედეგად 21 ათასი, ხოლო თვითმკვლელობით 56 ათასი კაცი გარდაიცვალა, ე.ი. სულ 77 ათასი ადამიანი, რაც უბედური შემთხვე-

ვებით, მოწავლითა და ტრამვის შედეგად გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 27 პროცენტია. როგორც მონაცემებიდან ჩანს, თვითმკვლელობით ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი ამთავრებს სიცოცხლეს. თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში 1988 წელს ყოველ 100 ათას კაცზე 19 თვითმკვლელობა მოდიოდა, ინგლისში ეს მაჩვენებელი 9-ს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 12-ს უდრიდა. საერთოდ „ძლერ სქესს“ გაცილებით სუსტი ნერვები აქვს. მამაკაცებში ქალებთან შედარებით 3-ჯერ მაღალია თვითმკვლელობით გამოწვეული მოკვდაობა, ხოლო 25-39 წლების ასაკში — 6-ჯერ. კერძოდ, ყოველ ასი ათას კაცზე 30,8 მამაკაცი და 9,3 ქალი იკლავს თავს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები თვითმკვლელობის შემთხვევების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგალითად, თუ ყოველ 100 ათას კაცზე გაანგარიშებით სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში (ყირგიზეთის გარდა) თვითმკვლელობით სიცოცხლეს 2-8 ადამიანი ამთავრებდა, რსფსრ და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ეს მაჩვენებელი 23-26 უდრიდა. ამასთან, როგორც მამაკაცი ასევე ქალი ქალაქად გაცილებით მეტი იკლავდა თავს, ვიდრე სოფლად.

დასასრულ, იმქვეყნიური ცხოვრების რწმენის მიუხედავად მაინც ყველა ამქვეყნიური ცხოვრების გაგრძელებაზე ოცნებობს, ადამიანთა მოდგმისათვის თავსდატეხილ უდიდეს უბედურებად მაინც გარდაცვალებას მიიჩნევს. სხვადასხვა ეპოქის მეცნიერები ადამიანის შესაძლო სიცოცხლის ხანგრძლივობად 300-400 და 600 წელსაც კი ასახელებდნენ. მაგრამ ერთი რამ ცხადია: დედამიწაზე არსებულ ძუძუმწოვართა ზრდის დამთავრებისათვის საჭირო პერიოდი ექვს-შვიდჯერ მაინც ნაკლებია მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. და თუ ბიოლოგიურად ადამიანი ძუძუმწოვრებს მიეკუთვნება, მაშინ მან საშუალოდ 130-150 წელი უნდა იცოცხლოს. ეს ბევრი მეცნიერის გამოკვლევებითაც დასტურდება. ტვინი და გული შეიძლება ადამიანს 150 და მეტ წელსაც ემსახუროს. მართლაც, ადამიანთა უმრავლესობისათვის არა ფიზიოლოგიური, არამედ პათოლოგიური დაბერებაა ნიშანდობლივი. მათი უდიდესი ნაწილი არა მოხუცებულობის, დაჩაჩანაკების გამო იღუპება, არამედ ავადმყოფობით, რაც არასწორი, არაჰიგიენური ცხოვრების წესის შედეგია. ე.ი ბევრი რამ თვით ჩვენზეა დამოკიდებული. როგორც რომაელი ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა, სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა არ შევამოკლოთ იგი.

ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის, „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი

თანამედროვე ეპოქასაც მეტად აღელვებს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ახლაც თვლის, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს სიბერეზე, სიკვდილზე და მიაღწევს უკვდავებას. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, უკვდავება კაცობრიობის დაწყევლა იქნებოდა, იგი არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა ადამიანს. ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონათან სვიფტმა თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში გამოიყვანა უკვდავი ადამიანები. მწერალი აღნიშნავდა, რომ „უკვდავებისათვის განწირულნი“ სიბერეში სასოწარკვეთილები იყვნენ პერსპექტივაში მარადიული არსებობის ტვირთის ზიდვის გამო და შურდათ მოხუცების სიკვდილისა. სიცოცხლე, მართლაც, სიკვდილით ფასობს. აკი დიდი ვაჟაც ამბობდა: „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“.

ერთ ქართულ ფილოსოფიურ ზღაპარშიც ზუსტად ანალოგიური აზრია გატარებული. უკვდავებას ნაზიარები ვაჟი დიდ ხნის შემდეგ ბრუნდება თავის სახლში, მაგრამ იგი მშობლიურის ნაცვლად, სულ სხვა, მისთვის უცხო გარემოში ხვდება და გადაწყვიტავს დაიბრუნოს თავისი ადამიანური არსება. მას უნდა წარსულს დაეწიოს, დაუახლოვდეს მშობლიურ გარემოს. ჯადოსნური სიბერის ვაშლების შეჭმის შემდეგ იგი ბერდება, ეკვეთება მუხლები, გახდება კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდება. იგი ხვდება, რომ მის ცხოვრებას აზრი აღარ აქვს და იგემებს უკანასკნელ სიკვდილის ვაშლს, რის შემდეგ „ბერიკაცმა განუტევა სული“. გაიტანა სოფელმა და „სამადლოდ დამარხა“. ასე, რომ ბუნების კანონებს ვერსად გაექცევით, „მიწა თავისას მოითხოვს“. ადამიანში ჩადებული გენეტიკური საათი ბოლოს და ბოლოს ჩერდება და ყოვლიშემძლე მაინც „ბუნება მბრძანებელი“ რჩება.

თავი III. საქართველოს მოსახლეობის რეგიონული პრობლემები

III.1. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა, შემადგენლობა, კვლავწარმოება

თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, თხუთმეტ საუკუნეს ითვლის. მთელი მისი წარსული ქართველი ხალხის ისტორიის განუყოფელი და ორგანული ნაწილია. თბილისის წარმოშობა ქართველმა ხალხმა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა და მისდამი მიძღვნილი შესანიშნავი ლეგენდით გვაუწყა ქალაქის დაარსების ამბავი. მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები გოგირდოვან ცხელ წყალში ჩაცვივნულან და იქ დაულევიათ სული. მართლაც, თბილისმა სახელი თბილი წყაროებიდან მიიღი, თუმცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით ქალაქის სახელი „თბილისი" ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის „თუბალების" სახელისაგან წარმოდგა. თუბალების თუ თობლების მთავარ ქალაქს „თუბალისი", „თობელისი", ანუ „თბილისი" ეწოდა. მეცნიერთა ნაწილი კიდევ ებრაელთა უძველეს წიგნში — „ბიბლიაში" მოხსენებულ „თობელს" ქალაქის სახელწოდებად თელიდა და მას თბილისთან აიგივებდა. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობის აზრით ქალაქს სახელწოდება თბილი წყაროების გამო შეერქვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველი ტომი როდი უწოდებს ჩვენს დედაქალაქს თბილისს. როგორც პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, ორი მათგანი, კერძოდ, დასავლურ-ქართული ტომები, მეგრელები და სვანები, მას „ქართს" ეძახიან. „ქართ", ისე როგორც „ქართ-ლი", ქართ-ველი, სა-ქართ-ველო, ე.ი. ქვეყნის, მისი დედაქალაქისა და მცხოვრებთა აღმნიშვნელი სიტყვები, „ქართ" ძირისაგან წარმოდგება. „ქართი" კი ჩვენ მეცნიერებს ქართველ ტომთა სამშობლოს უძველეს სახელწოდებად მიაჩნიათ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ქართლი", ანუ, მეგრული გამოთქმით „ქართი", ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ერქვა ქართველთა უძველეს, მცხეთაზე უფრო ადრინდელ ციხე-ქალაქს, შემდეგდროინდელ არმაზ-ციხეს. როგორც ვხედავთ, დასავლელ ქართველებს, მეგრელებსა და სვანებს, ახალი დედაქალაქისათვის, თბილისისათვის, ძველისძველი ციხე-ქალაქის სახელი უწოდებიათ.[1]

თბილისის მიდამოებში ხალხი უხსოვარი დროიდან ცხოვ-

[1] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 27-28.

რობდა. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება აქ აბორიგენთა განვითარების უწყვეტი პროცესი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულებიდან.

ქართლის მეფეებმა ადრიდანვე მიაქციეს ყურადღება სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი პერსპექტივის მქონე ამ მჭიდროდ დასახლებულ ადგილს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ IV საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი ააშენეს, როგორც ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს, „ციხედ მცხეთისა“, ე.ი. ძველი დედაქალაქის მცხეთის გასამაგრებლად. ამ დროიდან თბილისის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა. უკვე V საუკუნის შუა წლებიდან ვახტანგ გორგასალმა თბილისის სატახტო ქალაქად გადაქცევას ჩაუყარა საფუძველი. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ვახტანგ გორგასალის მემკვიდრემ, დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შეიქმნა სახლად სამეუფოდ“. მცხეთა ამიერიდან მხოლოდ ქვეყნის ქრისტიანულ-იდეოლოგიურ ცენტრად, კათოლიკოსის სარეზიდენციო ქალაქად რჩება.

იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, მაგრამ ვიცით, რომ მომდევნო საუკუნეებში თბილისის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე IX საუკუნის შუა წლებში თბილისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. ცნობილია, რომ 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობის დროს თბილისის 50 ათასი მცხოვრები დაღუპულა. მაშასადამე, მეცხრე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში თბილისში 50 ათას კაცზე მეტი ცხოვრობდა.

ამ გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ თბილისმა მაინც შეძლო მოეშუშებინა ჭრილობები. უკვე მეათე საუკუნეში უცხოელი ავტორები თბილისს ახასიათებენ, როგორც „დიდებულ დედაქალაქს... განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოოსა და საკვირველს“. ერთი იმდროინდელი არაბული თხზულების მიხედვით „თბილისი დიდი აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე.“

შემდგომ პერიოდში, როდესაც თბილისი არაბთა ბატონობის უღლისაგან გათავისუფლებულ იქნა და იქ, როგორც სრულიად სამეფოს დედაქალაქში, თავი მოიყარა სახელმწიფო აპარატმა და სახელმწიფო-საფინანსო დაწესებულებებმა, კიდევ უფრო გაიზარდა თბილისის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ამ დროიდან (1122 წლიდან) მოკიდებული მთელი 103 წლის განმავლობაში თბილისს მტრის შემოსევები აღარ განუცდია. იგი პირველობდა მეზობელ სახელმწიფოთა ქალაქებს შორის. ბუნებრივია, ეს გარემოე-

ბა, ისევე როგორც იმდროინდელი საქართველოს სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება, ხელს უწყობდა თბილისის მოსახლეობის გამრავლებას.

1225 წელს ხვარაზმელთა დიდი არმია ჯალალ-ედინის მეთაურობით საქართველოსაკენ დაიძრა. ახლო აღმოსავლეთში უძლეველი საქართველოს ჯარი დამარცხდა თბილისისათვის ბრძოლაში. 1226 წელს ხვარაზმელებმა თბილისი აიღეს. ჯალალ-ედინმა გადაწყვიტა მთლიანად მოესპო ქართველი მოსახლეობა თბილისში.

არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ „ამოწყვიტეს ქალაქში მყოფი ყველა ქართველი, არ დაინდეს არც დიდი, არც პატარა.“ მაგრამ უმჯობესია ქართველ მემატიანეს, ჟამთააღმწერელს, მოვუსმინოთ. მემატიანის ცნობით, გამძვინვარებულმა მტერმა არ დაინდო ჩვილი ბავშვებიც, რომელთაც „ძუძუთაგან დედისა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან“. ჯალალ-ედინის ბრძანებით მეტეხის ხიდის ყურზე თბილისის აურაცხელი მოქალაქენი მოიყვანეს, ხიდზე ღვთისმშობლის ხატი პირაღმა დადვეს და ვინც ხატს ფეხს არ დაადგამდა თავს კვეთდნენ და მტკვარში აგდებდნენ. მტერმა ქალაქი ისე გაანადგურა, რომ ქალაქში „სისხლისა მდინარენი დიოდეს... ათ ბევრად აღიწია რიცხვი მოკლულთა“. „ბევრი“ ძველ ქართულში ათი ათასს ნიშნავდა. ამრიგად XIII საუკუნის დასაწყისში თბილისში ასი ათასი კაცი მაინც ცხოვრობდა და მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის დიდ ქალაქებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოს დედაქალაქს ბევრჯერ დასდგომია სამკვდრო-სასიცოცხლო განსაცდელის ჟამი. ჰქონდა მას აყვავებისა და კეთილდღეობის პერიოდიც. რა თქმა უნდა, როგორც ერთი, ისე მეორე გარემოება დიდ როლს ასრულებდა თბილისის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაში. მაგრამ მაინც გამუდმებულმა შემოსევებმა ქალაქის თანდათანობით დაქვეითება გამოიწვია და მისი მოსახლეობა უაღრესად შემცირდა. უკანასკნელი შემოსევა თბილისმა XVIII საუკუნის მიწურულს განიცადა.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ურდოებმა აიღეს თბილისი, გადაწვეს იგი და მთელი მისი მოსახლეობა ამოწყვიტეს. თბილისის ამ ტრაგედიას ერთ-ერთი უცხოელი ავტორი მირზა იუსუფა ყარაბაღელი ასე აგვიწერს: „ამ შავბნელ დროს აღა-მაჰმად-ხანი თავისი შავი და ბნელი გულით შვიდ დღეს დარჩა იქ და ის ქალაქი მთლიანად დაანგრია და მწუხარებით აავსო, ხოლო მაღალი და დიდებული შენობები ცოცხალი არსებებისაგან დააცარიელა.“

1801 წელს, როდესაც რუსეთმა გააუქმა საქართველოს სა-

ხელმწიფოებრიობა, თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 15 ათას კაცს უდრიდა, ხოლო საუკუნის მიწურულისათვის – 1897 წელს – 160 ათასს, ე.ი. მე-19 საუკუნეში მისი მოსახლეობა 10-ჯერ გაიზარდა.

გასულ საუკუნეში რამდენჯერმე ჩატარდა თბილისის მოსახლეობის ერთდღიანი კამერალური აღწერა. მაგალითად, თბილისის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1864 წელს ზამთარში, აგრეთვე 1865 წელს – ზაფხულში (წინა აღწერის შესამოწმებლად და დროებით ჩამოსულთა დასადგენად). 1864 წელს თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 60 ათასს უდრიდა, ხოლო მომდევნო წელს – 71 ათასს, ე.ი. 11 ათასით მეტს (ისინი ქალაქში სავაჭროდ ან სამუშაოდ დროებით იყვნენ ჩამოსულნი). ეს იმითაც დასტურდება, რომ ჩამოსულთაგან 10676 მამაკაცი და მხოლოდ 328 ქალი იყო.

სანამ გასულ საუკუნეში თბილისის მოსახლეობასა და კერძოდ მის ეროვნულ შემადგენლობაზე ვისაუბრებდეთ, ერთი საკითხი უნდა გავარკვიოთ. კერძოდ, მიუთითებენ, რომ ქართველებს, რომლებსაც რუსული ფორმით დაბოლოებული გვარი ჰქონდათ არაქართულ მოსახლეობას მიაკუთვნებდნენ, რადგან ამ შემთხვევაში ძნელია ამა თუ იმ პიროვნების ეროვნული ვინაობის დადგენაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისას განზრახ, წინასწარ მოფიქრებულად, თუ უნებლიედ არ იყო დაშვებული შეცდომები, მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის აღწერებში, როდესაც აღწერის პროგრამაში მოცემულია კითხვა ეროვნებისა და მშობლიური ენის შესახებ, გვარის დაბოლოების მიხედვით არც არავინ ადგენს ეროვნებას. მაგალითად, ცნობილია ვაჟა-ფშაველას შემდეგი სიტყვები: „უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწოდებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმელო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა. ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოება „ოვით“. მაგრამ არა გვგონია, გვარის დაბოლოების მიუხედავად, ვინმეს ეჭვი შეეპაროს, თუ რა პასუხს გასცემდა ვაჟა კითხვაზე ეროვნების შესახებ. ცხადია, დიდი პოეტი ალტერნატივის წინაშე არ აღმოჩნდებოდა.

თავისთავად ეროვნების დასადგენად გვარების წარმოშობისა და ქრისტიანული ონომასტიკონის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო პერიოდში ბევრი დაიწერა, მაგალითად, თბილისის გუბერნიის 1886 წლის საოჯახო სიების შესახებ. ამ ნაშრომებში მთელი კეთილსინდისიერებით არის გაანალიზებული მოსახლეობის ერთი ნაწილის ქართული ეთნოსისაგან ჩამოცილებისა და ძირითადად სომხური ეთნოსისათვის ხელოვნური მიწერის პროცესი. მაგრამ ამა-

ვე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საოჯახო სიების შედგენისა და მოსახლეობის აღწერის პირობებში ეროვნების განსაზღვრის მეთოდი განსხვავებულია. მოსახლეობის აღწერისას ეროვნების დადგენა ძირითადად უშუალოდ გამოსაკითხი პირის პირადი შეხედულებების საფუძველზე ხდება.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ეროვნებისადმი კუთვნილების საკითხი წინა პერიოდის აღწერებში ცოტა სხვაგვარად იდგა. ამიტომ ზოგიერთი რამ წარსულიდანაც უნდა გავიხსენოთ.

მოსახლეობის აღწერების პრაქტიკაში ეროვნების საკითხი გასული საუკუნის 60-იან წლებში დაისვა. თავდაპირველად მისი შინაარსის ფორმულირებაში სრული გაუგებრობა იყო — გაიგივებული იყო ეროვნებისა და მშობლიური ენის ცნებები. საერთოდ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრა, როგორც სათანადო ლიტერატურაშია აღნიშნული, მეტად რთული საქმეა. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ნიშნის არსებობა დაკავშირებულია ეთნიკურ ერთგვაროვნებასთან, მაგრამ უმრავლეს ქვეყანაში მოსახლეობა მრავალეროვნულია და ამ ნიშნის უქონლობა ეროვნულ უმცირესობათა იგნორირებას მოწმობს. რიგ ქვეყანაში „ერის“ ცნება (მაგალითად, ინგლისელი, ფრანგი, ესპანელი) გაიგივებულია სახელმწიფოსადმი კუთვნილებასთან, ხოლო „ეროვნების“ ცნება ხშირად ქვეშევრდომობისა და მოქალაქეობის აღსანიშნავად იხმარება, ანდა ეროვნების ნიშანი რასობრივ და რელიგიურ ნიშნებთანაა არეული.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დადგენის პროცესში სიძნელე ჩვეულებრივ თვით ეროვნების შინაარსის განსაზღვრისას წარმოიშობა. ეროვნების განსაზღვრებას საფუძვლად ორნაირი გაგება უდევს: სოციალურ-ფსიქოლოგიური და გენეტიკური. პირველ შემთხვევაში გამოსაკითხი პირის უშუალო დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გადამწყვეტია. ამ შემთხვევაში ეთნიკური წარმოშობა კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ეროვნების განმსაზღვრელი მოტივი. ეროვნების გენეტიკური განსაზღვრების დროს კი გადამწყვეტი ფაქტორია სწორედ ეთნიკური კუთვნილება — „სისხლითი“ კავშირი.

პირველ საბჭოთა აღწერებში (1920 და 1926 წწ.) ეროვნება გენეტიკური ნიშნით, შემდეგ აღწერებში კი გამოსაკითხი პირის პირადი შეხედულებით განისაზღვრებოდა.

განსახილველი საკითხი რომ უფრო გასაგები გახდეს, მშობლიური ენისა და ეროვნების ურთიერთკავშირის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. ცხადია, უმრავლეს შემთხვევაში მშობლიური ენა და

ეროვნება ერთმანეთს თანხვდება, მაგრამ მშობლიური ენის ნიშნით ეროვნულობის განსაზღვრა არარეალურია. ისტორიულად ეროვნული კუთვნილება ყოველთვის როდი თანხვდება მშობლიური ენის განვითარებას. მშობლიური ენის ცვლილების პროცესი უფრო ჩქარა მიმდინარეობს, ვიდრე ეროვნული კუთვნილებისა. ზოგჯერ მშობლიური ენა მხოლოდ სალაპარაკო ენაა, ბევრი დეფინიციით ხასიათდება, რომელთა გამიჯვნა ხშირად ძნელია. მშობლიურ ენად უმრავლეს შემთხვევაში მიიჩნევენ: დედის, მამის, მშობლების ენას, აკვნის ენას, ენას რომელზედაც ფიქრობს და აზროვნებს ან ყველაზე თავისუფლად ლაპარაკობს ადამიანი და სხვ.

მოსახლეობის უკანასკნელ აღწერებში მშობლიური ენა ძირითადად თვითშეგნების საფუძველზე განისაზღვრება. იმ შემთხვევაში, თუ მშობლიური ენის დადგენა გაძნელდა, მას განმარტავენ როგორც ენას, რომელსაც ყველაზე უკეთ ფლობს გამოსაკითხი პირი, ან რომლითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ ოჯახში, რაც მშობლიურ ენას სალაპარაკო ენის ცნებასთან აახლოებს.

ეროვნებისა და მშობლიური ენის შესახებ შედარებით ვრცელი მსჯელობა იმისათვის დაგვჭირდა, რომ უფრო კარგად გავერკვეთ თბილისის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში.

გასულ საუკუნეში განსაკუთრებით ორგანიზაციულად და სრულყოფილად ჩატარდა თბილისის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა 1876 წლის 25 მარტს.

ამ აღწერის ჩასატარებლად მაშინ თბილისში ფართო მასშტაბის მოსამზადებელი სამუშაო შესრულდა. პირველად ევროპაში მიღებული წესების მიხედვით დაინომრა ყველა სახლი. თითოეულ ქუჩასა და შესახვევში მდებარე სახლს გაუკეთდა ცალკე ნომერი ისე, რომ კენტი ნომრები - მარჯვენა, ხოლო წყვილი ნომრები მარცხენა მხარეს მოექცა. აღწერის სპეციალურმა კომიტეტმა დაამტკიცა თბილისის მოსახლეობის ერთდღიანი სტატისტიკური აღწერის ინსტრუქციის პროექტი, რომელიც შემუშავდა იმპერიაში მიღებული აღწერის პროექტის საფუძველზე. ამასთან, აღწერის პროგრამაში, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, გაკეთდა ზოგიერთი დამატება და ცვლილება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მოსამზადებელი სამუშაოების მოცულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აღწერის საერთო ღირებულებამ საკმაოდ დიდი თანხა — 12050 მანეთი შეადგინა ვერცხლით. აქედან 10050 მანეთი მთავრობამ გაიღო, ხოლო ორი ათასი მანეთი ქალაქის სახსრებიდან შეივსო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1871 წლის მოსკოვის მოსახლეობის აღწერა 6 ათასი მანეთი დაჯდა, მაშინ როდესაც მოსკო-

ვის მოსახლეობა ამ აღწერით 601969 კაცს უდრიდა, ე.ი. თითქმის 6-ჯერ აღემატებოდა თბილისის მოსახლეობას.

თბილისის მოსახლეობის აღწერის მასალები გამოვიდა 1880 წელს 540 გვერდის მოცულობით, სათანადო განმარტებითი ტექსტით, დასკვნებითა (318 გვ.) და ცხრილებით (222 გვ.).[1]

ახლა იმის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად სარწმუნოა 1876 წლის თბილისის ერთდღიანი აღწერის მიხედვით ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გასულ საუკუნეში ცალკეული ქალაქებისა და თვით რუსეთის იმპერიაში 1897 წელს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის დროსაც სააღწერო ფურცელი კითხვას ეროვნების შესახებ არ შეიცავდა. სამაგიეროდ აღწერა პასუხობდა კითხვას მშობლიური ენის შესახებ, რომლის საფუძველზე მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობაც განისაზღვრებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი და ვერ იძლეოდა ეროვნებების რაოდენობის შესახებ რეალურ სურათს. ეროვნების განსაზღვრის ამ არასწორი მეთოდის შედეგად რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით მოსკოვში მხოლოდ 208 ქართველი ცხოვრობდა. თბილისის მოსახლეობის 1876 წლის აღწერის დიდი ღირსება ისიცაა, რომ აქ დაემატა კითხვა ეროვნების შესახებ. ამის მოტივად აღწერის მესვეურები იმ უტყუარ ფაქტს ასახელებენ, რომ თბილისში არაქართული მოსახლეობისათვისაც საოჯახო, სალაპარაკო ენა ძირითადად ქართული იყო. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის რუსი მოხელე დ. კობიაკოვი: თბილისში მცხოვრებმა ბევრმა სომეხმა სომხური ენა თითქმის სრულებით არ იცის და თავის მშობლიურ ენად ქართულს თვლის. ზოგიერთი კი, ვინც სომხური ენა იცის, მაინც უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც თბილისში ძირითადი სალაპარაკო ენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ მშობლიური ენის მიხედვით ეროვნების განსაზღვრა შეცდომით დასკვნამდე მიგვიყვანდა. დაბადებითა და სარწმუნოებით ბევრ სომეხს ქართველს მიაკუთვნებდნენ, რადგან ქართულ ენას ისინი თავიანთ მშობლიურ ენად თვლიანო.[2] ამ გარემოების გამო სააღწერო ფურცელში შეიტანეს კითხვა ეროვნების შესახებ. ამდენად გვარების რუსული ფორმით დაბოლოებას თბილისის მოსახლეობის ეროვნებათა რაოდენობის განსაზღვრაზე არ შეიძლება რაიმე გავლენა მოეხდინა.

---

[1] Тифлис по однодневной переписи 25 марта 1876 года. Тифлис, 1880.

[2] იქვე, გვ. 43, 133.

1876 წელს ერთდღიანი აღწერის მიხედვით თბილისის მოსახლეობა 104 ათას კაცს უდრიდა. აქედან მამაკაცების რაოდენობა-66 ათასს, ხოლო ქალებისა 38 ათასს შეადგენდა. ამ დროს თბილისში 41 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, რომელთა შორის ჭარბობდა ქართველი, სომეხი და რუსი. მათი რაოდენობა შესაბამისად 22,2, 37,6 და 30,8 ათასს უდრიდა. ისინი დედაქალაქის მთელი მოსახლეობის 87 პროცენტს შეადგენდნენ. ამ აღწერის შედეგად სხვა საინტერესო მონაცემებიც იქნა მიღებული. მაგალითად, 1876 წელს ბინის ფართობი არ აღუწერიათ. ბინის ქირას დამქირავებლებს ახდევინებდნენ ოთახში არსებული ფანჯრების რაოდენობის მიხედვით. ამასთან თბილისში ამ წელს არსებობდა 66 სასწავლებელი. ამ სასწავლებლებიდან 36 სასწავლებელში ვაჟები, ხოლო 20-ში მხოლოდ ქალები სწავლობდნენ, 10 კი შერეული ტიპის სასწავლებელი იყო. სასწავლებლის საერთო რაოდენობიდან 16 კერძო სასწავლებელი, ხოლო დანარჩენი დაქვემდებარების მიხედვით ხაზინის, საზოგადოებრივი, საეკლესიო და სამხედრო იყო. თბილისში აგრეთვე 15 საშუალო სასწავლებელი, 51 — დაბალი და 1160 სახელოსნო სასწავლებელი არსებობდა, ქალაქის ძირითად ტრანსპორტად 439 (ორცხენიანი) ეტლი და 117 (ერთცხენიანი) „დროშკა“ ითვლებოდა. ტვირთის გადასაზიდად გამოიყენებოდა 672 ე.წ. „პოეოზკა“ და „დროგი“.

თბილისი ყოველთვის იყო მრავალეროვნული ქალაქი. აქ მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ მუსულმანები, მეზობელი ერის შვილები — სომხები, ხოლო მე-19 საუკუნიდან — რუსებიც. სომხები თბილისში მასობრივად სახლდებიან გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან თურქეთსა და ირანის აზერბაიჯანში უაღრესად შევიწროვების გამო, თუმცა ჯერ კიდევ 1804 წელს თბილისში გადმოსახლდა ორი ათასზე მეტი სომეხი[1]. ეს პროცესი არც უცხოელ ავტორებს გამორჩენიათ მხედველობიდან. 1820-იან წლებში საქართველოში მოღვაწე ფრანგი კონსული გამბა წერდა: „თბილისის მოსახლეობა დღითი-დღე იზრდება მოზღვავებული სომხებით, რომლებიც აქ ეძებენ თავშესაფარს ოსმალთა ძალადობისა და სპარსთა შევიწროვებისაგან.“ მართლაც, იმდენად დიდი იყო ამ ძალადობისაგან თავის დაღწევის სურვილი, რომ სომხები პირდაპირ აცხადებდნენ: თვით ზეციდან ჩამოსულმა ქრისტემ რომ გვიქადაგოს თურქეთში დაბრუნება, ჩვენ მის რჩევასაც კი ყურს არ დავუგდებთო.

---

[1] И. Шопен. Исторический памятник состояния Армиянской области в эпоху присоединения к Российской империи, 1828, СПБ, ч. III, с. 526

სომეხ ლტოლვილთა გამოქცევა და საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოსახლება მთელი მე-19 და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, განსაკუთრებით კი 1897-1910 და 1914-1918 წლებში. მხოლოდ ამ პერიოდში (1897-1910 წწ.) თბილისში სომხების რაოდენობა 47 ათასიდან 125 ათასამდე გაიზარდა. აქედან 68 ათასი ახლად მოსული იყო, უპირატესად თურქეთიდან.[1]

სომეხთა გადმოსახლება საქართველოში და მის დედაქალაქში ასახვას პოულობდა მოსახლეობის აღწერებში, მით უმეტეს, რომ მაშინდელი მოსახლეობის აღწერის პროგრამები ამის დიდ საშუალებას იძლეოდა. როგორც კავკასიის შესახებ სტატისტიკური ცნობების პირველ ტომშია აღნიშნული, 1863 წელს თბილისის სხვადასხვა წოდების მოსახლეობას შორის დიდ ნაწილს – 15 ათასამდე კაცს შეადგენდნენ მოქალაქეები, ძირითადად ახალმოსულები, რომელთა შორის სამი მეოთხედი სომეხი იყო. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით თბილისში მცხოვრები ათასობით სომეხი ერევნის გუბერნიიდან და თურქეთის სახელმწიფოდან არის შემოსული. ამ მხრივ მეტად საინტერესოა თბილისის 1922 წლის მოსახლეობის აღწერაც: თბილისში მცხოვრები 85 ათასი სომეხიდან უკვე ამ პერიოდშიც 33,5 ათასი სომეხი, ანუ თითქმის 40 პროცენტი დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ.[2]

ძნელბედობის ჟამს სომეხი ხალხისადმი უანგარო დახმარებას, ქართულ მიწა-წყალზე და, კერძოდ, თბილისში მათ დასახლებას და, ბუნებრივია, შემდგომში აქ ცხოვრებასა და საქმიანობას ზოგიერთები სხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებენ, სხვაგვარად აფასებენ, ყველაფერს საკუთარი არშინით ზომავენ. მაგალითად, როგორც ბატონი გიორგი გაჩეჩილაძის გაზეთ „კომუნისტში“ (5 აგვისტო, 1990 წ.) დაბეჭდილ პუბლიკაციაშია აღნიშნული, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი რონალდ სუნი (წარმოშობით სომეხი) პირდაპირ აცხადებს: „მიგრაციების სპეციფიკა ისტორიულ პროცესებში წარმოშობს თავისებურად ახლებურ სიტუაციებს. მაგალითად, თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, XIX საუკუნეში იყო სომხური ქალაქი.“ სამწუხაროდ, ასეთები აქაც, უფრო ახლოდანაც არაერთხელ მოგვისმენია. ერთი კია, თბილისი რატომ მაინცდამაინც სომხური ქალაქი იყო მე-19 საუკუნეში და არა, ვთქვათ, რუსული. განა

---

[1] П. Аргутинский. Население Тифлиса. Муниципальный календарь на 1917 год, Тифлис, 1916, с. 163

[2] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი I, ნაკეთი 2, თბ., 1923, გვ. 11

მიგრაციული პროცესების შედეგად გასული საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის იმდენივე რუსი არ ცხოვრობდა თბილისში, რამდენიც სომეხი? ან ვთქვათ, როგორი და ვისი ქალაქებია აშხაბადი, დუშამბე, ფრუნზე, ალმა-ატა, ტაშკენტი, რომლებშიდაც მკვიდრი მოსახლეობა გაცილებით ნაკლები ცხოვრობს, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენელი? მაგალითად, ფრუნზეში მოსახლეობის 1970 წლის აღწერის მონაცემებით ყირგიზები მთელი მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტს შეადგენდნენ, დუშანბეში ტაჯიკები — 26 პროცენტს და ა.შ. უფრო მეტიც — თუ მე-19 საუკუნეში თბილისი იყო სომხური ქალაქი, მაშინ ხომ რ. სუნის მსჯელობით ჩვენ გვრჩება უფლება განვაცხადოთ: „ერევანი, როგორც სომხეთის დედაქალაქი, XIX საუკუნეში იყო თათრული ქალაქი". ეს იმიტომ, რომ მთელი მე-19 საუკუნე ერევნის მოსახლეობის უმრავლესობას თათრები შეადგენდნენ. კერძოდ, 1832 წელს ერევანში 11463 კაცი ცხოვრობდა, აქედან 7331 თათარი და მხოლოდ 4132 სომეხი, რომელთა შორის 1763 სომეხი 1828-1830 წლებში გადმოსახლდა ირანიდან და თურქეთიდან. უფრო მეტიც, სომხეთის ოლქში ადგილობრივ მკვიდრ სომეხთა რაოდენობა აღწევდა 25151 კაცს, ხოლო მუსულმანთა რაოდენობა — 82073 კაცს. ამგვარად მთელ მკვიდრ მოსახლეობაში (107224) სომხები შეადგენდნენ მხოლოდ 23,4 პროცენტს, ხოლო მუსულმანები — 76,6 პროცენტს. მაგრამ მუსულმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი 1828-1830 წლებში აქედან გადასახლდა ირანსა და თურქეთში, ე.ი. ისინი 1828 წლამდე კიდევ ბევრად უფრო დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სომხეთის ოლქში.[1] ასევე 1865 წელსაც სომხები ერევნის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. ამ წელს ერევნის მოსახლეობა 14070 კაცს უდრიდა და ერევანში 6900 თათარი და მხოლოდ 5770 სომეხი ცხოვრობდა.[2] თითქმის არც 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით შეცვლილა ერევნის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა. 1865 წელს თვით ერევნის მაზრაშიც თითქმის 2-ჯერ მეტი თათარი ცხოვრობდა, ვიდრე სომეხი. რ. სუნი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა იმას, მაგალითად, ვის ეკუთვნოდა ისტორიული ყარაბახი, არამედ თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად მის ტერიტორიაზე და რადგან ამჟამად ყარაბახში სომხები ცხოვრობენ, აზერბაიჯანმა იგი სომხეთს უნდა დაუთმოსო. ასეთი ლოგიკით სომხებს დიდსულოვნად უნდა დაეთმოთ

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. 1, თბ., 1949, გვ. 599-600.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869, с. 7.

ერევანი და ერევნის მაზრა თავის დროზე თათრებისათვის. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. ის კი მოხდა, რომ ერთმანეთს შორის ეროვნულ ნიადაგზე სისხლისმღვრელი შეტაკებების შედეგად საქართველოს არაერთხელ მიუღია დიდსულოვნად ლტოლვილები ორივე მხრიდან, რომელთა შთამომავალნი შემდეგ ამ ტერიტორიას უკვე ერთმანეთს ეცილებიან. ამაზე იტყვიან, მართლაც, სასაცილო რომ არ იყოს, სატირალი იქნებოდაო.

რ. სუნი თბილისის სომხურ ქალაქად გამოცხადებისას ეყრდნობა მიგრაციების სპეციფიკას, რომელიც თითქოს ისტორიულ პროცესებში წარმოშობს თვისობრივად ახლებურ სიტუაციებს. იგი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ახლებური სიტუაციების წარმოშობა მარტო მიგრაციით როდი აიხსნება. მაგალითად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არცერთ ხალხში არ იყო ისეთი ძლიერი და მტკიცე აგრარული არისტოკრატია, რომელიც თავის ზეგავლენას ქალაქებშიც ავრცელებდა, როგორც ქართველებს შორის.

ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ გასული საუკუნის ბევრი ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე, მართალია, სოფლად ცხოვრობდა, მაგრამ იგი უდიდეს საქმიანობას ქალაქშიდაც ეწეოდა და ქალაქად თუ სოფლად ქართველი ერის გამოღვიძებასა და თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა. თბილისი, მიუხედავად მისი მრავალეროვნულობისა, ყოველთვის და, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქართული ყოფის, ტრადიციებისა და სულის გამომსახველი იყო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, გაჩნდა ქართული ბურჟუაზია, გაფართოვდა მისი საწარმოო საქმიანობა. 1876 წლის აღწერით თბილისში ქართველ მსხვილ მეწარმეთა და ვაჭართა რაოდენობა საგრძნობლადაა გაზრდილი, თუმცა ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სადავეები მაინც სომხურ ბურჟუაზიას უპყრია ხელთ. კერძოდ, 1876 წელს თბილისში 8,7 ათასი ვაჭარი და მსხვილი კერძო მეწარმე იყო. აქედან თითქმის ნახევარს (48,2 პროცენტი) სომხები შეადგენდნენ. ქართველების წილი 23,8, ხოლო რუსებისა 11,8 პროცენტს უდრიდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სომეხი ვაჭრები არა მარტო მე-19 საუკუნეში, არამედ უფრო ადრეც, თუ რაოდენ ფართო ვაჭრობას ეწეოდნენ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. საკუთრივ თბილისში კი ვაჭრობის საქმეს თითქმის მთლიანად ისინი განაგებდნენ. როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, ჯერ კიდევ 1802 წელს საქართველოს მთავარსარდალ პ. ციციანოვისადმი გაცემულ იმპერატორის რესკრიპტში ნათქვამია: „სომხები, როგორც მეწარმეობის მიმდევარი ხალხი, რომელთა ხელში იმყოფება აზიის ამ ნაწი-

ლის მთელი ვაჭრობა, იმსახურებენ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას და მფარველობას, ვინაიდან ის ჩაგვრა, რასაც ისინი ირანში განიცდიან, უეჭველია, რომ ამ ხალხის დიდ რაოდენობას გადმოისვრის საცხოვრებლად საქართველოში.“ ამავე პერიოდის თბილისის საგარეო ვაჭრობის შესახებ ოფიციალურ მიმოხილვაში კი აღნიშნულია, რომ აქ „მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებენ საქართველოს სომხები, ქართველების ფრიად მცირე ნაწილი და უცხოელი ვაჭრები.“ თუ ნადვორნი სოვეტნიკს მოკეევსაც დავიმოწმებთ, საქართველოში „კომერციულ ვაჭრობას აწარმოებენ არა ქართველები, არამედ უმეტესად... სომხები.“ იმასაც დავძენთ, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემებიც სხვაგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას არ გვაძლევს. დასასრულს, ისიც უნდა ითქვას, თუ რა უმოწყალოდ ავიწროებდნენ საქართველოში მცხოვრებ ხალხებს სომეხი ვაჭრები და მრეწველები, რომლებსაც საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ხელში ჰქონდათ ჩაგდებული მონოპოლია.

მე-19 საუკუნეში თბილისში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები. კერძოდ, რუსების რაოდენობამ თბილისში 1803 წლის 1,9 ათასის ნაცვლად 1897 წელს 45 ათასი შეადგინა. რუსი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თბილისში უმთავრესად გამოწვეული იყო პოლიტიკური ფაქტორებით. თბილისი გადაიქცა მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად, ამასთან თბილისში იმყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია.

რუსები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადმოსახლდნენ საქართველოში და კერძოდ თბილისში, უმთავრესად რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან 1836-1841 წლებში. ამ პერიოდში მეფის ხელისუფლების ბრძანებით კავკასიაში და ძირითადად საქართველოში გადმოასახლეს ჯერ მალაკნები (1836 წ.), ხოლო შემდეგ დუხობორები (1841 წ.).

გასული საუკუნის მოსახლეობის აღწერები საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ მოსახლეობის შემადგენლობა სარწმუნოების მიხედვით. მაგალითად, 1897 წელს თბილისის გუბერნიაში 413 ათასი ქართველი აღიარებდა მართლმადიდებლურ რელიგიას, 29 ათასი — სომხურ-გრიგორიანულს, 5 ათასი — სომხურ-კათოლიკურს, ხოლო 1500-ზე მეტი რომაულ კათოლიკურს. თბილისში 1897 წელს სომხურ-გრიგორიანული რელიგიის მიმდევარი 3400 ქართველი ცხოვრობდა. ამ მონაცემების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ ეროვნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა გაიგივებულია, მაგრამ მოტანილი მონაცემები იმაზეც ნათლად მეტყველებენ, რომ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მესვეურები ამას ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს

და ასეთი ფაქტები არც გამონაკლისს წარმოადგენდა, თუმცა ზოგი რამ შეიძლება ეროვნების არასწორი განსაზღვრის შედეგიც იყო.

თბილისის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა მოსახლეობის 1926 წლის აღწერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების მიერ მომზადებული სტატისტიკური კრებული თბილისის შესახებ. ამ ფუნდამენტურ ნაშრომში მოცემულია თბილისის მოსახლეობის ყოველმხრივი ანალიზი. კერძოდ, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, ჯანმრთელობა, მორალური სტატისტიკა დანაშაულებათა და თვითმკვლელობების სტატისტიკის ჩვენებით, სახალხო განათლება. ნაშრომში ვეცნობით აგრეთვე თბილისის კომუნალურ მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას, ადგილობრივ ბიუჯეტს, ფოსტა-ტელეგრაფს, თბილისის მოსახლეობის კვების საკითხებს და სხვ. მაგალითად, საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ 1926 წელს მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარება თბილისში დაახლოებით 6 ლიტრს უდრიდა, ხოლო არაყისა — 220 გრამს. 1980-იანი წლების დასაწყისში ალკოჰოლური სასმელების მოხმარებამ კი უკვე 6-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1926 წლის დონეს.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობა დიდად გაიზარდა ჩვენს საუკუნეში როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მატების შედეგად. თუ მისი მუდმივი მოსახლეობა 1926 წელს 294 ათას კაცს უდრიდა, 1989 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობამ 1243 ათასი კაცი შეადგინა. ქვეყნის მოსახლეობის 23 პროცენტი, ანუ თითქმის ყოველი მეოთხე დედაქალაქში ცხოვრობდა. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს ქალაქის მომსახურების პრობლემებს, ქმნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ბევრ სიძნელეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისი ამ მხრივ გამონაკლისი როდია. მაგალითად, ერევანში ცხოვრობს სომხეთის მთელი მოსახლეობის 34 პროცენტი, ამდენივე ცხოვრობს რიგაში, ხოლო ტალინში — ქვეყნის მთელი მოსახლეობის 31 პროცენტი.

თბილისში 1926-1989 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველი მოსახლეობის რაოდენობა. კერძოდ, თუ 1926 წელს თბილისში 112 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ე.ი. მთელი მოსახლეობის 39 პროცენტი, 1989 წელს ქართველების რაოდენობამ 821 ათასი კაცი შეადგინა, ანუ მთელი მოსახლეობის 66 პროცენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისში უკანასკნელ წლებში შემცირდა სომხებისა და რუსების რაოდენობა. მაგალითად, 1926 წელს თბილისში 100 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1979 წელს 153 ათასი, ხოლო 1989 წელს 150 ათასი. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ თბილისიდან გაცილე-

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით (ათასობით)

	1876 წ.		1897 წ.		1922 წ.		1926 წ.		1959 წ,		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
სულ:	104.0	100.0	159.6	100.0	233.9	100.0	294.0	100.0	694.7	100.0	1056.1	100.0	1246.8	100.0
ქართველი	22.2	21.4	42.2	26.4	80.9	34.6	112.2	38.2	336.3	48.4	656.4	62.2	824.3	66.1
სომეხი	37.6	36.2	47.1	29.5	85.3	36.5	100.1	34.1	149.2	21.5	152.9	14.5	150.1	12.0
რუსი	30.8	29.6	44.8	28.2	38.6	16.5	45.9	15.6	125.7	18.1	129.1	12.2	124.9	10.0
ოსი	-	-	0.9	0.5	1.4	0.6	2.8	1.0	15.6	2.2	27.9	2.7	33.2	2.7
უკრაინელი	-	-	2.7	1.7	-	-	-	-	10.9	1.6	12.6	1.2	16.1	1.3
ებრაელი	1.3	1.3	2.9	1.8	8.8	3.8	8.9	3.0	17.3	2.5	14.8	1.4	13.5	1.1
აზერბაიჯანელი	-	-	-	-	3.3	1.4	5.8	2.0	9.6	1.5	12.9	1.2	18.0	1.4
იეზიდი და ქურთი	-	-	-	-	-	-	2.5	0.9	12.9	1.9	23.4	2.2	30.3	2.4
ბერძენი	0.4	0.4	1.2	0.8	1.3	0.6	1.4	0.5	7.1	1.0	16.2	1.5	21.7	1.8
სხვა														
ეროვნებანი	11.6	11.1	17.8	11.2	14.3	6.1	14.1	4.8	10.1	1.3	9.7	1.0	14.7	1.2

ბით მეტი სომეხი მიდის სხვაგან საცხოვრებლად, ვიდრე შემოდის. ამასთან, მართალია, 1926-1989 წლებში რუსების რაოდენობა 46 ათასიდან 125 ათასამდე გაიზარდა, მაგრამ 1979 წელთან შედარებით 4 ათასით შემცირდა. ამავე პერიოდში თბილისში დიდად გაიზარდა აზერბაიჯანელების (0,5 ათასიდან 18 ათასამდე, 36-ჯერ), ოსების (2,8 ათასიდან 33 ათასამდე, 15-ჯერ), ბერძნების (1,4 ათასიდან 22 ათასამდე, 15-ჯერ), ქურთების (2,5 ათასიდან 30 ათასამდე, 12-ჯერ), უკრაინელების (1,8 ათასიდან 16 ათასამდე, 9-ჯერ) რაოდენობა, რაც ძირითადად არა ბუნებრივი, არამედ მექანიკური მატების შედეგია. ამასთან, აღწერის მონაცემების მიხედვით ქართველების 99,6 პროცენტმა მშობლიურ ენად ქართული ენა დაასახელა, თავისივე ეროვნების ენა მშობლიურ ენად მიიჩნია ქურთების 75 პროცენტმა, სომხების 71 პროცენტმა, ოსების – 57, ბერძნების – 47 და უკრაინელების – 42 პროცენტმა. აღსანიშნავია, რომ რუსების გარდა მშობლიურ ენად რუსული 67 ათასმა კაცმა აღიარა, ხოლო ქართველი – მხოლოდ 39 ათასმა. ამასთან, ამჟამად თბილისის არამკვიდრი ეროვნებების დიდი ნაწილი გაცილებით კარგად ფლობს რუსულს, ვიდრე ქართულ ენას. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დედაქალაქში მცხოვრები სხვა ეროვნებები წლების განმავლობაში არ გრძნობდნენ ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლის საჭიროებას.

თბილისში ყოველთვის დაბალი იყო შობადობის დონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. უკანასკნელ ოც წელიწადში იგი განსაკუთრებით შემცირდა. მართალია, 1980-1989 წლებში დაბადებულთა აბსოლუტური მაჩვენებელი (ამ წლებში თბილისში დაიბადა 182 ათასი ბავშვი) აღემატება წინა ათწლეულების შესაბამის მონაცემებს (მაგალითად, 1950-1959 წლებში მხოლოდ 120 ათასი ბავშვი დაიბადა), მაგრამ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს შემცირებას. განსაკუთრებით დაეცა შობადობის დონე 90-იან წლებში. კერძოდ, თუ 1990 წელს თბილისის მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 15,5 ახალშობილი მოდიოდა, 1997 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 9,5 პრომილე შეადგინა. მოკვდაობის არსებული დონის შენარჩუნების პირობებში, მხოლოდ შობადობის შემცირების შედეგად, მნიშვნელოვნად იკლო მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ და ამ პერიოდში იგი 7,4 პრომილედან 1,3 პრომილემდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ 1950-1997 წლებში საქართველოში 4227588 ბავშვი დაიბადა, აქედან თბილისში – 733556 ბავშვი, ანუ ქვეყანაში დაბადებული ბავშვების 17,4 პროცენტი.

თბილისში მოკვდაობის დონე თითქმის თანხვდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს და იგი წლების მანძილზე ნაკლებ ცვალება-

დობას განიცდის. მაგალითად, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ყოველწლიურად მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე დაახლოებით 8 კაცი გარდაიცვლება. მოკვდაობის მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები. ამ მიზეზით 1997 წელს 6872 კაცი გარდაიცვალა ანუ მთლიანად გარდაცვლილთა 68,2 პროცენტი. 1995 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1185 ერთეულით, ანუ 14,7 პროცენტით შემცირდა. მოკვდაობის მიზეზებს შორის მეორე ადგილზეა ახალწარმონაქმნები. თბილისში ამ დაავადებით 1282 კაცი გარდაიცვალა. უკანასკნელ წლებში ახალწარმონაქმნებით გარდაცვლილთა წილი იზრდება და მან 1997 წელს 12,7 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 10,6 პროცენტისა 1995 წელს. ამასთან თბილისში ახალწარმონაქმნებით მოკვდაობის დონე გაცილებით მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ამ დაავადებით თბილისში გარდაიცვალა ქვეყანაში ახალწარმონაქმნებით გარდაცვლილთა მთელი რაოდენობის 34,9 პროცენტი. ამრიგად, თბილისში მოკვდაობის მხოლოდ ორი მიზეზით – სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით და ახალწარმონაქმნებით გარდაიცვალა 80,9 პროცენტი. მოკვდაობის მიზეზებს შორის შედარებით დიდი წილი უჭირავს უბედურ შემთხვევებს, მოწამვლებსა და ტრამვებს (4,3 პროცენტი) და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებს (3,3 პროცენტი).

1990-იან წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა. 1992-1997 წლებში ანუ უკანასკნელ ექვს წელიწადში თბილისში 34047 ქორწინება მოხდა, მაშინ როდესაც წინა ექვს წელიწადში – 1986-1991 წლებში თითქმის 2-ჯერ მეტი – 61230 წყვილი დაქორწინდა. უკანასკნელ წლებში ასევე შემცირდა ქორწინების დონე და მან 1997 წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 3,5 ქორწინება შეადგინა, ნაცვლად 7,2 ქორწინებისა 1991 წელს.

განქორწინების დონე თბილისში სხვა მსხვილ ქალაქებთან შედარებით მაღალი არასოდეს ყოფილა. უკანასკნელ წლებში, ძირითადად ქორწინებათა შემცირების გამო, განქორწინებათა რიცხვმა იკლო. 1980 წელს თბილისში 3173 წყვილი განქორწინდა, 1997 წელს კი მხოლოდ 1257 წყვილი დაშორდა ერთმანეთს, ანუ 2,5-ჯერ ნაკლები.

უკანასკნელ წლებში თბილისში სულ უფრო ინტენსიური ხდება მიგრაციული პროცესები. მარტო 1992 წელს 13855 კაცით მეტი გავიდა თბილისიდან, ვიდრე შემოვიდა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო რუსებში (7889 კაცი), ოსებში (1539 კაცი), უკრაინელებსა (1147 კაცი) და სომხებში (1015 კაცი). მომდევნო

1993 წელს მიგრაციული პროცესები თბილისში კიდევ უფრო გაღრმავდა, ხოლო შემდგომ წლებში თანდათანობით შენელდა. კერძოდ, 1993 წელს თბილისიდან 17724 კაცით მეტი გავიდა, ვიდრე შემოვიდა, 1995 წელს კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5171 კაცს უდრიდა.

თბილისში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა გარემიგრაციული პროცესები, რაც ძირითადად განპირობებულია რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. გარემიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად განაპირობა დედაქალაქის მოსახლეობაში დემოგრაფიული ცვლილებები. კერძოდ, იმის გამო, რომ თბილისიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასულთა შორის ქართველები შედარებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, საგრძნობლად შემცირდა მთელ მოსახლეობაში არაქართველი მოსახლეობის წილი. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს თბილისის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების მიხედვით თბილისში რეგისტრაციაში გატარდა 2167 და მოიხსნა რეგისტრაციიდან 971 კაცი. ამის შედეგად მრავალი წლის მანძილზე გარემიგრაციის სალდო პირველად გახდა დადებითი და მან 1196 კაცი შეადგინა.

მოსახლეობის გამრავალების თვალსაზრისით საინტერესოა ოჯახთა დაჯგუფება სიდიდის მიხედვით. მოსახლეობის 1989 წლის აღწე-

მიგრანტების ეროვნული სტრუქტურა 1993 წელს თბილისში

(პროცენტებით)

ეროვნება	ჩამოვიდა	წავიდა	უარყოფითი სალდო
ქართველი	57,6	5,4	4,3
რუსი	11,8	51,2	52,1
სომეხი	10,2	12,8	12,9
აზერბაიჯანელი	1,7	2,1	2,0
ოსი	–	5,4	5,6
ბერძენი	3,4	5,1	5,2
ებრაელი	1,7	7,7	7,8
უკრაინელი	5,1	6,1	6,1
დანარჩენი ეროვნება	8,5	4,2	3,9
სულ	100,0	100,0	100,0

რის მონაცემების თანახმად თბილისში ოთხწევრიანი ოჯახები სჭარბობენ. ოჯახთა მთელ რაოდენობაში მათი წილი 28 პროცენტს უდრის. ორწევრიანი ოჯახების რაოდენობა კი 21 პროცენტია, ამდენივეა სამწევრიანი ოჯახებიც. ამ მხრივ მოსახლეობის წინა, 1979 წლის აღწერასთან შედარებით არაფერი შეცვლილა. ამასთან, თბილისში 37 ათასი მარტოხელა იყო — 11 ათასი მამაკაცი და 26 ათასი ქალი.

თბილისის მოსახლეობის საშუალო ასაკი 33,5 წელს უდრის. ქალების საშუალო ასაკი რამდენადმე მაღალია (35,2 წელი), მამაკაცებთან შედარებით (31,5 წელი). ეს იმის შედეგია, რომ მართალია, ვაჟები მეტი იბადება, ვიდრე გოგონები, მაგრამ ისინი ძირითადად სხვადასხვა რისკის ფაქტორის გავლენით მეტიც იღუპება შედარებით ადრეულ ასაკში. ამის გამო, თუ ოც წლამდე ასაკში ვაჟები სჭარბობენ გოგონებს, შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში ქალები მნიშვნელოვნად მეტნი არიან მამაკაცებზე. მაგალითად, თვით 20-24 წლების ასაკობრივ ჯგუფშიც კი რვა ათასით მეტი ქალია მამაკაცებთან შედარებით. სულ კი ნაყოფიერების ასაკში (15-49 წლები) მამაკაცებთან შედარებით 45 ათასი ქალია „ზედმეტი“, რის გამოც ქალებს უძნელდებათ გათხოვება. ეს გარემოება კი მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობის საერთო დონეს. ამ დროს კი თბილისში ორმოცი წლისა და უხნესი 5,8 ათასი მამაკაცი ცხოვრობს, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში.

ოჯახის შექმნის ასპექტში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თბილისის ბევრ მაცხოვრებელს მეტად ცუდი საბინაო პირობები აქვს. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით 221 ათასი კაცი ერთოთახიან ბინებში ცხოვრობდა, 17 ათასი — საერთო საცხოვრებელში, ხოლო 18 ათასი თბილისელი ბინას ქირაობდა, მათ შორის 1400 ოთხწევრიანი ოჯახი. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელთა დიდ ნაწილს ცხოვრება უხდება ძველ, კეთილმოუწყობელ ბინებში. კერძოდ, მოსახლეობის 13 პროცენტი 1918 წლამდე აშენებულ სახლებში ცხოვრობს. ამ და სხვა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს შობადობის ამაღლებას, დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების გაუმჯობესებას. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ თბილისში დაბალია შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. ეს კი მოითხოვს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი დედაქალაქი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთო დემოგრაფიულ სიტუაციას ქვეყანაში.

III.2 აფხაზეთის მოსახლეობის ისტორიულ-დემოგრაფიული ასპექტები

III.2.1 ისტორიის გამყალბებლები

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველური ტომები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ძველ ბერძნულ და ქართულ წყაროებში ამის შესახებ უამრავი მასალაა დაცული. უფრო მოგვიანებით, ბერძნულის გარდა, სხვა უცხოური წყაროებიც ძირითადად ამასვე ადასტურებენ.

აფხაზების ეთნოგენეზის, მათი წარმომავლობის პრობლემა მეტად რთულია. მართალია, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების ეთნიკური კუთვნილების შესწავლას მრავალი წლის ისტორია აქვს, ამ საკითხზე ბევრი ნაშრომიც დაიწერა, მაგრამ სწორედ სირთულის გამო პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი არ არის.

ამჟამად აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ არსებულ მოსაზრებებს რამდენიმე ჯგუფად ყოფენ. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ აფხაზები მცირეაზიული, ჩრდილოკავკასიური, ადგილობრივი და ქართველური წარმოშობის ტომები არიან. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრეულ საუკუნეებში აფხაზეთში მოსახლე აფსილები და აბაზგები, რომლებსაც აფხაზების წინაპრებადაც თვლიან, „ისეთივე ქართველური ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვა ტომები, ხოლო თანამედროვე აფხაზები გვიან, XVII და მომდევნო საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან“.[1]

ჩვენ მხარს სწორედ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვუჭერთ. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების ნაწილი შეერია ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ამავე დროს, აფხაზების ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, არსებული წყაროები უტყუარად მოწმობენ, რომ „ისინი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სამყაროში იმყოფებოდნენ და ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ“.[2]

აფხაზეთის ისტორიის საკითხების მეტად ტენდენციურ კვლევას სათავე დაუდო დ. გულიასა[3] და ს. აშხაცავას[4] 1925 წელს გამოცემულმა „შრომებმა“. დ. გულია და ს. აშხაცავა საკვლევ საკითხებში უაღრესად პრიმიტიულ ცოდნას ამჟღავნებენ და ამიტომ არ

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, არა უწყიან, თუ... გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 თებერვალი, 1990.

[2] იქვე.

[3] Д. Гулиа. История Абхазии, т. I, Тифлис, 1925.

[4] С.М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Изд. Наркомпроса Абхазии, 1925.

არის გასაკვირი, რომ ისინი არა მარტო ტენდენციურად და ულოგიკოდ განიხილავენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, არამედ ფაქტობრივად ხელყოფენ ქართულ კულტურას და ცდილობენ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მითვისებას. მათთვის მთავარია მიზანი და არა მეცნიერული სინდისი. საგულისხმოა, რომ დ. გულიას წიგნი თბილისში გამოიცა, ხოლო რეცენზიები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც დ. გულიას, ასევე ს. აშხაცავას „შრომებზე" მხოლოდ პროფ. ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა და ისიც ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკში".[1]

როგორც ჩანს, მაშინაც აფხაზურ თემაზე წერა არც ისე ადვილი იყო. შემდეგში დ. გულიასა და ს. აშხაცავას „ნაშრომები" აფხაზმა მეცნიერებმა ზ. აგრბამ და ა. ხაშბამ გააკრიტიკეს ა. ფადეევის წიგნის წინასიტყვაობაში.[2] მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი აღნიშნული ავტორების „შრომებიდან".

დ. გულია თავისი წიგნის ათი თავიდან რვა თავს აფხაზების წარმოშობის საკითხს უთმობს. ავტორის მიზანია დაამტკიცოს, რომ „აფხაზები და მათი წინაპრები ჰენიოხები (ინიოხები) კოლხები არიან ეგვიპტიდან და უმთავრესად აბისინიიდან".[3]

კოლხების ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ პირველად ისტორიკოსმა ჰეროდოტემ აღნიშნა, მაგრამ ეს აზრი დიდი ხანია მეცნიერებმა უარყვეს. ჰეროდოტეს არგუმენტები, რომ კოლხები მუქი კანის ფერისა და ხუჭუჭთმიანები არიან, რომ ისინი ისევე ამუშავებენ სელს და მიმართავენ წინადაცვეთას, როგორც ეგვიპტელები, არაფერს არ ნიშნავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს თვისებები მრავალ ხალხს ახასიათებს და არა მარტო ეგვიპტელებს.

დ. გულია ხვდება, რომ მხოლოდ ჰეროდოტეს ჰიპოთეზი კოლხების წარმოშობის შესახებ არ არის საკმარისი და იგი ცდილობს თავისი თეზისი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ანალოგიებით გაამაგროს. აქ უკვე დ. გულიას ზღაპრების სამყაროში გადავყავართ. მაგალითად, იგი ერთმანეთს ადარებს აფხაზურ და ეგვიპტურ გეოგრაფიულ სახელწოდებებს კოლხების ეგვიპტური წარმოშობის დასამტკიცებლად. კერძოდ, დ. გულია ამ მხრივ დიდ მსგავსებას ხედავს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებას „გუმას" და ეგვიპტურ „გუმმას" შორის, „გალსა" და „გალლას" შორის და ა.შ.[4]

მაგრამ თუ ასეთ ფორმალურ შედარებებს გავაკეთებთ, მაშინ ანალოგები შეიძლება გავატაროთ აფხაზეთსა და მსოფლიოს ყველა

---

[1] ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი", №1, 1925, გვ. 46-50.

[2] А. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии, часть первая, Сухуми, 1934. с.9-17.

[3] დ. გულია. დასახ. ნაშრომი, გვ.9.

[4] იქვე, გვ.112-113.

ქვეყანას შორის. თუ „მსოფლიო ატლასს“ გავეცნობით, იქ „გალის“ მსგავს ათეულობით გეოგრაფიულ სახელწოდებას შევხვდებით. მაგალითად, გალა, გალანა, გალანტა, გალატი, გალაცი, გალიმი, გალინა, გალიონი, გალიტი, გალიჩი და ა.შ.[1]

დ. გულია პარალელს უძებნის მდინარე აბაშას ეგვიპტეში, მაგრამ არის აგრეთვე ქალაქი აბეშე ჩადის რესპუბლიკაში. ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აბაზების ზუსტად მსგავს ცნობილ გეოგრაფიულ სახელწოდებას „აბაზას“ ვხვდებით ალჟირში[2] და სხვ. ამ შემთხვევაში, ისღა დაგვრჩენია, რომ ვამტკიცოთ ნათესაობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან.

გულუბრყვილოა დ. გულიას მსჯელობა ადამიანთა აფხაზური და ეგვიპტური სახელების მსგავსების დასამტკიცებლად. მაგალითად, მას მოჰყავს აფხაზური და შემდეგ ეგვიპტური სახელები: ზასხან-ზასხალ, შაბატ-შაბაკუ, საბიტა-საბიტა, გუდიმ-ლუდიმ, გაბლია-გაბილიე და სხვ.[3] ასეთი მაგალითების მოტანით, მართლაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ინდოეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს, რადგან იქ გავრცელებული გვარები კაუნია, ტუნია, ულანია და სხვ. ჰგავს ქართულ გვარებს გაბუნიას, გუნიას და ალანიას. მაგრამ ამგვარ შედარებებში ჩვენ მეცნიერულს ვერაფერს ვხედავთ.

ვ. აგრბას და ა. ხაშბას მიხედვით მეტად სასაცილოა დ. გულიას ეთნოგრაფიული ანალოგები კოლხების აბისინიიდან და ეგვიპტიდან წარმოშობის შესახებ. მართლაც, თურმე მხოლოდ აფხაზები და აბისინიელები მიცვალებულს უხდიან ქელეხს, უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან, ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში დიდხანს ატარებენ ტრაურს, საჭმელად იყენებენ წითელ წიწაკას და სხვ.[4]

დ. გულიას აზრით, ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ კოლხები (აფხაზები და მათი მონათესავე ტომები) წარმოშობით ეგვიპტიდან და აბისინიიდან, საერთოდ, აფრიკიდან არიან.[5] როგორც ჩანს, დ. გულიას მაინც აწუხებს, აზრი იმის შესახებ, რომ აფრიკაში მცხოვრები აფხაზების წინაპრები, ზანგები ხომ არ იყვნენ და პასუხს ამ კითხვაზე თვითონვე სცემს: „ვფიქრობთ, რომ არა“[6]

ცოდნის პრიმიტიულ დონეზე იხილავს დ. გულია აფხაზური ენის წარმოშობის საკითხსაც. მისი აზრით აფხაზურ ენას მსგავსება აქვს აფრიკის ენებთან. როგორც პროფ. ს. მაკალათია შენიშნავს, „ეგვიპტოლოგიიდან ავტორი გადავარდება ხეთოლოგიაში და ამტკიცებს აფხაზურ და ხეთურ ენის ნათესაობას... შემდეგ აფხაზური ლექ-

---

[1] Атлас мира. М., 1989. с.230.
[2] იქვე, გვ. 207.
[3] დ. გულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 125-126.
[4] იქვე, გვ. 126-132.
[5] იქვე, გვ. 86.
[6] იქვე, გვ. 87.

სიკა შედარებულია აზიისა და აფრიკის ყველა ძველ ენებთან და ავტორი მათ შორის საგულისხმიერო მსგავსებას აღნიშნავს.

ისე გამოდის, რომ აფხაზური რაღაც უნივერსალური ენა ყოფილა, არაისტორიულ ხანაში, რომელზედაც კაცობრიობა თურმე მეტყველებდა".[1]

შემდეგში ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განავრცეს სხვა აფხაზმა „მეცნიერებმა", რომლებმაც უკვე „მონახეს" აფხაზური ენის მსგავსება მექსიკურ, ტიბეტურ, ჩინურ და მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ენებთან. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ სულ ახლახანს ს. ლაკობამ ერთ-ერთ თავის წიგნში განაცხადა: კაცობრიობა აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ, ბუნებრივია დ. გულია ყოველგვარ ზომიერებას კარგავს და მისი გაგებით აფხაზების მეფე და კათალიკოსი „საჭეთმპყრობელი ყოფილან მთელ საქართველოსი და სომხეთისაც". ასეთივე განდიდების მანიითაა შეპყრობილი ს. აშხაცავაც. მისი აზრით „მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის არც ერთი ერის შესახებ არ მოიპოვება იმდენი ცნობები, რამდენიც აფხაზების შესახებ, ჩვენ მაინც არ გვაქვს მისი ისტორია. ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის მთელი კავკასიის ხალხებს აერთიანებდა და რომელმაც შეასრულა დიდი კულტურული სამუშაოები დღემდე შეუსწავლელია". ჩვენ არ ვიცით ს. აშხაცავას რა იმდენი ისტორიული ცნობები ჰქონდა მხედველობაში აფხაზებზე, ან რა ისეთი განსაკუთრებული კულტურული სამუშაოები შეასრულა ამ ერმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ძველმა ქართველმა და სომეხმა ისტორიკოსებმა, მართლაც, ზღვა მასალა დატოვეს თავიანთი ქვეყნების ისტორიის შესახებ. ასეთი მარგალიტებითაა სავსე დ. გულიასა და ს. აშხაცავას „შრომები", რომელთაგან არ შეიძლება კიდევ ერთის შესახებ არ აღინიშნოს. ს. აშხაცავას აზრით „ხუცური ანბანი აბხაზების ანბანი იყო, მხოლოდ, როდესაც აბხაზთა სამეფო დაეცა, ეს ანბანიც თანდათანობით ჰქრება და ქართლის სამეფოს აღორძინებით მხედრული ანბანი ძლიერდებაო".[2]

ასე ერთი ხელის მოსმით ს. აშხაცავამ ქართული ანბანი აფხაზურ ანბანად გამოაცხადა, მაგრამ იმას კი ვეღარ დაუკვირდა, რომ აფხაზურ ენაზე ხუცური ანბანით დაწერილი არავითარი ცნობა არ არსებობს და ამის დამამტკიცებელი არც რამე სხვა საბუთი. ხუცური, კერძოდ, ასომთავრული და ნუსხური ანბანით კი დაწერილია ძველი

[1] ს. მაკალათია, რეცენზია დ. გულიას წიგნზე. ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი". №1, 1925, გვ 47.

[2] ციტირებულია ს. მაკალათიას რეცენზიიდან ს. აშხაცავას წიგნზე. ჟურ. „საქართველოს განათლების მუშაკი", №1, 1925, გვ. 49-50.

ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლები.

აი, ამ დონეზე იხილავს დ. გულია, ს. აშხაცავა და სხვა აფხაზი „მეცნიერები", თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მათგანს, აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან. განდიდების საოცარი სენით შეპყრობილი აფხაზი მეცნიერებისათვის აფხაზეთი „ამაყი სილამაზის მხარეა", „კავკასიის მარგალიტია", ხოლო აფხაზები „კავკასიის ფრანგებია", „უაღრესად ნიჭიერი ხალხია, რომელიც ერკვევა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში" და რომელიც „აკვირვებს უცხოელებს თავაზიანობით."[1] საკუთარი ისტორიის აპოლოგიით გატაცებულმა აფხაზმა მეცნიერებმა მოახერხეს აფხაზი ხალხის საკმაო ნაწილისათვის შეექმნათ განსაკუთრებულობის ილუზორული გრძნობა და ამით ნებით თუ უნებლიეთ მათ აფხაზი ხალხის აგრესიის იმ გზაზე დაყენებას შეუწყვს ხელი, რომელიც საბოლოოდ ვ. არძინბამ და მისმა გარემოცვამ განახორციელა და რაც ქართველებისადმი დაპირისპირებასა და ქართველებთან საომარ კონფლიქტებში გამოხატა. ასე რომ, ქართული ისტორიისა და კულტურის მითვისების სურვილი შემდეგში ქართული მიწების მითვისების სურვილსა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში გადაიზარდა.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით დ. გულიასა და ს. აშხაცავას შრომებზე, რომ შემდეგი თაობის აფხაზი მეცნიერების გამოკვლევებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფაქტების საოცარი გაყალბებით და საკითხების ტენდენციური გაშუქებით ხასიათდება. ასე რომ არ იყოს, ძნელია მაშინ გულწრფელად დაწერო: „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია დ. გულიას წიგნი „აფხაზეთის ისტორია", რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა"[2]

აფხაზეთის ისტორიის საკითხებს მეტად ცალმხრივად აშუქებს აგრეთვე მ. გუნბა. მისთვის არ არსებობს ფაქტები, იგი დაუსაბუთებლად უარყოფს სხვა მეცნიერების მოსაზრებებს, თავისი აზრის დასამტკიცებლად ხშირად აშკარად ცრუობს. მაგალითად, მ. გუნბა აღნიშნავს: „მკვლევართა ნაწილი გულმოდგინედ ამტკიცებს, რომ აფხაზეთის სამეფოში, და განსაკუთრებით აფხაზეთში, მთავარი ენა იყო ქართული და რომ ოფიციალურ წარწერებში ბერძნული ენა IX-X საუკუნეებში შეცვლილი იქნა ქართულით. ამ აზრის განსამტკიცებლად ეყრდნობიან ხ.ს. ბღაჟბას ნაშრომს „დამწერლობის ისტორიიდან აფხაზეთში", მაგრამ ხ.ს. ბღაჟბას ნაშრომში ამის მსგავსი არაფერია".[3] ვნახოთ, მართლაც, არაფერია თუ არა ამის მსგავსი ხ. ბღაჟბას ნაშრომში: „აფხაზეთის გაძლიერებული კულტურული სიახლოვე საქართველოსთან, უპირვე-

[1] ციტირებულია ა. ფადეევის დასახელებული ნაშრომის წინასიტყვაობიდან. გვ.8.
[2] Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы. Сухуми, 1965, с.16.
[3] М.М. Гумба. Абхазия в первом тысячелетии н.э. Сухуми, 1989, с.18.

ლეს ყოველისა, იმით გამოიხატება, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ენა არის სამწერლობო, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა".[1] ამ აზრის განსამტკიცებლად ხ. ბღაჟბა ზ. ანჩაბაძესაც იმოწმებს. თუ არა მთავარი, მაშ რა უნდა ვუწოდოთ აფხაზეთში ქართულ ენას, როდესაც იგი ასრულებს სამწერლობო, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციებს? ამასთან, ბუნებრივია, თუკი ხალხს, ადგილობრივ მოსახლეობას ეს ენა არ ესმოდა, მაშინ იგი ამ ფუნქციებს ვერც შეასრულებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ხ. ბღაჟბა იმასაც მიუთითებს, რომ საშუალო საუკუნეების აფხაზეთში ქართული დამწერლობის გავრცელებას მოწმობს ძველი ტაძრების კედლებზე ქართული წარწერები, რომლებიც X საუკუნესა და შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება.[2] მისივე მტკიცებით აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი XI-XIV საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები უმთავრესად შესრულებულია ქართულ ენაზე, ხოლო ქართული ენა და დამწერლობა აფხაზეთში გავრცელებული იყო XX საუკუნემდე.[3]

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბებით ყველა მათგანს გადააჭარბა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ლაკობამ. მან 1988 წელს სოხუმში დასტამბა წიგნი „ფრთიანი დღეები სოხუმ-კალეში", სადაც „ამტკიცებს" იმას, რომ კაცობრიობა წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო. ამ აკვიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს" აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავრცელებულ ციმშიან-ჩინუკისა და სხვა ენებთან. „მანია გრანდიოზით" შეპყრობილი ს. ლაკობა, თავისი აზრი რომ მეცნიერულ ჭეშმარიტებად გაასაღოს, ცნობილ რუს პოეტებს ანდრეი ბელისა და ოსიპ მანდელშტამს მოუხმობს — თითქოს ისინიც მისი თანამოაზრეები იყვნენ. „ბელის ჰაეროვანი აზრი „მომავალი სალაპარაკო ენის" შესახებ უფრო გარკვევით განსაზღვრა მანდელშტამმა. რა თქმა უნდა, ბელისაგან დამოუკიდებლად. ოსიპ მანდელშტამი კაცობრიობის „მომავალ სალაპარაკო ენად" აფხაზურ ენას მიიჩნევდა".[4]

აი, ასე დაადგინა ს. ლაკობამ თუ რა ენაზე ილაპარაკებს კაცობრიობა მომავალში. თუ ჩვენი პლანეტა ობოლი არ არის ამ უსასრულო სამყაროში და სხვა პლანეტებზეც არსებობენ მოაზროვნე არსებები, გამორიცხული არ არის, რომ ისინიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებენ. საგულისხმოა, რომ ს. ლაკობას წიგნი მომზადდა დ. გული-

---

[1] Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тбилиси. 1967, с. 12.
[2] Там же, с. 12-13.
[3] Там же, с.25, 30.
[4] С. Лакоба. Крылились дни в Сухум-Кале... Сухуми, 1988, с.13.

ას სახელობის ენის, აფხაზეთის ლიტერატურისა და ისტორიის ინ-სტიტუტში, რომლის დირექტორი ასევე „განდიდების კვიატით“ შეპ-ყრობილი, ამჟამად აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვ. არძინბა იყო.

რამდენადაც „სახელოვანი კაცი მარტო დიდს საქმეს არ სდევს“, ს. ლაკობა თავის წიგნში სხვა მცირე საკითხებსაც ეხება. მაგალითად, მას მოყავს სხვათა და სხვათა გამონათქვამები იმის შესახებ, რომ აფხაზები ვაჭრობას არ მისდევდნენ – ეს მათ სამარცხვინო და დამამცირებელ საქმედ მიაჩნდათ. სამაგიეროდ ქართველები ამ საქმეში მეტად ხელგაწაფულები იყვნენო.

ს. ლაკობას აზრით, აფხაზებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ აგ-რეთვე ხელოსნური შრომა. მაგრამ არა გვგონია ვაჭრობა ან ხელოს-ნური შრომა უფრო დამამცირებელი იყოს, ვიდრე ვთქვათ, მეკობრეო-ბა. კერძოდ, ფრანგი კონსული გამბა, რომელმაც 1820-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში და მათ შორის აფხაზეთში, აღნიშნავს: აფხაზები მეკობრეობას მისდევდნენო. ამასთან ცარიზმის მოხელეები აფხაზების შესახებ აღნიშნავდნენ: „მხეცური ჩვეულების მატარებელი ხალხიაო“. მაგრამ არ შეიძლება ასეთი ცალკეული ფაქტებით ვიმსჯე-ლოთ და მითუმეტეს ისინი მთელ ერზე გავავრცელოთ. ღმერთმა დაგ-ვიფაროს, ასეთი ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამები ხომ უამრავი შეიძლება მოვიტანოთ.

ს. ლაკობას ნარკვევებში მსგავსი ადგილები საკმაოდ გვხვდე-ბა. მათი აქ მოტანა მეტად შორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის ვიკითხოთ, თუ ვის ჭირდება ასეთი წიაღსვლები, არაფრისმომცემი დასკვნების გაკეთება ცალკეული პრობლემების ირგვლივ, ან რატომ აძლევს თავს უფლებას ს. ლაკობა კაცობრიობის მომავალ სალაპარა-კო ენად აფხაზური ენა გამოაცხადოს. ასეთი რამ ხომ სრულებითაც არ უწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის სწორად აღზრდას, ერთა შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებას. იგი მხოლოდ ადამი-ანთა ფსევდოპატრიოტული გრძნობით აღზრდას ემსახურება, რასაც სიკეთე არც ერთი ერისათვის არ მოუტანია.

ჩვენ ღრმად გვწამს: ყოველივე აღნიშნული იმის შედეგია, რომ წლების განმავლობაში აფხაზი მეცნიერები უაღრესად ცალმხრივად და ტენდენციურად იხილავდნენ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთო-ბის ისტორიის საკითხებს. პასუხის გამცემი კი არავინ ჰყავდათ. გარ-კვეული მიზეზების გამო ქართველი მეცნიერებისათვის ამ საკითხებზე წერა ტაბუდადებული იყო. შედეგიც სავალალო მივიღეთ. ცნობილი „აფხაზური წერილი“ და ლიხნის „მიმართვაც“ თავის დროზე უპასუ-ხოდ დარჩენილმა ფსევდომეცნიერულმა ნაშრომებმაც განაპირობა.

---

[1] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ I, თბ., 1949, გვ. 316.

III.2.2 ვინ ცხოვრობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროს?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ უძველეს ასურულ წარწერებში (ძვ.წ. XI საუკუნე) დამოწმებული „აბეშლა“ ამჟღავნებს მსგავსებას ანტიკურ წყაროებში დასახელებულ „აფსილების“ სახელწოდებასთან, საიდანაც ასევე ვარაუდობენ თანამედროვე აფხაზების თვითსახელწოდების – „აფსუას“ წარმოშობას. მაგრამ, როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „აბაშლას“ ტომები მოსახლეობდნენ არა იქ, სადაც შემდეგ ანტიკური წყაროები „აბსილებს“ ასახელებენ, არამედ „აბეშლა“ ასურულ წყაროებში იხმარება ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელწოდების, ხეთური „ქაშქას“ ვარიანტად.“[1]

პროფ. ზ. ანჩაბაძე „აბეშალას“ „აფსილებთან“ დაკავშირების მიზნით აღნიშნავს იმის შესახებ, რომ აფხაზურ-ადიღეურ ენებთან ახლოს არის პროტოხეთური ენა. მაგრამ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები ამ ენათა ნათესაობის მხოლოდ შესაძლებლობას უშვებენ. ამიტომ პროფ. ზ. ანჩაბაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ ეთნონიმი „ქაშქები“ დააკავშიროს ადიღეელების ვითომ ძველ სახელწოდებასთან „ქაშაგებთან“ ამ მხრივ უსაფუძვლოა. მისი აზრით XII საუკუნეში ძვ.წ. ასურულ წყაროებში ქაშქური ტომობრივი კავშირის სახელწოდების ვარიანტად ფიგურირებულია ეთნონიმი „აბეშლა“, რომელიც უკავშირდება ძველაფხაზური ტომის აფსილების სახელწოდებას. მის მიერ ციტირებული აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება კი ამის საფუძველს არ იძლევა. კერძოდ, აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „ტომობრივი სახელწოდებების ანალიზი თითქოს გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ქაშქების ხალხი (ან ყოველ შემთხვევაში მისი რაღაც ნაწილი) ეთნიკურად უნდა იყოს ჩრდილო კავკასიური (აფხაზურ-ჩერქეზული) წარმოშობის“. მაგრამ იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „იგი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ქაშქები ჩათვალოს პროტოხეთებად, ხოლო უკანასკნელნი – აფხაზ-ადიღეელებად“. ამრიგად, პროფ. ზ. ანჩაბაძის მიერ მოტანილი ციტატები სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვამტკიცოთ: „როგორც ვხედავთ, ქაშქები – აბეშლა შეადგენდნენ აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობის (ტომთა კავშირს) იმ ნაწილს, რომელიც III–II ათასწლეულებში ჩვ.წ. ჯერ კიდევ არსებო-

[1] მ. ლორთქიფანიძე, არა უწყიან, თუ... გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 თებერვალი, 1990.

ბენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში და ხატებთან (პროტოხეთებთან) ერთიან წარმოშობასთან იყო დაკავშირებული.[1] მისივე აზრით, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აფხაზურ-ადიღეური ტომების წინაპრების დასახლებას მოწმობს აქ გავრცელებული ძველი და თანამედროვე ტოპონიმები: აკამპსისი, არიპსა, დვაბზუ, სუფსა, ფასისი და სხვ. მაგრამ ეს ტოპონიმებიც რომ არ გამოდგება აღნიშნული თეზისის მტკიცების დასასაბუთებლად, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით.

თანამედროვე აფხაზების აბორიგენობის შესახებ აფხაზი მეცნიერები სხვადასხვა ვარაუდს გამოთქვამენ (აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ მეცნიერთა შორისაც). ნაწილი მხარს უჭერს ლ. სოლოვიოვის თეზისს იმის შესახებ, რომ III და II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხიდის დაბლობში ხდება მოსახლეობის შეცვლა. მისი აზრით სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება კავკასიაში მცირეაზიული ქაშქების გადაადგილების პირველი ეტაპი. პროფ. ზ. ანჩაბაძე დასაშვებად თვლის მცირეაზიური ტომების რაღაც ჯგუფების გადასახლებას კავკასიაში. ადრე იგი ამ თეზისს უფრო ფართოდ იზიარებდა, მაგრამ შემდგომში მისი აზრით, კავკასიის შავიზღვისპირეთი მონათესავე ტომებს ეკავათ, რომელთა ისტორიული განვითარების შედეგად ძველი აფხაზური, ადიღეური და დასავლეთქართველური ეროვნებები ჩამოყალიბდა. ჩვენი აზრით, კავკასიის დასავლეთ ნაწილში და მასთან მოსაზღვრე მცირე აზიის რაიონებში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ არა მონათესავე აფხაზურ-ადიღეურ-ქართველური, არამედ მხოლოდ მონათესავე ქართველური ტომები.

ბერძნული წყაროების მიხედვით უძველესი დროიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ტომი ცხოვრობდა. როგორც ამ წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, ეს ტომები მონათესავე ქართველური ტომები იყვნენ. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია აკად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ძველი საბერძნეთის მწერლებს აზრადაც კი არ მოსვლიათ, რომ სხვადასხვა ქართველური ტომები ერთმანეთის მონათესავენი არიან.“[2]

დასავლეთ ქართველურ-კოლხთა ტომის დიდი გაერთიანება ცნობილია ძვ. წ. XII საუკუნიდან. ეთნიკური სახელი „კოლხი“ პირველად ძველ აღმოსავლურ წყაროებში იხსენიება XII-XI საუკუნეებში. კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა აირეკლა

[1] З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с. 19.
[2] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 173.

არგონავტების შესახებ არსებულ თქმულებებში. ცნობილი ელინისტური ეპოქის მეცნიერი და ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელი, რომელიც ძვ.წ. III საუკუნეში მოღვაწეობდა, ,,დაწვრილებით მოგვითხრობს შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოსახლე ქართული ტომების სამკვიდრებელი ადგილის, ზნე-ჩვეულებებისა და ყოფაცხოვრების შესახებ.“[1] აპოლონიოსის მიხედვით კოლხეთი ძლიერი, მრავალრიცხოვანი ხალხით დასახლებული სამეფოა. მისი თქმით ძლევამოსილი კოლხეთის მეფის გარშემო ,,ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“.[2]

ძვ.წ. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კოლხეთის სამეფო დაეცა, მისმა პოლიტიკურმა ცენტრმა ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადაინაცვლა და იქ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი კოლხეთის სამეფო, რომელიც ცნობილი იყო მთელ ანტიკურ სამყაროში. ცნობილი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის მიხედვით კოლხების მიწა-წყალი ძვ.წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე საკმაოდ ვრცელია. ,,ქსენოფონტი პირველი მწერალია, რომლის ცნობათაგან უშუალოდ ირკვევა, რომ კოლხების ქვეყანა ფასის-რიონის აუზის გარდა, წინააღმდეგ ანტიკურ საისტორიო ტრადიციაში გაბატონებული აზრისა, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზედაც არსებობდა და დასავლეთით კერასუნტს იქით იყო გავრცელებული“.[3] დაახლოებით ახ.წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფოს დაშლის შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა ძველი ქართული ეგრისის სამეფო, რომელსაც ანტიკურ წყაროებში ლაზიკა ეწოდებოდა. IV საუკუნეში ეგრისის სამეფო, რომელსაც ადრე მხოლოდ მდ. რიონის ორივე ნაპირი (ქობულეთიდან მდ. ერისწყლამდე) ეკავა, გაძლიერდა და გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. ამავე დროს, კოლხები ლაზების უშუალო წინაპრები არიან. მეთორმეტე საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე ცეცეს მიხედვით კოლხებს ,,ლაზებიც ეწოდებათ“, ,,კოლხები ლაზური ტომია“.[4] უფრო ადრინდელი, კერძოდ, V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფის ცნობით: ,,დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული, ვიდრე აფსაროსამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“. VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის აგათიას ცნობითაც: ,,ლაზები მრა-

---

[1] აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, აკ. გელოვანის შესავალი წერილი. თბ. 1975, გვ. 22-23.

[2] იქვე, გვ. 113.

[3] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის ,,ანაბასისი“, თბ., 1967, გვ.49.

[4] გეორგიკა. ტ. VII, თბ., 1967, გვ. 32, 37.

ვალრიცხოვანი და მეომარი ხალხია. ისინი ბატონობენ სხვა მრავალ ტომზე. ლაზები ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ".[1] ამრიგად, „წყაროები ერთხმად მიუთითებენ ლაზებისა და კოლხების გენეტიკურ ურთიერთკავშირზე. ლაზებმა კი დღემდე შემოინახეს თავიანთი ენა, რომელიც (მეგრულ-ზანურთან ერთად) დასავლურ-ქართულია."[2]

ძველი კოლხეთისა და შემდეგ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში შედიოდა თითქმის მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია. ამრიგად, ეს ტერიტორია ქართველური, კერძოდ, კოლხური ტომებით იყო დასახლებული. მაგალითად, ჰეკატაიოს მილეტელი (ძვ.წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. IV ს.) ნაწარმოებებში დაცული ცნობებით ქ. დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია ეჭირათ კოლხურ ტომებს კოლებსა და კორაქსებს. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით კოლები და კორაქსები ქართველური ტომებია. ამიტომ ვერ გავიზიარებთ პროფ. ზ. ანჩაბაძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას არაფერს ეუბნება ჰეკატაიოს მილეტელის შემდეგი ცნობა კორაქსების შესახებ: „კორაქსები კოლხური ტომია, კოლებთან ახლოს მდებარე". მისი აზრით, ამ ცნობით თითქოს შეუძლებელია კორაქსების ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა.[3] რაც შეეხება „კოლებს", იგი უკავშირდება ამავე ფუძის მქონე ეთნონიმს „კოლ-ხი". როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. ინაძე, „აღნიშნული გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ დიოსკურიის მახლობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიანი ადგილები და სანაპირო ზოლიც ადრეანტიკურ ხანაში ქართული წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული."[4] თვით დ. გულიაც კი, რომელიც მეტად ტენდენციურად იხილავს აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, კორაქსების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, კორაქსები იყვნენ სვანები და, როგორც ცნობილია, ისინი ცხოვრობდნენ ახლანდელი სოხუმის რაიონში ჯერ კიდევ ჩვენი ერის დაწყებამდე და შემდეგ".[5]

ამავე პერიოდში (ძვ.წ. V ს.) აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა შორის ბერძენი და რომაელი ავტორები ასახელებენ

---

[1] ციტირებულია: ო. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 26.
[2] ო. ლორთქიფანიძე. ქართული ცივილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია? იხ. ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო, ბიულეტენი №3, თბ., 1994, გვ. 26.
[3] ზ. ანჩაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
[4] მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. „მაცნე", ისტორიის სერია, №1, 1992, გვ.9.
[5] Д. И. Гулиа. Сухум ис диоскурия. Труды Абхазского научно-исследовательского института краеведения, Выпуск второй, Сухум, 1934, с.87.

ჰენიოხთა ტომს. ჰენიოხთა ტომის ეთნიკური ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ძირითადად აფხაზი ავტორები ჰენიოხებს აფხაზურ-ადიღეურ ტომებად მიიჩნევენ, რადგან საწინააღმდეგო მოსაზრების დაშვების შემთხვევაში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე იმ პერიოდში აფხაზურ-ადიღეურ ტომებს ალარ უცხოვრიათ, ასე ვთქვათ, მათ იქ ადგილი ალარ რჩებათ. მეცნიერთა დიდი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ნ. მარი, ი. ორბელი, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე, მ. ინაძე და სხვ.) ჰენიოხებს სვანურ ან მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებად მიიჩნევს. მაგალითად, პ. ინგოროყვამ ჰენიოხები სვანებთან და სანიგებთან დააკავშირა და ისინი კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯგუფში გააერთიანა. ანტიკური ხანისა და ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროების ჩვენების თანახმად „ტომი სანთა ჰენიოხთა“ ეწოდებოდა სამხრეთ კოლხიდის ლაზური შტოს ტომს. „რომ ჰენიოხები ეკუთვნოდნენ ქართველ ტომთა ჯგუფს (კოლხურ-ლაზურ შტოს), ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ იმით, რომ ჰენიოხთა მიწა-წყლის გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებანი, რომლებიც მოიხსენიება საისტორიო წყაროებში, იხსენიება ქართულის, ქართველური ენა-დიალექტების საშუალებით“.[1] საინტერესოა ამ მხრივ მწერალ ვ. ალფენიძის მოწოდებული შემდეგი ცნობა: მან ერთ-ერთ თავის სტატიაში („რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ჰენიოხები?) ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დაამტკიცა, რომ ჰენიოხურად შვილს ერქვა სქირი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლაზურადაც შვილს ჰქვია სქირი, მაშინ, ცხადია, ჰენიოხები და ლაზები მონათესავე ტომებია და ისინი ერთი და იგივე ან მონათესავე ენაზე მეტყველებდნენ. ვ. ალფენიძემ ასევე მოახდინა რამდენიმე ჰენიოხური სიტყვის იდენტიფიცირება ქართველურ ლექსიკურ ერთეულებთან.

ჰენიოხების ქართველურ ტომებად გამოცხადების სასარგებლოდ მეტად საყურადღებო ფაქტად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ისინი ბერძნულ-რომაული ავტორების მიხედვით ცხოვრობდნენ არა მხოლოდ დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, არამედ მდინარე ფასისის (რიონის) შესართავთან, სამხრეთ კოლხეთში, ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად და მდინარე აფსაროსთან (ახლანდელი ჭოროხი). ამრიგად, ჰენიოხები ცხოვრობდნენ ყველგან ქართველური ტომების გვერდით, იქ სადაც ქართული სამყაროა, რაც მათ ქართულ წარმოშობაზე მეტყველებს. ამასთან, ჰენიოხი ისეთივე სუფიქსით ბოლოვდება, როგორც სხვა ქართველური ტომები, კერძოდ, მოს-ხი, სანი-

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ.135, 136.

ხი, ტაო-ხი, კოლ-ხი. საერთოდ მკვლევართა დიდი უმრავლესობა, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, გ. მელიქიშვილი, ი. ორბელი, პ. ინგოროყვა, მ. ინაძე და სხვ. ჰენიოხებს ქართველურ ტომებად მიიჩნევს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთნი ჰენიოხებს სანიგებთან, სანებთან აიგივებენ და ყველა ამათ სვანებთან, მეორენი კი ჰენიოხებს მეგრულ-ჭანურ ტომებად მიიჩნევენ. ბ. გიგინეიშვილის გამოკვლევით ჰენიოხი როგორც ტომობრივად, ისე ენობრივად იგივე ჭანია.[1]

ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის გარკვევის დროს, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც. ბერძენი ავტორების მიხედვით „ჰენიოხი" საერთო სატომო სახელწოდებაა, რომელშიც იგულისხმებოდნენ მრავალი სხვადასხვა სახელწოდების წვრილი ტომები. თუ გავიხსენებთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ძველ ბერძენ ავტორებს აზრადაც მოსვლიათ სხვადასხვა ქართველური ტომების ნათესაობის საკითხი დაესვათ, თუ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა ცალკეულ რეგიონებში (მსოფლიოს მოსახლეობა ახ.წ. I საუკუნეში 200 მილიონს ოდნავ ამეტებდა), მაშინ მეტად ძნელია ვილაპარაკოთ ჰენიოხების მრავალრიცხოვნობაზე, მრავალ ან შერეულტომიანობაზე. იგივე ითქმის კოლხთა ტომების შესახებაც. როდესაც აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავს კოლხების ურიცხვ ტომზე, ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს კოლხების მრავალრიცხოვნობას თანამედროვე გაგებით. როგორც ჰენიოხების, ისე კოლხების ტომები მაშინ რაოდენობრივად მცირე იყო, მაგრამ „ურიცხვი" სხვა ტომებთან შედარებით. ყოველივე აღნიშნული უფლებას გვიტოვებს ვთქვათ, რომ ჰენიოხთა მრავალტომიანობა, რაზედაც საგანგებოდ მიუთითებენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სინამდვილეში სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე მონათესავე წვრილ ქართულ ტომებს გულისხმობს. სწორედ ამაზე მეტყველებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ავტორის პლინიუს სეკუნდის ცნობა: დიოსკურიაში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე 300 ტომი იკრიბებოდა და ამიტომ საქმის საწარმოებლად 130 თარჯიმანი მოვიწვიეთო. რა თქმა უნდა, ეს ცნობა გადაჭარბებულია, მაგრამ იმაზე კი ნამდვილად მიუთითებს, რომ ფაქტობრივად აქ საუბარია სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე წვრილ ქართველურ ტომებზე.

ამავე ასპექტში უნდა იქნეს განხილული აფსილები და აბაზ-

[1] ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ „ჰენიოხის" წარმომავლობისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1975, №1, გვ. 115-124.

გები, როგორც ქართველური, მეგრულ-ჭანური მოდგმის და არა თანამედროვე აფხაზების წინაპარი ტომები. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბერძენი მწერლები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ტომს ასახელებენ, აფსილებსა და აბაზგებს პირველად მხოლოდ რომაელი ავტორები პლინიუსი და არიანი ახ.წ. I-II საუკუნეებში ახსენებენ. მათივე ნაწერებიდან შეიძლება აფსილებისა და აბაზგების განსახლების დაახლოებითი არეალის დადგენაც. პლინიუს სეკუნდის მიხედვით აფსილები სებასტოპოლის — სოხუმის ახლოს, მის სამხრეთით ცხოვრობენ, რომაელი ისტორიკოსის ფლავიუს არიანეს ცნობით, რომელიც ბევრად უფრო საიმედოა, რადგან არიანემ თავად იმოგზაურა II საუკუნის 30-იან წლებში დიოსკურია-სებასტოპოლისამდე საინსპექციო მიზნით, რიონის ორივე ნაპირზე ლაზები მოსახლეობენ, შემდეგ ჩრდილოეთით — აფსილები, შემდეგ — აბასკები და ბოლოს სანიგები, რომელთა მიწაზე მდებარეობს სებასტოპოლისი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სანიგები ქართველური ტომია. შეიძლება დამატებით იმის თქმა, რომ „ეთნონიმში პირველი ნაწილი „სან“ — უკავშირდება ეთნიკურ სახელს „ჭანი“ (ბერძნები ჭანებს „სანებს“ ან „სანნებს“ უწოდებენ) და ამდენად სანიგები უდავოდ მეგრულ-ჭანური ტომია.“[1] ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დიოსკურია —სოხუმს ჩრდილოეთიდან სუანო-კოლხების ტომი ემეზობლება, კერძოდ, ასეთ ცნობას გვაძლევს II საუკუნის ცნობილი გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაიოსი. შემდეგში სუანო-კოლხებს წყაროები აღარ ახსენებენ. „სამაგიეროდ აფსილების უშუალო მეზობლად ბიზანტიელი ისტორიკოსები აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი ასახელებენ მისიმიანთა ტომს.“[2] მეცნიერთა უმრავლესობის აზრით მისიმიანელთა სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს „სუანო-კოლხებში“. მენანდრე პროტიქტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მისიმიანელები სვანეთში სახლობდნენ.[3] მისიმიანების ეთნოგენეზის საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა პროფ. გ. გასვიანმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისიმიანები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყო და მას ძველ დროში აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა.[4] უფრო მეტიც, სვანებს დიდი ტერიტორია ეჭირათ ზღვისპირეთიდან იმიერკავკასიის ბარამდე. საგულის-

[1] ნ. ლომოური. როგორ უნდა გვესმოდეს ეთნონიმი „აფხაზი“? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 7 აპრილი, 1989.
[2] იქვე.
[3] გეორგიკა. ტ.III, გვ.236.
[4] გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991. გვ. 198-212.

ხმოა, რომ სტრაბონის ცნობით იმ დროს მთელს კავკასიაში არ ცხოვრობდა სვანებზე მრავალრიცხოვანი ხალხი. ამასთან, ცნობილი გეოგრაფი, რომელსაც ახ.წ. პირველ საუკუნის დასაწყისშიც მოუწია ცხოვრება, „აბაზას“ ან „აფშილებს“ საერთოდ არ იცნობს.

ამრიგად, აფსილებსა და აბაზგებს, რომლებსაც ეჭირათ ზღვისპირა მცირე ზოლი თანამედროვე ოჩამჩირესა (მდ. ღალიძგას შესართავი) და სოხუმს შორის, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთით მხოლოდ ქართველური ტომები ესაზღვრებოდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „აბაზგ“ ეთნონიმს არაფერი აქვს საერთო კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები აბაზინელების აღმნიშვნელ „აბაზა“ ეთნონიმთან. აქ მხოლოდ გარეგნულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე. როგორც თ. გამყრელიძე აღნიშნავს, არსაიდან ჩანს ამ ეთნონიმთა შორის ეტიმოლოგიური კავშირი. ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. „ბერძნ. „აბაზგ“ – ფორმა ქართულში დადასტურებულ „აფხაზ“ – ეთნონიმის ისტორიული ექვივალენტია..., ხოლო „აბაზა“ სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღეურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება“.[1] ამასთან ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შავიზღვისპირეთის ეთნო-კულტურული ვითარება თ. გამყრელიძეს კარნახობს „შესაძლებლობას „აფხაზ“/„აბაზგ“-ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყო ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა.“[2] აფსილთა ქართველური მოდგმის ტომის სასარგებლოდ ლაპარაკობს აფსილთა მთავარი პოლიტიკური ცენტრის სახელწოდება – წიბელი-უსი (დღ. წებელდა), რომელიც ბიზანტიურ წყაროებშია დაცული. აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, თუ ეს, მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეს სიტყვა წარმოდგენილია აღმოსავლურ-ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით წიფელ-ი, ჭანური წიფ-ურ-ი, წიფ-რ-ი, მეგრული წიფ-ურ-ი, სვანური წიფ-რა.[3]

ამ საკითხზე, კერძოდ, სახელწოდებათა აფსილი-აფსუა ურთიერთმიმართების შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრებას ავითარებს პროფ. ა. ონიანი. როგორც ცნობილია, აფხაზები თავის ენაზე თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ და არა „აფხაზს“. ამავე დროს

---

[1] თ. გამყრელიძე, „აფხაზ-აბაზგ-ი“ და „აბაზა-აფსუა“. გაზ. „ერი“, 10 აპრილი, 1991.
[2] იქვე.
[3] ციტირებულია: მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1992, გვ. 55.

ყველა სხვა ხალხი მათ ამჟამად „აფხაზს“ უწოდებს და არა „აფსუას“. პატივცემული მკვლევარის აზრით სახელწოდება „აფსილის“ „აფსუას“ წინამორბედ ფორმად გამოცხადება არ შეიძლება. „აფსილი“ ამ სახელწოდების ბერძნული ვარიანტია, „აფშილი“ კი — ქართული. როგორც იგი აღნიშნავს, „აფსილები VIII საუკუნეში გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, ამის შემდეგ ისინი აღარ იხსენიებიან, აფსუები კი მხოლოდ ბოლო საუკუნეებში იჩენენ თავს. წყვეტა მათ შორის, მაშასადამე, 800-900 წელს აღწევს. ერთი მათგანის მეორის წინაპრად მიჩნევა ამიტომ, უხეში ძალდატანების გარეშე, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ყოველივე ეს ნიშნავს: აფსილ-აფშილები, აფხაზ-აბაზგთა მსგავსად, თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრად ვერ ჩაითვლება, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპარი ხალხი არ იძებნება და, ამდენად, მისაღებია მხოლოდ ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც აფსუური მოსახლეობა აფხაზეთის ქართულ მიწაზე მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში შემოიჭრა ჩრდილო-კავკასიიდან და ქართველ აბორიგენთა სახელი — აფხაზი — მას მხოლოდ ამის შემდეგ დაერქვა ქართული მოსახლეობის გააფსუებულ ნაწილთან ერთად“.[1]

აფსილებისა და აბაზგების საცხოვრისი პლინიუს სეკუნდისა და ფლავიუს არიანეს ეპოქაში, როგორც ზემოთ ითქვა, ზღვისპირა მცირე ზოლს მოიცავდა მდ. ღალიძგას შესართავიდან სოხუმამდე. ყოველ შემთხვევაში ამას ადასტურებს რომაელი ავტორების ცნობები. აქ მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი, რომლებსაც მეცნიერები ყურადღების გარეშე ტოვებენ. აღნიშნული ზოლი ათას კვადრატულ კილომეტრსაც არ უდრიდა. მის გარშემო მთლიანად ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. ამიტომ ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ეს ზოლი უცხო, თუ არა ქართველური, ეთნიკური ტომებით ყოფილიყო დასახლებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რაც საყოველთაოდ ცნობილია: იმ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების ტემპი უაღრესად დაბალი იყო და ამდენად არ შეიძლებოდა აფსილებსა და აბაზგებს ამ ისედაც მცირე ტერიტორიაზე საგრძნობი რაოდენობით ეცხოვრათ, ხოლო შემდეგ ამ ტომებს აფხაზეთის სამეფოსთვის დაედოთ სათავე. როგორც ჩანს, ახ.წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფოს დაშლის შედეგად ხდება მონათესავე ქართველური ტომების ცალკე ერთეულებად გამოყოფა. სწო-

[1] ა. ონიანი. სახელწოდებათა აფსილი-აფსუა ურთიერთმიმართების შესახებ. გაზ. „მთაწმინდა“, №10, 1997.

რედ ასეთ წვრილ ქართველურ, კერძოდ, მეგრულ-ჭანურ ტომებს ეკუთვნიან აფსილები და აბაზგები, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე სწორედ ამ პერიოდიდან ჩანან. ამიტომაც ძველი ბერძენი მწერლები და არც ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი არ იცნობენ აფსილებსა და აბაზგებს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ უძველეს დროში დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მონათესავე ქართველურ ტომებს ფარავდა კოლხთა კრებითი სახელი. ძველი ბერძნული წყაროებით კოლხები შემდეგ ლაზებად იწოდებოდა, ე.ი. კოლხები ლაზების უშუალო წინაპრები არიან. ლაზები კი ქართველური ტომია. მათ დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი ენა, რომელიც დასავლურ ქართულია. ამდენად, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში უძველესი დროიდან ქართული სამყაროა და იქ მცხოვრები ტომები, მათ შორის აფსილები და აბაზგები, ქართველური მოდგმის ტომებია. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“.[1]

ახლა თუ დავუშვებთ იმას, რომ აფსილები და აბაზგები უცხო ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, მაშინ ყოვლად შეუძლებელია მათი ასიმილაცია არ მომხდარიყო. ამ პროცესის აუცილებლობას ორი ფაქტორი განაპირობებდა: პირველი, აფსილებისა და აბაზგების გარშემო მხოლოდ ქართველური ტომები ცხოვრობდნენ და მეორეც, აფსილებსა და აბაზგებს მეტად მცირე ტერიტორია ეჭირათ (ათას კვადრატულ კილომეტრამდე) და ამდენად ისინი რაოდენობრივად, თუ იმ პერიოდში მოსახლეობის გამრავლების უაღრესად დაბალ ტემპსაც გავითვალისწინებთ, მეტად ცოტანი იყვნენ.

რაც შეეხება ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთი მხარის ეთნიკურ შემადგენლობას იგი პ. ინგოროყვას მიხედვით, ასეთია: აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო-ჰენიოხეთი (ტუაფსეს რაიონი) — ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრელლაზთა ტომებით ჰენიოხებით, ხოლო ანტიკური ხანის ბოლო პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა ჰენიოხებისა (სანიხებისა) და ჯიქებისა.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 427.

[2] პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

III.2.3. ქართული და უცხოური წყაროები ძველი და თანამედროვე აფხაზების შესახებ

ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში აფხაზეთი ქართული სამყაროა, მისი ორგანული შემადგენელი ნაწილია. „აფხაზეთი", „კახეთი", „სამცხე", „ტაო" და „ქართლი" ყველა ერთი და იგივე ოდენობის ცნებაა, ყველა ერთნაირი „ქვეყანაა"... იგულისხმება, რომ ყველა ესენი ერთი სამყაროა სხვა ასეთივე „ქვეყნებთან" ერთად (ჯავახეთი, ჰერეთი, კლარჯეთი..) და იბრძვიან ურთიერთ შორის. ეს მეფენი ცდილობენ დაიპყრონ ეს „ქართული" ქვეყნები. საინტერესოა, რომ მებრძოლი მხარეები „შინ" დაუნდობელნი არიან: კახეთმა ჰერეთი გადაყლაპა და ქართლის ხელში ჩაგდებას ცდილობს. აფხაზეთი ქართლს იპყრობს, კახეთის სამეფოს გაუქმებას და ქვეყნის შემოერთებას დაჟინებით ცდილობს, ამავე დროს მიიწევს თრიალეთ-სამცხე-ჯავახეთისაკენ, ხოლო „ქართველთა მეფენი" ხომ კიდევ მეტის ენერგიით იბრძვიან „ქართლსა ზედა", ვიდრე სხვა მათი მოძმენი."[1]

შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით აფხაზეთი უძველესი დროიდანვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შემავსებელი ერთ-ერთი ქვეყანა იყო. იგი იმ ქვეყნების რიგს ეკუთვნოდა, ისეთ ქვეყანად მიაჩნდათ, რომელიც „ქართლად... აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების."[2] ამავე წყაროებით აფხაზი ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენლად, საქართველოს მკვიდრად ჩანს და არა უცხო მოდგმისა და ტომის ნიშანთვისებების მატარებლად და კუთვნილებად. ამდენად აფხაზეთის სამეფოც მთლიანად ქართული იყო და ქართული ტომებით დასახლებული. „ქართლის ცხოვრებაში" ამის შესახებ უამრავი ცნობაა დაცული. „ეთქვათ მრავალთაგან მცირედი".

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალის ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი. 1245 წელს იგი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში. მონღოლებმა შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს. შეთქმულების მონაწილენი გამოტეხვის მიზნით მოედანზე შიშვლები მცხუნვარე მზეზე დასხეს. დაპატიმრებას შემთხვევით გადარჩენილი ცოტნე დადიანი ამ ამბის გამო „მწუხარე იქმნა უზომოდ", თავის „სიკუდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი". ცოტნე დადიანი ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა თავისი ამხანაგების ხვედრი — „განშიშვლდა ... და დაჯდა წარჩინებულთა თანა". დადიანის გმირული საქციელით გაკვირვებული მონღოლები დარწმუნდნენ ქართველთა სიმართლეში და გა-

---

[1] 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 305.
[2] ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1981, გვ. 279-280.

ათავისუფლეს, „განუშვეს ყოველნი ესე წარჩინებულნი". ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილ ამ ამბავში ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ აჯანყების მოსამზადებლად „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი." ხოლო როდესაც მონღოლები ცოტნე დადიანის გმირობის მოწმენი გახდნენ, თქვეს: „ვინადგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან... რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თავისი მოყვარეთათვის, და... არა არს სიცრუე მათ შინა... ამისათვის განუტეოთ ყოველნი". ამ კონტექსტში აფხაზეთის ხმარება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ იმერი, დასავლეთ საქართველო, ანუ როგორც მას არც ისე იშვიათად აფხაზეთსაც უწოდებდნენ, ჩვეულებრივად ქართველებით არის დასახლებული და ისინი ერთ ქართულ საქმეს აკეთებენ. კერძოდ, კოხტას თავს მათი შეხვედრის მიზანი იყო ერთმანეთისაგან განდგომილი მთავრები ისევ შეერთებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად — „შეეკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართაო." ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ აჯანყებულებმა „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი... და რაჭის ერისთავი, — ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად."[1]

„უშორეს მყოფნი აფხაზნი" ამ შემთხვევაში საკუთრივ აფხაზებს გულისხმობს, რომლებიც თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს საქართველოს განთავისუფლებისათვის მზად არიან ებრძოლონ თათრებს. ამავე დროს ერთ კონტექსტში ხმარება „ნათესავნი ქართველთანი", „აფხაზეთით მოვიდა კაცი", „უშორეს მყოფნი აფხაზნი" მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთი იგივე საქართველოა, მისი შემადგენელი ნაწილია, ხოლო აფხაზი იგივე ქართველი. პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი — „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი... ამას ასე გრძნობდა იოანე მარუშის ძე, ან ოთაღო შარვაშის ძე და ცოტნე დადიანი, კახაბერ გურიელი და ბექა ჯაყელი, ამას ასე გრძნობდნენ კოხტას თავს შეთქმულნი."[2]

ბასიანის ომის დროს „დააწყუეს რაზმი... ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი".[3] აფხაზნი და ჰერ-კახნი აქ ერთ სიბრტყეშია განხილული, რაც აფხაზების ქართველობაზე მიუთითებს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1959, გვ. 215-217.

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 608.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 96, 137.

ასევე მრავალგზის არის აფხაზი ნახსენები საქართველოს ისტორიული კუთხეების მცხოვრებლებთან ერთად. მაგალითად, თამარ მეფე „რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს... ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი, შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ.“[1] ამავე დროს, თამარ მეფის დროს „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი მანდაურნი და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო გეგუთი და აჯამეთი“.[2] აქ იმის შესახებაც უნდა მიეუთითოთ, რომ მემატიანის ნახმარი სიტყვები „ჟამ გარდვიდიან“, „განაგიან“ და „მოინადირიან“ ნიშნავს ამ პროცესის მრავალგზის გამეორებას.

ასეთივე კონტექსტშია ნახმარი აფხაზეთი და აფხაზი „ქართლის ცხოვრების“ სხვა ადგილებში. მაგალითად, როდესაც ჯალალ-ედინი „წარმოემართა მეორედ ტფილისს“ რუსუდან მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა... ჰერ-კახთა... ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს... აფხაზთა, ჯიქთა და ყოველთა იმერსა სამეფოსა.“[3] რუსუდანის ძის დავითის გამეფების დროს კი „ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე.“[4] თამარ მეფის პირველი ისტორიის უცნობი ავტორი საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ აფხაზეთს ასევე ჩვეულებრივ ქართულ სამყაროდ განიხილავს: „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა... შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი.“[5] ამრიგად, ქართველი ფეოდალი დადიანი XII საუკუნეში ნიკოფსამდე „უცილობლად“ ყოფილა გამგებელი და მიწა-წყლის პატრონი (მქონებელი). აფხაზი ისეთივე მკვიდრია საქართველოსი, როგორც სხვა დანარჩენი კუთხის წარმომადგენელი. ბაგრატ მეფე თემურ ლენგს „სიტყვითა ლიქნითა“ ჰპირდება: საქართველოს მკვიდრთ, მათ შორის აფხაზებს, მოვაქცევ თქვენს რჯულზეო.“[6]

შემდეგი დროის საისტორიო წყაროები აფხაზეთს და აფხაზებს მხოლოდ ამ გაგებით განიხილავენ. XVIII საუკუნის ცნობილ მეცნიერს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აფხაზეთი განხი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65
[2] იქვე გვ.99.
[3] იქვე გვ.182.
[4] იქვე გვ.229.
[5] იქვე გვ.49.
[6] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 455.

ლული აქვს როგორც ქართული სამყარო და მისი ორგანული ნაწილი. ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც ანალოგიური აზრია გატარებული.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელიც დაწერილია 951 წელს და მასში აღწერილია VIII-IX საუკუნეების ამბები, აფხაზეთი ასევე განხილულია როგორც ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. სხვაგვარად გაუგებარი დარჩებოდა სასულიერო პირის – გრიგოლ ხანძთელის განრისხება აფხაზთა მეფის მიმართ. როგორც გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, აფხაზეთში მონაზვნების საძებნელად ჩასულ გრიგოლ ხანძთელს მეფემ დაუმალა ისინი და „მაშინ ნეტარი მამაი გრიგოლ სიტყვასა ზედა მეფისასა განრისხნა“. მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ მონაზვნები მოაყვანინა, ხოლო გრიგოლს სთხოვა: „აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაც სიწმინდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი.“[1] მართლაც, გრიგოლ ხანძთელმა ააშენა აფხაზეთში მონასტერი.

ასევე გაუგებარი დარჩებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტიც. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის თარიღის აღნიშვნისას მიუთითებს, რომ ნაშრომი დაიწერა ხანძთელის გარდაცვალებიდან „შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა... მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნესე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისა, ძისა კოსტანტი მეფისასა...“[2] ამ ჩამონათვალში აფხაზთა მეფის ხსენება, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართველი მეფეები ზამთრობით აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში ისვენებდნენ. ამის შესახებ გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, რომელიც დაწერილია 1066-1068 წლებში, შემდეგს აღნიშნავს: მეფე, „რამეთუ მოწევნულცა იყო ჟამი ზამთრისაი, და ჩვეულებისამებრ (ხაზი ჩვენია – ა.თ.) თვისისა წარვიდა აფხაზეთად... რათა მუნ დაიზამთროს და განისვენოს... და ზამთარი იგი მუნ დავყავით“[3] აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი მთაწმინდელი აფხაზეთს „ქუეყანასა ჩვენსას“ უწოდებს.

ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც, იმ ხანაშიც კი, როცა ქვეყანა ყველაზე დიდს სამეურნეო და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ფ. გორგიჯანიძე, 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ რომ მოგვითხრობს, შენიშნავს ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი – ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი,

---

[1] ქართული პროზა. წიგნი I, თბ., 1981, გვ. 243-244.
[2] იქვე, გვ. 323.
[3] იქვე, გვ. 471.

გურია და ლაზის ქვეყანა – ხონთქარს" დარჩაო.[1] იგივე აზრი – ეროვნული ერთობის იდეა გატარებულია 1703 წელს არჩილ მეფის მიერ რუსეთის ხელისუფლების მიმართ წარდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში – ჩვენი მიწები – იმერეთი, სამცხე, საათაბაგო, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და ჯიქეთი – ნაწილი სპარსელებმა და ნაწილი სულთანმა მიითვისაო.[2]

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს იმერელი, გურული, მეგრელი და აფხაზი ერთმანეთში ჰყავს გაიგივებული. ევროპაში ყოფნისას მან ნახა ქართველი ტყვეები და ამის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ."[3] თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით აფხაზეთის სამეფო ივერიის ქვეყნის, გაცილებით უფრო ფართო ცნების, შემადგენელი ნაწილია: „აფხაზეთი არის სამეფო ერთი ივერიისა ქვეყნისა ქვემოსა შინა ივერიასა."[4] ანტონ ბაგრატიონი კი თავის „წყობილსიტყვაობაში" ვახუშტი ბატონიშვილზე შემდეგს აღნიშნავს: „ამან დაწყებით ქართუელთა ისტორია – კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან-კავკასთა აღწერა, დაჰშურა, შეეწია ქართველთა."[5] იგი როდესაც ჩამოთვლის ქართველებს კუთხეების მიხედვით, კერძოდ, მესხებს, ქართლელებს, იმერლებს, გურულებს, მეგრელებს, კახელებს და სვანებს, მათთან ერთად აფხაზებსაც ასახელებს,[6] ხოლო თანამედროვე აფხაზი მოღვაწე მიხეილ დელბა კი პირდაპირ აცხადებს: „აფხაზები ქართველები არიან, აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს."[7] აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელი დ. გულია, რომელმაც უარყო თავისი მცდარი შეხედულებები აფხაზეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, 1951 წელს წერდა: მინდა „ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი იმ ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ მრავალრიცხოვან მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტებს, რომლებიც უდაოდ მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ერთიანი ისტორიული და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველებთან, რომ აფხაზები საკუთრივ იგივე ქართველები არიან."[8] ამრიგად, ძველი ქართველი მწერლებისა და მემატიანეებისათვის აფხაზი, როგორც ცალკე, ქართული სამყაროდან და,

---

[1] ციტირებულია: ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ.12.
[2] ЦГАДА. Ф. 110, О. 1703, Е. 2, Л.1.
[3] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ.I, თბ., 1959, გვ. 231.
[4] ციტირებულია გაზ. „ოქროს საწმისი", №2, 1990.
[5] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 192.
[6] იქვე, გვ. 164.
[7] მ. დელბა, დიმიტრი გულია, თბ., 1949, გვ.34.
[8] ციტირებულია: თ. მიბჩუანი. დიმიტრი გულია აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო," 22-29 ნოემბერი, 1996.

თუ გნებავთ, ქართველიდან განსხვავებული, როგორც უცხო ელემენტი არ არსებობს. მათთვის აფხაზეთი საქართველოა, აფხაზეთი ქართული სამყაროა, ხოლო „იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი.“[1] ერთმანეთის ძმები და ამდენად საერთო ქართული სულის მატარებლები არიან.

ერთიანი ქართული ორგანიზმის, ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილად აქვს წარმოდგენილი და განხილული აფხაზეთი ამავე პერიოდის უცხოელ ავტორებსაც. ამავე დროს ისინი იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებად მიიჩნევენ. მაგალითად, საინტერესო ცნობებია დაცული ამ მხრივ XIV-XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების თხზულებებში. ალ-მუჰიბბი (XIV საუკუნე) აღნიშნავს, რომ „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი[2] — მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აბაზასს... მაღალი ალლაჰი დღეგრძელ ჰყოფს... აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა[3] მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს. (ყოველ მათგანს) ეწოდება ქართველთა მეფე.“[4] ამასვე აღნიშნავს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი.[5] ამრიგად, არაბი ისტორიკოსების მიხედვით აფხაზთა მეფე იგივე ქართველთა მეფეა, ხოლო აფხაზეთი ქართველებითაა დასახლებული.

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ბევრი სხვა უცხოელი ავტორიც. კერძოდ, ბერძენი ს. ლუზინიანის თხზულებაში „ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია,“ რომელიც XVIII საუკუნეშია შექმნილი, აღნიშნულია: იბერიას საერთოდ საქართველოს, აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენო.[6] ცნობილი ფრანგი მოგზაური-ბოტანიკოსი ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც იმოგზაურა, იბერიის ძველ ხალხებს აბაზგებთან (აფხაზებთან) აიგივებს.[7] ამავე საუკუნის თურქი მემატიანე მეჰმედ რაშიდი აფხაზეთს საქართველოს ქვეყნად აცხადებს.[8] უფრო ადრინდელი, კერძოდ, XIII საუკუნის არაბულენოვანი ავტორი იაკუთი თავის გეოგრაფიულ ლექსიკონში კი აღნიშნავს, რომ აბხაზი „დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ.“[9] აქ ქურჯები ქართველებს

---

[1] ქაოლის ცხოვრება. ტ. II, გვ.342.

[2] ალ. მუჰიბბის ხელნაწერში დადიანის მაგივრად შეცდომით დადიმანი წერია.

[3] ამ შემთხვევაში ქართლი იგულისხმება.

[4] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, თბ., 1988, გვ. 53.

[5] იქვე, გვ. 56.

[6] ლუზინიანი, ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია, თბ., 1973, გვ. 24-26, 403, 141.

[7] ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1988, გვ.63.

[8] მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ, თბ., 1976, გვ. 21.

[9] იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 1.

ნიშნავს. ამ ორი ეთნიკური ტერმინის იგივეობის კონკრეტული მაგალითები მრავალია. როგორც გ. ჯაფარიძე აღნიშნავს: „1048-1049 წ. თურქსელჩუკებმა ბასიანში დაამარცხეს ბიზანტიელები და დაატყვევეს „აფხაზთა მალიქი კარიტი“ – იგივე ქართველი ფეოდალი კლდეკარის ერისთავი ლიპარტ ბაღვაში. იმად ალ-დინ ალ-ისპაჰანი მოგვითხრობს, რომ 1154 წ. სელჩუკმა უფლისწულმა სულაიმან-შაჰმა იქორწინა თავის ძმის ქვრივზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), რომელიც იმავე დროს იყო „აფხაზი ქალბატონი“ („ხათუნ ალ-აბხაზთა“).[1] შემდეგ იაკუთი განაგრძობს, რომ ქურჯები, რომლებიც მოვიდნენ აფხაზეთიდან, „ჩამოხდნენ თბილისთან და ალყა შემოარტყეს ქალაქს, ვიდრე არ დაეუფლნენ მას ბრძოლით. დახოცეს იქ მუსლიმთაგან მრავალი ხალხი. შემდეგ დაეუფლნენ ქალაქს, გამაგრდნენ მასში და მოექცნენ მის მცხოვრებლებს კეთილად, გაიხადეს რა ისინი ქვეშევრდომებად. და ქართველები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არრანში, ხან აზერბაიჯანში, ხან ხილატში... ასე გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ არ გაემართა მისკენ (თბილისისაკენ) ჯალალ ად-დინ მანქუბარნი იბნ ხვარაზმშაჰი... მან დაიმორჩილა თბილისი და ამოწყვიტა ქართველები.“[2] ამ ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ აფხაზეთი დასახლებულია ქრისტიანი ქართველებით (ქურჯებით). რა თქმა უნდა, ჩვენ მოტანილ ციტატებში მხედველობაში გვაქვს მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთის ჩათვლით.

ოსმალურ დოკუმენტებში აფხაზები ერთ-ერთ ქართველურ ტომადაა მიჩნეული. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ როდესაც თურქები ფეხს იკიდებენ აფხაზეთში, მათ აფხაზების ეთნიკური წარმოშობაც სხვაზე კარგად იციან. ამაზე მეტყველებს თბილისში 1989 წელს გამოცემული წიგნი „ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიასა და რუხის შესახებ,“ სადაც ბევრგან მითითებულია იმის თაობაზე, რომ აფხაზები ქართველი ტომია:

„აფხაზები და მეგრელები სხვა ქართველურ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ.“

„ოდიშისა და აფხაზეთის ქაფირები (ე.ი. ქრისტიანები – ა.თ.) სხვა ქართველებთან ერთად შეიკრიბნენ.“

„1709 წელს აჯანყებულმა აფხაზებმა, მეგრელებმა და სხვა ქართველმა ქაფირებმა დახოცეს ზაფირეჯიები, ხოლო მკვიდრ მოსახლეობას აუკრძალეს ურთიერთობა ოსმალო ვაჭრებთან.“

„1722 წელს აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად შეკავშირდნენ და თავს დაესხნენ გონიოს, ანაკლიის და ბათუმის ციხეებს. ვერაგი და ცბიერი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ არის.“[3]

---

[1] გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. იხ. წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშნველი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 133.

[2] იაკუთის ცნობები..., გვ. 40-41.

[3] ციტირებულია გაზ. „ოქროს საწმისი“, №1, 1989.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მეთორმეტე საუკუნის ბერძენი კომენტატორისა და პოლიჰისტორის იოანე ცეცეს ცნობა აფხაზების წარმომავლობის შესახებ. როგორც იგი აღნიშნავს, იბერები და აბაზგები ერთი ტომისანი არიან.[1] ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ XIV-XVI საუკუნეების ევროპელი მისიონერებისა და მოგზაურების მიერ შედგენილ რუკებზე სოხუმი „პორტო მინგრელიად", ხოლო ცხუმელი კათალიკოსის პეტრე გერალდის 1330 წელს კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ წერილში „ქვედა საქართველოდ" იწოდება.[2] სოხუმს, კერძოდ სოხუმის კონცხს ქართულ მიწას უწოდებს XV საუკუნის ცნობილი რუსი მოგზაური ათანასე ნიკიტინი.[3] ევროპელი ავტორის, ლუი გრანჟიეს მოხსენება, რომელიც დაწერილია, მოქში, ასეა ხელმოწერილი: „მოქი, სამეგრელოში, 2 მარტს, 1615 წელს."[4] ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან არაბი ავტორებიც. ალ-კალკაშანდის (გარდ. 1418წ.) თანახმად, შაკი ზღვის ნაპირზე, როგორც კი თავდება ტრაპიზონის მხარე, იწყება ქურჯთა (ქართველთა) ქვეყანა, ხოლო აბუ ლ-ფიდას ცნობით ქურჯების (ქართველების) ქალაქია XIV საუკუნეში სოხუმი.[5] ამასთან არაბი ავტორების მიხედვით X საუკუნის შემდეგ აბხაზი სულ უფრო აშკარად ქართველებისა და საქართველოს იდენტურია.[6]

ახლა საჭიროა უკვე ითქვას მთავარი. თუ XV საუკუნემდე საკმაოდ ბევრი უცხოელი ავტორი აფხაზეთს ქართულ მიწა-წყლად თვლის, ხოლო იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებად, XV საუკუნის შემდეგ უკვე უცხოელი ავტორები აფხაზეთის მოსახლეობას ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულებად მიიჩნევენ. მართლაც, ამ პერიოდიდან იწყება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით აფსუების ჩამოსახლება აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან. პროფ. თ. მიბჩუანს ამის მრავალი მაგალითი მოაქვს,[7] რომელთაც ჩვენც დავიმოწმებთ. კერძოდ, რუსეთის ისტორიის მამად წოდებული ვ. ტატიშევი (1686-1750 წწ.) წერდა: „სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს თურქები და ყაბარდოელები აბხაზოსს, ხოლო ჩვენი წინაპრები ობეზის უწოდებდნენ. ამჟამად ამ ტერიტორიის დიდ ნაწილში ყუბანელები ცხოვრობენ."[8] ამ ყუბანელებში აბსუები იგულისხმებიან. როგორც ა. ფადეევი აღნიშნავს, აშუბას გვარის წარმომადგენელი მოხუცი აფხაზები ამბობენ, რომ მათი წინაპრები პსხუ-

---

[1] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.VII, თბ., 1967, გვ.23.

[2] თ. მიბჩუანი. აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 30-31.

[3] Л. С. Баранов, Афанасий Никитин – первый руский путешественник в индию, Калинин, 1939, с. 74.

[4] ციტირებულია პ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომიდან.

[5] გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139. Georgraphie d'Aboufeda, გვ. 33.

[6] იქვე, გვ. 132.

[7] თ. მიბჩუანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32.

[8] В. Н. Татищев. Труды, т. 2, с. 468.

დან ჯგერდაში ჩამოსახლდნენ. საერთოდ გადაადგილებებსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე აფხაზებში ფართოდ გავრცელებულია გადმოცემები.[1] ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველი ტომები."[2] ცხადია, ამ აფხაზებში აფსუები იგულისხმებიან. ფრანგი კონსული ჟ. გამბა კი აღნიშნავს, რომ „ეს აფხაზები სხვა წარმოშობისაა, ვიდრე ისინი, რომელთაც მე ადრე ვიცნობდიო." XVIII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების აზრით კი „ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები – ჩრდილოეთ კავკასიელები." ასეთივე აზრი გამოთქვა XIX საუკუნეში დუგლას ფრეშფილდმა: „აფხაზები წარმოშობით ჩრდილოეთის ტომია". ჩვენს მიერ მოტანილ ციტატებში ყველგან აფსუები იგულისხმებიან. ამის შესახებ პროფ. ს. პოტოცკი შენიშნავდა: „აფხაზები თავიანთ თავს უწოდებენ აბსიეს. ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაა." აფხაზების (აფსუების) საცხოვრისის შესახებ საინტერესოა XV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-აინის ცნობა. ალ-აინი „ჩამოთვლის მთავარ ჩერქეზულ ტომებსა და მათ განშტოებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ „უღელტეხილებზე დამურ-კაბისთან (დარუბანდთან) ტაბარისთანის (კასპიის) ზღვის მხრიდან – ქართველებამდე." აბხაზის გარდა, აქ დასახელებულია აბაზა-ც."[3]

ამრიგად, უცხოურ წყაროებში იმ პერიოდიდან მოიპოვება აფხაზების, უფრო სწორად, აფსუების ჩამოსახლების შესახებ ცნობები, როდესაც, მართლაც, იწყება აფსუების ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების პროცესი აფხაზეთში. ამას თვით აფსუათა შორის გავრცელებული გადმოცემებიც ადასტურებენ. 145 წლის მაჟაგ ადლეიბას ნაამბობის მიხედვით, რომელიც 1934 წელს აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა, აფხაზეთში პირველად გადმოსახლდნენ აგრბას, ადლეიბას, ინაპშბას... გვარის წარმომადგენლები ყარაჩაიდან. როგორც იგი მიუთითებს, მათი „წინაპრები აფხაზეთში მაშინ ჩამოსახლდნენ, როდესაც გაიგეს, რომ აფხაზეთი მოსახლეობისაგან დაცარიელდა."[4]

აფსუებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან XV-XVI საუკუნეებში დაიწყეს ჩამოსახლება. ეს პროცესი შემდეგ საუკუნეებში ინტენსიურად გრძელდებოდა. აფსუების მასობრივი გადმოსახლების პერიოდში საქართველოს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს. გარეშე მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა ქვეყანა ეკონომიკურად გააპარტა-

---

[1] Ф. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии, 1, Сухуми, 1934, с.51.

[2] А. И. Дьячков-Тарасов. Бзыпская Абхазия, ИКОРГО, XVIII, Тифлис, 1905, с. 65.

[3] გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

[4] ციტირებულია: Н. Ломоури. Некоторые вопросы ранней истории Абхазии. Жур. «Мацне» Серия истории, №3, 1990, с. 170.

ხა. შინაფეოდალურმა ომებმა კი ისედაც დაუძლურებული ქვეყანა დაღუპვის პირზე მიიყვანა. კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი მხარე გაუკაცრიელდა. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთ ტომებისაგან დამცავი კავკასიონის მთავარი ქედი სამგან „გაირღვა", აფსუები სახლდებიან აფხაზეთში, ოსები — სამაჩაბლოში, ხოლო ლეკები — კახეთში. საქართველოს აღარ შესწევს ძალა და აღარც უნარი დაუკითხავად მოსული გადამთიელი სტუმრები უკანვე გააბრუნოს, როგორც ეს, ვთქვათ, გიორგი ბრწყინვალემ გააკეთა ოსების მიმართ, როდესაც მოთარეშე ოსები საქართველოდან განდევნა. უფრო მეტიც, მათ საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებას ადგილობრივ ფეოდალთა ვიწრო პირადული ინტერესებიც უწყობდა ხელს: გამუდმებული გარე და შიდა ბრძოლებისაგან დაცარიელებულ მამულებში ყმა გლეხთა გამრავლება.

აფხაზების ჩამოსახლების შესახებ მეტად საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი. მისი აზრით, XV საუკუნიდან აფხაზეთში ხდება ძირფესვიანი გარდატეხა — აფხაზეთი „წარმართობს", აფხაზეთში ზედიზედ უქმდება საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა. „ხდება ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიური მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი, ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი."[1] ამავე დროს ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, მთიელი აფხაზების ჩამოსვლა რამდენიმე ნაკადად განხორციელდა და ეს პროცესი უფრო ადრეულ საუკუნეებში დაიწყო: „ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამოდენიმე ნაკადად ჩამოვიდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ასეთი ნაკადი უნდა ჩამოსულიყო XIII ს-ში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს მოწოდებით კავკასიის ტომები სამხრეთით მოიწევენ... მთიელი აფხაზების ჩამოსახლების პროცესი გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე. XV საუკუნეში ეს პროცესი საკმაოდ შორს ყოფილა წასული... XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა."[2]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 614-615.

[2] იქვე, გვ. 615-616.

III.2.4. რას ამბობს ენობრიული მასალა, ტოპონიმიკა, ანთროპოლოგია, გვარ-სახელები და ზეპირსიტყვიერება აფხაზთა ეთნიკურ წარმომავლობაზე

ბუნებრივია, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა შეიცვალა უწიგნო და გაცილებით დაბალი კულტურის მქონე აფსუების ენით. საერთოდ, როდესაც მოსული ელემენტი იმარჯვებს მისი ენა დევნის დამარცხებულის ენას, თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო განვითარებულიც იყოს. თუ ისტორიული პირობები არახელსაყრელია, თვით კულტურის მაღალი დონეც ველარ იცავს ენას. სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი ენათმეცნიერი თ. შარაძენიძე: „მაღალი კულტურის მატარებელი არა ერთი ენა აღგვილა დედამიწის ზურგიდან და მის ადგილას კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი... ხალხის ენა გაბატონებულა.“[1] ამავე დროს, აშკარად ჩანს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში საგრძნობი ცვლილებები ხდება აფხაზურ ენაში. როგორც ცნობილია, XVII საუკუნეზე ადრე ჩვენ არც ერთი აფხაზური სიტყვა წერილობით წყაროებში დაცული არ მოგვეპოვება. ამიტომ არ ვიცით, თუ რა ენაზე ლაპარაკობდა აქ მცხოვრები ხალხი, როგორი იყო მათი ლექსიკა. პირველად თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ, რომელმაც 1641 წელს იმოგზაურა აფხაზეთში, ჩაიწერა რამდენიმე აფხაზური სიტყვა, შემდეგ კი გერმანელმა აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა 1770-იან წლებში შეადგინა მცირე გერმანულ-აფხაზური ვოკაბულარი. ამ უკანასკნელის მასალების განხილვისას აკად. ს. ჯანაშია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სახელთა უმრავლესობა წარმოდგენილია იმ ა – წინსართის გარეშე, რომელიც დღევანდელ აფხაზურში განუყრელი ნაწილია განყენებული მნიშვნელობით აღებული სიტყვისა.“[2] აკად. ს. ჯანაშია იმასაც მიუთითებს, რომ გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს რამდენიმე სიტყვა, რომელთა თავკიდური ა სწორედ ამ ნაწილაკად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან იგი გულისხმობს, რომ „იმ დროს ეს ნაწილაკი გაცილებით უფრო სუსტად იყო დაკავშირებული სიტყვის ძირითად მასასთან.“[3] ეს შეიძლება იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში, და უფრო ადრეც აფსუები სახლდებიან აფხაზეთში და მათი ენაც გარკვეულ

[1] თ. შარაძენიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები. თბ., 1959, გვ.36.
[2] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 214.
[3] იქვე, გვ.215.

ცვლილებებს განიცდის. ყოველ შემთხვევაში აფსუების გადმოსახლებას რომ არ ჰქონოდა ადგილი, მაშინ ამ პერიოდში აბ – წინსართი აქ უკვე განვითარებული უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რაც უფრო ღრმად შევდივართ აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მით უფრო მცირდება აფხაზურ ენაზე მეგრული ენის და სამაგიეროდ იზრდება ქართული ენის გავლენა. აკად. ქ. ლომთათიძეს მოყავს ს. ჯანაშიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბზიფურ მეტყველებას ქართული ენის ისეთი ფაქტები ახასიათებს, რომლებიც უცხოა უფრო სამხრეთით მდებარე აბჟუის მეტყველებისათვის, რომელზედაც მეგრულის გავლენა ჭარბობსო.[1] ვფიქრობთ, ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ სხვადასხვა მონათესავე მხოლოდ ქართველური ტომებით იყო დასახლებული აფხაზეთი.

საგულისხმოა ისიც, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი აფხაზური ნაცვალსახელების ნაწილის ახსნა თანამედროვე აფხაზურის საშუალებით ვერ ხერხდება, რადგან, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „აქ ჩრდილო-აღმოსავლური ენოვანი მასალა გვაქვს."[2] სწორედ ამ ენოვანი მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება იმ პერიოდში გავრცელებული ნაცვალსახელების ახსნა.

აფსუების ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების ფაქტს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს მიაქცია ყურადღება ა. ხახანაშვილმა. იგი წერდა: „გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აფხაზებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის ქედის იქითა მხარეს, გადმოლახეს კავკასიის მთები და შეავიწროვეს მეგრელები სამხრეთისაკენ... მათ ორი საუკუნის განმავლობაში მეგრელები მნიშვნელოვნად შეავიწროვეს." ამ თავის მოსაზრებას იგი ამაგრებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით. წებელდაში ნაპოვნი ქართულად წარწერილი ნივთები, მისი აზრით, მოწმობენ მეგრელების განსახლებას ჯერ კიდევ X და XI საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ა. ხახანაშვილს მოყავს ამონაწერი არქეოლოგ სიზოვის ანგარიშგებიდან, სადაც სიზოვი შემდეგს აღნიშნავს: აფხაზეთში „ჩემს მიერ აღმოჩენილი კულტურის კვალი ძირითადად ატარებს ქართული კულტურის ბეჭედს."[3]

აფსუების თავიანთი ისტორიული სამშობლოდან – ჩერქეზეთიდან აფხაზეთში გადმოსახლების შესახებ ნათლად მეტყველებს ა.

---

[1] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ჟურ. „მნათობი", №12, 1956, გვ. 138.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. X, თბ., 1992, გვ. 459.

[3] А. С. Хаханов, Древнейшие пределы заселения грузин по Малой Азии. Тифлис, с. 62-63.

დიაჩკოვ-ტარასოვის მიერ მოტანილი შემდეგი ფაქტიც: მეგრელები ადრე გაცილებით ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. სოხუმის დაარსების ეპოქაში აქ მეგრელები ბატონობდნენ. სოხუმის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ვაზა, რომელიც ქართული კულტურის ბეჭედს ატარებს, და მონეტა ქართული წარწერით. ა. დიაჩკოვ-ტარასოვს ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნია მეგრული და ლაზური ენების დიდი სიახლოვე; თანამედროვე აფხაზეთის ტერტორიაზე თითქმის ტუაფსემდე ძველი ლაზიკის მოსახლეობის მოხსენიება ძველი გეოგრაფების მიერ; ბელის (ინგლისელი, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში ცხოვრობდა ჩერქეზთა შორის) მიერ იმის აღნიშვნა, რომ მის დროს ლიხნის მიდამოებში მცხოვრები აფხაზები მეგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ; დიოსკურიიდან მდინარე აფსარამდე კოლხების ცხოვრება, რომელთაც შემდეგ ეწოდებოდათ ლაზები; აფხაზებზე მეგრელების ძლიერი კულტურული გავლენა.[1] აქ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვით XIX საუკუნის 30-იან წლებშიც კი აფხაზებით დასახლებულ ცნობილ ლიხნში ჯერ აფხაზები კიდევ მეგრულად ლაპარაკობენ.

ლიხნი მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში, ხოლო ბოლო პერიოდში აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია იყო. ლიხნში არის ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი-ტაძარი ფრესკებით და XI საუკუნის ქართული წარწერებით. პ. ინგოროყვამ უტყუარად დაამტკიცა, რომ სახელწოდება ლიხნი ქართული წარმოშობისაა.[2] როგორც ჩანს, გადმოსახლებულმა აფსუებმა ლიხნში, როგორც კულტურულ ცენტრში, გასული საუკუნის 30-იან წლებშიც ვერ შეძლეს თავს მოეხვიათ თავიანთი ენა აქ მცხოვრები ქართველი ტომის — აფხაზებისათვის. ოდითგან აქ მცხოვრები ქართველი ტომი ისევ მეგრულ ენაზე ლაპარაკობდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობა. იგი აბაზას ქვეყანაში მოსახლე ჩაჩების ტომის შესახებ აღნიშნავს: „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენო."[3] იგი მხოლოდ ჩანდების ტომზე ამბობს: „წმინდა აბაზები ესენი არიანო."[4] როგორც ჩანს, აფხაზეთის დიდ ნაწილში ჩამოსულმა აფსუებმა ადგილობრივ მოსახლეობას თანდათანობით თავს მოახვიეს თავიანთი სალაპარაკო ენა, რის გამომწვევ მიზეზებზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ შემოსული მოსახლეობის მიერ ქართველი მოსახლეობისათვის მათი ენის თავს მოხვევის ფაქტებს

[1] А. Н. Дьячков-Тарасов. Гагра и их окрестности. Тифлис, 1903, с. 36-37.
[2] პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
[3] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 100.
[4] იქვე.

არა მარტო აფხაზეთში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, იმ ქართულ სოფლებში ან იმ ქართული სოფლების გარშემო, სადაც ოსები მასობრივად სახლდებიან, ოსური ენა ქართველებშიც გავრცელდა და მოსახლეობის ნაწილი კიდეც გაოსდა. ანალოგიური პროცესი მოხდა ჯავახეთის ზოგიერთ ქართულ სოფელში. კერძოდ, ახალქალაქის რაიონის სოფლები — ბავრა, ხულგუმო და კარტიკამი გასული საუკუნის 30-იან წლებში ქართველებით იყო დასახლებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სოფლების გარშემო სომხები დასახლდნენ, ქართველი მოსახლეობა თანდათანობით კარგავს ქართულ ენას და ქართულ თვითშეგნებას — ისინი საბოლოოდ გასომხდნენ. ეს ფაქტი მოტანილი აქვს პროფ. შ. ლომსაძეს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „სამცხე-ჯავახეთი". როგორც ჩანს, ასეთივე პროცესი მოხდა აფხაზეთში, მაგრამ გაცილებით ფართო მასშტაბით.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია რომ უძველესი დროიდან ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ გავრცელებული გეოგრაფიული სახელწოდებები ანუ ტოპონიმებიც ადასტურებენ. ამ სახელწოდებათა დიდი ნაწილი ძირძველი, ქართული წარმოშობისაა და მრავალ საუკუნეს ითვლის. ამიტომ ასაკოვან ტოპონიმთა შინაარსი ზოგჯერ ბუნდოვანია და ჭირს მისი გაგება. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ასეთ ტოპონიმთა სპეციალური შესწავლა და სიტყვის შინაარსის დადგენა, ე.ი. სიტყვის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, რაც საკმაოდ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ამიტომ ყოველი ერი თავისი ისტორიის შესწავლის დროს ტოპონიმების კვლევასაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. როდესაც უშუალო წერილობითი, ზეპირი თუ სხვა წყაროები არ არსებობს ტოპონიმები მაშინ ერის შორეულ წარსულში ამა თუ იმ რეგიონში ბინადრობის გარკვევის ერთ-ერთ თუ არა, ერთადერთ საშუალებად გვევლინება. როგორც სამართლიანად მიუთითებს ს. ჯანაშია, „ტოპონიმიკა, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობით გადმოცემის შუქი ვერ სწვდება."[1] რა თქმა უნდა ტოპონიმთა შესწავლა მარტოოდენ აღნიშნული მნიშვნელობით არ შემოიფარგლება და განსაკუთრებით საგულისხმოა ამ საკითხის კვლევა აგრეთვე ენის ისტორიის და საერთოდ ერის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარის გაშუქების დროს. მაგრამ აქ ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ არც ერთ ერს იზოლირებულად, სხვა ერებთან მეზობლობის, ურთიერთთანაცხოვრებისა და მჭიდრო

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117.

კავშირის გარეშე არ უცხოვრია. არც ისე იშვიათად ისიც ხდება, რომ ენა ითვისებს მისთვის უცხო წარმოშობის ტოპონიმს და ფონეტიკურად თავისი ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესაბამისად ცვლის მას (ასე მოუვიდა, ჩვენი აზრით, მოგვიანებით ქართულ ტოპონიმებს აფხაზეთში). სწორედ ასეთ შემთხვევაში თუ რამ გაუგებრობის სფეროში რჩება, მაშინ მთავარია ტოპონიმთა არსის გარკვევა სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე.

აფხაზმა სეპარატისტებმა დიდი ხმაური ატეხეს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, აფხაზეთის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა შეცვლის თაობაზე. ამ მიზნით აფხაზეთში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ 154 დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა მოითხოვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის სახელწოდება აფხაზური უნდა გამხდარიყო. ამით ისინი ცდილობდნენ მეცნიერული დასაყრდენი გამოენახათ აგრესიული სეპარატიზმისათვის, კიდევ უფრო გაემძაფრებინათ ისედაც დაძაბული ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ეს ფაქტობრივად იყო ანტიქართული გამოვლინება, როდესაც მთლიანად იგნორირებული იყო ისტორიული სინამდვილე და მკვიდრი ქართული მოსახლეობის აზრი ამ საკითხზე. ამასთან, აფხაზი სეპარატისტების მიერ ტოპონიმების შეცვლის გაუთავებელი და დაუსაბუთებელი მოთხოვნები ერთ-ერთი რგოლი იყო იმ ჯაჭვისა, რომელმაც ფაქტობრივად აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია განაპირობა.

ახლა ვნახოთ როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება. 1926 წელს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით აფხაზეთის რესპუბლიკაში 530 დასახლებული პუნქტი ითვლებოდა. მათ შორის, 260 დასახლებული პუნქტის სახელწოდება აფხაზური იყო, 160-ის — ქართული, 80-ის — რუსული, 24-ის — სომხური და ა.შ. 1975 წლისათვის ეს შეფარდება თითქმის არ შეცვლილა. კერძოდ, აფხაზეთში 520 დასახლებული პუნქტი იყო. აქედან აფხაზური წარმოშობის სახელწოდებას ატარებდა 280 დასახლებული პუნქტი, 190— ქართულს, 27 — რუსულს, 16 — სომხურს და ა.შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1943-1948 წლებში ძირითადად ქართული წარმოშობის ტოპონიმებით შეიცვალა იმ 81 დასახლებული პუნქტის სახელწოდება, რომლებიც მეფის, გენერლების, ოფიცრების, მოხელეების, ვაჭრების სახელს ატარებდნენ, ან თურქული წარმოშობისა იყო. ამ პერიოდში აფხაზური წარმოშობის სახელწოდებები არ შეცვლილა. 1953-1967 წლებში კი 89 დასახლებული პუნქტის დასახელება უკლებლივ აფხაზური სახელწოდებებით შეიცვალა, მათ შორის, ქართულიც. ამრიგად, რო-

გორც 1943-1967 წლებში დასახლებული პუნქტების გადარქმეული სახელწოდებების ანალიზი გვიჩვენებს, ქართული და აფხაზური ტოპონიმების შეფარდება 1926 წლიდან არ შეცვლილა. 1990 წლისათვის ყველა დასახლებული პუნქტი, სადაც აფხაზური მოსახლეობა ჭარბობდა, უკლებლივ მხოლოდ აფხაზურ სახელწოდებას ატარებდა, მიუხედავად იმისა, ეს ისტორიულად გამართლებული იყო თუ არა, და რადგან ტოპონიმები ხალხის ისტორიის ნაწილია, აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ ქართველი ხალხის ისტორიის გაყალბებას, ისინი უძველეს ქართულ ტოპონიმებს აფხაზურად ან არაქართულად აცხადებენ, საეჭვოდ მიიჩნევენ ბევრი ტოპონიმის უცილობელ ქართულ წარმოშობას. ამით ისინი ცდილობენ დამალონ ის უტყუარი ფაქტი, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული ძველი სახელწოდებები ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის და ამდენად აფხაზეთის ბინადარი იმთავითვე ქართულ ეთნოსს ეკუთვნოდა.

უძველესი დროიდან აფხაზეთში ქართველური ტომების ცხოვრების უტყუარი ფაქტია უამრავი ქართული წარმოშობის ტოპონიმი, განსაკუთრებით ოიკონიმები (დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებები) და ჰიდრონიმები, კერძოდ, პოტამონიმები (მდინარეთა სახელწოდებები).

როგორც ცნობილია, აფხაზეთის დედაქალაქის სახელწოდება სოხუმი (ცხუმი) ქართული წარმოშობისაა და იგი ქართულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან იხსენიება. ამის შესახებ არავინ არ დაობს. ახლანდელი სოხუმის ადგილზე ძველად ანტიკური ქალაქი დიოსკურია მდებარეობდა, რომელიც ბერძენმა მოახალშენეებმა, მილეტელებმა დააარსეს ძვ.წ. VI საუკუნეში. დიოსკურია კოლხთა ქალაქის რიცხვს მიეკუთვნებოდა. შემდეგში დიოსკურიას სებასტოპოლი უწოდეს. ამის შესახებ არიანე, რომელმაც 134 წელს შავი ზღვის სანაპირო მოიარა, თავის მოხსენებაში რომის იმპერატორს წერდა: „დიოსკურია ამჟამად იწოდება სებასტოპოლადო.“ ამდენად, „ეს ციხე-ქალაქი არიანემდე იწოდებოდა დიოსკურიად, ხოლო მის დროს (მეორე საუკუნეში — ა.თ.) უკვე სახელგადარქმეულია, სებასტოპოლის სახელს ატარებს.“[1]

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა დიოსკურიის სახელწოდება, კერძოდ, არის თუ არა იგი უძველესი ქართული ტოპონიმი. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ქალაქის სახელწოდება ადგილობრივი სახელწოდების ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს ან მთლიანად ქართველური ენების საფუძველზე აიხსნება. მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით ქალაქის სახელწოდება წმინდად ბერძნულია და დაკავ-

[1] ვ. ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 181, 182.

შირებულია ტყუპ ძმებ დიოსკურებთან. ეს მეორე მოსაზრება ნაკლებად მისაღებია, რადგან ტყუპი ძმები დიოსკურები ზევსის ვაჟები იყვნენ და თუ მათ საპატივცემულოდ დაარქვეს ქალაქს დიოსკურია, ნაკლებ მოსალოდნელია შემდეგში ეს სახელი გადაერქვათ და სებასტოპოლი ეწოდებინათ, მით უმეტეს, რომ ასეთი სახელწოდების დასახლება უკვე არსებობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ შემთხვევაში ვერც პ. ინგოროყვას მოსაზრების თანამოზიარენი გავხდებით იმის შესახებ, რომ სახელწოდება დიოსკურია დაკავშირებულია ტყუპი ძმების ლეგენდასთან, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ბერძნული სახელწოდებანი კოლხიდის ქალაქებისა ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმანს წარმოადგენენ. კერძოდ, რამდენადაც ძველი დიოსკურიის ნაქალაქევს დღემდე შერჩენილი აქვს სახელწოდება ტყუბუნი, ტყუბნი, სრულიად აშკარაა, რომ ბერძნული სახელწოდება ამ ქალაქისა დიოსკურია, დაკავშირებულია ტყუპი ძმების ლეგენდასთან და მომდინარეობს ამ ქალაქის ადგილობრივი სახელწოდებიდან.[1]

ჩვენი აზრით, ქალაქ დიოსკურიის სახელწოდების ყველაზე საფუძვლიან ახსნა-განმარტებას იძლევა პროფ. გ. ფიფია. როგორც იგი აღნიშნავს, სიტყვა „დიოსკურია" შედგება ორი ზანური, ანუ ძველკოლხური სიტყვის „დიო" და „სკური"-საგან. „დიო" — ზანური სიტყვის „დიდოს" შეკვეცილი ფორმაა. იგი შემონახულია თანამედროვე ჭანურ-ლაზურ დიალექტებში და ნიშნავს დიდი, სივრცე, ფართო. ზანური სიტყვა „სკური" კი აღნიშნავს წყალს, მდინარეს, ღელეს, წყაროს, იმასთან დაკავშირებით თუ რა სიტყვათმიმართებაში იხმარება. სიტყვასთან „დიო" იგი ქმნის წყლიანი სივრცის, ხმელეთში შეჭრილი ფართო წყლიანი ზოლის გაგებას. უდაოა, ძველი ზანები სიტყვა „დიოსკური"-თ აღნიშნავდნენ ყურეს. „დიოსკურია"-თი — ამ ყურის სანაპიროს დასახელებას.

ამ ასპექტში საყურადღებოა მდინარე კელასურის სახელწოდების ახსნაც. ეს მდინარე დიოსკურიასთან ახლოს ზღვაში ჩაედინება. მისი სახელწოდება აგრეთვე წარმოდგება ზანური სიტყვებისაგან „კელე" და „სკური". პირველი სიტყვა ნიშნავს მოკლეს და „სკური"-სთან ერთად ქმნის ცნებას — „მოკლე მდინარეს" (კელასური). მართლაც, ეს მდინარე თავისი სიგრძით არ გამოირჩევა. პროფ. გ. ფიფია სამართლიანად მიუთითებს, რომ ტოპონიმები, რომლებიც შეიცავენ ელემენტს „სკური", გვხვდება ხშირად და მოიცავენ იმ ტერიტორიას, სადაც ძველად ცხოვრობდნენ ზანები და მათი ენა ვრცელდებოდა. მაგალითად, გვაქვს სოფლები სკურჩა და ქუასკური ოჩამჩირის რაი-

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147.

ონში, სკურია – სენაკის რაიონში, სკურდი – მარტვილის რაიონში, სკურა – ქობულეთის რაიონში, სკურდიდი – ხელვაჩაურის რაიონში და მდინარე სკურდიდი – აჭარაში, აგრეთვე სქური – განთქმული სამკურნალო წყარო წალენჯიხის რაიონში და სხვ.

დიოსკურიის სახელწოდების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ვ. ჯოჯუა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ვ. ნიკონოვის, ლ. სოლოვიოვის, ს. ჯანაშიას და სხვ. მეცნიერთა მოსაზრებებს. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „ბერძნული ჟღერადობის მქონე ქართულ სახელწოდებას, რომელიც გეხვდება ანტიკური ხანის ავტორებთან, შეიძლება არაფერი ჰქონდეს საერთო ბერძნულთან. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა (ს. ჯანაშია, ლ. სოლოვიოვი, თ. მიქელაძე, ი. შენგელაია) აზრს, რომლებიც დიოსკურიას ადგილობრივ სახელწოდებად მიიჩნევენ. მისი დაკავშირება მითოლოგიურ დიოსკურებთან დამაჯერებელი არ ჩანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივი მაღალი კულტურის ხალხით დასახლებულ ქალაქს არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა სახელი და ჩამოსულ ბერძნებს არ დასჭირდებოდათ მისთვის სახელის დარქმევა.“[1]

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიძლება მხოლოდ ის დასკვნა გაკეთდეს, რომ დიოსკურია ზანური წარმოშობისაა. მაშინ, ბუნებრივია, „ქალაქი, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო, დაარსებულია იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც ლაპარაკობდნენ ზანურად, ანუ ძველკოლხურად.“[2]

სოხუმის ძველი სახელწოდება „ცხუმი“ აგრეთვე ქართული, კერძოდ, სვანური წარმოშობისაა და რცხილის სვანურ სახელს – ცხუმს უკავშირდება. ასეთი სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული სვანეთსა და ნასვანარ ადგილებში. მაგალითად, ცხუმარი (სოფელი მესტიის რაიონში), ცხუმელური (ლენტეხის რაიონში), ცხმორი (რაჭა), ცხომარეთი (ზემო იმერეთი) და სხვ. ცხუმის სვანურბუნებოვნობაზე მეტყველებს აგრეთვე შუა საუკუნეთა სვანეთში ცხუმ-ჩხუმიანი გვარეულობების არსებობაც. მაგალითად, ცხუმიანები, ცხვიმიანები და ჩხუმიანები. ცხუმიდან წარმოშობილი ჩანს გვარები: ცხომელიძე, ცხომარია და სხვ.[3] ამრიგად, მართალია, უშუალოდ წერილობითი ძეგლების მიხედვით ჩვენ არ ვიცით თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომე-

[1] ვ. ჯოჯუა. ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა გადმოცემისათვის ბერძენ ავტორებთან. იხ. კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. წიგნი მეათე, თბ., 1993, გვ. 326..

[2] გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხებისათვის, გაზ., „სახალხო განათლება“, 8 მარტი, 1990

[3] გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 206.

ბი, მაგრამ თავიანთი ენობრივი მასალა, სიტყვები მათ ძველ ტოპონიმებში დაგვიტოვეს. ეს ტოპონიმები (შეიძლება ითქვას, უკლებლივ ყველა), ეს სიტყვები კი ქართული წარმოშობისაა, რაც აფხაზეთში ქართველური ტომებით დასახლებაზე მიუთითებს. კერძოდ, აფხაზეთის დედაქალაქის ორივე სახელწოდების (დიოსკურია, ცხუმი) შემოქმედი თავის დროზე მხოლოდ ქართული — მეგრულ-ზანური და სვანურენოვანი მოსახლეობა იყო და ამდენად სოხუმი და მიმდებარე ტერიტორია უწყვეტად საუკუნეების მანძილზე ქართველური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული სხვა დასახლებული პუნქტების, ფერდობების, მთების, ქედების სახელწოდებები ასევე ახსნილია ქართველური ენების საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება იმ ტოპონიმებს, რომლებიც აფსუებმა აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ შექმნეს.

უძველესი დროიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური ტომების დასახლების უტყუარ ფაქტს წარმოადგენს აფხაზეთში გავრცელებულ მდინარეთა სახელწოდებები — ჰიდრონიმები. როგორც ცნობილია, ჰიდრონიმები იშვიათად იცვლება და ამდენად მდინარეთა სახელწოდებები ამ მდინარეთა აუზში მცხოვრებთა ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრის მეტად სარწმუნო წყაროა. პროფ. გ. ფიფიამ დააჯგუფა აფხაზეთის ჰიდრონიმები ქართველურ-ზანური ფუძით და აფხაზურ-ადიღეური ფუძით. როგორც იგი აღნიშნავს, მდინარეების ენგურისა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე 30 მდინარე მიედინება. ამ 30 მდინარის სახელწოდებიდან მხოლოდ ორი მათგანია წარმოქმნილი აფსუა ენიდან. ეს არის ღელე აძიქვა, რომელიც ზღვაში ჩაედინება ქალაქ ოჩამჩირის ფარგლებში და ღელე ძიგუთა, რომელიც სოხუმზე გადის. დანარჩენი 28 მდინარის სახელწოდება უკლებლივ ყველა ქართველურ-ზანური წარმოშობისაა.

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთში, მდინარეების გუმისთასა და ფსოუს შორის კიდევ 27 მდინარე მიედინება, რომელთაგან 18 აქვს აფხაზურ-ადიღეურ ენათა საფუძველზე წარმოქმნილი სახელწოდება, ხოლო 9 მდინარის სახელწოდება კი შეიცავს როგორც აფხაზურ-ადიღეური, ასევე ჭანური ენების ელემენტებს, რაც, პროფ. გ. ფიფიას აზრით, ამ რეგიონში ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორით შეცვლას მოწმობს.[1] მეტად საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთის ყველაზე დიდი მდინარეების, კოდორისა და ბზიფის სათავეებში შენაკადთა სახელწოდებების უმრავლესობა სუფთა სვანურია, ხოლო

[1] გ. ფიფია. აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო, გაზ. „სახალხო განათლება", 5 ივლისი, 1990.

ზოგიერთის სახელწოდება აფსუა ენიდან მომდინარეობს ან ამ ორი ენის ელემენტებს შეიცავენ. მაგალითად, სვანური წარმოშობის შენაკადებია: ორმელენთი, ნამხარო, ბარდღვი-ნამკრავარი, სისინა, ნაჭვალი, გენწვიში, ლამკაცი, ჩხალთა, კვარაში, გარაფი, შოუდიდი, ბეშთა, ბიღდაზია, გრბძა, გვაშთხვა.

ამრიგად, მდინარეთა სახელწოდებების მიხედვით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად მეგრელი და სვანი ტომები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება შედარებით მცირე რაოდენობით მდინარეთა სახელწოდებების აფსუა ენიდან წარმოშობის საკითხს, იგი შეიძლება შემდეგი გარემოებით აიხსნას: ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები თავდაპირველად ძირითადად შედარებით უკაცრიელი პატარა მდინარეების (ღელეების) აუზებში სახლდებიან და ამ მდინარეებსაც (ღელეებს) თავიანთ სახელწოდებებს არქმევენ. ამიტომაცაა, რომ აფხაზეთის ყველა დიდი მდინარის სახელწოდება, რომელთა აუზებში ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან განუწყვეტლივ სახლობდნენ, ქართული წარმოშობისაა. ამასთან დიდი მდინარეების სახელწოდებები, რომლებიც უკვე ფართოდაა ცნობილი ადგილობრივ და მეზობელ ტომებში, თუნდაც გარკვეულ პერიოდში მოსახლეობა უკვე მათ აუზებში მცირე რაოდენობით ან აღარც ცხოვრობდეს, შეცვლას ნაკლებად ექვემდებარება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ პროფ. გ. ფიფია ზოგიერთი მდინარის სახელწოდებას „ფსა“ დაბოლოებით აფსუა ენიდან წარმოშობილად თვლის, უფრო სწორად, სუფთა აფსუა სახელწოდებად მიიჩნევს. საერთოდ „ფსა“ ნაწილაკის ახსნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეთა სახელწოდებების ენობრივი კუთვნილების გასარკვევად. როგორც აკად. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, „სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ტოპონიმიკაში, კერძოდ, მდინარეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) გვხვდება ფსა (ფს) დაბოლოების მქონე სახელები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია). ტოპონიმიკურ სახელთა ეს ელემენტი სავსებით სამართლიანად არის მიჩნეული ადიღეურ (ჩერქეზულ) სიტყვად, სადაც იგი „წყალს“ აღნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება როგორც რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის მნიშვნელობის გადმოსაცემად.“[1] მართლაც, ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „ფსა“, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ეჭვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის, რომ ეს ნაწილაკი არის

[1] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურ. „მნათობი“, №2, 1956.

ჩერქეზული სიტყვა „ფსა“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს და აწინდელ ტერიტორიაზე.“[1] საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად (და ისტორიულადაც) გვხვდება „ფსა“ დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები: სუფსა, ნიკოფსია, ლაგუმფსა, აკამფსი (ანტიკურ მწერლობაში მდინარე ჭოროხის სახელწოდება) და სხვ. თუ დავუშვებთ, რომ სიტყვა ფსი (ფსა) ჩერქეზულიდან მომდინარეობს, მაშინ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული მოსახლეობის კვალიც ჩანს, რომელიც მათ ადგილობრივ ტოპონიმიკაში დატოვეს. ს. ჯანაშია ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავდა: „საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია.“[2] ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში, ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეების — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვ. აზრით ქართველები და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტომი, მათ შორის, აფხაზებიც ამ ტერიტორიაზე მოსულებად ითვლებოდნენ. შემდგომში ეს შეხედულება შეიცვალა და ამჟამად მათ ოდითგანვე აქ მცხოვრებ, აბორიგენ მოსახლეობად მიიჩნევენ. ამდენად, თუ ისინი მოსულები იყვნენ ამ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, გზადაგზა თავიანთ კვალსაც ტოვებდნენ ტოპონიმების სახით. ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილის გამო იმდენად დიდი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორიტეტი, რომ ჩერქეზული ტოპონიმების არსებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვოდ არავის გაუხდია, რაც ადასტურებდა აქ ადრე ჩერქეზული მოსახლეობის გავრცელებას და ამდენად ქართველებისა და ჩერქეზული ტომების მოსვლის თეორიას. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას დაკვირვებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ფსა“ დაბოლოების მქონე მდინარეთა სახელწოდებებში ფს ნაწილს საკუთრივ აფხაზურად არავითარი განმარტება არ მოეძებნება. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს მ. ინაძე: „გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსად, არც ერთ თავის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ზემოთ განხილულ ტოპონიმებს (მხედველობაშია ძირითადად ფს — ძირიანი ტოპონიმები — ა.თ.) არ უკავშირებდნენ საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ წრეს.“[3] ფს — დაბოლოებიან ტოპონიმებს ისინი

[1] ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.
[2] ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
[3] მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. ჟურ. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 1990, გვ. 52.

მხოლოდ ადიღეური (ჩერქეზული) ენის საფუძველზე ხსნიან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პირველად პ. ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება იმ საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმები სინამდვილეში ქართული წარმოშობისაა. კერძოდ, როგორც იგი მიუთითებს, მართალია, ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფსა“ წყალს ნიშნავს, მაგრამ „ამავე ფუძისეული სიტყვა არსებულა არქაული პერიოდის ქართულშიც, რა დროსაც ეკუთვნის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობა.“[1]

მართლაც, ქართულ ენაში სიტყვა ფს-ი ძირეულია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი“. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს უძველესი ქართული სიტყვა ფსელი (ფს-ელი) და სიტყვა ფს-ი ფუძის მრავალგვარი განშტოება: „ფშა“, „ფშანი“, „ფშატალა“, რაც შესაბამისად წყაროს, წყარო-მდინარეს, თოვლნარევ წყალს ნიშნავს. საგულისხმოა ისიც, რომ „ფსია“ მეგრულ დიალექტზე დიდ-წყლიანობას ნიშნავს. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“[2] განმარტებულია სიტყვები ფს-ელი, ფს-მა, შე-ფს-მა, მ-ფს-მელი. ამ სიტყვების წყაროსეული განმარტება ბიბლიიდან ასეთია: ფსელი: „არა... შესუან ფსელი თვისი“; ფსმა: „აფსმიდეს კედელსა“; შეფსმა: „რომელმანცა შეაფსა კედელსა“; მფსმელი (ვინც აფსამს): „მოვსრა იერობოამისი მფსმელიცა კედელსა“. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ფსმა ფსლის დათხევაა, ხოლო მოფსმა-ფსლის დაქცევა.[3] დავით ჩუბინაშვილს ფსმა და მოფსმა განმარტებული აქვს, როგორც შარდზედ გასვლა, შარდზედ მიდგომა.[4] შარდზე გასვლა კი ქართულში წყლის დაღვრის ტოლფასია. ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში აღნიშნულია: ქალს „ერთ ადგილას შარდზე გასვლა მოუნდა. იქვე ჩაჯდა. მერე ჩხირი აიღო და დაქცეულ წყალს დაუწყო ჯვარედინად გადახაზვა.“[5] საგულისხმოა, რომ ზღაპარი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაშია ჩაწერილი. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ქართული სიტყვები: ფსკერი, ფსკა (დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა), ფსორი (მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი)[6] და სხვ.

აქ მიზანშეწონილია ფშ-ძირიან ტოპონიმების შესახებაც აღინიშნოს. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, „თუმცა ფშ კომპლექსი თანამედროვე ჩერქეზულს წყლის სახელად აღარ აქვს, მაგ-

1 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 185.
2 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
3 სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, ტ. IV$_1$, თბ., 1965, ტ. IV$_2$, თბ., 1966.
4 დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
5 ხალხური სიბრძნე. ტ. II, 1963, გვ. 254.
6 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VII, თბ., 1962.

რამ წინათ რომ ჰქონია ეს იქითგანაც ჩანს, რომ ქვიშას, ლამს ჩერქეზულად ეხლაც ფშახუა და ყაბარდოულად ფშახო ეწოდება."[1] თუ ჩვენ ამავე აზრს ფს ნაწილის მიმართ გავიმეორებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფს კომპლექსი თანამედროვე ქართულ ენაში წყლის სახელად აღარ გვაქვს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფსკა ქართულად ახლაც დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებულ მწვანე ლორწოსებრ მასას, ხოლო ფსორი მდინარის მიერ დატოვებულ კალაპოტს ნიშნავს. ამავე დროს, თვით სიტყვა „ფშაც" ქართულშიც წყლის ცნებას უკავშირდება. პ. ინგოროყვა ამის შესახებ აღნიშნავს: ფსი ფუძე — სიტყვის განშტოებას წარმოადგენენ: „სიტყვა „ფშა", რაც ნიშნავს წყაროს, წყალს; „ფშანი" — დიდი ფშა... წყარო მდინარე; „ფშა-ტალა" - სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წყალი თოვლ-ნარევი."[2]

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს დიდი მდინარეების ფაზისის, აკამფსისის (შესაბამისად რიონისა და ჭოროხის ისტორიული სახელწოდება) და სუფსის სახელწოდებები, რომელთა ქართულ წარმოშობაზე შეიძლება ფსი ტერმინის საშუალებით ან კერძო შემთხვევაში მის გარეშეც ვიმსჯელოთ. მაგალითად, მართალია, ფაზისის ფსასთან მიმართების საკითხი მეცნიერებაში საკმაო ხანია დგას, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის. ს. ჯანაშია ფაზისს ფოთ-ფუთ (საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი" ზემო იმერეთში) ფუძესთანაც აკავშირებს.[3] რაც შეეხება სუფსას, ეს მდინარე სათავეს სურების მთებში იღებს და ამდენად სუფსა (სურ-ფსა) ნიშნავს სურების წყალს, სურების მდინარეს.[4]

ჩვენს მიერ მოტანილი მსჯელობის შემდეგ მთავარი საკითხი მაინც გადასაწყვეტი რჩება. კერძოდ, როგორ მოხდა, რომ სიტყვა ფს (ფსა) ქართულსა და ჩერქეზულ (ადიღეურ) ენებში წყალს ნიშნავს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ის უბრალო დამთხვევით აიხსნას. როგორც ჩანს, ქართველი ტომები დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე (და ბევრად უფრო ჩრდილოეთითაც) უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ამდენად აფხაზეთში გავრცელებული ჰიდრონიმებიც ქართული წარმოშობისაა. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ქართველური ტომების ცხოვრების ფართო არეალს, რომლებიც უძველეს დროში იმ ტერიტორიებსაც მოიცავდა სადაც გვხვდება ფსა დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები, მაშინ უფრო მისაღები ის აზრია, რომ ფსა სიტყვა ქართულიდან

[1] ციტირებულია მ. ინაძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 51.
[2] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 185.
[3] ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
[4] იქვე, გვ. 118. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

შევიდა ჩერქეზულ ენაში. ე.ი. უშუალოდ ქართული სამყაროს გვერდით ცხოვრების პერიოდში სრულიად დასაშვებია, რომ ჩერქეზულ ტომებს ქართული ფსა სიტყვაც შეეთვისებინათ. მაგრამ აქ გარკვეულ დაბრკოლებასაც ვაწყდებით. ფსა, როგორ ძირეული სიტყვა არ უნდა დაკარგულიყო აქ მცხოვრებ ქართველურ ტომებში და იგი ჩერქეზულსაც არ უნდა მიეღო. მაგრამ ისტორიაში გვხვდება არა ერთი და ორი შემთხვევა, როდესაც ძირეული სიტყვებიც ტოვებენ ასპარეზს და მათ ადგილს უცხოური წარმოშობის სიტყვები იკავებენ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ფუძე-ენისაგან ფსა მიიღო აქ მოსახლე ქართველურმა ტომებმა, იგი მათ ენათა უძველეს ფონდს განეკუთვნება. ამდენად ფსა ქართულში წინარეული ქართული ფუძე-ენიდან მომდინარეობს, ხოლო სიტყვა წყალი იქ შედარებით მოგვიანებით შემოსულად ჩანს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ქართულმა სიტყვა წყალმა გარკვეულ პერიოდში აჯობა, დაჩაგრა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველურ ტომებში გავრცელებული „ფსა“ სიტყვა, რომელიც „წყლის“ მნიშვნელობით სიტყვა „ფსელში“ და ზოგიერთ სხვა ქართულ სიტყვაში შემორჩა. სამაგიეროდ იგი ისესხა ჩერქეზულმა ენამ. ამასთან, „ადამიანები შეგნებულად კი არ ცვლიან თავიანთ ენას, არამედ ცვალებადობა შეუგნებლად ხდება და დროთა განმავლობაში ენამ შეიძლება ისეთი სახე მიიღოს, რომ წინაპართა მეტყველება სრულიად გაუგებარი გახდეს შთამომავლობისათვის.“[1]

ეს მით უფრო გამართლებული არის ცალკეული სიტყვებისათვის. ქართულ ენაში ამის არა ერთი და ორი მაგალითი მოგვეპოვება. კერძოდ, ქართულ ენაში ძველად აბრეშუმს ჭიჭნაური ერქვა. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, „შუშანიკის წამებაში“, რომელიც მე-5 საუკუნით თარიღდება, აღნიშნულია: „წმინდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი.“[2] მე-18 საუკუნეში კი დავით გურამიშვილი აღნიშნავდა: „ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა... ჭიაც ჩვენთვის ამუშაკა, ჭიჭნაური აპარკინა.“ მიუხედავად ამისა, მაინც შემოვიდა სპარსულიდან აბრეშუმი, ხოლო ჭიჭნაური თანამედროვე ქართულისათვის გაუგებარი გახდა. რომ არა წერილობითი ძეგლები ეს სიტყვა საერთოდ დაიკარგებოდა. როგორც ჩანს, ასე მოუვიდა ფსა სიტყვასაც, ოღონდ ამ შემთხვევაში ერთი ქართული სიტყვა მეორე ქართული სიტყვით შეიცვალა. ე.ი. ქართულმა წყალმა აჯობა მეგრულ-ჭანურში ფუძე-ენიდან ნამემკვიდრეც სიტყვა ფსას. საერთოდ სიტყვათა იგივეობის შემთხვევაში არც

[1] თ. შარაძენიძე. ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958, გვ.27.

[2] ქართული პროზა. წიგნი I, თბ., 1981, გვ. 19.

ისე იშვიათად ხდება სიტყვის სესხება მონათესავე ენიდან ან რომელიმე არამონათესავე ენიდან. „ხოლო სესხება ენებს შორის სავსებით ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა მათი განვითარების უძველეს საფეხურზედაც. თვით ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა ქართ. და ჭან. ბიჭი, რომელიც ჩვენ ენათათვის სფეციფიკურ ბგერას (ჭ-ს) მოიცავს, ნასესხებად ითვლება სპარსულიდან.“[1] ამავე დროს არც ის არის გამორიცხული, რომ შორეულ წარსულში ქართულისა და ჩერქეზულისათვის, როგორც მონათესავე ენებისათვის, „ფსა“ სიტყვა საერთო ყოფილიყო.

ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე რომ მხოლოდ ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ამაზე ნათლად მეტყველებს ანთროპოლოგიური მონაცემები. აქ იგულისხმება ფიზიკური თვისებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ „ამა თუ იმ ერისა თუ ტომის მონათესავეობის საკითხის გადასაწყვეტად“ (ივ. ჯავახიშვილი) და რომელთა შეცვლა მემკვიდრეობითი კანონების გარდა არავითარ სხვა ფაქტორს, არავითარ გარეშე გავლენას არ შეუძლია. ანთროპოლოგიურადაც აფხაზები ყველაზე ახლოს ქართველებთან დგანან, ფაქტობრივად ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს იმეორებენ.

დღევანდელი ქართველები, როგორც ცნობილი ანთროპოლოგი აკად. მ. აბდუშელიშვილი აღნიშნავს, დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი დროის მოსახლეობის შთამომავლები არიან. არსად, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ხილული ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე, არ შეინიშნება რაიმე საგრძნობი უცხო, ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებული ელემენტების ექსპანსიისა და ასიმილაციის კვალი.[2]

ქართველი ანთროპოლოგები საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფენ ხუთ ადგილობრივ ვარიანტს, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. ამ ხუთი ვარიანტიდან ერთ-ერთი, კერძოდ, შავიზღვისპირული გავრცელებულია შავიზღვისპირელი აჭარლების, გურულების, მეგრელებისა და აფხაზების ჯგუფებში. აფხაზები გაცილებით მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ აღნიშნულ ჯგუფებთან, ვიდრე ჩერქეზებთან. პროფ. შ. ინალ-იფა, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ტენდენციურად განიხილავს აფხაზეთის ისტორიისა და მოსახლეობის საკითხებს, ამ უტყუარი ფაქ-

---

[1] თ. შარაძენიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[2] მ. აბდუშელიშვილი. ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური თავისებურებანი. იხ. ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე — საქართველო. ბიულეტენი №1, თბ., 1944, გვ. 17-18.

ტის შესახებ იძულებულია აღნიშნოს: „ანთროპოლოგიურად თანამედროვე აფხაზები ეკუთვნიან ერთ დასავლეთ-კავკასიურ ტიპს, ამჟღავნებენ სიახლოვეს, ერთი მხრივ, დასავლეთ-ქართველურ, ხოლო მეორე მხრივ – ჩერქეზულ მოსახლეობასთან. ამასთან ანთროპოლოგიური მსგავსება დასავლეთ ქართველებთან უფროა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელნი აფხაზებთან ერთად ლინგვისტურად ეკუთვნიან ერთ განსაკუთრებულ აფხაზურ-ადიღეურ ოჯახთა ჯგუფს. სპეციალისტები აფხაზების ანთროპოლოგიურ მსგავსებას მეგრელებთან, აგრეთვე გურულ და აჭარულ ჯგუფებთან, ადიღეელებთან შედარებით დიდად დაშორების პირობებში დამტკიცებულ ფაქტად თვლიან.“[1] ამდენად ანთროპოლოგიურად აფხაზები გაცილებით ახლოს დგანან ქართველებთან, ვიდრე ჩერქეზებთან და, მით უმეტეს, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან.

კიდევ უფრო საინტერესო და მეცნიერულად მისაღებია რუსი ანთროპოლოგისა და კავკასიოლოგის აკად. მ. ალექსეევის დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზები ანთროპოლოგიურად, ადიღეელებთან შედარებით, გაცილებით ახლოს დგანან ქართულ სამყაროსთან და მათი შესვლა ადიღეულ ოჯახთა ჯგუფში მოგვიანებით მოხდა. კერძოდ, იგი შემდეგს აღნიშნავს: „ანთროპოლოგიური მონაცემები მოწმობენ აფხაზების ისტორიულ კავშირებს უფრო მეტად ქართულ, ვიდრე ადიღეურ სამყაროსთან. აფხაზების შესვლა ადიღეურ ხალხთა შემადგენლობის ენათა ოჯახში განხორციელდა გვიან და ყოველ შემთხვევაში თავისთავად წარმოადგენს მეორად მოვლენას მათ ეთნიკურ ისტორიაში.“[2] აკად. ვ. ალექსეევის მოტანილ ციტატიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება: აფხაზები ქართულ სამყაროს ეკუთვნიან და მათი შედგლა ადიღეურ ოჯახთა ჯგუფში მოხდა მას შემდეგ, რაც აფსუები გადმოსახლდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამასვე ადასტურებს ქართული წარმოშობის აფხაზური გვარები.

პროფ. თ. მიბჩუანმა დააჯგუფა აფხაზები გვარების წარმოშობის მიხედვით.[3] აღმოჩნდა, რომ დღევანდელ აფხაზთა გვარების 72,7% ქართულია (ქართულ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის ცხრა ლაზური წარმოშობის აფხაზური გვარის ჩათვლით), 23,5% ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინური, ხოლო აფხაზური გვარების 3,8% ძირითადად თურქული, სპარსული და რუსული წარმოშობისაა. სულ აფხაზთა

[1] Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы. Сухуми, 1965, с.50.
[2] В.П. Алексеев. Происхождение народов кавказа. М., 1974, с. 194.
[3] თ. მიბჩუანი. აფხაზური სეპარატიზმის ისტორიიდან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ.15, 82-88.

417 გვარიდან 303 გვარი ქართულია. ასეთი გვარებია: ანჩაბაძე, ასათიანი, ჭელიძე, ჭკადუა, წერეთელი, იაშვილი, თაყაიშვილი, ახვლედიანი, ამილახვარი, დევიძე, ლაღიძე, მელაძე, ცეცხლაძე, ხიდაშელი, ჩხეიძე, ჩიქოვანი, სიჭინავა, კვარაცხელია, ლაბახუა, ადამია, ძიძარია, ბასარია, გულია და მრავალი სხვა. ამ გვარების უმრავლესობის შინაარსობრივი ახსნა, მათი წარმოქმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, ქართული სიტყვიერი მასალის საფუძველზე შეიძლება. მაგალითად, ჭკადუა და ჭელიძე წარმოშობილია ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან.მჭედელს მეგრულად ჭკადუ ჰქვია, აქედანაა გვარი ჭკადუა.[1] ასევე ხელობის აღმნიშვნელი გვარია ჭელიძე, რომელიც მიღებულია მჭედლიძესაგან. ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს სადაურობის (წარმოშობის ადგილის) აღმნიშვნელი გვარები. სწორედ წარმოშობის ადგილს უკავშირდება გვარი წერეთელი. კერძოდ, წერეთი ნასოფლარია ქართლში, საიდანაც მიღებულია გვარი წერეთ-ელ-ი[2] და ა.შ.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი აფხაზური გვარი, რომელთა აფხაზურ წარმოშობაზე ეჭვის შეტანა თითქოს ძნელია, ქართული წარმოშობისაა. მაგალითად, როდესაც ს. ჯანაშია იხილავს ზან და ჭან ფორმების აფხაზურის მიერ შეთვისების საკითხს, აღნიშნავს: „უკანასკნელი დაცულია კიდევაც აფხაზური გვარის სახელში ჭან-ბა, რაც ქართულ ჭანიშვილს უდრის.“[3] იგივე შეიძლება ითქვას აფხაზური გვარის გუბაზის მიმართ, რომელიც ლაზური წარმოშობისაა. ამის შესახებ ა. ფადეევი აღნიშნავს: „ლაზიკის შემადგენლობაში შედიოდა თანამედროვე აფხაზეთიც. გუბაზმა (კოლხეთის მეფე VI საუკუნეში — ა.თ.) თავის გავლენას დაუქვემდებარა აბასკ-ავასგის ტომები. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (VI საუკუნე) აღნიშნავს, რომ „ავასგები ძველთაგანვე ლაზებს მორჩილებდნენ“... ლაზიკის მმართველები გუბაზების გვარიდან იყვნენ, ხოლო აფხაზეთში გუდაუთის რაიონში ამჟამადაც ცხოვრობს გლეხი გვარით გუბაზი.“[4] ლაზური წარმოშობისაა აგრეთვე აფხაზური გვარები: ხალვაში, ხვიტიში, ბაბადიში, ხაზირიში და სხვ. რუსული წარმოშობის აფხაზებს მიეკუთვნებიან ერმოლოვები, ივანოვები და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, თუ აფხაზური გვარების წარმოშობის მიხედვით თანამედროვე აფხაზების რაოდენობის პროპორ-

---

[1] ზ. ჭუმბურიძე. რა ქვია შენ? თბ., 1992, გვ. 67.

[2] ზ. ჭუმბურიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

[3] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ.15.

[4] А. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии, часть первая, Сухуми, 1934, с. 70.

ციულ განაწილებას მოვახდენთ, მაშინ აფხაზების მთელი რაოდენობიდან (1989 წელს 93267 აფხაზი ცხოვრობდა აფხაზეთში) 67805 გენეტიკურად, სისხლით და ხორცით ქართული წარმოშობისაა, 21917 კაცი — ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინური და 3544 კაცი — ძირითადად თურქული, სპარსული და რუსული წარმოშობის. რა თქმა უნდა, აქ საუბარია მხოლოდ გენეტიკურ წარმოშობაზე. ალბათ, გარკვეული რაოდენობის გამონაკლისის გარდა, ისინი თვითშეგნებით აფხაზები არიან. მაგრამ „თუ რომელიმე ქართველი გააფხაზდა, ღმერთმა შეუნდოს და ხელი მოუმართოს, ოღონდ თავის მშობლებს ნუ დაუწყებს გინებას და ქვის სროლას.“[1] და, მით უმეტეს, ნურც ტყვიას დაუშენს.

აფხაზეთში მცხოვრები ტომების ქართულ წარმოშობაზე მეტყველებს აფხაზური ზეპირსიტყვიერებაც. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს ნართების ეპოსი. აფხაზი მკვლევარების აზრით, აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ყველაზე თვალშისაცემი, ყველაზე ფართო მოცულობის და ყველაზე სრული ძეგლებია ნართებისადმი მიძღვნილი თქმულებები. ამ ეპოსის ყველაზე მთავარი პერსონაჟია გმირი ქალი სათანეი-გვაშა. როგორც აფხაზ მკვლევარებს ჩვევიათ, ისინი ახდენენ ამ გმირი ქალის იდეალიზაციას. კერძოდ, ს. ზუხმა აღნიშნავს, რომ „მსოფლიო ეპიკურ პოეზიაში კარგადაა ცნობილი არაერთი გმირი ქალის სახე, მაგრამ ტიპოლოგიურად სათანეი-გვაშას მსგავსი არსად გვეგულებაო.“[2] ამ აზრს იგი იმით ამტკიცებს, რომ სათანეი-გვაშა მარად ახალგაზრდაა, არ ბერდება, მზესავით ანათებს და მას, მიუხედავად ასი შვილის გაჩენისა, „ისეთი კან-ხორცი ჰქონდა, თავით ფეხამდე მთლად ჭყინტ ყველსა ჰგავდა.“ სათანეი-გვაშას მოსწონს მენახირე ზართიჟვა, რომელსაც იგი მდინარე ყუბანის ნაპირზე ხვდება. მათ ერთმანეთი თვალში მოუვიდათ: „და მოაგორებს ზვირთებს მძლავრი ყუბანი ისევ და, მერამდენედ, ზართიჟვას ისევ ნაპირზე ისვრის.“[3] აქ ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ ეპოსში ასახული ამბები ქედს გაღმა, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის ნაპირზე ხდება. ქედსგადაღმელ თუ ზღვისიქითელ მტაცებლებსა და მოძალადეებს კი მუდამ ეჭირათ თვალი აფხაზეთზე. სწორედ ამას ამტკიცებს თქმულება აფხაზეთის მთავარზე. თქმულებაში ქედსგადაღმელმა აჩბამ ნადირობის დროს „აქეთ გადმოიხედა და ზღვა დაინახა“. თქმულების მიხედვით ხალხის ხსოვნაში ასახულია ჩრდილო კავკასიელი ტომების აფხაზეთში გადმოსახლების ამბავი. კერძოდ, აჩბასა და მის ძმებს სურთ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე

[1] ზ. ჭუმბურიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
[2] ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 293.
[3] ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 294-295.

დასახლება და როდესაც ამის ნებართვას მიიღებენ ძმები იქ ასობენ ისარს, რომელი ადგილიც საცხოვრებლად მოეწონებათ: „მეორე დღეს ძმები წავიდნენ, ერთმა სოჩის ახლოს ჩაარჭო ისარი, მეორემ სოფელ აჭანდარაში, მესამემ სოფელ ლიხნში და მეოთხემ აბჟუაში, იმ ადგილას, ჩაარქითი რომ ეწოდება.“[1]

აფხაზურ ფოლკლორში იდეური მნიშვნელობით და მხატვრული ხელოვნებით ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია აბრსკილისადმი მიძღვნილი საგმირო თქმულება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თქმულება უძველეს დროში აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომების მიერ უნდა იყოს შექმნილი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ ეპოსში ამირანის ანალოგიური მოტივებია (აბრსკილი ერთი წლისა ათი წლისას მიაგავდა, გაამპარტავნებულმა ღმერთს ჯიბრი დაუწყო, ღმერთმა იგი ბოძზე მიაჯაჭვა, აბრსკილი წლების მანძილზე არყევს ამ ბოძს და როდესაც უკვე უნდა ამოთხაროს ბოლოქანქალა ჩიტი შემოჯდება სვეტის თავზე. გაბრაზებული აბსკილი იქვე მიგდებულ დიდ უროს დასწვდება და ჩიტს მოსაკლავად მოუქნევს, ჩიტი აფრინდება, ურო ბოძს ხვდება და ადრინდელზე უფრო ღრმად ერჭობა მიწაში. აბრსკილი დღესაც ამ წამებაშია) ასახული და უფრო მეტად იგი ოჩამჩირის რაიონშია გავრცელებული, რაც იმას მოწმობს, რომ აქ ოდითგანვე ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

იმისათვის, რომ სწორად იქნეს დადგენილი აბრსკილის თქმულების საფუძველი, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით თქმულების გმირის აბრსკილის სახელის ეტიმოლოგიის გარკვევას. ნ. მარის თვალსაზრისით „აბრსკილი“ ორი ნაწილისაგან შედგება „აბრ“/„ამრ“ და „სკილისაგან“. მისი აზრით, „აბრ“-„ამრ“ ძველი აფხაზური სიტყვაა და „მზეს, ზეცას“ ნიშნავს. „სკილ“ კი მეგრულ-ჭანური სიტყვაა და „შვილს“ აღნიშნავს. ამრიგად, აბრსკილი „მზის შვილს“ უდრის. ზოგიერთი მეცნიერი „აბრსკილის“ ეტიმოლოგიას აფხაზურ-ადიღეურ ენებში ეძებს. მათი აზრით „აბრ“ უძველესი აფხაზურ-ადიღეური სიტყვაა, სადაც „აბრა“ (ამბირმიჟვა) „ქვას“ ნიშნავს, ხოლო სკილი „შვილს“, ე.ი. „აბრსკილი“ იგივეა, რაც „ქვის შვილი“.

აბრსკილის სახელის ეტიმოლოგიის ასეთ ახსნას ძნელია დაეთანხმო. უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ აფხაზური (ან აფხაზურ-ადიღეური) სიტყვისა და მეორე მხრივ, მეგრულ-ჭანური სიტყვის შეერთების საფუძველზე ნაკლებ დასაშვებია ეპოსის მთავარი გმირის აბრსკილის სახელის წარმოშობა. უფრო მისაღებია, ალბათ, პროფ. მ. ჩიქოვანის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ სახელ „აბრსკილ“-ში „აბრ“ „მზეს“ („ამრა“) კი არ ნიშნავს, არამედ უკავ-

[1] იქვე, გვ. 365-366.

შირდება ამირანის ქართული ხალხური საგმირო ეპოსის ერთ-ერთ პერსონაჟის ამბრის სახელს.[1] ამის შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საგმირო ეპოსი აბრსკილი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველურ ტომებში წარმოიშვა და იგი ამირანის თქმულების ერთ-ერთი უძველესი ვარიანტია.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის შემდეგ თუ საერთო დასკვნას გავაკეთებთ, იგი ასეთი იქნება: თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ქართველური, ძირითადად მეგრულ-ჭანური და სხვანური ტომები ცხოვრობდნენ. აფსილები და აბაზგები არ არიან თანამედროვე აფხაზების წინაპრები, ისინი მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებია. ძველ ქართულ წყაროებში აფხაზი იგივე შინაარსით იყო დატვირთული, როგორც მეგრელი, სვანი და სხვა ქართველური ტომების წარმომადგენლები. თანამედროვე აფხაზების წინაპრები არიან აფსუები, რომლებიც ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან და მიიღეს ადგილობრივი ძირძველი ეთნიკური სახელწოდება აფხაზი. აფსუები დროთა განმავლობაში შეერივნენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ცხადია, ჩამოსულთათვის პირველი ეტაპი იყო ადგილობრივი სამეურნეო საქმიანობის ათვისება. ამ უკანასკნელმა კი ხელი შეუწყო ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან ეთნიკური პროცესების განვითარებას. შერევის პროცესი უფრო ინტენსიური იყო ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ვიდრე სამხრეთში. ამრიგად, თანამედროვე აფხაზების წინაპრები აფსუები და ქართველები არიან. ერთი სიტყვით, თანამედროვე აფხაზების ეთნოსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა აფსუა და ქართველი.

თუ ასეთ დასკვნას გავიზიარებთ, ადვილად გასაგები ხდება აფხაზეთის სამეფოს წარმოშობის, თვით ცნების „აფხაზეთის" მნიშვნელობის გაფართოების, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულებისა და საერთოდ აფხაზეთის სამეფოსთან დაკავშირებული საკითხები. უპირველეს ყოვლისა, ის არის ანგარიშგასაწევი, რომ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის სამეფო შექმნილია ქართველური ტომების მიერ.

[1] ს. ზუხბა. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 359-360.

III.2.5. რატომ იწოდებოდა გაერთიანებული საქართველო აფხაზეთად, ხოლო მეფეები — მეფედ აფხაზთა, ქართველთა, პერთა, კახთა

როგორც ცნობილია, VIII საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო. იგი ამყარებს კავშირს ლაზიკასთან და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებთან ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს არავითარი დაპყრობა აფხაზეთში მოსახლე ქართველური ტომების მიერ არ მომხდარა. როგორც სწორად შენიშნავს პ. ინგოროყვა, მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან. „მატიანე ქართლისაი“-ს ძეგლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე,“ ე.ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიც და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან.[1] ამის შემდეგ კეთდება ის, რაც ქართველთა ტომების უზენაეს ინტერესებში შედიოდა — იწყება „წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება დასავლეთ საქართველოში.“ ბერძნული ენა, რომელიც აფხაზეთში გაბატონებული ენა იყო, სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც როგორც სახელმწიფო ენას დაეკისრა სამწერლობო, საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები; დასავლეთ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს და მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა; გაუქმდა ბერძნული და დაარსდა ქართული საეპისკოპოსოები. აფხაზთა სამეფო ქართველური ტომების მიერ რომ არ ყოფილიყო შექმნილი, იგი რომ წმინდა ქართული სახელმწიფო არ ყოფილიყო, მაშინ არც ქუთაისი გახდებოდა მისი დედაქალაქი, არც წირვა-ლოცვა შესრულდებოდა ქართულ ენაზე და არც ეკლესია დაექვემდებარებოდა მცხეთის კათალიკოსს. მაგრამ აფხაზეთის სამეფო, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა, მხოლოდ ქართული ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდა და შემდეგში აქტიურად შეუწყო ხელი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

საერთოდ VIII საუკუნის მიწურულიდან „აფხაზეთის“ ცნების მნიშვნელობა ფართოვდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი კოლხეთის მემკვიდრე ხდება ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. ისტორიულ კოლხეთში მცხოვრები ქართველური ტომები თანდათანობით ეგრისის სამე-

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 116.

ფოს დაქვემდებარებაში ექცევა. ამას ხელს უწყობდა ბიზანტიის ხელისუფლებაც, „რათა ძლიერი ეგრისის სახელმწიფო მტკიცე ბარიერი გამხდარიყო ჩრდილოელი მომთაბარე ტომებისათვის."[1] IV საუკუნის დასასრულიდან ეგრისის სამეფო იერთებს სანიგებით დასახლებულ სანაპიროს. პროკოფი კესარიელის ცნობით, ასევე „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ." ასეთივე დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ეგრისის სამეფოს მიმართ სვანები, ლეჩხუმლები, აფშილები და სხვ. VI საუკუნის დასასრულისათვის „ლაზიკის" სამეფოს „აბაზგია" გამოეყოფა, რომელიც აერთიანებს სხვა ქართველ ტომთა (სანიგების, მისიმიანელების და სხვ.) მიწა-წყალს. ბუნებრივია, ამის შედეგად ფართოვდება „აბაზგია"/„აფხაზეთის" მნიშვნელობა. ის უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო აფხაზად არა ქართველი ტომის აფხაზების წარმომადგენელი იგულისხმებოდა, არამედ ყველა დასავლელქართველი, უფრო მეტიც, XII-XIII საუკუნეებში მთელ გაერთიანებულ საქართველოსაც „აფხაზეთი", „ქუეყანა აფხაზეთისა" ეწოდებოდა. ქართულ და უცხოურ წყაროებში „აფხაზი" და „აფხაზეთი" „ქართველისა" და „საქართველოს" შესატყვისი, პარალელური ცნებები ხდება. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საკუთრივ აფხაზეთში მხოლოდ ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, რომელთა თაოსნობითაც ერთიანდება დასავლეთ საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობის სფეროში რჩება ყველაფერი. თუ დავუშვებთ, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მისია აფხაზეთში მცხოვრებმა უცხო ტომის ხალხმა ითავა, მაშინ, როდესაც უკვე არსებობს ქვეყნის სახელწოდების ერთიანი ცნება „საქართველო", მართლაც გაუგებარია ქვეყანას უცხო ტომისა და მოდგმის სახელი უწოდო, თანაც შენიღე ისტორიულ წყაროებში და იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზენიტში იმყოფება.

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. თ. გამყრელიძე, „აბაზგ"/„აფხაზთა" ქართველური წარმომავლობა იმის მიხედვითაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მობინადრე სხვა მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ.[2] ზოგიერთ აფხაზ მეცნიერს აფხაზეთის სამეფოს შექმნაში თანამედროვე აფხაზების ვითომც წინაპართა დამსახურება სურს დაინახოს. მაგალითად, ლიანა კვარჩელია ისტორიული მოვლენებისა და პროცესების აშკარა გაყალბებას ცდილობს და მეტად

[1] დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991, გვ. 54.

[2] თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის ტატომო სახელთა ისტორიიდან. იხ. წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 588.

პრიმიტიული აზროვნებით უცხოელთათვის და, მაშასადამე, საქმეში ჩაუხედავი მკითხველებისათვის დაწერილ სტატიაში აღნიშნავს: „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წელზე მეტი ხნის წინათ ჩამოყალიბდა და აფხაზებს მრავალჯერ მოუწიათ თავდაცვა დამპყრობთაგან.

საუკუნეების მანძილზე ქართველები და აფხაზები, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეთნიკური წარმოშობისა და ენის მქონე ხალხები, ცხოვრობდნენ მეზობელ ტერიტორიებზე. იყო პერიოდები მათ ისტორიაში, როცა აფხაზეთი, როგორც ცალკე სამთავრო, მოქცეული იყო საქართველოს ან ოტომანების მბრძანებლობის ქვეშ. ასევე ყოფილა ხანა, როცა საქართველოს დასავლეთი და ზოგი აღმოსავლეთის მხარეც აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო.“[1]

ამ აბდა-უბდის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ის შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი „მეცნიერები“ იქნებ აჯობებდა წინასწარ შეთანხმებულიყვნენ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ზუსტ თარიღზე. თუ ლ. კვარჩელიას აზრით აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წლის წინათ ჩამოყალიბდა, ი. ვორონოვისა და სხვათა ავტორობით მოსკოვში 1993 წელს გამოცემულ აფხაზეთის თეთრ წიგნში“, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორია 2600 წელს ითვლის. ამ საკითხს აღნიშნულ წიგნში მთელი პარაგრაფი ეძღვნება. მაგრამ ასეთ სახელმწიფოს 26 საუკუნის მანძილზე და არც მის მონაკვეთებში მსოფლიო ისტორია არ იცნობს.

ლ. კვარჩელია უცხო მკითხველის თვალში საკითხს რომ უფრო მეტი დამაჯერებლობა შემატოს, ვითომც სხვათა შორის, აღნიშნავს: აფხაზეთის ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც აფხაზეთი მოქცეული იყო საქართველოს ან ოტომანების მბრძანებლობის ქვეშო. მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. ოტომანების მბრძანებლობის ქვეშ გარკვეულ პერიოდში მოქცეული იყო საქართველოს სხვადასხვა და მათ შორის მისი განუყოფელი ნაწილი აფხაზეთიც. აკი აფხაზურ ლიტერატურისა და ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც 1950-იან წლებში უარყო თავისი მცდარი თეორია აფხაზთა წარმომავლობის შესახებ, აღნიშნავდა: „აფხაზეთი, რომელიც ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ისტორიის მთელ მანძილზე მასთან ერთი ცხოვრებით ცხოვრობდა, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში ორგანულად მონაწილეობდა.“[2]

სრულ გაუგებრობაზეა აგებული ლ. კვარჩელიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს გარკვეულ ხანაში აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო საქართველოს დასავლეთი და ზოგი აღმოსავლეთის მხარეც. არსე-

---

[1] ი. კვარჩელია. შეხედულება აფხაზეთიდან, გაზ. „საქართველო“, 10-13 იანვარი, 1998.
[2] ციტირებულია: თ. მიბჩუანი, დიმიტრი გულია აფხაზთა ეთნოგენეზისის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 22 ნოემბერი, 1996.

ბული უცხოური და ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით არსად არ არის მინიშნებული იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზეთი და საქართველო სრულიად დამოუკიდებელი სხვადასხვა სახელმწიფოები იყვნენ. ისტორია აფხაზეთის სამეფოს იცნობს როგორც მხოლოდ ქართულ სახელმწიფოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით მთელი დასავლეთ საქართველო და საკუთრივ აფხაზეთი ქართველი ტომებითაა დასახლებული. საილუსტრაციოდ გვინდა კიდევ XII საუკუნის ცნობილი სპარსელი პოეტის ხაყანის შემოქმედებიდან მაშინდელი ვითარების ამსახველი სურათიც მოვიტანოთ. ხაყანისათვის ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს მაშინ აფხაზეთსაც უწოდებდნენ და ამ ფაქტმა ასახვა პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში. კერძოდ, მოუსვენარი სულის პატრონი, პოეტი ხაყანი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობდა და მუდმივად ვერსად ჩერდებოდა საცხოვრებლად ამბობდა, სახენათელი ქართველი ქალის გულისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკიო:

„ტრფობით შენი თეთრი სახის
და კავების, მას რომ ამკობს,
აფხაზეთში დაველასლე
და ქართულად ვლაპარაკობ.“

არანაკლებ საგულისხმოა ხაყანის შემდეგი სტრიქონებიც;

„ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და
აფხაზეთს გავალ.
ღიად დამხვდება ქართველების
კარები, მჯერა.“[1]

ხაყანის ამ მშვენიერ სტრიქონებში ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მაშინ აფხაზეთსაც უწოდებდნენ, ხოლო ეს ქვეყანა — აფხაზეთი ქართველებითაა დასახლებული. ისტორიის ამ უშუალო და უტყუარი მოწმის შემდეგ სადაოც არაფერი რჩება.

ამრიგად, აფხაზეთის სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით და, რა თქმა უნდა, მოსახლეობითაც ქართული სახელმწიფო იყო. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთი წყაროს მიხედვით აფხაზეთის სამეფოს „ეგრისის“ სამეფოსაც უწოდებენ. აკად. მ. ლორთქიფანიძის ცნობით „X-XI სს. ზოგი სომეხი ისტორიკოსი, მაგალითად, იოანე დრასხანაკერტელი, ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მათ მეფეს — „ეგრისის მეფეს“, ხოლო მცხოვრებთ — „ეგრისელებს.“[2] ამავე დროს, აფხაზეთის სამეფო რომ მთლიანად ქართული სამყარო იყო, საქართველოს მეფეთა ტიტულატურაც ამტკი-

[1] სპარსული პოეზიის ნიმუშები, თბ., 1980, გვ. 115-117.
[2] მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ.11.

ცებს. როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. მ. ლორთქიფანიძე, „დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის „აფხაზთა მეფის“ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი ჯერ „აფხაზთა მეფედ“ (ე.ი. დასავლეთ საქართველოს მეფედ) აკურთხეს, ხოლო მისი წინაპარი „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან „ქართველთა მეფის“ ტიტული. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ — ჰერთა და კახთა მეფის ტიტულებიც და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა.“[1] საქართველოს ძლიერების ხანაში ამ ტიტულატურის თანმიმდევრობა უცვლელი რჩება, რადგან ქართველთა შეგნებაში აფხაზი და ქართველი, ჰერი და კახი თანაბარი ოდენობის ცნებებია, ერთი ქართული სამყაროა. ამიტომ, როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს „მეფე აფხაზთა“ ეწოდებოდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს „აფხაზეთი“, ამიტომაც ქართული წყაროები (და უცხოურიც) გაერთიანებული და უძლიერესი საქართველოს ყველაზე თვალსაჩინო მეფეებსაც — დავით ალმაშენებელსა და თამარს „მეფე აფხაზთა“ ტიტულით მოიხსენიებენ.

ეს მოვლენა კანონზომიერია, რადგან მაშინდელი აფხაზები ქართველური ტომი იყო. აფხაზთა ქართველობის, კერძოდ, მესხური წარმომავლობის დებულების ფუძემდებელია აკად. ნ. მარი.[2] მოსაზრება მესხისა და აფხაზის ურთიერთკავშირის შესახებ შემდეგში განავითარა პ. ინგოროყვამ. როგორც იგი აღნიშნავს, წყაროების მიხედვით აფხაზი ტომის სახელწოდების თავდაპირველი სახეობაა მოსხი. ძველი ბერძენი ისტორიკოსები და თვით სტრაბონიც აფხაზებს მოსხის სახელწოდებით იცნობენ. „აფხაზთა ამ სატომო სახელწოდების „მოსხი“-ს არქაული დიალექტური ფორმებია: მოსხი (მოსოხი) — ასხი (მასახი) — ბასხი (ბასახი)... სატომო სახელიდან ბასხი მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება ა-ბასხ-ეთი ანუ ა-ბასხ-ია (ე. ი. იგივე სა-ბასხ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბასხ-ეთი ანუ აბასხ-ია დამკვიდრდა სატომო სახელის ეს მეორადი ფორმა: აბასხი, რომლის სახენაცვალი ფორმაა აბხასი, აბხაზი, აფხაზი.“[3] ამის შემდეგ, ბუნებრივია, გაკეთდეს ერთადერთი სწორი დასკვნა: დღევანდელი აფხაზების წინაპრები აფსუები აფხაზეთში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლდნენ და სახელწოდება „აფხაზი“ აქ ოდითგანვე მცხოვრებ ქართველი აფხაზებისაგან მიიღეს.

---

[1] მ. ლორთქიფანიძე. არა უწყიან, თუ... გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 თებერვალი, 1990.
[2] Н. Я. Марр, история термина «абхаз». В сб.: «О языке и истории абхазов», М.-Л., 1938, с. 44-52.
[3] პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 137, 139.

III.2.6. მუჰაჯირობა: ტრაგედიის რეალური მასშტაბები

აფხაზეთის მოსახლეობა გვიან შუა საუკუნეებამდე ეთნიკურად ძირითადად ერთგვაროვანი იყო. მის ტერიტორიაზე ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. XVI-XVII საუკუნეებიდან აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა აფსუების ჩამოსახლების შემდეგ საგრძნობ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ ამ ცვლილებების რაოდენობრივი გამოხატულება სათანადო წყაროების უქონლობის გამო გაურკვეველი რჩება. აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის მონაცემები ძირითადად XIX საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ ამ მონაცემებსაც აფხაზი მეცნიერები ჩვეულებრივად უმოწყალოდ ამახინჯებენ. მათი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ როგორმე დაამტკიცონ, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველები მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, აფხაზები რიცხობრივად ყოველთვის აღემატებოდნენ მათ და ამიტომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზებია.

აფხაზეთში აფხაზებისა და ქართველების რაოდენობისა და მათი თანაფარდობის საკითხს განსაკუთრებით არაობიექტურად და ტენდენციურად იხილავენ შ. ინალ-იფა, ს. ლაკობა, ბ. აშუბა და სხვ. მაგალითად, ბ. აშუბას ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე მოაქვს თურქი მოგზაურის ევლია ჩელების (დედით აფხაზის) ცნობა იმის შესახებ, რომ მე-17 საუკუნეში მდინარეებს რიონსა და ანაპას შორის ცხოვრობდა 600 ათასი აფხაზი და ეს ცნობა მას სარწმუნოდ მიაჩნია.[1] იგი ამ ცნობას ამაგრებს იმით, რომ ქართველი ისტორიკოსი ზ. ჭიჭინაძეც მე-17 საუკუნის შუა ხანებში აფხაზთა რაოდენობას 600 ათასს ასახელებს, მაგრამ ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით 1770 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 400 ათასამდე, ხოლო მე-18 საუკუნის მიწურულს 200 ათასამდე შემცირდაო. რისთვის დასჭირდა ბ. აშუბას ასეთი მანიპულაცია, ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი უნდა ვიკითხოთ, რა მონაცემები ჰქონდა ზ. ჭიჭინაძეს ან რას ეყრდნობოდა ევლია ჩელები აფხაზთა რაოდენობის განსაზღვრისას?

ასეთი მონაცემები, რომლებიც დაყრდნობილი იქნებოდა ოფიციალურ ცნობებზე ან მოსახლეობის აღწერების მასალებზე არ არსებობს. ხოლო ის, რომ ევლია ჩელებმა აფხაზეთში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებების გავლენით აფხაზთა რაოდენობა, ვთქვათ, 600 ათასით განსაზღვრა, არაფერს ნიშნავს. ამასთან, ვინც ზ. ჭიჭინაძის მემკვიდრეობას იცნობს, დაგვერწმუნება, რომ არ შეიძლება ამ

[1] Б. З. Ашуба. К истории формирования современной этнодемографической ситуации в Абхазии. В. кн.: Население СССР в 80-ые годы. М. 1991, с. 126.

მეცნიერის ბევრი დებულებისა და მოსაზრების უკრიტიკოდ გაზიარება. ცნობილია, რომ იგი ხშირად არავითარ წყაროს არ ეყრდნობოდა და მისი მსჯელობა, არც ისე იშვიათად, ზღაპრულ სამოსელშია გახვეული. მე-17 საუკუნეში მთელი საქართველოს მოსახლეობაც არ იყო 600 ათასზე ბევრად მეტი. 1770 წელს ჩატარებული აღწერით მთელი ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობა დაახლოებით 220 ათასს უდრიდა, ამავე პერიოდისათვის პროფ. ვახტანგ ჯაოშვილის გაანგარიშებით იმერეთში 119 ათასი, სამეგრელოში 75 ათასი, ხოლო აფხაზეთში 64 ათასი კაცი ცხოვრობდა. თუ გავითვალისწინებთ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და ეკონომიკურ დაქვეითებას, გამორიცხულია რომ აფხაზეთში 600 ათას კაცს ეცხოვრა.

მხედველობაში არის მისაღები ის აზრიც, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში ტერიტორიული დავა და ძირითადად სამეგრელოს ძალაუფლება აფხაზეთზე ვრცელდებოდა. თუკი აფხაზეთი ასეთი მრავალრიცხოვანი იყო, მაშინ მოსახლეობის რაოდენობისა და, მაშასადამე, ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში ყოველთვის საპირისპირო მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი. ამასთან, როდესაც ევლია ჩელები შავი ზღვის სანაპიროზე და, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოთვლის სხვადასხვა ტომს, იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღნიშნავს თითოეული ტომის მოსახლეობის ან მებრძოლთა რაოდენობას და ასეთად უმთავრესად 10 ათასს ასახელებს.[1] ესეც ევლია ჩელების მოსახლეობის შესახებ მონაცემთა არასაიმედობაზე მიუთითებს. ასევე შეცდომას უშვებს იგი აბაზას ქვეყნის საზღვრების დასახელების დროს. მისი აზრით „აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე „ფაშა“[2] (მეცნიერთა აზრით „ფაშა“ ფაზისი, ე.ი. რიონია). ამავე დროს ევლია ჩელებმა კარგად იცის, რომ რიონის შემდეგ სამეგრელოა, ხოლო იმის იქით „აბაზას ქვეყანა“. ასე, რომ ევლია ჩელების აფხაზეთში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები აფხაზთა რაოდენობის შესახებ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. და, საერთოდ, მოგზაურის შთაბეჭდილებანი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისათვის არ გამოდგება. მაგალითად, თურქეთში ჩასული ქართველი ტურისტები და წარმოშობით იქაური ქართველებიც კი ხშირად აღნიშნავენ, რომ თურქეთში 10, ხოლო ზოგის აზრით 20 მილიონი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ არცერთ ჭკუათმყოფელ მეცნიერს აზრად არ მოუვა ამტკიცოს, რომ თურქეთში 20 ან 10 მილიონი ქართველი ცხოვრობს.

ცნობილია ისიც, რომ ძველი ავტორები საერთოდ გაზვიადე-

[1] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 100-106.
[2] იქვე, გვ. 97.

ბულად მიუთითებენ მოსახლეობის რაოდენობას. მაგალითად, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში გაილაშქრა ოსებზე, დაამარცხა ისინი და თითქოს ხელთ ჩაიგდო 1060 ათასი ტყვე. ამ ცნობის საფუძველზე ზ. ჭიჭინაძე ასკვნის, რომ ოსები მაშინ მილიონობით იყვნენ. მაგრამ შეიძლება ამ ცნობის მიღება? რა თქმა უნდა, არა. იმ პერიოდში ასეთი რაოდენობის ჯარის გამოყვანა შეუძლებელი იყო და მით უმეტეს ტყვედ ჩაგდება. ამასთან, მაშინ მსოფლიოში თითქმის არც ერთი სახელმწიფო არ იყო, რომელსაც მილიონობით მოსახლეობა ჰყავდა, მე-5 საუკუნეში თვით მსოფლიოს მოსახლეობაც მცირე იყო — დაახლოებით 250 მილიონი.[1]

მეტად დასანანია, რომ XVII-XVIII საუკუნეებშიაფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ანალოგიურ, მეტად მძიმე შეცდომას უშვებს თუ იმეორებს პროფ. ლ. მარშანია თავის შესანიშნავ წიგნში „აფხაზეთის ტრაგედია“. იგი აღნიშნავს: „აფხაზი ხალხის ეთნიკურ მდგომარეობას ასევე დიდი ზიანი მიაყენა შავმა ჭირმა, რომელიც აფხაზეთში მძვინვარებდა 1811-1812 წლებში, მაშინ დაიღუპა მოსახლეობის თითქმის ნახევარი. XVII საუკუნის 50-იან წლებში თუ აფხაზთა რაოდენობა 600 ათასს აღწევდა, XVIII საუკუნის დასასრულს იგი შეადგენდა მხოლოდ 200 ათასს. გენერალ მურავიოვის დამსჯელ ექსპედიციას (1841წ.) მოჰყვა აფხაზთა მასობრივი გადასახლება თურქეთში. XIX საუკუნეში გადაასახლეს 300 ათასზე მეტი აფხაზი.“[2]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XVII საუკუნის 50-იან წლებში აფხაზეთში 600 ათას კაცს არ უცხოვრია და არც შეიძლებოდა ეცხოვრა. მაგრამ თავი რომ დავანებოთ ამ მეტისმეტად გაზვიადებულ მონაცემს, პატივცემული მკვლევარის მოტანილ ციტატაში აშკარად შეინიშნება ურთიერთგამომრიცხავი მომენტები. კერძოდ, როგორც პროფ. ლ. მარშანია აღნიშნავს XVIII საუკუნის დასასრულს აფხაზეთის მოსახლეობა 200 ათას კაცამდე შემცირდა, რომელიც 1811-1812 წლებში შავი ჭირის მძვინვარების დროს განახევრდა, ე.ი. XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მოსახლეობა 100 ათას კაცს უდრიდა. აქ უკვე საჭიროა იმის თქმაც, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობის თურქეთში გადასახლება XIX საუკუნეში რამდენჯერმე მოხდა და ეს პროცესი ძირითადად დასრულდა 1880 წლისათვის. მაშინ გაუგებარია, სულ რაღაც 70 წელიწადში როგორ გადასახლდა აფხაზეთიდან თურქეთში 300 ათასი კაცი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ აფხაზეთიდან რამდენიმე ათეული ათასი აფხაზი არსად

[1] М. А. Клупт. Летопись жизни. М., 1980, с. 172.
[2] ლ. მარშანია. აფხაზეთის ტრაგედია, თბ., 1995, გვ. 4-5.

არ წასულა და მშობლიური კერა არ მიუტოვებია. ამასთან, გადასახლების დროს აფხაზეთში შავი ზღვის სანაპიროზე გემების მოლოდინში შიმშილისაგან უამრავი ადამიანი დაიღუპა. ასე, რომ 300 ათასი აფხაზი, თურქეთში რომ გადასახლებულიყო 1812-1880 წლებში, ანუ 70 წლის მანძილზე, აფხაზების რაოდენობა ოთხჯერ ანუ 400 ათასამდე მაინც უნდა გაზრდილიო, რაც ყოვლად შეუძლებელია. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ XIX საუკუნის მანძილზე რამდენიმე ეტაპად მოხდა აფხაზების თურქეთში გადასახლება და თითოეული გადასახლების დროს მოსახლეობა მნიშვნელოვნად მცირდებოდა. ამასთან, ხალხი ამ პერიოდში დიდ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

მე-19 საუკუნემდე ჩვენ არავითარი სანდო წყარო არ მოგვეპოვება, რომ მიახლოებით, სწორად მაინც განვსაზღვროთ აფხაზების რაოდენობა. ასევე რთულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისათვის აფხაზების რაოდენობის დადგენა. ეს იმითაა განპირობებული, რომ აფხაზეთში ამ პერიოდში არ ჩატარებულა კამერალური აღწერები, რასაც რუსეთის ხელისუფლება ანხორციელებდა. რუსული მმართველობა კი აქ 1864 წელს დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ცნობები მაინც მოიპოვება ამ პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ. აკად. პ. გუგუშვილის გაანგარიშებით 1800 წელს აფხაზების რაოდენობა 30 ათასს, 1832 წელს კი 34,8 ათასს უდრიდა.[1]

აფხაზეთის მოსახლეობის განხილვის დროს აუცილებელია ცალკე შევეხოთ მუჰაჯირობის საკითხს. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს გადასახლებას, ემიგრაციას.

გადასახლებულთა მოძრაობამ აფხაზეთში ფართო ხასიათი XIX საუკუნეში მიიღო. ძირითადად ეს იყო აფხაზთა ძალდატანებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში. გადასახლებულთა და შემდეგ უკან დაბრუნებულთა რიცხვის დადგენა ჩვენ დაგვეხმარება შედარებით ზუსტად განვსაზღვროთ აფხაზეთის მოსახლეობისა და საკუთრივ აფხაზების რაოდენობა XIX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში. ამ საკითხის შესწავლა იმითაც არის საგულისხმო და აუცილებელი, რომ თანამედროვე აფხაზი ავტორები შეგნებულად არასწორად განსაზღვრავენ XIX საუკუნეში თურქეთში გახიზნულ აფხაზთა რაოდენობას. უკანასკნელ წლებში ისინი სულ უფრო და უფრო ზრდიან ამ მაჩვენებელს. თუ ადრე გადასახლებულთა რიცხვს 30 ათასით განსაზღვრავდნენ, შემდეგში ამ მაჩვენებელმა 400 ათასსაც კი მიაღწია. კონიუნქტურის აყოლის სურვილი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ადრე თუ პროფ. შ. ინალ-იფა თურქეთში გადასახლებული აფხაზების საერ-

[1] პ. გუგუშვილი. სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 351-352.

თო რიცხვს 60 ათასი კაცით განსაზღვრავდა,[1] ამჟამად მისი აზრით, XIX საუკუნეში თურქეთში 100 ათასი აფხაზი მაინც გადასახლდა, თუ მეტი არა.[2] ბ. აშუბას აზრით კი XIX საუკუნის 80 წელიწადში 200 ათასი აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი.[3]

ბუნებრივია დაისვას კითხვა: აფხაზი ავტორები ასე თავგამოდებით რატომ ცდილობენ ხელოვნურად გაზარდონ თურქეთში გახიზნული აფხაზების რაოდენობა? ეს მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ „დაამტკიცონ" აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ და ისიც დიდი რაოდენობით. ამდენად სხვა ერებს, და მით უმეტეს ქართველებს, იქ მათი აზრით, არაფერი ესაქმებათ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირობის საკითხში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ზედმიწევნით დაემთხვა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ 1858 წლიდან დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების საკითხი მეფის რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიური მიმოწერის მეტად მნიშვნელოვანი საგანი გახდა.[4]

როგორც რუსეთის, ისე თურქეთის სახელმწიფოებს აფხაზების თავიანთი საცხოვრებელი მიწიდან აყრისა და თურქეთში გადასახლების საკითხში გამოკვეთილი მიზნები ჰქონდათ. რუსეთი დაინტერესებული იყო დაცარიელებულ ადგილებში კაზაკ-რუსები დაესახლებინა. მაშინდელი უმაღლესი რანგის ხელისუფალთა მიმოწერაში დაუფარავადაა ეს სურვილი გაცხადებული და ამისათვის საჭირო ღონისძიებებიცაა დასახული. 1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი წერდა: „უნდა გავათავისუფლოთ კავკასიის ზეგანი მოსახლეობისაგან... და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შევქმნათ კაზაკთა დასახლებები." იმპერატორ ალექსანდრე მეორეს კი კავკასიის ომის დამთავრების მილოცვის წერილში იმასაც ატყობინებდნენ, რომ „დროის" დაუკარგავად და რამდენადაც შესაძლებელია" უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და „რაკი ქვეყანა მათგან გაიწმინდება დავამყარებთ იქ ჩვენს ბატონობას სამუდამოდო."[5] რუსეთის ხელისუფალთა მიზანი იყო მთლიანად გაესახლებინათ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, უბიხები, აფხაზები და სხვა მთიელი ტომები. 1860-იან წლებში ძირითადად გადაასახლეს საძები, აბაზინები, უბიხები. უბიხები თითქმის მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. კავკასიაში დარჩა მხოლოდ 13 ოჯახი (80 სული) ყუბანის ოლქის

[1] Абхазское долгожительство. М., 1987, с. 23.
[2] Ш. Д. Инал-Ипа. Зарубежные абхазы. Сухуми, 1990б с. 35.
[3] Население СССР в 80-ые годы. М., 1991.
[4] Акты Кавказской археографической комиссии. Тифлис, т. XII, ч.II, с. 1011, №890.
[5] ციტირებულია: Г. А. Дзидзария. Махаджырство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, с. 198, 199.

სხვადასხვა ჩერქეზულ აულში და 40 ოჯახი შავიზღვისპირეთის სანაპიროზე სოფელ გოლოვინსკის მახლობლად. შემდეგში უბიხური ოჯახების ნაწილი გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში, სადაც მათ მალე დაივიწყეს კიდეც მშობლიური უბიხური ენა.[1]

ამავე პერიოდში დაგეგმილი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლება. 1864 წელს, ე.ი. კავკასიის ომის დამთავრებამდე, მეფისნაცვალი ალექსანდრე მეორეს პირად წერილში წერდა: „ვიმოქმედებთ წინდახედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო".[2] ამ პერიოდში ამ გეგმის განხორციელება – აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის გადასახლება თავდაპირველად დაგეგმილი მასშტაბით ვერ მოხერხდა. როგორც პროფ. გ. ძიძარია აღნიშნავს, ამაში გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა. მართალია, ოფიციალურ წრეებში ზოგიერთები საჭიროდ მიიჩნევდნენ დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ მთიელებთან ერთად აფხაზების გადასახლებას, მაგრამ იმ პერიოდში ამ აზრის განხორციელება არ იქნა მიჩნეული სასარგებლოდ და აფხაზები ადგილზე დარჩნენ. მიუხედავად ამისა აფხაზების მცირე ნაწილი 1863 წელს მაინც გადასახლდა თურქეთში, ძირითადად სოფელ ნურიეში ბათუმის მახლობლად.

აფხაზების თურქეთში გადასახლების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში თურქებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ. თურქეთის მთავრობას სურდა კავკასიიდან გადასახლებული მთიელებით დაესახლებინა იმპერიის ცარიელი და ნაკლებად დასახლებული ადგილები. ამის შესახებ სულთანი დოლეთგირეი წერდა: თურქეთის მთავრობა სიამოვნებით იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გვჭირდება ევროპული და აზიური გუბერნიების ცარიელ ადგილებში დასასახლებლად. ხანგრძლივი ომების შედეგად თურქეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თურქეთი ბრძოლებში ყოველწლიურად კარგავდა ასი ათას ჯარისკაცს.[3] თურქეთი არც შემცდარა. მისთვის ხელსაყრელი იყო თავისი მოსახლეობის შევსება ახალი და მეომარი ხალხით. ამით იგი წყვეტდა სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს, უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკას იაფი მუშახელით, ხოლო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში მუჰაჯირების დასახლებით ამტკიცებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ამასთანავე მუსულმანური სამყაროს თვალში გამოდიოდა როგორც ყველა მუსულმანის მფარველი.

თურქეთში გადასახლების პროცესში მთიელებს უდიდესი ტრა-

[1] ციტირებულია: Г. А. Дзидзария. Махаджырство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, с.214.
[2] გ. ძიძარია, დასახელებული ნაშრომი, გვ.215.
[3] გ. ძიძარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.

გედია დაატყდათ თავს. მეფის არმია მეტად სასტიკად ეპყრობოდა მათ. მთიელებმა მთელი თავისი ქონება მიატოვეს და საზღვაო პორტებს მიაშურეს თურქეთში გადასასახლებლად. მაგრამ არც თურქულ და არც მეფის ფლოტს არ შეეძლო ერთდროულად ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანთა გადაყვანა. ისინი მშიერ-მწყურვალნი თვეობით ელოდნენ გემებს. შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთი სანაპირო მოფენილი იყო გვამებითა და მომაკვდავი ადამიანებით. ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ ღონემიხდილი ადამიანები მშიერი ძაღლების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ხოლო ბავშვები მკვდარ დედებს ძუძუს წოვდნენ. თურქი ჯაშუშები გზაში ავადმყოფობის მცირე ნიშნის შემჩნევის დროსაც კი ადამიანებს გემიდან აგდებდნენ.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ მთიელები თურქეთში, განსაკუთრებით სამსუნსა და ტრაპეზუნტში, სადაც თავი მოიყარა გადასახლებულთა დიდმა რაოდენობამ. ათეული ათასობით ადამიანი შიმშილით დაიღუპა. ქუჩები, ბაღები და მოედნები გვამებით იყო მოფენილი. ტრაპეზუნტში ყოველდღიურად 180-250 კაცი იღუპებოდა, ხოლო სამსუნში — 200 კაცი. ანატოლიის სანაპიროზე სულ 350 ათასი გადმოსახლებული დაიღუპა. ამ რიცხვში აფხაზებიც შედიოდნენ.[1]

თურქი ხელისუფალნი სარგებლობდნენ გადასახლებულთა გამოუვალი მდგომარეობით და მასობრივად ყიდდნენ მათ, ქმნიდნენ „ჩერქეზ“ კავალერისტთა პოლკს, სულთანის „ჩერქეზულ გვარდიას“. ამის გამო აკრძალეს მათი გაყიდვა, მაგრამ რამდენადაც არმიაში უცოლოებს იღებდნენ, ბევრმა მთიელმა გაყიდა თავისი ცოლ-შვილი. გადასახლებულთა საერთო გულისტკივილი გამოხატა ერთ-ერთმა მთიელმა, რომელიც 1872 წელს კონსტანტინეპოლში წერდა: რვა წელი გავიდა რაც თურქეთში გადმოვსახლდით. ჩვენ მოკლებულნი ვართ თავისუფლებას, ოჯახს, ქონებას. ყოველდღიურად გვართმევენ იმის ნახევარს, რასაც გამოვიმუშავებთ. მაგრამ ისინი ამით როდი კმაყოფილდებიან: იარაღის ძალით გვართმევენ შვილებს, ვაჟებსა და გოგონებს და ყიდიან მათ მონებად.[2] ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მთიელთა საკმაო ნაწილი უკან დაბრუნდა.

აფხაზების თურქეთში გადასახლებას ხელი შეუწყო აგრეთვე აფხაზი ფეოდალების მოღალატურმა მოქმედებამ. საერთოდ „თურქეთში მთიელების გადასახლების პოლიტიკა გატარდა გამყიდველი თავადების ხელით.“[3] ამ აზრს მთლიანად ვერ გავიზიარებთ, მაგრამ, ცხადია, იმის შიშით, რომ საგლეხო რეფორმის გატარების გამო ძველ პრივილეგიებს

[1] გ. ძიძარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.

[2] იქვე, გვ. 234.

[3] А. Хашба. Очерк по истории Абхазской письменности. Труды Абхазского научно-исследовательского института краеведения, выпуск первый, Сухуми, с. 146.

დაკარგავდნენ მათ გადაწყვიტეს თურქეთში გადასახლება კუთვნილ გლეხებთან ერთად და ეს გადაწყვეტილება რუს ხელისუფალთ შეატყობინეს.

იმპერატორი ალექსანდრე მეორე უშუალოდ იძლევა თანხმობას აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ. შესაბამისად მეფისნაცვალი უმალ სცემს მითითებას: მისი უმაღლესობა ნებას იძლევა აფხაზეთიდან და წებელდიდან თურქეთში გადასახლდნენ მუსულმანები. გამოიყენეთ ამისათვის ყოველი მოხერხებული შემთხვევა და ახლავე შეუდექით შესრულებას. მართლაც, აფხაზების ერთ-ერთი დიდი გადასახლება თურქეთში ამ პერიოდში ხდება. 1867 წელს თურქეთში გადასახლდა 14458 კაცი,[1] მაგრამ, არაადამიანურ პირობებში ჩავარდნილი აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა.

რუსეთის ხელისუფალნი აფხაზების თურქეთში გადასახლებას, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, ხელს უწყობდნენ იმის გამოც, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად თვლიდნენ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად. ამიტომ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და გადასახლებას და მათ ადგილზე კაზაკ-რუსების დასახლებას, მოსახლეობისაგან დაცარიელებულ საცხოვრებელ ადგილებს კი უმალვე რუსულ სახელწოდებებს აძლევდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ „საკითხი – როგორი სახელწოდება უნდა მისცენ დარჩენილ თავისუფალ მიწებს – არის არა მარტო კერძო, ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის.“[2] გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქტები: ბაკლანკა, პეტრეპავლოვსკოე, მიხაილოვსკოე, ესტონსკოე, პოლტავსკოე, ჩერნოგოვსკოე, ვესიოლაია, პილენკოვო, პერვინკა, მოლდავანკა, ვისოკაია და სხვ.

1820-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა, რუსეთის მთავრობას მოძღვრავდა იმის შესახებ, რაც თითქმის ორი საუკუნეა მოსვენებას არ აძლევს ქართველ ხალხს. კერძოდ, იგი წერდა: გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს.[3] მაგრამ რუს მოხელეებს გამბას გარეშეც ყურადღება ჰქონდათ მიქცეული ამ ადგილისათვის. ამავე ხანებში გენერალი პასკევიჩი ნიკოლოზ პირველს არწმუნებდა, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ შავი ზღვის

[1] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 284, 287.

[2] იქვე, გვ. 435.

[3] ჟ. ფ. გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 78.

სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგო.[1] მეტად საინტერესოა ამ მხრივ „კავკასიის დიქტატორის" ა. ერმოლოვის 1820 წელს დაწერილი წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ პერიოდში რუსეთის გარნიზონში დიდი სიკვდილიანობისა[2] და დიპლომატიური სიძნელეების გამო რუსეთის საგარეო სამინისტროში დაისვა სოხუმისა და აფხაზეთის თურქებისათვის დაბრუნების საკითხი. ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა იმის შესახებ, რომ სოხუმი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის დასაყრდენს. იგი გადადგომით იმუქრებოდა, თუკი სოხუმს თურქებს დაუბრუნებდნენ. სამინისტრომ დააკმაყოფილა ა. ერმოლოვის მოთხოვნა.[3]

დღესაც რუსეთის გარკვეული ძალები ყოველმხრივ იყენებს აფხაზეთის ფაქტორს, რათა თავისი გავლენის სფეროში იყოლიოს საქართველო და ამით გარკვეულწილად მთელი კავკასია. ამას არც აფხაზი სეპარატისტები მალავენ. ყოფილი წამყვანი სეპარატისტული ორგანიზაციის „აიდგილარას" ვიცე თავმჯდომარე ზურაბ აჩბა აფხაზი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში დაუფარავად აცხადებდა: აფხაზეთი — ეს არის ყულფი, რომელიც რუსეთმა ჩამოაცვა საქართველოს, რათა თავისი გავლენის სფეროში იყოლიოსო."[4]

რუსეთის იმპერიის მმართველი წრეები მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. მათი გეგმა ითვალისწინებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კერძოდ, ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე ყაზახთა სტანიცების მოწყობას. მათი აზრით, ყუბანის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიის საზღვრად გაგრის ქედი უნდა ყოფილიყო მიჩნეული. შემდეგ ეს გეგმა კიდევ უფრო გააფართოეს და ყაზახ-რუსების დასახლება მდ. ენგურის შესართავამდე განიზრახეს. მაგრამ ამ გეგმის შესასრულებლად საჭირო იყო თავისუფალი მიწები და, მაშასადამე, დასახლებული ადგილების გათავისუფლება ნამდვილი მეპატრონეებისაგან. მეფის რუსეთის უშუალო ხელშეწყობითა და მონაწილეობით ათასობით აფხაზი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და თურქეთში გადასახლებულიყო. უფრო ტრაგიკული ბედი ერგოთ აფხაზებისა და ადიღეელების მეზობლად მცხოვრებ ხალხებს — უბიხებს, რომლებიც მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატო-

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და. ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949, გვ. 727.

[2] მაგალითად, 1836-1838 წლებში გარნიზონის 659 კაციდან საშუალოდ წელიწადში 154 კაცი იღუპებოდა, ანუ თითქმის მთელი გარნიზონი ოთხ წელიწადში.

[3] А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии. Известия Кавказского от-дела Императорского русского Географического общества, т. XX (1909-1910) №2, Тифлис, с.

[4] გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ", №7, 1998.154-155.

რი მირსკი ამის შესახებ აღნიშნავდა: თუ აფხაზების ნაწილი მოისურვებს ოსმალეთში გადასახლებას ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ. ჩვენ უნდა შევიძინოთ აფხაზეთის მამულები, რომლებიც მეტად ვრცელია და შევუდგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ-რუსების საშუალებით.

აფხაზეთში საკოლონიალიზაციოდ გამოყოფილ მიწებზე ინტენსიურად ასახლებენ რუსებს, ხოლო ყველა სხვა მსურველს უარს ეუბნებიან, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებსა და მოლდაველებსაც აძლევენ დასახლების უფლებას. 1870-იან წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებში დაიგზავნა მოსაწვევი განცხადებები აფხაზეთში საცხოვრებლად მსურველთა ჩამოსასახლებლად. მაგალითად, იაროსლავის გუბერნიიდან მოელოდნენ მებოსტნეებს და მიიჩნევდნენ, რომ მებოსტნეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები წებელდაში იყო.[1] უარს აქ დასახლებაზე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეზობელი მაზრების უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ეუბნებიან. ცნობილია, მაგალითად, რომ გასული საუკუნის ბოლოს ასი ქართველი გლეხის ოჯახმა თხოვნით მიმართა მთავრობას აფხაზეთში დასახლებაზე, მაგრამ მათ უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ „სოხუმის ოლქში ყველა თავისუფალი მიწა საბოლოოდ განკუთვნილია რუს კოლონიზატორთა დასაბინავებლადო.[2]

მეფის ხელისუფლება აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაციის მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურული სამყაროდან აფხაზების გამოთიშვას. მას დიდად აწუხებდა ის გარემოება, რომ აფხაზი ინტელიგენცია ქართულ ენას იყენებდა როგორც მშობლიურ ენას. სწორედ ამიტომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილე 1897 წელს დათარიღებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მასწავლებლებად და მღვდლებად არ მიეღოთ ქართველები და ქართული ენის მცოდნე აფხაზები, რაც საჭირო იყო „იმპერიის მოსახლეობასთან აფხაზთა სრული შერწყმისათვის.“ იგი იქვე დასძენდა: „სოხუმის ოკრუგში ქართული მოძრაობა მხარის გარუსებას ამუხრუჭებსო.“[3]

როგორც უკვე ითქვა, სოხუმის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, სოხუმის თვითმართველობის არჩევნებში 1896 წელს ქართველობამ დიდი უპირატესო-

---

[1] ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თ. I, თბ., 1949, გვ. 732.

[3] ო. ჭურღულია. ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წ. I, სოხუმი, 1974, გვ.110.

ბით გაიმარჯვა. სულ აირჩიეს „26 ხმოსანი“. ამომრჩეველთა შორის 19 ქართველი იყო, 4 — ბერძენი და 3 — რუსი. ამით უკმაყოფილო გადამთიელნი, რომლებიც აფხაზეთში და, კერძოდ, სოხუმშიც ჩამოვიდნენ საცხოვრებლად, ყოველმხრივ ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ იქ მცხოვრები ქართველებისათვის და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ჯერ კიდევ მაშინ, აფხაზეთიდან ქართველების გასასახლებლად. როგორც თ. სახოკია ჟურ. „მოამბეში“ ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავდა, „ამ ჯურის უცერემონიო ხალხმა განსაკუთრებით შავი ზღვის პირად მდებარე ადგილებზე და იქაურ მკვიდრზე მიიტანეს იერიში“. ვინმე რიბინსკიმ „თავისი ლიტერატურული გალიმატია ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა და... მეგრელებს უქადიდა აფხაზეთიდან აყრას.“ ამ პერიოდში სოხუმის გარშემო მდებარე თავისუფალ მიწებს ძირითადად მხოლოდ რუსებს ურიგებდნენ. ამის შესახებ თ. სახოკია იმავე პუბლიკაციაში მიუთითებდა, რომ „სანიტარული სოხუმში ადგილები შეიცავს 234 დესეტინას. დარიგებული აქვთ, უმეტეს ნაწილად, მოსულ მდიდარს რუსებს (ქართველობა 5-6 კაცია ამ ადგილების პატრონი).“[1]

აფხაზეთის კოლონიზაციისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აფხაზი ხალხი ყოველთვის უარყოფითად აფასებდა. მაგრამ ამ ამბებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ზურაბ აჩბა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან აფხაზეთში საცხოვრებლად ეპატიჟება ყველას და ისიც თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ რუსეთის საქმიან წრეებთან, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მათ რუსების აფხაზეთში ჩამოსახლებაში. აქ უკვე სხვადასხვა რეგიონებიდან არიან ჩამოსულნი — სახალინის, ვლადივოსტოკის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის მცხოვრებლები. აჩბას აზრით, აფხაზეთში მცხოვრები რუსები აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა და ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ აფხაზეთი რუსეთია. მიუხედავად იმისა, რაც ზემოთ ითქვა აფხაზეთის შესახებ, ზ. აჩბა მაინც უსირცხვილოდ აცხადებს: „ჩვენი მიწა უცხო სხეულია საქართველოსათვის.“[2] სამწუხაროდ ასეთი ყალბი პროპაგანდისტული სტატიები თავის როლს მაინც შესანიშნავად ასრულებენ.

კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად შეხვდებით კაცს ჩაედინოს თავის ერის წინაშე ისეთი სისაძაგლე, როგორც ეს ზურაბ აჩბამ ჩაიდინა. არა გვგონია, რომელიმე ნორმალურად მოაზროვნე რუსმა ირწმუნოს ის, რასაც იგი ქადაგებს, რადგან „დაგვიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გვჯერა“. აჩბამ კი შესანიშნავად იცის, რომ აფხაზეთი რუსეთი არ არის.

[1] ჟურ. „მოამბე“, ოქტომბერი, 1896, გვ. 112, 114, 116.

[2] ზ. აჩბა. დროა გავიგოთ, რომ აფხაზეთი რუსეთია. გაზ. „7 დღე“, №2, 1993.

ჩვენ მხოლოდ ის გვჯერა, ან გვინდა დავიჯეროთ, რომ „ცალკეული პიროვნებები შეიძლება გაიხრწნან მორალურად, ხალხი კი — არასოდეს.“ ამიტომ არის, რომ დღეს აფხაზების, მართალია, მცირე, მაგრამ მოწინავე ნაწილი კარგად ხედავს თუ რა ტრაგედიას უმზადებს თავის ხალხს აჩბა და მისნაირი, „გადაგვარების მოსურნე“ ადამიანები. ამიტომ როდესაც ქართველი კაცი აფხაზეთში იბრძვის, ის მარტო თავის მიწა-წყალს კი არ იცავს, არამედ აფხაზების გადარჩენისთვის და მისი, როგორც ერის, გაქრობის წინააღმდეგაც იბრძვის. რადგან „სწორედ ქართველი და აფხაზი ხალხის ერთიანობაში აფხაზეთი ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ-ისტორიულ სივრცეს, საკუთარ სახეს.“[1]

აფხაზმა სეპარატისტებმა კარგად იციან, რომ რუსეთს ნაკლებად ენაღვლება აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ის მის ნამდვილ დამოუკიდებლობას, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არც დაუშვებს. რუსეთს უნდა მხოლოდ თავისი გავლენის სფეროში მყოფი და თანაც უსიტყვოდ მისი ინტერესების აღმსრულებელი აფხაზეთი. უკანასკნელი წლების მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ აფხაზეთში ეროვნული არაფერი დარჩა. 1992-1997 წლებში თვით აფხაზების დიდმა ნაწილმა — 39 ათასზე მეტმა (42,1%) დატოვა თავისი სამშობლო და მათ ნაცვლად ახლა აფხაზეთში ათასი რჯულის მოთარეშე და ავაზაკი ესახლება. აფხაზური სეპარატიზმის ცნობილი იდეოლოგი სტანისლავ ლაკობა მოსკოვში გამომავალ „ობშჩაია გაზეტაში“ იძულებულია აღიაროს: „წინათ მხოლოდ თითო-ოროლა კაცს თუ მოუვიდოდა აზრად კითხვა სჭირდება კია აფხაზეთს რუსეთთან ერთად ყოფნა? დღეს კი სოხუმში ბევრს მოსკოვისაკენ გახედვაც კი არ უნდა.“[2]

ზედმეტად მიგვაჩნია აქ იმის მტკიცება, რომ ქართველს თავის მიწა-წყალზე გაცილებით მეტი უფლება აქვს იცხოვროს, ვიდრე, ვთქვათ, სახალინელს ან ვლადივოსტოკელს. ეს ყოველივე საქვეყნოდ ცნობილია და ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ის იწვევს ეჭვს, რომ ქართველი ხალხი იწყებს თუ არა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის შენებას, რუსეთის რეაქციული და კონსერვატიული ძალები იმპერიული მიზნების განსახორციელებლად ყოველმხრივ ცდილობენ ეს არ დაუშვან.

ამ მხრივ საინტერესოა 1919 წელს გაგრის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ შტაბის უფროსის პოლკოვნიკ თუხარელის ცნობა, რომელიც მოგვაწოდა პროფ. ო. ჟორდანიამ. როგორც პოლკოვნიკი თუხარელი აღნიშნავს, „17 აპრილის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა

[1] ლ. მარშანია. აფხაზეთის ტრაგედია, თბ., 1995, გვ. 5.

[2] ციტირებულია: გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, №7, 1998.

ტყვედ აიყვანეს 88 ოფიცერი და 150 ჯარისკაცი. მოკლეს 80 მოხალისე ჯარისკაცი და ოფიცერი. მოხალისეებმა გაქცევის დროს დატოვეს ჰოსპიტალი, რომელშიდაც იმყოფებოდნენ ავადმყოფები: 25 ოფიცერი და 360 ჯარისკაცი. ღამემ ფრონტზე მშვიდობიანად ჩაიარა.“

თურქეთში აფხაზების გადასახლების შესახებ ერთი საკითხიც საჭიროებს განმარტებას. რა თქმა უნდა, მთლიანობაში აფხაზების გადასახლება იყო ძალდატანებითი პროცესი, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავისი ნებით გადასახლდა. პროფ. გ. ძიძარიას ამის შესახებ თავის ნაშრომში არა ერთი და ორი მაგალითი მოაქვს. კერძოდ, 1877 წელს გაზ. „კავკაზში“ ა. ვედენსკი აღნიშნავდა: თურქეთში გადასახლებულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ძალდატანებით გაასახლეს აფხაზეთიდან. ამის საუკეთესო დადასტურებაა თურქეთში იმ მეგრელთა გადასახლება, რომლებიც ცხოვრობდნენ სოხუმის მახლობლად თავად შერვაშიძის მამულში.[1] ამასთან, 1877 წელს თურქეთის სარდლობამ აფხაზეთიდან გადაასახლა სამეგრელოსა და საქართველოს სხვა რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც საომარ მოქმედებათა ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.[2]

აფხაზების ნაწილის თურქეთში ნებაყოფლობითი გადასახლების შესახებ პროფ. გ. ძიძარიას აგრეთვე მოაქვს სხვადასხვა საარქივო წყაროების მონაცემები. აფხაზეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ცნობის თანახმად, 1877 წლის აგვისტოში თურქებმა აფხაზებს გამოუცხადეს, რომ უნდათ მათი თურქეთში წაყვანა. აფხაზები დიდხანს მერყეობდნენ და ვერაფერი გადაწყვიტეს. მაშინ მათ უბრძანეს შეკრებილიყვნენ ზღვის ნაპირზე, საიდანაც ნაწილი ნებაყოფლობით, ხოლო ნაწილი ძალდატანებით გადაასახლეს თურქეთში.[3]

თურქეთში აფხაზების ნებაყოფლობით გადასახლებაში დიდი როლი ითამაშა მუსულმანურმა რელიგიამ. ამის შესახებ ა. ვედენსკი გაზეთ „კავკაზში“ აღნიშნავდა, რომ ნებაყოფლობით აფხაზები განსაკუთრებით იმ რაიონებიდან და სოფლებიდან გადასახლდნენ თურქეთში, სადაც უფრო ძლიერი იყო მუსულმანური რელიგიის გავლენა. ამავე დროს ამ საქმეში, განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა თურქების მიერ აფხაზეთში გაწეულმა აგიტაციამ. ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს უყვებოდნენ იმის შესახებ, რომ თურქეთში ბევრი ოქროა, ვირებსაც კი ოქროთი ამკობენ და მხოლოდ ბრინჯით კვებავენ. იქ გოგრა იმხელა იზრდება, რომ შიგ კამეჩი თავისუფლად მოთავსდებოდა[4] და სხვ. თავისთავად აფხაზ მოსახლეობაში ასეთი აგიტაციის გასავალი,

---

[1] « Кавказ», 3 ноября, 1877г.

[2] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 371.

[3] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 366.

[4] «Кавказ», 3 ноября, 1877г.

მხოლოდ მათ კულტურულ ჩამორჩენილობაზე მეტყველებს, რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდში აფხაზეთში საგანმანათლებლო კერების მოშლით, თურქთა თარეშით და სხვა ფაქტორებით. ამის შესახებ ფ. ბროკჰაუზის და ი. ეფრონის ენციკლოპედიაში აღნიშნულია: აფხაზებს დამწერლობა არა აქვთ, მათი დიდებულები ქართულად ლაპარაკობენ და იყენებენ ქართულ დამწერლობას, ხალხი კულტურულად ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილია.[1] 1926 წელსაც კი მხოლოდ 6100 აფხაზმა, ანუ 11,8% იცოდა წერა-კითხვა, ხოლო თვით მშობლიურ აფხაზურ ენაზე წერა-კითხვას მხოლოდ 485 აფხაზი ახერხებდა, აქედან 395 მამაკაცი და 90 ქალი.[2]

თურქები უმოწყალოდ ძარცვავდნენ აფხაზ მოსახლეობას, არ თმევდნენ მათ უკანასკნელ საარსებო საშუალებას. ამავე დროს ფიზიკურად სპობდნენ იმ აფხაზებს, რომლებიც უარს ამბობდნენ თურქეთში გადასახლებაზე. თვითმხილველთა სიტყვებით ისინი საშინლად ასახიჩრებდნენ დახოცილთა გვამებს. სოხუმში ერთ ადგილას ოცდაათამდე ხელშეკრული და ყელგამოჭრილი აფხაზთა გვამი ეყარა გროვად.[3] უკეთესი დღე აფხაზებს არც გზაში ელოდათ. თურქებს გემზე აყავდათ ყველა აფხაზი — მოხუციც და ახალგაზრდაც. მაგრამ როგორც კი გემი შუა ზღვაში შევიდოდა, მაშინვე იწყებდნენ აფხაზთა დახარისხებას: ყველა მოხუცს ვისაც არ შეეძლო იარაღის ტარება, მოხუც ქალებს, რომლებიც უკვე არ გამოდგებოდნენ პირუტყვული ჟინის დასაკმაყოფილებლად და პატარა ბავშვებს, რომლებიც მშობლების მოვლას საჭიროებდნენ, გემიდან ზღვაში ყრიდნენ.[4] ამასთან თურქები უამრავ ახალგაზრდა, ჯანმრთელ და ლამაზ ქალს აგროვებდნენ თავიანთი ჰარამხანების შესავსებად.

აფხაზი ხალხის ამ ტრაგედიას დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქართველი ხალხი, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. ქართულ პრესაში არა ერთი და ორი სტატია დაიბეჭდა აფხაზი ხალხის მხარდასაჭერად. ამიტომ უადგილოდ გამოიყურება ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ქართველ ხალხს არაფერი გაეკეთებინოს ამ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად და უყურადღებოდ დაეტოვებინოს მათი გასაჭირი. თუ აფხაზური მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. გ. ძიძარიას დავუჯერებთ და არა, ვთქვათ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ს. ლაკობას, რომლის აზრით

---

[1] Ф. А. Брокгауз, И. Ф. Ефрон. Энциклопедический словарь, т. I, Петербург, 1890, с. 49.

[2] მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წელს. განყოფილება I, ტფილისი, 1929, გვ. 37, 60.

[3] «Кавказ», 3 ноября, 1877г.

[4] ციტირებულია გ. ძიძარიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 376.

კაცობრიობა მომავალში აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს, მაშინ „აფხაზი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე რთულ პროცესებში განსაკუთრებული როლი ითამაშეს ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებმა... ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პიროვნებებზე, როგორიცაა ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ხახანაშვილი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, დ. ყიფიანი, ს. მესხი და სხვ., ლაპარაკია იმ ქართველ მოღვაწეებზე, რომლებიც, ცხოვრობდნენ რა აფხაზეთში, უდიდესი წვლილი შეიტანეს აფხაზი ხალხის კულტურისა და განათლების საქმეში (პ. ჭარაია, ნ. ჯანაშია, კ. მაჭავარიანი, თ. სახოკია და სხვ.).[1] თედო სახოკია აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ პირდაპირ აღნიშნავდა: „აფხაზეთს ეჭირვება დროზე მიშველება, გულწრფელი მამობრივი პატრონობა.“[2]

აფხაზები ყველაზე მასობრივად თურქეთში 1877 წელს გადასახლდნენ. როგორც წინა წლებში, ისე 1877 წელსაც აფხაზეთიდან გადასახლებულთა რაოდენობის დაზუსტება ძალიან რთულია. ერთ რამ ცხადია: გადასახლებულთა რიცხვს თითქმის ყოველთვის გადიდებულად უჩვენებდნენ. გაზეთი „კავკაზი“ ამის შესახებ აღნიშნავდა: „პრესაში არა ერთხელ მოიყვანეს უკანასკნელი ომის დროს თურქეთში გადასახლებული აფხაზების შესახებ ციფრები. ეს ციფრები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საერთოდ გადიდებული.“[3] ამასთან, „კავკაზში“ აღნიშნულია, რომ გაზეთი აქვეყნებს ოფიციალურ ცხრილს აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ომამდე და ომის დამთავრების შემდეგ. ცხრილი შედგენილი იყო სოხუმის პოლიციის განყოფილების უფროსის პ.ი. არაკინის მიერ გაკეთებული ცნობების საფუძველზე. ცხრილის მიხედვით აფხაზეთში ომის დაწყების მომენტისათვის ცხოვრობდა 75698 კაცი. აქედან თურქეთში გადასახლდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 31964 კაცი. პროფ. ზ. ანჩაბაძის გაანგარიშებით ამ პერიოდში აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლდა დაახლოებით 30 ათასი კაცი.[4] ჩვენც ეს მონაცემები ყველაზე სარწმუნოდ მიგვაჩნია. პროფ. ძიძარია, თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას, მართალია, მეტისმეტად გაზვიადებულად მიიჩნევს,[5] მაგრამ მაინც საეჭვოდ ხდის პოლკოვნიკ პ. ი. არაკინის მონაცემებს და უფრო საიმედოდ მიიჩნევს გ. წერეთლის, ს. მესხის და სხვათა ცნობებს თურქეთში 1877 წელს აფხაზეთიდან 48-50 ათასი კაცის გადასახლების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მხოლოდ ის ითქვას,

[1] ციტირებულია გ. ძიძარიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 475.

[2] ჟურ. „მოამბე“, №11, 1985, გვ. 114.

[3] «Кавказ», 11 ноября, 1878г.

[4] З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с. 65.

[5] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 374

რომ გ. წერეთელსა და ს. მესხს, აგრეთვე სხვა ავტორებსაც, არავითარი სანდო ცნობები უშუალოდ ხელთ არ ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ, რადგან ერთი გაზეთის კორესპონდენტად, ხოლო მეორე რედაქტორად მუშაობდა. ამდენად, თუ მონაცემთა საიმედობაზე ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, სოხუმის პოლიციის განყოფილების უფროსის მონაცემები, საიმედოობის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მისაღებია. ასე რომ მოვყვეთ, ზოგიერთი ცნობის საფუძველზე 30 ათასი კაცი არ გადასახლებულა თურქეთში, ხოლო ზოგიერთი ცნობით გადასახლდა 30 ათასზე ოდნავ მეტი.[1] უამრავ სხვა ცნობაში, რომლებიც ასევე მოკლებულია რეალურ საფუძველს, სულ სხვა მონაცემებია დასახელებული. ამდენად ვერ გავიზიარებთ პროფ. გ. ძიძარიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მუჰაჯირობის შემდეგ 60-70-იან წლებში აფხაზეთიდან გადასახლდა დაახლოებით 80 ათასი კაცი.[2] ეს მონაცემები პროფ. გ. ძიძარიას გამოყავს სხვადასხვა ცნობების უბრალოდ არითმეტიკული შეჯერებისა და საშუალო სიდიდის მიღების საფუძველზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. სხვადასხვა ცნობების შეჯერება უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ, მათი მეცნიერული ღირებულებისა და ამდენად საიმედო მონაცემების მიღების მიზნით. ამიტომ პროფ. გ. ძიძარიას მონაცემები — თურქეთში 80 ათასი კაცის გადასახლების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია.

აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულ მოსახლეობას იქ ოქროს კოშკების მაგივრად დახვდათ სიღატაკე, შიმშილი და აბუჩად აგდება. ბევრმა მათგანმა მაშინვე დაიწყო ზრუნვა სამშობლოში დაბრუნებაზე. ამის შესახებ ისინი მიმართავდნენ რუსეთის გენერალურ საკონსულოს კონსტანტინეპოლში, ხოლო ტრაპიზონში იტალიის საკონსულოს. მუჰაჯირები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ ბათუმში ჩამოსვლას და იქიდან აფხაზეთში მოხვედრას. გადასახლებულთა უკან დაბრუნებას ყოველმხრივ უშლიდა ხელს რუსეთის ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, მუჰაჯირები, ზოგჯერ საკმაოდ დიდი რაოდენობით, სხვადასხვა გზებით ახერხებდნენ სამშობლოში დაბრუნებას.[3] 1879 წელს აფხაზთა რეპატრიაცია უფრო დიდ მასშტაბებს აღწევს. არქივებში დაცული მასალების მიხედვით ამავე წლის 3 აგვისტოს სოხუმში ბათუმიდან ჩამოვიდა 1000 მუჰაჯირი, შემდეგ 60, ამდენივე დაბრუნდა გაგრაში, ხოლო ბათუმში ჩამოაღწია კიდევ 285 ემიგრანტმა და სხვა. 1880 წლიდან გადასახლებულ აფხაზთა დაბრუნებამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ბევრი მუჰაჯირი ფა-

---

[1] "Новое время", 6 октября 1877 г.

[2] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

[3] იქვე, გვ. 383.

რულად პატარა ხომალდებით დაბრუნდა სამშობლოში. უმთავრესად ისინი ნაპირზე გადმოდიოდნენ ღამით. მალე ხელისუფლება იძულებული შეიქმნა მუჰაჯირებისათვის ოფიციალურად აფხაზეთში ცხოვრების ნება დაერთო. ეს მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ აფხაზები შიმშილისა და სიღატაკის გამო სამშობლოში დაბრუნებისას გზაში დიდი რაოდენობით იღუპებოდნენ. ამავე დროს მათი ისევ თურქეთში დაბრუნება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამასთან, კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი, რომელიც აფხაზების თურქეთიდან უკან დაბრუნების წინააღმდეგი იყო, „ამნისტიის" ძალით, რომელიც გამოეცხადათ 1877-1878 წლების ომებში მონაწილე პირებს 1879 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების მერვე მუხლის შესაბამისად, იძულებული შეიქმნა დაეშვა აფხაზთა ნაწილობრივი რეპატრიაცია სამი წლის ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების პირობებს მუჰაჯირებს უმალავდნენ, ამის შესახებ ხმა მაინც გავრცელდა და აფხაზეთში გადმოსახლება ინტენსიურად გაგრძელდა. პროფ. გ. ძიძარიას ძირითადად საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოაქვს მონაცემები თურქეთიდან უკან დაბრუნებული მუჰაჯირების რაოდენობის შესახებ. კერძოდ, „სახალხო აღწერის" თანახმად, გუდაუთის უბანში 1880 წლის დასაწყისში ცხოვრობდა სულ 2098 ოჯახი, მათ შორის თურქეთიდან დაბრუნებული 413 ოჯახი. საერთოდ 1881 წლისათვის აფხაზეთში დაბრუნდა 13258 კაცი, რაც მხარის მთელი მოსახლეობის 21% შეადგენდა. 1881 წლის 10 ივნისისათვის გუდაუთის უბანში დაბრუნდა კიდევ 1074 ოჯახი. 1883 წლის დასაწყისისათვის აფხაზეთის მოსახლეობამ უკვე 64189 კაცი შეადგინა. სამშობლოში აფხაზი მუჰაჯირების დაბრუნება შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა.[1] ამრიგად, თუ ოჯახში საშუალოდ ხუთ სულს ვიგულისხმებთ და ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს შევაჯამებთ, თურქეთიდან აფხაზეთში მარტო 1877 წლის შემდეგ 1881 წლის 10 ივნისამდე დაბრუნდა 18628 კაცი. სხვა მონაცემებით მარტო 1880 წლის 10 ივნისისათვის სამშობლოში დაბრუნდა 15 ათასზე მეტი აფხაზი.[2] ამრიგად, 1877 წელს თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა ნახევარზე მეტი ისევ უკან დაბრუნდა. საერთოდ, „თურქეთში მცხოვრები ბევრი აფხაზი, რუსეთის ხელისუფლების ნებართვის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში."[3] ამასვე ადასტურებს სხვა წყაროებიც.[4] ამასთან, აფ-

[1] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 384, 385, 395, 396.
[2] Ш. В. Мегреладзе. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1977-1879 гг., с. 36-37.
[3] А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XX столетия. Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XX (1909-1910) 12, Тифлис.
[4] Г. П. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии. Сухуми, 1969, .12.

ხაზები თურქეთში გადასახლდნენ არა მარტო საქართველოდან, არამედ ყუბანის ოლქიდანაც, სადაც 1897 წლის მოსახლეობის აღწერით 12,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. კერძოდ, მარტო 1871-1884 წლებში ყუბანის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 13 ათასი მთიელი და სხვა მუსულმანური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, 1809 აფხაზი.[1] ამჟამად, თურქეთში აფხაზები მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გასულ საუკუნეში ისინი დიდი რაოდენობით თურქეთში არ გადასახლებულან. მაგალითად, 1983 წელს მსოფლიოში აფხაზთა რაოდენობა 95 ათას კაცს აღწევდა.[2] თუ გავითვალისწინებთ, რომ 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ყოფილ საბჭოთა კავშირში აფხაზების რაოდენობა 91 ათასს უდრიდა, მაშინ საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა დაახლოებით 5 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად თურქეთში. ამასვე ამტკიცებს ენციკლოპედიური ლიტერატურაც.[3] ჩვენი აზრით, შეიძლება ეს მონაცემები ოდნავ შემცირებული იყოს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თურქეთში ცხოვრობენ არა მარტო საქართველოდან, არამედ ყუბანის ოლქიდანაც გადასახლებული აფხაზები.

მიუხედავად ამისა, აფხაზი მეცნიერები ყოველმხრივ ცდილობენ საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს თურქეთში ასიათასობით აფხაზი ცხოვრობდეს. ამ მხრივ მათი მსჯელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, შ. ინალ-იფა აფხაზების რაოდენობას თურქეთში შემდეგნაირად განსაზღვრავს: ზოგიერთები ამბობენ, რომ თურქეთში ამჟამად აფხაზების რაოდენობა 300 ათასზე ნაკლები არაა, ხოლო ზოგიერთების აზრით — 250 ათასია. ზოგიერთები, რომლებიც თურქეთში ხანგრძლივად ცხოვრობენ, აღნიშნავენ, რომ თურქეთში აფხაზები უფრო მეტია, ვიდრე ჩერქეზები. აი ამ „ზოგიერთების" მონაყოლისა და წარმოდგენის საფუძველზე შ. ინალ-იფა ასკვნის, რომ ამჟამად თურქეთში ცხოვრობს არა ნაკლები 100 ათასი აფხაზისა.[4]

ამ მხრივ ყველა ფანტასტიკის მოყვარულს გადააჭარბა ვ. არძინბამ, რომელმაც რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინ-

---

[1] Сборник сведении о Кавказе, т. IX. Тифлис, 1885, с. 98.
[2] С. И. Брук. Население мира. М., 1966, с. 790.
[3] Советский энциклопедический словарь. М., 1983, с. 11.
[4] Ш. Д. ИНал-Ипа. Зарубежные абхазы, Сухуми, 1990, с. 36.

ტერვიუში მოურიდებლად განაცხადა: უცხოეთში აფხაზების დიასპორა 500 ათას კაცს შეადგენსო. საინტერესოა ამ მხრივ თურქეთის ჟურნალ „იენი ფორუმში“ სტრატეგიული კვლევის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ცენტრის „რენს კორპორეიშნის“ კონსულტანტის, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ადმინისტრაციაში ზბიგნევ ბჟეზინსკის მოადგილის პოლ ჰენზის ინტერვიუ, რომლის თარგმანიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. პოლ ჰენზი საერთაშორისო მეთვალყურის როლში იმყოფებოდა საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში, სადაც იგი შეხვდა აფხაზეთის ლიდერებს. სწორედ მათთან საუბრის საფუძველზე პოლ ჰენზიმ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ლიდერთაგან „ბევრი არარეალური იდეებით არის შებყრობილი. მაგალითად, გვითხრეს, რომ ასობით ათასი აფხაზური წარმოშობის ადამიანია თურქეთში, რომლებსაც აფხაზეთში დაბრუნების სურვილი აქვთო.“[1]

მუჰაჯირობას სხვა წლებშიც, კერძოდ, გასული საუკუნის პირველ ნახევარშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ „ახლა უკვე მიახლოებითაც ვერავინ განსაზღვრავს ადამიანთა იმ რაოდენობას, რომლებიც სხვა „მუჰაჯირულმა“ წლებმა თან გაიყოლა.“[2] ერთია მხოლოდ ცხადი: დიდ მასშტაბებში მუჰაჯირობას სხვა წლებში ადგილი არ ჰქონია და მას არც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა.

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი 1992.
[2] გ. ძიძარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

III.2.7. აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: სიყალბე და რეალობა

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება უკვე ვიმსჯელოთ აფხაზეთის მოსახლეობის, აფხაზებისა და ქართველების რაოდენობის შესახებ XIX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში. ამ საკითხში ჩვენ ერთ-ერთ ამოსავალ, ძირითად მაჩვენებლად 1886 წელს აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა მიგვაჩნია. როგორც ცნობილია, 1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. ამ სიების მიხედვით შესაძლებელია როგორც მთელი საქართველოს, ისე მისი ცალკეული კუთხეების, კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის, ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი შემადგენლობის გარკვევა. მოსახლეობის ამ აღწერის მონაცემები ცალკე წიგნად გამოიცა 1893 წელს.[1]

ჩვენ გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მოსახლეობის საკითხების გასარკვევად ასევე ძირითად მაჩვენებლად მიგვაჩნია 1867 წლის ოფიციალური მონაცემები აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ.[2] ამ წელს აფხაზეთის მოსახლეობა 65 ათას კაცს უდრიდა. აქედან 22 ათასი სამურზაყანოში ცხოვრობდა. ამასთან, სამურზაყანო თითქმის მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) იყო დასახლებული. ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში. ამდენად, 1867 წელს, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთში დაახლოებით 40 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა. მოსახლეობის დანარჩენ რაოდენობას ამ პერიოდში თითქმის მთლიანად ქართველები შეადგენდნენ.

აფხაზი ავტორები, კერძოდ, შ. ინალ-იფა, ს. ლაკობა და ბ. აშუბა წინასწარგანზრახულად დამახინჯებულად წარმოადგენენ აფხაზეთში მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს, გასულ საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, რამაც ჩვენს ერებს შორის ურთიერთობის დაძაბვას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მაგალითად, ისინი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით აფხაზეთში აფხაზების რაოდენობა 59 ათასს (85,7%), ხოლო ქართველებისა 4 ათას (6%) შეადგენდა. 1993 წელს მოსკოვში გამოცემულ „ნაშრომში" — აფხაზეთის თეთრი წიგნი", რომლის შემდგენლები არიან ჩვენთვის კარგად ცნობილი ი. ვორონოვი, აგრეთვე პ. ფლორენსკი და ტ. შუტოვა,

[1] Свод статистических данных о населении закавказского края, Тифлис. 1893.
[2] Сборник статистических сведений на Кавказе, т.1, Тифлис, 1869, отдел II, с. 39.

აფხაზეთის მოსახლეობის საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, მეტად პრიმიტიულად, დაუსაბუთებლად, აშკარად წინასწარგანზრახვით და ამდენად ზერელედ არის განხილული. წიგნის შემდგენლები აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ზუსტად იმეორებენ ზემოთ აღნიშნული ავტორების მონაცემებს.[1] საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანთ აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებისა და ქართველების რაოდენობას ცალკეულ წლებში ისე, როგორც აფსაზ ავტორებს აქვთ წარმოდგენილი.

	1886წ.	1897წ.	1926წ.	1939წ
ქართველი	4166	25875	67494	91967
აფხაზი	58963	58697	55918	56197

აღნიშნული მონაცემების შეუსაბამობა ცალკეული წლების მიხედვით აშკარაა. მაგრამ ს. ლაკობა, ი. ვორონოვი და სხვები გვერდს უვლიან ამ ფაქტს. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება რატომ მცირდება 1897 და 1926 წლებში აფხაზების რაოდენობა 1886 წელთან შედარებით, ან რატომ იზრდება ასე ერთბაშად ქართველების რიცხვი. ცნობილია, რომ 1886 წლის შემდეგ მუჯაჰირობას ადგილი არ ჰქონია. პირიქით მცირე რაოდენობით თურქეთიდან გრძელდებოდა აფხაზების რეპატრიაცია. არც ამ საუკუნის პირველ მეოთხედში წასულან სადმე აფხაზები. ამასთან პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს აფხაზები ჯარში არ გაყავდათ. უცილობლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ დროის ამ მონაკვეთში (1886-1926 წლებში) აფხაზებს ბუნებრივი გამრავლებისათვის გაცილებით მშვიდობიანი და მატერიალურად უზრუნველყოფილი პერიოდი ჰქონდათ, ვიდრე მთელი XIX საუკუნე 1886 წლამდე. ასე რომ, აფხაზი მოსახლეობა, კლების ნაცვლად, საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ვერსად ვერ შევხვდებით 58,9 ათას აფხაზს. მოსახლეობის ამ აღწერის დროს აფხაზეთში 28320 აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად გუდაუთისა და კოდორის უბნებში. მაგრამ აფხაზმა ავტორებმა მონაცემები განგებ დაამახინჯეს და სამურზაყანოს 30,6 ათასი ქართველი მოსახლეობა, რომელიც 1886 წლის საოჯახო სიებში ცალკეა გამოყოფილი და რომელიც მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა (სამურზაყანო მოიცავდა ძირი-

[1] Белая книга Абхазии, М., 1993, с. 30.

თადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას)[1] დაუმატეს აფხაზებს და ასეთი მანიპულაციით მათთვის სასურველი რაოდენობაც მიიღეს. მაგრამ იმავე 1886 წლის აღწერით სამურზაყანოს უბანზე არცერთი აფხაზი არ არის აღრიცხული. ამასთან თურქეთ-რუსეთის ომის დროს არცერთ სამურზაყანოელს თავისი კუთხე არ მიუტოვებია და თურქეთში არ გადახიზნულა, რაც მათ ქართველობაზე მიუთითებს. ეს გასაგებიცაა, რადგან ისტორიულად სამურზაყანო მუდამ ქართველებით დასახლებული წმინდა ქართული ტერიტორია იყო. ამ ასპექტში მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1917 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით სამურზაყანოში 40858 ქართველი და მხოლოდ 1161 აფხაზი ცხოვრობდა.[2]

ამ მხრივ საინტერესო ცნობაა მოთავსებული 1877 წლის გაზეთ „კავკაზში". „კოდორის აქეთა მხარეს, მხოლოდ სამურზაყანოში ყველა თავის ადგილზე დარჩა... ჩვენთან იბრძოდა მთელი მისი მამაკაცი მოსახლეობა".[3] აქ იგულისხმება ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ აეყარათ და თურქეთში გადაესახლებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. ეს ცნობაც ადგილობრივი მოსახლეობის ქართველობაზე მიუთითებს.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის სამთავრო ვრცელდებოდა ჯიქეთიდან მდინარე კოდორამდე. ეს ნათლად ჩანს ქართულ წყაროებში და აგრეთვე უცხოელ ავტორთა, კერძოდ არქანჯელო ლამბერტის, შარდენისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, აღარაფერი რომ არ ვთქვათ ვახუშტი ბატონიშვილის წერილობით ძეგლებზე, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა და თავისი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა აღწერა, პირდაპირ აცხადებს: მდინარე კოდორი სამეგრელოს გამოყოფს აფხაზეთისაგანო. მოგზაური, საეჭვო რომ არაფერი დარჩეს, იმასაც დასძენს — სამეგრელო თვითონა მაქვს თავიდან ბოლომდე გავლილიო[4]. ამასვე მიუთითებს ფრანგი კონსული გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-

[1] სამურზაყანო, საქართველოს ეს ისტორიული მხარე, 1805 წელს შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1813-1840 წლებში სამეგრელოს მთავარს ექვემდებარებოდა. შემდეგ იგი რუსეთის ხელისუფლებამ გამოისყიდა და სამურზაყანოს საბოქაულო დაარსა. 1857 წელს, როდესაც სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, სამურზაყანო სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. მხოლოდ 1864 წლიდან იგი სოხუმის სამხედრო, ხოლო 1883 წლიდან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში იყო. სამურზაყანოს სოხუმის ოკრუგისათვის მიერთება, როგორც ვხედავთ, მეტად ხელოვნურად მოხდა.

[2] 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები, თბ., 1922, გვ. 14-15

[3] Газ. «Кавказ», 11 августа 1877.

[4] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 107.

იანი წლების პირველ ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. იგი სამურზაყანოს სამეგრელოს ერთ-ერთ პროვინციად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო დადიანების სახელმწიფო ნაწილს შეადგენსო.[1] ის, რომ სამურზაყანო სამეგრელოს ეკუთვნოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ და ისინი არაერთხელ აღნიშნავდნენ ამის შესახებ. მაგალითად, 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ მიითვისა სოფელი ილორი და სოფლის მცხოვრებლებისაგან ერთგულების ფიციც მოითხოვა. ამის თაობაზე ბარონმა როზენმა მიწერა მიხეილ შერვაშიძეს: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში არსებული უწესრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა თქვენი ასეთი თვითმართველობის შესახებ სხვის სამფლობელოში. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ... გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიღებული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არ თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს.“[2] ბარონი როზენი სხვა დოკუმენტშიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ სამურზაყანო ეკუთვნის სამეგრელოს.[3] იმ პერიოდში გამოსულ სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც სამურზაყანო სამეგრელოს ნაწილადაა აღიარებული.[4]

საერთოდ სამურზაყანო უძველესი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ამის შესახებ ცნობები მრავალ უცხოურ წყაროშია დაცული. XIX საუკუნეში მთელი სამურზაყანოს მოსახლეობას მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის ცნობით სამეგრელოს მთავრები დადიანები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ სამურზაყანოს თვისტომთ“ და, მართლაც, ლევან დადიანი 1839 წელს დაეპატრონა სამურზაყანოს.[5] ამასვე ადასტურებენ სხვადასხვა წლებში წიგნად გამოსული „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშგებები. ამ ანგარიშგებებში მრავალთაგან აღნიშნულია, რომ სამურზაყანოში უძველესი დროიდან ცხოვრობენ მეგრელები, „ილორიდან დაწყებული მთელ სამურზაყანოში ბატო-

[1] ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 112.
[2] Акты Кавказской археологической комиссн, т. VII, Тифлис, 1881, с. 449.
[3] იქვე, გვ. 453.
[4] История военных действий в азиатской Турции в 1828-1829 годах. часть первая. Варшава, 1843, с. 32.
[5] А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XX столетии. Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XX (1909-1910) №2, Тифлис, с. 159.

ნობს მეგრული ენა",[1] „არავითარი ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ სამურზაყანოელები ეკუთვნიან ქართულ ტომს. სამურზაყანოელები ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე და არა აფხაზურზე, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ და წერენ. აფხაზურ ენაზე მხოლოდ აფხაზები ლაპარაკობენ აფხაზეთში".[2]

1897 წელსაც აფხაზთა რაოდენობა მომატებულად არის ნაჩვენები. ჯერ ერთი, ათი წლის მანძილზე არ შეიძლებოდა აფხაზთა რაოდენობა 28,3 ათასიდან 58,7 ათასამდე გაზრდილიყო, ე.ი. 30 ათასით. თუ დავუშვებთ, რომ თურქეთიდან აფხაზები უკან დაბრუნდნენ, მაშინ თურქეთში აფხაზი აღარ დარჩენილა და ყველა სამშობლოში დაბრუნებულა. ეს კი ასე არ მომხდარა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში რეპატრიაციის პროცესი უაღრესად შემცირებული იყო. მეორეც, არც ბუნებრივი მატებით შეიძლებოდა სულ რაღაც ათ წელიწადში აფხაზი მოსახლეობის გაორკეცება. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. სინამდვილეში მოსახლეობის აღწერის დროს დაშვებული იქნა შეცდომა. სრულიად რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 1886 წლის აღწერისაგან განსხვავებით „სამურზაყანოელნი" აფხაზ მოსახლეობაში შეიყვანეს.[3] ამის შედეგად აფხაზი მოსახლეობა გაიზარდა, ხოლო ქართველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ და კორექტირებას გავაკეთებთ, მაშინ 1897 წელს აფხაზეთში, როგორც პროფ. კ. ანთაძე აღნიშნავს, 39,6 ათასი აფხაზი[4] და 44,8 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

აფხაზი ავტორების მიერ ხელოვნურად არის შემცირებული აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა 1886 წელს. როგორც უკვე ითქვა, მათ სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობა ქართველების საერთო რიცხვს გამოაკლეს და აფხაზებს დაუმატეს. ხოლო სამურზაყანო რომ ისტორიულად და, კერძოდ, 1886 წელსაც ქართველებით იყო დასახლებული, ჩვენ ამის შესახებ უკვე საკმარისი ფაქტები მოვიყვანეთ და კიდევ დამატებითი მასალის მოტანის საჭიროებას ვერ ვხედავთ. ამდენად, თუ სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობას (30,6 ათასი) მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1886 წელს აფხაზეთში 34,8 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ანალოგიური შესწორების საფუძველზე 1897 წელს აფხაზეთში ქართველების რაოდენობა 44,8 ათას კაცს შეადგენდა.

---

[1] Отчет общество востановления христианства на Кавказе. Тифлис, 1869, с. 32.

[2] Отчет общество востановления христианства на Кавказе. Тифлис, 1899, с. 88.

[3] ს. ლეკიშვილი. ქართველთა ბრალია? იხ. გაზ. „სახალხო განათლება", 15 თებერვალი, 1990.

[4] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 88.

აფხაზი ავტორების საპირისპიროდ ჩვენს მიერ ოფიციალური სტატისტიკური მასალის საფუძველზე გაანგარიშებული აფხაზი და ქართველი მოსახლეობის რაოდენობის სისწორეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ერთ-ერთი ასევე ოფიციალური მასალა, კერძოდ, რუსი ჩინოვნიკების მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიშგებები. მაგალითად, 1902 წელს შედგენილი მოსახლეობის ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი მდგომარეობის შესახებ უწყისის თანახმად აფხაზეთში ცხოვრობდა 46,4 ათასი აფხაზი და 51,3 ათასი ქართველი.[1] ანალოგიურ მონაცემებს შეიცავს სხვა წლების უწყისებიც.

საინტერესოა აფხაზეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. 1902 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 89,5 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, 3,1 პროცენტი — გრიგორიანელი, ხოლო 7 პროცენტი — მუსულმანი. 1886 წელს ქრისტიანული მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში თითქმის იგივე იყო — 89,7 პროცენტი, ხოლო მუსულმანებისა — 6 პროცენტი.[2] 1867 წელს კი ქრისტიანი იყო აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 57 პროცენტი.[3] მუჰაჯირობის დროს, განსაკუთრებით კი 1877 წლის შემდეგ, მუსულმანი აფხაზები, თავი რომ დაეღწიათ თურქეთში გადასახლებისათვის, ან უკვე გადასახლებულნი როგორმე სამშობლოში რომ დაბრუნებულიყვნენ, მასობრივად იღებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებიც. ამ აღწერის მიხედვით აფხაზეთში 67494 ქართველი და 55918 აფხაზი ცხოვრობდა. ამასთან 8920 აფხაზი ანუ თითქმის ყოველი მეექვსე მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. შემდეგი აღწერების დროს გაცილებით ნაკლებმა აფხაზმა დაასახელა თავის მშობლიურ ენად ქართული. მაგალითად, 1979 წელს მხოლოდ 730 აფხაზისათვის იყო მშობლიური ენა ქართული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ აფხაზების დიდი უმრავლესობა, რომლებმაც მშობლიურ ენად ქართული დაასახელეს, ეროვნებით ქართველები იყვნენ. როგორც ჩანს, აფხაზეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ ქართველების აფხაზებად ჩაწერას გარკვეული მოსაზრებებით შეუწყო ხელი, თუმცა შემდეგ, როდესაც აღწერაში აფხაზების რაოდენობა გადიდებულად დააფიქსირეს, რაც მათთვის მთავარი იყო, აღნიშნეს: „რამდენიმე ათასმა კაცმა მიათვალა „თავი აფხაზ ეროვნებას“, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული.“[4] ამდენად, თუ

[1] საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 229, აღწ. 1, საქმე 920, ფ. 25.

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края. Тифлис, 1893.

[3] Сборник статистических сведений о Кавказе, т.1, Тифлис, 1869, отдел II, с. 39.

[4] Н. А. Лакоба. Статьи и речи. Сухуми, с. 213.

ვიგულისხმებთ, რომ ამ ქართველების სულ ცოტა ნახევარი მაინც შეგნებულად აფხაზ ეროვნებას დაუმატეს, მაშინ 1926 წელს აფხაზეთში 71954 ქართველი და 51458 აფხაზი ცხოვრობდა. მართალია, შემდეგ წლებშიც ჰქონდა მოსახლეობის აღწერების დროს მონაცემთა ხელოვნურად შესწორებებს ადგილი, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბებში. მაგალითად, მოსახლეობის 1989 წლის აღწერის დროს, აფხაზების რაოდენობა ყოფილ საბჭოთა კავშირში ჯერ 102,9 ათასი კაცი უჩვენეს (მათ შორის: აფხაზეთში 90713 კაცი), ხოლო შემდეგ 105,5 ათასი კაცი (მათ შორის: აფხაზეთში 93267 კაცი). როგორც ჩანს, იმის გამო, რომ აფხაზების წილი ამაღლებულიყო აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში აქ მცხოვრები აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად 2554 კაცით გაზარდეს. ასევე ხელოვნურად შეამცირეს ქართველების რაოდენობა – 242,3 ათასიდან 239,9 ათას კაცამდე.[1]

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებულ კორექტივებს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მაშინ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა აღნიშნულ წლებში ასეთია:

	1886წ.	1897წ.	1926წ.	1939წ
ქართველი	34806	44882	71954	91967
აფხაზი	28320	39600	51458	56197

ამდენად, 1886 და 1897 წლებში აფხაზების მოცემული რაოდენობა უაღრესად ზუსტ მონაცემად მიგვაჩნია. მართლაც, თუ ოფიციალური მონაცემით 1877 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობა 75,7 ათასს უდრიდა და აქედან დაახლოებით 40 ათასს აფხაზები შეადგენდნენ, მაშინ ასევე ოფიციალური მონაცემებით თურქეთში 31 ათასი აფხაზი გადასახლდა, მაგრამ დაახლოებით 18 ათასი უკან დაბრუნდა. ამრიგად, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ აფხაზებში ბუნებრივ მატებას მცირედ, მაინც ექნებოდა ადგილი, მაშინ 1886 წელს საოჯახო სიებით აღრიცხული 28 ათასი რაოდენობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე, ასევე კანონზომიერად ჩანს და არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 40 წლის მანძილზე – 1886-1926 წლებში.

აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობასაც ქარ-

---

[1] Национальный состав населения, часть II, М., 1989, с. 3, 73. Население СССР. М., 1990, с. 37. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. თბ., 1991, გვ. 6-7.

თველები შეადგენდნენ. მაგალითად, იმავე საოჯახო სიების მონაცემებით 1886 წელს სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა: ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ასევე ოჩამჩირეში 1886 წელს მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. გუდაუთის მოსახლეობაშიც ქართველები ჭარბობდნენ. მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფი თედო სახოკია, რომელმაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე იმოგზაურა აფხაზეთში, შემდეგს აღნიშნავს: „გუდაუთი საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა. შიგ 172 კომლი (1117 სული) მცხოვრები ითვლება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს – 356 სული, შემდეგ რუსებს – (242 სული), მერე მოჰყვებიან ბერძნები (133 სული), სომხები (132), აფხაზები (87 სული), ლაზები (32) და სხვ.“[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ გაგრასა და მის მიმდებარე ადგილებში გასულ საუკუნეში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა. როგორც კავკასიის სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულშია აღნიშნული, 1830 წლამდე, რუსის ჯარის აქ მოსვლამდე, ეს ადგილები, ცნობილი მიზეზების გამო, მთლიანად დაცარიელებული იყო. ადრეულ საუკუნეებში ამ ადგილებში ცხოვრობდა ქრისტიანული მოსახლეობა, რასაც ადასტურებს გაგრაში საკმაოდ კარგად შენახული ქვის ტაძარი. 1866 წელს გაგრაში ძირითადად ქართველები და ბერძნები ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში აფხაზ მოსახლეობას გაგრაში არ უცხოვრია.[2]

აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას ზოგჯერ მეტად კურიოზულ ციფრებსაც ასახელებენ. მაგალითად, მოყავთ „კავკასიის კალენდრიდან“ მხარის ადმინისტრაციის მონაცემები იმის შესახებ, რომ 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ თუ სასურველობის სფეროს გავცილდებით, ჭეშმარიტებიდან მეტად შორს აღმოვჩნდებით. უპირველეს ყოვლისა, 1886, 1897 და 1926 წლების მოსახლეობის აღწერების ურთიერთშედარება მთლიანად გამორიცხავს იმას, რომ თითქოს 1915 წლისათვის აფხაზთა რაოდენობა 111,7 ათას კაცს უდრიდა. მეორეც, „კავკასიის კალენდარში“ უშუალოდ არსად არ არის აფხაზთა რაოდენობა მითითებული. აქ მხოლოდ „კავკასიის მთიელები“ და სხვა აზიელი ხალხების ნაწილის გაერთიანების შედეგადაა მიღებული სასურველი რიცხვი. ყველაფერი ეს მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ, მთავარი მაინც ისაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, სა-

[1] თ. სახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 302-303.

[2] Медицинский сборник №9, 1870, с. 54, 66.

მეცნიერო პაექრობის დროს კალენდრის მონაცემების დამოწმება, როდესაც მოსახლეობის აღწერის მონაცემები არსებობენ, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „კავკასიის კალენდარში“ მოტანილია მხარის ადმინისტრაციის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ გზით მიღებული მონაცემები სრულად ვერ ასახავენ მოვლენებისა და პროცესების რეალურ სურათს.

აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებული მონდომებით აღნიშნავენ მექანიკური მოძრაობის შედეგად აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ. მაგალითად, ს. ლაკობა მისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილით აცხადებს: ქართველებს უნდა რცხვენოდეთ იმისა, რომ აფხაზეთში ამჟამად აფხაზები 17 პროცენტს შეადგენენო. რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის მიზეზითაც იზრდებოდა, მაგრამ აქაც გვმართებს შემდეგი გარემოებები გავიხსენოთ. ჯერ ერთი, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იზრდება ბუნებრივი მატების შედეგადაც, მეორეც, 1926 წლიდან 1979 წლამდე აფხაზეთში ქართველების რაოდენობა გაიზარდა 72 ათასიდან 213 ათასამდე, ე.ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 7,5-ჯერ), სომხებისა — 25 ათასიდან 73 ათასამდე, ე.ი. 2,9-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 67-ჯერ), რუსებისა 1926-1970 წლებში — 12 ათასიდან 93 ათასამდე, ე.ი. 7,8-ჯერ (1886 წელთან შედარებით — 76,4-ჯერ). როგორც ვხედავთ, აქაც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ აქცენტი ყოველთვის ქართველების მიმართაა გაკეთებული. უფრო მეტიც, იმ ფაქტს, რომ აფხაზების წილი მთელ მოსახლეობაში დაბალია, მხოლოდ ქართველი მოსახლეობის მექანიკური მატებით ხსნიან, რაც არასწორია.

რადგან „ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია“ შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ. 1926 წლის შემდეგ აფხაზეთში ერთი ქართველიც რომ არ დაბადებულიყო და არც საცხოვრებლად გადასულიყო, მაშინ 1979 წელს აფხაზების წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 17,1 პროცენტიდან 24,4 პროცენტამდე ამაღლდებოდა. უფრო მეტიც, 1989 წელს აფხაზეთში ქართველ მოსახლეობას საერთოდ რომ არ ეცხოვრა, აფხაზი მოსახლეობის წილი აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 32 პროცენტი იქნებოდა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არც ისე დიდი „ბრალი“ მიუძღვის ქართველ მოსახლეობას. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობის მექანიკური და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები გაცილებით მაღალია აფხაზეთში მცხოვრებ დანარჩენ ეროვნებებში.

ამავე ასპექტში აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა, ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან შემოსული

მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, 1922 წელს ქალაქის მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით, სოხუმში მცხოვრები 4992 ბერძენიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, 4467 რუსიდან – 3400, ხოლო 1889 სომეხიდან – 1123. ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება გუდაუთის მოსახლეობაც. ამ ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაბადებული (ძირითადად რუსები, ბერძნები და სომხები). ამასთან 1922 წელს აფხაზები როგორც სოხუმში, ისე გუდაუთაში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ისინი შესაბამისად მთელი მოსახლეობის 2,4 და 6,5 პროცენტს შეადგენდნენ.[1]

აფხაზეთში შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსახლება, რასაც ადგილებზე უშუალოდ თვით აფხაზები უწყობდნენ ხელს. ისინი უხეშად არღვევდნენ იმ დროს არსებულ საპასპორტო რეჟიმს. მაგალითად, 1986-1988 წლებში ოჩამჩირის რაიონში ჩაწერილთა მთელი რაოდენობიდან საქართველოს რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩასულმა 20 პროცენტი შეადგინა, დანარჩენები ჩამოვიდნენ კრასნოიარსკის, კემეროვის, სმოლენსკის., მოსკოვის, დონეცკის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის, დნეპროპეტროვსკის, ტომსკის, ამურის და სხვა ოლქებიდან. ეს ჩაწერები განხორციელდა რაიონის მილიციის უფროსის აფხაზი ვ. ახუბას მიერ. ასეთივე ვითარებას ჰქონდა ადგილი აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. კერძოდ, 1983-1988 წლებში ტყვარჩელში საცხოვრებლად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩავიდა 380, ხოლო სხვა რესპუბლიკებიდან – 1616 კაცი.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის წარმომადგენლები ათასგვარი ცილისწამებით გამოდიან და ყოვლად დაუსაბუთებელ და დაუსრულებელ პრეტენზიებს უყენებენ ქართველ ხალხს მოსახლეობის საკითხებში. მაგალითად, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწარმოო ძალების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე ვ. კვარჭია თავის პუბლიკაციაში ბევრ სხვა უზუსტობას შორის შემდეგსაც აღნიშნავს: „განა სადმე მსოფლიოში არის იმის პრეცედენტი, სადაც მკვიდრი მოსახლეობა იყოს მთელი მოსახლეობის ერთი მეხუთედზე ნაკლები. ეს, პატივცემულო კოლეგებო, აფხაზეთში ქართველთა რაოდენობის არა ბუნებრივი, არამედ მექანიკური ზრდის შედეგია.“[2]

ამ განცხადების მეორე ნაწილის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ,

[1] სრულიად საქართველოს ქალაქის მოსახლეობის 1922წ. 30 ნოემბრის აღწერის ცნობები. ნაწილი I, დემოგრაფია, ნაკეთი 2, ტიფლისი, 1924, გვ. 14.
[2] Газ. «Бзыбь», 29 июля 1989г.

ხოლო რაც შეეხება პირველ ნაწილს, აქაც საკმაოა სათქმელი. მსოფლიოს რომ თავის დავანებოთ, თვით ყოფილ საბჭოთა კავშირში ბევრი პრეცედენტი იყო იმისა, როცა ავტონომიურ ფორმირებაში გაცილებით ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ მკვიდრი ეროვნებები, ვიდრე აფხაზეთში – აფხაზები. მაგალითად, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით კარელები, რომლებიც კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობაა, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენენ. ასევე ჩუჩები თავიანთ ავტონომიურ ფორმირებაში 7,3 პროცენტს, ხაკასები – 11,1, ნენები – 11,9, ევენკები – 13,9, ხოლო ხანტები და მანსები მხოლოდ 1,4 პროცენტს უდრიდა. ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ იმის ნათელსაყოფად, რომ ასეთი პრეცედენტი არსებობს, ვფიქრობთ, საკმარისია. ამასთან, რაც მთავარია, ავტორს თუ „დაავიწყდა“ ისიც უნდა შევახსენოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მკვიდრ ეროვნებებზე – ქართველებსა და აფხაზებზე მთელი მოსახლეობის 63 პროცენტი მოდის. მართალია, ასეთი მდგომარეობაც მძიმეა, მაგრამ არც ობიექტურ რეალობაზე უნდა დავხუჭოთ თვალი.

ვფიქრობთ, ქვემოთ მოტანილი ცხრილი კომენტარის გარეშეც საკითხის არსს ნათლად ასახავს. ამავე დროს, გვინდა რუსეთის ექსტრემისტულ ძალებს, რომლებიც ვ. კვარჭიას თანამოაზრეები არიან და რომელთა უშუალო ხელშეწყობით აფხაზეთში სისხლი დაიღვარა, შევახსენოთ, რომ 1926 წელს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში რუსების რაოდენობა 14 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 1989 წელს 722 ათასს. ძირითადად ამის შედეგად კომელების წილი თავის რესპუბლიკაში 92,3 პროცენტიდან 23,3 პროცენტამდე შემცირდა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აფხაზი ერის გამრავლებას აღმავალი ხასიათი აქვს. მაშ რაშია საქმე? რა პრობლემები დგას? საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზებთან და ქართველებთან ერთად, როგორც ვნახეთ, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მათი რაოდენობის ზრდა დიდადაა დამოკიდებული თუ რა წილი ეკავება აფხაზეთში საკუთრივ აფხაზებს. აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების ზრდა-გამრავლებასთან ერთად აფხაზეთში იცვლება ეროვნულ ღირებულებათა, ენის, ტრადიციების, ადათ-წესებისა და სხვა ეროვნულ თავისებურებათა მატარებელი ეროვნული ჯგუფების მდგომარეობაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზურ ტრადიციას, აფხაზურ ენას, აფხაზურ წეს-ჩვეულებებსა და ადათს აფხაზეთის ტერიტორიაზე თანაცხოვრება უხდება ამ ეროვნების ტრადიციებთან, ენებთან ადათთან და ა.შ. რაც ცხადია, სრულიად გან-

კარელიის, კომის, იაკუტიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხანტი-მანსის ავტონომიური ოკრუგის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
კარელიის არ						
კარელები	101	37,4	85	13,1	79	10,0
რუსები	154	57,0	413	63,4	581	73,5
დანარჩენი მოსახლეობა	15	5,6	153	23,5	130	16,5
სულ	270	100	651	100	790	100
კომის არ						
კომელები	191	92,3	245	30,4	291	23,3
რუსები	14	6,8	390	48,4	722	57,7
დანარჩენი მოსახლეობა	2	0,9	171	21,2	238	19,0
სულ	207	100	806	100	1251	100
იაკუტიის არ						
იაკუტელები	212	84,8	226	46,4	365	33,4
რუსები	28	11,2	215	44,2	550	50,3
დანარჩენი მოსახლეობა	10	4,0	46	9,4	179	16,3
სულ	250	100	487	100	1094	100
ხანტი-მანსის არ[1]						
ხანტები	–	–	11	8,9	12	0,9
მანსები	–	–	6	4,7	7	0,5
რუსები	–	–	90	72,6	848	66,2
უკრაინელები	–	–	4	3,3	148	11,6
დანარჩენი მოსახლეობა	–	–	13	10,5	267	20,8
სულ	–	–	124	100	1282	100
აფხაზეთის არ[2]						
აფხაზები	51	25,6	61	15,1	93	17,8
ქართველები	72	35,8	158	39,0	240	45,7
რუსები	12	6,0	87	21,4	75	14,2
სომხები	25	12,5	64	15,9	77	14,6
დანარჩენი მოსახლეობა	41	20,4	35	8,6	40	7,7
სულ	201	100	405	100	525	100

[1] შეიქმნა 1930 წელს.

[2] აფხაზეთის მოსახლეობის 1926 წლის მონაცემები შესწორებულია ჩვენს

სხვავებულ სურათს ქმნის თავისი პრობლემებით, პლუსებითა და მინუსებით.

ახლა ვ. კვარჭიას და მის თანამოაზრეთა ყურადღება შემდეგ ფაქტსაც უნდა მივაპყროთ. 1989 წელს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის საწარმოებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთა ეროვნული შემადგენლობა ასეთია: კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელმძღვანელთა მთელ რაოდენობაში 9 პროცენტია მკვიდრი მოსახლეობა, ე.ი. კარელები. კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი კომელებს ხელმძღვანელ თანამდებობათა მხოლოდ 18,3 პროცენტი უკავია. მაშინ როდესაც კომელები თავიანთ რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის 23,3 პროცენტს შეადგენენ. მარიელებისათვის კი ეს მაჩვენებელი შესაბამისად 26,4 და 43,2 პროცენტს უდრის.[1] ვფიქრობთ, საჭირო აღარააა ასეთი ფაქტების დასახელების გაგრძელება. რა თქმა უნდა, ასეთი თანაფარდობა სულაც არ მიგვაჩნია მართებულად, მაგრამ არც ისაა მართებული, როდესაც აფხაზეთში აფხაზებს მათ წილთან შედარებით გაცილებით მეტი ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ. ამდენად ანაქრონიზმად ისმის პ. არძინბასა და სხვათა მიერ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (26 აპრილი 1990 წ.) შემდეგი დაჩივლება: „უპრეცედენტო კომპანია გაჩაღდა საქართველოში, რათა აფხაზ პირთა მიერ დაკავებული ყველა თანამდებობა გამოთავისუფლდეს, ქართველი ერი შეგნებულადაა ჩართული აფხაზ ხალხთან კონფლიქტში იმგვარად, რომ ირღვევა ამ უკანასკნელთა ადამიანური უფლებები.“ თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავითვალისწინებთ, საკითხავი მხოლოდ ერთი რამ რჩება: სად ან როდის მოითხოვა ქართველმა ხალხმა აფხაზთა მიერ დაკავებული ყველა თანამდებობის გამოთავისუფლება. სიმართლე თუ გვინდა ვთქვათ, ამ მხრივ სწორედ ქართველი ხალხისა და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ხალხების ადამიანური უფლებები ირღვეოდა. და თუ გულახდილი ვიქნებით, ამ საკითხის სწორად და დროულად გადაწყვეტა ბევრ მწვავე პრობლემასაც მოხსნიდა.

ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი და კვარჭია და არძინბა, რაც არ უნდა ნიანგის ცრემლები ღვარონ, ფაქტებს ვერსად გაექცევიან. ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავს ერთხელ უკვე ჩვენს მიერ დამოწმებული პოლ ჰენზი თურქეთის ჟურნალ „იენი ფორუმში“. „საბჭოური სისტემის პერიოდში, ყველა მაღალი თანამდებობა, პროპორციულობის უგულვებელყოფით, აფხაზებს ეკავათ. მათ სურთ ამ პრაქტიკის გაგრძელება თუმცა იციან, რომ დამოუკიდებელ საქარ-

[1] Газ. «Аргументы и факты», №2 1990г.

თველოში ამის განხორციელება გაძნელდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქართველები შეადგენენ. ძნელია აგრეთვე ისეთი დემოკრატიული ფორმულის გამონახვა, რომელიც მოსახლეობის 17 პროცენტს მთელი ტერიტორიის დომინირების უფლებას მისცემდა. ასე რომ, აფხაზი ლიდერები დიდად არ არიან დაინტერესებული დემოკრატიით. ისინი ლაპარაკობენ უმცირესობათა უფლებებზე. აფხაზი სეპარატისტი ლიდერები პროფესიით ძირითადად ფილოლოგები, ისტორიკოსები და არქეოლოგები არიან. მათ შორის არავინ შემხვედრია ეკონომიკის ან სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი."[1] ძნელია რაიმეს დამატება, მაგრამ იმის აღნიშვნა კი საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში ხელისუფლების სათავეში მოსული ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ამბიციურმა და ემოციურმა კრეტინიზმმა რაოდენ დიდი მორალური ტრამვა და მატერიალური ზარალი მიაყენა მთელ საქართველოს და მის ისტორიულ კუთხეს — აფხაზეთს.

სეპარატისტული ძალები აფხაზეთში ყოველმხრივ ცდილობენ საქართველოს ერთიანი ორგანიზმის დაშლას, ანტიქართული განწყობილების გაღვივებას. ამისათვის ისინი ფართოდ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და განსაკუთრებით პრესას. ყველაზე აგრესიული როლი ამ საქმეში ითამაშა გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „ბზიფმა". ეს გაზეთი სიამოვნებით უთმობდა ადგილს მათ, ვინც არაფერს იშურებდა ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვისათვის. ამ გაზეთის რედაქტორის მოადგილე ა. ვოზბა დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენი გაზეთი მცირეკალიბრიანი იარაღია, მაგრამ ნამეტანი არტყამს, პირდაპირ თვალში და არა წარბშიო."[2] ასეთი ცინიზმით იყო გაჟღენთილი ყველა მისი პუბლიკაცია. მაგალითად, ა. ვოზბას თუ დავუჯერებთ „ქართველი პროვოკატორები ცდილობენ ბზარი გაუჩინონ ჩვენს — აფხაზებს, ქართველებსა და მეგრელებს შორის საუკუნოვან მეგობრობასო."[3] მაგრამ იმაზე მეტი პროვოკატორობა განა იქნება, როცა კაცი ცდილობ სინამდვილედ გაასაღო ის, რაც თვითონაც არ გჯერა. მან კი შესანიშნავად იცის და, მაშასადამე, კიდევაც სჯერა, რომ ქართველი და მეგრელი ერთი და იგივეა და არავითარი განსხვავება მათ შორის არ არსებობს.

გაზეთ „ბზიფის" რედაქცია ძალ-ღონეს არ იშურებს მონახოს, პირველ რიგში, თვით ქართველთა შორის ისეთი ადამიანები,

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 იანვარი, 1992.

[2] ციტირებულია: ი. ამირხანაშვილი. იუდას ამბავი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 3 ნოემბერი, 1989.

[3] Газ. «Бзыбь», 18 мая 1989г.

რომლებიც არ თაკილობენ ხმამაღლა განაცხადონ: მეგრელი დამოუკიდებელი, ქართველებისაგან სრულიად განსხვავებული ერია და მეგრული ენაც სრულიად განსხვავებულია ქართული ენისაგანო. რა თქმა უნდა, აფხაზური ანდაზისა არ იყოს, ჭიქა უხმაუროდ არ გატყდება. ასეთი პუბლიკაციები შორსაა გამიზნული და ქართული ეროვნული ორგანიზმის დანაწევრებას ემსახურება.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია „მსუქანი ჯამაგირის“ მოყვარული ადამიანი, რომელიც პირადი კეთილდღეობის მიზნით თვით ყველაზე ამაღლებულ ადამიანურ გრძნობასაც კი შეურაცხოფს. ასეთები გამორჩენისა და იმისათვის, რომ ბევრად მაღალი თანამდებობები დაიკავონ, ვიდრე მათ ცოდნა-განათლებას შეესაბამება, არაფერს ერიდებიან, ეროვნებასა და მშობლიურ ენასაც კი ადვილად თმობენ. ცნობილი აფხაზური ანდაზაა: როცა გუნბების ავს ამბობდნენ, ბზოუ გუმბას ალაპარაკებდნენო. ასე იტყვიან აფხაზები მაშინ, როცა ხედავენ, რომ ბრიყვ და უვიც კაცს თავის საქმეში იყენებენ. გაზეთ „ბზიფის“ რედაქციას და სხვებსაც არ უჭირთ ასეთი ბზოუ გუნბების მონახვა. გაზეთი სიამოვნებით უთმობს ადგილს ნუგზარ ჯოჯუას, რომელიც აცხადებს: „ქართული და მეგრული ენები აბსოლუტურად სხვადასხვაა.“[1] იგივე აზრისაა ვინმე ვ. წულაია: გაგონილი მაქვს, რომ ჩვენ მეგრელები, დაახლოებით 1,5 მილიონი ვართ და პასპორტშიდაც ქართველის მაგივრად მეგრელი უნდა მეწეროსო.[2] ვ. წულაიას შეიძლება დაბეჯითებით ვუთხრათ, რომ ათჯერ მეტიც რომ იყოს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხის — სამეგრელოს წარმომადგენლები, ამას ყველა ქართველი დიდ ბედნიერებად მიიჩნევდა. მისი ცნობისმოყვარეობა კი, თუ ასე ძალიან აინტერესებს მეგრელთა რაოდენობა, შეგვიძლია ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილოთ. რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მიხედვით ეროვნება მშობლიური ენის საფუძველზე განისაზღვრებოდა. ვ. წულაისნაირი ორიენტაციის მქონე რუსის მოხელეები მშობლიურ ენას კი ასე გვინაწევრებენ: ქართული, იმერული, მეგრული და სვანური. ამ აღწერით იმერელი იყო 273 ათასი, მეგრელი 240 ათასი, ხოლო სვანი — 16 ათასი. მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს ქართველებს ოდნავ „შელავათი“ გაგვიკეთეს — მართალია, აღწერის პროგრამაში ეროვნება ქართველი ფიგურირებდა, მაგრამ მათ შორის მაინც გამოყვეს აჭარელი, მეგრელი, ლაზი და სვანი. ამ აღწერით მეგრელთა რაოდენობა 243 ათასს უდრიდა. მოსახლეობის შემდგომ აღწერებში ეს უზუსტობა, თუკი შეიძლება მას ასე

[1] Газ. «Бзыбь», 4 июля 1989г.
[2] Газ. «Бзыбь», 5 июля 1989г.

ვუწოდოთ, გასწორდა. მაგრამ ვ. წულაია გულნაკლული რომ არ დავტოვოთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის 1989 წლის აღწერით იმერეთის რეგიონში 767 ათასი კაცი ცხოვრობდა, სამეგრელოში – 410 ათასი.

ახლა უკვე ძალაუნებურად ისიც უნდა ვთქვათ, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილი კი ის არის, რომ ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე „მეგრული და ქართული ენები ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ." სახელმწიფო ქართული ენა სრულიად გასაგები იყო საქართველოს მოსახლეობისათვის. საერთოდ კი ქართული და მეგრული ენების ნათესაობა დიდი ხანია დამტკიცებულია: ისინი ერთი ენისაგან მომდინარეობენ და ამ ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვნენ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კარგად იციან გაზეთ „ბზიფის" რედაქციის თანამშრომლებმა და პუბლიკაციის ავტორებმაც. ეს არც ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიის ანონიმ ავტორს (სტატია გაზეთმა „ბზიფმა" გადმობეჭდა) უნდა რომ დაინახოს, რომელიც შეგნებულად თავის პუბლიკაციას ასე იწყებს: „თითოეულმა, ვინც თვალყურს ადევნებდა 1989 წელს ახალ ამბებს საბჭოთა კავშირიდან, იცის საქართველოს ქართველური ხალხების (ე.ი. ქართველების, მეგრელებისა და სვანების, რომელთაც თურქეთში მცხოვრებ ლაზებთან ერთად ქართველებად მიიჩნევენ) ეროვნული სუვერენიტეტის შექმნის სურვილი." ასე აცნობს ქართველებსა და მათ სურვილს მოყვარე მტერი ინგლისელ მკითხველს, თუმცა გული არ უთმენს და ცოტა ქვემოთ ახლა უკვე შეფარვის გარეშე მეგრელებსა და ქართველებს სხვადასხვა ეროვნებად ასახელებს.[1]

ამგვარად ავტორის ტენდენციურობა და არაკეთილსინდისიერება პუბლიკაციის დასაწყისშივე გამოიკვეთა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი რამ ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ არის უცხო და გასაკვირი, რადგან ამავე აზრს ანვითარებს ქართველი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი, აფხაზების სიძე, ინგლისელი ჯ. ჰიუტი (როგორც ჩანს, ანონიმური სტატიაც ჯ. ჰიუტს უნდა ეკუთვნოდეს), რომელმაც თავი ისახელა ანტიქართული მოღვაწეობით. შინაგანი მრწამსის საწინააღმდეგოდ ისიც განაცალკევებს ქართველსა და მეგრელს. მოვიყვანთ ერთ ამონაწერს მისი პუბლიკაციიდან, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (21 ივლისი, 1989 წ.) გამოქვეყნდა: აკაკი შანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე „მე და მეგრელმა კოლეგამ მ. ციკოლიამ წავიკითხეთ მოხსენებაო". რას იზამ, „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის."

[1] Газ. «Бзыбь», 24 апреля 1990г.

რუსეთის რეაქციული წრეები, აშკარად თუ ფარულად, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აფხაზი ხალხი ქართველებისთვის დაეპირისპირებინა. ამ საქმეში ისინი მოხერხებულად იყენებდნენ აფხაზ პროვოკატორებსა და სეპარატისტულ ძალებს, სათანადო მუშაობასაც ყოველთვის მეთოდურად წარმართავდნენ. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი ფაქტიც.

1989 წლის 4-6 ივნისს მოსკოვში მაშინდელი ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით ჩატარდა „მრგვალი მაგიდა" ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საკითხებზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. როგორც წესი, მაშინ ასეთი რანგის ღონისძიების მონაწილეთა შემადგენლობა საქართველოდან თბილისში უნდა დაკომპლექტებულიყო. მაგრამ მოსკოვმა საერთოდ მიღებული წესი მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ დაარღვია და „მრგვალი მაგიდის" მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თავისი შეხედულებით მარტოოდენ სამი ქართველი და სამაგიეროდ შვიდი აფხაზი მიიწვია. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობაც სამი კაცით იყო წარმოდგენილი. შემდეგში ისიც გაირკვა, რომ აფხაზები „მრგვალი მაგიდის" ჩატარების თაობაზე ორი თვით ადრე გააფრთხილეს და ისინი სათანადოდ მოემზადნენ მოხსენებისათვის, ხოლო ჩვენი დელეგაციის დანარჩენ წევრებს „მრგვალი მაგიდის" ჩატარების შესახებ მხოლოდ სამი დღით ადრე აცნობეს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალიც: „მრგვალი მაგიდის" სამუშაო პრეზიდიუმში წარმოდგენილნი იყვნენ ტ. შამბა და კ. ოზგანი, მაშინ როდესაც თანამდებობრივად საქართველოდან პრეზიდიუმში მათ მაგიერ ამ სტრიქონების ავტორი უნდა ყოფილიყო შეყვანილი, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა რესპუბლიკების მიმართ.

„მრგვალი მაგიდის" მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კ. ოზგანმა, ვ. არძინბამ, ს. ლაკობამ და სხვ. მათ თავიანთ გამოსვლებში ჩვენთვის კარგად ცნობილი უპასუხისმგებლო ბრალდებები წაუყენეს ქართველ ხალხს, განსაკუთრებით გაატარეს ის აზრი, რომ ქართველები არ წარმოადგენდნენ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას და გასულ საუკუნეში ისინი აფხაზეთში თითქმის არც ცხოვრობდნენო. პირადად მომიხდა ამ საკითხზე გამოსვლა მათი წინასწარგანზრახული და უაპელაციო ბრალდებების გასაბათილებლად. „მრგვალი მაგიდის" მონაწილეებს გავაცანი გასული საუკუნის აღწერის ცალკე წიგნებად გამოცემული მასალები, რომლებიც, ყოველი შემთხვევისათვის, თან მქონდა წაღებული. აღწერის მასალების მიხედვით აფხაზეთში ქართველები რაოდენობრივად ჭარბობდნენ აფხაზებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მაშინდელი მთიანი ყარაბაღის მმართველო-

ბის განსაკუთრებული კომიტეტის ხელმძღვანელმა არკადი ვოლსკიმ, რომელიც სექციის სხდომას თავმჯდომარეობდა, მომმართა: აჩუქეთ ეს წიგნი აფხაზებს, დაე, მათ წაიკითხონ და იქნებ ახლა მაინც გაიგონ, რაც იქ წერიაო.

ამავე დროს აფხაზი სეპარატისტები, თავის მხრიდან, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უკვეთავდნენ სპეციალურ სტატიებს, სადაც აშკარად ცალმხრივად, ტენდენციურად იყო განხილული აფხაზეთის მოსახლეობისა და ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან ურთიერთობის საკითხები. ყოფილი საბჭოთა კავშირის პრესაც გულმოდგინედ ავრცელებდა ათასგვარ სიყალბეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ასე ვთქვათ, იდეოლოგიურად ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რამაც შემდეგში ამდენი სისხლისღვრა და უბედურება გამოიწვია აფხაზეთში. როგორც ჩანს, აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის რეაქციული ძალების საერთო ინტერესები ზედმიწევნით ემთხვეოდა ერთმანეთს და ყველაფერი ურთიერთხელსაყრელი უსინდისო გარიგების საფუძველზე ხდებოდა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია აფხაზების მიერ საკავშირო ჟურნალ „დიალოგში“ (№3, 1990 წ.) სპეციალურად შეკვეთილი სტატია, რომელიც ვინმე ა. ტაუსოვამ გამოაქვეყნა. ა. ტაუსოვა აშკარად ცილისმწამებლური პოზიციებიდან ადანაშაულებს ქართველ ხალხს აფხაზებთან, ოსებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ურთიერთობაში. ა. ტაუსოვას სტატია იმდენად ტენდენციურად და ფაქტების გაყალბებით იყო დაწერილი, რომ რედაქციამ, ყოველი შემთხვევისათვის, თავის დაზღვევის მიზნით სტატიას გაუკეთა მინაწერი: ა. ტაუსოვას სტატიაში განხილული ბევრი მოვლენა სუბიექტური ხასიათისაა და ჩვენ იმედი გვაქვს თავის შეხედულებებს ამ საკითხზე სხვებიც გამოთქვამენო.

ამ სტრიქონების ავტორმა ა. ტაუსოვას სტატიაზე პასუხი გაუგზავნა ჟურნალის რედაქციას. მაგრამ პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაიბეჭდა. სამაგიეროდ, ჟურნალ „დიალოგის“ რედაქციამ შემდეგი მაცნობა: „პატივცემულო ანზორ ბაგრატის ძევ! ჩვენ გვესმის, რომ ა. ტაუსოვას სტატიას შეიძლება წავუყენოთ რიგი პრეტენზია, რასაც თქვენ, ბევრ შემთხვევაში, სავსებით სამართლიანად აკეთებთ, მაგრამ თქვენი სტატია იცავს ძირითადად ქართველი ერის უფლებებს და ასეთი სტატიის გამოქვეყნება დღეს, როდესაც თქვენს მიწაზე სისხლი იღვრება, არ არის გამართლებული.“ სამაგიეროდ, რუსულ პრესას გამართლებულად მიაჩნია ის, რომ დაუმსახურებლად ჩირქი მოგვცხოს, აშკარად ხელი შეუწყოს ჩვენს მიწაზე ერთა შორის კონფლიქტების წარმოშობასა და სისხლის ღვრას. პასუხს ხელს აწერდა ჟურნალის თანამშრომელი ვინმე ტოლსტოი. აღნიშნული სტატია აღარსად დამიბეჭდავს.

ამ ამბის შემდეგ გადის სამი წელიწადი და 1993 წელს მოსკოვში გამოდის ისევ აფხაზების შეკვეთით დაწერილი „აფხაზეთის თეთრი წიგნი". მთელი ეს წიგნი უხეში თავდასხმაა ქართველ ერზე. სხვა რამეს არც მოველოდით. მაგრამ გაკვირვებას ის გარემოება იწვევს, რომ ამ შავი ზრახვებით დაწერილ თეთრ წიგნში ჩვენს მიერ ჟურნალ „დიალოგში" გაგზავნილი სტატიიდან, რომელიც არსად არ დაბეჭდილა, მთელი გვერდებია ციტირებული.[1] მაგრამ, აქ გასაკვირიც არაფერია. როგორც იტყვიან: მუსიკა ვინც შეუკვეთა, მანვე ფული გადაიხადა. ცხადია, ა. ტაუსოვას სტატია აფხაზების შეკვეთით დაიწერა, ხოლო როდესაც ჩვენი პასუხი შემკვეთს გააცნეს, მან იმაზეც იზრუნა, რომ პასუხი არ დაბეჭდილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხავია, თუ საიდან მოხვდა ჩვენს მიერ მოსკოვში გამომავალ ჟურნალ „დიალოგში" გაგზავნილი სტატია „აფხაზეთის თეთრი წიგნის" ავტორების ი. ვორონოვის, პ. ფლორენსკისა და ტ. შუტოვის ხელში. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ზემოთ აღნიშნული „მრგვალი მაგიდის" მასალების გამოქვეყნების დროს 1989 წელს. „მრგვალი მაგიდის" მუშაობაში მონაწილეთა გამოსვლები იმავე წელს კრებულის სახით დაიბეჭდა. მხოლოდ ჩვენი მასალა, რომელიც შეეხებოდა აფხაზეთის მოსახლეობას, ვერ მოხვდა ამ კრებულში, მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლის ტექსტი მაშინვე გადავეცი სარედაქციო კოლეგიას. როგორც ჩანს, დამკვეთი და შემსრულებელი მაშინაც მოინახა. ჩვენი გამოსვლის მასალები მხოლოდ რესპუბლიკურ პრესაში დაიბეჭდა.[2]

აფხაზმა სეპარატისტებმა გარეშე რეაქციული ძალების მხარდაჭერით სათანადო ნიადაგი მოამზადეს აფხაზეთში მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვის, ერთა შორის მტრობისა და შუღლის გაღვივებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ისინი აქცენტს აკეთებდნენ აფხაზეთში აფხაზი მოსახლეობის სიმცირეზე, თითქოს ეს იმის შედეგი იყოს, რომ ქართველები აქ დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ მათ მიერ აფხაზეთში გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და 300 ათასამდე ადამიანი საკუთარ მიწაზე ლტოლვილი გახდა. საბოლოოდ მათ აფხაზეთის დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს და ამით ხელყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილებები არ შეიძლება მოხდეს ერის ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. ამასთან, ახალი პატარა სახელმწიფოების წარმოქმნა მწვავე კონფლიქტურ საომარ

[1] Белая книга абхазии. М., 1993, с. 13

[2] გაზ. „კომუნისტი", 18 ივლისი, 1989.

მოქმედებათა გარეშე თითქმის შეუძლებელია. ასეთი კონფლიქტები, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ფართო ხასიათს იღებენ და, არც ისე იშვიათად, შორდებიან ერთი ქვეყნის საზღვრებს. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის წინააღმდეგია და მკაცრად უჭერს მხარს ყოველი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ამჟამად მსოფლიოს ხალხთა ენების რაოდენობა 4-5 ათასს აღწევს, ხოლო ხალხთა რაოდენობა დაახლოებით 3 ათასს უდრის. ადვილი წარმოსადგენია რას დაემსგავსებოდა მსოფლიო, როგორი იქნებოდა მისი მომავალი, როგორ სისხლისმღვრელ ბრძოლების ალში გაეხვეოდა ჩვენი პლანეტა ამ ხალხებმა დამოუკიდებლობა და ცალკე სახელმწიფოებრიობა რომ მოითხოვონ და თავიანთი მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. მაგალითად, ინდოეთში მოსახლეობის 1951 წლის აღწერით 845 ენა და დიალექტი არსებობდა. ამ მხრივ იქ ამჟამადაც დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა. ინდოეთში 29 ეთნოსი, თითოეული ცალ-ცალკე, მილიონზე მეტ კაცს ითვლის, ხოლო 13 ეთნოსი – 10 მილიონზე მეტს. ასევე მრავალეროვანია ჩინეთის სახელმწიფო და ბევრი სხვა დიდი თუ პატარა ქვეყანა. ბუნებრივია, არც ინდოეთი და არც ჩინეთი არ დაუშვებს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. სწორედ ამიტომ, მაგალითად, ინდოეთის ხელისუფლებას მეტად დიდი ბრძოლა უხდება სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოთხოვნა ან მოქმედება შტატებს შორის ტერიტორიის განაწილების ან მათი გამოყოფის შესახებ ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება.

ნართების ოსურ-აფხაზური ეპოსი იმით მთავრდება, რომ ყველა ნართი თავისთვის საფლავს ითხრის. ასეთი ტრაგიკული აღსასრული ერგოთ ნართებს. ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება აფხაზი ექსტრემისტების მიერ სწორედ საფლავის თხრაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი არ ინდობენ არც ქართველებსა და არც აფხაზებს. მათ არ უნდათ დაინახონ ისტორიული ჭეშმარიტება, ცდილობენ დაუბნელონ თავიანთ ერს გონება, მოწამლონ ერის ცნობიერება, დააყენონ ერი აგრესიის გზაზე. არძინბა, აჩბა და მათი მსგავსი გადაგვარებული ადამიანები ნართების ეპოსიდან იმ ეშმაკ სირდონს მოგვაგონებენ, რომელმაც დაღუპა ნართები. ამიტომ აფხაზ ექსტრემისტებს გზა უნდა გადაულობოს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ აფხაზმა ხალხმა.

ჩვენ უკვე ზემოთ გავაანალიზეთ აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნეში. ახლა ვნახოთ თუ რა

ცვლილებები მოხდა ამ მხრივ XX საუკუნეში (იხ. ცხრილი).

როგორც ვხედავთ, ძირითადი ცვლილებები აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მოხდა 1926-1939 წლებში – მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველებისა და აფხაზების წილი, ხოლო სამაგიეროდ ასევე მნიშვნელოვნად გადიდდა რუსებისა და სომხების წილი მთელ მოსახლეობაში. სულ რაღაც 13 წლის მანძილზე რუსები აფხაზეთში თითქმის 5-ჯერ, ხოლო სომხები – 2-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში ყოველწლიურად აფხაზეთში თითქმის 3600-ით მეტი რუსი შემოდიოდა, ვიდრე გადიოდა. ამავე წლებში, რუსებთან და სომხებთან შედარებით, ქართველები და აფხაზები უმნიშვნელოდ გაიზარდა – შესაბამისად 1,3-ჯერ და 1,1-ჯერ. ასე, რომ მთელ მოსახლეობაში აფხაზების წილის შემცირება 1926-1939 წლებში 25,6 პროცენტიდან 18,0 პროცენტამდე გამოწვეული იყო აფხაზეთში რუსებისა და სომხების დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად სხვადასხვა რესპუბლიკებიდან გადმოსვლით. ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიაც შეიმჩნეოდა. მაგალითად, 1959 წელს რუსების წილი 1939 წელთან შედარებით კიდევ უფრო ამაღლდა და მან აფხაზეთის მთელ მოსახლეობაში 21 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 1,8 პროცენტისა 1926 წელს, ხოლო სომხების წილი შესაბამისად 15,9 და 1,6 პროცენტს უდრიდა.

ყოველივე აღნიშნულის, მოსახლეობის აღწერების მონაცემების უბრალოდ გაცნობის შემდეგ საოცრად ტენდენციური და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ჩანს პროფ. შ. ინალ-იფას დაჩივლება: აფხაზეთში მიზანმიმართული ასიმილატორული პოლიტიკის განხორციელების შედეგად 1959 წელს პირველ ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ გავიდნენ ქართველებიო.[1] ქართველები რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყვნენ არა მარტო 1959 წელს, არამედ მოსახლეობის ყველა წინა აღწერების მიხედვით. ამასთან მთელ მოსახლეობაში აფხაზების წილის შემცირების მიზეზებზე, ვფიქრობ, საკმაოდ არგუმენტირებული მონაცემები მოვიყვანეთ.

1970 წლიდან რუსების რაოდენობა აფხაზეთში როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით მცირდება, სომხებისა კი დაახლოებით უცვლელი რჩება. ამავე დროს 1959-1989 წლებში ქართველებისა და აფხაზების რაოდენობა თანაბრად იზრდება. კერძოდ, როგორც აფხაზები, ისე ქართველები ამ პერიოდში 1,52-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს, აფხაზების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში უკეთესია, ვიდრე სხვა ეროვნებების ანალოგიური მაჩვენებლები. მაგალითად, 1990 წელს შობადობის ზოგადი

[1] Ш. Инал-Ипа. Об изменении этнической ситуации в Абхазии XIX в. Газ. «Совстская Абхазия». 6 июля, 1989.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XX საუკუნეში

	1926 წ.		1939 წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	71954	35,8	91967	29,5	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239772	45,7
აფხაზი	51458	25,6	56197	18,0	61193	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
სომეხი	25677	1,6	49705	15,9	64425	15.9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	12553	1,8	60210	19,3	86715	21,4	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	9101	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ მოსახლეობა	201016	100,0	311885	100,0	404738	100,0	486959	100.0	486082	100,0	525061	100,0

კოეფიციენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 13,7 პრომილეს უდრიდა, ანუ მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ამ წელს 13,7 ახალშობილი მოდიოდა. საკუთრივ აფხაზებში კი ამ მაჩვენებელმა 16,2 პრომილე შეადგინა, ქართველებში — 14,7, სომხებში — 13,8, ხოლო რუსებში — მხოლოდ 9,6 პრომილე. ამასთან, აფხაზებში გაცილებით დაბალია მოკვდაობის მაჩვენებელი, ვიდრე სხვა ეროვნებებში. შობადობის მაღალი და მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში აფხაზებში, სხვა ეროვნებებთან შედარებით, მაღალია ბუნებრივი მატება. თუ მთლიანად აფხაზეთში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 1990 წელს ბუნებრივი მატება 5,8 კაცს შეადგენდა, აფხაზებში ეს მაჩვენებელი თითქმის ზუსტად ორჯერ მაღალი იყო. შობადობა და ბუნებრივი მატება ასევე მაღალი იყო აფხაზებში სხვა წლებშიც. მაგალითად, 1986 წელს ახალშობილთა მთელ რაოდენობაში აფხაზების წილი 19,0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1987 წელს — 19,2 პროცენტს. ამავე დროს აფხაზების წილი მთელ მოსახლეობაში 18,0 პროცენტსაც ვერ აღწევდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1985 წელს აფხაზეთის მოსახლეობის მთელი ბუნებრივი მატების 25,1 პროცენტი აფხაზების წილად მოდიოდა, ხოლო 1986 წელს — 24,2 პროცენტი.

ამრიგად, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ამასთან, აფხაზი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით, გაცილებით უკეთესია.

III.2.8. რატომ აყალბებენ აფხაზი სეპარატისტები ისტორიას

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი, ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. იგი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მუდამ საერთო ქართულ სამყაროს განეკუთნებოდა და საქართველოს ისეთივე ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე იყო, როგორც ქართლი, კახეთი, ეგრისი, სამცხე, ტაო და სხვ. მეათე საუკუნის მემატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა“. და ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან აფხაზეთში უხსოვარი დროიდან ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. ამას უცილოდ ადასტურებს ძველი ბერძნული და ქართული, უფრო მოგვიანებით კი, ბერძნულის გარდა, სხვა უცხოური წყაროებიც. სხვა ქართულ კუთხეებთან ერთად აფხაზეთი აქტიურად იღვწოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის, უფრო მეტიც, სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისა და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა XI საუკუნეში.

XVI-XVII საუკუნეებში უცხოელი დამპყრობლების გამუდმებული შემოსევებისაგან დასუსტებული და პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითებული ერთიანი საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. სწორედ ამ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იქმნება ახალი ეთნიკური ერთეული, რომელიც წარმოიშვა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი ადიღეურ-ჩერქეზული ტომის – აფსუების შერევის შედეგად, რომლებმაც მიიღეს ადგილობრივი, ძირძველი ეთნიკური ტომის სახელწოდება – „აფხაზი“. ისინი საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად. სამაგალითო იყო მათი ურთიერთობა, ერთმანეთის პატივისცემა, ლხინსა და ჭირში თანაზიარობა.

ამ მშვიდობიან თანაცხოვრებას მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენეს აფხაზმა ექსტრემისტებმა და სეპარატისტულმა ძალებმა შინაური და გარეშე მტრების წაქეზებით და ხელშეწყობით. მათ უდიდესი უბედურება დაატეხეს თავს აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობას, განსაკუთრებით ქართველობას. მეორე მსოფლიო

ომის დროს ფაშისტების მიერ ჩადენილი დანაშაულიც კი გაფერმკრთალდა მათი ნამოქმედარის წინაშე: საომარ კონფლიქტში დაღუპული ათასობით ადამიანი, სასტიკი წამებით დახოცილი უამრავი უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრები, ხშირად მშობლებისა და ახლობლების თვალწინ ქალებისა და გოგონების გაუპატიურება, თავის მოკვეთა, უმწეო მოხუცების ადგილზე დახვრეტა, ადამიანთა სასიკვდილოდ დაჭრა მათი სისხლის დასალევად და ბოლოს 300 ათასი კაცის გამოდევნა — აი იმ დანაშაულთა არასრული ნუსხა, რომლებიც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს.

ყოველივე ეს იყო არნახული გენოციდი, ძირძველი ქართული მიწა-წყლის ეთნიკური წმენდა. XX საუკუნის მიწურულს ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ ასეთ ბარბაროსობას, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა ერთი მუჭა ფაშისტური ხროვა, რომ მისთვის გარეშე რეაქციულ ძალებსაც არ დაეჭირათ მხარი. ასეთი ფართო მასშტაბის წინასწარგამიზნული სისხლისღვრა შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის აუმუშავებლად. ასეთ შემთხვევაში მასების დამუშავება სიცრუის და დემაგოგიის გზით ხდება. ცხადია გამონაკლისი არც აფხაზი სეპარატისტები ყოფილან.

განსაკუთრებული ცილისწამებით გამოირჩევიან აფხაზი სეპარატისტები ქართველების მიმართ. მათ შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი თანამემამულენი, თითქოსდა ქართველები ავიწროებდნენ მათ ენას, ლიტერატურას, საერთოდ აფხაზურ კულტურას, ხელს უშლიდნენ აფხაზური სკოლების განვითარებას, ცდილობენ დაარწმუნონ თვისტომნი, რომ აფხაზეთში ისტორიულად მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველები ყოველმხრივ აფერხებდნენ აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ დროს პირიქით, სწორედ საწინააღმდეგო ვითარებასთან გვქონდა საქმე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას უსაზღვროდ პრივილეგირებული პირობები ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან შედარებით. აფხაზეთი ერთადერთი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, რომლის კონსტიტუციით აფხაზური ენა გამოცხადებული იყო სახელმწიფო ენად, ხოლო მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება უაღრესად სწრაფი ტემპებით ხორციელდებოდა.

აფხაზეთი, რომელიც საუკუნის დასაწყისში ჩამორჩენილი პატრიარქალური, წვრილსასაქონლო, ნატურალური მეურნეობის

მხარე იყო, მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და კულტურის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაიქცა. თუ 1922 წელს აქ მხოლოდ 7 მცირე სიმძლავრის სამრეწველო საწარმო მოქმედებდა, სადაც ასამდე კაცი მუშაობდა, 1922-1989 წლებში 100-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო აშენდა, შეიქმნა თანამედროვე სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, ხე-ტყის დამუშავების, საშენი მასალების წარმოება, მსუბუქი და კვების მრეწველობა, აგრეთვე მძიმე მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა ქვანახშირის მოპოვება და ელექტროენერგეტიკა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და არსებითად ამაღლდა მისი ტექნიკური დონე, შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მემცენარეობა, განვითარდა მეთამბაქოება და მევენახეობა-მებაღეობა. დარგის დიდ პოტენციალზე მეტყველებდა ის, რომ აფხაზეთზე მოდიოდა საქართველოში წარმოებული ციტრუსების 40 პროცენტი, ჩაის — 19, თამბაქოს — 30 პროცენტი.

აფხაზეთის ეკონომიკის ასეთი ფართო მასშტაბით განვითარება, ბუნებრივია, მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დაბანდებებს, რისი უზრუნველყოფაც ხდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1951-1989 წლებში ავტონომიური რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებისათვის 4 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება გამოიყო.

სულ უფრო მეტი სახსრები გამოიყოფოდა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად. საკმარისია ითქვას, რომ 1981-1989 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი. საექსპლუატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 82 ათასი მოსწავლისა და სკოლამდელი დაწესებულებები 8,7 ათასი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მეტი საბიუჯეტო სახსრები იხარჯებოდა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ამავე დროს, ფულადი შემოსავლები, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქონელბრუნვის მოცულობა გაცილებით მაღალი იყო მოსახლეობის ერთ სულზე აფხაზეთში, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში.[1]

[1] Выявление возможностей перехода Абхазской АССР на хозрасчет и разработка принципов его реализации. Отчет Абхазского отдела Научно-исследовательского института экономики, планирования и управления народным хозяйством, рукопись. Сухуми, 1990, с. 11-13.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის აფხაზეთი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ენის, ისტორიის განვითარების მხრივ ყველაზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა სრულიად უსაფუძვლო იყო აფხაზ სეპარატისტთა დაუსაბუთებელი ბრალდებები აფხაზური ენის, ლიტერატურის, საერთოდ აფხაზური კულტურის შევიწროების, აფხაზური სკოლების განვითარებისადმი უყურადღებობის თაობაზე. არ შეიძლება აქ ისიც არ ითქვას, რომ ამ საქმეში აფხაზ სეპარატისტებს ყოველთვის გვერდში ედგა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. წლების განმავლობაში განსაკუთრებით რუსული პრესა, როგორც წესი, ცალმხრივად, ტენდენციურად, აშკარად არაკეთილმოსურნე პოზიციებიდან აშუქებდა აღნიშნულ პრობლემებს, აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობებს. სანთლითაც რომ ვეძებოთ, ერთი მასალაც არ მოიძებნება ქართველების მიმართ კეთილად რომ იყოს განწყობილი. და ეს ყველაფერი შეგნებულად და წინასწარგანზრახულად კეთდებოდა. სწორედ ყოველივე ამან, იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადა 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას და მსოფლიო საზოგადოებრიობას მეტად არასწორი წარმოდგენა შეუქმნა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მაინც როგორი იყო აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების მიერ წამოწყებული ბრალდებები და როგორი იყო სინამდვილე?

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ „აფერხებდა“ საქართველო მისი ძირძველი კუთხის — აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას. ახლა სხვა მითსა და რეალობასაც შევეხოთ.

აფხაზი სეპარატისტები, რომლებსაც კერს უკრავს რუსული პრესა, დაჟინებით იმეორებენ, რომ აფხაზეთი 1921 წლიდან იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში და იგი 1931 წელს უკანონოდ გადააკეთეს ავტონომიურ რესპუბლიკად. ისინი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს აფხაზეთი ისეთივე სოციალისტური რესპუბლიკა იყო, როგორც რუსეთი, უკრაინა, საქართველო, სომხეთი და სხვა რესპუბლიკები. ამასთან, ცნობილია, რომ რევოლუციის შემდეგ დაუსაბუთებლად მრავალი საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, რომლებიც შემდეგ გაუქმდა. ასე რომ, აფხაზეთი ამ მხრივ, გამონაკლისი როდი იყო. მაგალითად, 1918 წელს უკრაინის ტერიტორიაზე შეიქმნა დონეცკ-კრივოი-როგის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც რსფსრ-ში შედიოდა, ამავე წელს შეიქმნა სტავროპო-

ლის, ყუბან-შავი ზღვის, ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკები, რომლებიც შემდეგ გაუქმდა. 1920 წელს რსფსრ შემადგენლობაში შეიქმნა კარელიის შრომის კომუნა, რომელიც 1928 წელს გადაკეთდა კარელიის ასსრ რესპუბლიკად, 1940 წელს იგი გახდა კარელია-ფინეთის სსრ, ხოლო 1956 წელს — ისევ კარელის ასსრ. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სსრ ამ სტატუსს თავიდანვე ვერ იმსახურებდა იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა რაოდენობრივად აფხაზებზე გაცილებით მეტი იყო; მაგრამ ესეც რომ არ იყოს, იმ დროს დამკვიდრებული პრაქტიკით, საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მისანიჭებლად მისი მოსახლეობა მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო. თვით მაშინდელი აფხაზეთის პარტიულ ხელმძღვანელობასაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ. ასე რომ, აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ მიღებული არასწორი გადაწყვეტილება თავის დროზე სამართლიანად გაუქმდა.

ასევე არ შეეფერება სინამდვილეს აფხაზების ბრალდება ქართველების მიერ აფხაზური ენისა და ლიტერატურის შევიწროების შესახებ. საკმარისია მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიტანოთ. აფხაზური ლიტერატურა გაცილებით მეტი რაოდენობით გამოიცემოდა, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა რომელიმე ეროვნების ლიტერატურა. ყოველ 10 ათას აფხაზზე 1988 წელს 4,3 დასახელების მხატვრული ლიტერატურა გამოიცა, თითქმის 15-ჯერ მეტი, ვიდრე რუსული ლიტერატურა ყოველ 10 ათას რუსზე, 21,5-ჯერ მეტი, ვიდრე უკრაინული, 43-ჯერ მეტი, ვიდრე უზბეკური და ა.შ. ეს მარტო 1988 წელს როდი შეეხება. მრავალი ათეული წლის მანძილზე ამ მხრივ აფხაზური ლიტერატურა პირველობას არავის უთმობდა. დიდი იყო აფხაზურ ენაზე გამოცემული ლიტერატურის ტირაჟიც. ყოველ 10 ათას აფხაზზე 40 ათასი ეგზემპლიარი აფხაზური წიგნი მოდიოდა, მაშინ როდესაც ყოველ 10 ათას ქართველზე გამოცემული წიგნების რაოდენობა 28 ათას ცალს არ აღემატებოდა. ამ მაჩვენებლით აფხაზ მოსახლეობას მეოთხე ადგილი ეკავა ესტონელების, რუსებისა და ლატვიელების შემდეგ.[1]

რამდენად სწორია ქართველების მიერ აფხაზური სკოლების შევიწროება? ვფიქრობთ, აქაც საკმარისია ერთი მაგალითის მოტანა. ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქე-

[1] Печать СССР в 1988 году, М., 1989, с.100, 128-131.

ზეთის ავტონომიურ ოლქებში არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვი რუსულ ენაზე სწავლობდა,[1] მაშინ როდესაც აფხაზეთში 1976-1977 სასწავლო წელს 25 აფხაზური სკოლა, ხოლო 1989-1990 სასწავლო წელს 73 აფხაზური სკოლა ფუნქციონირებდა.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს თუ გავაანალიზებთ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, მართლაც, შეუდარებლად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ვინმე ლიანა კვარჩელია, რომელმაც 1996 წელს ამერიკაში მიწვევისას ჰარვარდის უნივერსიტეტსა და ამერიკის დაინტერესებულ წრეებში გაავრცელა თითქმის მთლიანად გაყალბებული მოვლენებისა და პროცესების ამსახველი თავისი საკმაოდ ვრცელი სტატია, წერს: „ქართველი პოლიტიკანები ხშირად ირწმუნებიან, რომ აფხაზეთს უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს შემადგენლობაში, ვიდრე რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას ჰქონია რუსეთის ფედერაციაში. ამ იდეის გასამყარებლად ისინი აცხადებენ, რომ აფხაზებს, რომელთა რიცხვი 1978 წლის თანახმად მოსახლეობის 17%-მდე შემცირდა, ჰქონდათ არაპროპორციულად დიდი წილი სახელმწიფო პოსტებზე. ამასთან, ისინი თავს არიდებენ იმ ფაქტს, რომ ყველა მაღალი თანამდებობის პირი თბილისიდან ინიშნებოდა.“[2]

ახლა გვინდა ვკითხოთ ლ. კვარჩელიას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ იმ მონაცემებით აფხაზეთი პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, მაშინ რაღას ეთქმის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა?

რაც შეეხება სახელმწიფო პოსტებზე აფხაზი ეროვნების დიდ წილს, ამას არც თვით ავტორი უარყოფს, მაგრამ მას „ავიწყდება“ ელემენტარული ჭეშმარიტება, როდესაც აცხადებს: ყველა მაღალი თანამდებობის აფხაზი პირი თბილისიდან ინიშნებოდაო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კადრების დანიშვნის ასეთი პრაქტიკა ყოფილ საბჭოთა კავშირში საერთოდ იყო მიღებული, გამონაკლისიც კი არ არსებობდა. განა, ვთქვათ, იგივე თბილისში, ან კიევში, ერევანში, გროზნოში და უკლებლივ ყველგან მაღალი თანამდებობის პირი მოსკოვში არ ინიშნებოდა? უფრო მეტიც, როდესაც თბილისი მაღალი თანამდებობის პირს სოხუმში ნიშნავდა (ამტკიცებდა), ეს

[1] Современные этнические процессы в СССР. М., 1977, с. 273.

[2] გაზ. „საქართველო“, 10-13 იანვარი, 1998.

საკითხი თუ უშუალოდ მოსკოვში არ იყო გადაწყვეტილი, მოსკოვთან აუცილებლად უნდა შეთანხმებულიყო. ასე, რომ ქალბატონო ლიანა კვარჩელია, თბილისი აქ არაფერ შუაშია, და ტყუილად ნუ ცდილობთ უცხოელი მკითხველისათვის თვალში ნაცრის შეყრას. საერთოდ, ყოველი ავტონომიური რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირის დანიშვნის საკითხი წყდებოდა იმ საბჭოთა რესპუბლიკების მაღალ ეშელონებში, რომელშიდაც შედიოდა ესა თუ ის ავტონომიური რესპუბლიკა. საკითხს საბოლოოდ, როგორც წესი, მოსკოვს უთანხმებდნენ. ამ საკითხში რაიმე პრეცედენტი არ ახსოვს 70-წლიან კომუნისტურ რეჟიმს, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში შემუშავებული იყო ხელმძღვანელი ნომენკლატურული კადრების დანიშვნის ერთიანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი სისტემა.

საჭიროა ის საკითხიც გაირკვეს, თუ რატომ მაინცდამაინც მთელს მოსახლეობაში აფხაზების დაბალი ხვერითი წილის გამო ტეხენ აურზაურს აფხაზურ და რუსულ პრესაში? ცნობილია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ავტონომიურ ფორმირებებში ამ მხრივ საქმე მართლაც საგანგაშოა. მაგრამ ამის შესახებ კრინტსაც არავინ ძრავს. მაგალითად, კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1926-1989 წლებში რუსების რაოდენობა 154 ათასიდან 581 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ძირითადად ამის გამო კარელების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 37-დან 10 პროცენტამდე შემცირდა. ამავე პერიოდში კომის ასსრ-ში რუსების რაოდენობა 14 ათასიდან 722 ათასამდე, ანუ 32-ჯერ გაიზარდა, მკვიდრი მოსახლეობისა კი 92-დან 23 პროცენტამდე შემცირდა. მარტო ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე რუსების რაოდენობა ხანტი-მანსის ავტონომიურ ოლქში 90 ათასიდან 848 ათასამდე გაიზარდა, რის შედეგადაც ხანტებისა და მანსების ხვედრითი წილი ამჟამად მთელ მოსახლეობაში ერთ პროცენტსაც ვერარ აღწევს და შესაბამისად 0,9 და 0,5 პროცენტს უდრის. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა ავტონომიურ ფორმირებაშიც.

ახლა სამართლიანი იქნება ასე დავსვათ კითხვაც: ნუთუ კარელებს, კომელებს, ხანტებსა და მანსებს არ აწუხებთ თავიანთი მომავალი, ან რუსული პრესა არ უნდა გამოეხმაუროს ამ, მართლაც, მწვავე პრობლემას? მაინცდამაინც აფხაზებს რატომ გამოუჩნდნენ ასეთი „მზრუნველები?“ პასუხი ერთია: გარკვეულ ძალებს აინტერესებთ არა აფხაზების ბედი, არამედ ის, რომ საქართველოში შექმნან დესტაბილიზაცია, თავის ნებას დაუქვემდებარონ აქ მიმდინარე მოვლენები და პროცესები.

ახლა, ბუნებრივია, ვიკითხოთ, ასე თავგამოდებით აფხაზები რატომ ავრცელებენ უსაფუძვლო აზრს, თითქოს აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობას აფხაზები შეადგენდნენ? ან რატომ აღნიშნავენ საგანგებოდ იმ მოგონილ ამბავს, თითქოს აფხაზეთში ასი ათასობის აფხაზი ცხოვრობდა და ასევე ასი ათასობით გადასახლდა გასულ საუკუნეში თურქეთში? მაშინ რატომ ტეხენ ამდენ აურზაურს ქართველი მოსახლეობის ზრდის შესახებ, როდესაც აფხაზეთში მცხოვრები სხვა ერების ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია.

საქმე ის არის, რომ რაგინდ ბევრნიც უნდა ცხოვრობდნენ აფხაზეთში სხვა ერის წარმომადგენლები, მათ არასოდეს არ ექნებათ პრეტენზია მკვიდრ მოსახლეობაზე. და თუ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა მხოლოდ აფხაზები არიან, მათი აზრით, ადვილია საქართველოდან გამოყოფა. ისინი მოითხოვენ „აფხაზეთი დაუბრუნდეს კავკასიის ფედერაციას, ხოლო კავკასიის ფერედაციას დაუბრუნდეს მისი დედაქალაქი სოხუმი“. მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ სოხუმი არასოდეს ყოფილა კავკასიის ფედერაციის დედაქალაქი, რომ სოხუმი უძველესი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული და აფხაზეთის დედაქალაქის ორივე სახელწოდების (დიოსკურია, ცხუმი) შემოქმედი თავის დროზე მხოლოდ ქართულ-მეგრულ-ზანური და სვანურენოვანი მოსახლეობა იყო. ისინი არაფერს ამბობენ არც იმაზე, თუ რას წარმოადგენს ეს არარსებული თვითმარქვია კავკასიის ფედერაცია. ქართველი ხალხის პოზიცია კი ამ საკითხში ცნობილია — იგი არასოდეს არავის მისცემს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უფლებას.

ისტორიის დამახინჯება, მისი ფალსიფიცირება არ ემსახურება არც ქართველი და არც აფხაზი ხალხების ინტერესებს. იგი ხელს არ უწყობს ერებს შორის ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების განვითარებას, აღვივებს მავნე, ფსევდოპატრიოტულ გრძნობებს, თესავს უნდობლობასა და მტრობას ერებს შორის, რასაც სიკეთე არასოდეს და არავისთვის მოუტანია.

მართალია, ძნელია ყველაფრის დავიწყება, მაგრამ „რაც იყო — იყო, ჯობეთია მოსაგონებლად“. მთავარი ის არის, რომ ქართველი ხალხი არ აერთიანებს აფხაზი ექსტრემისტების „ნამოღვაწარს“ აფხაზ ხალხთან და მას სურს დაიჯეროს, რომ ის რაც მოხდა არ გამოხატავს აფხაზი ხალხის საერთო განწყობას.

III.3. ოსების ჩამოსახლება, რიცხოვნობა და განსახლება

საქართველოში ოსების თავდაპირველი შემოსვლა მონღოლთა და თემურ-ლენგის მიერ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბევამ და განადგურებამ განაპირობა; ამ შემოსევების შედეგად ოსები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და თავი შეეფარებინათ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო მონღოლთა შემოსევების და ბატონობის გამო უაღრესად დასუსტდა, მნიშვნელოვნად შემცირდა ბარის მოსახლეობა. ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა შიდა ქართლის მიდამოებში ოსების სამხედრო რაზმების შემოსელისათვის. ეს მონღოლთა ინტერესების სფეროშიც შედიოდა, რომელთაც ოსები საყრდენ ძალად მიაჩნდათ საქართველოში თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის გასატარებლად. მართლაც, როგორც ქართველი მემატიანე, ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, 1292 წელს „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვენად ქართლისა“.

XIV საუკუნის დამდეგს, როდესაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ერთიანად გაწმინდა საქართველო მონღოლებისაგან, ოსთა მოთარეშე რაზმებიც გაანადგურა და საქართველოდან განდევნა; თუ ჟამთააღმწერლის სიტყვებს დავესესხებით, გიორგი ბრწყინველემ „განასხნა და აღხფურნა“ ოსები. ამის შემდეგ, თითქმის მთელი ორი საუკუნე ქართული წყაროები ოსთა კომპაქტურ მასებს აღარ მოიხსენიებენ.

როგორც სათანადო ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ოსთა ახალშენები ქართლის მთიანეთში XVII საუკუნის შუახანებიდან წარმოიქმნა. ამას საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის ცნობაც ადასტურებს 200-მდე ოსის იმ ადგილებში დასახლების შესახებ. ოსები XVII-XVIII საუკუნეებში თანდათანობით გადმოდიან საცხოვრებლად ქართლის მთიანეთში. მაგრამ აქ მათ მწირი მიწა და არსებობისათვის მეტად შეზღუდული, არახელსაყრელი პირობები დახვდათ. როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, ამ ადგილების „ნაყოფიერება ... არს მცირედი“, ოსები მარცვლეულს „ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო“. ამიტომ ბუნებრივი იყო ოსების ლტოლვა სამხრეთისაკენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მტრებთან გამუდმებულ

ბრძოლებში ქართლის მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა და მათი შევსება მთის ქართველი მოსახლეობით ხდებოდა. ქართველთა ნასახლარ ადგილებს კი ოსები ეპატრონებოდნენ. ასეთი პროცესი უცხო არც ჩვენს საუკუნეში ყოფილა. ცნობილია, რომ კავკასიონის აღმოსავლეთი მთიანი რეგიონიდან ქართველების მასობრივად ბარში ჩასახლების შედეგად იყო ჩრდილო კავკასიიდან მოსახლეობის თვითნებურად გადმოსვლისა და ქართული ტერიტორიების დაკავების ცდები.

ზემოთ აღნიშნული პროცესი სათანადო წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელის მიხედვით, ამოწყვეტილი ჩანს სოფელ ზემო ჯავის მოსახლეობა, რომელიც შემდგომში მაჩაბლებმა ოსებით დაასახლეს. ეს პროცესი არც ვახუშტი ბაგრატიონს გამორჩენია მხედველობიდან: „რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.[1]

ამრიგად, ამ პერიოდში ქართლის მთიანეთში ქართველთა ნასახლარებზე ოსები მკვიდრდებიან. აანალიზებს რა ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს, ჯ. გვასალია სამართლიანად მიუთითებს, რომ „ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო“. ოსებით დასახლებული ტერიტორია იმ პერიოდში თანამედროვე ავტონომიური ოლქის მხოლოდ მთიან ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა.

ოსების ქართლის შიდა დაბლობში ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება და ეს პროცესი დღემდე გრძელდებოდა. ამას, ოსების ქართლის ნაყოფიერ ველებზე დასახლების სწრაფვასთან ერთად, ხელს უწყობდა ზოგიერთი ქართველი ფეოდალის ინტერესებიც, გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად დაცლილ მამულებში ყმა გლეხთა გამრავლება; სწორედ ამაზე მიუთითებს ერეკლე მეფის მდივნის იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“ მოტანილი ერთი ცნობაც: „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად, ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა, — ეგების ყმა გაგიმრავლდესთ“.

საერთოდ XVII - XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლება ჩრდილოეთ ოსეთიდან — მათი ისტორიული სამშობლოდან — მასობ-

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ.363-364.

რივად 1860 წლიდან იწყება. ამის შესახებ სანდო წყაროებზე დაყრდნობით უტყუარ ცნობებს გვაწვდის ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედია. კერძოდ, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 47 ათასს უდრიდა, ხოლო საქართველოში, კერძოდ, ქართლის მთიანეთში 19 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე რომ, ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ 1833 წელს რუსეთის იმპერიაში 36 ათასი ოსი ცხოვრობდა და თუ ზემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა იმავე ენციკლოპედიაში მოტანილი ცნობა 1880 წლისათვის ოსების რაოდენობის შესახებ. ეს რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. კერძოდ, 1889 წელს ჩრდილოეთ ოსეთში 59 ათასი, ხოლო საქართველოში უკვე 52 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე რომ, ოცი წლის განმავლობაში – 1860 წლიდან 1880 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ. აქ ისაა საყურადღებო, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 47 ათასი ოსი 20 წლის მანძილზე მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში გაცილებით მცირე რაოდენობით მცხოვრებმა ოსებმა, კერძოდ, 19 ათასმა, 33 ათასით მოიმატა. მოსახლეობის ასეთ ბუნებრივ მატებას, ესოდენ მცირე პერიოდში, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობით გადმოდიან. ჩვენ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ საცხოვრებლად გადმოსული ოსების რაოდენობა. კერძოდ, ცნობილია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში ყოველ ათას ოს მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ წელიწადში 35,7 ბავშვი იბადებოდა და 14,3 კაცი კვდებოდა.[1] ასე რომ, ბუნებრივი მატება ოსებში ყოველ ათას სულზე 21,4 კაცს შეადგენდა. ამასთან, თუ 1860 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათასს, ხოლო 1880 წელს 52 ათასს უდრიდა, მაშინ ამ პერიოდში საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით 35 ათასი ოსი ცხოვრობდა; ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ოსების ბუნებრივი მატება 749 კაცს შეადგენდა (35X21,4), ხოლო 20 წლის მანძილზე 14980 კაცს. ამდენად, თუ 1860-1880 წლებში ოსების რაოდენობა საქართვე-

[1] Сборник сведений о Кавказе, т. IX, Тифлис, 1885, с. 238, 267.

ლოში 33 ათასი კაცით გაიზარდა და აქედან ბუნებრივი მატება 14980 კაცს შეადგენდა, მაშინ, ცხადია, დანარჩენი 18020 ოსი, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენი ოსიც საერთოდ ცხოვრობდა საქართველოში 1860 წელს, გადმოსახლებულია ჩრდილოეთ ოსეთიდან. აქ ერთი არსებითი მომენტიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1870-იან წლებში საქართველოში მცხოვრებ ყოველ 1000 ოსზე წლის განმავლობაში 14,3 ოსი კვდებოდა. მოკვდაობის ეს მაჩვენებელი იმ პერიოდისათვის უაღრესად დაბალია. ყოველ ათას კაცზე სხვა ერის წარმომადგენლები თითქმის 2-ჯერ მეტი კვდებოდა. ამ მოვლენის ასახსნელად ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოდიოდა ძირითადად მხოლოდ ახალგაზრდა და აგრეთვე შუა ხნის ასაკის მოსახლეობა, რომელთა შორის მოკვდაობა დაბალია.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსები მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან და ამაში არავითარ შეზღუდვას არ განიცდიან. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ახლანდელ ქარელის რაიონში, ბორჯომის რაიონში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვა; როგორც სათანადო დოკუმენტები ცხადყოფენ, გასული საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც იქმნება.

ოსების ინტენსიური დასახლება ქართლისა და კახეთის ბარის ტერიტორიაზე მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. თუ 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათას უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ, 1989 წელს უკვე საქართველოში ოსების რაოდენობამ 164 ათასი შეადგინა და მათ შორის 65 ათასი ყოფილ ოლქში, ხოლო თითქმის 100 ათასი მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობდა.

თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავაანალიზებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას ის გარემოება მიიპყრობს, რომ 1926-1989 წლებში ყოფილ ავტონომიურ ოლქში ოსების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა – 4,8 ათასით, ანუ 8 პროცენტით, ხოლო ოლქის ფარგლებს გარეთ საქართველოში კი – 47 ათასით, ანუ 87 პროცენტით. ეს იმის შედეგია, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გადადის საცხოვრებლად. ასე რომ, ოსების მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური ათვისება მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა.

სწორედ ამის შედეგად 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ოსები ქარელის რაიონში შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 15 პროცენტს, ახმეტის რაიონში — 11 პროცენტს, გორისა და კასპის რაიონებში ათ-ათ პროცენტს, ლაგოდეხისა და ბორჯომის რაიონებში — რვა-რვა პროცენტს, ქალაქ გორში — 12 პროცენტს და ა.შ. დიდად გაიზარდა ოსების რაოდენობა თბილისში. თუ 1886 წელს თბილისში 314 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1922 წელს — 1446, ამჟამად დედაქალაქში 33 ათასი ოსი ცხოვრობს, ე.ი. ერთ საუკუნეში თბილისში ოსების რაოდენობა 105-ჯერ გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი 60 წლის მანძილზე — 23-ჯერ. მართლაც, როგორც 1989 წლის მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, თბილისში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ ნახევარია (16 ათასი) თბილისში დაბადებული. თვით ყოფილი ოლქის დედაქალაქ ცხინვალში გასულ საუკუნეებში ოსებს არასოდეს უცხოვრიათ. იგი ყოველთვის ქართული ქალაქი იყო.

ცხინვალსა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ცხინვალი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიისა და საქალაქო წყობის ცნობილი მკვლევარის შ. მესხიას აზრით ცხინვალი წინა ქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

სახელწოდება ცხინვალი წარმოდგება მცენარე რცხილადან. ძველ ქართულში ამ მცენარეს ქრცხილას უწოდებდნენ, ამიტომ ძველ ქართულ წყაროებშიც ცხინვალი მოიხსენიება ქრცხინვალის სახელწოდებით. 1344 წლის ერთ-ერთ სიგელში იგი მოხსენიებულია როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი, რასაც, უეჭველია, მისი ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს. ხოლო როგორც ქალაქი, ცხინვალი პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენიება. ისტორიული წყაროების ცნობებით XIV-XVI საუკუნეებში ცხინვალი დასახლებული იყო სვეტიცხოველის მონასტრის ყმებით. მცხეთის კათალიკოსს მე-18 საუკუნეშიც ჰყავდა ცხინვალში ყმა ვაჭრები.

ბატონიშვილ ვახუშტის მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია მხოლოდ ორი — თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს“ წარმოადგენდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქართული პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი თავის „გეორგინულ ისტორიაში“ ცხინვალს „ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს“. ამ პერიოდში იგი სამეფო ქალაქად ითვლება.

ცხინვალს, როგორც ქალაქს, ჰქონდა სასიმაგრო ნაგებობანი.

ოსების რაოდენობა ოსებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხინვალის რეგიონის გარდა 1970-1989 წლებში (ათასობით)

	1970 წელი						1989 წელი					
	სულ მოსახლეობა		მათ შორის				სულ მოსახლეობა		მათ შორის			
			ქართველი		ოსი				ქართველი		ოსი	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
თბილისი	891.9	100.0	514.2	57.7	21.8	2.4	1246.9	100.0	824.4	66.1	33.2	2.7
რუსთავი	98.2	100.0	55.2	56.2	3.2	3.3	159.0	100.0	103.5	65.1	5.6	3.5
გორი	48.2	100.0	33.5	69.5	5.8	12.0	67.8	100.0	52.2	76.9	8.2	12.1
ახმეტის რაიონი	40.9	100.0	35.9	87.8	4.4	10.8	42.2	100.0	32.4	76.8	4.7	11.1
ბორჯომის "	39.7	100.0	26.0	65.5	3.8	9.6	38.9	100.0	28.1	72.0	3.3	8.5
გორის "	76.6	100.0	69.2	90.3	5.8	7.6	81.7	100.0	72.0	88.1	7.8	9.6
დუშეთის "	37.1	100.0	34.3	92.5	2.0	5.4	37.5	100.0	34.7	92.4	1.8	4.8
თეთრიწყაროს "	36.9	100.0	16.0	43.4	2.3	6.2	36.5	100.0	16.7	45.9	1.3	3.6
კასპის "	54.1	100.0	44.3	81.9	5.4	10.0	55.6	100.0	45.5	81.9	5.6	10.1
ლაგოდეხის "	52.8	100.0	33.7	63.8	5.5	10.4	54.2	100.0	34.7	64.0	4.5	8.3
მცხეთის "	39.4	100.0	33.6	85.3	1.8	4.6	62.6	100.0	53.6	85.6	2.5	4.0
ქარელის "	49.5	100.0	37.1	75.0	9.0	18.2	50.7	100.0	39.9	78.7	7.8	15.4
ყვარლის "	41.6	100.0	36.4	87.5	1.3	3.1	42.6	100.0	36.3	85.3	1.2	2.8
ზაშურის "	62.5	100.0	53.2	85.1	3.1	5.0	65.8	100.0	60.1	91.3	2.6	4.0
საქართველო	4686.4	100.0	3131.0	66.8	150.0	3.2	5400.8	100.0	3787.4	70.1	164.0	3.0

სათანადო საბუთებში მოიხსენიება ცხინვალის ციხე და „ქრცხინვალის გალავანი“, რომელიც საგანგებო თხრილითაც ყოფილა გამაგრებული. როგორც შ. მესხია აღნიშნავს, გვიანფეოდალურ საქართველოში ქალაქებს, რომლებსაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები, კოშკები) მიეკუთვნებოდა თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ცხინვალი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის გადმოცემით, გიორგი სააკაძე იყო „მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა“. ამასთან ცხინვალის მოურავობა მეფეთაგან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბოძებული ჰქონდათ ამილახვართა სათავადო გვარის წევრებს ამილახვრიშვილებს. თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ცხინვალს მოურავი არ ჰყავდა და მის მოვალეობას სხვა მოხელე ასრულებდა. სწორედ ამის შესახებ მეტყველებს 1766 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლის თანახმად სამოურავო გამოსაღებს მეფე და ცხინვალის ციხისთავი იყოფდნენ.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ და ბევრ სხვა დოკუმენტსა და საბუთსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ცხინვალი სხვა ქალაქებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მე-18 საუკუნის და უფრო ადრეული პერიოდის ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1770 წლის აღწერით ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. სამაგიეროდ, სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული წყაროებით და საბუთებით ჩვენთვის ზედმიწევნით ცნობილია მისი ეროვნული შემადგენლობა.

როგორც ჩანს, აქ უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხებიც. მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელს აქ არასოდეს უცხოვრია. როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „დიდის ლიახვის კიდეზედ არის მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“.[1] ანალოგიურ ცნობას ვხვდებით ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალშიც“. კერძოდ, ცხინვალის მოსახლეობა ვალდებული იყო მეფისათვის ყოველწლიურად ეძლია ღვინო 28 კოკა, დაემუშავებინა ბატონის ვენახი და სხვა; ამასთან მათ „ზოგჯერ კვერნა შეეწერება, ქართველმა, სომეხმა, ურიამ უნდა გამოიღოს; რაც იქ მოსავალი

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ.370.

მოვა იმათვე მოიტანონ.“[1]

ამასთან, ცხინვალი და საერთოდ მთელი შიდა ქართლი ქართულ წყაროებში ყოველთვის განიხილება, როგორც ქართლის განუყოფელი ნაწილი. მაგალითად, ამის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგს აღნიშნავს: „იდგა რა მეფე ლუარსაბ (საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II-ზე, რომელიც 1606-1614 წლებში მეფობდა-ა.თ.) ქცხილვანს, რამეთუ ჟამად მოვლიდიან თუისთა ქვეყანათა ყოველთა“.[2]

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ რამ განაპირობა ცხინვალში ქართველებთან ერთად ებრაელებისა და სომხების შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრება. ცხინვალი, ისე როგორც ონი, სადაც ასევე ადრიდანვე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან, ქართლიდან და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე და ამდენად თავიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს. სომხები და ებრაელები კი, როგორც ცნობილია, საქართველოს ქალაქებში ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ.

არც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ ცხინვალში ისევ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. მართალია, ამ პერიოდში იგი უკვე ქალაქად არ მოიხსენიება, მაგრამ ცხინვალი ყველგან აღინიშნება როგორც ქართული სოფელი. კერძოდ, ამას აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები რუსი მოხელეებიც.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებდნენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე. ძარცვა-გლეჯაზე და ქართველების მკვლელობაზე. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ისინი გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ

[1] „დასტურლამალი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა, თბ., 1888, გვ.122.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ.421.

ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გავხადოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ ძარცვის დროს.[1]

როგორც ჩანს, ისე ხშირი იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამიანთა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმოსოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ „სავაჭროდ ჩასვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში, მიეცეთ სპეციალური ბილეთი თავად რევაზ მაჩაბლისა და ერისთავისაგან“.[2]

ამრიგად, რუსი გენერლები ცხინვალს ქართულ სოფლად ასახელებენ, სადაც ოსებს სპეციალური ნებართვის – ბილეთის გარეშე შესვლა აკრძალული ჰქონდათ.

ახლა თუ მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა უფრო ნათელი გახდება. კერძოდ, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135 – ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 – სომეხი.[3]

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და ოსებს ოლქის დედაქალაქად ცხინვალი უბოძეს. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედვით, ცხინვალში უკვე ძირითადად მთის სოფლებიდან ჩამოსული 613 ოსი ცხოვრობდა. ეს იქიდან ჩანს, რომ აღწერის მიხედვით ცხინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც კი არ უცხოვრია ცხინვალში.[4] სულ ქალაქ ცხინვალის მოსახლეობა 4543 კაცს უდრიდა და მისი მოსახლეობის უმეტესობას ისევ ქართველები (1436 კაცი), ებრაელები (1651 კაცი) და სომხები (1765 კაცი) შეადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად. ამას განსაზღვრავს უკვე ცხინვალის, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მოთავსებული მმართველობითი ორგანოების ეროვნული კადრებით

[1] Акты Кавказской археографической комисии, т.VI, Тифлис, 1874 г. с. 690.

[2] იქვე

[3] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

[4] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი 1, ნაკვეთი 2, ტფილისი, 1923, გვ. 36.

დაკომპლექტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტომონიური ოლქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაქცევის საჭიროება. უკვე 1926 წელს ცხინვალის მოსახლეობა 5818 კაცს შეადგენდა. აქედან ქართველი 1920 კაცს, ოსი – 1152, ებრაელი – 1772 და სომეხი – 827 კაცს უდრიდა. მართალია, ამ აღწერის მიხედვით ცხინვალში ოსებს ქართველები ჯერ კიდევ დიდად ჭარბობენ, მაგრამ შემდეგ წლებში რაოდენობრივი თანაფარდობა ქართველებსა და ოსებს შორის სწრაფად იცვლება ოსების სასარგებლოდ. უკვე 1959 წელს ცხინვალში 4652 ქართველი და 12432 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 6905 ქართველი და 31537 ოსი. ასე რომ „დიდი ლიახვის კიდეზე" მდებარე უძველესი ქართული ქალაქი თითქმის მთლიანად გაოსდა. აქ რაოდენობრივი თანაფარდობის მკვეთრ დარღვევასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ცხინვალი, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, თითქმის მარტოოდენ ოსური კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ამჟამად ოსი ექსტრემისტების „მოღვაწეობისა" და ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტის შედეგად ცხინვალი ქართული მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა. ზუსტად არ არის ცნობილი რამდენმა კაცმა დატოვა ქალაქი, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ცხინვალში დღესდღეობით ქართველი აღარ ცხოვრობს.

ახლა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შეთანხმებათა შედეგად მშობლიურ კერას უბრუნდებიან ლტოლვილები. ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანა-

ცხინვალის მოსახლეობა

	1886	1922	1926	1959	1970	1979	1989
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
ებრაელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	–	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	–	64	114	1583	1180	1737	1836

არსებობას ითხოვს და ეს მისი სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. მას სჯერა, რომ აქ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად

გვიჩვენებენ, რონ ქართველ კაცს ოსები ცხინვალში უშურველად მიუღია და მათთვის კეთილმეზობლობაც გაუწევია. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, „ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს.“

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას კითხვა, თუ რამ განაპირობა დღეს არსებული ვითარება ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში. უპირველეს ყოვლისა, ეს იმის შედეგია, რომ ათეული წლების მანძილზე ეროვნულ და ეროვნებათშორის სფეროში დაგროვილ მტკივნეულ პრობლემებზე ნაკლებად ვზრუნავდით, აშკარად უგულვებელვყოფდით ისტორიულ ფაქტებს. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურად შექმნა და მისი საზღვრების ასევე ხელოვნურად დადგენა. თვითმიზნად დავისახეთ ყოველივე იმის ლანძღვა, რაც გაკეთდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის. ცოდვად ჩავუთვალეთ ქართველ მენშევიკებს საქართველოში დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წინასწარ პროვოცირებულ ოს ექსტრემისტთა გამოსვლების მიმართ განხორციელებული ღონისძიებები, მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართულ და განსაკუთრებით ოსურ ლიტერატურაში იწერებოდა იმის შესახებ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მენშევიკური გვარდიის რაზმებმა, რომლებიც უპირატესად ნაციონალისტური ელემენტებისაგან იყო ჩამოყალიბებული, დაარბიეს სამხრეთ ოსეთი. მოსახლეობის ნაწილი გაუელიტეს, ნაწილი კავკასიონის მთებს იქით ჩრდილოეთ კავკასიაში გადარეკეს. როგორც წესი, ეროვნული საკითხების განხილვის დროს მოყავდათ ს. ორჯონიკიძის აბსურდული ციტატა იმის შესახებ, თუ როგორ რწყავდნენ მენშევიკი შოვინისტები მთა-ველს საცოდავი სამხრეთელი ოსების, აჭარლებისა და აფხაზების სისხლით. ამავე დროს, როგორც ცნობილია, ისტორიულად ქართველებს ოსების მიმართ ძალმომრეობისათვის არასოდეს მიუმართავთ, არც მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირველდამწყების როლში არასოდეს გამოსულან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1918-1920 წლებში „სამხრეთ ოსეთში“ ძირითადად ოს ექსტრემისტთა პოლიტიკური ავანტიურიზმის შედეგად მოეწყო აჯანყებები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომელთა მთავარი მიზანი იყო საქართველოდან ქართული ტერიტორიების გამოყოფა, ამიერკავკასიის კომისარიატმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიცვეს თავიანთი კანონიერი უფლებები. ამის შედეგად „ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს, შემდეგ ქართველთა მიერ დაღვრილი ოსების სისხლიც შეემატა.“

ყოველივე აღნიშნულთან ერთად დეფორმაცია განიცადა ოსე-

ბის ეროვნულმა პატრიოტიზმმა. ეროვნული ქედმაღლობისა და უპირატესობის შესახებ გაივსო ოსური პრესა. ლამის ყველა ქართული გვარი ოსურად მონათლეს; ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ოსად გამოაცხადეს. თვით გიორგი სააკაძეც კი წარმოშობით ოსად მიიჩნიეს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად ოსი გამოაცხადეს. მართალია, სამშობლოს ბოლიც ტკბილია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ეს საზღვარი კი დაიკარგა. როგორც გაზეთ „სოვეტსკაია ოსეტიაში“ (21 დეკემბერი, 1989წ.) აღნიშნავდნენ: ოს ხალხს აქვს უძველესი, ვიდრე ბევრ სხვა მეზობელ ხალხს, ისტორია, ისინი სკვითების უშუალო შთამომავლები არიანო. ამავე დროს, როგორც ამ დარგის რუსი სპეციალისტი ა. სმირნოვი აღნიშნავს, „სკვითებს არ დაუტოვებიათ პირდაპირი მემკვიდრეები, მაგრამ მათმა ხელოვნებამ ბევრი ხალხის კულტურაზე მოახდინა გავლენა. ერთ-ერთი მემკვიდრენი ჩვენცა ვართ. სკვითების როლის შეფასებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ მათ პირველად ჩააყენეს ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი ხალხები ერთიანი განვითარების კალაპოტში, აზიარეს ისინი მაშინდელ მოწინავე კუტურას“.[1] ამასთან, ნართები, რომელსაც ოსურ ეპოსად აცხადებენ, მონუმენტური კავკასიური ეპოსია, კავკასიის ხალხთა საზიარო ქმნილებაა. არსებობს ნართების აფხაზური ვერსიებიც, და როგორც მიუთითებენ, მას შეიძლება ეწოდოს „ოსურ-აფხაზური ეპოსი“.

ყალბად გაგებულმა პატრიოტიზმმა ის შედეგი გამოიღო, რომ ოსი სეპარატისტული ძალები და ოსი ექსტრემისტები ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის, ცდილობდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეპირისპირებინათ ქართველი და ოსი ხალხები. ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩვენც წლების მანძილზე ყურადღებას არ ვაქცევდით ეროვნული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, ვერიდებოდით სიმართლის თქმას ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხთა განსახლების ობიექტური მიზეზების შესახებ, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ „ინტერნაციონალიზმის“ პოზიციებიდან განვიხილავდით. ეს თითქმის ბოროტმოქმედების ტოლფასი გახდა და ფილოსოფოსის თქმისა არ იყოს, ერთმა ბოროტმოქმედებამ გზა გაუხსნა მეორეს. ოსი ექსტრემისტების წყალობით ქართველები ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, თავის საკუთარ მიწაზე ლტოლვილები გახდნენ. ათასობით ქართველი იძულებული შეიქმნა თავის წინაპართა კერა მიეტოვებინა და საშინელ სიცივესა და უსახსრობაში ქართლის რაიონებისა და თბილისისათვის შეეფარებინა თავი. მათი სახლების უმეტესობა ან დაანგრიეს ან მთლიანად გადაწ-

[1] А.П.Смирнов, Скифы, М., 1966, с. 184.

ვეს. ასე დაუფასდა ქართველ კაცს ისტორიულად ოსების მიმართ გაწეული ამაგი, მათი საკუთარ მიწაზე დასახლება და ხელშეწყობა, ოსთა მხრიდან უკვე წლების მანძილზე დაუსაბუთებელი პრეტენზიებისადმი წაყრუება. ჩვენვე შემოგვიბრუნდა ჩვენი წინაპრის შეგონებით გაუთავებელი ხელმძღვანელობა: „ჩემს მეზობლებთან მტრობასა ისევ მოთმენა ვირჩიე“. სწორედ ამ დათმობა-მოთმენამ, იმან, რომ სიმართლე მთელი ზომით თავის დროზე არ ითქვა, ჩვენდა სამწუხაროდ, კარგი ნაყოფი ვერ გამოიღო.

აი ასეთ დროს რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხოლოდ იმას ხედავდნენ, თუ როგორ ხოცავენ თითქოს ქართველები ოსებს, როგორ აწიოკებენ ქართველები ცხინვალის მოსახლეობას, როგორ არბევენ ისევ ქართველები საზოგადოებრივ შენობებს და სხვ. მათ არ სურთ მოვლენებს თავიანთი ნამდვილი სახელი უწოდონ და ამდენად სიტყვასაც არ ძრავენ იქ ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი საშინელი ძალადობის შესახებ.

როგორც ცნობილია, დონი ოსური სიტყვაა და წყალს ნიშნავს. ამბობენ, აქედანაა წარმომდგარი მდინარე დონისა და ოსების ისტორიულ სამშობლოში არსებული მდინარეების გიზელდონის, ფიაგდონის და არდონის შესატყვისობები და ამ უკანასკნელის შესატყვისი არდონის ხეობაც. ასევე ოსურ წარმოშობისად თვლიან მდინარეების დნეპრისა და დნესტრის სახელწოდებებსაც. ზოგიერთების ფანტაზია უფრო შორს მიდის და ლონდონსაც ოსური წარმოშობის ქალაქად მიიჩნევს. ეს მათი საქმეა. დონი, არდონი, ფიაგდონი, ლონდონი... და საერთოდ რაც ქვეყანაზე დონები და დონის შემცველი სიტყვებია ყველა ოსური ყოფილიყოს და მშვიდობაში მოახმაროთ. ჩვენ მათ მოცილე არასოდეს გავუხდებით. თუმცა ესეცაა: საქართველოში არც ერთი დონი, არდონი, გიზელდონი, ფიაგდონი და საერთოდ არავითარი დონის შემცველი ტოპონიმი არ გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს. ისინი მხოლოდ ოსების ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთშია გავრცელებული და ეს ასეც უნდა იყოს.

ყოველივე ეს სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისტორიულად ოსებს საქართველოში არასოდეს უცხოვრიათ. ამიტომაა, რომ კავკასიონის წყალგამყოფმა ქედმა ოსური ტოპონიმები მხოლოდ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეს სათავედადებულ უამრავ მდინარეთა სახელწოდებებში შემოინახა, ხოლო იქვე სამხრეთით, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი დონის შემცველი მდინარის სახელწოდება არ გვხვდება და წყლისა და ხმელეთის ყველა სახელწოდება მხოლოდ ქართული სიტყვით გამოიხატება.

ახლა თუ ისევ განსახილველ საკითხს დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-19 საუკუნემდე არავითარი ისტორიული დოკუ-

მენტი არ არსებობს, სადაც შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდეს. წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა რომ ეთქვა ოსეთში ვცხოვრობო, რადგან მან კარგად იცოდა: ქართულ მიწაზე ხიზნად იყო დასახლებული. შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო. ერეკლე მეორე ერთ-ერთ დოკუმენტში აფრთხილებს ორგულ ოსებს, თუ ჩემს ბრძანებას არ დაემორჩილებით „ისეთს რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს გვარსლა გავუშვებთო“. დიახ, შიდა ქართლი „ჩვენი მამული“ იყო ყოველთვის, მაგრამ ჩინოვნიკები არც ერთ ეპოქას არ აკლდა და გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ისინი ხელოვნურად და წინასწარგანზრახულად შეთხზულ ტერმინებს — „ჩრდილოეთ ოსეთსა“ და „სამხრეთ ოსეთს“ ამკვიდრებენ ხმარებაში. ასე რომ, გარკვეულ ძალებს ყოველთვის აწყობდათ ოსეთის ასეთი დაყოფა კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ასეთმა ძალებმა მიგვიყვანეს დღეს არსებულ კონფლიქტამდე. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ეს იმას ჰგავს, რომ საქართველოს რაიონებს, სადაც ამჟამად სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები ცხოვრობენ შესაბამისად ვუწოდოთ ჩრდილოეთი სომხეთი, დასავლეთი აზერბაიჯანი ან აღმოსავლეთი საბერძნეთი. ბუნებაში მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსეთი არსებობს და მას თავისი ისტორიული სახელწოდება „ოსეთი“ უნდა დაუბრუნდეს ყოველგვარი თავსართი „ჩრდილოეთის“ გარეშე.

ჩვენს ქვეყანაში ერთაშორის ურთიერთობების გამწვავებას დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რუსეთის ექსტრემისტულმა ძალებმა ნამდვილი ინფორმაციული ომი გამოგვიცხადა. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეცვათ ვითომდა ოსების კანონიერი ინტერესები. ამით ასრულებდნენ დესტაბილიზაციის როლს, ნავთს ასხამდნენ ცეცხლზე, რომლის მინავლებასაც ასე მოთმინებით და გულმოწყალებით ცდილობდა მთელი ქართველი ერი. „ვთქვათ მრავალთაგან მცირედი“.

1991 წლის გაზეთ „ტრუდის“ 16 და 17 მაისის ნომრებში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ს. ჩერიომინის სტატია „პირისპირ დგომა“ ეს სტატია ჩვენ მოგვაქვს როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ ცხებდნენ ჩირქს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქართველ ხალხს. თავის დროზე უამრავი ასეთი სტატია გამოქვეყნდა, თუმცა მათთვის საჭირო მომენტში არც ამჟამად გვაკლია ანალოგიური ხასიათის სტატიები. შეიძლება ითქვას, ამ წლების მანძილზე მათ ერთი სტატიაც ვერ გაიმეტეს, სადაც ობიექტურად იქნება გაშუქებული საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ს. ჩერიომინს წინასწარ აკეიატებული აზრები იმდენად აწუხებს, რომ მკითხველი

ადვილად ხედავს აშკარად შენიღბულ ზრახვებს, ხელოვნურად შეთითხნილ ვერსიებსა და ფაქტებს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უაზრობისა და ულოგიკობის ტყვეობაში აღმოჩნდა. ამდენად ს. ჩერიომინსა და გაზეთ „ტრუდის“ რედაქციასაც მონდომებამ უქმად ჩაუარა, რადგან „დათხუპნული დახატული არაა.“

ავტორს ისე მოუვიდა როგორც ერთ დაღესტანელს, რომელმაც შეყვარებული ნაბადში გაახვია და ისე მოიტაცა, მაგრამ ნაბადი რომ გახსნა, თავისი შეყვარებულის უკბილო ბებია შერჩა ხელთ.

ამჯერად ზედმიწევნით გამართლდა ძველი ლათინური გამოთქმა: ჭეშმარიტება სიძულვილს შობსო; ამ სიძულვილმა ისე დააბნელა ს. ჩერიომინის გონება, რომ საბოლოოდ, ავტორის დიდი სურვილის მიუხედავად, დაემალა თავისი ნამდვილი სახე, აშკარად ტენდენციური და უკბილო პუბლიკაცია შეგვრჩა ხელთ.

ს. ჩერიომინი ცინიკურად შენიშნავს, რომ ქართველი მეცნიერები იქექებიან არქივებში წინაპრების ვინაობის დასადგენად, მაგრამ მათ ამოძრავებთ არა მეცნიერული ინტერესები, არამედ იმის სურვილი, დაამტკიცონ, რომ ქართულ მიწაზე ოდითგან მცხოვრები ხალხები აქ „სტუმრები“, „უცხოელები“ არიან. აქვე ს. ჩერიომინი ისევ აგრძელებს ქილიკს: თავისთავად „ბინადრობის ცენზის“ შესახებ კამათი და ლაპარაკი სქოლასტიკური ოინბაზობაა. როგორია დროის ის კრიტერიუმი — ასი, ორასი, ათასი წელი, — რომლის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ სტუმარია თუ არა ესა თუ ის ადამიანი ამ მიწაზე?

ავტორი უსირცხვილოდ ცილს სწამებს მეცნიერებს, რომლებიც თითქოს ნაციონალიზმის სულ უფრო ფართოდ აალებად კოცონზე მეთოდურად ასხამდნენ ნავთს და ამით იმკიდნენ სახელსა და დიდებას დემოგრაფიულ სარბიელზე.

ს. ჩერიომინისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ ცხოვრობდა ისტორიულად ამა თუ იმ ტერიტორიაზე, არც იმას, თუ როგორია მკვიდრი ერების განვითარების პერსპექტივები თავის სამშობლოში და რა ბედი ეწევა მათ მომავალში. მაგრამ ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, თუ წარსულს დამბაჩას ესვრი, მომავალი ზარბაზნით გაგეპასუხება. ს. ჩერიომინს სრულებითაც არ აწუხებს თუ სხვა ერი მომავალში ზარბაზნის სროლას ვერ ასცდება. სამაგიეროდ, თავის წისქვილზე აკრძალული ხერხებით წყლის დასხმას სრულებითაც არ ერიდება.

ს. ჩერიომინს დიდ ცოდვად მიაჩნია ქართველი მეცნიერების მიერ წინაპრების ვინაობის დადგენა, მაგრამ როდესაც თვითონ მართლაც აბსურდულ სტატიებს აქვეყნებდნენ თავიანთი წინაპრებისა და მათი ვინაობის შესახებ, არავის ეყო მათგან მეცნიერული სინდისი ეთქვა სიმართლე. აი, რას წერდა, მაგალითად, ჟურნალი „ტეხნიკა

მოლოდიოჟი“ (№8, 1977წ.) ამ რამდენიმე წლის წინ: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში კიმერიულ-სლავიანური რაზმები ფრაკიისა და ბოსფორის გავლით იჭრებოდნენ მცირე აზიაში, ხოლო სამხრეთი რუსეთიდან დარიალის ხეობით ამიერკავკასიაში შედიოდნენ... მალე ურარტუს სათავეში მოექცა მეფე რუსა I (მე-8 საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე). კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით თბილი წყაროების ახლოს დაარსდა საყრდენი პუნქტი ტეპლიცე, შემდგომში ტიფლისი (ამჟამად თბილისი). შემდეგ სლავებმა აღმართეს სამეგრელოში ციტადელი, რომელმაც მიიღო გორდას სახელწოდება („გოროდ“-იდან, „გრად“-იდან). ამრიგად, გამოდის, რომ თბილისი და გორდა სლავებს დაუარსებიათ. კომენტარები აქ მართლაც, ზედმეტია; ამაზე შორს ვერსად წავა კაცი. მაგრამ თუ მაინც და მაინც უფრო შორს წასვლას დააპირებენ, მაშინ იქნებ მოკლე, უვადო ხმლის „გორდას“ ან კახეთის სამეფოს ძველი დედაქალაქ გრემის ეტიმოლოგიაც გაარკვიონ. ეს უკანასკნელი არ არის გამორიცხული, რომ რუსული სიტყვა „გრემეტ“-იდან იყოს წარმოშობილი.

ახლა გავეცნოთ ს. ჩერიომინის მიერ მოტანილ მთლიანად არაფრისმთქმელ მონაცემებს, რომლებიც, მისი აზრით, თითქოს გვიჩვენებენ თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ და იჩაგრებიან ოსები საქართველოში. არავინ არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ იფიქროს ს. ჩერიომინს, მართლაც, გული შესტკიოდეს ოს ხალხზე. მას მხოლოდ იმპერიული მიზნები ამოძრავებს, ცდილობს დაუბნელოს ასეთი პუბლიკაციებით ოს ხალხს გონება, მოწამლოს მისი ცნობიერება, დააყენოს აგრესიის გზაზე და დაუპირისპიროს იგი ქართველ ხალხს. მაგალითად, ს. ჩერიომინი ერთმანეთს ადარებს რესპუბლიკაში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურ ხელფასსა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას და აკეთებს აშკარად არასწორ დასკვნებს — სამხრეთ ოსეთის ოლქში ოსების ინტერესები ილახება, რადგან საშუალო თვიური ხელფასი 29,2 მანეთით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 13 მანეთით ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებითო. მაშინ საინტერესოა როგორ ახსნის ს. ჩერიომინი იმ უტყუარ ფაქტს, რომ 1989 წელს საქართველოს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 197,7 მანეთს შეადგენდა, ყოფილ საბჭოთა კავშირში — 240,4 მანეთს (42,7 მანეთით მეტს), ხოლო ესტონეთში — 270,1 მანეთს, ან კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება რატომ უდრიდა შესაბამისად 169,9, 200,8 და 317,6 მანეთს? ეს ყველაფერი იმ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ საშუალო თვიური ხელფასის დონეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეო-

ბის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი. კერძოდ, მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის 60 პროცენტზე მეტი საქართველოში მსუბუქ და კვების მრეწველობაზე მოდის, მაშინ როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში ანალოგიური მაჩვენებელი 30 პროცენტს ოდნავ აღემატებოდა. ამ დარგში კი სატარიფო განაკვეთები და შესაბამისად მომუშავეთა საშუალო თვიური ხელფასი სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებია, რამაც, ბუნებრივია, განაპირობა რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის დაბალი დონე. ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე ყოფილ სამხრეთ ოსეთშიც, რასაც ისიც ემატება, რომ აქ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად ვერ სრულდებოდა, რაც აბრკოლებდა საშუალო თვიური ხელფასის გადიდებას.

რადგან ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები აწუხებს, იმასაც გვდებს ბრალად, რომ მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა, ანუ საქონლის შესაძენად გაწეული ფულადი დანახარჯები სამხრეთ ოსეთში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. არადა, ასეთი მოვლენა საკმაოდ კანონზომიერია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ხვედრითი წილი ყოფილ სამხრეთ ოსეთში მეტია შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელზე. ამასთან, სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ნაკლებია, რადგან სოფლებში მაღალია ნატურალური მოხმარების დონე, რაც ძირითადი პროდუქციის წარმოებაში პირადი დამხმარე მეურნეობის დიდი ხვედრითი წილის შედეგია. ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში, სადაც რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველი მეოთხე კაცი ცხოვრობს, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება სასურსათო და არასასურსათო საქონელზე ძირითადად ვაჭრობის მეშვეობით ხდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საკურორტო მეურნეობა საქართველოს სხვა რეგიონებში უფრო განვითარებულია, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში, საქონლის შესაძენად დამსვენებელთა მიერ გაწეული ფულადი დანახარჯები კი საქონელბრუნვის რესპუბლიკურ მაჩვენებელში აისახება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სამხედრო ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობა საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს ერიცხება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: როკის გვირაბის აშენების შემდეგ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იძენს დიდი რაოდენობით სასურსათო და არასასურსათო საქონელს, და, ბუნებრივია, მათ მიერ გაწეული ფულადი დანახარჯებიც ჩრდილოეთ ოსეთის საქონელბრუნვის მოცულობაში აისახება.

ს. ჩერიომინი არ ცხრება და კვლავ აგრძელებს ყოვლად

უსაფუძლო მონაცემების მოტანას, კვლავ ცდილობს თვალებში ნაცარი შეაყაროს მკითხველს. როგორც ჩანს, იგი ან საერთოდ ვერ ერკვევა მოვლენებსა და პროცესებში ან თავს განგებ ისულელებს. მაგალითად იგი აღნიშნავს, რომ 1987 წელს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობამ ყოველ ათას დაბადებულზე საქართველოს რესპუბლიკაში 24,3, ხოლო ყოფილ სამხრეთ ოსეთში — 27 კაცი შეადგინა. თუ ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ სამხრეთ ოსეთში უფრო მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის დონე და ამას არავითარი ყურადღება არ ექცევაო, მაშინ ერთი წლის მონაცემების მოტანა უბრალოდ უხერხულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ წინა წლებში სრულიად საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1981 წელს ყოველ ათას ახალშობილზე ერთ წლამდე ასაკში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 24,7 ბავშვი გარდაიცვალა, აფხაზეთში — 29,9; აჭარაში — 58,6; ხოლო რესპუბლიკაში — 29,7 ბავშვი. ასევე წლების მანძილზე თბილისში გაცილებით მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის დონე, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, 1989 წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთ წლამდე ასაკში ყოველი ათასი ბავშვიდან გარდაიცვალა 22,5, ხოლო თბილისში — 24,2 ბავშვი. საინტერესოა ამ მონაცემებს როგორ კომენტარს გაუკეთებს ს. ჩერიომინი?

რაც შეეხება მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე; უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მრეწველობაში. დაბალია სოფლის მეურნეობის განვითარების თითქმის ყველა მაჩვენებელი.

ამისდა მიუხედავად, სოციალური სფეროს განვითარების რიგი მაჩვენებლებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ყოფილ ოლქში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში. მაგალითად, მოსახლეობის ათი ათას სულზე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში 135,4 საავადმყოფო საწოლი მოდიოდა, 65,9 ყველა სპეციალობის ექიმი და 142 საშუალო სამედიცინო პერსონალი. საქართველოს რესპუბლიკის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალი იყო და შესაბამისად 110,6, 58,0 და 124,9-ს უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლები ოლქს გაცილებით უკეთესი ჰქონდა (საავადმყოფო საწოლების უზრუნველყოფის გარდა).

მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნ-

ველყოფის დონე უკეთესი იყო ოლქში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში. კერძოდ, 1988 წელს მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ყოფილ ავტონომიურ ოლქში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ასაკის ბავშვთა 53 პროცენტი, საქართველოს რესპუბლიკაში — 46, მათ შორის აფხაზეთში — 39, ხოლო აჭარაში — მხოლოდ — 28 პროცენტი.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა ასევე გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ფართობით, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ავტონომიური ფორმირების მოსახლეობა.

ამრიგად, ამ მაჩვენებლებითაც ყოფილი ოლქი პირველ ადგილზე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. რეგიონის მოსახლეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა პირად საკუთრებაში მსუბუქი ავტომობილებიც. მაგალითად, ყოფილი ოლქის მოსახლეობის ყოველი ათასი კაციდან 59 კაცს ჰყავდა მსუბუქი ავტომობილი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში — 53 კაცს;

კიდევ ერთი მაჩვენებლით იდგა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში — ყოველ ათი ათას მოსახლეზე ბიბლიოთეკების რაოდენობით. ამასთან, მოსახლეობის საკლუბო დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად ჭარბობდა სხვა რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელს.

ამდენი პირველი ადგილის ხსენებით შეიძლება ს. ჩერიომინს ეჭვიც დაებადოს. ამიტომ საეჭვო რომ არაფერი დარჩეს აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვისარგებლეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გამოცემებით.[1]

ყოფილ ოლქში სრული შესაძლებლობა ჰქონდა ახალგაზრდობას განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ ოსეთში არც ერთი ოსურენოვანი სკოლა არ იყო, საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის 90 სკოლა — ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 8 სკოლა ოსებით შედარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში — თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ქარელსა და ყვარელში.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი მისიონერები იღვწოდნენ ოსეთის მოსახლეობაში განათლების შესატანად. 1764 წელს ახლად დაარსებულ ცხინვალში გაიხსნა პირველი სკო-

[1] Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов, М., 1989, Народное хозяйство СССР в 1989 г., М. 1990.

ლა ოსი ხალხის ისტორიაში. ეს სკოლა ერთადერთი იყო არა მხოლოდ ოსეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. როგორც ოსი ისტორიკოსი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, სკოლის გახსნის „პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა... დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში".[1]

გასულ საუკუნეში თბილისისა და გორის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარებში მრავალი ახალგაზრდა სწავლობდა ჩრდილოეთ ოსეთიდან. ისინი შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ და თვალსაჩინო კვალი დატოვეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სასკოლო განათლებასა და თავისი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ამასთან, დიდი დამსახურება მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ცნობილ ქართველ მწერალს დანიელ ჭონქაძეს. მის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშები 1868 წელს პეტერბურგში გამოიცა. მან რამდენიმე წიგნიც თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე.

ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ოსური ენის შესწავლასა და განვითარებაში აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა. ოსთა სამეცნიერო კადრების უმრავლესობა მომზადდა თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებში. 1906 წელს თბილისში დაარსებულმა „ოსური გამომცემლობის საზოგადოებამ" 1907 წელს თბილისში გამოუშვა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ" („ახალი ცხოვრება"). ამ საზოგადოებამ თბილისში მცხოვრები ოსი ახალგაზრდებისათვის გახსნა სკოლა, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე საზოგადოებამ ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელმაც თავისი პირველი სპექტაკლი 1906 წელს უჩვენა მაყურებელს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ოსური სახელმწიფო დრამატული თეატრი დაარსდა საქართველოში 1931 წელს. მომდევნო 1932 წელს კი ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.

ყოველივე აღნიშნულის გამო, საქართველოში მცხოვრებ და მოღვაწე „მახლობელთა ჩუენთა მთიელთა ოსთა", როგორც მათ მე-17 საუკუნის ერთ-ერთი წყარო მოიხსენიებს, იურიდიული და მორალური მოვალეობაა დაიცვან ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლონ მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

[1] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969, გვ. 241.

თავი IV. ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები

IV.1. ოჯახი. ქორწინება. განქორწინება.

ოჯახი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, უდიდეს როლს ასრულებს ერის ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. იგი თავის თავში აერთიანებს ზოგადსაკაცობრიო და ამავე დროს ერისათვის დამახასიათებელ ბიოლოგიურ, საზოგადოებრივ და ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს. ოჯახში ხდება თაობათა განახლება, დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების განვითარება და გადაცემა თაობებისათვის.

ძველ დროში დაქორწინებისა და ოჯახის შექმნის მთავარ დანიშნულებას შვილების გაჩენაში ხედავდნენ. უშვილობა უდიდეს უბედურებად და ღვთისაგან მოვლინებულ სასჯელად მიიჩნეოდა. ძველ საბერძნეთში ცოლქმრობის ძირითად მიზნად მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდა და სამშობლოს დაცვის უპირველესი მოვალეობა მიაჩნდათ. ამავე დროს ბავშვების გაჩენით მოქალაქეები ვალს იხდიდნენ თავიანთი შთამომავლებისა და მოდგმის წინაშე, ხოლო მოხუცებულობაში მათ უზრუნველყოფილი ჰქონდათ მოვლა და პატრონობა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ადამიანი შვილსა და ნაშიერში თავისი თავის გაგრძელებას ხედავდა და, ამდენად, მას უკვდავების, ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა, რომელიც დღემდე აწვალებს ადამიანის გონებას, თავის სანუგეშოდ დადებითად სურდა გადაეწყვიტა. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამის შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „მამრისა და მდედრის თანაყოფის შედეგი შობაა, ხოლო ჩასახვასა და შობას ღვთაებრივ აქტს ვუწოდებ, როგორც უკვდავი საწყისის გამოვლენას მოკვდავ არსებაში... შობა ანიჭებს უკვდავებას მოკვდავ არსებას.“[1]

საზოგადოებრივი აზრი ძველ საბერძნეთსა და რომში ისეთი იყო, რომ ოჯახის შექმნას ყოველმხრივ ხელს უწყობდა. მარტოხელები, და განსაკუთრებით უცოლოები, არ სარგებლობდნენ პატივისცემით. გვიანანტიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელმა პლუტარქემ ასეთი ფაქტებიც შემოგვინახა: სახელოვან მხედართმთავარს დერკილიდას ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სკამი არ დაუთმო და უთხრა: „შენ ჯერ არავინ გაგიჩენია ქვეყანაზე, რომ შემდეგში მე დამითმოს

[1] რ. თვარაძე. სიყვარულის პლატონური მოძღვრება. ჟურ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, №2, 1985, გვ. 79.

ადგილიო.“[1] ამ სიტყვებისათვის ახალგაზრდა არავის გაუკიცხავს, რადგან სპარტაში უცოლოებს აღკვეთილი ჰქონდათ ის მოწიწება და პატივისცემა, რითაც ახალგაზრდები უფროსებს ექცევიან.

ძველ სამყაროში ოჯახური ყოფიერების სფეროში ბევრი რამ ისეთი იყო, რაც თანამედროვე მორალისა და ზნეობის ფარგლებში თავსდება და მარადიულ ფასეულობადაც დარჩება, მაგრამ ზოგიერთი რამ შეიძლება მეტად გაუგებრადაც მოგვეჩვენოს მაშინდელი მაღალი ცივილიზაციისა და აზროვნების ფონზე. მაგალითად, რომში იმდენად განუსაზღვრელი იყო მამის ძალაუფლება ოჯახში, რომ მამას შვილის მოკვლაც კი შეეძლო და ამისათვის იგი პასუხს არ აგებდა. მას უფლება ჰქონდა კანონიერ ქორწინებაში შეძენილი შვილი ოჯახში არ მიეღო — მოეკვლევინებინა უმწეო ბავშვი ან უბრალოდ გადაეგდო. იმას, თუ რა შეუბრალებელნი იყვნენ მამები ბავშვების და განსაკუთრებით ქალიშვილების მიმართ, ადასტურებს ცოლისადმი მიწერილი ერთ-ერთი ბერძენის წერილი: თუ ვაჟიშვილი შეგეძინა დატოვე ცოცხალი, ხოლო თუ ქალიშვილი — გადააგდე იგი.[2] ასე რომ, მაშინდელი მორალი არ კიცხავდა ბავშვთა მკვლელობის პრაქტიკას. ამავე დროს რომაელები და ბერძნები უდიდეს ყურადღებას იჩენდნენ ბავშვთა აღზრდისადმი. ჩვენამდე მოღწეულია ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის სხვადასხვა ხერხი. მაგალითად, როგორც ჩანს, მაშინაც აწუხებდათ ბავშვის დედის რძით კვების საკითხი. რომაელი ფილოსოფოსი ფავორინი აღშფოთებული იყო იმ დედების საქციელით, რომლებიც თავს არიდებდნენ ბავშვის გამოკვებას. მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა ისეთი გარემოება, როდესაც დედა კვებავდა თავის ორგანიზმში ბავშვს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ხედავდა და არ სურდა გამოეკვება თავისი რძით ბავშვი, რომელსაც ხედავდა უკვე ცოცხალს. ამდენად სავსებით კანონზომიერი იყო მისი შემდეგი კითხვაც: განა მკერდი ქალს ბუნებამ სილამაზისათვის მისცა და არა ახალშობილის გამოსაკვებად? ფავორინთან ერთად სხვაც ბევრი იყო ხელოვნური კვების წინააღმდეგი, რასაც მაშინდელ სამყაროში ფართოდ იყენებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაპოვნია იმ დროის საკმაოდ ლამაზი და მრავალფეროვანი საბავშვო სათამაშოები — თოჯინები, მათ შორის, მოძრავი და სპილოს ძვლისაგან გაკეთებულიც, თოჯინების ავეჯი, სპილოს ძვლისაგან გაწყობილი თოჯინების საწოლი, საბავშვო ეტლი და სხვ.

ძველ სამყაროში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა ცოლის ღალა-

[1] პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თბ., 1957, გვ. 29.
[2] Л. винничук. люди, нравы и обычай древней Греции и Рима. М., 1988, с. 157.

ტი. მას ამისათვის სიკვდილით სჯიდნენ. ათენში ცოლის ღალატი საკმარისი საბაბი იყო განქორწინებისათვის. ქმარს შეეძლო მოეკლა ცოლის საყვარელი და ამისათვის იგი პასუხს არ აგებდა. ამავე დროს ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში მცხოვრები კანონმდებელი ლიკურგე დასცინოდა მათ, რომელთაც მომავალი თაობის წარმოქმნა კერძო საქმედ მიაჩნდათ და ცოლთან სხვის თანამონაწილეობას ამ საქმეში ვერ იტანდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რომსა და საბერძნეთში უძველესი დროიდან ოჯახი საზოგადოების მყარი უჯრედი იყო, მისი სიმტკიცე თანდათანობით ირღვეოდა. საზოგადოებაში გავრცელდა ცხოვრების მანკიერი მოვლენები. იმ დროის მწერლები და სატირიკოსები შეშფოთებით აღწერდნენ იმას, თუ როგორ ეშვებოდა საზოგადოება ფუქსავატობის, თავაშვებულობისა და გარყვნილების მორევში. ქალები უკვე ღამის თევასა და ღვინის სმაში მამაკაცებს ეჯიბრებოდნენ, არც ავხორცობით ჩამორჩებოდნენ მათ. არც ისე იშვიათობა იყო მრავალქმარგამოცვლილი ქალი. ადამიანებს ფუქსავატობის სენი იმდენად შეეყარათ, იმდენად პატიემოყვარენი და განებივრებულნი გახდნენ, რომ დაოჯახებაც კი აღარ სურდათ. მასობრივად გავრცელდა ერთშვილიანი ოჯახები და შემცირდა მოსახლეობა. ყოველივე ამის გამო დაიწყეს კანონების მიღება, რომლებიც ითვალისწინებდა ოჯახის როლის ამაღლებასა და განმტკიცებას, მოსახლეობის გამრავლებას. მაგალითად, რომში მიიღეს კანონები, რომელთა თანახმად 20-დან 50 წლამდე ქალი და 25-დან 60 წლამდე მამაკაცი ქორწინებაში უნდა ყოფილიყო. კანონები ითვალისწინებდნენ აგრეთვე განქორწინების შესაძლებლობას, მაგრამ განშორებულ მეუღლეებს ხელმეორედ დაქორწინებასაც ავალდებულებდნენ. საბერძნეთში მეფე ფილიპ მეხუთემ 197 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე აკრძალა ახალშობილ ბავშვთა სიკვდილისა და გადაგდების ჩვეულება. ამავე დროს იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მრავალშვილიან ოჯახებს.

ოჯახის მეტად მყარი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი გვქონდა ძველ საქართველოშიც. ამას ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“. ნაწარმოებში წარმოდგენილია საოჯახო ცხოვრების ცოცხალი სურათები. მართალია, ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალიან შეზღუდულია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს საერთოდ დამახასიათებელია მაშინდელი, ცივილიზებული სამყაროსათვის. ქმარი ოჯახის უფროსია და ქალი უფლებრივად მას ემორჩილება. ქალს არ

შეუძლია ოჯახიდან ქმრის დაუკითხავად წავიდეს სადმე და ამით ქმრის „ხატი დაამხოს“. სხვათა შორის ასე იყო ძველ რომშიც: ქმრები თავიანთ ცოლებს სახლიდან მათი ნებართვის გარეშე გასვლასაც კი უკრძალავდნენ. ცნობილია, რომის ერთ-ერთი კონსული ცოლს იმის გამო გაშორდა, რომ იგი მის დაუკითხავად წავიდა თეატრში. ამრიგად მამაკაცი ოჯახში დიდი უფლებებით სარგებლობდა. თვით შუა საუკუნეებშიც კი სქესობრივი კავშირი კაცთან ქალის დამდაბლებადაა მიჩნეული (სულხან-საბა ორბელიანი).

„შუშანიკის წამების“ მიხედვით ქალს ნება არ ჰქონდა მამაკაცთან ერთად ეჭამა პური. ამავე დროს ნაწარმოებიდან მაინც არ ჩანს, რომ ქალი მთლიანად ქმრის მონა-მორჩილი იყოს, როგორც ეს ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაშია მიჩნეული. ამ მხრივ ისაა საყურადღებო, რომ შუშანიკი არასოდეს არ უთმობს არაფერს თავის ქმარს და საკმაოდ უხეშად და გამომწვევადაც იქცევა მასთან. გავიხსენოთ თუნდაც ის სცენა, როდესაც შუშანიკმა ქმრის თანდასწრებით სრულიად მოურიდებლად მაზლის ცოლს „ჭიქა... პირსა შეალეწა“. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მისი ღრმა რწმენით იქ, საიქიოში მოელება ბოლო მამაკაცისა და ქალის უთანასწორობას, სადაც „არა არს რჩევაი მამაკაცისაი და დედაკაცისაი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შუშანიკს გათვითცნობიერებული აქვს ამ უთანასწორობის მთელი არსი, ამ უთანასწორობას ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ებრძვის და, მაშასადამე, ზოგადად ასეთი ქალი არც ქმრის მონად შეიძლება გამოვაცხადოთ.

თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინებამ და ოჯახმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ქორწინების ტრადიციული ბარიერები — რელიგიური, ქონებრივი, რასობრივი და სხვ. მეტ-ნაკლები ზომით თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას. ქორწინებისა და ოჯახის საკითხებში დიდად გაიზარდა ავტონომია, გაფართოვდა მეულლის არჩევის გეოგრაფია, შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობაზე. მოუწესრიგებელი ბავშვთშობა შიდაოჯახურმა გეგმიანობამ შეცვალა, გაიზარდა ახალგაზრდა ოჯახის დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი.

ქართულმა ოჯახმა თავისი განვითარების დიდი გზა გამოიარა. ტრადიციული, მრავალშვილიანი ოჯახები, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, შეიცვალა და თანდათანობით შემცირდა ოჯახის სიდიდე. ოჯახებში ძლიერდება შობადობის შიდაოჯახური რეგულირება, იზრდება უშვილო ოჯახთა წილი, განქორწინება, განმეორებითი

ქორწინება და, რაც მთავარია, აშკარად შეიმჩნევა მრავალშვილიანობის საწინააღმდეგო ტენდენცია. თანამედროვე ოჯახის სტრუქტურისა და მისი განვითარების შესახებ ვნახოთ რას გვეუბნება სტატისტიკა, ანუ, როგორც ამბობენ, ჩავიხედოთ სტატისტიკის სარკეში.

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 1243677 ოჯახი იყო. წინა 1979 წლის აღწერასთან შედარებით ოჯახების რაოდენობა 92,8 ათასით (8 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე 314 ათასით. ყოველწლიურად 80-იან წლებში 9 ათასზე მეტი ოჯახი იქმნებოდა. ამასთან, მოსახლეობის ორი უკანასკნელი აღწერის განვლილ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა 8,0 პროცენტით გადიდდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახების ფორმირების მნიშვნელოვანი მახასიათებელი – ოჯახის საშუალო სიდიდე თითქმის არ შეცვლილა – 4,0 კაციდან 4,1 კაცამდე გაიზარდა. ამასთან, ქალაქად ოჯახში საშუალოდ 4,0 ხოლო სოფლად 4,2 კაცი ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ოჯახების რაოდენობის მატების საერთო ფონზე შემცირდა სოფლის მოსახლეობის ოჯახები (547 ათასიდან 546 ათასამდე), ხოლო ქალაქად მნიშვნელოვნად გაიზარდა (604 ათასიდან 697 ათასამდე).

ისე როგორც წინა აღწერების დროს, 1989 წელსაც ოჯახის წევრების დიდი უმრავლესობა (5049 ათასი ანუ 93,4 პროცენტი) ოჯახში ერთად ცხოვრობდნენ. მაგრამ ყველა ოჯახის წევრი როდი ცხოვრობდა ოჯახში. 186 ათას კაცს (3,4 პროცენტი) ოჯახთან მხოლოდ საერთო ბიუჯეტი აკავშირებდა. ამასთან, 166 ათასი კაცი მარტოხელა ცხოვრობდა. მარტოხელები ოჯახთან არ არიან დაკავშირებულნი საერთო ბიუჯეტით და არა აქვთ ოჯახი, თუმცა, როგორც მიუთითებენ, ისინი შეიძლება ჩავთავალოთ ერთი კაცისაგან შემდგარ ოჯახებად. საქართველოში მარტოხელათა მთელ რაოდენობაში უმრავლესობას (70 პროცენტი) ქალები შეადგენდნენ. მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, 60 წელს იყო გადაცილებული. ყოფილ საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით საქართველოში დაბალ ასაკობრივ ჯგუფში მარტოხელების წილი შესამჩნევად მცირეა. მართალია, მოსახლეობის წინა აღწერასთან შედარებით მარტოხელების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ 1970 წელთან შედარებით მარტოხელათა რაოდენობა 43 ათასითაა გაზრდილი. მარტოხელების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი მოსახლეობის და განსაკუთრებით ქალი მოსახლეობის დაბერების პროცესია, რომლის შედეგად ქალების სულ უფრო დიდი რაოდენობა ქვრივდება. თუ

მეუღლეთა შორის ასაკობრივ განსხვავებას გავითვალისწინებთ, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაქვრივებული ქალებისათვის 10-15 წელს და მეტსაც შეადგენს. ეს უაღრესად მწვავე სოციალური, ეკონომიკური და მორალური პრობლემაა, რომელმაც ყოველმხრივ ასახვა უნდა პოვოს დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების დროს.

ოჯახის პრობლემების შესწავლისას მნიშვნელოვანია არა მარტო იმის ცოდნა, თუ რამდენი კაცისაგან შედგება საშუალოდ ოჯახი, არამედ ისიც, თუ ვინ არიან ოჯახის წევრები — რამდენი დაქორწინებული წყვილია ოჯახში, არიან თუ არა იქ ბავშვები ან ნათესავები. მოსახლეობის 1979 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ისეთი ოჯახები, რომლებიც შედგებოდა ერთი დაქორწინებული წყვილისა და შვილებისაგან (ან უშვილო იყო) ოჯახების საერთო რაოდენობის 57,9 პროცენტს უდრიდა. ასეთ ოჯახებში საშუალოდ 3,7 კაცი ცხოვრობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახებს, რომლებიც ერთი დაქორწინებული წყვილისაგან შედგებოდა, საშუალოდ 1,7 ბავშვი ჰყავდათ. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ერთი დაქორწინებული წყვილისაგან შემდგარი ოჯახები 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 52 პროცენტი შეადგინა (641 ათასი), ხოლო ასეთ ოჯახებში უკვე საშუალოდ მხოლოდ 1,5 ბავშვი ჰყავდათ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ 1979 წელს შუა აზიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში ყოველ დაქორწინებულ ქალს საშუალოდ გაცილებით მეტი ბავშვი ჰყავდა, ვიდრე დანარჩენ რესპუბლიკებში. სახელდობრ: ტაჯიკეთში — 4,2 ბავშვი, თურქმენეთში — 4, უზბეკეთში — 3,9, ყირგიზეთში— 3,5, ყაზახეთში — 2,9, ხოლო საქართველოში — მხოლოდ 2,5 ბავშვი.

როგორც მოსახლეობის 1989 წლის აღწერამ გვიჩვენა, ოჯახთა სულადობის მაჩვენებლებში წინა აღწერიდან განვლილ პერიოდში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ ჭარბობდნენ ოთხწევრიანი (25,2 პროცენტი) და ორწევრიანი (21,3 პროცენტი) ოჯახები. საკუთრივ ქართული ოჯახების უმრავლესობა ასევე ოთხწევრიანი იყო. (25,8 პროცენტი). ორწევრიანი და სამწევრიანი ოჯახების რაოდენობა შესაბამისად 20,9 და 19,3 პროცენტს უდრიდა. საშუალოდ ყოველ ქართულ ოჯახში 4,1 კაცი ცხოვრობდა.

ოჯახის პრობლემების განხილვის დროს დიდ ინტერესს იწვევს ოჯახების ეროვნული შემადგენლობა. საქართველოში ოჯახების რაოდენობა, რომელთა ყველა წევრი ერთი ეროვნებისაა 1092 ათასს

უდრიდა და მთელი ოჯახების 88 პროცენტს შეადგენდა. ასეთი ოჯახები წინა აღწერასთან შედარებით ორი პროცენტული პუნქტით შემცირდა. გარკვეულწილად ეს იმის შედეგია, რომ 1979-1989 წლებში გაიზარდა ეროვნებათაშორის ქორწინებაში მონაწილე ქართველი ქალებისა და განსაკუთრებით მამაკაცების რაოდენობა. 151 ათას ოჯახში ოჯახის წევრები სხვადასხვა ეროვნებისაა.

საქართველოში ერთი და იმავე ეროვნების ოჯახთა მთელ რაოდენობაში ქართული ე.ი. ისეთი ოჯახები, რომელთა ოჯახის წევრები მხოლოდ ქართველები არიან, 75 პროცენტს უდრის, აფხაზური – 1,5; ოსური – 2,6; სომხური – 7,3; რუსული – 5,1; აზერბაიჯანული – 5,2; ბერძნული – 1,6; უკრაინული – 0,4; ებრაული – 0,4; ხოლო ქურთული – 0,5 პროცენტს.

ოჯახის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბავშვების აღზრდა. თანამედროვე, მობილურ საზოგადოებაში ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბების, ბავშვის აღზრდის მეტად მძიმე და რთული პროცესი ხშირად მარტო დედების, ქალების ხვედრია. ყოველივე ეს ხელს უშლის მოზარდებში მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებას, არღვევს ჰარმონიას აღზრდაში. ასეთ პირობებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მამის ავტორიტეტის ამაღლებას ოჯახში, რაშიც ქართველი ქალი ოდითგან გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, თანამედროვე დედამ ჯეროვნად ვერ გააგრძელა ეს შესანიშნავი ტრადიცია, რამაც მეტად გაართულა ახალგაზრდების აღზრდის პრობლემა. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებდა აწ გარდაცვლილი ცნობილი სოციოლოგი გივი ლოგუა: როცა მომავალი თაობის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, წინ წამოიწევს ერთი მეტად სერიოზული და რთული პრობლემა. დაეცა მამაკაცის ავტორიტეტი. სხვათა შორის, მამის ავტორიტეტს ოჯახში ქალი ქმნიდა. ქალია ხშირად აღმზრდელი არა მხოლოდ შვილის, არამედ მამაკაცისა. იგი არის მისი ვაჟკაცობის, კაცური ბუნების გამაძლიერებელი.

ერთ საკითხსაც უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება. ქალი კეთილსინდისიერად გაცილებით მეტ დროს ანდომებს ოჯახურ საქმეებსა და ბავშვების აღზრდას, ვიდრე მამაკაცი. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით მამაკაცთა დიდი ნაწილი არავითარ მონაწილეობას არ იღებს საოჯახო საქმიანობაში. მაგალითად, თბილისის სამრეწველო-საწარმოებში დასაქმებული მამაკაცების 42 პროცენტი საერთოდ არ მონაწილეობს ოჯახურ შრომაში, 8 პროცენტი ამ მიზნით მხოლოდ 10 წუთს ხარჯავს, 9 პროცენტი – 30

წუთამდე, 11 პროცენტი – ერთ საათამდე და მხოლოდ 30 პროცენტი ხარჯავს ერთ საათსა და მეტ დროს. ქალები კი ოჯახური მეურნეობის გაძღოლას სამუშაო დღეს საშუალოდ სამ საათზე მეტ დროს ანდომებენ. ამავე დროს, ახალგაზრდა ოჯახების დიდ ნაწილს სურს უფროსი თაობისაგან დამოუკიდებლად ცალკე იცხოვროს, მაგრამ მათი სურვილი ისიცაა, რომ მშობლები მათთან ახლოს ცხოვრობდნენ, რათა სამეურნეო ფუნქციები უფროს თაობას გადააკისრონ.

ერის გამრავლების, მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემები უპირველესად ოჯახში წყდება. ეს გასაგებიცაა, რადგან ოჯახი თავის-თავში აერთიანებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც ერისათვისაა დამახასიათებელი, რაც ზოგადსაკაცობრიოა. ოჯახში, როგორც ითქვა, ხდება თაობათა განახლება, დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების განვითარება და გადაცემა თაობათა შორის. ასე რომ, როგორც ილია ბრძანებდა „ოჯახი ერის ბურჯია“. ამ საქმეში კი გადამწყვეტი სიტყვა, როგორც ყოველთვის, ისევ ქართველ ქალს ეკუთვნის. აკი ვაჟა-ფშაველა საქვეყნოდ აცხადებდა: „ჩვენი ცხოვრების ჭახრაკები ქალები არიან. ოჯახი – ეს პირველი ბურჯი კეთილდღეობისა – მათ ხელშია. ისინი გვიზრდიან შვილებს.ისინი გვივლიან მშობლებს და ისინი ჯერ დობითა და მერე მეუღლეობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ... ქალები ხალხის ზნეობის ბარომეტრები არიან“.

ოჯახი ქორწინებით იწყება და იგი მაშინაა მყარი და ბედნიერი, როდესაც სიყვარულზეა დაფუძნებული. ნამდვილ სიყვარულს ძირითადად საფუძვლად უდევს საერთო შეხედულებები, საერთო გრძნობები და მიზნები, რაც მეუღლეთა ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. დღეს ახალგაზრდა წყვილთა უდიდესი უმრავლესობის აზრით მათი ოჯახი სიყვარულის საფუძველზე შეიქმნა – ასე მიუთითებენ ქორწინების სასახლეებში გამოკითხული ახალდაქორწინებულნი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ შემდეგში ქორწინებით უკმაყოფილოთა შორის უმრავლესობა კვლავ ისინი არიან, ვინც ერთმანეთს სიყვარულით დაუკავშირა ბედი.

ქორწინების პირველ ხანებში, როგორც წესი, ყველაფერი რიგზეა, მეუღლეები ცდილობენ ერთმანეთს თავიანთი უკეთესი თვისებები დაანახონ. მაგრამ გადის ცოტა ხანი და ზოგჯერ სიყვარულით შეერთებულ კავშირს ბზარი უჩნდება. უკვე მეუღლეებს ყოველგვარი ცხოვრებისეული წვრილმანიც კი აღიზიანებთ. იქმნება ოჯახში დაძაბულობა, კონფლიქტური სიტუაციები. ახლა ისინი ცდილობენ „აღმოაჩინონ“ ერთმანეთის ნაკლი. ოჯახის განვითარების სტადიებთან ერ-

თად იცვლება მეუღლეთა ფსიქოლოგია. ყველას არ ყოფნის სიძნელეების გადალახვის საჭირო გამოცდილება და ძალა, განსაკუთრებით ბავშვის დაბადების შემდეგ. ზოგჯერ ამას ემატება მეუღლეთა შორის კულტურული განსხვავებულობის დონეც, რაც ერთად ცხოვრების პირობებში მთელი სისრულით იჩენს თავს. არც ისე იშვიათად მათ ერთმანეთის საწინააღმდეგო ფასეულობითი ორიენტაციები და ცხოვრებისეული მიზნები გააჩნიათ. ახლა ხვდებიან მეუღლეები, რომ თურმე ისინი ერთმანეთისათვის არ ყოფილან გაჩენილნი. ეს კი ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც მეუღლეებმა ერთმანეთი შემთხვევით გაიცნეს, არ შეამოწმეს თავიანთი სიყვარულის სიმტკიცე და ნაუცბადევად გადაწყვიტეს ერთმანეთისათვის ბედის დაკავშირება, ესე, იგი, როდესაც გატაცება სიყვარული ეგონათ. ასეთ შემთხვევაში ეს კავშირი ოჯახის დანგრევით თავდება.

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენ ქორწინების სასახლეში ჩავატარეთ გამოკვლევა და შევისწავლეთ ახალდაქორწინებულთა საქორწინო ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, გაცნობის ადგილი, ნაცნობობის ხანგრძლივობა და სხვა საკითხები.

ქორწინების სოციოლოგიაში მნიშვნელოვანია ასაკობრივი სხვაობის გარკვევა მექორწილე წყვილთა შორის. ადრე, ხშირად ქალის, როგორც გარიგების ობიექტის და სხვა ფაქტორების გამო, ასაკობრივი სხვაობა მაღალი იყო, ამჟამად ამ ფაქტორებმა პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა. თანდათანობით მცირდება ასაკობრივად დიდად განსხვავებულ ქორწინებათა რაოდენობა.

ჩვენი გამოკვლევით მეტ წილ ქორწინებაში ასაკობრივი განსხვავება 6 წელს არ აღემატება. ქორწინებათა თითქმის ნახევარში მექორწინე წყვილთა ასაკი ან თანაბარი იყო ან მინიმალური ასაკობრივი განსხვავებით (3 წლამდე) აღინიშნა. საქმროსა და საპატარძლოს საქორწილო ასაკში საშუალო განსხვავებამ 3,2 წელი შეადგინა (საქმრო უფროსია საპატარძლოზე), სულ 743 ვაჟი (76,7 პროცენტი) უფროსია ქალზე, 109 (11,2 პროცენტი) კი ვაჟზეა უფროსი, საშუალოდ 2,16 წლით. ეროვნებების მიხედვით შემდეგი სურათი მივიღეთ: ქართველი ქალი საშუალოდ უფროსია ვაჟზე 1,77 წლით, დანარჩენი ეროვნების ქალი კი 2,66 წლით.

ახალდაქორწინებულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების დახასიათებისას მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საბინაო პირობები. საერთოდ, საბინაო პირობებთან ურთიერთკავშირში შეისწავლება ოჯახისა და ქორწინების სოციოლოგიის მრავალი საკითხი. განსაკუთრე-

ბულ მნიშვნელობას იძენს საბინაო პირობების ცოდნა ახალი ოჯახის შექმნის, ოჯახში სასურველ და ფაქტიურ ბავშვთა რიცხვისა და სხვა საკითხების შესწავლის დროს.

საბინაო პირობები ჩვეულებრივ შეისწავლება ოჯახის ერთ წევრზე მოსული საცხოვრებელი ფართობის მიხედვით. მაგრამ ეს მაჩვენებელი სრულ სურათს არ იძლევა. აუცილებელია საცხოვრებელი ბინის ტიპის გარკვევაც. უკანასკნელ ხანს საცხოვრებელი ფართობის სიდიდესთან შედარებით სულ უფრო მეტად ფასობს იზოლირებული ბინა. ახალდაქორწინებულთა მშობლებს, რომლებიც საკუთარ სახლში ცხოვრობენ, მეტი შესაძლებლობა აქვთ გამოუყონ ახალგაზრდა ოჯახს ცალკე, იზოლირებული საცხოვრებელი ფართობი. კომუნალურ ბინაში კი ცალკე ოთახის გამოყოფის შესაძლებლობა შეზღუდულია.

საერთოდ კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მექორწინეთა საკმაოდ დიდ ნაწილს ან არა აქვს საცხოვრებელი ბინა მომავალი ოჯახისათვის ან საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებს. ასეთი მდგომარეობა შემდგომში უარყოფითად მოქმედებს ოჯახურ ცხოვრებაზე, მეუღლეთა შორის ურთიერთობაზე, იწვევს ოჯახში კონფლიქტებს, რაც ზოგჯერ განქორწინებით მთავრდება. ერთ-ერთი გამოკვლევით განქორწინების მიზეზად 1000 გამოკითხულიდან 144 ანუ 14,4 პროცენტმა (გამოკითხვით შეიძლებოდა ერთდროულად განქორწინების რამდენიმე მიზეზის ჩვენება) ნორმალური საბინაო პირობების უქონლობა დაასახელა.[1]

მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ ახალდაქორწინებულები ქორწინების შემდეგ ვისთან იცხოვრებენ ან ვისთან სურთ ცხოვრება. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა წყვილები უპირატესად ცალკე ცხოვრებას ამჯობინებენ. მექორწილე წყვილთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა უპასუხა, რომ ქორწინების შემდეგ ისინი იცხოვრებენ დამოუკიდებლად (42,8 პროცენტი), ხოლო დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი კიდევ უფრო დიდმა ნაწილმა გამოთქვა, კერძოდ, ვაჟების 58,4 და ქალების 57,5 პროცენტმა. ახალდაქორწინებულთა ნახევარზე მეტი (51,7 პროცენტი) საქმროს, ხოლო 5,5 პროცენტი საპატარძლოს მშობლებთან იცხოვრებს. გამოკითხული ვაჟების 39,1 პროცენტის სურვილია იცხოვროს თავის მშობლებთან, ხოლო მეუღლის მშობლებთან ცხოვრების სურვილი საპატარძლოთა 39,4 პროცენტმა გამოთქვა.

გამოკვლევის მონაცემებით, ახალდაქორწინებულთა უმრავლე-

[1] Д.М. Чечот. Социология брака и развода. Л., 1973, с. 16.

სობას უწევენ მატერიალურ დახმარებას. საპატარძლოთა მხოლოდ 23,7 და საქმროთა 26,7 პროცენტს მშობლების ან დანარჩენი ნათესავების მხრივ არა აქვთ მატერიალური ხელშეწყობა. მატერიალური დახმარება მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში მცირდება, თუმცა არც ისე მნიშვნელოვნად. მაგალითად, 17-20 წლის ასაკში ეხმარებიან ახალდაქორწინებულთა 87,1 პროცენტს, 21-25 წლის ასაკში — 79,3 პროცენტს, 26-30 და 31-35 წლის ასაკსი კი, შესაბამისად — 64,1 და 49,3 პროცენტს.

ქორწინების საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანია ახალდაქორწინებულთა ნაცნობობის ადგილისა და ნაცნობობის ხანგრძლივობის შესწავლა. ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, ურთიერთკონტაქტები. ამ მხრივ საინტერესოა გამოკითხვის შედეგები გაცნობის ადგილის შესახებ, რომელსაც მოჰყვა დაქორწინება. ამ მონაცემების ცოდნა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განქორწინების მიზეზებისა და მოტივების დასადგენად. ხშირად ზერელე, შემთხვევითი ნაცნობობა და დასაქორწინებლად ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, განქორწინების წინაპირობაა.

ახალდაქორწინებულებმა ძირითადად ერთმანეთი გაიცნეს ოჯახში წვეულებაზე (31,5 პროცენტი), სასწავლებელში (22,2 პროცენტი), სამუშაო ადგილზე (20,4 პროცენტი). ახალდაქორწინებულთა ნაწილი ერთმანეთს გაეცნო სრულიად შემთხვევით ქუჩაში (2,2 პროცენტი), ავტობუსში, მატარებელში, სტადიონზე და სხვ. საერთოდ კი ნახევარზე მეტი ქორწინება (52,1 პროცენტი) მუდმივი ურთიერთობის ადგილებში (სამუშაო ადგილი, სასწავლებელი, ერთ სახლში, ერთ ქუჩაზე ცხოვრება) ნაცნობობის შედეგია.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, სხვა ქალაქებთან შედარებით, თბილისში მცირეა გასართობ ადგილებში გაცნობილთა რაოდენობა (3,4 პროცენტი). მაგალითად, სანკტ-პეტერბურგში ჩატარებული გამოკვლევით გამოირკვა, რომ ამ ქალაქში გამოკითხულ წყვილთა 27 პროცენტი ერთმანეთს გასართობ ადგილებში გაეცნო, ხოლო კიევში ჩატარებული გამოკვლევით ამ მაჩვენებელმა 21,6 პროცენტი შეადგინა. ამასთან, ამ გამოკვლევით ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება სამუშაო ადგილზე და სასწავლებელში გაცნობილთა რაოდენობა. ახალგაზრდები, რომლებიც ერთმანეთთან ათავსებენ მუშაობასა და სწავლას, ბუნებრივია, ერთმანეთს ეცნობიან იქ, სადაც დროის დიდ ნაწილს ატარებენ. ამასთან, გასართობ ადგილებში გაცნობილ წყვილთა უმრავლესობას საშუალო განათლება აქვს,

ხოლო ახალგაზრდები დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით უმთავრესად ერთმანეთს სასწავლებელში ეცნობიან.

ჩვენი გამოკვლევით ახალდაქორწინებულთა 34,5 პროცენტი ერთმანეთს ექვსი თვიდან ერთ წლამდე იცნობდა, ხოლო საკმაო რაოდენობას ამ ხნის ნაცნობობაც არ ჰქონდათ.

ნაცნობობის მოკლე დროის მანძილზე მომავალი მეუღლეები ვერ ასწრებენ ერთმანეთს საფუძვლიანად გაეცნონ და ასეთი ქორწინება არამყარია. ახალგაზრდებმა ყოველმხრივ უნდა ეცადონ, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი წარუმატებელი გადაწყვეტილების მიღება. ეს კი მეტად არსებითია, რადგან ქორწინება ისეთ გადაწყვეტილებათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ცხოვრების მანძილზე ინდივიდმა ერთხელ უნდა მიიღოს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სულ უფრო მცირდება ქორწინებათა რიცხვი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებას, ამასთან, მრავალ მწვავე სოციალურ, ფსიქიკურ და სხვა ხასიათის პრობლემას წარმოშობს. თუ 1979 წელს საქართველოში 52,5 ათასი წყვილი დაქორწინდა, 1989 წელს ამ მაჩვენებელმა 38,3 ათასი, ხოლო 1997 წელს მხოლოდ 17,1 ათასი შეადგინა. დიდი ხანია, რაც ქორწინების დონე საქართველოში ყველაზე დაბალია ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

მართალია, განქორწინებათა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ უკანასკნელ ხანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო 7 წელიწადს, ეს მაჩვენებელიც გაიზარდა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. ქალები განმეორებით ან ვეღარ ქორწინდებიან, ან ხელახალი ქორწინების დაგვიანების გამო, აგრეთვე, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა ფაქტორების გავლენით ვეღარ ბადებენ ბავშვებს სასურველი რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ 1950-1997 წლებში საქართველოში 1815 ათასი ქორწინება და 196 ათასი განქორწინება მოხდა. ამასთან, თუ 1950-1959 წლებში 49 ქორწინებაზე ერთი განქორწინება მოდიოდა, 1990-1997 წლებში უკვე 6 ქორწინებაზე ერთ განქორწინებას ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით ხშირია განქორწინების შემთხვევები ქალაქად. 1990 წელს ქალაქად ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით დამთავრდა, ხოლო სოფლად — ყოველი მეცხრამეტე. ამავე წელს განქორწინების შედეგად საქართველოში ერთ-ერთი მშობლის ამარა დარჩა 4408 ბავშვი. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში განქორწინებულ მეუღლეთა 40 პროცენტს არ ჰყავდა არც ერთი ბავშვი. საქართველო-

საქართველოს მოსახლეობის ქორწინებისა და განქორწინების დინამიკა 1933-1997 წლებში

წლები	ქორწინება			განქორწინება			მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე					
							ქორწინება			განქორწინება		
	სულ	ქალაქად	სოფლად	ქალაქად	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1933	12876	6695	6181	2837	2111	726	-	-	-	-	-	-
1935	21801	10016	11785	4212	2910	1302	-		-	-	-	-
1936	22173	10572	11601	3704	2231	1473	-	-	-	-	-	-
1938	22975	10677	12298	3418	2095	1323	-	-	-	-	-	-
1939	20904	10616	10288	3272	2112	1160	-	-	-	-	-	-
1940	18774	10145	8629	3648	2462	1186	5 1	9.1	3.4	1.0	2.2	0.5
1941	19176	11340	7836	2665	1882	783	-	-	-	-	-	-
1942	11838	7518	4320	1982	1422	560	-	-	-	-	-	-
1943	12306	7377	4929	2432	1719	703	-	-	-	-	-	-
1944	14943	8152	6791	1638	1152	486	-	-	-	-	-	-
1945	16901	9769	7132	116	111	5	-	-	-	-	-	-
1946	27166	14561	12605	257	246	11	-	-	-	-	-	-
1947	29940	14285	15655	339	329	10	-	-	-	-	-	-
1948	30153	13631	16314	429	427	2	-	-	-	-	-	-
1949	30381	14186	16125	512	508	4	-	-	-	-	-	-
1950	31378	15502	15876	427	420	7	8.9	12 2	7.0	0.1	0.3	0.0
1951	31857	15204	16653	461	452	9	8.9	11.5	7 3	0 1	0.3	0 0

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1952	30559	13959	16600	475	466	9	8.4	10.2	7.3	0.1	0.3	0.0
1953	31382	15603	15779	635	625	10	8.5	11.0	6.9	0.2	0.4	0.0
1954	34119	17134	16985	632	613	19	9.0	11.6	7.4	0.2	0.4	0.0
1955	34186	16762	17424	630	614	16	8.9	11.0	7.5	0.2	0.4	0.0
1956	37258	19033	18225	670	654	16	9.6	12.1	-	0.2	0.4	0.0
1957	39119	20188	18931	726	706	20	9.9	12.4	8.2	0.2	0.4	0.0
1958	42233	20623	21610	1183	1159	24	10.5	12.2	9.3	0.3	0.7	0.0
1959	41828	20619	21209	1347	1313	34	10.2	11.9	9.0	0.3	0.8	0.0
1960	44075	21253	22822	1470	1407	63	10.6	11.9	9.6	0.4	0.8	0.0
1961	41705	21335	20370	1735	1681	54	9.9	11.4	8.7	0.4	0.9	0.0
1962	40384	19442	20942	1910	1855	55	9.4	10.0	8.9	0.4	1.0	0.0
1963	39622	18967	20655	1915	1882	33	9.1	9.5	8.7	0.4	0.9	0.0
1964	38749	18105	20644	1932	1886	46	8.8	8.8	8.7	0.4	0.9	0.0
1965	38930	17886	21044	2221	2141	80	8.7	8.5	8.9	0.5	1.0	0.0
1966	40303	19117	21186	4396	4309	87	8.9	8.8	9.0	1.0	2.0	0.0
1967	38227	19198	19029	4405	4295	110	8.4	8.6	8.1	1.0	1.9	0.0
1968	36929	18407	18522	4510	4406	104	8.0	8.1	7.9	1.0	1.9	0.0
1940	39826	20673	19153	5169	4988	181	8.2	8.7	7.8	1.1	2.1	0.1
1973	41814	21745	20069	5258	5084	174	8.6	9.0	7.8	1.1	2.1	0.1
1974	42183	21865	20318	5501	5314	187	8.6	8.9	8.3	1.1	2.2	0.1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1975	42183	21865	20318	5501	5314	187	8.6	8.9	8.3	1.1	2.2	0.1
1976	43813	22019	21794	6172	5897	275	8.9	8.8	9.0	1.2	2.4	0.1
1977	1974	22260	22041	6305	5953	352	8.9	8.8	9.0	1.3	2.3	0.1
1978	46773	23544	23229	6621	6454	167	9.4	9.1	9.6	1.3	2.5	0.1
1979	52524	25609	26915	6592	6318	274	10.4	9.8	11.1	1.3	2.4	0.1
1980	50547	25361	25186	6788	6416	372	10.0	9.6	10.4	1.3	2.4	0.2
1981	48100	25063	23037	7023	6543	480	9.4	9.3	9.5	1.4	2.4	0.2
1982	49688	25937	23751	7114	6670	444	9.6	9.5	9.8	1.4	2.4	0.2
1983	45559	25297	20262	7315	6663	652	8.8	9.1	8.3	1.4	2.4	0.3
1984	41775	23512	18263	7117	6503	614	8.0	8.4	7.5	1.4	2.3	0.3
1985	44168	24763	19405	6514	5982	532	8.4	8.7	8.0	1.2	2.1	0.2
1986	44485	25287	19198	6667	6105	562	8.3	8.7	7.9	1.3	2.1	0.2
1987	39157	23535	15622	6766	6213	553	7.3	2.0	6.4	1.3	2.1	0.2
1988	38100	24147	13953	7082	6588	494	7.0	8.0	5.8	1.3	2.2	0.2
1989	38288	23222	15066	7358	6710	648	7.0	7.6	6.3	1.4	2.2	0.3
1990	36812	22318	14494	7796	7045	751	6.7	7.3	6.1	1.4	2.3	0.3
1991	38070	22151	15919	7440	6796	644	7.0	7.2	6.9	1.4	2.2	0.3
1992	26878	14501	12374	4890	4313	577	5.5	5.3	5.9	1.0	1.6	0.3
1993	24105	-	-	3211	-	-	4.9	-	-	0.7	-	-
1994	21908	12495	9413	3089	3009	80	4.5	4.6	4.4	0.6	1.1	0.0
1995	21481	11933	9548	2685	2616	69	4.4	4.4	4.5	0.6	1.0	0.0
1996	19253	10409	8844	2269	2215	54	4.0	3.8	4.2	0.5	0.8	0.0
1997	17099	9345	7754	2267	2207	60	3.5	3.4	3.6	0.5	0.8	0.0

ში ეს მაჩვენებელი, ყველაზე მაღალი იყო და 65 პრცენტს უდრიდა. სტატისტიკა უფრო ნათელი გახდება თუ აღვნიშნავთ, რომ უშვილო და მცირეშვილიანი ოჯახები გაცილებით ხშირად იშლება, ვიდრე მრავალშვილიანები. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევით ერთშვილიანი ოჯახები 2,4-ჯერ უფრო მეტად ინგრევა, ვიდრე ორშვილიანები და 9,4-ჯერ მეტად, ვიდრე სამ და მეტშვილიანი ოჯახები.

ამდენად მცირეშვილიანი ოჯახების გავრცელება ხელს უწყობს განქორწინებას და, მაშასადამე, შობადობის შემცირებას.

განქორწინების მიზეზების რაოდენობრივი და თვისებრივი დახასიათება შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო საქმეების შესწავლა გაყრის ნამდვილი მოტივების გასარკვევად ბევრს არაფერს იძლევა. სასამართლოში ადამიანები ერიდებიან ყველაფრის საამკარაოზე გამოტანას და ხშირად მსჯელობის საგნად ხდიან კონფლიქტური სიტუაციის მხოლოდ ისეთ ზოგად მხარეს, როგორიცაა, მაგალითად, ხასიათის შეუთავსებლობა, რაც საკმარისია განქორწინებისათვის. მეორეც, განქორწინების მიზეზების ზუსტი სპექტრის მიღება არც ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით შეიძლება. ადამიანს მეუღლესთან განშორების დიდი ხნის გავლის შემდეგაც არ ეპიტნავება მის წარსულ ცხოვრებაში ვინმეს ჩახედვა (თუნდაც ეს ანონიმურად ხდებოდეს), ყველაფრის გამომზეურება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ინტიმური ცხოვრების სფეროს, ან ღალატს შეეხება. საერთოდ ცოლქმრული ცხოვრება და, მით უმეტეს, ინტიმური ისეთი ფაქიზი სფეროა, რომ გაყრის შემთხვევაშიც კი საჩოთიროა ყველაფრის თქმა და ყველაფერზე ლაპარაკი, რაც ზოგჯერ პირადი თავმოყვარეობის შელახვასაც გულისხმობს. აქ, ალბათ, ღირს ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მონათხრობიც გავიხსენოთ ერთი რომაელის შესახებ, რომელიც საყვედურებით ააგსეს ყოველგვარი ღირსებით შემკულ, ლამაზ და მდიდარ მეუღლესთან გაყრის გამო. რომაელმა ამის საპასუხოდ ფეხი, რომელზედაც ლამაზი და მოხდენილი ფეხსაცმელი ეცვა, გამოსწია და გარშემო მყოფთ მიმართა: ეს ფეხსაცმელიც ახალი და კარგია, მაგრამ არავინ არ იცის იგი სად მიჭერსო.

მიუხედავად აღნიშნულისა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია განქორწინების მიზეზების მეტ-ნაკლები ზომით შესწავლა და, მაშასადამე, სათანადო ღონისძიებების დასახვა შესაძლებლობის ფარგლებში კონფლიქტური ოჯახების შესანარჩუნებლად. ყოფილ საბჭოთა კავშირში გაყრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საყოფაცხოვრებო ლო-

თობა იყო. ოფიციალური მონაცემებით საბჭოთა კავშირში 5 მილიონამდე ალკოჰოლიკი ირიცხებოდა და მათი რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 500 ათასი კაცით იზრდებოდა. სპირტიანი სასმელების მოხმარების გადიდებაზე და საერთოდ ახალგაზრდების ოჯახური ცხოვრების წესზე გარკვეული გავლენა მოახდინა ტრადიციული, დიდი ოჯახების დაშლამ. მრავალრიცხოვან ოჯახში, სადაც სამი თაობა ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდა, უფროსების ავტორიტეტი, თუ გადამწყვეტს არა, მნიშვნელოვან როლს მაინც ასრულებდა. ახლა კი ცალკე, კომფორტაბელურ, იზოლირებულ ბინებში, სადაც მცირერიცხოვანი, ნუკლეარული ოჯახი ცხოვრობს, ძნელდება საჭიროების შემთხვევაში ოჯახებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების მოხდენა. ამასთან, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ლოთი საერთოდ მოკლებულია შთამომავლობის გაჩენის უნარს, ანდა არასრულყოფილი — ფიზიკურად და სულიერად ავადმყოფი ბავშვი უჩნდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით, ავადმყოფ ბავშვთა (ზედმეტი თითები ხელებზე, დამახინჯებული ყურები, თანდაყოლილი გულის მანკი, სუსტი გონება და სხვ.) მხოლოდ ორი პროცენტის დედები სრულებით არ სვამენ ალკოჰოლიან სასმელებს ან მცირე რაოდენობით მოიხმარენ მას. ასეთ ბავშვთა 74 პროცენტის დედები კი ალკოჰოლს ზომაზე მეტად ეტანებიან. ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ძველი ბერძნები. მათი აზრით არ არის ცნობილი როდის, რომელ ღამეს ჩაისახება ბავშვი და ამიტომ უნდა მოერიდოს სიმთვრალეს ადამიანი, რათა შთამომავლობაც ჯანსაღი დაიბადოს. ფსიქიკურად და ფიზიკურად არასრულყოფილი ბავშვის დაბადება, მისი მოვლა-პატრონობა და აღზრდა უდიდეს მორალურ ზარალთან ერთად, მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას.

ლოთობა ოჯახური კონფლიქტების, ოჯახის დანგრევის ერთერთი ძირითადი მიზეზია. ამასთან ცოლ-ქმარს შორის გაჩუდმებული კონფლიქტები დამღუპველად მოქმედებს მოზარდების ფსიქიკაზე. ერთერთი გამოკვლევის მონაცემებით განქორწინების 32-45 პროცენტი ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების შედეგია.

სოციოლოგიური გამოკვლევები წარმოდგენას გვაძლევენ განქორწინების ყველაზე უფრო გავრცელებულ საერთო მიზეზებზე. კერძოდ, ასეთ მიზეზთა შორის განქორწინებულ მეუღლეთა აზრით მთავარია საერთო შეხედულებებისა და ინტერესების უქონლობა, ხასიათების შეუთავსებლობა, ცოლქმრული ერთგულების დარღვევა-ღალატი, სიყვარულის გრძნობის უქონლობა, ცოლქმრული მოვალეობები-

სადმი ზერელე დამოკიდებულება, მშობლებთან ცუდი ურთერთობა, ცუდი საბინაო პირობები, სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა და სხვ. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დაიწყეს ოჯახების შექმნა, ეს საკითხი მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის აწუხებდა საზოგადოებას.

განქორწინებასთან დაკავშირებით ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. კერძოდ, შობადობის დონეზე მოქმედ ფაქტორებს, რომლებმაც უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტად იჩინეს თავი, მიეკუთვნება განქორწინება. ამიტომ, უდავოა, ეს პროცესი ამ მხრივ სათანადო ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ იგი ამცირებს შობადობის დონეს. რა თქმა უნდა, შობადობის დონის შემცირება არ დაიყვანება მხოლოდ განქორწინების ფაქტორზე, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შობადობის დონე მაღალია, განქორწინება შესაბამისად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

განქორწინებას შობადობის დონის შემცირების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტი ზიანი მოაქვს ქორწინების პირველ ხუთ და ათ წელიწადში. სწორედ ამ წლებშია ყველაზე ინტენსიური ბავშვების დაბადება. ქორწინების პირველ წლებში განქორწინებათა რაოდენობაც მაღალია. კერძოდ, 1988 წელს საქართველოში განქორწინებულთა 32 პროცენტს ქორწინების მხოლოდ ხუთ წლამდე სტაჟი ჰქონდა, ხოლო 59 პროცენტს – 10 წლამდე. 1996 წელს კი დანგრეულ ოჯახთა 28 პროცენტს ჰქონდა 5 წლის სტაჟი. მაგრამ აქ მხედველობაში შემდეგი გარემოებაცაა მისაღები. განქორწინება იურიდიულად ფორმდება ოჯახის ფაქტობრივად დაშლის დიდი ხნის შემდეგ. ასე რომ ხუთ წლამდე ინგრევა ოჯახების არა 32 პროცენტი, არამედ გაცილებით მეტი. ამ მიზნით სპეციალურად ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ განქორწინებათა მესამედი მოდის ისეთ ქორწინებებზე, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელია, ხოლო კიდევ ერთი მესამედი ერთი წლიდან ხუთ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებზე. საერთოდ, დაქორწინების შემდეგ თუ მეუღლეების ცხოვრება კონფლიქტურად წარიმართა, მაშინ მოსალოდნელი განქორწინების გამო ისინი თავს იკავებენ შვილის გაჩენისაგან, რასაც ხელს უწყობს ახლობელთა ოჯახების დაშლის მრავალრიცხოვანი შემთხვევებიც. საერთოდ განქორწინების შედეგად იზრდება უშვილო ქალთა რაოდენობა.

ამრიგად, განქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. ქალები განმეორებით ან ვეღარ ქორწინდებიან, ან განმეორებითი ქორწინების დაგვიანების გამო, აგრეთვე ფსიქოლოგიური, სო-

ციალური და სხვა ფაქტორების გავლენითაც ველარ ახდენენ ბავშვთა სასურველი რაოდენობის დაბადებას. მართალია, განქორწინებულთა ნაწილი ხელახლა ქორწინდება, მაგრამ ამას ჩვეულებრივ საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და არც თუ იშვიათად ქალები იმასაც ველარ ასწრებენ, რომ თითო ან ორ-ორი შვილი იყოლიონ. ამასთან განმეორებითი ქორწინებების საშუალოდ 75 პროცენტი უფრო ხშირად ირღვევა, ვიდრე პირველი. სპეციალისტთა გაანგარიშებით განქორწინებისა და დაქვრივების შედეგად რვა პროცენტით მცირდება შობადობის დონე.

ამ ასპექტში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში განქორწინებულთა და განსაკუთრებით დაქვრივებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. კერძოდ, 16 წლისა და უფროსი ასაკის 51 ათასი მამაკაცი და 357 ათასი ქალი ქვრივია, ხოლო შესაბამისად 28 ათასი და 88 ათასი განქორწინებული. მართალია, დაქვრივებული ქალები გაცილებით მეტია მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში, მაგრამ დაბალ ასაკობრივ ჯგუფებშიდაც საკმაო რაოდენობით ქალია ქვრივი, კერძოდ, 30-34 წლების ასაკში – 4423, ხოლო 35-39 წლების ასაკში – 6592 ქალი. ამასთან, იმ რაიონებში, სადაც უპირატესად არამკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობს ქვრივთა და განქორწინებულთა წილი შესამჩნევად დაბალია, ვიდრე ქართველებით დასახლებულ რაიონებში. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მოკვდაობისა და განქორწინებათა არსებული დონის შენარჩუნების პირობებში „ვერცხლის“ ქორწილს მეუღლეთა 52 პროცენტი მოესწრება, ხოლო „ოქროს“ ქორწილს – მხოლოდ 17 პროცენტი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თუ გავითვალისწინებთ ცოლქმრულ ცხოვრებაში ჰარმონია არა მარტო ზნეობრივად ამაღლებს ადამიანებს, არამედ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ერის გამრავლებასაც.

IV.2. ქორწინებისგარეშე შობადობა

ქორწინებისგარეშე შობადობა მეტად მწვავე დემოგრაფიული და სოციალური პრობლემაა. უკანასკნელ წლებში საქართველოში არარეგისტრირებულ ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა უაღრესად გახშირდა და ბევრად უფრო გაიზარდა, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში, რაც თვით სპეციალისტებისათვისაც კი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. მარ-

თლაც, რეალური ვითარების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები მეტად დამაფიქრებელია. თუ 1980 წელს დაბადებულ ბავშვთა მთელ რაოდენობაში არარეგისტრირებულ ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი 4,7 პროცენტს უდრიდა, 1987 წელს მან 11,9 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1989 წელს ერთბაშად ექვსი პროცენტული პუნქტით გადიდდა და 17,7 პროცენტი შეადგინა, ე.ი. ქვეყანაში ყოველი მეექვსე ბავშვი ქორწინებისგარეშე დაიბადა. თუ აბსოლუტურ ციფრებსაც მოვიშველიებთ, საქართველოში 1980 წელს ქორწინებისგარეშე 4195 ბავშვი დაიბადა, ხოლო 1989 წელს — 16161 ბავშვი. ამჟამად ქორწინებისგარეშე შობადობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ მოვლენას თან ახლავს ერთი არსებითი ხასიათის ცვლილებაც. კერძოდ, ადრე ქორწინებისგარეშე ქალაქად უფრო ხშირად იბადებოდნენ ბავშვები, ვიდრე სოფლად, ამჟამად ეს განსხვავება აღარ შეიმჩნევა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, სადაც შობადობა დაბალია, ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქად. ეს იმის შედეგია, რომ გაზრდილი მიგრაციული პროცესების გამო ამ რესპუბლიკების სოფლის მოსახლეობაში ქალების რაოდენობა, განსაკუთრებით კი ფერტილურ ასაკში, მნიშვნელოვნად ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას. 1989 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ქორწინებისგარეშე 539 ათასი ბავშვი დაიბადა.

მოვლენის არსი რომ უფრო ნათელი გახდეს, შემდეგიც უნდა ითქვას: 1980-1989 წლებში ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი ჩვენს ქვეყანაში 3,8-ჯერ, საშუალოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში კი 1,1-ჯერ გაიზარდა და ამ მაჩვენებლით ესტონეთის გარდა ყველა რესპუბლიკას მნიშვნელოვნად გავუსწარით. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში ქორწინებისგარეშე შობადობა დაბალი იყო და თითქმის არ გაზრდილა.

ქორწინებისგარეშე შობადობის პრობლემა, რომელიც სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის კვლავწარმოების ხასიათზე, ჩვენთან შეუსწავლელია. არსებული ოფიციალური სტატისტიკა არაა საკმარისი მრავალ კითხვაზე პასუხის გასაცემად. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, იმ ქალების ეროვნება, ასაკი, განათლება, პროფესია, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, რომლებსაც ქორწინებისგარეშე შეეძინათ ბავშვები, არ ვიცით მათი დემოგრაფიული ქცევის მოტივები, ნათესავებისა და ახლობლების დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. ამიტომ საჭიროა სპეციალური გამოკვლევის ჩატარება ამ პრობლემის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ჰიგიენუ-

რი ასპექტების შესასწავლად. გასარკვევია იმ ქალების წილიც, რომლებსაც ჰყავთ მეუღლეები, მაგრამ ქორწინება დადგენილი წესით არ გაუფორმებიათ.

ამჟამად მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა მცირეა. ამავე დროს თუ ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში ქორწინებისგარეშე დაბადებათა შემთხვევები პრაქტიკულად არ გვხვდება, სამაგიეროდ ლათინური ამერიკის ტროპიკული ზონისა და კარიბის აუზის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70-80 პროცენტს აღწევს. საფრანგეთში ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 80-იან წლებში გაორმაგდა და 26 პროცენტი შეადგინა.

ქორწინებისგარეშე დაბადების ჯოველ შემთხვევას უძველესი დროიდანვე გმობდა და მეტად მკაცრად აფასებდა საზოგადოება. ეს გასაგებიცაა: მაშინდელი ზნეობრივი ნორმები უაღრესად ზღუდავდა ქალის უფლებრივ მდგომარეობას.

ქმრის მოღალატე ცოლი სიკვდილით ისჯებოდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. განსაკუთრებული სისასტიკით და წამებით ხოცავდნენ ასეთ ქალებს ივანე მრისხანეს დროს. ყველას დასანახად მათ ამაღლებულ ადგილზე მიწაში ცოცხლად მარხავდნენ, აგებდნენ სარზე, კვეთდნენ ხელ-ფეხსა და თაყს.

ბუნებრივია, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ასეთი შეზღუდვის პირობებში დიდ ცოდვად ითვლებოდა ქორწინებისგარეშე ბავშვის დაბადებაც. ცნობილია, რომ უძველეს დროიდანვე შობადობის თავიდან აცილების სხვადასხვა საშუალება არსებობდა, მაგრამ მათ მხოლოდ ქორწინებისგარეშე ურთიერთობების შემთხვევაში იყენებდნენ, ხოლო ქორწინებაში ყოფნის დროს მათი გამოყენება აკრძალული იყო. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ექიმს არ ჰქონდა უფლება ორსული ქალისათვის ნაყოფის მოსაშორებლად რაიმე წამალი მიეცა. სახელოვანი სპარტანელი კანონმდებელი ლიკურგე თავის რძალს, რომელსაც ქმარი გარდაეცვალა, ურჩევდა: ნაყოფის მოსპობა არაა საჭირო, მუცლის მოსაშლელი წამლის მიღებით სხეულს ნუ დააზიანებ და თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებო.

ძველ რომში ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვებს სხვადასხვანაირად ეპყრობოდნენ. ხშირად მათ ხოცავდნენ, ხოლო კონკუბინატის საფუძველზე დაბადებულ ბავშვებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ, მათ არ შეეძლოთ პრეტენზია წაეყენებინათ მამის მემკვიდრეობაზე. ამავე დროს სახელმწიფოს ახალ მოქალაქეთა უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებელი ლიკურგე საჭიროდ თვლიდა ღირსეულ მოქალაქეებს შვილების გაჩენის საკითხში სრული თავისუფლება მინიჭებო-

დათ. ახალგაზრდა ცოლის პატრონ მოხუცებულ კაცს უფლება ეძლეოდა, თუ კი ვინმე კეთილშობილი და ლამაზი ჭაბუკი მოეწონებოდა, იგი თავის სახლში, თავის ცოლთან მიეყვანა და მათი ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი თავისად მიეჩნია. ხდებოდა პირიქითაც: კეთილშობილ ვაჟკაცს, რომელსაც მოეწონებოდა სხვისი ცოლი — კდემამოსილი ქალი და კარგი შვილების დედა — შეეძლო ეთხოვა ქმრისათვის მის ცოლთან კავშირის დაჭერის ნება, რათა ამ ქალისაგან შვილები გაეჩინა.

აი, ასეთი წინააღმდეგობრივი იყო ზოგიერთ შემთხვევაში ძველ სამყაროში ოჯახისა და სიყვარულის მორალური ასპექტები. მაგრამ, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საზოგადოება თავისი განვითარების მანძილზე ყოველთვის მთელი სიმკაცრით მოითხოვდა მეტ თავდაჭერასა და მორალურ სიწმინდეს ქალისაგან და შესაბამისი კანონებით კიდეც ცდილობდა ამის უზრუნველყოფას. ამიტომ გასაგებია, რომ ქორწინებისგარეშე ბავშვის დაბადება ქალის მიერ ზნეობრივი ნორმების ყველაზე დიდ დარღვევად ითვლებოდა და ცოდვის შვილსაც საზოგადოება თავის სრულუფლებიან წევრად არ თვლიდა. სამწუხაროდ, საზოგადოება თითქმის დღემდე ვერ განთავისუფლდა მთლიანად ასეთი შეხედულებებისაგან.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივია, ისიც ვიკითხოთ: კარგია თუ ცუდი ქორწინებისგარეშე შობადობა? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. ამ მოვლენას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. მაგრამ სანამდე უშუალოდ პასუხს გავცემდეთ, ის მიზეზებიც დავასახელოთ, რაც იწვევს ასეთ შემთხვევებს.

ქორწინებისგარეშე შობადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სქესთა დისპროპორცია. ნაყოფიერების ასაკში ქალების რაოდენობა შესამჩნევად ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას და რეალურად ქალთა გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია ცხოვრების მუდმივი თანამგზავრის პოვნა.

ქორწინებისგარეშე დაბადებათა ზრდას, სქესთა შორის არსებულ დისპროპორციასთან ერთად, შერეულ, ეროვნებათაშორის ქორწინებაში ქართველი მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა ზომით მონაწილეობაც განაპირობებს. კერძოდ, საქართველოში ასეთი ქორწინება შედარებით ხშირია მამაკაცებს შორის. ქართველი ქალები სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ცოლად უფრო იშვიათად მიყვებიან. მართლაც, 1988 წელს სხვა ეროვნების წარმომადგენელზე დაქორწინებული ქართველი მამაკაცების რაოდენობა 1,6-ჯერ აღემატებოდა

არაქართველზე გათხოვილი ქართველი ქალების რაოდენობას, ხოლო 1996 წელს – 1,3-ჯერ. თუ სხვა კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ რეალური ვითარება უკეთ გამოჩნდება. 1988 წელს 25896 ქართველმა მამაკაცმა იქორწინა. აქედან, 2193 (8,5 პროცენტი) თავისი ბედი სხვა ეროვნების წარმომადგენელს დაუკავშირა, ხოლო 23703 დაქორწინებული ქართველი ქალიდან სხვა ეროვნების წარმომადგენელზე მხოლოდ 1378 ქალი (5,5 პროცენტი) გათხოვდა. 1996 წელს კი 15491 ქართველი მამაკაცი დაქორწინდა და 668 (4,3 პროცენტი) სხვა ეროვნების ქალი მოიყვანა. ამავე წელს 15324 ქართველი დაქორწინებული ქალიდან 501 (3,3 პროცენტი) სხვა ეროვნების მამაკაცს გაჰყვა ცოლად. ამრიგად ქართველი მამაკაცების „დეფიციტი" თვალსაჩინო ხდება. საგულისხმოა ისიც, რომ 1979-1989 წლებში გაიზარდა ეროვნებათაშორის ქორწინებაში მონაწილე ქართველი ქალებისა და განსაკუთრებით მამაკაცების რაოდენობა.

ახლა იმ საკითხსაც უნდა შევეხოთ, რომ ახალგაზრდები დაქორწინებისას უპირატესობას თავისივე ეროვნების წარმომადგენელს აძლევენ. 1988 წელს 20 წლამდე დაქორწინებული ქართველი ვაჟების ხუთი და გოგონების მხოლოდ ოთხი პროცენტი იყო ქორწინებაში სხვა ეროვნების წარმომადგენელზე, მაშინ როდესაც 40-44 წლების ასაკში აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად თითქმის 15 და 11 პროცენტს უდრიდა. როგორც ჩანს, მაღალ ასაკში ადამიანებს უძნელდებათ ოჯახის შექმნა და ამიტომაც მეუღლის არჩევისას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეროვნულ ფაქტორს.

ეროვნებათაშორისი ქორწინება განსაკუთრებით მრავალია ჩვენი ქვეყნის არამკვიდრ მოსახლეობაში. მაგალითად, 1988 წელს რუსი მამაკაცების 60 და ქალების მხოლოდ 47 პროცენტი დაქორწინდა თავისივე ეროვნების წარმომადგენელზე, ხოლო სომხებში შესაბამისად 76 და 78 პროცენტი. კიდევ უფრო გამოკვეთილი იყო ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. არც ისე იშვიათად არამკვიდრი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თავისი ეროვნების ნაცვლად, სხვა ეროვნების წარმომადგენელზე დაქორწინებას ანიჭებდა უპირატესობას. მაგალითად, 1988 წელს რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში ბელორუსების 93-95 პროცენტი, უზბეკეთში რუსების 91 პროცენტზე მეტი, ხოლო ბელორუსიასა და რუსეთში უკრაინელების თითქმის 90 პროცენტი სხვა ეროვნების წარმომადგენელზე დაქორწინდა. ამავე წელს რუსეთში სომხების, ყაზახეთში თათრების, ბელორუსიასა და უკრაინაში რუსების, ხოლო უკრაინაში მოლდაველების დაქორწინებულთა ნახევარზე

მეტმა თავისი ცხოვრების თანამგზავრად სხვა ეროვნების წარმომადგენლები აირჩია. სამაგიეროდ შუა აზიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში მკვიდრი მოსახლეობა თითქმის მთლიანად თავისივე ეროვნების წარმომადგენლებზე ქორწინდება.

ამრიგად, ეროვნებათაშორისი ქორწინება ჩვენს ქვეყანაში ამცირებს რეალურ საქმროთა რაოდენობას. ამის შედეგად ქართველ ქალთა ნაწილი რჩება გაუთხოვარი, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ქორწინებისგარეშე დაბადებათა შემთხვევებს.

ქორწინებისგარეშე დაბადებათა ზრდას განაპირობებს აგრეთვე დაქორწინების ასაკის გახალგაზრდავება, რამაც, ვფიქრობთ, ქორწინების დესტაბილიზაციაც გამოიწვია. ინტიმური ურთიერთობა სულ უფრო მეტად ვეღარ თავსდება ქორწინების საზღვრებში. ქალაქური ცხოვრების ყაიდამ, მისმა გავრცელებამ და ანონიმურობამ, დაძაბული ცხოვრების რიტმმა გარკვეულწილად გაარღვია მკაცრად ჩამოყალიბებული სქესობრივი ურთიერთობის არსებული ბარიერები და ეს ურთიერთობა მორალის ახლებური გაგების საზღვრებში მოაქცია. თანამედროვე ქალი ნაკლებ მოკრძალებული გახდა. უფრო მეტიც, დღეს უკვე აუღელვებლად წერენ იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ანონიმური გამოკვლევის მიხედვით უფროსკლასელთა 70 პროცენტი სქესობრივ ცხოვრებას ეწევა და ამას უნდა შეეურიგდეთო[1]. ქორწინებისგარეშე კავშირები ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რამაც დაასუსტა ოჯახი. ამ მხრივ საინტერესოა ორი ათასი ამერიკელი მოქალაქის ანონიმური გამოკვლევის შედეგები. დაქორწინებულ პირთა 31 პროცენტს ჰქონდა ან ახლა აქვს ქორწინებისგარეშე კავშირები, 20 პროცენტმა 13 წლამდე ასაკში დაკარგა უბიწოება... უმრავლესობა არ აპირებს იზრუნოს მოხუცებულ მშობლებზე, ხოლო 72 პროცენტი არ იცნობს თავის უახლოეს მეზობლებს.[2] ქორწინებისა და საერთოდ ოჯახური ყოფიერების ტრადიციულ გაგებაში იცვლება მორალური პრინციპები. ოჯახის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად ახლა საკმაოდ იწერება ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის საჭიროებაზე, რათა შემდეგში სქესობრივი შეუთავსებლობა ოჯახის დანგრევის მიზეზი არ გახდეს. მაგრამ ასეთი ძიებიდან ამორალურ ქცევამდე ერთი ნაბიჯია და მისი გადადგმა უკვე არც ისე ძნელი ხდება.

ასე რომ, რაც გუშინ სქესობრივი ურთიერთობის სფეროში აკრძალული და მიუღებელი იყო, დღეს თითქოს მისაღებად და ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა. ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარებული გამოკ-

[1] გაზ. «Собеседник», №7. 1990.

[2] გაზ. «Коммерсант», №18, 1991

ველევის მიხედვით ახლა ქორწინებისგარეშე თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობის მომხრეთა რაოდენობაც იზრდება. კერძოდ, ეს ახალგაზრდა მოსკოველების გამოკითხვის შედეგებმაც დაადასტურა. დაქორწინებული მამაკაცებისა და ქალების ნახევარი ქორწინებისგარეშე სქესობრივი კონტაქტების მომხრეა. მათი აზრით ქორწინებისგარეშე კონტაქტები აუცილებელია, მოსაწყენია ერთი და იგივე ადამიანთან ცხოვრება,[1] საჭიროა სიახლე სქესობრივი ურთიერთობის სფეროშიც და ამაში მით უფრო არაფერია ცუდი, თუკი ასეთ კავშირებს სხვის მიმართ სიყვარულის გრძნობაც ემატება. ამასთან, საკუთარი ქცევისაგან დამოუკიდებლად ქორწინებისგარეშე სქესობრივ კავშირებს მაინც სხვადასხვაგვარად უყურებს მამაკაცი და ქალი. დაახლოებით ქალების ორ მესამედს და მამაკაცთა თითქმის ნახევარს ასეთი კავშირები ორივე სქესისათვის დასაშვებად მიაჩნია. მხოლოდ ქალების ერთი მეოთხედი და მამაკაცების ერთი მეექვსედი თვლის, რომ ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირები დაუშვებელია. ზოგიერთის აზრით კი ყველაფერი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

დღეს ბევრი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები სიამოვნებით აღწერენ ახალგაზრდების ორგიებს, ჯგუფურ ქორწინებებს და ამით ღრმავდება მათი სულიერი კრიზისი. ამის შედეგად თაობათა შორის განსხვავება ყოფა-ცხოვრების, თავისუფალი დროის გამოყენების, ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების, სექსუალური ქცევის ნორმებში სულ უფრო ღრმავდება და საშიშ ხასიათს იღებს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მთელი მსოფლიო გაეცნო ამერიკელი სტუდენტი ქალის ინტერვიუს: „სქესობრივი ურთიერთობა ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტების არსებობის გამო, ისევე არ უნდა შეიზღუდოს, როგორც კომუნიკაციის სხვა რომელიმე საშუალება, მაგალითად, საუბარი, ცეკვა, ხელის ჩამორთმევა".[2] დასავლეთის ბევრი ქვეყანა შეშფოთებულია პორნობიზნესის საოცარი აყვავებით. და ეს მით უფრო საშიშია, რომ ამ საქმეში იყენებენ მცირეწლოვან ბავშვებს. ამის შესახებ გერმანიაში გამომავალმა ჟურნალმა „შტერნმა" გამოაქვეყნა არალეგალურ პორნობიზნესთან დაკავშირებული საშინელი მასალები. ქვეყანა შეძრა ცნობამ იმის შესახებ,

[1] ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ჩანაწერი, რომელსაც პუშკინს მიაკუთვნებენ. იგი თავისი მეუღლის შესახებ აღნიშნავს: „სულ მალე, რამდენიმე თვის შემდეგ, მე უკვე აღარ ვცახცახებდი, როცა ოხდიდა. ზეპირად შეისწავლე იგი, როგორც საყვარელი, წინასწარ ვიცოდი რა წამს რას მოიმოქმედებდა, ვეღარაფერით მაკვირვებდა. მხოლოდ მისი სუნი მაძლევდა სტიმულს ისევე მოუხეშავი, როგორც ადრე. თანდათანობით იგი ჩემთვის შეუმჩნეველი გახდა" გაზ. „რუბიკონი", 16 მაისი, 1991.

[2] Газ. «За рубежом» №3. 1990.

რომ ყოველწლიურად სექსუალურ დანაშაულებათა მსხვერპლი ხდება დაახლოებით სამასი ათასამდე ბავშვი. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ წლინახევრისაა და მათ მშობლები გარკვეული საზღაურის ფასად „აქირავებენ“. თუ დავაკონკრეტებთ: შუამავალი იღებს ათას მარკას და ამდენივეს დედა. როგორც წესი, პორნობიზნესისათვის იყენებენ 12 წლამდე ასაკის ბავშვებს.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენთან გახშირდა უცხოური ფილმების ჩვენება, სადაც გაშიშვლებულია სექსუალური ურთიერთობის დეტალები და ყოველივე ამას უკვე ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ.

ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ ამ სფეროში ვიდეოფილმების ერთბაშად საოცარი მოზღვავება მარტოოდენ სექსუალური ცნობისმოყვარეობის უბრალო დაკმაყოფილებით შემოიფარგლება. უნდა გავითვალისწინოთ რენესანსის ეპოქის უდიდესი წარმომადგენლის ლეონარდო და ვინჩის შეგონება — უდიდესი აღტკინების ჟამს ადამიანებს რომ შეეძლოთ თავიანთი თავის დანახვა ადამიანთა მოდგმა დაიღუპებოდაო. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, სქესობრივი ცხოვრება იყო და დარჩება სწორედ ცოლქმრობის შემადგენელი ნაწილი და არა ამა თუ იმ პიროვნების კერძო საქმე.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად უაღრესად შესუსტებულია კონტროლი ბავშვების მიერ ტელეგადაცემათა და ვიდეოფილმების ნახვაზე. მოზარდი თაობა დამოუკიდებლად და, არც ისე იშვიათად, ოჯახის უფროს წევრებთან ერთადაც კი ისეთ გადაცემებს ნახულობს, რომლებიც არაა განკუთვნილი მათთვის. ამას კი პიროვნების ჩამოყალიბების, მისი ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებისა და გარდაქმნის პერიოდებში ისმება ხოლმე საკითხი სქესობრივი ცხოვრების თავისუფლების აუცილებლობაზე. სქესობრივი მორალისა და ოჯახის პრობლემების საკითხებზე ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გაიმართა დიდი დისკუსია. აკად. პ. გუგუშვილს თავის წიგნში „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ ფართოდ აქვს განხილული მაშინდელი დისკუსიის პერიპეტიები. ამ პერიოდში ბევრს და, მათ შორის, ცნობილ მოღვაწეებსაც მეტად გამარტივებულად ეჩვენებოდათ ქალ-ვაჟთა სქესობრივი ურთიერთობისა და ოჯახის ყოფიერების საკითხები. ჩვენ თავს ნებას მივცემთ ზოგიერთი ამონაწერით ვისარგებლოთ აკად. პ. გუგუშვილის ნაშრომიდან, რადგან შექსპირის ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „ერთხელ შობილი რატომ ვშობოთ ისევ თავიდან?“

ამ დისკუსიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ა. კოლონტაი სქესობრივი აღვირახსნილობის იდეას ქადაგებდა. მისი აზრით სულერთია — სიყვარული ღებულობს ხანგრძლივი და გაფორმებული კავშირის ფორმას, თუ გამოიხატება გარდამავალი კავშირის სახით. მას თავის ნარკვევში მოჰყავს მისი გმირის, კომკავშირელ ჟენიას სიტყვები: „სქესობრივი ცხოვრება ჩემთვის უბრალო ფიზიკური სიამოვნებაა. ჩემს შეყვარებულებს განწყობილებისამებრ ვიცვლი. ახლა მე ორსული ვარ, მაგრამ არ ვიცი ვინაა ჩემი ბავშვის მამა, და ეს ჩემთვის სულერთია“. ასევე ამარტივებს საქმეს ერთ-ერთი სტუდენტი ქალი: „... შენ გჭირდება ვაჟი! — აიყვანე, დაკმაყოფილდი, მაგრამ თვალთმაქცობას (ფოკუსებს) თავი დაანებე. ნივთებს საღად უყურე“.

ხშირად ამ დისკუსიის დროს მეორე უკიდურესობასაც ეხვდებით. ადამიანი განიხილებოდა როგორც მარტოოდენ მუშა, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი, სახელმწიფო აპარატის ფუნქციონერი არსება. ამავე დისკუსიის მონაწილე პროფ. ა. ზალკინდის აზრით, ადამიანს „... აუცილებელია, რათა კოლექტივი უფრო იზიდავდეს თავისკენ, ვინემ საყვარელი არსება... ძლიერ ვშიშობ, რომ „ფრთიანი ეროსის“ კულტის პირობებში ჩვენთან ცუდად აშენდება თვითმფრინავები“.

მიუხედავად ამისა ოჯახისა და სიყვარულის მორალური ასპექტები თანდათანობით სწორ ფორმასა და შინაარსს იძენდა. და მაინც ადრე ნაქადაგები იდეები შესამჩნევ როლს თამაშობდა. თვით ცნობილი ა. ლუნაჩარსკიც კი 1925 წელს წერდა: „მომავალში ვაჟები და ქალები შექმნიან სიყვარულის დიდ პოემას. მაგრამ ამას ისინი გააკეთებენ სრული თანასწორობის საწყისებზე ... ჩვენ ვამბობთ ყოველგვარი სიტკბოება დასაშვებია, თუ ის მავნე არაა, თუ ვაჟს თავისი აყვავების პერიოდში მოუხდა რამდენიმეჯერ გამოიცვალოს ქალი და ეს ენებას არ მოუტანს არც მას და არც საზოგადოებას, არავითარი მიზეზი არაა ვიცავდეთ ერთცოლიანობას. იგივე ითქმის ქალზედაც“.

სქესობრივი მორალის ასეთი გაგება, თავისუფალი სიყვარულის ცნება უკვე თავისთავად მოასწავებს ბავშვთა ქორწინებისგარეშე დაბადებას, საერთოდ ოჯახის ინსტიტუტის მოშლას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ბავშვთა აღზრდაც საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა მოხდეს. და ეს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ. მაგალითად, კ. კაუცკი პირდაპირ წერდა, რომ საქონლური წარმოების არსებობისას ბავშვების აღზრდის საუკეთესო ეკონომიკურ პირობას წარმოადგენს კანონიერი ქორწინება, ოჯახი. მაგრამ ეს მდგომარეობა შეიცვლება სოციალიზმის დროს, როდესაც „ბავშვების აღზრდაზე ზრუნვას მამის

მაგიერ თავის თავზე აიღებს საზოგადოება. მაშინ ქმრისა და ცოლის კანონიერი ქორწინება ზედმეტი გახდება". მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ ამ მხრივ უფრო შორს წავიდა ცნობილი აკადემიკოსი ს. სტრუმილინი, რომელიც შედარებით ახლახანს, 60-იან წლებში წერდა ბავშვთა აღზრდის სრული „კოლექტივიზაციის" თაობაზე — ახალშობილი „ყოველი საბჭოთა მოქალაქე სამშობიარო სახლიდან გამოსვლისთანავე იგზავნება საბავშვო ბაგაში, აქედან — საბავშვო ბაღში ან საბავშვო სახლში..., — მერე სკოლა-ინტერნატში; ხოლო აქედან უკვე გაემართება დამოუკიდებელი ცხოვრების საგზურით". ასეთი „თეორიებით" ისპობა ადამიანის ცხოვრების აზრის, მისი არსებობის მიზნისა და დანიშნულების საფუძველი.

შვილებსა და მშობლებს შორის კავშირის, „დედაშვილობის" უზენაესი გრძნობის გაქრობასთან ერთად ყოველი ამაღლებული გრძნობაც გაქრება. ამ მხრივ თანამედროვე ადამიანისათვის ბევრად უფრო ახლობელია აღმოსავლური ლიტერატურის უძველესი და უბრწყინვალესი ძეგლის — „გილგამეშის" უცნობი ავტორი, რომელიც მარადიული სიცოცხლის ძიებაში მყოფ გილგამეშს ადამიანის მთავარ მოვალეობას შეახსენებს: „იზრუნე ჩვილზე, ხელთ რომ გეჭირება, შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი, — რამეთუ ესაა ხვედრი მოკვდავისა".[1]

ქორწინებისგარეშე შობადობას გარკვეულწილად ისიც განაპირობებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრია დაუქორწინებელი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა. მაგალითად, 1989 წელს 45-49 წლის ასაკში არასოდეს ყოფილა ქორწინებაში 4778 მამაკაცი და 50 წლისა და უხნესი 43654 ქალი. ეს 44 ათასი ქალი კიდევაც რომ გათხოვდეს, მათ შვილი აღარ ეყოლებათ. თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ და იმასაც დავუმატებთ, რომ ამჟამად საქართველოში დაახლოებით 70 ათას ქალს პოტენციურად შეუძლია გახდეს დედა, მაგრამ საქმროები მათთვის არაა საკმარისი, ჩვენს მამაკაცებს (და, რა თქმა უნდა, ქალებსაც) მეტი ზრუნვა და ინიციატივა მართებთ ოჯახის შესაქმნელად, ქვეყნისა და ერის წინაშე ბუნებით მინიჭებული ვალის მოსახდელად. ჩვენს პრესაში ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა და ამიტომ თავს ნებას მივცემთ ამჯერად შევახსენოთ მათ შექსპირის მწარე, მაგრამ მართალი სიტყვები: „ვისაც არა სურს თავის ბედის სხვასთან გაყოფა, ამ ქვეყანაზე მისი ყოფნა არის არყოფნა".[2]

დასასრულ, თუ ისევ მთავარ საკითხს — ქორწინებისგარეშე

---

[1] გილგამეში, თბ., 1963, გვ. 73.

[2] უ. შექსპირი. სონეტები. თბ., 1979. მერვე სონეტი.

მამაკაცების ქორწინებითი მდგომარეობა ასაკის მიხედვით 1989 წელს საქართველოში

ასაკი	სულ		დაქორწინებული		არასოდეს ყოფილა ქორწინებაში		ქვრივი		განქორწინებული, განშორებული		არ აქვენა ქორწინებაში ყოფნა	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
15 წლის და უფროს ასაკში სულ მათ შორის	1879713	100.0	1284391	68.3	498941	26.6	51013	2.7	27618	1.5	17750	0.9
15-19	217727	100.0	6087	2.8	209247	96.1	94	0.0	89	0.0	2210	1.0
20-24	203373	100.0	55189	27.1	142494	70.0	184	0.1	952	0.5	4554	2.3
25-29	22617	100.0	141371	62.5	78564	34.7	379	0.2	2904	1.3	2953	1.4
30-34	201288	100.0	163299	81.1	31749	15.8	610	0.3	3947	2.0	1689	0.8
35-39	174508	100.0	153540	88.0	15140	8.7	722	0.4	4018	2.3	1088	0.6
40-44	12466	100.0	113259	90.8	6425	5.1	962	0.8	3190	2.6	826	0.7
45-49	138999	100.0	128328	9 2.4	4778	3.4	1889	1.4	3362	2.4	642	0.4
50-54	163875	100.0	152150	92.8	3822	2.3	3498	2.1	3580	2.2	826	0.5
55-59	140794	100.0	130297	92.5	2379	1.7	5201	3.7	2258	1.6	659	0.5
60-64	130218	100.0	117100	90.0	1824	1.4	8511	6.5	1820	1.4	963	0.7
65-69	57628	100.0	49515	86.0	966	1.7	5891	10 2	692	1 2	564	0.9
70 წლისა და უხნესი	100469	100.0	74256	73.9	1559	1.6	23072	23.0	806	0.8	776	0.7

ქალების ქორწინებითი მდგომარეობა ასაკის მიხედვით 1989 წელს საქართველოში

ასაკი	სულ		დაქორწინებული		არასოდეს ყოფილა ქორწინებაში		ქვრივი		განქორწინებული, განშორებული		არ აჩვენა ქორწინებაში ყოფნა	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
15 წლის და უფროს ასაკში სულ	2182654	100.0	1305374	59 8	414354	19.0	357162	16.4	88283	4.0	17481	0.8
მათ შორის												
15-19	201540	100.0	26885	13 3	171367	85.0	397	0.2	613	0.3	2278	1.1
20-24	210351	100.0	116115	55.2	85595	40.7	1005	0.5	4223	2.0	3413	1.6
25-29	241474	100.0	177022	73.3	50385	20.9	2385	1.0	9205	3.8	2477	1,0
30-34	215559	100.0	171071	79.4	26901	12.5	4423	2.0	11664	5.4	1500	0,7
35-39	187878	100.0	151208	80.5	17011	9.1	6592	3.5	12114	6.4	953	0.5
40-44	136366	100.0	108368	79.5	9993	7.3	8030	5.9	9281	6.9	699	0.5
45-49	157575	100.0	122849	78.0	9448	6.0	14815	9.4	9853	6.2	610	0.4
50-54	181752	100.0	135642	74.6	10094	5.6	24627	13.5	10519	5.8	870	0.5
55-59	163070	100.0	112061	68.8	9159	5.6	33291	20.4	7873	4 8	686	0.4
60-64	167237	100.0	97086	58.0	9695	5.8	52269	31.3	6951	4.2	1236	0.7
65-69	102966	100.0	43846	42.6	5985	5.8	49134	47.7	3115	3.0	886	0.9
70 წლისა და უხნესი	216886	100.0	43226	19.9	8721	4 0	160194	73.9	2872	1.3	1873	0.9

ბავშვთა დაბადებას დაეუბრუნდებით და მისი ალტერნატიულობის საკითხებსაც დავსვამთ, შეიძლება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გამოყოფა. მთავარი ისაა, რომ ქალთა დიდ რაოდენობას პოტენციურად შეუძლია გახდეს დედა, მაგრამ საქმროების დეფიციტი ამის საშუალებას არ იძლევა. შედარებით მაღალი ასაკის ქალები თანდათანობით ურიგდებიან იმ აზრს, რომ შეიძლება ისინი ვეღარ გათხოვდნენ, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად უჭირთ იმ აზრსაც შეეგუონ, რომ ვეღარ გახდებიან დედები, ვერ შეასრულებენ ბუნებისაგან მინიჭებულ ადამიანთა მოდგმისათვის ყველაზე მთავარ და ქალისათვის ყველაზე სასიხარულო დანიშნულებას. სიცოცხლის გაგრძელების მარადიული ინსტიქტი მაინც თავისას აკეთებს. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავაიგივოთ უპატიოსნობა ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა შემთხვევებთან. უფრო მეტიც: საზოგადოებრივი აზრის თანადგომა და ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ მარტოხელა დედებს.

ქორწინებისგარეშე შობადობა, ცხადია, ხელს უწყობს მოსახლეობის მატებას. მარტო 1989 წელს, როგორც უკვე ითქვა, საქართველოში ქორწინებისგარეშე 16161 ბავშვი დაიბადა. რაოდენობრივი მატება, მართლაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბელორუსიას, რომლის მოსახლეობა თითქმის ორჯერ მეტია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე, ქორწინებისგარეშე ამავე წელს 12186 ბავშვი შეემატა, ხოლო აზერბაიჯანს — 3-ჯერ ნაკლები ჩვენთან შედარებით. მაგრამ ამ მოვლენას სხვა მხრივაც უნდა შევხედოთ და მხედველობაში სხვა გარემოებებიც უნდა მივიღოთ. როდესაც ქორწინებისგარეშე შობადობა მნიშვნელოვნად იზრდება და მასობრივ ხასიათს იღებს, ეს იმის მაუწყებელიცაა, რომ ახალგაზრდა ქალების საკმაო ნაწილს ჰყავს ქორწინებისგარეშე ბავშვები. როგორც წესი, მარტოხელა ბავშვიან ქალებს გათხოვება უჭირთ, ქორწინებისგარეშე კი მეტ ბავშვებს აღარ აჩენენ და ამდენად ერთი ბავშვის ამარა რჩებიან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობის საერთო დონეს.

აქვე ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვები შედარებით ცუდად სწავლობენ, უფრო ხშირად არღვევენ წესრიგს, განიცდიან მატერიალურ სიძნელეებს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ თუ განქორწინების დროს მამა მეტნაკლებად ინარჩუნებს კონტაქტებს შვილთან, ქორწინებისგარეშე დაბადების შემთხვევაში ეს კონტაქტები ან საერთოდ დაკარგულია ან, უკეთეს შემთხვევაში, გაცილებით სუსტი. ყოველივე ეს არსებით გავლენას ახდენს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. ამ

ასპექტში მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ორსულობის პერიოდში დედა სტრესულ სიტუაციაშია, ხშირად კიდევაც მალავს თავის ორსულობას. ბავშვის მოვლისა და აღზრდის პირობებიც ასეთ შემთხვევაში უფრო არახელსაყრელია, ვიდრე სრულ, ნორმალურ ოჯახებში. ამასთან ერთად შვილი, და განსაკუთრებით ქორწინებისგარეშე შეძენილი, უაღრესად მარტოობას გრძნობს ოჯახში. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ სპეციალისტების აზრით პირველი ბავშვი ფიზიკურად ხშირად მეორე და მესამე ბავშვზე გაცილებით სუსტია, რაც ერის გენეტიკის განვითარებაში არასასურველ შედეგებს გამოიწვევს. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებშიც პირველთან შედარებით მეორე და განსაკუთრებით მესამე შვილი უფრო ჭკვიანი, საზრიანი და მოხერხებულია, ცხოვრებისეულ სიძნელეებსაც უფრო ადვილად სძლევს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად გვერდს ვერ ავუვლით ერთ, მეტად საგულისხმო ფაქტსაც. როგორც წესი, ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების მამების უმეტესობას აქვთ საკუთარი ოჯახი — ჰყავთ მეუღლე და შვილები. ბუნებრივია, ირღვევა ასეთი მამების ოჯახების ბედნიერება და სიმყუდროვე, იცვლება ერთ დროს კეთილი, მზრუნველი მამა და ქმარი. ყველაფერი ეს, არც ისე იშვიათად, განქორწინებით მთავრდება.

ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახის სიწმინდეს და ასეთ ოჯახს ერისა და ქვეყნის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქალის, როგორც დედის, მეოჯახის, სიწმინდისა და ნამუსის, როგორც სიცოცხლის მუდმივი და განახლებადი წყაროს კულტი აგრერიგად გამოიკვეთა მთელ ქართულ მწერლობაში. ძველქართულ საერო აპოფთეგმურ ლიტერატურაში შემთხვევით როდია ნათქვამი: „ქალისა მზითევი არს სიწმინდე და ნამუსი“. არც ახალგაზრდობისადმი შემდეგი დარიგებაა შემთხვევითი: „ცოლი ღირსი ირჩიე... და მზითვად ბუნება იკითხე მისი“.[1]

ოჯახური ცხოვრების სიწმინდის ასეთი მორალი დამახასიათებელია მთელი ქართული მწერლობისათვის. მაგალითად, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწისა და მწერალ-მწიგნობრის იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“, რომელიც დაწერილია XIX საუკუნის პირველ მესამედში, ვკითხულობთ: „უნდა პირველად შემრთველმან ცოლისამან გამოარჩიოს და გამოიკითხოს პატიოსნობაი და აღზრდილობაი, სიმშვიდე და გულმართლობაი მისი. და ოდეს ცნას ყოველივე

[1] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. თბ., 1969, გვ. 74, 79.

ნამდვილად, მაშინ მიიყუანოს იგი შემწედ თვისდა, ვინაიდან გამორჩევასა ზედა მისსა არს დამოკიდებულ მომავალი ბედნიერობაი მისი და არა კმარა მხოლოდ მშვენიერებისა გამო მიყუანებად ცოლისა თვისისა და შერთვად... ვინაიდგან დღე ყოველ იგი უწესობათა თვისითა აწუხებდეს ქმარსა თვისსა... გაძულებს ძმათა და სჩუათა კეთილსმყოფელთა შენთა... განვალს სახლით თვისით და არა ნიადაგ მყოფს მას შინა, არცა იღწვის სახლის მეურნეობისათვის"... ამავე დროს მამაკაცსაც მართებს ცოლისადმი პატივისცემა და პატიოსნების დაცვა: „ნუ წინა აღუდგები ნებასა მისსა უმიზეზოდ, ვინაიდგან იგი მოზიარე არს შენთანა მწუხარებისა და შექცევისა შენისა. შეცოდებაი მისი განმართე მყუდროებით და ნუ ითხოვ მისგან, ვითომც რომ თანამდებ იყოს იგი პატივისცემად შენისა უთავაზობისათვის... იყავ სარწმუნო საწოლისა ქორწინებისასა, რამეთუ იგი არს დედა შვილთა შენთა".[1] ამდენად, რა თქმა უნდა, ოჯახურ სიწმინდესა და ერთგულებას მეუღლეები ყოველთვის უნდა უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ, მაგრამ ამ მხრივ ქალს მაინც მეტი მოვალეობა ეკისრება, რადგან, თუ შექსპირის ცნობილ ნათქვამს გავიხსენებთ, „თავისუფლება კაცს მეტი აქვს ვიდრემდე ქალსა". საბედნიეროდ, ქართველ ქალს თავის სილამაზესა და კდემამოსილებასთან ერთად ოჯახის მძიმე, მაგრამ საამაყო ტვირთიც ღირსეულად უტარებია ქვეყნისა და ერის წინაშე. და თუ ოჯახი ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს, უპირველეს ყოვლისა, იმ ურთიერთობებს, რომლებიც ერისთვისაა დამახასიათებელი, რაც ზოგადსაკაცობრიოა, თუ ოჯახში ხდება თაობათა განახლება, დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების განვითარება და გადაცემა თაობათა შორის, და თუ ოჯახი შვილებით იწყება, მაშინ მომავალში კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მყარი ოჯახების შექმნას. ამას მოითხოვს ჩვენი ერის, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ინტერესები.

[1] იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა, თბ., წიგნი I, 1990, გვ. 506-507.

IV.3. ნაადრევი ქორწინება

ქორწინება დადგენილი წესით წყვილთა თავისუფალი კავშირის რეგისტრაციას გულისხმობს. ამასთან, დაქორწინებისათვის დასაქორწინებელ პირთა თანხმობის გარდა აუცილებელია საქორწინო ასაკამდე მიღწევა.

ქვეყანათა უმრავლესობაში საქორწინო ასაკი ქალებისათვის უფრო დაბალია, ვიდრე ვაჟებისათვის. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში სრულწლოვანება არ თანხვდება საქორწინო ასაკის დასაწყისს — იგი უფრო მაღალია. სრულწლოვანებასა და საქორწინო ასაკს შორის განსხვავება ზოგჯერ სამ, ოთხ და ცხრა წელსაც კი აღწევს (მაგალითად ჩილეში). ამიტომ ამ ქვეყნებში მშობლების თანხმობის გარეშე კანონმდებლობით აკრძალულია ქორწინება სრულწლოვანების მიღწევამდე.

ძველად საქართველოში ქალის მინიმალური საქორწინო ასაკი 12 წელი იყო. კერძოდ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1104 წ.). შემდგომი ხანის ქართული სამართლის ძეგლებში ქალის საქორწინო ასაკის დასაწყისად კვლავ 12 წელია დაწესებული. უფრო უასაკო ქალის გათხოვება დასაგმობ და „განსაგდებელ“ საქმედ იყო მიჩნეული. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ქალის საქორწინო სრულასაკოვნება 13 წლიდან, ხოლო ვაჟისა 15 წლიდან იწყებოდა. 1920-ანი წლებიდან ქალებისათვის საქორწინო ასაკს 15, ხოლო ვაჟებისათვის 17 წელი შეადგენდა. შემდგომში საქორწინო ასაკი ერთი წლით გადიდდა. 1956 წლიდან საქორწინო ასაკად ორივე სქესისათვის 18 წელი დაწესდა. გამონაკლის შემთხვევაში ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შეეძლო საქორწინო ასაკის შემცირება, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ყოვლად დაუსაბუთებლად და საკითხის შესწავლის გარეშე, საქორწინო ასაკი 16 წლამდე შეამცირა. ეს იმ მოტივით გაკეთდა, რომ თითქოს ნაადრევი ქორწინება გაზრდიდა შობადობას. შემდგომში მინიმალური საქორწინო ასაკი ისევ 18 წელი დაწესდა.

თანამედროვე სამედიცინო-დემოგრაფიული მეცნიერების მონაცემებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალის დაქორწინებას სპეციალისტთა მიერ რეკომენდირებულ ასაკში. ასეთ ასაკად მიჩნეულია 18-20 წელი. უფრო ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების

დაწყება და ნაადრევი ორსულობა საზიანოა არა მარტო ქალისათვის, არამედ შთამომავლობისათვისაც. ქალი ბერდება დროზე ადრე და სხვ.

როგორც ნაადრევ (19 წლამდე), ისე დაგვიანებულ (35 წელს ზევით) პირველ ორსულობას და მშობიარობას, აგრეთვე, ხშირ მშობიარობებს (2-2,5 წელზე ნაკლები ინტერვალით) ხშირად თან ახლავს სხვადასხვა სახის გართულებები ახალდაბადებულებში. აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1992 წელს 18 წლამდე ასაკის 145 ქალმა იმშობიარა. აქედან პათოლოგიური მშობიარობისა და დაბადებულთა პათოლოგიური შემთხვევები 55,2 პროცენტს უდრიდა, მაშინ, როდესაც 18-25 წლის ასაკში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25,5 პროცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 40 და მეტი წლის ასაკის ქალებში დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი 5-ჯერ აღემატება 20-28 წლის ასაკის ქალების შესაბამის მონაცემს, ხოლო ზემოაღნიშნული ასაკის ქალების პირველად მშობიარობისას – 15-ჯერ. არანაკლებ საგულისხმოა ისიც, რომ ქალების 25 წლამდე ასაკში ფეხმძიმობა ხელს უწყობს ონკოლოგიური დაავადებების თავიდან აცილებას. ამასთან, დამტკიცებულია პირდაპირი კავშირი 19 წლამდე ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყებისა, განსაკუთრებით ბევრ პარტნიორთან, და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების რისკის ზრდას შორის. დადგენილია, აგრეთვე ისიც, რომ ქალები, რომლებიც ნაადრევად წყვეტენ ან საერთოდ უარს ამბობენ ბავშვის ძუძუთი კვებაზე, უფრო ხშირად ავადდებიან სარძევე ჯირკვლის კიბოთი ან იმყოფებიან ამ დაავადების მომეტებული რისკის ქვეშ.

სპეციალური გამოკვლევებით ბავშვის დაბადებათა შორის ოპტიმალურ ინტერვალად მიჩნეულია ორი წელი. ეს პერიოდი უზრუნველყოფს როგორც დედის ფიზიოლოგიური შესაძლებლობების სრულ აღდგენას, ისე ნაყოფისა და ახალშობილის ნორმალურ განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ერთ წელზე ნაკლები ინტერვალით დაბადებული ბავშვების მოკვდაობის მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ორი და მეტი წლის ინტერვალით დაბადებული ბავშვების შესაბამის მონაცემს. ეს კიდევ ერთხელ ნათელყო 1972-1984 წლებში ორმოცდაერთ ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვის დაბადებათა შორის ორწლიანი ოპტიმალური ინტერვალის დაცვამ შესაძლებელი გახადა ყოველი ხუთი ახალშობილი ბავშვიდან ერთი ბავშვის გადარჩენა. მაგალითად,

ბანგლადეშში ბავშვის დაბადებათა შორის ინტერვალის გადიდების შედეგად ყოველწლიურად 150 ათას ბავშვს უნარჩუნებენ სიცოცხლეს.[1]

1998 წელს თბილისში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით პირველი და მეორე შვილის დაბადებას შორის ორწლიანი ინტერვალი გამოკითხულ დედათა 42,8 პროცენტმა დაიცვა, სამწლიანი – 10,6, ოთხწლიანი ინტერვალი – 8,2, ხოლო ხუთი და მეტწლიანი კი – 11,3 პროცენტმა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გამოკითხულ დედათა თითქმის მესამედისათვის (27,1 პროცენტი) ინტერვალი პირველი და მეორე შვილის დაბადებას შორის ერთ წელზე ნაკლებია. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის, რომ მეოთხე შვილს ერთ წელზე ნაკლებ ინტერვალში ბადებს დედების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა (33,3 პროცენტი).

დედების მიერ ყოველი მომდევნო შვილის დაბადებას შორის ინტერვალი თბილისში 1998 წ. (პროცენტობით)

	ერთი წელი	ორი წელი	სამი წელი	ოთხი წელი	ხუთი და მეტი
პირველ და მეორე შვილს შორის	27,1	42,8	10,6	8,2	11,3
მეორე და მესამე შვილს შორის	26,4	34,2	18,4	10,5	10,5
მესამე და მეოთხე შვილს შორის	33,3	22,3	22,2	11,1	11,1

ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით არ შეიძლება მხედველობის გარეშე დავტოვოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი.

[1] Роберт А. Хетчер и др. Руководство по контрацепции, США, 1994, გვ.7.

ნაადრევი ქორწინება შესამჩნევად ამცირებს ქალთა ნაყოფიერებას და, მაშასადამე, შობადობას. ეს მოვლენა საყოველთაოდ ცნობილია. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში თბილისში გამოცემულ შესაბამის ლიტერატურაში აღნიშნავდნენ იმის შესახებ, რომ ნაადრევი ქორწინება იწვევდა შობადობის შემცირებას.[1] აღნიშნულ ფაქტს სპეციალურად ამ მიზნით ჩატარებული გამოკვლევებიც ადასტურებენ. კერძოდ, ერთერთი გამოკვლევით 17 წლამდე დაქორწინებულ ყოველ 100 აზერბაიჯანელ ქალს ჰყავდა 396 ბავშვი, ყოველ 100 რუს ქალს კი – 170, ხოლო 18-19 წლის ასაკში დაქორწინებულთა ნაყოფიერება შესამჩნევად მაღალი იყო და შესაბამისად მათ 405 და 250 ბავშვი ჰყავდათ (ზუსტი და საიმედო მონაცემების მიღების მიზნით გამოკვლევა ჩატარდა იმ ქალებზე, რომლებიც პირველ ქორწინებაში 10-14 წელი იმყოფებოდნენ). ამიტომ შობადობის საკითხებზე მომუშავე ცნობილი მკვლევარი რ. სიფმანი სამართლიანად აღნიშნავდა: „ქალები, რომლებიც ძალიან ადრე (17 წლამდე) ქორწინდებიან დაბალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, რაც არა ერთხელ იქნა დადგენილი“.[2]

ამასთან, ნაადრევი ქორწინება, როდესაც სულ უფრო იზრდება ბავშვთშობის შიდაოჯახური რეგულირება და ორიენტაცია მცირეშვილიანობაზე, შობადობის ზრდაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. ამას ცხადად ადასტურებს ის უცილობელი ფაქტიც, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში საშუალო საქორწინო ასაკის შემცირების მიუხედავად, შობადობა არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა. ასე რომ, თუ მეუღლეებმა გადაწყვიტეს იყოლიონ მხოლოდ ორი ბავშვი, მესამე ბავშვის დაბადების ალბათობა, რაც არ უნდა ადრე იყვნენ ისინი დაქორწინებულნი, ძალიან მცირეა.[3] ამ ასპექტში მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოში 40 წლისა და მეტი ასაკის ქალების მიერ ბავშვის დაბადება იშვიათია. ამჟამად 40 წლამდე ასაკის ქალების წილად მოდის მთელ დაბადებულთა 99 პროცენტი.

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. აქსელერაციის პროცესის შედეგად, რომელიც ახალგაზრდობის ნაადრევ ფიზიკურ სიმწიფეს გულისხმობს, გარკვეულწილად გაიზარდა ქალის ნაყოფიერების პერიოდი, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ამას არ მოყო-

[1] Свод статистиче ских данных о Кавказе. Т. 1, Тифлис, 1869, с. 37.

[2] Факторы рождаемости. М., 1971, с. 188.

[3] Курс демографии. М., 1974, с. 188.

ლია ფერტილობის გადიდება, რაც შედეგია შობადობის, ე.ი. ოჯახის სიდიდის გეგმური შეზღუდვისა და, ამგვარად, ახალ, თანადროულობის ადექვატურ ნორმაზე მოწესრიგების წარმატებული ცდებისა.

ამჟამად მეუღლეები არა მარტო იმას გეგმავენ თუ რამდენი ბავშვი უნდა ყავდეთ ოჯახში, არამედ იმასაც, თუ როდის უნდა იყოლიონ პირველი შვილი, რამდენი ხნის შემდეგ მეორე, მესამე და ა.შ. დაქორწინებასა და პირველი შვილის დაბადებას შორის ინტერვალს დემოგრფები პროტოგენეტიკურ ინტერვალს უწოდებენ. ეს ინტერვალი, როგორც წესი, არა ნაკლებ ცხრა თვეს უდრის. მძიმე ეკონომიკური და სხვა პირობების გამო მეუღლეებმა შეიძლება გადაავადონ პირმშოს დაბადება უფრო ხელსაყრელ, მათთვის მისაღებ დრომდე. ამ შემთხვევაში პროტოგენეტიკური ინტერვალი ცხრა თვეზე მეტია. ეს ინტერვალი შეიძლება ცხრა თვეზე ნაკლებიც იყოს, თუ საქმე გვაქვს ქორწინებამდელ ჩასახვასთან, ან ორსულობის დაავადებებისა და სამეანო პათოლოგიის გამო ნაადრევ მშობიარობასთან. ჩვენთვის აქ ისაა საყურადღებო, რომ პროტოგენეტიკური ინტერვალი, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებენ, განსაკუთრებით დიდია იმ ქალებისათვის, რომლებიც 18 წლამდე ქორწინდებიან. ეს იმით აიხსნება, რომ მოზარდთა ნაყოფიერება დაბალია და მათ ხშირად საქორწინო ცხოვრების დაწყებიდან ბავშვი არა ცხრა თვეში, არამედ ბევრად უფრო გვიან უჩნდებათ.[1]

მეტად ნიშანდობლივია ისიც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებში, რომლებიც შობადობის მაღალი დონით გამოირჩევიან, 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების წილი მთელ დაბადებულებში საგრძნობლად დაბალი იყო. მაგალითად, 1989 წელს ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანში 20 წლამდე ახალგაზრდა ქალების მიერ დაბადებული ბავშვების წილი მთელ დაბადებულებში მხოლოდ ხუთ-ხუთ პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი საქართველოში 12,9 პროცენტს უდრიდა. ამავე დროს შობადობის დონე აღნიშნულ რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით. კერძოდ, 1989 წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ტაჯიკეთში 38,7 ბავშვი დაიბადა, ხოლო საქართველოში — 16,7 ბავშვი. აღნიშნული ფაქტები უცილობლად იმაზე მიუთითებს, რომ ნაადრევი ქორწინება ვერავითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს შობადობის ამაღლებაზე.

---

[1] Демографический энциклопедический словарь. М., 1985. с. 352.

ადრეულ ასაკში ქალის ორგანიზმი არ არის მზად ბავშვის დაბადებისათვის, რაც ხშირად მეტად მძიმე შედეგებით მთავრდება. არც ისე იშვიათად მშობიარობისას საფრთხე ექმნება ახალგაზრდა ქალის სიცოცხლეს, იზრდება უნაყოფობის შემთხვევები და ბავშვთა მოკვდაობა. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ იმის შესახებ, რომ ნაადრევი ქორწინების (18 წლამდე) აკრძალვამ არა მარტო უაღრესად შეამცირა ბავშვთა მოკვდაობა, არამედ შეუნარჩუნა ქალს დიდი ხნის მანძილზე მშობიარობის უნარი და ამდენად მთლიანობაში ხელი შეუწყო შობადობის გაზრდას.[1]

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ნაადრევ ასაკში დაქორწინება, და, მაშასადამე, შობადობა იწვევს დედისა და ახალშობილის ხშირ სიკვდილიანობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ბანგლადეშში, სადაც ქალების 90 პროცენტი 18 წლამდე ასაკში ქორწინდება, 15-19 წლის ასაკში დედათა სიკვდილიანობა მშობიარობის დროს ორჯერ მაღალია, ვიდრე 20-24 წლების ასაკში. ასეთივე შედეგი მიიღეს ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის ექსპერტებმა, რომლებიც 1970-იან წლებში სწავლობდნენ ახალშობილთა მოკვდაობის საკითხებს ლათინური ამერიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის 13 რეგიონში. ისინი ასახელებდნენ სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა მოკვდაობის მიზეზებს: დედის ასაკს, მშობიარობის რაოდენობასა და დაბადებისას ბავშვთა წონას.

გამოკვლევა ჩატარდა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ქვეყნებში, კერძოდ, სალვადორსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ქვეყნებში ახალშობილთა მოკვდაობის მაჩვენებელი გამოკვლევის მომენტისათვის ხუთჯერ და მეტად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა მყარი კანონზომიერება: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბავშვთა მოკვდაობისა 20 წლამდე ასაკის ქალებში აღინიშნა. ამავე ასაკის ქალებში ხშირია უდღეური და წონანაკლული ბავშვების დაბადების შემთხვევები. ასეთ ბავშვებში მოკვდაობა 20-ჯერ მაღალია სიცოცხლის პირველ კვირაში, თანდაყოლილი გულის მანკის განვითარების შესაძლებლობა კი 3-ჯერ, ხოლო ერთ წლამდე სიცოცხლის ალბათობა 5-ჯერ დაბალია, ვიდრე დროულად დაბადებულ და ნორმალური წონის ბავშვებში. დღენაკლული ბავშვების მესამედზე მეტი სიცოცხლის პირველ კვირაში იღუპება. ამასთან,

[1] Что такое демография. М., 1985. с. 99.

წონანაკლული ბავშვის დაბადების დროს იზრდება ეპილეფსიის, ცერებრული დამბლის შემთხვევები, ფერხდება და ირღვევა ბავშვის გონებრივი და ნერვულ-ფსიქიკური განვითარება, რაც თავს იჩენს მოგვიანო პერიოდში. ამავე დროს, ცნობილია, რომ დღენაკლული და წონანაკლული ბავშვები უფრო ხშირად იბადება მაშინ, როდესაც დაბადებათა შორის ძალიან ხანმოკლე ან ძალიან დიდია ინტერვალი. ნაადრევი ქორწინებისას შობადობის პერიოდში ინტერვალი კი, უმეტესად, მცირეა. ცნობილია ისიც, რომ წონანაკლული ბავშვების რაოდენობის ერთი პროცენტით გადიდება სიცოცხლის პირველ კვირაში იწვევს ბავშვთა მოკვდაობის 10 პროცენტით გაზრდას.[1]

ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული ერთ-ერთი გამოკვლევით, რომელიც შეეხებოდა ოჯახის სტრუქტურისა და ჯანმრთელობის საკითხებს. კერძოდ, ქალაქად ბავშვთა მაქსიმალური მოკვდაობა აღინიშნა 20 წლამდე ასაკის, ხოლო სოფლად კიდევ უფრო ახალგაზრდა ასაკის დედებში.[2] აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე უაღრესად მაღალი იყო მოკვდაობა ნაადრევ ასაკში მშობიარობის დროს. მაგალითად, 1869 წელს თბილისში გამოცემულ სტატისტიკურ ცნობართა კრებულში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ 13-17 წლების ასაკში უამრავი ქალი იღუპებოდა ნაადრევ ასაკში ქორწინების გამო.[3]

ნაადრევ ასაკში მშობიარობა რომ უფრო ხშირად იწვევს ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა მოკვდაობას იაპონიის მაგალითზეც დასტურდება. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანამ მიაღწია ბავშვთა მოკვდაობის ყველაზე დაბალ დონეს პლანეტაზე. მსოფლიო სახელის მქონე იაპონელი ექიმი ეიკიტი მაცუიამა ამ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევის რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს და მათ შორის უპირველესად პირმშოს დაბადებისას დედის ოპტიმალურ ასაკს ასახელებს. იაპონელი ქალების 90 პროცენტზე მეტი პირველ ბავშვს აჩენს 20-34 წლების და მხოლოდ 1,3 პროცენტი 19 წლისა და უფრო ახალგაზრდა ასაკში.[4]

ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს-მორალისტი, ისტორიკოსი პლუტარქე. მისი გადმოცემით სპარტანული კანონმდებელი ლიკურგე, რომელიც ძვ. წ. აღ. 900 ან 880 წლებში ცხოვ-

[1] Н.А. Шнейдерман. Откровенный разговор. Рождаемость и меры ее регулирования. М., 1991. с. 70-71.
[2] Жур. «здоровые мира», октябрь, 1978, с. 11
[3] Сборник статистических сведении о кавказе, т. I, Тифлис, 1889, с. 37.
[4] Газ. «известия», 22 января 1988.

რობდა, აქორწინებდა სიმწიფეში შესულ და გათხოვების სურვილით აღგზნებულ ქალწულებს, ვინაიდან ის ურთიერთობა, რომელსაც ბუნება მოითხოვდა, კეთილგანწყობილებისა და სიყვარულის საწყისი იყო არა ზიზღისა და შიშისა, რასაც ბუნებაზე ძალდატანება იწვევს. მოწიფულობაში სხეულს ფეხმძიმობისა და სამშობიარო ტკივილების ატანის უნარი ეძლევა და დაქორწინების მიზანიც სხვა არა იყო რა, თუ არა შვილების გაჩენა. რომაელები კი გოგონებს თორმეტი და უფრო ნაკლები წლის ასაკში ათხოვებდნენ, ვინაიდან, მათი აზრით, სწორედ ამ ასაკში ბარდებოდნენ ისინი საქმროს უბიწო და ხელშეუხებელი სხეულითა და ზნეობით. ცხადია, ქორწინების საქმეში სპარტელთა წესი უფრო ბუნებრივია შვილიერებისათვის, ხოლო რომაელებისა — უფრო ზნეობრივი თანაცხოვრების თვალსაზრისით.[1]

ამრიგად, ნაადრევ ასაკში ქალის ორგანიზმი უმეტესწილად არ არის მზად სქესობრივი ცხოვრებისათვის და მით–უმეტეს ბავშვის დაბადებისათვის, თუმცა ცნობილია უაღრესად ნაადრევი სქესობრივი მომწიფების ცალკეული შემთხვევებიც. მაგალითად, ლენცმა შეკრიბა 5–დან 10 წლამდე ასაკის გოგონების მშობიარობის 10 შემთხვევა. ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც 4 წლისა და 10 თვის გოგონა დაორსულდა და მას 5 წლისა და 7 თვის ასაკში გაუკეთეს საკეისრო კვეთა; 7 წლის ანა მომენტალერი გათხოვდა და 9 წლის ასაკში დაორსულდა და სხვა.[2] მაგრამ ასეთი ნაადრევი, ისე როგორც მოგვიანებითი, სქესობრივი მომწიფება ადამიანის ნორმალური განვითარებიდან გადახრების შედეგია. კერძოდ, ზემოთ აღწერილი პათოლოგიის მიზეზია ჰიპოთალამური სექსუალური ცენტრების ნაადრევი მომწიფება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაადრევ ასაკში ორსულობა და მშობიარობა ხშირად იწვევს მძიმე გართულებებს, რის გამოც ქალს ერთ ბავშვზე მეტი აღარ უჩნდება. ამჟამად საქართველოში ოჯახების უმრავლესობა ერთბავშვიანია. 1989 წელს 91138 ბავშვი დაიბადა და აქედან 42224 ბავშვი, ანუ 46,3 პროცენტი, დედებისათვის პირმშო იყო. 1996 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 51,6 პროცენტს უდრიდა.

ამდენად, როგორც ნაადრევ ასაკში ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობის ანალიზი გვიჩვენებს, ამ ასაკში მაღალია გარ-

[1] პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ტ. I, თბ., 1987, გვ. 377-378.
[2] მ. გიგინეიშვილი, მ. გიგინეიშვილი, გინეკოლოგია, თბ., 1987, გვ. 288.

თულებული ორსულობის, მშობიარობისა და პერინატალური პათოლოგიის შემთხვევები. ხშირად, 16-17 წლის გოგონების მენჯი აღწევს ისეთ ზომებს, როდესაც შესაძლებელია საშუალო ზომის ნაყოფის დაბადება, მაგრამ მთავარი ეს როდია. ორსულობა და მშობიარობა არც ისე იშვიათად მნიშვნელოვან ძვრებსა და ცვლილებებს იწვევს ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების მხრივ და ასეთ დროს, მენჯის დამაკმაყოფილებელი სიდიდის შემთხვევაშიც კი, ჯანმრთელობის საფასურად, არ უნდა დავუშვათ 14-16 წლის გოგონების ორსულობა და მშობიარობა. როგორც ამ მხრივ სპეციალურად ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, ნაადრევ ასაკში ორსულობაზე ძირითადად მოქმედებს ბევრი ნეგატიური ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის გოგონების ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე: მძიმე ოჯახურ პირობებში აღზრდა, უმეთვალყურეობა, მშობელთა ალკოჰოლიზმი, ბავშვობის ასაკში გადატანილი ხშირი ინფექციები და სხვა. ასეთ პირობებში აღზრდილი გოგონები უფრო ზერელედ უყურებენ სქესობრივ ცხოვრებას. გამოკვლეულთა 20 პროცენტმა სქესობრივი ცხოვრება 15 წლამდე დაიწყო, 70 პროცენტმა – 18 წლამდე, ხოლო მხოლოდ 10 პროცენტმა – 18 წლის შემდეგ. გამოკვლეულთა 18 პროცენტმა სქესობრივი ცხოვრების დაწყების მოტივად ცნობისმოყვარეობა დაასახელა, ხოლო 12 პროცენტმა სიმთვრალე.[1]

ნაადრევ ასაკში დაბადებული ბავშვები, ზემოთ აღნიშნულის გარდა, განვითარებით სხვა მხრივაც ჩამორჩებიან 20-25 წლის ასაკის ქალების მიერ დაბადებულ ბავშვებს. კერძოდ, რაც უფრო ახალგაზრდაა დედა, მით ნაკლებია ჩვილის მასა და სიგრძე. ერთ-ერთი გამოკვლევით, აპგარის სკალის მიხედვით, დედების ნაადრევ ასაკში დაბადებული ბავშვების 27 პროცენტი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება (საკონტროლო ჯგუფში 20-25 წლის ასაკის ქალების მიერ დაბადებულ ბავშვებში ეს მაჩვენებელი 12,9 პროცენტს უდრის); ძალიან ახალგაზრდა დედებში მკვდრადშობილთა რაოდენობა ორჯერ აღემატება საკონტროლო ჯგუფის ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამასთან, ახალგაზრდა დედების მიერ დაბადებულ ბავშვთა უმრავლესობა ჯანმრთელობის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება. მათი რაოდენობა სიცოცხლის პირველ წელს 87,5 პროცენტს შეადგენს, მეორე წელს – 84,3 პროცენტს, ხოლო მესამე წელს – 80,8 პროცენტს. დაავადე-

[1] Яковлева Э. Б. Юный возраст матери и состояние здоровья новорожденного ребенка. Жур. «Педиатрия», №3, 1990, გვ. 62-64.

ბის მაჩვენებელიც ასეთ ბავშვებში მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის დედების მიერ დაბადებულ ბავშვებში. კერძოდ, 1000 დაბადებულ ბავშვზე ეს მაჩვენებელი სიცოცხლის პირველ წელს შესაბამისად უდრის 4626 და 3487, სიცოცხლის მეორე წელს – 4734 და 3908, ხოლო მესამე წელს – 4554 და 3018.[1]

ნაადრევი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებში პათოლოგიური მოვლენები ზოგჯერ მთელი ძალით პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში იჩენს თავს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ 80-იან წლებში მსოფლიოში დამთავრდა აქსელერაციის პროცესი, ე.ი. ბავშვებისა და ახალგაზრდობის დაჩქარებული ფიზიკური განვითარება, რაც 60-70-იან წლებში დაიწყო. ახლა სულ უფრო მეტად ლაპარაკობენ „საუკუნის ახალ გამოცანაზე". თანამედროვე ახალგაზრდებში ფართოდ გავრცელდა ინფანტილიზმი, რაც ძირითადად ახალგაზრდა კაცის სოციალურ, ზნეობრივ და მოქალაქეობრივ განუვითარებლობაში ვლინდება.

ნაადრევი ქორწინების კიდევ ერთ უარყოფით მხარესაც უნდა შევეხოთ. ცნობილია, რომ ოჯახი ქორწინებით იწყება და იგი მაშინაა მყარი და ბედნიერი, როდესაც სიყვარულზეა დაფუძნებული. ნამდვილი სიყვარული „ხანიერი" და მარადიულია. ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ზნეობრივად ამაღლებს ადამიანს, ალამაზებს და შინაარსიანს ხდის მის ცხოვრებას. აკი რუსთაველიც ბრძანებდა: „სიყვარული აგვამაღლებსო".

ასეთ სიყვარულს ძირითადად საფუძვლად უდევს საერთო შეხედულებები, საერთო გრძნობები და მიზნები, რაც მეუღლეთა ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. მაგრამ ნაადრევი ქორწინების დროს ახალგაზრდებს უჭირთ თავიანთი გრძნობების შემოწმება, არ ჰყოფნით ცხოვრებისეული გამოცდილება, ხშირად სიყვარული ჰგონიათ გატაცება და ნაუცბათევად უკავშირებენ ერთმანეთს ბედს. შემდეგში კი აღმოჩნდება, რომ მათ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ფასეულობითი ორიენტაციები და ცხოვრებისეული მიზნები გააჩნიათ და ახალგაზრდა მეუღლეები ახლა ხვდებიან, რომ თურმე ისინი ერთმანეთისათვის არ ყოფილან გაჩენილნი. ყოველივე ამის გამო ხშირად ინგრევა ახალგაზრდა ოჯახები. თუ არაფერს ვიტყვით ახალგაზრდა მეუღლეთა და მათი შვილების ცხოვრებისე-

[1] Леонов И. Т. и др. Здоровье детей, рожденных юными матерями. Жур. «Педиатрия», №3, 1990, გვ. 66.

დაბადებულთა განაწილების დინამიკა 20 წლამდე ასაკში მყოფი დედების მიხედვით საქართველოში

წლები	სულ დაბადებულ ბავშვთა რიცხვი	20 წლამდე ქალების მიერ გაჩენილ ბავშვთა რიცხვი	მათ შორის ასაკის მიხედვით				
			16 წლამდე	16	17	18	19
1989 აბსოლუტურად პროცენტობით	91138 57311	11760 12,9	47 0,1	520 0,6	1562 1,7	3944 4,3	5687 6,2
1994 აბსოლუტურად პროცენტობით	57311 100.0	12597 22,0	528 1.0	1281 2,2	2475 4.3	3905 6,8	4408 7,7
1995 აბსოლუტურად პროცენტობით	56341 11893	11893 21,1	442 0,8	1164 2,1	2317 4,1	3620 6.4	4350 7,7
1996 აბსოლუტურად პროცენტობით	53669 100,0	10599 19,7	370 0,7	1052 2.0	1993 3,7	3189 5,9	3995 7,4

დაბადებულთა განაწილება დედის ასაკის მიხედვით 1960, 1965, 1970, 1980, 1994-1996 წლებში საქართველოში

წლები	სულ დაბადებულთა რიცხვი	მათ შორის დედის ასაკის მიხედვით								
		15 წლისა და ახალგაზრდა-აზრდა	16-19	20-24	20-24	30-34	35-39	40-44	45-49	50 წლისა და უხნესი
1960 აბსოლუტურად	102866		3663	31575	31549	23702	8565	2585	622	264
პროცენტობით	100.0		3.6	30.7	30.7	23.0	8.3	2.5	0.6	0.3
1965 აბსოლუტურად	94987		4656	21863	33992	19608	11760	2462	457	189
პროცენტობით	100.0		4.9	23.0	35.8	20.6	12.4	2.6	0.5	0.2
1970 აბსოლუტურად	90207		7027	30420	21622	20500	7869	2407	304	58
პროცენტობით	100.0		7.9	33.7	24.0	22.7	8.7	2.7	0.3	0.0
1980 აბსოლუტურად	89458	50	10573	40469	23869	9957	2830	1452	137	121
პროცენტობით	100.0	0.1	11.8	45.2	26.7	11.1	3.2	1.6	0.2	0.1
1994 აბსოლუტურად	57311	528	12069	21155	12810	7444	2612	624	54	15
პროცენტობით	100.0	0.9	21.1	36.9	22.3	13.0	4.6	1.1	0.1	0.0
1995 აბსოლუტურად	56341	442	11551	20578	12691	7474	2928	676	81	20
პროცენტობით	100.0	0.8	20.5	36.5	22.5	13.2	5.2	1.2	0.1	0.0
1996 აბსოლუტურად	53669	370	10229	19443	12407	7407	3077	633	82	21
პროცენტობით	100.0	0.7	19.1	36.2	23.1	13.8	5.7	1.2	0.2	0.0

შენიშვნა: 1960 წელს 341 ქალის ასაკი უცნობია. 1960, 1965 და 1970 წლებში 16-19 წლის გრაფაში მოტანილი მონაცემები დაბადებულთა შესახებ ეკუთვნის მთლიანად 20 წლამდე ასაკის ქალებს.

ულ ტრაგედიაზე, განქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე და, უპირველეს ყოვლისა, შობადობაზე. კერძოდ, თუ მეუღლეების ცხოვრება თავიდანვე კონფლიქტურად წარიმართა, მაშინ მოსალოდნელი განქორწინების გამო ისინი თავს იკავებენ შვილის გაჩენისაგან. საგულისხმოა, რომ 1988 წელს საქართველოში განქორწინებულ მეუღლეთა 61 პროცენტს არ ჰყავდა არც ერთი შვილი. ამასთან ქალები, განსაკუთრებით ბავშვიანები, ან ვეღარ ქორწინდებიან, ან განმეორებითი ქორწინების დაგვიანების გამო სასურველი რაოდენობით ვეღარ აჩენენ ბავშვებს. მაგალითად, საქართველოში ყოველი ათასი განქორწინებული ან დაქვრივებული ქალიდან ათ წელიწადში განმეორებით მხოლოდ 43 ქალი ქორწინდება. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის. განქორწინებისა და დაქვრივების შედეგად კი რვა პროცენტით მცირდება შობადობის დონე.

ამდენად, ნაადრევი ქორწინება მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობას. ასეთი ქორწინება ზოგჯერ ქალის უნაყოფობის, შთამომავლობის წარმოშობის უუნარობის მიზეზიც ხდება, რაც ოჯახისათვის უდიდესი ტრაგედიაა. ამასთან, შობადობის შემცირება მოსახლეობის შემცირებასაც იწვევს, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ნაადრევი ქორწინება უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 1991 წლიდან, როდესაც საქორწინო ასაკი 16 წლამდე შემცირდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, როგორც დავინახეთ, მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს. როგორც ცხრილებიდან ჩანს, საგრძნობლად გადიდდა ახალგაზრდა დედების რიცხვი. თუ 1989 წელს 16 წლამდე ასაკის 47 ქალმა გააჩინა ბავშვი, 1994 წელს უკვე ამ ასაკში 528 ქალს შეეძინა შვილი. 16 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 520-სა და 1281-ს უდრიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაადრევი ქორწინების შედეგად მცირდება შობადობა, იზრდება ქალის უნაყოფობა, დედათა მოკვდაობა, პათოლოგიური მშობიარობა, დაბადებულთა პათოლოგიური შემთხვევები და სხვ., უდაოა, ნაადრევ ასაკში დაქორწინება და შვილის გაჩენა აუარესებს ისედაც მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას საქართველოში.

IV.4. ვაჟი თუ ქალი

კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე უმეტესწილად გავრცელებული იყო შეხედულება მრავალშვილიანი ოჯახების უპირატესობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, ოჯახში დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ვაჟის დაბადება, თუმცა ზოგიერთ ხალხში მრავაშვილიანობისადმი განწყობა გოგონების შეძენასთან იყო დაკავშირებული. ადამიანთა ეს სურვილი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირატესად მაინც ოჯახის შექმნისა და არსებობის, ხალხის ტრადიციებთან, წესჩვეულებებთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობებით იყო განსაზღვრული. კერძოდ, ვაჟების დაბადება მრავალმუშახელიან და, მაშასადამე, ეკონომიკურად ძლიერ ოჯახსაც გულისხმობდა. ამავე დროს ვაჟები მთელი ქონების მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. ყოველივე ეს საკმაოდ ძლიერი ცხოვრებისეული არგუმენტები იყო იმისათვის, რომ, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „ქალი სხვათა სახლის ყორედ“ მიეჩნიათ, ხოლო ვაჟი — ოჯახის (სახლის) ბურჯად და გამგრძელებლად. ამავე დროს ვაჟის მიერ ოჯახში ცოლის მოყვანით ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა იზრდებოდა და ოჯახს დამხმარე სამუშაო ძალაც ემატებოდა. როგორც წესი, მზითვის გარეშე, „უფულოდ ქალს ხელს არავინ მოკიდებდა“. ამიტომ მზითევის მომზადება საკმაოდ დიდი ტვირთი იყო და მშობლები ქალიშვილის შეძენისთანავე იჭერდნენ თადარიგს. არც შემდეგი ანდაზა იყო სიმართლეს მოკლებული: „ქალი წლისაო, მზითევი ათი წლისაო“.

ვაჟიშვილის დაბადებისადმი აშკარა უპირატესობის მინიჭება ბევრი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა. მაგალითად, ინდოელები ამბობენ: „არ არსებობს ისეთი ვაჟიშვილი, რომელიც არ ჯობდეს მრავალ ქალიშვილს“. ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული სომხურ ანდაზაში: „ერთი ბრმა ვაჟიშვილი შვიდ ჯანმრთელ ქალიშვილზე უკეთესია“. ბევრ ხალხში, მათ შორის საქართველოშიც, ასეთი გამოთქმაც დამკვიდრდა: „ქალია თუ ვაჟი?“ ასე მაშინ კითხულობენ, როდესაც სურთ გაიგონ ცუდად არის საქმე თუ კარგად.

ზოგიერთ ხალხში საპირისპირო მოვლენასაც აქვს ადგილი — შვილების შეძენისას გოგონებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს ძირითადად იმითაცაა განპირობებული, რომ ამ ხალხში მიღებული ტრადიციის თანახმად სასიძომ საკმაოდ დიდი თანხა უნდა გადაიხადოს საცოლის გამოსასყიდად. რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვე-

ნოს აღწერილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთ ტომში მამაკაცებს უკლებლივ გოგონები, ხოლო ქალებს ვაჟები უნდათ ყავდეთ.

თანამედროვე პირობებში, როდესაც სულ უფრო ეცლება ეკონომიკური საფუძველი ქალისა და ვაჟის დაბადებისას უპირატესობის მინიჭებას, მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობაში მაინც ვაჟის კულტია გავრცელებული. ამავე დროს მცირეშვილიანი ოჯახების გავრცელების შედეგად კონკრეტულად ბავშვის სქესზე ორიენტაცია სუსტდება. საერთოდ კი ორი შვილის შეძენის შემთხვევაში ყველაზე პოპულარულად მიაჩნიათ როგორც ვაჟის, ისე ქალის დაბადება. ამასთან, მართალია, მშობლები ვაჟიშვილს აძლევენ უპირატესობას, მაგრამ შვილად აყვანის შემთხვევაში უმეტესწილად გოგონებს არჩევენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ გოგონები უფრო ჩქარა ეგუებიან ახალ გარემოს, ახალ ოჯახს და ემოციურად უფრო მჭიდრო კავშირიც აქვთ მშობლებთან.

ამჟამად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სასურველი სქესის ბავშვის დაბადების რეგულირების საშუალების შექმნას. საერთოდ, ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა წინასწარ გამოეცნო ბავშვის სქესი. ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ახალდაბადებულის სქესზე გავლენას ახდენს ვარსკვლავების განლაგება ჩასახვის მომენტში. რომაელები თვლიდნენ, რომ ყველაფრი დამოკიდებულია მამაკაცზე — თუ ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო, მათი აზრით, აუცილებლად ვაჟი დაიბადებოდა. ისინი უფრო ახლოს იყვნენ ჭეშმარიტებასთან. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ მამაზეა დამოკიდებული ბავშვის სქესი.

საქართველოში ოდითგანვე ვაჟის კულტი იყო გავრცელებული, რაც სათანადოდ აისახა კიდეც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში — ზღაპრებში, ლეგენდებში, სიმღერებსა და ანდაზებში. ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენს მიერ თბილისის ქორწინების სასახლეში ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ახალდაქორწინებულებს სურთ ყავდეთ მეტი ვაჟი, ვიდრე ქალი. გამოკითხულთა (რომელთაც სურთ სამი შვილი ჰყავდეთ) 80 პროცენტი ასახელებს, რომ სამი შვილიდან ორი სურთ ვაჟი და ერთი ქალი, ხოლო 6 პროცენტი საერთოდ ვაჟებს ანიჭებს უპირატესობას — სურვილი აქვთ სამივე შვილი ვაჟი ჰყავდეთ.

მაგრამ ადამიანის ამ ნორმალურ და გასაგებ სურვილზე როდია დამოკიდებული ვაჟის ან ქალის დაბადება. ბუნებამ მკაცრად

დააპროგრამა ახალშობილთა სქესთა თანაფარდობა. მსოფლიოში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე 105-106 ვაჟი მოდის. ასეა ყვალგან და გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. მაგალითად, 1991 წელს საქართველოში 65,4 ათასი ქართველი ბავშვი დაიბადა, აქედან 33,6 ათასი ვაჟი და 31,8 ათასი ქალი, ანუ 1,8 ათასით მეტი ვაჟი და ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე 106 ვაჟი მოდიოდა. წინა პერიოდშიც ვაჟები მეტი იბადებოდნენ, ვიდრე გოგონები. კერძოდ, 1940-1989 წლებში საქართველოში 2135655 ვაჟი და 2015937 გოგონა დაიბადა, ანუ 119 718 ვაჟით მეტი (არ არის გათვალისწინებული მხოლოდ 1958-1959 წლების მონაცემები, რომელთა მოძიება ვერ შევძელით). ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი გასულ საუკუნეშიც. მაგალითად, 1879 წელს თბილისის გუბერნიის სოფლებში 20,9 ათასი ბავშვი დაიბადა – 11,1 ათასი ვაჟი და 9,8 ათასი ქალი.

დაბადებულთა შორის სქესთა ასეთი თანაფარდობა პირველად ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეამჩნიეს. როგორც აღნიშნავენ, შუა საუკუნეების ფლორენციაში არსებობდა ჩვეულება: ტაძარში ბავშვის ნათლობისას განსაკუთრებულ ყუთში მუხუდოს მარცვლებს ყრიდნენ. გოგონას ნათლობის დროს ყუთში მუხუდოს თეთრ მარცვალს აგდებდნენ, ხოლო ვაჟის ნათლობის დროს – შავს. XIV საუკუნის ცნობილ ფლორენციელ მემატიანეს ჯოვანი ვილანის აზრად მოუვიდა დაეთვალა თეთრი და შავი მუხუდოს მარცვლების თანაფარდობა სხვადასხვა წლებისათვის. იგი აღმოჩნდა მყარი – ყოველ 100თეთრ მარცვალზე 105-106 შავი მარცვალი მოდიოდა. ასე დადგინდა ფუნდამენტალური ფაქტი – ახალშობილთა სქესთა თანაფარდობის სიმყარე.[1]

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სამი სახე არსებობს: პირველადი, მეორეული და მესამეული. განაყოფიერებისას სქესთა თანაფარდობას პირველად თანაფარდობას უწოდებენ. ამ შემთხვევაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 125-130 მამრობით ჩანასახს 100 მდედრობითზე. სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს ვაჟებისა და გოგონების რაოდენობრივ თანაფარდობას დაბადების მომენტში, ხოლო სქესთა მესამეული თანაფარდობა განისაზღვრება რეპროდუქტიულ, ანუ ნაყოფის მომცემ ასაკში მამრობითი და მდედრობითი სქესთა თანაფარდობით და იგი დამოკიდებულია ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებ-

[1] ჟურ. «Новый мир» №1, 1978.

ში მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის ინტენსივობაზე. თუ სქესთა პირველადი თანაფარდობა უპირველესად ბიოლოგიისა და სოციალური ჰიგიენის კვლევის ობიექტია, მეორეული და მესამეული რაოდენობრივი თანაფარდობა დემოგრაფიის ინტერესების სფეროში ექცევა.[1]

სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობის მიზეზების ახსნას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში მიაქციეს ყურადღება. იმას რომ ყოველ 100 გოგონაზე 104-106 ვაჟი იბადება და ეს თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნებსა და ეპოქებში მუდმივი იყო, ღვთაებრივი ნების გამოვლინებად თვლიდნენ, ნამდვილი მიზეზები კი ამოუცნობი რჩებოდა. ამავე დროს, ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ გარკვეულ ვითარებაში სქესთა მეორეული თანაფარდობა ირღვევა და ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე გოგონა. კერძოდ, ქორწინებაში მყოფი ქალები პირველი მშობიარობის დროს მეტ ვაჟებს აჩენენ, ვიდრე ქორწინებაში არმყოფი ქალები; ომების დროს და შემდგომ პერიოდში ვაჟი მეტი რაოდენობით იბადება, ვიდრე გოგონა; დაბალ, განსაკუთრებით 20 წლამდე ასაკში დედებს მეტი ვაჟი უჩნდებათ, ვიდრე მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში და რაც უფრო მაღალია დაბადების რიგითობა მით უფრო ნაკლები ვაჟი იბადება. ამასთან, XVIII საუკუნეში დაბადებულთა შორის ვაჟების სიჭარბეს მშობლების ასაკს უკავშირებდნენ. კერძოდ, თვლიდნენ, რომ, რაც უფრო მაღალი ასაკისაა ქმარი ცოლთან შედარებით, მით მეტი ვაჟი იბადება. მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ გასულ საუკუნეებში ვაჟები გაცილებით მეტი რაოდენობით უნდა დაბადებულიყვნენ, ვიდრე ამჟამად, რადგან იმ პერიოდში ასაკობრივი განსხვავება ქმარსა და ცოლს შორის გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ახლაა.

თანამედროვე გამოკვლევების შედეგად მიღებული უფრო საიმედო მონაცემების საფუძველზე მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სქესთა მეორეული თანაფარდობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა დედის ასაკი, დაბადებათა რიგითობა, სქესთა პირველადი თანაფარდობა და სხვ. მაგალითად, 18-20 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის სქესთა მეორეულმა თანაფარდობამ შეადგინა 120, ხოლო 38-42 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის — 90 ვაჟი 100 გოგონაზე. ომების დროს კი ქორწინდებიან უფრო ახალგაზრდა ადამიანები, რაც ამაღლებს სქესთა მეორე-

[1] Кувшинова Л. П. Из истории иследования вторичного соотношения полов. Демографическое развитие семьи. М., 1979, с. 171.

ცოცხლად დაბადებული და ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილი ვაჟების და გოგონების რაოდენობრივი თანაშარდობა საქართველოში

წლები	დაბადებულთა რიცხვი				ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი			
	აბსოლუტურად		ვაჟების რაოდენობა 100 გოგონაზე	მათ შორის: ქართველებში	აბსოლუტურად		ვაჟების რაოდენობა 100 გოგონაზე	მათ შორის: ქართველებში
	ვაჟი	გოგონა			ვაჟი	გოგონა		
1989	46937	44201	106	-	1032	755	136	-
1994	29964	27347	110	109	595	364	163	165
1995	29745	26596	112	111	451	287	145	144
1996	28429	25240	113	112	581	353	165	173
1997	28242	23778	119	117	473	321	147	161

ული თანაფარდობის მაჩვენებელს. ამავე დროს, ომების დროს იზრდება პირველად მშობიარე ქალთა რიცხვი, რომელთა მიერ დაბადებული ვაჟების წილი დაბადებათა საერთო რაოდენობაში მაღალია. ამასთან, ომების პერიოდში ოჯახური კავშირების დიდი ხნით გაწყვეტა ამცირებს ორსულობათა რიცხვს და იზრდება ინტერვალი დაბადებათა შორის, რაც ასევე ამაღლებს სქესთა მეორეულ თანაფარდობას. ამავე მიმართულებით მოქმედებს ეკონომიკური პირობების გაუარესება, როდესაც მცირდება ხორცისა და სხვა ცილების მოხმარება.[1]

ამჟამად საქართველოში სქესთა მეორეული თანაფარდობა განუწყვეტლივ იზრდება და მისმა მაჩვენებელმა არნახულ სიდიდეს მიაღწია. კერძოდ, 1997 წელს ყოველ 100 გოგონაზე 119 ვაჟი დაიბადა. ქალაქად ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია – 119,5 ვაჟი. თუკი ასეთი ვითარება მიმდინარე აღრიცხვის მოუწესრიგებლობის შედეგი არ არის, მაშინ რჩება ძირითადად ერთადერთი მნიშვნელოვანი მიზეზი: ორსულობას, თუ ადრეულმა დიაგნოსტიკამ აჩვენა, რომ ჩასახული ნაყოფი გოგონაა, ხელოვნური აბორტით წყვეტენ. ამ პრობლემის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა

[1] Кувшинова Л. П. დასახ. ნაშრომი, გვ. 182-183.

ენიჭება, რადგან შესაძლებელი ხდება სასურველი სქესის ბავშვის დაბადების რეგულირება. მიიჩნევენ, რომ ეს არ გამოიწვევს ვაჟების სიჭარბეს გოგონებთან შედარებით და შენარჩუნებული იქნება მათ შორის არსებული ბუნებრივი თანაფარდობა. მაგრამ უფრო მისაღებია ის აზრი, რომ ყოველივე ამას, ვაჟის კულტისა და მცირეშვილიანი ოჯახების მასობრივად გავრცელების პირობებში არ შეიძლება არ მოყვეს სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის შესამჩნევი დარღვევა, სქესთა ძლიერი დისპროპორცია და საერთოდ მეტად არასასურველი შედეგები მოსახლეობის გამრავლებაში. წარმოიშობა ისეთი მწვავე პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება. მაგალითად, შეიქმნება საცოლეების მკვეთრი დეფიციტი, რაც შეამცირებს შობადობას და სხვა მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დაგვაყენებს. ამიტომ საჭირო არის სპეციალური გამოკვლევების ჩატარება იმის დასადგენად, თუ ორსულობის დროს არასასურველი სქესის დიაგნოსტიკის შემთხვევაში რამდენი აბორტი კეთდება ქვეყანაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავსახოთ შესაბამისი ღონისძიებები.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 1990 წელს საქართველოში 92555 ქალმა იმშობიარა. აქედან 92295 ქალს ანუ 99,7 პროცენტს ერთი ბავშვი შეეძინა, 259 ქალს — ორი, ხოლო 2 ქალს სამი და მეტი ტყუპი. ტყუპი ბავშვების დაბადების ინტენსივობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დაბალი იყო. მაგალითად უკრაინაში 1988 წელს ყოველ 1000 მშობიარეზე 7 ტყუპი დაიბადა, ჩვენთან კი — 3,3 ტყუპი. ტყუპების დაბადების დროსაც ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე გოგონა. საქართველოში ტყუპების დაბადების უკრაინის მსგავსი დონე რომ ყოფილიყო, მაშინ ქვეყანაში დაახლოებით 300 ბავშვით მეტი დაიბადებოდა.

ახლა ერთ მთავარ საკითხზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ვაჟები ერთ წლამდე ასაკში გაცილებით მეტი იღუპება, ვიდრე გოგონები. მაგალითად, 1990 წელს საქართველოში ერთ წლამდე ასაკში ყოველ ათას დაბადებულ ვაჟზე 17,6 ვაჟი, ხოლო ყოველ ათას დაბადებულ გოგონაზე 13,9 გოგონა გარდაიცვალა. სულ კი ამ წელს ერთ წლამდე ასაკში 1469 ბავშვი დაიღუპა — 844 ვაჟი და 625 ქალი, ანუ 219 ვაჟით მეტი. სხვა წლებშიც ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1980-1997 წლებში ერთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა 17225 ვაჟი და 12541 გოგონა, ანუ 4684

ერთ წლამდე გარდაცვლილი და მკვდრად დაბადებული ბავშვების რაოდენობა სქესის მიხედვით 1980-1997 წ.წ საქართველოში

წლები	ერთ წლამდე გარდაცვლილთა რიცხვი		მკვდრად დაბადებულთა რიცხვი	
	ვაჟი	ქალი	ვაჟი	ქალი
1980	1306	969	439	344
1981	1559	1160	371	359
1982	1345	987	382	360
1983	1268	937	414	321
1984	1325	947	372	336
1985	1324	1015	468	416
1986	1460	1040	501	380
1987	1327	991	474	399
1988	1181	845	420	378
1989	1032	755	324	293
1990	844	625	399	269
1991	705	521	274	270
1992	510	408	154	129
1993	-	-	-	-
1994	495	364	184	160
1995	451	287	217	190
1996	581	353	405	337
1997	512	337	508	425
1980-1997	17225	12541	6306	5366

შენიშვნა: 1993 წლის მონაცემები საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არ გააჩნია.

ვაჟით მეტი. თუ ამ მონაცემებს დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ დედაბუნებამ დააპროგრამა თავისი ჰარმონიული განვითარების კიდევ ერთი საფუძველი — სქესთა შორის თანაფარდობა. მართალია, ერთ წლამდე ასაკში ვაჟი მეტი იღუპება, ვიდრე გოგონა, მაგრამ სამაგიეროდ ვაჟი მეტიც იბადება. სამწუხაროდ, ადამიანი ბუნების მიერ ნაბოძებ ამ ჰარმონიული განვითარების პროცესშიც ჩაერია. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში რისკის ფაქტორების (ტრამვების, ავარიების, ალკოჰოლის, თამბაქოს წევის, კრიმინოგენური აქტივობის) გავლენით მამაკაცი მეტი იღუპება, ვიდრე ქალი. ყოველივე ამის გამო ფერტილურ ასაკში ქალების რაოდენობა ბევრად სჭარბობს მამაკაცების რაოდენობას, მათ უჭირთ ცხოვრების თანამგზავ-

რის მონაცვლეობა და მცირდება შობადობის დონე.

დაბადებულთა საერთო რაოდენობაში ჯერ კიდევ დიდია მკვდრადშობილთა რაოდენობა. მაგალითად, 1990 წელს საქართველოში დაბადებულთა საერთო რაოდენობა 93,5 ათასს უდრიდა, აქედან, ცოცხალად დაბადებულთა რაოდენობამ 92,8 ათასი შეადგინა, ხოლო მკვდრადშობილთა რაოდენობამ – 668. 1980-1997 წლებში კი მკვდარი დაიბადა 6306 ვაჟი და 5366 გოგონა, ანუ 940 ვაჟით მეტი. ამასთან, ქვეყანაში მაღალია მკვდრადშობილთა დონე. კერძოდ, ლატვიაში 1988 წელს ყოველ ათას დაბადებულზე 5,5 მკვდრადშობილი მოდიოდა, ჩვენთან კი ამავე წელს გაცილებით მეტი – 8,6 მკვდრადშობილი. ლატვიის მაჩვენებლის დონეს რომ მიგვეღწია საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ბავშვის სიცოცხლეს შევინარჩუნებდით, რაც მოსახლეობის გამრავლების გარკვეული რეზერვია. მეტად საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვდრადშობილთა რაოდენობა. მაგალითად, 1992 წელს ქვეყანაში მკვდრადშობილთა რიცხვი 283, ხოლო 1997 წელს 933 ბავშვს უდრიდა.

ინტერესმოკლებული არ არის იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში 1988 წელს 4500 ბავშვი, ანუ ყოველი ათასი დაბადებულიდან 50 ბავშვი ორსულობის ნორმალური ვადის დამთავრებამდე დაიბადა. ვადაზე ადრე დაბადებული ბავშვების გადარჩენა, არც ისე იშვიათად, მეტად ძნელია. ამიტომ საჭიროა ორსული ქალებისათვის ამ მხრივაც სათანადო პირობების შექმნა.

საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მშობიარეებსა და ორსულ ქალებზე. ხშირი სტრესული სიტუაციები, არაბალანსირებული, დაბალკალორიული კვება, იოდისა და სხვა მიკროელემენტების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე, ამასთან, ქალს მძიმე ტვირთად დააწვა არსებობის საშუალებების ძებნის, საკვების მოპოვების, ბავშვების შობა-აღზრდისა და ოჯახის მოვლის პრობლემები. ქალთა უმრავლესობა სულ უფრო ნაკლებ დროს უთმობს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას, იშვიათად ატარებს ან საერთოდ უგულებელყოფს პროფილაქტიკური გასინჯვის აუცილებლობას. ქალთა დიდი ნაწილი ოჯახის დაგეგმვის მეთოდებს შორის უპირატესობას ანიჭებს აბორტს. გაეროს განვითარების პროგრამისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „კურაციოს“ დახმარებით ჩატარებულმა გამოკ-

ვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად კეთდება 200 ათასი ხელოვნური აბორტი. ოფიციალური მონაცემებით კი 1997 წელს 18 ათასი აბორტი გაკეთდა. რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა ნაკლებად სარწმუნოა და ვერ ასახავს რეალობას, რაც დასტურდება რამდენიმე გარემოებით: ქვეყანაში ძალიან დაბალია კონტრაცეპტივების მოხმარების მაჩვენებელი, ყოველწლიურად მატულობს აბორტის გართულებით ჰოსპიტალიზირებულ ქალთა რაოდენობა, მხოლოდ 1996 წელს აბორტის გართულებით 8 ქალი გარდაიცვალა. აბორტის წარმოებაზე ნებართვას ითხოვს ყველა ტიპის სამედიცინო დაწესებულება, მიუხედავად პროფილის, უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა.

კრიმინალურ აბორტებთან დაკავშირებული დეტალების გამოაშკარავებას და ბრძოლას ასეთი აბორტების წინააღმდეგ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მეტად ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ერთი ხელოვნური აბორტის ფასი სულ მცირე 15-დან 25 ლარამდე მერყეობს და ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო შენატანი უნდა შეადგენდეს 3 მილიონ ლარს (მინიმალური ფასით). მაგრამ სახელმწიფოს სალაროში შედის მხოლოდ 18 ათასი აბორტის ფასი, – 270 ათასი ლარი, ანუ 2,7 მილიონი ლარით ნაკლები.

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ კონტრაცეპტივები, ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები, როგორც აბორტის თავიდან აცილების, უშვილობის პროფილაქტიკისა და დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის ყველაზე საიმედო საშუალება. არსებითად უნდა გავაფართოოთ მუშაობა უშვილობის პროფილაქტიკის მიზნით, შევამციროთ ბავშვთა დანაკარგები უნაყოფობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.


აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გენეკოლოგიის ინსტიტუტში შესრულებულია მეტად საინტერესო შრომები, რომლებიც გვიჩვენებენ წარმოების ფაქტორის გავლენას ორსულობის მიმდინარეობის, ნაყოფისა და ახალშობილის მდგომარეობაზე. იმ საწარმოებში, სადაც ქიმიური პროცესები წარმოების მთავარი, წამყვანი ფაქტორია, ქალებს უფრო ხშირად ემართებათ ორსულობის მეორე ნახევარში ტოქსიკოზი, მშობიარობის შემდგომი გართულებები, მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფის ასფიქცია. ამასთან, სამრეწველო ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტის გამო, ქალებში იზრდება ნაადრევი მშობიარობა და უფრო ხშირად გვხვდება მკვდარშობილები. ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებებთან კონ-

ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვისა და ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1933-1997 წლებში

წლები	ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი	ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი	წლები	ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი	ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი	წლები	ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი	ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი
1933	1915	51.7	1956	3306	35.8	1977	2702	30.2
1935	3512	53.2	1957	4284	46.9	1978	2354	26.5
1936	4384	55.2	1958	3765	40.6	1979	2592	29.0
1938	5885	60.2	1959	3718	38.3	1980	2275	25.4
1939	5622	59.1	1960	3739	36.8	1981	2719	29.7
1940	6537	66.6	1961	3492	33.7	1982	2332	25.4
1941	5785	69.4	1962	3764	36.7	1983	2205	23.9
1942	4364	73.1	1963	3479	34.5	1984	2272	23.9
1943	1837	54.0	1964	3112	31.6	1985	2339	24.0
1944	1380	34.0	1965	3248	33.9	1986	2500	25.5
1945	1563	31.4	1966	2969	31.9	1987	2318	24.5
1946	2073	31.9	1967	2613	28.9	1988	2026	22.0
1947	3527	45.6	1968	2573	28.7	1989	1787	19.6
1948	3661	51.5	1969	2476	28.1	1990	1469	15.8
1949	3710	47.6	1970	2252	25.3	1991	1226	13.7
1950	4196	51.7	1971	2215	24.5	1992	918	12.4
1951	5028	58.7	1972	2192	25.0	1993	1129	18.3
1952	5151	58.3	1973	2607	29.7	1994	959	16.7
1953	4768	55.6	1974	2705	30.3	1995	738	13.1
1954	4971	55.2	1975	2932	32.7	1996	934	17.4
1955	4703	50.7	1976	2664	29.5	1997	849	16.3

ტაქტი ორსულობის პერიოდში დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში ჩანასახის დაღუპვა და განვითარების შეფერხება შეიძლება მოხდეს ემბრიოგენეზის ადრეულ სტადიაზე, პრაქტიკულად იმ პერიოდში, როდესაც ქალს ჯერ კიდევ არ მიუმართავს გინეკოლოგისათვის. ამასთან, შესწავლილია აგრეთვე, რომ კაპროლაქტამის წარმოებაში მომუშავე ქალების მიერ დაბადებულ ბავშვებში ხშირია სასუნთქი ორგანოების დაავადება და თანმხლები ავადმყოფობა, კერძოდ, რაქიტი და ანემია. ჭიათურის მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მომუშავე ქალების შვილებს აღენიშნებათ აპგარის სკა-

ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი
(ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე
ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა)



ლის მაჩვენებლების შემცირება, ფიზიკური განვითარების შეჩერება. მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებების, მკვდარშობილთა, ნაადრევი მშობიარობის, აბორტისა და ექსტრაგენიტალური ავადმყოფობების პროცენტი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საჭიროა ქალებს შევუქმნათ ისეთი შრომის პირობები, რომ ერის გამრავლებას ზიანი არ მიადგეს და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობაც აღიზარდოს. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგების პრაქტიკული გამოყენება, რასაც, სამწუხაროდ, იშვიათად ვაკეთებთ.

რუსეთის იმპერიაში ტიპური იყო მრავალშვილიანი ოჯახები, მაგრამ უკვე ხუთ წლამდე ასაკში იღუპებოდა დაბადებულ ბავშვთა 43 პროცენტი. დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო საქართველოშიც. მეოცე საუკუნის დასაწყისში ხუთ წლამდე იღუპებოდა დაბადებულ ბავშვთა 29,3 პროცენტი, ხოლო ათ წლამდე — 33,6 პროცენტი. შობადობისა და მოკვდაობის ამგვარი თანაფარდობის პირობებში თაობათა ცვლა შედარებით სწრაფად ხდებოდა. განსაკუთრებით მაღალი იყო ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი. რუსეთის იმპერიაში 1913 წელს ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე ერთ წლამდე ასაკში 269 ბავშვი იღუპებოდა, ანუ ყოველი მეოთხე დაბადებული ბავშვი. ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს მაჩვენებელი 1926 წელს 174 პრომილეს უდრიდა, ხოლო 1988 წელს კი ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე 25 ბავშვი გარდაიცვალა. მართალია, ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ იგი 2,4-5-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში,

გერმანიასა და იაპონიაში. 1988 წელს მოკვდაობის დონე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი იყო ლატვიაში (11 პრომილე), ხოლო მსოფლიოში — იაპონიაში (5 პრომილე). ჩვენ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 22 პრომილეს უდრიდა და რომ მიგვეღწია ლატვიასა და იაპონიაში ბავშვთა მოკვდაობის არსებული დონისათვის ყოველწლიურად სიცოცხლეს შევუნარჩუნებდით შესაბამისად 1012 და 1594 ბავშვს. ამასთან გაიზრდებოდა მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაც, რაც მოსახლეობის გამრავალების მნიშვნელოვანი რეზერვია. უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი 1992 და 1995 წლებში, ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა (შესაბამისად 12,4 და 13,1 პრომილეს უდრიდა), რაც არასწორი აღრიცხვის შედეგიც უნდა იყოს.

ახლა ერთ მოვლენაზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ყოფილ საბჭოთა კავშირში ბავშვთა მოკვდაობის ყველაზე მაღალი დონე იყო შუა აზიის რესპუბლიკებში (37-53 პრომილე). საშუალოდ ერთ ქალს აქ ოთხი-ხუთი ბავშვი ჰყავდა. დაბადებათა სიხშირე კი მოქმედებს მოკვდაობის დონეზე. როგორც აღნიშნავენ, მეოთხე, მეხუთე და შემდეგი ბავშვები უფრო ინტენსიურად იღუპებიან ერთ წლამდე ასაკში, ვიდრე პირველი და მეორე. მაგალითად, სიცოცხლის პირველ წელს ყოველი ათასი დაბადებული პირველი ბავშვიდან კვდება 21 ბავშვი, მეორედან — 23, ხოლო ყოველი ათასი მეოთხე და შემდეგი ბავშვიდან — 43.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა მოკვდაობის მიზეზთა შორის პირველ ადგილზეა სასუნთქი ორგანოების დაავადებანი. ამ დაავადებით გარდაიცვალა მთლიანად გარდაცვლილ ბავშვთა 45 პროცენტი. ეს მაჩვენებელი ლატვიის რესპუბლიკაში მხოლოდ 7 პროცენტს უდრიდა. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. გადაუდებელ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში 1988 წელს ერთ წლამდე გარდაცვლილი 2026 ბავშვიდან 659 სიცოცხლის პირველი შვიდი დღის განმავლობაში დაიღუპა. პერინატალური დანაკარგების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მშობიარე ქალებისა და ბავშვებისადმი მეანობისა და პედიატრიული დახმარების არსებითი გაუმჯობესება.

თავი V. კავკასიის მოსახლეობა

კავკასიის ისტორიაში ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავე დროს, დრამატიზმით სავსე ახალი ეპოქის დასაწყისის ამოსავალი თარიღია 1800 წელი. ამ დროიდან ხდება არა უბრალოდ საუკუნიდან საუკუნეში გადასვლა, არამედ საქმე გვაქვს პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ხასიათის უღრმეს ცვლილებებთან, რომელთა მსგავსი თითქმის არასოდეს განუცდიათ ამ ხალხებს თავიანთი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი და ქარტეხილებიანი ისტორიის მთელ მანძილზე. ამ ეპოქიდან იწყება საქართველოში და, საერთოდ, მთელ კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ბატონობა, ახალ საზოგადოებრივ, კაპიტალისტურ ურთიერთობაში გადასვლა.[1]

ამ დროიდან მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მიეცათ კავკასიის ხალხებს. შუა საუკუნეებში შინააშლილობის, ფეოდალური დაქსაქსულობის, გადამთიელი, უცხო ტომთა გაუთავებელი აწიოკების, ნგრევისა და აოხრების შედეგად ფაქტობრივად მხოლოდ ხალხის ხსოვნაში იყო შემორჩენილი მათი დიდებული ისტორია. ამ პერიოდიდან ეზიარნენ ისინი რუსულ კულტურას, ევროპულ ცივილიზაციას. მაგრამ ისტორიის ეს დიდი მონაკვეთი ისე იყო გაჟღენთილი რუსეთის იმპერიული პოლიტიკითა და შესაბამისი ქმედებით, რომ ივი ერთობ მძიმე გამოდგა კავკასიაში მცხოვრები ხალხებისათვის ეროვნული სახის შენარჩუნებისა და ფიზიკური გადარჩენის თვალსაზრისითაც.

სახელწოდება „კავკასია“ პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. VI საუკუნეში ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. დრამატურგი ხოტბით მოიხსენიებს „ომში მამაც და უშიშარ“ კოლხიდის მკვიდრ ყმაწვილ ქალებს და შემდეგ არიას ქვეყნის მკვიდრებს, „მცხოვრებთ კავკასიონთან“. ნაწარმოებში „მთას კავკასიონს“ მთათა მეფეს უწოდებს ავტორი.[2]

კავკასიის ფართობი 440 ათას კმ² შეადგენს. მას ორ ნაწილად - ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად ჰყოფს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი. ჩრდილოეთი კავკასიის ფართობი 250 ათასი კმ² უდრის, ხოლო სამხრეთი კავკასიის - 190 ათასი კმ². კავკასია ადამიანთა ბინადრობის ერთ-ერთი უძველესი რაიონია. კავკასიის უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის

---

[1] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტომი პირველი, თბ., 1949, გვ. 665

[2] ესქილე. მიჯაჭვული პრომეთე, თბ. 1971, გვ. 28, 43

მოსახლეობა ეკუთვნოდა ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობას და ქრონოლოგიურ პერიოდებს შორის შენარჩუნებულია მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური მემკვიდრეობა. ამასთან, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში ეკუთვნოდა ერთსა და იმავე სამხრეთ ევროპული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს და ხასიათდებოდა იდენტურობამდე მისული ანთროპოლოგიური ნიშნების უახლოესი მსგავსებით. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ მოსახლეობაზე. ამრიგად, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში მთლიანად კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ერთი ანთროპოლოგიური ტიპი.

რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში კავკასიის და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში (მინგეჩაურის, მცხეთა-თბილისის და სევანის რაიონები) ძირითადად წარმოდგენილია იგივე სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი. ამრიგად, მთელი კავკასიის ტერიტორიაზე უდაო ხდება ერთიანი ანთროპოლოგიური ტიპის არსებობა.

ძირითადად ასეთივე თავისებურებებით ხასიათდება და ერთ დიდ ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სამხრეთი კავკასიის მოსახლეობა ადრეანტიკურ, ელინისტურ და გვიანანტიკურ ხანაში. რაც შეეხება ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობას, აქ უკვე ადრეანტიკურ ხანაში ჩნდება მოსახლეობის განსხვავებული ტიპი. ერთი ანთროპოლოგიური ტიპის ხალხი მოსახლეობდა სამხრეთი კავკასიის ტერიტორიაზე გვიან ფეოდალურ ხანამდე, რომელიც განიცდიდა ეპოქალური ტრანსფორმაციის ძვრებს. ჩრდილოეთ კავკასიაში კი ამ დროიდან უკვე გარკვეით იჩენს თავს თანამედროვე მოსახლეობისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეპოქალური ტრანსფორმაციის მიმართულების, ხოლო, მეორე მხრივ, ანთროპოლოგიური ტიპის დიფერენციაციის უტყუარი მაჩვენებელია. საბოლოო ჯამში, კავკასიის ტერიტორიაზევე ოდესმე დაწყებულმა დიფერენციაციის პროცესმა დასაბამი მისცა შემდგომში ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი თავისებური კომპლექსის ჩამოყალიბებას: წინააზიური, დასავლურ-კასპიური და პონტური (ადიღური).

ზემოაღნიშნული სამი ტიპის ადრეული ფორმების ეპოქალური ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდნენ ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ლოკალური ტიპები. ამასთან, კავკასიის ფეოდალური ხანის ანთროპოლოგიური შესწავლა ღრმად გვარწმუნებს, რომ კავკასიაში ერთმანეთს არასდროს ხვდებოდნენ დიდი, ან თუნდაც

ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული რასების წარმომადგენლები. აქ ოდითგანვე მცხოვრები მოსახლეობის ტრანსფორმაციას სხვადასხვა რეგიონში თავისებური ტემპები და ფორმები ჰქონდა, რამაც დასაბამი მისცა, ერთი მხრივ, ყველაზე მეტად გავრცელებული წინააზიური, მეორე მხრივ - პონტური, ხოლო მესამე მხრივ - დასავლურ-კასპიური ტიპის ფორმების ჩამოყალიბებას. სამივე ეს ტიპი ადგილობრივი კავკასიური წარმომავლობისაა, რომელთაც ადგილობრივი კავკასიური ანალოგები ეძებნებათ, გარკვეული მსგავსებით ხასიათდებიან და ქმნიან ერთ დიდ რასას, რომელსაც ინდოხმელთაშუაზღვისპირული ანუ სამხრეთ-ევროპეიდული რასა ეწოდება. ეს ანთროპოლოგიური ერთიანობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში იგი შეიძლება მაჩვენებელი იყოს იბერიულ-კავკასიური დიდი ერთობისა, რომელიც სპეციალისტთა მიერ დიდი ხნის წინათ იქნა შენიშნული კულტურასა და ენაში.[1]

ერთ ანთროპოლიურ ტიპს მიეკუთვნებიან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კავკასიის აბორიგენული მოსახლეობა: ქართველები (ლაზები, აჭარლები, გურულები, მეგრელები), აფხაზები (კოდორის, ბზიფის), ადიღეელები (შაფსუგები, ჟედუგები, ჩემგუები, აბაძეხები), ჩერქეზები (ჩელემჩუკელები, ბესლენეველები), აბაზინები (აშხანური და ტანანური დიალექტებისა). ამ ხალხებს თავიანთი ისტორია, ენა და კულტურა აქვთ. მათ შორის რთულმა ისტორიულმა, ენობრივმა, კულტურულმა და გენეტიკურმა ურთიერთობებმა გარკვეული გავლენა მოახდინა თითოეული მათგანის ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული რეგიონი ლოკალური ეთნიკური წარმონაქმნების ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე შედიოდა ორი დიდი კულტურული სამყაროს არეალში: კოლხურისა და მაიკოპის. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი მოიცავდა ძირითადად დასავლეთ საქართველოს, ხოლო მაიკოპისა - კავკასიის ჩრდილო-დასავლეთს.

აფხაზებისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ხალხების კომპლექსური ანთროპოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ აჭარლები, გურულები, მეგრელები და აფხაზები ერთი — წინააზიური რასის დასავლურ-ქართულ ვარიანტში ერთიანდებიან, ხოლო ადიღეელები, ჩერქეზები და აბაზინები - ხმელთაშუაზღვის რასის პონტური ტიპის ადიღეულ ვარიანტში.

[1] გ. აბდუშელიშვილი. ანთროპოლოგიური მონაცემები და ქართველი ხალხის წარმოშობისა და ამოყალიბების პრობლემა, მასლები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ., 1985, გვ. 33-39

ხმელთაშუა ზღვისა და წინააზიური რასების თავისა და სახის ძირითადი განმასხვავებული კეფალომეტრული ნიშნებია: თავის გრძივი და განივი დიამეტრი, სახისა და ცხვირის სიმაღლე და სიგანე. რაც შეეხება კეფალოსკოპიურ განმასხვავებელ ნიშნებს, ისინი პიგმენტაციით, ცხვირისა და ტუჩის აგებულების მორფოლოგიური თავისებურებებით გამოიხატება. საზოგადოდ ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია თავის დიდი ზომის გრძივი დიამეტრი, მცირე ზომის სახის სიგანე, შედარებით ღია პიგმენტაციით, სუსტად გამოკვეთილი და ზომიერი სიგანის სწორი წვეტით აწეული ცხვირი. წინააზიური რასის წარმომადგენლებისათვის კი ნიშანდობლივია: თავისა და სახის დიდი სიგანე, შედარებით მუქი პიგმენტაცია, მცირე სიგანის გამოკვეთილი, კეხიანი, დაშვებული ცხვირი, სახესა და მკერდზე თმის სიხშირე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველებთან ერთად აფხაზების ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობასთან მიკუთვნება ეჭვს არ იწვევს. აფხაზები სხვა ანთროპოლოგიური სისტემების მიხედვითაც, კერძოდ, როგორიცაა დერმატოგლიფიკა (ხელების ანაბეჭდები) და სეროლოგია (სისხლის ჯგუფები) ამჟღავნებენ დიდ მსგავსებას დასავლურ-ქართველურ ჯგუფებთან. მაგალითად, ხელების ანაბეჭდების 12 სისტემის მიხედვით ისინი ძალიან ახლოს დგანან მეგრელებთან, აჭარლებთან, იმერლებთან. ქართველებისა და აფხაზებისა გენეტიკური სტრუქტურის სისხლის პოლიმორფული ჯგუფების (ABO, Rhesus, MN, P, KM) მიხედვით შესწავლისას კი დადგინდა, რომ აფხაზები უფრო მეტ მსგავსებას ავლენენ მეგრელებთან, აჭარლებთან და გურულებთან, ვიდრე ადიღეელებთან, ჩერქეზებთან და აბაზებთან.[1]

კავკასიის ეთნო-კულტურული და ისტორიული ერთობა მჟღავნდება არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა კვლევის შედეგებითაც. ეს ერთობა ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში იწყება და ძვ.წ. III ათასწლეულისათვის ყალიბდება კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები.[2]

ამჟამად კავკასიაში 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომელთა საერთო რაოდენობა 34,0 მილიონ კაცს უდრის. სამხრეთი კავკასიის მკვიდრ ერებს მიეკუთვნებიან ქართველები, აზერ-

[1] აღნიშნულ საკითხზე მონაცემები მოგვაწოდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ.ბითაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] გ. ღამბაშიძე. ფესვები, გაზ. "მილიონთა ბიოგრაფია", № 3, 1998.

ბაიჯანელები, სომხები და აფხაზები. ჩრდილოეთი კავკასია კი დიდი ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ სახლობენ ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, დაღესტნის ხალხები - ხუნძები, დარგუელები, ლაკები, ლეზგები, თაბასარანელები, აღულები, რუთულელები, წახები და სხვ. ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრორბენ, აგრეთვე, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ასურელები, მოლდაველები, ესტონელები, კორეელები, ბოშები და სხვ.

ისტორიულად კავკასიის ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველო. XI-XII საუკუნეებში განუზომელი იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს გავლენა მთელ კავკასიაზე. შემდგომ პერიოდში გარეშე მტრების შემოსევების შედეგად იშლება არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ კი თბილისი თანდათან ხდება მთელი კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

მეფის რუსეთის კოლონიზაციური პოლიტიკის შედეგად დიდი ცვლილებები მოხდა კავკასიის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში ქართველები 1800 წელს 43,0 პროცენტს შეადგენენ, ხოლო 1897 წელს - 28,8 პროცენტს. განსაკუთრებით შემცირდა გასულ საუკუნეში ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობა. კავკასიის ომში რუსეთის გამარჯვებისა და შამილის დატყვევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთში, რითაც დაინტერესებული იყო მეფის რუსეთი. ამავე დროს ამ პროცესს განსაკუთრებით შეუწყო ხელი რელიგიურმა ფაქტორმა.

უნდა ითქვას, რომ წარსულ საუკუნეებში კავკასიის, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ მეტად მწირი მონაცემები მოგვეპოვება. მეტ-ნაკლები სისრულით ასეთ მონაცემებზე საუბარი მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან შეიძლება. ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიასთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთ კავკასიაში, სადაც ავტოქტონური მოსახლეობა შედარებით მრავალრიცხოვანი და ერთგვაროვანი იყო და ძირითადად ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან შედგებოდა. აკად. პ. გუგუშვილს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მოაქვს სამხრეთი კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნის დასაწყისისა და 1865 წლისათვის.

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა[1] (ათასობით)

	1800 წ.		1832 წ.		1865 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	585	41.8	600	37.0	900	34.1
„თურქი“ (აზერბაჯანელი)	630	45.0	610	37.7	915	34.6
სომეხი	95	6.8	270	16.7	540	20.5
რუსი	-	-	20	1.2	64	2.4
აფხაზი	30	2.1	35	2.2	43	1.6
ოსი	30	2.1	31	1.9	40	1.5
მთიელი (ლეკები და სხვ.)	10	0.7	20	1.2	70	2.6
ქურთი	10	0.7	15	0.9	28	1.1
ებრაელი	5	0.4	7.50	0.5	14	0.6
ბერძენი	-	-	6	0.4	13	0.5
გერმანელი	-	-	2	0.1	7	0.3
სხვა ერები	5	0.4	3.5	0.2	6	0.2
სულ	1400	100.0	1620	100.0	2640	100.0

ცხრილში მოტანილი მონაცემები საერთო წარმოდგენას გვაძლევს სამხრეთი კავკასიის მოსახლეობის რაიონდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, თუმცა ცალკეული მონაცემი (მაგალითად, ოსებისა და ზოგიერთი სხვა ერის რაოდენობის შესახებ) გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. ყურადღებას იპყრობს ქართველთა რიცხვიც. კერძოდ, 1800 და 1832 წლებისათვის ცხრილში აშკარად შემცირებულადაა წარმოდგენილი ქართველთა რაოდენობა, რაზედაც აკად. პ. გუგუშვილიც მიუთითებს. იგი იმოწმებს ამ საკითხზე გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას და პროფ. მ. ჯანაშვილის მოსაზრებას: ქართველთა რაოდენობა, სვანთა გარდა, უნდა ყოფილიყო: 1800 წელს - 675000, 1830-იან წლებში კი - 605000, ხოლო სვანებიანად 635000 (გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 254). პროფ. მ. ჯანაშვილის აზრით კი XVIII საუკუნის ბოლოს ქართველთა რიცხვი „...მილიონზედ თუ მეტი არა, ნაკლები არ იყო“ (გაზ. „ივერია“, 1902 წ., №233). ცხრილში მოტანილი მონაცემები ქართველთა რაოდენობის შესახებ საეჭვოა იმიტომაც, რომ საკმაოდ დიდი

1 წყარო: პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება ტომი პირველი. თბ., 1949, გვ. 702

პერიოდის მანძილზე - 1800 წლიდან 1832 წლამდე ქართველთა რაოდენობა მხოლოდ 15 ათასით გაიზარდა, მაშინ როდესაც ასეთივე დროის განმავლობაში, კერძოდ, 1832 წლიდან 1865 წლამდე მათი რიცხვი 300 ათასით გადიდდა და 900 ათასს კაცს მიაღწია. თუმცა ქართველთა რიცხვის გაანგარიშებისას უთუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში 1810-1812 წლებში სამხრეთ კავკასიაში ჟამიანობის, შიმშილის და რუსეთის ცარიზმის რეპრესიების შედეგად მოსახლეობის მასობრივად განადგურება. აქ უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ სხვადასხვა გაანგარიშებით ქართველების რაოდენობა ამ პერიოდში გაცილებით მეტი იყო. მაგალითად, პროფ. ვ. ჯაოშვილის გამოთვლით, ეს გამოთვლა კი მეტად სარწმუნოდ მიგვაჩნია, საქართველოში 1800 წელს ქართველების რაოდენობა 622,6 ათასს, 1832 წელს 677,1 ათასს, ხოლო 1865 წელს 950,6 ათასს უდრიდა.[1]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული უაღრესად სწრაფად იზრდება სამხრეთ კავკასიაში სომეხი მოსახლეობის რაოდენობა, რაც დაკავშირებული იყო ამ რეგიონში მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებასთან. ცნობილია, რომ 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთის მთავრობამ თურქეთიდან ათი ათასობით სომეხი გადმოასახლა საქართველოში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში. სომეხთა გადმოსახლებები შემდგომ წლებში უკვე ხელისუფლების მხრიდან დახმარების გარეშეც გრძელდებოდა, რადგან, როგორც იმდროინდელი რუსი მოხელე ა. პოლოვცოვი აცხადებს: „სომეხ მოსახლეთა მასები, რომლებიც შეადგენენ დაბალი ადმინისტრაციის მთავარ კონტინგენტს ამიერკავკასიის მრავალ კუთხეში, მნიშვნელოვანი სივრცე უკვე თანამეტომეთა ხელში მოქცეული მიწებისა, დასასრულ, ძლიერი ხელისუფლება კათალიკოსისა, რომელიც ჩამოსულებს ასახლებს როგორც მონასტრის მიწებზე, ასევე არსებულ (სომეხთა) სოფლებში, - წარმოადგენენ საკმაო საწინდარს კანონიერი თუ უკანონო, საიდუმლო თუ აშკარა გზით“ სომეხთა ჩამოსახლების წარმატებისა.[2] სწორედ ამის გამო სულ რაღაც სამოციოდე წლის განმავლობაში 1800 წლიდან 1865 წლამდე სამხრეთ კავკასიაში სომეხთა რაოდენობა 95 ათასი კაციდან 540 ათას კაცამდე, ანუ 5,7-ჯერ გაიზარდა.

დაზუსტებას საჭიროებს ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში აზერ-

---

[1] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 82. 116.

[2] ციტირებულია პ. გუგუშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 709.

ბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა. „თურქებში“ გარდა საკუთრივ აზერბაიჯანელებისა შეყვანილია, აგრეთვე, თათები, ტალიშები და სხვა ტომები, რომლებიც მეტწილად ბაქოს გუბერნიაში ცხოვრობდნენ. როგორც სპეციალური გაანგარიშებები გვიჩვენებს, 1865 წელს აზერბაიჯანელთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 800 ათას კაცზე მეტი და აქედან გამომდინარე, მათი წილი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 34,6 პროცენტის ნაცვლად დაახლოებით 29-30 პროცენტი უნდა შეედგინა. „ამგვარად, ამიერკავკასიაში მოსახლეობის მხრივ რაოდენობრივად გაბატონებულ ხალხს იმთავითვე წარმოადგენდნენ ქართველები“.[1]

XIX საუკუნის დასასრულისთვის, როგორც რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები გვიჩვენებს მნიშვნელოვნად შეიცვალა კავკასიის დემოგრაფიული სურათი. უპირველეს ყოფლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ საგრძნობლად გაზრდილია სამხრეთი კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა. თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მისი მოსახლეობა 1 400 ათასი კაციდან 4 992 ათას კაცამდე გაიზარდა, ანუ 3,6-ჯერ, თუმცა ამავე პერიოდში სამხრეთი კავკასია ტერიტორიულადაც გაფართოვდა და ეს ზრდა, თითქმის მთლიანად როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის მხრივ საქართველოზე მოდის. მთლიანად კავკასიის მოსახლეობამ 1897 წელს 9 289 ათასი კაცი შეადგინა, მათ შორის 4 887 ათასი მამაკაცი და 4 403 ათასი ქალი. ამრიგად, მამაკაცების რაოდენობა 484 ათასით ჭარბობდა ქალებისას, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ იმ პერიოდში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. მოსახლეობის რიცხოვნობით გამოირჩეოდნენ ყუბანის ოლქი, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები.

XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კავკასიის მოსახლეობამ ეროვნული შემადგენლობის მიხედვითაც. მაგალითად, პოლიტიკურ და რელიგიურ ნიადაგზე კავკასიის ასი ათასობით მუსულმანმა მოსახლეობამ დატოვა თავისი ისტორიული სამშობლო და საცხოვრებლად თურქეთში გადასახლდა. ყოველივე ეს მეფის რუსეთი, ინტერესებში შედიოდა, რადგან იგი დაცარიელებულ მიწებზე რუსული მოსახლეობის დასახლებას ცდილობდა და ამდენად ამ პროცესს ძალდატანებით თუ შენიღბულად ყოველმხრივ უწყობდა ხელს.

გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში საგ-

---

[1] ჰ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 713.

კავკასიის მოსახლეობა 1897 წელს[1]

	სულ მოსახლეობა	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
ბაქოს გუბერნია	826716	458065	368651
დაღესტნის ოლქი	571154	283279	287875
ელიზავეტპოლის გუბერნია	878415	480012	398403
ყარსის ოლქი	290654	160571	130083
ყუბანის ოლქი	1918881	973023	945858
ქუთაისის გუბერნია	1058241	549504	508737
სტავროპოლის გუბერნია	873301	444579	428722
თერგის ოლქი	933936	485568	448368
თბილისის გუბერნია	1051032	575447	475585
შავი ზღვის ოკრუგი	57478	34776	22702
ერევნის გუბერნია	829556	441889	387667
სულ:	9289364	4886713	4402651

რძნობლად გაიზარდა რუსი მოსახლეობა. 1897 წელს რუსები უკვე ყველაზე მრავალრიცხოვანი ერია და მათი რაოდენობა კავკასიაში 1 830 ათას კაცს უდრიდა, რაც მისი მთელი მოსახლეობის 19.7 პროცენტს შეადგენდა. აღწერის მონაცემებით 1897 წელს კავკასიაში რაოდენობით მეორე ადგილზე აზერბაიჯანელები იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან, როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილისშენიშვნაშია განმარტებული, აზერბაიჯანელთა არასწორი აღწერის შედეგად მათი რიცხვი საგრძნობლად გადიდებულია. ამდენად, კავკასიაში 1897 წელს ქართველები რაოდენობრივად რუსების შემდეგ ყველა სხვა ეროვნებას ჭარბობდა. კავკასიაში ასევე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ უკრაინელები და სომხები.

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობა, ძირითადად ან მთლიანად კავკასიაში ცხოვრობდა. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ სომხები - 55 ათასი სომეხი კავკასიის ფარგლებს გარეთ, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში სახლობდა, მაშინ, როდესაც კავკასიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 2 260 კაცს არ აღემატებოდა.

[1] წყარო: Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения, II, С.Петербург, 1905.

	სულ ცხოვრობდა რუსეთის იმპერიაში		მათ შორის კავკასიაში			
			მამაკაცი	ქალი	სულ	
	აბს.	%	აბს.	აბს.	აბს.	%
ქართველები	1352535	1.07	701660	648615	1350275	14.5
სომხები	1173096	0.93	590038	528056	1118094	12.0
აზერბაიჯანელები*					1475553	15.9
ოსები	171716	0.13	89552	81575	171127	1.8
ყაბარდოელები	98561	0.07	50772	47766	98538	1.1
ჩერქეზები	46286	0.03	22723	20609	43332	0.5
აფხაზები	72103	0.05	37677	34426	72103	0.8
ჩეჩნები	226496	0.18	116352	110144	226496	2.4
ინგუშები	47409	0.03	23956	23453	47409	0.5
ქისტები	413	0.0	259	154	413	0.0
ავარები	212692	0.16	107886	104794	212680	2.3
დარგილები	130209	0.1	64706	65503	130209	1.4
უდელები	7100	0.0	3801	3294	7100	0.1
ყაზი-ყუმუხები	90880	0.07	42256	48624	90880	1.0
ყარაჩაელები	27223	0.02	12948	14274	27222	0.3
ყუმიხები	83408	0.06	43972	39417	83389	0.9
ნოღაელები	64080	0.05	34661	29387	64048	0.7
თათები	95056	0.07	50290	44766	95056	1.0
რუსები	55667469	44.3	946625	883168	1829793	19.7
უკრაინელები	22380551	17.8	670632	634831	1305463	14.0
ბელორუსები	5885547	4.7	10655	8987	19642	0.2
პოლონელები	7931307	6.3	20683	4434	25117	0.3
გერმანელები	1790489	1.4	29002	27727	56729	0.6
ებრაელები	5063156	4.0	23028	17470	40498	0.4
ბერძნები	186925	0.14	56575	48594	105169	1.1
ქურთები	99949	0.07	52924	46912	99836	1.1
აისორები	5353	0.0	3288	1998	5286	0.05
სხვა ეროვნებები	22730012	18.1			487907	5.2
სულ:	125640021	100.0	4886713	4402651	9289364	100.0

* რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლიური ენის საფუძველზე, რაც არ იძლეოდა ცალკეულ ეროვნებათა რაოდენობის სწორად გაანგარიშების საშუალებას. მაგალი-

კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში XIX საუკუნეში უკვე სახლობენ პოლონელი, ლიტველი, გერმანელი, ესტონელი და სხვა ერის წარმომადგენლები, რომელთაც ადრე საქართველოში არასოდეს უცხოვრიათ. მეფის რუსეთი მათი უმრავლესობის გადასახლების ადგილად იყენებდა კავკასიას და, უპირველესად, საქართველოს. ამიტომ იყო, რომ კავკასიაში მოსახლე 25117 პოლონელიდან უმრავლესობა - 8220 კაცი საქართველოში ცხოვრობდა, რომელთა შორის ასევე დიდი უმრავლესობა - 6687 - მამაკაცი იყო. პოლონელთა დანარჩენი, შედარებით მცირე ნაწილი ყარსის, თერგისა და ყუბანის ოლქებში, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში ცხოვრობდა. ამასთან კავკასიაში მცხოვრები 57 ათასი გერმანელიდან - 9.4 ათასი საქართველოში ცხოვრობდა და ა.შ. ქვემოთ მოტანილი ცხრილი წარმოდგენას გვაძლევს კავკასიასა და საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი ეროვნების რაოდენობის შესახებ სქესობრივ ჭრილში.

XX საუკუნეში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა კავკასიის მოსახლეობაში. ზუსტად ერთი საუკუნის განმავლობაში (1897–1997 წლებში) კავკასიის მოსახლეობა 9 მილიო-

ზოგიერთი ეროვნების რაოდენობა კავკასიაში და ჭუთაისისა და თბილისის გუბერნიებში 1897 წელს

	კავკასია		ქუთაისის გუბ.		თბილისის გუბ.	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
პოლონელი	20683	4434	1591	347	5096	1186
ლიტველი	5015	106	447	3	1253	10
ფრანგი	336	510	82	94	109	247
გერმანელი	29002	27727	613	452	4103	4237
ებრაელი	23028	17470	3660	3346	3379	1809
ქურთი	52924	46912	935	889	1400	1138
ესტონელი	2377	1904	342	279	27	22
აისორი	3288	1998	94	33	1234	336

თად, თუ სომეხი თავის მშობლიურ ენად რუსულს დაასახელებდა, იგი რუსად იწერებოდა. აღწერის დროს აზერბაიჯანელებად აღირიცხნენ პირები, რომლებმაც მშობლიურ ენად აზერბაიჯანული და თათრული დაასახელეს. ამავე დროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამიჯნეს ერთმანეთისაგან სამხრეთკავკასიელი თურქები. მასში შეიყვანეს სამხრეთკავკასიელი თათრები ანუ აზერბაიჯანელები, ყარა-ფაფახები, და თურქი ოსმანები. ყოველივე აღნიშნულის გამო ძნელია რუსეთის იმპერიაში მცხოვრები აზერბაიჯანელების საერთო რაოდენობის განსაზღვრა. Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения, II, С.Петербург, 1905, gv. XXV.

ნიდან 34 მილიონამდე, ანუ 3,7-ჯერ გაიზარდა. ასეთი ზრდა გამოწვეული იყო არა მარტო მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატებით, არამედ კავკასიაში მუდმივ საცხოვრებლად ძირითადად რუსებისა და უკრაინელების გადმოსვლით. მაგალითად, ადიღეს რესპუბლიკაში 1989 წელს 294 ათასი რუსი ცხოვრობდა ანუ ადიღეს მთელი მოსახლეობის 68,0 პროცენტი. ყარაჩაი — ჩერქეზეთში მთელი მოსახლეობის 42,4 პროცენტს რუსები შეადგენდნენ, ყა ბარდო-ბალყარეთში — 31,9; ჩრდილოეთ ოსეთში — 29,9; ჩეჩნეთ-ინგუშეთში კი — 23,1 პროცენტს. ასევე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები სამხრეთ კავკასიაში — 785 ათასი. ამავე 1989 წელს რუსეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა 130 ათას კაცს უდრიდა, საქართველოში კი 341 ათასი რუსი ცხოვრობდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კავკასიის მოსახლეობა უკანასკნელი 60 წლის მანძილზე, თუმცა მოსახლეობის ზრდის ტემპი ამ პერიოდში შედარებით დაბალი იყო, ვიდრე წინა 40 წლის განმავლობაში — 1897-1938 წლებში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1920-იანი წლების მეორე ნახევარში და 1930-იან წლებში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის შედეგად რუსები დიდი რაოდენობით გადმოდიან საცხოვრებლად როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. 1939-1997 წლებში მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში უფრო სწრაფად მატულობდა (2,1-ჯერ), ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიაში (1,7-ჯერ). ეს განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ კავკასიაში სომხებისა და აზერბაიჯანელების მაღალი ბუნებრი მატებით. მაგალითად, 1926-1988 წლებში 4,1-ჯერ გაიზარდა როგორც აზერბაიჯანელების რაოდენობა აზერბაიჯანში, ისე სომხებისა — სომხეთში. ამავე დროს ქართველების რაოდენობა საქართველოში მხოლოდ 2,1-ჯერ გადიდდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1939-1997 წლებში გაორმაგდა ან თითქმის გაორმაგდა დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა. ამავე პერიოდში კავკასიაში საგრძნობლად ამაღლდა ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში — 30,3 პროცენტიდან 56,1 პროცენტამდე. ამასთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ როსტოვს, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ძირითადად საშუალო ზომის ქალაქებია.

ჩრდილოეთი კავკასიის მოსახლეობა ეროვნული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამასთან აქ მცხოვრები ერები მცირერიცხოვანია. ეს გარემოება გარკვეულწილად გამოწვეულია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ამ ერების წარმომადგენელთა თურქეთში, ხოლო გარკვეულწილად 1944 წელს შუა აზიაში გადასახლებით. მიუხედავად ამი-

სა, მათი ბუნებრივი მატების მაღალი დონის გამო, 30 წლიწადში — 1959-1989 წლებში თითქმის ყველა მკვიდრი ერის წარმომადგენელთა რაოდენობა გაორმაგდა. ჩრდილოეთ კავკასიის ერებს შორის ყოფილ საბჭოთა კავშირში მრავალრიცხოვანი იყო დაღესტნის ხალხები (2 063 852 კაცი) და ჩეჩნები (956 879). დანარჩენი მკვიდრი ერები მცირერიცხოვნობით ხასიათდებიან. ისინი ძირითადად თავიანთ რესპუბლიკებში ცხოვრობენ, სადაც, როგორც წესი, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მაღალი წილითაა წარმოდგენილი რუსი და უკრაინელი მოსახლეობა და შედარებით მცირე რაოდენობით კავკასიის მკვიდრი სხვა ერების წარმომადგენლები. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ქართველები. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ჩრდილოეთ ოსეთის — ალანიის რესპუბლიკა, სადაც 1989 წელს 12 284 ქართველი ცხოვრობდა. ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილები.

ჩრდილოეთი კავკასიის მკვიდრი ერების რაოდენობა

	1959 წ.	1989 წ.
ადიღეელი	79631	124826
ბალყარელი	42408	85126
თათი	11463	30669
ინგუში	105980	237438
ოსი	412592	597998
ყაბარდოელი	203620	390814
ყარაჩაელი	81403	155936
ჩერქეზი	30453	52363
ჩეჩენი	418756	956879
დაღესტნის ხალხები	944213	2063852
მათ შორის:		
ხუნძი	270394	600989
ლეზგი	223129	466006
დარგუელი	158149	365038
ყუმუხი	134967	281933
ლაკი	63529	118074
ნოღაელი	38583	75181
თაბასარანელი	34700	97531
რუთულელი	6732	20388
წახი	7321	19972
ალული	6709	18740

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა 1939, 1959, 1970, 1989 და 1997 წლებში (ათასობით)

	1939წ.	1959წ.	1970წ.	1989წ.	1997წ.	ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში					დედაქალაქები და ცენტრები	1939წ.	1959წ.	1970წ.	1989წ.	1997წ.
						1939წ.	1959წ.	1970წ.	1989წ.	1997წ.						
საქართველო	3540	4044	4686	5443	5424	30	42	48	56	55,6	თბილისი	519	695	889	1066	1260
აზერბაიჯანი	3205	3698	5117	7038	7574	36	48	50	54	52,5	ბაქო	544	643	852	1022	1150
სომხეთი	1282	1763	2492	3288	3781	29	50	59	68	67,0	ერევანი	204	493	766	1019	1202
სამხრეთი კავკასია	8027	9505	12295	15769	16779	32	46	51	57	56,7						
კრასნოდარის მხარე	2925	3432	4125	4680	5070	24,9	46,4	47	54,5	54,1	კრასნოდარი	192	313	464	560	621
ადიღეს რესპუბლიკა	247	324	386	433	450	23	32	40	52,2	53,9	მაიკოპი	56	82	110	128	149
სტავროპოლის მხარე	1513	1604	1961	2439	2674	20,6	31	42	54,4	54,1	სტავროპოლი	85	141	198	258	318
ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა	246	285	345	418	436	16	23	33	48,8	44,4	ჩერკესკი	29	42	67	91	113
როსტოვის ოლქი	2893	3312	3831	4309	4420	44	57	63	71,3	67,8	როსტოვი	510	599	788	934	1019
დაღესტნის რესპუბლ.	1023	1063	1428	1803	2074	22	30	35	43,6	41,8	მახაჩკალა	87	119	186	251	317
ყაბარდო-ბალყართის რესპუბლიკა	350	420	588	760	790	24	40	48	61,2	57,8	ნალჩიკი	48	88	146	207	235
ჩრდ. ოსეთის რესპუბ.	408	451	552	634	665	43	53	64	68,8	69.0	ვლადიკავკაზი	130	164	236	279	300
ჩეჩნეთის რესპუბლიკა	727	710	1065	1275	813	27	41	42	41,5	34,7	გროზნო	172	249	341	375	400
ინგუშეთის რესპუბ.					309					41,8						
ჩრდ. კავკასია	10332	11601	14281	16751	17701	28,9	43	50	57,3	55,5						
კავკასია	18358	21106	26576	32520	34480	30,3	44,2	50,4	57,2	56,1						

წყარო: Итоги всесоюзной переписи население 1959 года (Сводный том),М.,1962; Итоги всесоюзной переписи население 1970 года, том I. М., 1972; Население СССР, по данным всесоюзной переписи население 1989 г. М., 1990 г; Демографический ежегодник России, М., 1997.

ადიღეს რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	430246	100,0
ადიღეელი	95439	22,1
რუსი	293640	68,0
უკრაინელი	13755	3,2
ბელორუსი	2701	0,6
ქართველი	643	0,1
აზერბაიჯანელი	1020	0,2
სომეხი	10460	2,4
თათარი	2666	0,6
ბოშა	1134	0,3
ბერძენი	1561	0,4
გერმანელი	1805	0,4
დანარჩენი	7222	1,7

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	414970	100,0
ყარაჩაელი	128746	31,0
ჩერქეზი	40230	9,7
რუსი	175923	42,4
უკრაინელი	6308	1,5
ბელორუსი	1319	0,3
ქართველი	529	0,1
აზერბაიჯანელი	930	0,2
სომეხი	2359	0,6
ნოღაელი	12993	3,2
ოსი	3806	0,9
თათარი	2496	0,6
აბაზა	27475	6,6
ბერძენი	1630	0,4
დანარჩენი	10226	2,5

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	753531	100,1
ყაბარდოელი	363315	48,2
ბალყარელი	70571	9,4
რუსი	240721	31,9
უკრაინელი	12826	1,7
ბელორუსი	2022	0,3
ქართველი	2090	0,3
აზერბაიჯანელი	2024	0,3
სომეხი	3512	0,5
ლაკი	1587	0,2
ოსი	9996	1,3
თათარი	3005	0,4
ებრაელი	4887	0,6
ყარაჩაელი	1202	0,2
თათი	1891	0,2
ბოშა	2442	0,3
კორეელი	4983	0,7
გერმანელი	8569	1,1
თურქი	4162	0,6
დანარჩენი	13726	1,8

ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	632428	100,0
ოსი	334737	52,9
რუსი	189159	29,9
უკრაინელი	10088	1,6
ბელორუსი	1779	0,3
ქართველი	12284	1,9
აზერბაიჯანელი	1751	0,3
სომეხი	13619	2,1
ინგუში	32783	5,2
ყაბარდოელი	2770	0,4
ყუმუხი	9478	1,5
თათარი	1968	0,3
ჩეჩენი	2646	0,4
ებრაელი	1117	0,2
ბოშა	1464	0,2
ბერძენი	2986	0,5
კორეელი	2960	0,5
გერმანელი	3099	0,5
დანარჩენი	7740	1,3

ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	1270429	100,0
ჩეჩენი	734501	57,8
ინგუში	163711	12,9
რუსი	293771	23,1
უკრაინელი	12637	1,0
ბელორუსი	2577	0,2
ქართველი	1041	0,1
აზერბაიჯანელი	1108	0,1
სომეხი	14824	1,2
ხუნძი	6276	0,5
ყუმუხი	9853	0,8
ნოღაელი	6884	0,5
ოსი	1821	0,1
თათარი	5102	0,4
ებრაელი	2651	0,2
დანარჩენი	13672	1,1

დაღესტნის რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს

	აბს.	%
სულ მოსახლეობა	1802188	100,0
ხუნძი	495721	27,5
ალული	13791	0,8
დარგუელი	280431	15,6
ყუმუხი	231805	12,9
ლაკი	91682	5,1
ლეზგი	204370	11,3
ნოღაელი	28294	1,6
რუთულელი	14955	0,8
თაბასარანელი	78196	4,3
წახი	5194	0,3
რუსი	165940	9,2
უკრაინელი	8079	0,4
ბელორუსი	1405	0,1
ქართველი	917	0,1
აზერბაიჯანელი	75463	4,2
სომეხი	6260	0,3
ოსი	1195	0,1
თათარი	5473	0,3
ჩეჩენი	57877	3,2
ებრაელი	13039	0,7
თათი	12939	0,7
დანარჩენი	9162	0,5

ქართველთა რაოდენობა ჩრდილოეთ კავკასიაში 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

	ქართველთა რაოდენობა	აქედან მშობლიურ ენად თვლის სხვა ეროვნების ენას
ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის რესპუბლიკა	12284	1634
ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა	2090	464
ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკა	1041	452
დაღესტნის რესპუბლიკა	917	261
ადიღეს რესპუბლიკა	643	246
ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა	529	207
სულ	17504	3264

სამხრეთი კავკასიის ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობა შედარებით ერთგვაროვანია. აქ ძირითადად ცხოვრობენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებიც კავკასიის სხვა მკვიდრ ერებს შორის მრავალრიცხოვნობით გამოირჩევიან. 1989 წელს სამხრეთ კავკასიაში 3803 ათასი ქართველი, 3911 ათასი სომეხი და 6197 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში და, მაშასადამე, მთელ კავკასიაშიც, ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი ქართველები იყვნენ. მაგრამ ქართველ ერში დაბალი ბუნებრივი მატების გამო ეს თანაფარდობა დაირღვა და ამჟამად სამხრეთ კავკასიაში მას უკვე რაოდენობრივად ჭარბობენ სომხები და განსაკუთრებით აზერბაიჯანელები. 1989 წელს ქართველების წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში 70,1 პროცენტს უდრიდა და ეს მაჩვენებელი 1926 წელთან შედარებით 3 პროცენტული პუნქტით ამაღლდა. საქართველოში ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა აზერბაიჯანელების, რუსების, ბერძნების, ქურთების, ასირიელების რაოდენობა — სულ რაღაც 30 წელიწადში ამ ერების წარმომადგენელთა რიცხვი გაორმაგდა.

მეტად სწრაფად იზრდება აზერბაიჯანის მოსახლეობა. 1926-1989 წლებში იგი გასამმაგდა. მოსახლეობის რიცხვის ზრდას ძირითადად განაპირობებდა მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება. განსაკუთრებით მაღალი იყო ბუნებრივი მატება აზერბაიჯანელებში, რის გამოც მათი წილი აზერბაიჯანის მთელ მოსახლეობაში 1926 წლის 62,1 პროცენტიდან 82,7 პროცენტამდე ამაღლდა 1989 წელს. მოსახლეობის რიცხვის

ყველაზე მაღალი საშუალო წლიური მატების ტემპი (3,5 პროცენტი) მიღწეულ იქნა 1959-1970 წლებში. მოსახლეობის საერთო მატებამ დროის ამ მცირე პერიოდში 1419 ათასი კაცი შეადგინა, რაც უმთავრესად განპირობებული იყო ბუნებრივი მატებით. 1960 წელს აზერბაიჯანი შობადობის დონის მხრივ პირველ ადგილზე იმყოფებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყო ისტორიული განვითარების თავისებურებებით, ტრადიციებით და, უპირველეს ყოვლისა, მრავალშვილიანობის ჩვეულების შენახვით. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით აზერბაიჯანის მთელ მოსახლეობაში 82,7 პროცენტს აზერბაიჯანელები შეადგენდნენ, 5,6 პროცენტს სომხები და 3,3 პროცენტს დაღესტნის ხალხები, რაც დადებით გავლენას ახდენდა შობადობის მაღალ დონეზე.

1920-იანი წლებიდან სწრაფად იზრდებოდა სომხეთის მოსახლეობაც. გასულ საუკუნესა და ამ საუკუნის დასაწყისში სომხეთის მოსახლეობის კლასიწარმოება, ისე როგორც მთელი კავკასიის მოსახლეობისა, ხასიათდებოდა მაღალი შობადობით და მოკვდაობით და, მაშასადამე, თაობათა სწრაფი ცვლით. 1921-1939 წლებში სომხეთის მოსახლეობა 78 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შემდეგ ოც წელიწადში — 37 პროცენტით. მოსახლეობის ზრდის ძირითადი ფაქტორი იყო ბუნებრივი მატება, რომელსაც განსაზღვრავდა შობადობის მაღალი დონე და მოკვდაობის სისტემატური შემცირება. საერთოდ სომხეთში ომამდელ პერიოდში მაღალ შობადობას განაპირობებდა მრავალშვილიანობის ტრადიცია და ფერტილური ასაკის ქალების მაღალი წილი.

სომხეთში შობადობის დონე შემდგომ პერიოდშიც მაღალი იყო. მაგალითად, 1960 წელს შობადობამ 40,3 პრომილე შეადგინა და ამ მაჩვენებლით იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აზერბაიჯანსა და თურქმენეთს ჩამორჩებოდა. აღსანიშნავია, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში შობადობის მაღალი დონისა და მოკვდაობის დაბალი დონის გამო მოსახლეობის ბუნებრივი მატება ორ-სამჯერ მეტი იყო საქართველოსთან შედარებით.

სომხეთი სამხრეთ და საერთოდ მთელ კავკასიაში გამოირჩევა მოსახლეობის ერთგვაროვნობით. 1989 წელს მისი მოსახლეობის (3305 ათასი) 93,3 პროცენტს სომხები შეადგენდნენ. აქ შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები (85 ათასი), ქურთები (56 ათასი) და რუსები (52 ათასი). სამხრეთი კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილები.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959		1989	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
მთელი მოსახლეობა	2666494	100,0	4044045	100,0	5400841	100,0
ქართველი	1788186	67,1	2600588	64,3	3787393	70,1
აფხაზი	56847	2,1	62878	1,6	95853	1,8
სომეხი	307018	11,5	442916	11,0	437211	8,1
რუსი	96085	3,6	407886	10,1	341172	6,3
აზერბაიჯანელი	137921	5,2	153600	3,8	307556	5,7
ოსი	113298	4,2	141178	3,5	164055	3,0
ბერძენი	54051	2,0	72938	1,8	100324	1,8
უკრაინელი	14356	0,6	52236	1,3	52443	1,0
ქურთი	10217	0,4	16212	0,4	33331	0,6
ებრაელი	30159	1,1	51582	1,3	24626	0,5
ბელორუსი	-	-	5152	0,1	8595	0,2
ასირიელი	2904	0,1	5005	0,1	6206	0,1
დანარჩენი	55452	2,1	31874	0,7	42076	0,8

შენიშვნა: 1926 წელს ბელორუსები დანარჩენ ერებშია შეყვანილი.

აზერბაიჯანის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
მთელი მოსახლეობა	2314571	100,0	3697717	100,0	7021178	100,0
აზერბაიჯანელი	1437977	62,1	2494381	67,5	5804980	82,7
სომეხი	282004	12,2	442089	12,0	390505	5,6
რუსი	220545	9,5	501282	13,6	392304	5,6
დაღესტნის ხალხები	71919	3,1	121442	3,3	233057	3,3
ებრაელი	30848	1,3	40204	1,1	30792	0,4
თათარი	9948	0,4	29552	0,8	28019	0,4
უკრაინელი	18241	0,8	25778	0,7	32345	0,5
ქართველი	9452	0,4	9526	0,3	14197	0,2
თათი	28443	1,2	5887	0,2	10239	0,1
დანარჩენი	205194	8,9	27576	0,7	84740	1,2

შენიშვნა: 1926 წელს აზერბაიჯანში ცხოვრობდა 41193, ხოლო 1989 წელს — 12226 ქურთი.

სომხეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის აღწერების მიხედვით

	1926 წ.		1959 წ.		1989 წ.	
	ათს.	%	ათს.	%	ათს.	%
მთელი მოსახლეობა	880464	100,0	1763048	100,0	3304776	100,0
სომეხი	743571	84,5	1551610	88,0	3083616	93,3
აზერბაიჯანელი	76870	8,7	107748	6,1	84860	2,6
რუსი	19548	2,2	56477	3,2	51555	1,6
ქურთი	15262	1,7	25627	1,5	56127	1,7
უკრაინელი	2826	0,3	5593	0,3	8341	0,3
ასირიელი	2215	0,3	4326	0,2	5963	0,2
ბერძენი	2980	0,3	4976	0,3	4650	0,1
ქართველი	300	0,0	800	0,1	1364	0,0
დანარჩენი	16892	1,9	5891	0,3	8300	0,2

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ცნობილი მოვლენების შედეგად უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1990-1996 წლებში სამხრეთ კავკასიიდან რუსეთში საცხოვრებლად გადავიდა 931 ათასი კაცი, მათ შორის, ძირითადად რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები. ინტენსიურ მიგრაციულ პროცესს ჰქონდა ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

უკანასკნელ წლებში, ასევე ცნობილი მოვლენების შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები. 1996 წელს 1990 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა შობადობის დონე. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში 16,1 პრომილედან 11,2 პრომილემდე, ხოლო საქართველოში 17,0 პრომილედან 11.1 პრომილემდე. ამასთან, ჩრდილოეთი კავკასიის იმ რესპუბლიკებში შემცირდა ყველაზე მეტად შობადობა, რომლებშიც რუსები შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ. რუსებში დაბალმა შობადობამ განაპირობა სწორედ ადიღეს რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის 68,0 პროცენტს რუსები შეადგენენ, შობადობის დონის მკვეთრი შემცირება. ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებში ასევე საგრძნობლად გაიზარდა მოკვდაობის დონე, რამაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების საგრძნობი დაცემა გამოიწვია. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა მხოლოდ დაღესტნისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში, სადაც მოსახლეობის ყოველ ათას სულზე ბუნებრივმა მატებამ 1996 წელს შესაბამისად 12,9 და 13,2 კაცი შეადგინა. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, აქ ბუნებრივი მატება ყველგან შემცირდა, განსაკუთრებით კი საქართველოში.

შობადობის დონეს ზოგად კოეფიციენტთან შედარებით უფ-

რო ნათლად ახასიათებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენ ბავშვს ბადებს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში. ასეთ ასაკად კი მიჩნეულია 15-49 წლები. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შემცირდა კავკასიის ყველა ქვეყანაში და დაღესტნისა და ინგუშეთის რესპუბლიკების გარდა იგი საგრძნობლად ჩამოცილდა კრიზისულ ზღვარს.

ანალოგიურ სურათს იძლევა მოსახლეობის კვლავწარმოების კიდევ უფრო ზუსტი მაჩვენებელი – ნეტო კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას ბადებს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში, რადგან სწორედ გოგონები უზრუნველყოფენ დედათა თაობის შეცვლას. ამასთან, ანგარიშობენ ერთი ქალის მიერ ცხოვრების განმავლობაში დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგონას გაჩენისას.

მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო კოეფიციენტი კავკასიის ყველა ქვეყანაში შემცირდა. ამასთან, განსაკუთრებით ქალაქად, ვიდრე სოფლად. ამ კოეფიციენტის მიხედვით მხოლოდ დაღესტნისა და ინგუშეთის რესპუბლიკებშია შესაძლებელი მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოება. დანარჩენ ქვეყნებში თუ ნეტო კოეფიციენტი წლების მანძილზე ასეთი დაბალი დარჩება მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება. მაგალითად, 1996 წელს საქართველოში ნეტო კოეფიციენტი 0,777-ს უდრიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ათასი დედის შესაცვლელად 777 გოგონა მოდის, რაც მოსახლეობის შეზღუდული კვლავწარმოების საწინდარია.

კავკასია ამჟამად კვლავ დიდი და ახალი ეპოქის დასაწყისის კარიბჭესთან დგას. არც ამ დროიდან ხდება უბრალოდ გადასვლა საუკუნიდან საუკუნეში. მეოცე საუკუნის დასასრული კავკასიის ხალხებისათვის, მათი ეროვნული თავისთავადობის მოპოვებისათვის, ერთობ მძიმე და სისხლიანი გამოდგა. ვერ გაამართლა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების აშენების–სოციალისტური წყობის მოდელმა. ეპოქის დიდი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და მან თან გაიყოლა თაობათა დიდი ტკივილები და განცდები. ძველთან გამოთხოვება და გარკვეულწილად წარსულთან დაბრუნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეს, ერთი შეხედვით, თავიდან ჩანდა. მეტად დასანანია და გაუგებარიც კი, რომ ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, შინაგანი და განსაკუთრებით გარეგანი ძალების წაქეზებითა და ხელშეწყობით კავკასიაში ენით აუწერელი უბედურება დატრიალდა. ამდენად, კავკასიის ხალხს მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა რჩება გადასაწყვეტი. ერთ-ერთი

კავკასიის მოსახლეობის შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი მატება (მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე) და ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობა (ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე)

	1990 წ.				1996 წ.			
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობა	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობა
ჩრდილოეთ კავკასია	16,1	11,1	5,0	19,2	11,2	13,1	-1,9	19,2
ადიღეს რესპუბლიკა	14,1	12,3	1,8	17,2	10,3	14,2	-3,9	14,8
დაღესტნის რესპუბლიკა	26,2	6,2	20,0	20,3	20,5	7,6	12,9	18,7
ინგუშეთის რესპუბლიკა	24,6	8,5	16,1	29,0	19,7	6,5	13,2	27,2
ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა	19,9	8,5	11,4	19,3	13,0	10,4	2,6	18,4
ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა	17,0	8,2	8,8	16,0	12,1	10,7	1,4	20,8
ჩრდილოეთ-ოსეთის–ალანიის რესპუბლიკა	17,1	9,6	7,5	12,7	12,1	12,8	-0,7	17,8
ჩეჩნეთის რესპუბლიკა	24,6	8,5	16,1	29,0	...	...	...	...
კრასნოდარის მხარე	13,1	13,2	-0,1	18,0	9,4	14,7	-5,3	17,0
სტავროპოლის მხარე	14,6	11,5	3,1	16,6	9,8	13,2	-3,4	21,8
როსტოვის ოლქი	12,5	12,5	0,0	17,5	8,8	14,9	-6,1	20,1
სამხრეთი კავკასია	...	...	...	...	13,8	6,4	7,4	18,9
საქართველო	17,0	8,4	8,6	15,8	11,1	7,1	4,0	17,4
სომხეთი	22,5	6,2	16,3	18,6	12,8	6,6	6,2	15,5
აზერბაიჯანი	26,3	6,1	20,2	23,0	17,1	6,4	10,7	19,9

მათგანია მისი მოსახლეობის ოპტიმალური განვითარება და მშვიდობიანი თანაარსებობა.

კავკასია თავისი დიდი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ მდგარა მეტად რთული, სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის წინაშე. ამჯერადაც მის ხალხებს ეყოფად სიბრძნე ეს პრობლემები მშვიდობიანი კავკასიის საერთო ინტერესებით გადაწყვიტონ.

სარჩევი

ავტორისაგან 3

თავი I. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და თანამედროვე გვნდენციები 8

I.1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ... 8

I.2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა XIX საუკუნეში 47

I.3. დემოგრაფიული გადასვლის თავისებურებები საქართველოში 62

I.4. თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება 72

თავი II. სიცოცხლის ხანგძლივობა და მოსახლეობის დაბერება 108

თავი III. საქართველოს მოსახლეობის რეგიონული პრობლემები 145

III.1. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა, შემადგენლობა, კვლავწარმოება 145

III.2. აფხაზეთის მოსახლეობის ისტორიულ-დემოგრაფიული ასპექტები 163

III.2.1 ისტორიის გამყალბებლები 163

III.2.2 ვინ ცხოვრობდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროს? 170

III.2.3. ქართული და უცხოური წყაროები ძველი და თანამედროვე აფხაზების შესახებ 180

III.2.4. რას ამბობს ენობრიული მასალა, ტოპონიმიკა, ანთროპოლოგია, გვარ-სახელები და ზეპირსიტყვიერება აფხაზთა ეთნიკურ წარმომავლობაზე 190

III.2.5. რატომ იწოდებოდა გაერთიანებული საქართველო აფხაზეთად, ხოლო მეფეები — მეფედ აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა 210

III.2.6. მუჰაჯირობა: ტრაგედიის რეალური მასშტაბები... 215

III.2.7. აფხაზეთის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში: სიყალბე და რეალობა 234

III.2.8. რატომ აყალბებენ აფხაზი სეპარატისტები ისტორიას.....257

III.3. ოსების ჩამოსახლება, რიცხოვნობა და განსახლება.....265

თავი IV. ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები 285

IV.1. ოჯახი, ქორწინება, განქორწინება 285

IV.2. ქორწინებისგარეშე შობადობა 304

IV.3. ნაადრევი ქორწინება..... 318

IV.4. ვაჟი თუ ქალი 331

თავი V. კავკასიის მოსახლეობა.....343